ნაპო მესხია

ვის როგორ სტკივა აფხაზეთი

თბილისი
2015

ნაპო მესხია: ვის როგორ სტკივა აფხაზეთი.
„ივერიონი“, თბილისი, 2015 წელი, **გვ. 514.**

წარმოდგენილ გამოცემას საფუძვლად დაედო ცნობილი ნეიროქირურგის, უბადლო დასტაქრისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, **ნაპოლეონ მესხიას** მიერ 2009-2011 წლებში გამოცემულ წიგნზე - **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (ქართულ და რუსულ ენებზე) **-** რეზონანსული გამოხმაურებები და მათზე საზოგადოების წარმომადგენელთა მწვავე რეაქცია.

თემატურად დაჯგუფებული წერილების ნაკრები ერთობლიობაში ქმნის საქართველოს უახლოესი წარსულის ყველაზე ტრაგიკული ქრონიკის რეალურ სურათს. ძირითადი აქცენტები გადატანილია მთლიანად აფხაზეთის პრობლემისადმი. მასში ასახულია: ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები, ომისშემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები, აფხაზებთან მშვიდობიანი გზით შერიგების პროცესის აუცილებლობის დასაბუთება.

რედაქტორი: **იური პაპასქუა**

ISBN - 978-9941-9398-2-2

სარჩევი

რედაქტორისგან ---------- 7
ავტორისგან ----------13

ნაწილი I
სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება
დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა
აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ ----------19
თემურ მჟავია, ჯემალ გამახარია:
ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის
„როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ ----------24
ჯემალ გამახარია: „როგორ სხვისდებოდა“
თუ „როგორ გასხვისდეს“----------41
ნუგზარ მგალობლიშვილი: თანამედროვე შადიმანი----------51
რაისა ქარაია: განდიდების სურვილით გაბრუებული
კაცის შემოქმედება: ღია წერილი ბატონ ნაპო მესხიას ---------55

ნაწილი II
პასუხი სიმართლესა და ჭეშმარიტებას
ზურგშექცეულ კოლეგებს

მოკლე რეპლიკა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2012 წლის
29 სექტემბრის N06 (14) 13 დადგენილების
და მას დართული ინფორმაციის ავტორებს ----------64
არა, სამეგრელო არ გასხვისდება!----------65
პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას
ზურგშექცეულ კოლეგებს ----------74
ერთი უღირსი და სამარცხვინო
პუბლიკაციის კვალდაკვალ ---------- 142

ნაწილი III
საზოგადოების წარმომადგენელთა გამოხმაურება აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებასა და ცალკეულ დეპუტატთა პუბლიკაციებზე

ჟურნალში „რიწა“ წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთის“ შესახებ. რედაქციის მინაწერი ---------- 215
ზაურ კვარაცხელია: ვის როგორ სტკივა აფხაზეთი ---------- 217
ზაურ კვარაცხელია: ამჯერად რაისა, არა მაქსიმუტოვნა, უბრალოდ რაისა ---------- 234
იური პაპასქუა: „ჰერიო ბიჭებო“... კიდევ ერთხელ ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ -------- 239
ზურაბ ერქვანია: მშვიდობისმყოფელი დასტაქარი ---------- 248
როლანდ ჯალაღანია: თქვენ თქვენი წილი აფხაზეთი უკვე დაიბრუნეთ, ბატონო ნაპო ---------- 258
იური კაკავა: ნაპო მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთის“ შესახებ ---------- 261
მამანტი ჯოლია: სირცხვილია, ნაპო მესხიას წიგნს „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ აკრიტიკებდე ---------- 267
ლადო ქირია: ნაპო მესხიას წიგნების პრეზენტაცია და მათი შეფასებები საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ---------- 268

ნაწილი IV
აფხაზეთში დამარცხებისა და მისი გასხვისების გენეზისი

აფხაზეთში დამარცხებისა და მისი გასხვისების მიზეზები საკუთარ, ეროვნულ თვითშეგნებასა და ქვეცნობიერის წიაღში უნდა ვეძიოთ ---------- 271
როგორ და რატომ იყო ყოველივე ეს და აწი როგორ?! (რუსულ ენაზე) ---------- 283

გვანჯი დარასელია: ღია წერილი ბატონ ნაპოლეონ მესხიას -- 295
დაგვიანებული წერილი საქართველოს ექსპრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ანუ გახსნილი საუბარი იმაზე, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი ---------- 310
ედუარდ შევარდნაძის კომენტარი: „თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ --- 350
ედუარდ შევარდნაძე: „როცა რუსეთს ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეექმნება, იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის“ ---------- 354
შევარდნაძის პასუხის პასუხად: „სად არის დღეს ის კაცი, რომელიც ყველაფრისთვის კისრულობდა პასუხისმგებლობას და სახჩობელაზე ასვლით რომ იმუქრებოდა“ ---------- 361
ქვეყნის არაეროვნული ხელისუფლება და ეროვნული საქმე --- 378

ნაწილი V
აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

რა გვინდა ჩვენ და რა სჭირდება საქართველოს ---------- 389
აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები ---------- 395
ბოლოთქმა ---------- 414

ნაწილი VI
შტრიხები პორტრეტისთვის
(ნაპო მესხიას პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასებები)

ალექსანდრ კონოვალოვი: სარეკომენდაციო წერილი ჩემი კონცერნის (რუსეთის სამედიცინო აკადემიის

მოსკოვის ნ. ბურდენკოს სახელობის
ნეიროქირურგიული ინსტიტუტის) სახელით ---------- 439
ავთანდილ ჯორბენაძე: ნეიროქირურგ ნაპო მესხიას შესახებ - 443
პანაიოტისი სტილიდისი: წერილი საბეძნეთიდან
(რუსულ ენაზე) ---------- 445
დავით ჩიქოვანი: თვალსაჩინო ნეიროქირურგი -
ექიმი-ნოვატორი და მშვიდობისმყოფელი ---------- 457
ჯემალ გამახარია: ნაპო მესხიას შესახებ ---------- 469
ალუ გამახარია: ჩვენი დროის ნამდვილი გმირი,
ჭეშმარიტი ერისკაცი ---------- 474
ზაურ კვარაცხელია: სიმართლის ნათელი სვეტი ---------- 480
ლორენცო შარანგია: ჩემი მეგობარი - ნაპო მესხია
(რუსულ ენაზე) ---------- 487
გურამ ოდიშარია: ნაპოლეონ მესხია - ბრძენი და ვაჟკაცი -- 490
ალეკო ბაძგარაძე: ღირსებით სავსე კაცი ---------- 492
იური კაკავა: კოლხური ჯიშის შენებრ ქართველი ---------- 494
თამაზ ჯანაშია: ჩემი დიდბუნებოვანი კოლეგა ---------- 495
რაფიელ გელანტია: აფხაზეთის ნათელი ---------- 498
როლანდი კოპალიანი: შესანიშნავი ექიმი,
ჭეშმარიტი პატრიოტი ---------- **505**
შოთა ხეცურიანი: ღირსეული პიროვნება ---------- 507
საოჯახო ალბომიდან ---------- 508

რედაქტორისგან

ჯერ კიდევ 2013 წლის სექტემბრის მიწურულს დავაანონსე (გაზეთი „ილორი“), მალე გამოვიდოდა ბროშურა სათაურით: **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“,** რომელიც თავს მოუყრიდა ცნობილი ნეიროქირურგის, უბადლო დასტაქარისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, **ნაპოლეონ მესხიას** მიერ 2009-2011 წლებში გამოცემული წიგნის - **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **2012 წლის 29 სექტემბრის № 06 (14) 1პ დადგენილებასა და დართულ ინფორმაციაზე,** ასევე, წიგნის ავტორის მიმართ **ჯემალ გამახარიას** და **ნუგზარ მგალობლიშვილის** გამაოგნებელ ბრალდებებზე საპასუხო გამოხმაურებებს.

მე, როგორც რედაქტორმა, ასეთი ორგანიზებული გალაშქრება ნაპო მესხიას წიგნზე აღვიქვი არა მხოლოდ ავტორის მიმართ „დამოკიდებულების“ გამოხატვა, არამედ როგორც იმ ძალების სახიფათო გააქტიურება, რომელთა მოქმედებებმა უკვე მოგვიტანა ძმათამკვლელი დაპირისპირება, ტერიტორიული დანაწევრება, მშობლიური საცხოვრისიდან ათასობით მოსახლის განდევნა და გაუსაძლისი ხვედრი.

თანამდებობებზე, ფულზე, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე დახარბებული მედროვე არსებების ხელახალი გამოჩენა და თავაშვებული ისტერიები ავად მენიშნა - მათი ნებაზე მიშვება და ბოგინი უფრო სავალალო შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ აუცილებლად მივიჩნიე საპასუხო ნაბიჯების გადადგმა, რომ ყველას გაეგო, რასთან გვაქვს საქმე.

იმდენად აშკარა ბოროტგანზრახვა იკითხებოდა „ამჩატებული რეცენზენტების“ მოწადინებაში, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მათ მიმართ აღშფოთება უკვე ვეღარ დამალა და ჩემს გარეშეც, დაუყოვნებლივ საკადრისიც მიაგო.

ცხადია, ცალკე სხვადასხვა გამოცემებში გაფანტული კონტექსტიდან ამოგლეჯილი ბრალდებები და ცალკე თუნდაც საკადრისი პასუხი, არ იყო საკმარისი და ვერც მკითხველს

შეუქმნიდა საფუძვლიან წარმოდგენას განსჯისთვის პრობლემის არსზე. აზრის ჩამოსაყალიბებლად მესამე პირისთვის უფრო უპრიანად მეჩვენა ორივე მხარის მოსაზრებების ერთად მიწოდება, რათა მკითხველს პირველწყაროდან სცოდნოდა ავტორის პოზიცია და საზოგადოების შემართული თავგამოდებაც. ამასთან, მეგონა, რომ დაიცალა „ბრალდებათა მჭიდი“ და ჩაცხრა „საპასუხო ცეცხლიც“, თუმცა „ჩასაფრებული სანგრებიდან“ ცილისწამების ახალი ნიაღვარი კვლავ წამოვიდა და სწორედ ამიტომ ბროშურის დასტამბვაც დროებით გადაიდო. მასალაც იმდენი დაგროვდა, რომ მერე გამოცემის ფორმატის შესაბამისად შეცვლაც დაგვჭირდა. დიახ, ბროშურის ნაცვლად, მკითხველი აწ უკვე სქელტანიან წიგნად მიიღებს უახლოესი წარსულის ყველაზე ტრაგიკული ქრონიკის ამსახველ რეალურ სურათს.

„ცალმხრივად ცეცხლის გახსნისთანავე“ იგრძნობოდა, რომ „სააშკარაოზე გამოსული“ ერთი ჯგუფის მიერ ნაპო მესხიას წიგნზე „დაგვიანებული რეცენზიების“ ერთმანეთისთვის მიჯრით მიწყობა „უჩინართა“ ნების გამომხატველ სრულიად კონკრეტულ მიზანს - წიგნის ავტორის აქტიური და ავტორიტეტული საზოგადოებრივი პოზიციის დისკრედიტაციას ემსახურებოდა, ამასთან, წინდახედულად მიმართული იყო ქართველთა და აფხაზთა შერიგების იდეის წინააღმდეგ, ერის და ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მისაჩქმალად, პროგრესული აზრის ჩასაქოლად. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ეს იყო ჯგუფური, მიზანმიმართული „კონტრბრალდებების“ ნიაღვარი გამომზეურებულ რეალობაზე,** რომელიც უმეტესწილად ამ ჯგუფის და მათი „ბოსსების“ დამსახურებაა.

დაინტერესებულ პირთათვის ობიექტური და მიუკერძოებელი აზრის ჩამოყალიბების მიზნით, თქვენამდე განსასჯელად მოღწეული ამ წიგნის პირველი ნაწილი, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **2012 წლის 29 სექტემბრის № 06 (14) 1პ დადგენილებასა და დართულ ინფორმაციას,** ასევე **ჯემალ გამახარიას, ნუგზარ მოლოდინაშვილის, რაისა ქარაის** „წერილებს“ ეთმობა. ისინი აქ წარმოდგენილია პირვანდელი სახით (რედაქციული ჩარევის გარეშე). მკითხველს შეუძლია საფუძვლიანად გაეცნოს ავტორების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს ნაპო მესხიას მიმართ და მათ ზოგად „მსოფლმხედველობრივ“ პოზიციას. ამის შემდგომ კი, წიგნის მომდევნო ნაწილებში შევიდა სხვადასხვა გამოცემებში დასტამბული ნაპო მესხიას პასუხები ტვინამღვრეულ ოპონენტებსა თუ რეცენზენტებს და მათ ნაამაგარზე საზოგადოების წარმომადგენელთა გამოხმაურებები. სრული წარმოდგენისთვის, წიგნში შევიდა ნაპო მესხიას ადრინდელი პუბლიკაციებიც აფხაზეთთან დაკავშირებულ უმწვავეს პრობლემებზე.

ბუნებრივია, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წიგნის (და საერთოდ, პრობლემის) მიმართ ასეთი რეზონანსული „რეაქცია“ საზოგადოების განსჯის საგანი აუცილებლად უნდა გამხდარიყო. მაგრამ მკითხველს აქედანვე მინდა ავუხსნა, რომ ჩვენი მეცადინეობა არ გულისხმობს მხარეთა დაპირისპირების და მათ შორის მხოლოდ ერთის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიის დაფიქსირებას, არამედ ეს არის აფხაზეთის პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის კიდევ ერთი ცდა, ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების შეულამაზებელი წარმოჩენა, მშვიდობიანი გზით შერიგების პროცესის აუცილებლობის დასაბუთება - თქვენ უთოდ შენიშნავთ, რომ აქცენტები აქ სწორედ ამ მიმართულებით კეთდება.

წიგნის წაკითხვისას, მინიშნების გარეშეც მკითხველი თვითონ მიხვდება ვის უგუნურ (თუ შეგნებულ მოქმედებებს) შეეწირა საუკუნოობით ნაწრთობი ნათესაური კავშირები, მეგობრობა, თანაცხოვრებისთვის ღვთით ბოძებული ზღაპრული სამოთხე, ვინ არის მათი ნამოქმედარით შექმნილ ფაქტობრივ მდგომარეობაზე დამწუხრებული, მშობლიურ ნასახლარებში დაბრუნების ჯერ კიდევ შემორჩენილი იმედის გადასარჩენად ხელგაწვდილი, უმეცრებასთან დაუცხრომლად მებრძოლი გუნდის წინამძღოლი და თავად იხილავს **ვის როგორ სტკივა აფხაზეთი** - სწორედ ეს არის ამ გამოცემის

მთავარი მიზანი. კრებსითი დასახელებაც **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** ზუსტად გამოხატავს იმ აზრს, რისთვისაც ეს წიგნი გამოიცა.

აფხაზეთში ეთნო-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ძმათამკვლელ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი საშინაო და საგარეო ფაქტორების გარდა, არაკომპეტენტურობის, უმეცრობის, პიროვნული ამბიციების, ფარისევლობის, კერძო ინტერესების, პირადი კეთილდღეობის დაუოკებელი სურვილის გამოვლინების შედეგიც იყო. მოვლენების განვითარებაში შემთხვევით ჩართული თუ მოტმასნილი პირების სახეცვლილებამ, ანგარებითმა მეცადინეობამ, შიდაეთნიკური თუ პოლიტიკური ძალების ურთიერთ დაპირისპირებამ უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონია კონფლიქტის ესკალაციასა და ომის შედეგებზეც. წიგნში მკითხველი ბევრი ასეთი ფაქტის უტყუარ დადასტურებას იპოვის. მათ შორის, მედროვეობის აშკარა მაგალითად გამოდგება ნაპო მესხიას დამსახურებებზე ჯემალ გამახარიას „შეფასებები“, რომელსაც ის ვითარების და შესაბამისად ასაჯაროებს (იხ. გვერდები: 41 – 50; 455 – 459).

ორპირობამ და მუხანათობამ, რომელსაც მოვლენების ეპიცენტრიდან უშუალოდ აღიქვამდა და აფხაზეთის ტრაგედიის ისტორიული გენეზისის გაცნობიერებამ, აგრეთვე სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების უაპელაციო დემონსტრირებამ მძიმე დასკვნამდე მიიყვანა ნაპო მესხია, რაც მის ნაწერებსა და სულიერ მდგომარეობაზე შესაბამისად აისახა. უსამართლობასთან შეურიგებლობა, აფხაზეთის გასხვისების ყოველი ეპიზოდის შეფასებისას მოურიდებელი პირდაპირობა და ობიექტურობა, შემზარავი ფაქტების სიმრავლე და მათი გამომწვევი მიზეზების ფაქტორული ანალიზი, არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის გააზრებული, გონივრული, რაციონალური წინადადებები, წინდახედულობა და მოსალოდნელ ახალ საფრთხეებზე აქცენტირება, ამასთან, გულგატეხილობა და სამშობლოს, თანამოძმეთა გაუსაძლისი ხვედრის გამო განცდილი ტკივილი, რომელსაც ის მკერდით ატარებს, განსაკუთრებით იგრძნობა ამ წიგნში შესულ მის ყველა წერილში. მკითხველი აქ უთუოდ იგრძნობს ემოციას, წუხილს, თანაგრძნობას, გამოსარჩლებას, მიტევებას, იმედის ნაპერწკალს, სამეგობროდ გაწვდილ ხელს, შერიგების სურვილს, ადამიანურ განცდებს, რაც ნებისმიერი წიგნისთვის სასურველი, ამ გამოცემისთვის კი ყველაზე ფასეული და ღირებულია.

ორიოდ სიტყვა მინდა დავსძინო საერთო საწუხარზე და ამ წიგნის გამოცემის სხვა მოტივებზეც.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: **ჩვენ აფხაზეთი დავივიწყეთ!** ადრე აქა-იქ შემორჩენილი ლოზუნგები მოგვიწოდებდა გვხსომებოდა აფხაზეთი. ახლა ისინიც გაქრა. რაიმე სანუგეშო, იმედისმომცემი მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის სახელმწიფოებრივ დონეზე არც ერთ ფორმატში არ მიმდინარეობს. სამშვიდობო სამოქალაქო დიალოგისა და დიდი შერიგების ინიციატივებიც არ ჩანს. არავინ გაჰკივის და აგუგუნებს ზარებს აფხაზეთში დაბრუნებაზე, აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენაზე - მთელი ძალისხმევა (თუ კი რაიმე კეთდება) და მოთხოვნაც მიმართულია დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე!?.. თურმე, მთავარი საზრუნავი აი, ეს ყოფილა!

ეს წიგნი შეგვახსენებს აფხაზეთს და ჩვენს ძირითად მისიას, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, იმდროინდელი პოლიტიკური პროცესების ყოვლისმომცველი სამართლებრივი ანალიზი, წარუმატებლობის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, ომის გარდაუვალობა თუ აცილების რესურსები, უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე დღემდე შეფასებული და დეკლარირებული არ არის.

ჩვენი ისტორია სავსეა გაკვეთილებით. სამწუხაროდ, იქიდან აზრიც ვერ გამოვიტანეთ და ვერაფერი ვისწავლეთ. მედროვე მემატიანეებმა ფაქტები ისე გააყალბეს, ბევრმა ისიც კი ვერ გაიგო, რა მოხდა. გამონაკლისი არც აფხაზეთის ტრაგედიაა.

ეს წიგნი იმათვისაცაა, ვინც დღესაც არ იცის ვინ იყო იქ მტერი და ვინ - მოყვარე.

მას აქეთ ოცდაორი წელი გავიდა საუკუნესავით გაწელილი, ტკივილებით სავსე... ღვთით ბოძებული საცხოვრისიდან გამოდევნილი ბევრი ასაკოვანის იმედები უკვე გაფერმკრთალდა; სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილებს უმზეო დღეების თვლაში ამოუღამდა ცრემლშეუმშრალი თვალის გუგები; ჭაბუკები შუა ხანს გადაცილდნენ და ყოველდღიურობასთან ჭიდილში სხვა საწუხარი გაუჩნდათ; პატარებს ალბათ არც კი ახსოვთ წარმტაცი ზეცა, თბილი ზღვა, ლამაზი და დიდრონი მთა-ბარი, მოსიყვარულე ხალხი; გაჩნდა ახალი (აქაური, ფესვებსმოწყვეტილი) თაობაც, რომელთაც წარმოდგენაც არ აქვთ იქაურობაზე. ამ თაობას ეს არ უსწავლია და არ იციან, რომ აფხაზეთი მათი სამშობლოცაა.

ეს წიგნი სწორედ მათთვისაა.

ენგურს გაღმა დარჩენილი სამშობლო თუ აქ შობილთა სულის ნაწილად არ იქცა, ერთი ათეული წლის შემდეგ უკვე ყველა აქაური გახდება და აღარ მოუხმობს წინაპრების მიტოვებული საძვალეთი, ვერც დაბრუნების სურვილი შეაწუხებთ.

სამწუხაროდ, **აფხაზეთი აფხაზებმაც დაკარგეს!** დღეს იქ უცხო ტომის ინტერესები ზეობს. შეუდარებელ აფხაზურ კულტურას და თვითმყოფადობას გაქრობა ემუქრება. იკარგება ნათესაობა, რომელიც გვაერთიანებდა. **ბიძაშვილმა მამიდაშვილი, დეიდაშვილი დაჰკარგა, მორდუმ - ძიძიშვილი, ახალგაზრდობამ - მომავალი.** ეს საერთო უბედურებაა, რომელიც ჩვენმა მოძმეებმაც უნდა გაითავისონ!

ჩვენ, ორივე მხარემ, დავკარგეთ წალკოტი - ღვთით ბოძებული საერთო საცხოვრისი და ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავიბრუნოთ მომავლის უფლება - მხოლოდ სიმართლის აღიარებით, მხოლოდ მიტევებით, ჭირისუფლობით.

ეს წიგნი ამ სატკივარს ემსახურება.

ᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲫᲣᲐ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ

ძვირფასო მკითხველო,

აფხაზეთი, ეს ძირძველი და წალკოტი კუთხე, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მზაკვრულმა ხელმა მოსწყვიტა დედა-სამშობლოს. ხელისუფლების უგუნურებამ ათასობით მისი მკვიდრი მსხვერპლად და ასი ათასობით დევნილად აქცია საკუთარ ქვეყანაში. ოდესღაც ყველაზე აღორძინებული მხარე შეურაცხყოფილ და დამცირებულ, გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ორი ათეული წელი ამაოდ მიიწურა იმედსა და მოლოდინში - ფუძეაყრილი მოსახლეობა დაბრუნებოდა თავიანთ ნასახლარებსა და წინაპართა საძვალეებს, თუმცა მხოლოდ შეუხორცებელ იარებსა და განუზომელ ტკივილში იბინდება მათი უმეტესობის ყოველ ცისმარე ნაოცნებარი - სანუგეშო არაფერი ჩანს. უფრო გულსაკლავი კი ისაა, რომ დამდგარ შედეგზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს და არც მდგომარეობის გამოსწორების ან შემსუბუქების პერსპექტივა ჩანს.

ისედაც გაუსაძლის ასეთ საზოგადო ყოფაში ზოგი უწინდებურად კვლავ ლაღად გრძნობს თავს და მერკანტელურ სარჩოს პოულობს; არიან ისეთებიც, რომლებსაც სულაც არ ადარდებთ რაც მოხდა აფხაზეთში. მათი გეზი და მიზანი ოდნავადაც არ შეცვლილა, იცვლებოდა მხოლოდ ნიღბები.

ადრე ზოგიერთი მათგანი, ეროვნულ დროშას ამოფარებული, მგზნებარე ლოზუნგებით აღვივებდნენ ორ მოძმე ხალხს შორის არსებულ უთანხმოებას; უწყობდნენ ხელს უნდობლობისა და გაუცხოების პროცესის გაღრმავებას; ცრუმეცნიერებთან და ფსევდოინტელიგენციასთან ერთად, ქმნიდნენ „ეროვნული ერთიანობის საბჭოს“, მე-5 კოლონას; ანტიაფხაზური მიტინგებით ხელს უწყობდნენ მხარეებს შორის დაპირისპირებას; წარმოადგენდნენ სისხლით და მახვილით მოსული ხელისუფლების საყრდენ ძალას აფხაზეთში. დღეს მათ არც კი ახსოვთ ეს კუთხე. ასე რომ, ყველას ერთნაირად როდი სტკივა აფხაზეთი...

ახლაც ისინი მართავენ პროცეს. სწორედ ისინი, რომლებიც უწინ აჩენდნენ ხანძარს მოძმეთა შორის, დღესაც აყრიან მარილს მოუშუშებელ იარებს, სხვებზე უფრო ხმამაღლა, ურცხვად გაჰყვირიან სხვის შეცდომებზე, გონიერებისკენ უხმობენ ერსა და ბერს. მათი ნამდვილი სახე ვისაც არ უნახავს, ეგონება, რომ სწორედ ისინი არიან გულდათუთქული ჭირისუფალნი და თურმე მათაც „სტკივათ“ აფხაზეთი!

მე მათ ბევრჯერ ჩავხედე თვალებში: მინახავს მათი ფარისევლობა, არაერთი საბედისწერო ღალატის მოწმეც ვყოფილვარ. ვხედავდი, საით მიაქანებდა ქვეყანას უგუნურობის, აღვირახსნილი და პირველკაცობის დაუოკებელი ტალღა. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: გარე ძალებმა და ჩვენივე მოდგმის ამგვარმა მოღალატეობრივმა ხელშეწყობამ იავარჰყო წინაპართა დანატოვარი, სისხლისა და სიცოცხლის ფასად შენარჩუნებული ჩვენი სანუკვარი, აფხაზ ძმებთან ერთად საერთო საცხოვრისი, ენა, მამული და სარწმუნოება - უძველესი კულტურა, თვითყოფადობა და თავისთავადობა. დღეს იქ „უცხო წესრიგი“ თარეშობს!

თავი არ დამიზოგავს: ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, მუხლჩაუხრელი ვებრძოდი, დაუზოგავად ვამხელდი მედროვეთა მუხანათობას, თუმცა ასიათასობით თანამემამულის მწარე და ტკივილიანი ხვედრი გავიზიარე.

ბევრს ნამდვილად, შეგნებით თუ ქვეცნობიერად ეძალება მამულეთის თუ დედულეთის ნოსტალგია, თუმცა დღესაც არ იცის, რა მოხდა, როგორ გასხვისდა აფხაზეთი!

დღესაც საშველი არსაიდან ჩანს და არასდროს გამოჩნდება, თუ ღრმად და საფუძვლიანად არ გავაანალიზებთ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებს, არ ჩავიხედავთ აფხაზეთის ტრაგედიის ისტორიულ გენეზისში.

სწორედ ამან და ამ განადგურებული აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის განუწყვეტელმა ტკივილმა და სულის კივილმა ამაღებინა კალამი, რათა მეთქვა ყველასთვის სრული სიმართლე - **მწარე სიმართლე დაუფარავად.** შევეცადე უტყუარ ფაქტებზე (და არა გაყალბებულ, შეთითხნილ ფაბრიკაციებზე) დაყრდნობით ამეხსნა ხალხისთვის ის, რაც და რატომ მოხდა, შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება.

ომის მთავარმა შემოქმედებმა დიდხანს გვაცხოვრეს ილუზიებსა და ინფორმაციულ ვაკუუმში და თავს დამტყდარი უბედურების მიზეზებზე ბევრმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო სიმართლე, რაც 2009 და 2011 წლებში გამოიცა ჩემი წიგნი **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (ქართულ და რუსულ ენებზე). მას გაეცნო ფართო საზოგადოება და ცნობილი პოლიტიკოსები, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ხალხმა წიგნი თბილად მიიღო და პირველ ხანებში არ წყდებოდა ზარები, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე მის ფარგლებს გარედანაც. გვიკავშირდებოდნენ უცხოეთში მიმოფანტული ჩვენი თანამემამულეები და გამოხატავდნენ თანადგომას, მადლიერებას, კმაყოფილებას მათი სატკივარის, ხვედრის, მწარე, მაგრამ რეალობის ასე ობიექტურად ასახვისთვის. სდუმდნენ მხოლოდ პოლიტიკოსები და ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალჩინოსნები. არავითარი რეაქცია გამოუხატავს აგრეთვე ჩემს კოლეგებს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებსაც. ასეთ ვითარებაში, წიგნის გამოსვლიდან მე-4 წლისთავზე, მოულოდნელად, ავტორის სრული იგნორირებით, თურმე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს კონფედენციალურად განუხილავს აღნიშნული წიგნი და ქვეყნის ერთ ერთ ცენტრალურ გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“) გამოქვეყნდა პრეზიდიუმის „ისტორიული“ (თუ ისტერიული) დადგენილება, რომელშიც, ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ შეფასებებთან ერთად, დაგმობილია ჩემი შეხედულებები და მოსაზრებები აფხაზეთის დაკარგვასთან დაკავშირებით.

მართალი გითხრათ, მე ეს არც გამკვირვებია უმაღლესი საბჭოს იმ ჯგუფისგან, რომლებსაც ლომის წილი მიუძღვით აფხაზეთის დაკარგვაში. ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დამკვიდრებულმა „სიცრუის და ძალადობის არსენალმა“ გამოიყენა ეს შანსიც და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კომპანიის

მიწურულს, ამომრჩევლის ტვინების გამოსარეცხად, ეს სიბინძურეც ანთხიეს პრეზიდიუმის დადგენილების სახით. ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად ჩემი წინასაარჩევნო გააქტიურებისა და ჭორების დონეზე ჩემი კანდიდატურის „ოცნების“ სიაში შეტანის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული.

ერთხანს მეც დაველოდე მოვლენებს, საჭიროდ არ ჩავთვალე მათთან კამათი, მით უფრო რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და მის „ისტორიულ“ დადგენილებას დროულად, ძალზე კვალიფიციურად, იმავე გაზეთში გასცა პასუხი პროფესრმა **ზაურ კვარაცხელიამ** თავის პუბლიკაციაში სათაურით „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ უსახო დადგენილებას რიგში მიჰყვა ამავე საბჭოდან „სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეული“ ჩემი კოლეგების ბინძური პუბლიკაციები, ყოვლად ზღვარსგასული და ამაზრზენი ცილისწამებათა სერია, რომლის ატანა (არამარტო ადამიანურ განცდათა გამო), უკვე ვეღარ შევძელი...

მოგეხსენებათ, დუმილი ყოველთვის როდია ოქრო! რას იტყოდა მავანი: ჩათვლიდა, რომ ჩემი ოპონენტები არ ცრუობენ და ხმა ჩამაკმენდინეს. ამ გარემოებამ მაიძულა საკადრისად გამეცა პასუხი მათთვის. საპასუხო ჩემი წერილები ხანგრძლივად იბეჭდებოდა პრესაში. ბევრი თქვენთაგანი ალბათ გაეცნო კიდეც მათ (მთლიანად, ან ნაწილობრივ), თუმცა ძალზედ ძნელია ისინი ცალ-ცალკე შეაფასო, მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტებისგან განსხვავებით, ჩემს პასუხებში კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს ვერ ნახავთ. ყველაფერი ისეა, როგორც იყო, მხოლოდ ფაქტები და მათი შემოქმედი პირებიც კია პერსონიფიცირებული.

ალბათ, საჭიროა ითქვას იმაზეც, თუ როგორ გაჩნდა ეს წიგნი, რომელსაც ახლა კითხულობთ. მივიჩნევდი რა სრულიად საკმარისად გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, მით უფრო, რომ ჩემი პასუხების შემდეგ, ოპონენტები მიჩუმდნენ, მეც დავშოშმინდი, მაგრამ ჩემს მომხრეთა შორის გაჩნდა აზრი, ერთად აგვეკინძა ყველა წერილი თუ პუბლიკაცია ფაბრიკაციების ჩათვლით, რათა ფართო საზოგადოებას (შთამომავლობას, ბრძენ და ობიექტურ მკითხველს) ორიგინალში თავად ეხილა ვინ ვინ არის. ამაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ამ და წინა წიგნების რედაქტორს ბატონ **იური პაპასქუას,** რომელმაც დაანონსა ეს თავის წერილში **„ჰერიო ბიჭებო“... კიდევ ერთხელ ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“.** მისი მხარდაჭერით, თავი მოვუყარე ჩემი ოპონენტების პუბლიკაციებს და მათზე პასუხად გაცემულ ჩემს წერილებს, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებულ ადრინდელ პუბლიკაციებს, აგრეთვე გამოხმაურებებს და იმ ბოლოდროინდელ ჩემს წერილებს, რომლებიც ეძღვნებოდნენ აფხაზეთისკენ მიმავალი გზების მოძიებას, აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ჩამოწოლილ უნდობლობის და გაუცხოების პროცესის შენელებასა და დაძლევას.

ასე, რომ თანამოაზრეების, გულშემატკივრების მხარდაჭერამ და პრობლემის მნიშვნელობამ, გადამაწყვეტინა ეს მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელიც ასახავს არა კინკლაობას, არამედ ხედვათა ჭიდილს პრობლემის გარშემო, ერთ წიგნად გამოსულიყო. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე ბატონ **ნუგზარ სართანიას**, რომლის მეცადინეობით წიგნში შევიდა ჩემი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ კოლეგებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასებები.

მინდა გულრწფელი მადლობა ვუთხრა მათ და ყველას, ვინც გამოეხმაურა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „ისტორიულ“ დადგენილებას, ცალკეულ დეპუტატის არაკეთილსინდისიერ, შეურაცხმყოფელ პუბლიკაციებს. მადლობას ვუძღვნი კოლეგებს და საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც ესოდენ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს პროფესიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ამ წიგნში, განსაკუთრებით კი ბოლოთქმაში, თქვენ შენიშნავთ ჩემს გულგატეხილ განწყობას, რაც მიუხედავად ტკივილიანი ცხოვრებისა და ტრაგიკული ხვედრისა, არ მახასი-

ათებს, მაგრამ ასაკმაც და ჯანმრთელობის მდგომარეობამ, როგორც ჩანს, იმოქმედა... ამიტომ მცირე განმარტებას გავაკეთებ:

განუზომელია ის დუხჭირი და ომით გამოწვეული სისასტიკე, რაც გადაიტანა აფხაზეთის და სამეგრელოს მოსახლეობამ, მაგრამ აფხაზეთის დაკარგვასთან ერთად, უფრო მტკივნეული, გამაოგნებელია იმის გაცნობიერება, რომ კოლხეთის ისტორიული წარსულის დაკნინება და კოლხური წარმომავლობის დამახინჯება, ჭანურ-მეგრული და სვანური ენები, ზოგადად, კოლხური კულტურა აღმოჩნდა შემდეგი სამიზნე ახალი დაპირისპირებისთვის.

სულიერი ტრავმა, რასაც ამ უგუნურობის აგორებისგან განვიცდი, უფრო ტრაგიკულია ჩემთვის და ბევრი ჩემი თანამოაზრისთვის. ამის განცდა მართლაც, გამანადგურებელია. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პრობლემას გვერდს ვერ ავუვლიდი და ჩემი დამოკიდებულება გამოვხატე. ჩემი გულისტკივილი თუ ავი წინათგრძნობის გაცხადება, იმედია გაგებით იქნება აღქმული.

დასასრულს ერთს დავსძენ: წერილების ციკლი, რომლებსაც ეცნობით, ზუსტად შეესატყვისება იმ პათოსს, რომელიც გაჟღერებულია ბატონი **ზაურ კვარაცხელიას** პირველ გამოხმაურებაში **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“**. სწორედ ამიტომ დავესესხეთ ამ გულმართალი პუბლიკაციის ავტორს და მასთან შეთანხმებით, წიგნმაც ეს გამაერთიანებელი დასათაურება მიიღო.

აწი ჯერი თქვენზეა, ძვირფასო მკითხველო! ყველაზე უკეთ თქვენ შეძლებთ გაარჩიოთ მტყუანი და მართალი. მე კი მოუთმენლად დაველოდები თქვენს განაჩენს.

პატივისცემით

ნაპო მესხია

ნაწილი I
სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ:

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნაპოლეონ მესხიას წიგნში „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ მოცემულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების მოღვაწეობის ამსახველი დამახინჯებული, ცილისმწამებლური ფაქტები, ცალკეული დეპუტატების, სახელმწიფო მოხელეების, საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ღირსების შემლახველი მოსაზრებები. აფხაზეთში 1992-93 წლებში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ასეულობით წიგნი, ბროშურა, საგაზეთო სტატია, პუბლიკაციაა გამოცემული, გასაჯაროებულია აუდიო და ვიდეო მასალები, გამოქვეყნებულია საერთაშორისო დონის კომპეტენტური ორგანოების, უმაღლესი რანგის სამიტებისა და კონფერენციების, ლიდერი ქვეყნების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგებისა და ექსპერტების ოფიციალური დასკვნები და მოსაზრებები, რომელთა მიზანი იყო და არის აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გენეზისის, ომის დაწყების წინაპირობების, მისი ინსპირატორების, საომარი მოქმედებების პერიოდში ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების, ძირძველი ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმის - ეთნიკური წმენდის მოწყობის შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა და მსოფლიო საზოგადოებისათვის ობი-

ექტური ინფორმაციის მიწოდება. ამ ფონზე სრულიად გაუგებარი, მიუღებელი და, რაც მთავარია, საზიანოა ბატონ ნაპოლეონ მესხიას ავტორობით ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (Как отторгалась Абхазия). ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას ნაშრომის უმთავრესი ვექტორი მიმართულია აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის და ეროვნული ერთიანობის საბჭოს ქართულ-აფხაზური ინტერესების ღალატის ტოლფას ქმედებებში დადანაშაულებისკენ, რაც იმთავითვე ობიექტური რეალიების ცილისმწამებლური შეფასებების ავტორისათვის სასურველ კონტექსტში წარმოჩენის მცდელობითაა გაჯერებული.

იმის გათვალისწინებით რომ, ბატონი ნაპოლეონ მესხია დღიდან დეპუტატად არჩევისა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის და დევნილობის პერიოდში ინარჩუნებდა კოლეგიალურ ურთიერთობებს უმაღლესი საბჭოს უმრავლესობასთან, მით უფრო გაკვირვებას იწვევს ავტორის უპასუხისმგებლო სიცრუეზე აგებული ეპიზოდებით აპელირება, რომლებიც თითქოსდა ახასიათებს აფხაზეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში აფხაზეთის დეპუტაციის წევრების დანაშაულებრივ მონაწილეობას (ცალკეული დეპუტატების მიერ ომის ინიცირებაში ბრალდებები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში უმაღლესი საბჭოს მოღალატეობრივი ინსინუაციების ფაქტები და სხვ.), საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული მაგალითები თუ ისტორიული ფაქტები, რომლებითაც ბატონი ნაპოლეონ მესხია სარგებლობს, სრულიად შეგნებულად აყვანილია ტიპური განზოგადების რანგში, ვინაიდან მიზნად აქვს დასახული აფხაზეთის ტრაგედიაში ერთმნიშვნელოვნად დამნაშავედ ქართული მხარის გამოყვანა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ავტორისეულ ინტერპრეტაციას, ის აღსავსეა ისეთი სახის აბსურდებით, როგორიც თვით

აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებს, სეპარატისტთა იდეოლოგებსაც კი არ მოსვლიათ თავში. წიგნში აშკარად გამოკვეთილი აზრი, რომ თურმე არ ყოფილა დიალოგი აფხაზებსა და ქართველებს შორის იმ მიზეზების გამო, რომ ამგვარი ნება და სურვილი ქართულ მხარეს არ ჰქონია, სრული სიცრუეა.

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ხელს უწყობს არა „მწარე სიმართლის“ გამჟღავნებას, როგორც ამაში მკითხველის დარწმუნებას ცდილობს მისი ავტორი, არამედ პირიქით, ისტორიული ფაქტების გაყალბებით, მისი ფანტაზიით შეთითხნილ არარსებულ ეპიზოდებში ზოგიერთი ქართველი დეპუტატის ვითომდა მონაწილეობით ხელს უწყობს სინამდვილის კიდევ უფრო გამრუდებას და ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში მის წარმოჩენას. აღნიშნულ წიგნში ავტორი ასევე დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით და სრულიად უაპელაციო, ცილისმწამებლური, ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკური შეფასებებით, მთელი რიგი პოლიტიკური და მეცნიერული საკითხების განხილვისას ხშირად ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას, დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და მიამიტობას. წიგნის ავტორის ბატონ ნ. მესხიას აშკარად გამოკვეთილ მტრულ განწყობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიმართ, მის დაუნდობელ და შეუწყნარებელ რიტორიკაში აშკარად იკვეთება რამდენიმე მთავარი მიზეზის კვალი. პირველი, ეს არის - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას კანდიდატურის უარყოფა მთელი აფხაზური დეპუტაციის მიერ, რასაც ის დღემდე აბრალებს ქართველ დეპუტატებს, მეორე - 2009 წელს მისი კანდიდატურის ჩავარდნა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად.

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ახდენს მისი ავტორის, - კოლაბორაციონალისტური, ბოღმიანი, პოლიტიკი-

საგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებული და ჩასაფრებული ადამიანის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბ-ნ ნაპოლეონ მესხიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ლუსტრირებას, რასაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ავტორისეული აღმაშფოთებელი მცდელობა, ერთ სიბრტყეზე განათავსოს გერმანელი ფაშისტების მიერ ებრაელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედებები და ქართველთა „დანაშაული“ აფხაზეთში, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ღალატი.

გამომდინარე აქედან,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთლიანად გმობს რა ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ სულისკვეთებას, ავტორისეულ დასკვნებსა და შეფასებებს, როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას, რომელიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით, ცალკეულ სახელმწიფო მოხელეებსა და საზოგადოების წარმომადგენლების სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალდებებით ხელს უწყობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სიმართლის გამრუდებას, მის ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში წარმოჩენას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღალატის ტოლფასი ქმედება.

2. ნაპოლეონ მესხიასაგან მოითხოვს საჯარო ბოდიშის მოხდას მის წიგნში „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ დეპუტატების, სხვა თანამდებობის პირების და საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური ბრალდებების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი

საბჭოს დეპუტატები უფლებას იტოვებენ სასამართლო წესით აღიდგინონ შელახული ღირსება.

3. დადგენილებას დაერთოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინფორმაცია ნ. მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ.

4. ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ დადგენილების შესახებ მოხსენდეთ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უახლოეს სესიაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ელგუჯა გვაზავა.

ქ. თბილისი 29.09.2012 წ. № 06 (14) 13

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2013-01-15

ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ

ჩვენი კოლეგის - ნაპო მესხიას მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (Как отторгалась Абхазия) კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გატყდეს ციხე შიგნიდან - როგორ უნდა დაუპირისპირდე საკუთარ ხალხს და საკუთარ სახელმწიფოს დედა-ისტორიის, ისტორიული ფაქტების გაყალბების გზით, რასაც ორ ასეულზე მეტი წლის მანძილზე პერმანენტულად ეწევა გარეშე მტერი, მაგრამ ღალატის ტოლფასია შინაურის მიერ განხორციელებული მსგავსი ქმედება.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამოვიკითხოთ ის ძირითადი მოტივი, რამაც უკარნახა ჩვენს კოლეგას დაეწერა წიგნი „სიმართლეზე და სამართლიანობაზე“, რომელსაც რედაქტორის წინათქმაში ვინმე იური პაპასკუა სამკურნალო თვისებებსაც კი მიაწერს. ნუ იტყვით და, თურმე ჩვენს განკურნებას ითვალისწინებს იმის აღიარება, რომ საქართველო მცირე იმპერიას წარმოადგენს (აქ უპრიანია გავიხსენოთ ის ვნებათაღელვა, რაც ანდრეი სახაროვის ამ მოსაზრებას მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში) და ნაპო მესხია როგორც მკურნალი, სამკურნალო პრეპარატის ანოტაციას ამ სახით გვთავაზობს: „...ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები, მათ შორის ქართველებიც, მაგრამ გვავიწყდება, თუ მხედველობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა, მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა. მათი დანახვა შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ყურადღებითა და გულისყურით ჩავხედავთ სიმართლეს თვალებში!“ აი, ამგვარად გვმოძღვრავს მკურნალი ნაპო მესხია (და სხვაგვარად ვერც მოიქცევა, ვინაიდან ჰიპოკრატეს ფიცისადმი

ერთგულება კარნახობს ამას). ხოლო რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნაპო მესხიასეულ ინტერპრეტაციას, ის აღსავსეა ისეთი სახის აბსურდებით, როგორიც თვით აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებსაც კი არ შემოუთავაზებიათ. მაგალითისათვის უნდა მოვიტანოთ ამონაწერი 23-ე გვერდიდან: „...ნამდვილად იბადება შეკითხვა: როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართლი“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე-15 საუკუნის შუაგულში“. გარდა იმისა, რომ მოტანილი ციტატა სრული სიყალბეა, აქ ადვილად ამოიკითხება ის ირონია, რომლის დამალვასაც ავტორი არც ფიქრობს. უფრო ადრე ავტორი აპელირებს იმ კონსტიტუციით, რომელზედაც საუბრობს მე-15 გვერდზე: „...კარგად არის ცნობილი თუ რა სტატუსით სარგებლობდა იგი 1925 წლის კონსტიტუციით და როგორ ჩამოქვეითდა საკუთარ უფლებებში 1931 წლის კონსტიტუციის მიხედვით...“. აქ საუბარია იმ 1925 წლის კონსტიტუციაზე, რომელიც მეცნიერ-ისტორიკოსების მტკიცებით მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითები თუ ისტორიული ფაქტები, რომლითაც ნაპო მესხია სარგებლობს, აყვანილია ტიპური განზოგადების რანგში და ის ამას სრულიად შეგნებულად აკეთებს, ვინაიდან მიზნად აქვს დასახული თუ დავალებული აფხაზეთის ტრაგედიაში უეჭველ დამნაშავედ ქართული მხარე გამოიყვანოს. შიგადაშიგ აფხაზ სეპარატისტებსაც გამოჰკრავს ხოლმე „სარმას“, მაგრამ ამას ჩვენი დანაშაულის უპირობო აღიარების კონტექსტში აკეთებს და ამის მაგალითებია უნივერსიტეტის გაყოფა და იქ მოწყობისათვის აუცილებელი „სტავკების“ გაორმაგება, ქართული ეროვნული მოძრაობისა და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი ეპითეტებით შემკობა და სხვა. ამგვარ დახასიათებებს ნაპო მესხია

სეპარატისტებისათვის ნაცადი მეთოდით წარმოგვიდგენს ყველაფერ იმას, რაც სოციალისტური აბსურდისათვის იყო დამახასიათებელი, მიაწერს ქართველ ხალხს იმ ცალმხრივი მინიშნებით, რომ უბედურების სათავე მათშია და პერმანენტულად ეწევა ამგვარი დასკვნების ტირაჟირებას. მაგალითად, 25-ე გვერდზე ასკვნის: „...ამიტომ მთავარ მიზეზს უნდა ვეძებდეთ საკუთარ ეროვნულ ხასიათსა და მენტალიტეტში. ჩვენ დაკავებული აღმოვჩნდით საკუთარი პრობლემებით და არ გავუწიეთ ანგარიში საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების პრობლემებსა და განწყობებს... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთხელაც არ გვიცდია ამის გაკეთება, ჩვენ სრულად უგულებელვყავით ჩვენი ოპონენტების ინტერესები, დავიკავეთ რა განაწყენებულის, სირაქლემის პოზა...“ და ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლადაა შესაძლებელი.

ნაპო მესხია ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა ეძლევა, დაჟინებით იმეორებს, რომ არ ყოფილა დიალოგი აფხაზებსა და ქართველებს შორის იმ მიზეზის გამო, რომ ამგვარი ნება და შესაბამისი სურვილი ქართულ მხარეს არ გააჩნდაო, რაც სრული სიცრუეა. აქაც ქართველთა ცალმხრივად დადანაშაულებას ცდილობს ნ.მესხია. დიალოგი ნამდვილად რომ მიმდინარეობდა, ადასტურებს მრავალი მისი მონაწილე საგაზეთო თუ სხვა სახის პუბლიკაციებში, რაც საგანგებოდ გამორჩა ავტორს. ამ დიალოგის მონაწილეები ჩვენი კოლეგებიც გახლდნენ და მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად დაძაბულ ფონზე მიმდინარეობდა, ამოწეული იყო და განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც პრობლემური იყო აფხაზური ეთნიკური საზოგადოებისათვის: აფხაზური ეროვნული სკოლა და მისი განვითარება, აფხაზური ენა და მისი სახელმწიფო სტატუსის ამაღლების გზები, დემოგრაფიული სიტუაცია და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები და ა.შ. ის, რომ დიალოგი შედარებით გვიან პერიოდში დაიწყო, ქართულ მხარეს კი არ უნდა დაბრალდეს, არამედ იმ სოციალისტურ სინამდვილეს, სადაც ამ სახის დიალოგი სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენდა. განა შეიძლება მავანსა და მავანს ეწარმოებინა დიალოგი ეთნიკურ პრობლემებზე იმ გარემოში, სადაც ერთაშორისი ურთიერთობები ვეტოდადებულ თემას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ქართველთა დადანაშაულება იმაში, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმართვას, აშკარად ყურით მოთრეული და წინასწარ გამიზნულია, ან როგორ ფიქრობს ავტორი, შეიძლებოდა კი თუნდაც ეფექტურად წარმართული ქართულ-აფხაზური დიალოგით თავიდან აგვეცილებინა კრემლის ავანტიურა, არსებითად შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ.

იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ ავტორი სწორედ ამ ავანტიურისტებს, აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებს აფარებს ხელს, ხოლო დამნაშავედ გამოყავს მსხვერპლი - ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო და ამას მზაკვრული ხერხებით ახორციელებს, თითქოს სოხუმში მოქმედი ეროვნული ერთიანობის საბჭო წარმოადგენდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს უფლებამოსილ სუბიექტს. აფასებს რა ეროვნული ერთიანობის საბჭოს საქმიანობას, ნ. მესხია პირდაპირ მიუთითებს, რომ სწორედ ეროვნული ერთიანობის საბჭოს უდევს ლომის წილი აფხაზეთის ტრაგედიაში. თუ სად არიან ამ ტრაგედიის ჭეშმარიტი შემოქმედნი, ავტორი ამას არ კითხულობს, არც აინტერესებს, ვინაიდან მისი მიზანი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართული მხარის, საქართველოს დადანაშაულებაა.

არანაკლებ მზაკვრულია ნ. მესხიას აპელირება სიმართლით და მას ხაზს იმ მიზნით უსვამს, რომ კიდევ ერთხელ დაადანაშაულოს ქართული მხარე აფხაზეთის კოლაფსის მოწყობაში, აქაოდა სიმართლეა და სად და როგორ უნდა გაექცე მასო. აი, მისი გამონათქვამებიც: „...ეს არის მწარე სიმართლე, მაგრამ სიმართლე. ფაქტია, რომ პრობლემების მშვიდობიანი დარეგულირება არ აწყობდა არავის“ (გვ.28);

„...ადამიანებმა უნდა იცოდნენ სიმართლე! იგი უნდა ითქვას ბოლომდე და შეუფერადებლად. გამოსავალი მხოლოდ ამაშია და ჩემი მოქალაქეობრივი ვალი სწორედ ამაშია“ (გვ.44); „...ამიტომაც გადავწყვიტე სიმართლით წარვსდგე მათ წინაშე და ჩავხედო მათ თვალებში“ (გვ.45). საყოველთაოდაა დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ სიმართლე ყოველთვის და ყველა ვითარებაში არ შეიძლება გამოითქვას, სიმართლის თქმას შესაბამისი დრო და გარემო სჭირდება. ათეულობით მაგალითი არსებობს აფხაზთა მხრიდან ქართველთა აუგად მოხსენიებისა, პირდაპირი შეურაცხმყოფელი განცხადებებისა ქართველთა და ყოველგვარი ქართულის მიმართ, გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ ქართველებთან თანაცხოვრება დაუშვებელია და შეუძლებელია, ქართველთა გაუპატიურებისა, სადისტური აღვირახსნილობისა თუ სხვა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, მაგრამ არც ერთ აფხაზ ავტორს, არც ერთ პუბლიცისტურ თუ სხვა სახის ნაწერში, არც ერთ მათ მიერ ფალსიფიცირებულ „ოპუსში“ ამგვარი სახის სიმართლის შემცველი ფაქტი არ მოუყვანია, ვინაიდან იცის, სად და რა ვითარებაში თქვას სიმართლე, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არ იცის ჩვენმა კოლეგამ, ან იცის და სწორედ ამიტომაც იქექება იმ სიბინძურეში, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის სამყოფელში. ზემოთაც იყო აღნიშნული და ახლაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ნ. მესხიას წიგნი არა სიმართლისადმი ერთგულების, არამედ წინასწარ განზრახულობით არის შექმნილი. სწორედ წინასწარ განზრახულობით და ავი წინასწარგანზრახულობით დაიწერა მე-3 თავი „აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მისი ქართული ფრაქცია და ე.წ ეროვნული ერთიანობის საბჭო. მათი როლი და ადგილი აფხაზეთის ტრაგედიაში“. იგი ამ თავს უპრეცედენტო ბრალდებით იწყებს: „...საზოგადოებაში ფართოდ არის დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ომის გაჩაღებაში დიდი როლი ეკუთვნის აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართულ ფრაქციას. მას ბრალს

სდებენ ღალატის ტოლფას ქმედებაში. ამბობენ, რომ ვერ დაინაწილეს თანამდებობები, ამიტომ ვერ წარიმართა მწყობრი საპარლამენტო საქმიანობა. მათი ქმედებებით თუ უმოქმედობით კიდევ უფრო გაღრმავდა პოლიტიკური დაპირისპირებულობა, რომელსაც აფხაზეთში მოჰყვა დაძაბულობის გაძლიერება და საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის გაძლიერება...“ და არ მხოლოდ ზემოთ მითითებულ თავს, არამედ მთელ წიგნს ამ ბრალდების დასაბუთებას უძღვნის. მე-4 თავში ქართულ ფრაქციას წარმოუდგენელ დანაშაულობებს მიაწერს: „... იმაში, რომ არ შედგა დიალოგი და არ შეიქმნა საქმიანი კონტაქტები და ურთიერთთანამშრომლობა, უფრო მეტად დამნაშავეა ჩვენი, ქართული მხარე. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენ გავრბოდით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სესიების სხდომებიდან, რითაც ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტს ვუთმობდით ბურთსაც და მოედანსაც! ეს ჩვენ დავთმეთ პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობის მექანიზმები, 2/3 ხმის დაცვის მექანიზმები, რაც წარმოადგენდა უდიდეს დანაშაულს, საბედისწერო შეცდომას, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ აფხაზურ მხარესთან დიალოგის მწვავე დეფიციტმა და ჩვენმა დაუსრულებელმა გაქცევებმა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სესიის სხდომებიდან მისცა საშუალება აფხაზურ დეპუტაციას ყოველგვარი სირთულის გარეშე მიეღო ისეთი კონსტიტუციური შესწორებები, როგორიცაა აფხაზეთის სახელდება და სიმბოლიკა. სწორედ ამის შემდეგ შეაჩერეს მათ მოქმედი 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ჩვენი, ქართველი დეპუტატების დასწრების შემთხვევაში, დაცვის არსებული კონსტიტუციური მექანიზმის პირობებში, ეს ვერ განხორციელდებოდა. ამის გაკეთებას ისინი ვერ შესძლებდნენ!“ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნ. მესხიას აქ მოტანილი სიტყვებისა არ სჯერა, მაგრამ რა უყოს, წინასწარ ჩამოყალიბებულ მიზანს - ჩირქი მოსცხოს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართულ შემადგენლობას, რათა აჰკიდოს დანაშაულებათა მძიმე ტვირთი და შეუმჩნეველი გახადოს ჭეშმარიტი დამნაშავე.

ვფიქრობთ ზემოთ მოტანილ ციტატას მცირე კომენტარი დასჭირდება უსათუოდ, ვინაიდან მასში არსებულ ფაქტობრივ უზუსტობებსა და შეფასებებს ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ. ნ.მესხიას მტკიცებით, აფხაზეთში ომის გაჩაღებაში თურმე ლომის, წილი დეპუტატთა ქართულ ფრაქციას უდევს, ხოლო ბლოკ „სოიუზში“ გაერთიანებული ანტიქართული ორგანიზაციები, თურმე მუხლებზე ჩოქვით გვემუდარებოდნენ, ღვთის გულისათვის, ნუ დაიწყებთ ომს, ნუ დაგვღუპავთ ჩვენ და ნურც თავს დაიღუპავთო, კრემლში მოკალათებული რუსი ნეოიმპერიალისტები კი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ ჩვენი დაშოშმინებისათვის. რაც შეეხება ფაქტს ქართული დეპუტაციის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიების დატოვების შესახებ, რასაც ავტორი დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს იქედან გამომდინარე, რომ ამ ქმედებით ჩვენ თითქოს დავთმეთ პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობის მექანიზმები და ხელი შევუწყვეთ მიღებული ყოფილიყო ისეთი კონსტიტუციური შესწორებები, რომელთა საფუძველზე აფხაზეთი სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცხადდებოდა ნ. მესხიამ ან არ იცის, ან არ სურს იცოდეს, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით მანიპულირების შესაძლებლობა უმაღლესი საბჭოს არც ქართულ და არც არაქართულ სეგმენტს არ გააჩნდა, ვინაიდან ამგვარი ბალანსი იმ საარჩევნო კანონში იყო ჩადებული, რომელიც მიიღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის სესიამ და რომლის საფუძველზე არჩეული იქნა ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო საზოგადოებისათვის ცნობილი ნაციონალური კვოტური წარმომადგენლობითი სისტემით.

რაც შეეხება დეპუტატთა ქართული ნაწილის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ისინი მიღებული იქნა კანონისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა აშკარა და უტიფარი

იგნორირებით უბრალო უმრავლესობის მიერ, რასაც ისინი ასეთივე წარმატებით განახორციელებდნენ დეპუტატთა ქართული ფრაქციის სესიის სხდომებზე დასწრების შემთხვევაშიაც და სეპარატისტთა მოწოდება დავბრუნებოდით პლენარულ სხდომებს, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების ფორმალური თანამონაწილენი გავმხდარიყავით ჩვენც - ქართული დეპუტაცია. ჩვენდა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მზაკვრული ჩანაფიქრი სწორედ სესიის სხდომების დატოვების გადაწყვეტილებით აღვკვეთეთ და განა შეიძლება აღნიშნულ გადაწყვეტილებას უდიდესი დანაშაული, საბედისწერო შეცდომა თუ სამშობლოს ღალატი ეწოდოს. ისტორიაში შესვლის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილ ავტორს ვურჩევდით ეხელმძღვანელა არა საკუთარი „ნააზრევით“, არამედ პროფესიონალი ისტორიკოსების მიერ წარმოდგენილი მასალებით, რომელთა ნაწილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა. ნ. მესხია არ იშურებს შეურაცხმყოფელ ეპითეტებს ქართული დეპუტაციის მიმართ: „...რაკიღა ვახსენეთ ქართული დეპუტაცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას მის ძალიან სუსტ შემადგენლობაზე. მხედველობაში ვიღებ არა მხოლოდ რაოდენობრივ მომენტს, არამედ მათი მოღვაწეობის ხარისხობრივ-ზნეობრივ მხარეებს - მათ განსხვავებულობას, შეუთანხმებლობას, განცალკევებულობას, მიამიტობას და ბოლოს უგუნურობას! იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს შემთხვევითი ხალხი, ასევე, შემთხვევით შეიკრიბნენ ერთად - მოხვდნენ, როგორც იტყვიან, ხომალდიდან მეჯლისზე და ერთეულების გამოკლებით არ იციან როგორ მოიქცნენ. ქართველ დეპუტატთა დიდი ნაწილი პასიურად იჯდა, რომელიც ერთხელაც არ გამოსულა და არ დაუფიქსირებია საკუთარი აზრი ამა თუ იმ აქტუალური საკითხის მიმართ. და არა მხოლოდ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომებზე, არამედ სადეპუტატო ფრაქციის სხდომებზეც კი ისინი არ ჩანდნენ:

ისინი ისხდნენ „ბალახზე დაბლა და წყალზე ჩუმად“ გაურკვეველი იყო თუ რისთვის მოვიდნენ ისინი პარლამენტში?!“ მაშინ, როდესაც ნ.მესხია უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართული დეპუტაციის მიმართ, თავად ჩადის ენითაუწერელ უზნეობას, აქცენტების აღრევით, სრულიად უსაფუძვლოდ განაქიქებს საკუთარ კოლეგებს, რაც ოჯახიდან გასული მისი უმადური წევრის ყოვლად საძრახის საქციელს გვაგონებს. მოდით, საზოგადოდ ვიკითხოთ - ახსოვს ვინმეს, ჩვენს კოლეგას თუ საზოგადოების რომელიმე წევრს, ნაპო მესხიას აქტიურობა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე. წარმოდგენილი დახასიათებისდა საპირისპიროდ ავტორი თაფლში ამოვლებულ სიტყვებს უშურველად იმეტებს აფხაზი კოლეგების განსადიდებლად და თუ კი ქართული დეპუტაცია, მცირედი გამონაკლისის გარდა, ერთიანად ექსტრემისტები, რევანშისტები, აგრესორები და ბრიყვები ვიყავით, სრულიად საპირისპიროდ წარმოგვიდგენს აფხაზ კოლეგებს. მაშინ, როდესაც ქართული დეპუტაციის წარმომადგენლობას თავზე ლაფს ასხამს, უმაღლესი საბჭოს აფხაზურ შემადგენლობას მოწიწებით, პატივისცემით, ამაღლებული ტონით მოიხსენიებს და მათ გამოჩენილ აფხაზ დეპუტატებს უწოდებს, რომლებიც თურმე ნუ იტყვით და ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ ჩვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს, აი მაგალითიც: „...იმის ნათელი მაგალითი, რომ აფხაზური მხარე მზად იყო და რიგ შემთხვევებში მიდიოდა გონივრულ დათმობებზე, არის მის მიერ გამოხატული თანხმობა მთავრობის სახლთან, ცენტრალურ მოედანზე ჩატარებულიყო წინასწარცნობილი ანტიაფხაზური მიტინგი...“ ოღონდ შეაქო, მოწიწება გამოხატო, ქედი მოიდრიკო აფხაზური მხარის წინაშე და რას არ შეთხზავ და მიკიბ-მოკიბავ ადამიანი. ეტყობა საქმეს სჭირდება, იმ საქმეს, რომელსაც ჩვენნაირი დაუნახავი ვერასოდეს შეამჩნევს, თორემ რისთვის დასჭირდებოდა ავტორს ფანტასტიკის სფეროში შეჭრა. ერთი ისიც ვიკითხოთ, ჩატარებულა კი ოდესმე აფხაზეთში (თუნდაც მის ფარგლებს გარეთ) ანტიაფხაზური მიტინგი. ანტიბოლშევიკური, ანტიკომუნისტური და ანტიიმპერიალისტური - კი ბატონო, მაგრამ ანტიაფხაზურს ვერ გავიხსენებთ, თუმცა, როგორ გაიხსენებ, როცა ასეთი რამ ცხადში არ ყოფილა.

თუკი ნაპო მესხია კრემლის მიერ ინსპირირებული ავანტიურის წინააღმდეგ გამართულ მიტინგებს ანტიაფხაზურად ნათლავს, ისევე, როგორც რეაქციონერი სეპარატისტები, აქ საქმე სხვა სახის პრობლემასთან გვაქვს. საინტერესოა კიდევ ერთი ამონარიდის მოტანა, ოღონდ კომენტარის გარეშე, ვინაიდან ის ამას არ საჭიროებს, აქ ყველაფერი ცხადი და ნათელია: „..აფხაზური მხარე ომის დროსაც არაერთხელ გამოხატავდა მზადყოფნას ეწარმოებინა კონსტრუქციული დიალოგი. იგი ეძებდა კრიზისიდან გამომავალ გზებს და მიდიოდა დათმობებზე...“ კომენტარს არა, მაგრამ წარმოდგენილ ციტატას რეპლიკის გარეშე დატოვება ნამდვილად არ ეგების - გუშინდელივით გვახსოვს და დღესაც ყურში ჩაგვესმის არძინბას მიერ უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან წამოსროლილი სიტყვები - ჩვენ მაინც გაიძულებთ ქართველებს პირველებმა გვესროლოთ, ჩვენ, აფხაზებს.

უაღესად მნიშვნელოვანია ამოვიკითხოთ ის მოტივი, რამაც აიძულა ჩვენი კოლეგა დაეწერა საკმაოდ მოცულობითი წიგნი და ეს მოტივაციაც მეტ-ნაკლებად იკვეთება - აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედნი, ჩვენ, ქართველები ვართ, ეს არის სრული სიმართლე და სიმართლე აღმატებულ ხარისხში, რაზეც წამდაუწუმ მიუთითებს ნაპო მესხია. მოტივს შევეხეთ, მაგრამ ამ ოპუსის ლაიტმოტივს უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ეკუთვნის, ეს რუსეთის აპოლოგიაა, კონფლიქტების დარეგულირებაში მისი უაღრესად პოზიტიური როლისა და ადგილის წარმოჩენაა, რასაც თითქმის ყოველ თავში მინიშნებით თუ აშკარად საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ავტორი და აკუმულირებული სახით გვთავაზობს 208-ე გვერდზე: „...ყველაფერი აქსიომატურია, თუ კი გავიხ-

სენებთ და მხედველობაში მივიღებთ საქართველოში ამ პერიოდისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ამბობენ, რომ არ გაგვიმართლა კოლონიზატორთან დაკავშირებით, რომ უმჯობესი იქნებოდა ინგლისი, საფრანგეთი თუ გერმანია. კი მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სწორედ რუსეთის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი როგორც ერის, ენისა და სარწმუნოების გადარჩენა. თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ირანში ფერეიდნელი ქართველებისა და ტრაპიზონის ვილაიეთი თურქეთში, სადაც 5 მილიონამდე ლაზი (მეგრელი) მუსულმანი ცხოვრობს, რომელთაც დაკარგეს ეროვნება, ენა და სარწმუნოება. ასე რომ არავინ იცის რა დაგვემართებოდა რომ არა რუსეთი. ამის დავიწყება არ შეიძლება და საკუთარი პოლიტიკური დალტონიზმით არ შეიძლება გაამართლო მხოლოდ რუსეთის კოლონიალური მისწრაფებები. და კიდევ, არ შეიძლება ერთმანეთში აურიო რუსეთის პროიმპერიული ძალები და ჩვენი ერთმორწმუნე რუსი ხალხი: უნდა განვასხვავოთ ხალხი და მისი კულტურა პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისგან. ერთი სიტყვით, „Не следует наводитъ тенъ на плетенъ и „путатъ божий дар с яичницей“!

ამგვარი სახის სხვა დარიგებებიც არაერთხელ გაჟღერებულა ჩვენში, როგორც პოლიტიკოსების, ასევე პოლიტიკისაგან საკმაოდ შორს მყოფი სუბიექტების მხრიდან და მათ მიერ გამოთქმული ნააზრევის ახსნას და მისთვის შეფასების მიცემას ნამდვილად არ სჭირდება დიდი ძალისხმევა - მონობას, თანაც კონკრეტულ, რუსულ მონობას დანატრებული ადამიანის მსჯელობაა ეს და სხვა არაფერი. თუმცა ნაპო მესხია წინასწარი განზრახვით გვმოძღვრავს, რათა უკვე დამოძღვრილმა მნიშვნელოვანი არჩევანი, გააკეთოს მავანმა და აი, არჩევანი - რომელსაც ჩვენი კოლეგა გვთავაზობს „...უარი უნდა ვთქვათ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესვლაზე, თუკი არ გვსურს საბოლოოდ დავემშვიდობოთ აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს! ადამიანი ან ბრმა ან მოღალატე უნდა იყო, რომ ყოველივე ეს არ დაინახო და არ გაიგო! ეს უნდა

შეისმინოს და გაიგოს ყველამ!“ აი, სად ყოფილა, როგორც ჩვენში იტყვიან, ძაღლის თავი დამარხული. ამგვარ შემთხვევაში ამბობენ, შეკითხვები არ არის და არც შეიძლება არსებობდესო. თუმცა, როგორც ავტორი ფიქრობს ავანტიურისტ და ურწმუნო თომებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და სწორედ მათ გასაგონად აცხადებს, რომ „...რუსეთთან შეიძლებოდა საერთო ენის მოძიება და ეტაპობრივად საკითხების გადაჭრა. იგი დგამდა შემხვედრ ნაბიჯებს და არაერთხელ...“ (გვ..208) და ამის დასტურად მოჰყავს სრულიად საეჭვო ფაქტები. სიტყვამ მოიტანა და ჩვენი კოლეგის მიერ მოტანილ უმრავლეს „უტყუარ“ ფაქტს ერთი განსაკუთრებული თავისებურება გააჩნია - მათი გადამოწმება შეუძლებელია მიზეზთა გამო, რომელთაგან გამოვყოფ აპელირებას ფაქტში დამოწმებული აწგარდაცვლილი პიროვნებებით, მაგრამ რას იზამ, ისინი რომ ამქვეყნად აღარ არიან, ავტორის ბრალი ხომ არ არის. ნამდვილად არ არის და უმჯობესია ამ თემაზე საუბარი ამით დავასრულოთ. თუმცა, ჩვენი კოლეგა რუსული იმპერიული ლოგიკის მოშველიებით უღრმავდება საკითხს, წვდება აშშ-ს და გვაფრთხილებს, რომ ძია სემი ცუდია, მასთან ყოფნა სავალალო შედეგის მომტანი იქნება ჩვენთვის და სწორედ ამიტომ მისგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ: „მსოფლიოს ხალხებს ახსოვთ 1945 წლის ნიმუშის ამერიკა, რომელმაც ატომური ბომბები დააყარა ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მოსახლეობას... ხალხს ახსოვს ამერიკა კორეასა და ვიეტნამში... ხალხს არ დავიწყებია ამერიკა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ნატოს ძალებით ბომბავდა ბელგრადს, და ბოლოს ხედავენ თუ როგორ ახორციელებენ „გადამწვარი მიწის“ პოლიტიკას ერაყსა და ავღანეთში დემოკრატიის მოშველიებით და ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ადამიანის უფლებათა, სხვა პოლიტიკური თავისუფლებებისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის ეგიდით, ხოლო სინამდვილეში ყველაფერი ხორციელდება მისი გეოპოლიტ-

იკური ინტერესებიდან გამომდინარე“ (გვ.224.) ასეთი გახლავთ ნ.მესხიას მიერ დანახული და ჩვენთვის მოწოდებული ბუა - ამერიკა.

ავტორი გვერდს არ უვლის ამ ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაზოხიზმით გაჯერებულ აფხაზთა წინაშე ბოდიშის მოხდის დაუოკებელ სურვილს და მოგვიწოდებს „...აღვივსოთ ვაჟკაცობით და ყველას გასაგონად წარმოვთქვათ: დამნაშავეები ვართ, გვაპატიეთ, ხალხო, ვინანიებთ!!! ამასთან მნიშვნელოვანია თუ ვინ წარმოსთქვამს და როგორ იტყვის ამას! ...ამისათვის უნდა გაგაჩნდეს ვაჟკაცობა, მაღალი ზნეობრიობა, ეროვნული ღირსება და მორალი!“ (გვ.221). თურმე ნუ იტყვით და ვაჟკაცობა, მაღალი ზნეობრიობა, ეროვნული ღირსება და მორალი სჭირდება, ბოდიში მოუხადო მათ, ვინც ქართველთა მიმართ მტრობა იდეოლოგიად გაიხადეს, ვინც მხეცური აღტკინებით გვიუპატიურებდა დედებს, დებს და შვილებს, ვინც ჩვენი ძმების სადისტურად მოკვეთილი თავებით ფეხბურთს თამაშობდა, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა გენოციდსა და ეთნოწმენდაში, ვინც უაპელაციოდ და გამომწვევად დაეუფლა თაობების მიერ შექმნილ ქართველთა მატერიალურ ფასეულობებს და ბოლოს, მათ, რომლებმაც მამა-პაპეული საფლავების მონახულება საოცნებოდ გაგვიხადა. ეს ყველაფერი იმ ზღვარს სცილდება, სადაც სრულდება მორალი და ზნეობა და იწყება დანაშაული და ღალატი. სხვა შემთხვევაში რამ უნდა გაიძულოს ანალოგი მოუძებნო ქართველთა მიერ აფხაზებისათვის სათქმელ ბოდიშს და გერმანიის მიერ მსოფლიოს წინაშე წარმოთქმულ ბოდიშს. აქ აქცენტები ისეა აღრეული, რომ ჩვენი კოლეგა გერმანულ ფაშიზმსა და აფხაზთა მიმართ ქართველების მიერ ჩადენილ „დანაშაულს“ ერთ სიბრტყეში აყენებს. აი, ეს არის მზაკვრობაც, დანაშაულიც და ღალატიც.

მზაკვრულად იყენებს ნ. მესხია იმ ფაქტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავს კიდევაც რეალობას, მაგრამ მათი არგუმენტებად გამოყენება, საზიანოა ქვეყნისათვის, იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ძალა და ენერგია არ უნდა დაიშუროს ტერიტორიული გამთლიანებისათვის, დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებისათვის მამა-პაპათა სამყოფელში. ამგვარი ფაქტები არა თუ უნდა გამოამზეურო, არამედ საგანგებოდ უნდა შეფუთო და გადამალო, მანამ, სანამ მისი სააშკარაოზე გამოტანის ჟამი არ დადგება და ეს ის დრო იქნება, როდესაც აფხაზი და ქართველი ერთნაირი პრინციპულობითა და სიმკაცრით მოითხოვს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი დამნაშავის გასამართლებას, როდესაც ბოდიშს ერთმანეთს კი არ მოუხდიან, არამედ უფალს სთხოვენ პატიებას და მის წინაშე მოინანიებენ უხვად ჩადენილ ცოდვებს.

ავანტიურიზმის იშვიათი ნიმუშია საკმაოდ მოცულობითი მერვე თავი „...ბოლო სიტყვა, ანუ აფხაზეთის ტრაგედიის მეგრული შემდგენელის შესახებ“, რომელიც მეცნიერ-სპეციალისტის კომენტარს სრულიად არ საჭიროებს, თუნდაც იმიტომ, რომ მავანი და მავანი მეცნიერი არ ჩაერთოს იმ ტრაგი-კომიკურ ფარსში, რომელიც დასაფუძვლებული იქნება შოთა რუსთაველის მეგრულ თუ არამეგრულ წარმომავლობაზე. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კოლხურ-მეგრული თემატიკა სამწუხაროდ, დღესაც ვეტოდადებულ საკითხად ითვლება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში და ნამდვილად საჭიროებს აქტუალიზაციას; რომ მეგრელებთან და სამეგრელოსთან დაკავშირებით ბევრი სცოდავდა და ნაკლებად, მაგრამ დღესაც სცოდავს; რომ საქართველოს ისტორიის კოლხური შემადგენელი მხოლოდ ზედაპირულად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში; რომ ნამდვილად იკერებოდა შავზე თეთრი ძაფით ე.წ. „მეგრული საქმეები“; რომ ნამდვილად ხორციელდებოდა მეგრელთა და სამეგრელოს „გონსმოყვანის“ სადამსჯელო ოპერაციები, მაგრამ იმ სახითა და შინაარსით, როგორითაც ნაპო მესხია წარმოგვიდგენს თემას, უფრო მეგრული სეპარატიზმის (რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ჩემის ღრმა

რწმენით არც არასოდეს იარსებებს) წახალისებაა, ვიდრე საკითხის გარშემო კეთილსინდისიერი მსჯელობა, ხოლო პრობლემის იმ კონტექსტში განთავსება, რა კონტექსტშიაც ადგილდამკვიდრებულია იგი ჩვენი კოლეგის ნაშრომში, სხვა არაფერია, თუ არა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც შეუნიღბავად უპირისპირდება ქართულ სახელმწიფოს.

მთლიანობაში, ბ-ნ ნაპო მესხიას წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ ხელს უწყობს არა „მწარე სიმართლის“ გამჟღავნებას, არამედ სინამდვილის კიდევ უფრო გამრუდებას და ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში მის წარმოჩენას. წიგნს არათუ არ აქვსო „სამკურნალო თვისებები“, პირიქით, იგი დამატებით წარმოშობს კიდევ ახალ გვერდით მოვლენებს“, დაავადებებს დაუსჯელობისა, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი არნახული ბოროტმოქმედებების გამართლებისა და ა.შ. აღნიშნული წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანს პირველ რიგში შემდეგი კითხვა უჩნდება: რატომ არის ავტორი ასე გაბოროტებული და დაბოღმილი საკუთარი კოლეგების, უმაღლესი საბჭოს როგორც ინსტიტუციის მიმართ. თამამად შეიძლება ორი მთავარი მიზეზი დასახელდეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ბ-ნი ნაპოს კანდიდატურის უარყოფას ვ. არძინბასა და მთელი აფხაზური დეპუტაციის მიერ, ნ. მესხია სრულიად უსაფუძვლოდ დღემდე აბრალებს არა მის უარმყოფელებს, არამედ იმ ქართველ დეპუტატებს (დღევანდელი უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას), რომლებმაც შიდა კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით სწორედ მის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი; და კიდევ, ბ-ნი ნაპოს ნამდვილი გაბოროტება გამოიწვია 2009 წლის მარტში (და არა 2008 წ. მარტში, როგორც ნ.მესხია წერს) მისი კანდიდატურის ჩავარდნამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. აი, რატომ არის ქართული დეპუტაცია ყველაფერში „დამნაშავე“, რატომ იქცა ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო „ეგრეთ წოდებულად“?! ეს გახლავთ

ყველაზე დიდი „მწარე სიმართლე“, რომელსაც ბ-ნი ნაპოც მისდაუნებურად აღიარებს.

წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ თუ მართლა არის ლუსტრატორი (იხ. „რედაქტორისგან“), იგი, პირველ რიგში, ახდენს ავტორის, როგორც პოლიტიკისაგან ძალიან შორს მდგარი, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ამავე დროს განაწყენებული და ჩასაფრებული ადამიანის ლუსტრირებას. ამდენად, უმაღლესი საბჭო ემიჯნება წიგნის სულისკვეთებას, ავტორისეულ დასკვნებსა და შეფასებებს,

- ვინაიდან იგი წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას;
- ვინაიდან აფხაზეთში ომის სიღრმისეულ მიზეზებს ავტორი ხედავს არა ათწლეულების მანძილზე რუსეთის იმპერიის (მეფის რუსეთის, სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციის) მიერ მიზანმიმართულად წარმოებულ აფხაზთა რუსიფიკაციის, ძმათა შორის შუღლის ჩამოგდების, სეპარატიზმის წაქეზების, მისი იდეოლოგიური და სამხედრო მხარდაჭერის (ყოველივე ამით კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობის ან შეზღუდვის) დანაშაულებრივ პოლიტიკაში, არამედ იმ ქართული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაში, რომლებიც ამ იმპერიულ, ანტიქართულ პოლიტიკას უპირისპირდებოდნენ;
- ვინაიდან უშუალო პასუხისმგებლობა აფხაზეთში ომის დაწყებისთვის წიგნში დაკისრებული აქვს არა კრემლსა და მის მარიონეტებს, არამედ ისევ და ისევ აფხაზეთელ ქართველებს, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილს, მათ შორის ქალბატონებს(?!), ზოგიერთ მინისტრსა და საზოგადოების წარმომადგენელს;
- ვინაიდან მთელი რიგი პოლიტიკური და მეცნიერული საკითხების განხილვისას ავტორი ხშირად ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას, დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და მიამიტობას (გარდა |||| თავის პირველი პარაგრაფისა,

სადაც ბ-ნი ნ.მესხია აფხაზეთში მისი თავკაცობით დაფუძნებული ნეიროქირურგიული ცენტრის შესახებ მოგვითხრობს);

- ვინაიდან მთელი რიგი ავტორისეული შეფასებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ალოგიკურია;

- ვინაიდან წიგნში ნათქვამი ზოგიერთი სიმართლეც კი (მაგალითად ე. შევარდნაძის შეფასებები და ა.შ), როგორც წესი, ანტიქართულ სამოსელშია გახვეული;

- ვინაიდან ავტორი, მსგავსად ოკუპანტებისა და სეპარატისტებისა, ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობს ქართველ ერში განხეთქილების შეტანას არარსებული „მეგრული საკითხის“ შემოგდებით;

- ვინაიდან ნ.მესხია აშკარად განიცდის რა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს, დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით - თითქოს ის იყო უმაღლეს საბჭოში ყველა წამოწყების ინიციატორი და წარმმართთველი, რაც ძალიან, ძალიან შორსაა სიმართლისაგან.

თეიმურაზ მჟავია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული
რეფორმებისათვის“ თავმჯდომარე;

ჯემალ გამახარია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან
დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკა. 2013-01-15

„როგორ სხვისდეგოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა.წ. 15 იანვარს გამოქვეყნებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „ნ. მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ ინფორმაციის“ პასუხად 9 თებერვალს იმავე გაზეთში დაიბეჭდა პროფესორ ზაურ კვარაცხელიას წერილი „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“. უპირველეს ყოვლისა, მინდა სინანული გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დისკუსია გაზეთის მეშვეობით მიხდება დიდი ხნის მეგობრებთან, მაგრამ საკითხის სიმწვავე და, პირველ რიგში, მისი უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მაიძულებს, ღიად მოვახსენო საზოგადოებას ჩემი მოკრძალებული მოსაზრებები არა იმდენად პროფესორ ზაურ კვარაცხელიას წერილის, არამედ ბ-ნ ნ. მესხიას წიგნის შესახებ. ამას ვაკეთებ იმიტომაც, რომ წიგნის გამოსვლის (განსაკუთრებით რუსული ვარიანტის) პირველი დღეებიდან ათობით შეშფოთებულ ადამიანს უკითხავს ჩემთვის, რატომ ვარ გაჩუმებული, რატომ არ ვამხელ წიგნს, რომელიც ანტიეროვნული იდეებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ის მაინც მოწონებით სარგებლობს; საქართველოს მთლიანობის ყველა მოწინააღმდეგე დღემდე სანთლით დაეძებს ამ წიგნს. ზოგიერთი მეგობარი იმასაც მაბრალებდა, რომ, ვითომ, წიგნის ავტორთან პიროვნული ურთიერთობის გამო ვიკავებდი თავს. უნდა გამოვტყდე, ამ ბრალდებაში თუ კრიტიკაში იყო სიმართლის მარცვალი. ახლა კი ნამდვილად დადგა დრო, ყოველნაირი ურთიერთობა დროებით გვერდზე გადავდო და ბ-ნ ნაპო მესხიას წიგნზე ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე ახსნა-განმარტების გაკეთება. ნაპო მესხიას წიგნის შესახებ მსჯელობები უმაღლეს საბჭოში გასული წლის გაზაფხულზე, ანუ

თითქმის ერთი წლის წინათ დაიწყო. ზაფხულში უკვე არსებობდა თემურ მჟავიას ფრაქციის მიერ მომზადებული ინფორმაციის პროექტი, რომელიც ჩემი და მთელი პრეზიდიუმის, აგრეთვე რამდენიმე დეპუტატისა და აპარატის თანამშრომლის მონაწილეობით თანდათანობით იხვეწებოდა. ინფორმაციის საფუძველზე ასევე კოლექტიურად მომზადდა დადგენილების პროექტი. ორივე დოკუმენტზე მუშაობა, მიზეზთა გამო, თითქმის 3 თვე გაჭიანურდა. საბოლოო გადაწყვეტილება 29 სექტემბერს იქნა მიღებული. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბატონი ნაპო ჩართული იყო საარჩევნო კამპანიაში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, პრეზიდიუმმა თავი შეიკავა საკუთარი გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისაგან წინა და პოსტ საარჩევნო ციებ-ცხელების დასრულებამდე. ამიტომაც დაიბეჭდა იგი „ასე დაგვიანებით“. პრეზიდიუმი სწორად მოიქცა და მიზანსაც მიაღწია - მისი გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოყენებელი არჩევნების ძირითადი სუბიექტების არც წინააღმდეგ და არც სასარგებლოდ. ასე რომ, ბატონი ზაურის ვარაუდები პრეზიდიუმის გადაწყვეტილების დაბეჭდვის დაგვიანებასთან დაკავშირებით, საფუძველს მოკლებულია.

დადგენილებას და ინფორმაციას არავითარი ინკოგნიტო ავტორი არ ჰყავს. ამის თაობაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ნათქვამს მხოლოდ იმას დავუმატებდი, რომ თემურ მჟავიასა და ჯემალ გამახარიას ხელმოწერით ინფორმაციის გამოქვეყნება გარკვეული გაუგებრობის შედეგია, თუმცა, უკვე დავადასტურეთ ჩვენი მონაწილეობა მის შედგენაში. დადგენილების მესამე პუნქტში გასაგებად წერია: „დადგენილებას დაერთოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინფორმაცია ნ. მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ“. როგორც ვხედავთ, ინფორმაცია არის პრეზიდიუმის დადგენილების ნაწილი და ჩვენ, თემურ მჟავიასთან ერთად, მისი ხელმოწერის უფლება თანამდებობრივად არ გვქონდა. ბატონ თემურთან ერთად ხელი მოვაწერეთ მხოლოდ პროექტებს, რომელთა შედგენაში დაახლოებით 15 კაცი მაინც

ვმონაწილეობდით; რატომ გამოქვეყნდა ინფორმაცია მაინც და მაინც ჩვენი და არა პრეზიდიუმის (ან 15 კაცის) ხელმოწერით, ან რატომ, გაუგზავნეს ბ-ნ ნაპოს დამატებით მხოლოდ ორი კაცის ხელმოწერილი პროექტი, ეს სხვა საკითხია (ზოგიერთებს სურთ ამ მღვრიე წყალში თევზაობა), რის შესახებაც აქ არ ვისაუბრებთ, რადგანაც ნაპო მესხიას წიგნის შეფასებისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა დაუბრუნდეთ მთავარ საკითხს - წიგნის შეფასებას. თავდაპირველად ვიტყვი იმას, რაც ბ-ნ ნაპოს პირადად მოვახსენე: მისი წიგნი შევადარე კასრს, რომლის პირობითად 80 % თაფლითაა სავსე, 20 % კი - შხამით, რაც იმას ნიშნავს, რომ კასრში მოთავსებული პროდუქტი მთელი 100 %-ით მოწამლულია. ამას წინათ ჩვენს შორის გამართულ საკმაოდ ხანგრძლივ და ემოციურ სატელეფონო საუბარში მეგობრულად ვურჩიე ნაპოს, გაემიჯნოს ამ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი იდეების შემცველ წიგნს, რომელიც დღეს უკვე არის და შორეულ მომავალშიც იქნება საქართველოს ყველა ჯურის მტრის ერთ-ერთი გზამკვლევი თუ სახელმძღვანელო. ბატონ ნაპოს არ მოვერიდე და ისიც ვუთხარი, რომ თუ იგი ამას არ გააკეთებდა, მისი ანგელოზი შვილიშვილები, რომლებიც უსათუოდ დიდ ქართველებად გაიზრდებიან, გაემიჯნებოდნენ მას - საყვარელ ბაბუას. ამ სიტყვების წარმოთქმა, მერწმუნეთ, ჩემთვის ბევრად უფრო მძიმე და მტკივნეული იყო, ვიდრე მათი მოსმენა ნაპოსთვის...

საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება თქვას, რომ უშეცდომო წიგნი არავის დაუწერია; ბ-ნ ნაპოს წიგნში პირობითად 80% თუ არის მისაღები, ე.ი. ის კარგი წიგნი ყოფილა; მოდით, ამ 80 (%-ით ვიხელმძღვანელოთ და დავივიწყოთ დანარჩენი 20%... რა გვიჭირდა, ასე მარტივად რომ იყოს საქმე. უბედურება ის არის, რომ მთელი წიგნი, მასში მოტანილი რეალური ფაქტების, რეალური მოვლენების ანალიზიც კი ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას, ამიტომაც იგი მიუღებელია არა ნაწი-

ლობრივ, არამედ მთლიანად. ბ-ნ ზაურს ჩემზე უკეთესად მოეხსენება, რომ პოლიტიკურ (ასევე ისტორიულ, ეკონომიკურ) თემაზე დაწერილი ნაშრომის ღირებულებას განსაზღვრავენ არა მხოლოდ და არა იმდენად მასში აღწერილი ფაქტები თუ მოვლენები, არამედ ავტორის იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრინციპები.

რა იდეოლოგიას ეფუძნება ბატონი ნაპოს წიგნი და რა საერთო აქვს მას სეპარატისტულ თუ იმპერიულ იდეოლოგიასთან.

პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ 2008 წელს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარა, ბატონები ვ. პუტინი და ს. ლავროვი ძალიან დიდხანს დაკავებული იყვნენ თავიანთი უკანონო გადაწყვეტილებების ისტორიული „დასაბუთებით"; უცხოელებთან შეხვედრებზე ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, რომ 1921-1930 წლებში აფხაზეთი იყო სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც 1931 წელს ქართველმა ი. სტალინმა ძალით შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით; აფხაზეთის აღიარებით ისტორიული „სამართლიანობა" აღვადგინეთო (!.). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს არნახული სიცრუე დიდი ხანია გაცამტვერებულია. ბატონი ნაპო თავისი წიგნის მე- 15-16 გვერდებზე ხელმძღვანელობს სწორედ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ შეთხზული ამ ზღაპრებით და არა ისტორიული სინამდვილით, რითაც ძალაუნებურად ამართლებს მოწინააღმდეგეს. რატომ, რისთვის, რა მიზნით.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა იმპერიული იდეოლოგია „აფხაზეთი საქართველო არ არის", რომელზეც შემდგომში აღმოცენდა და განვითარდა თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმი. მათ მხარი აუბა ბატონმა ნაპომ, რომელიც მისი წიგნის გაცნობით ისედაც გაუბედურებულ დაინტერესებულ და შეგნებულ მკითხველებს ასე მოძღვრავს: „მართლაც, ისმის კითხვა: როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქი ყოფილიყო, როდესაც ცნება „საქართველო", როგორც ასეთი, ისტორიაში

ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართლი" და „ქართველი" ლამის აგერ გუშინ - მე-15 საუკუნის შუახანებში გაჩნდა". ასეთია ბ-ნ ნაპოს, გამოჩენილი ნეიროქირურგის, ისტორიული „განსწავლულობა" და მასზე დამყარებული მსოფლმხედველობა. ბატონი ზაური თავის წერილში შეეცადა ოსტატურად გაექარწყლებინა ეს მტრული იდეოლოგია (კალმის ერთი მოსმით გააქარწყლა კიდევაც) და, იმავდროულად, ნაპოც დაეცვა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. წარმოდგენილი მაქვს, როგორ იმტვრევდა თავს ბატონი ზაური, რათა ამ უხერხული, მისთვის უჩვეულო სიტუაციიდან თავი დაეღწია (მხოლოდ სანახევროდ დააღწიეთ თავი, ბატონო ზაურ). აქვე მინდა, პატარა განმარტებაც გავაკეთო. „როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქი ყოფილიყო" არ გახლავთ ბ-ნ ნაპოს უნებლიე შეცდომა, ეს არის მისი მყარი პოზიცია. 1997 წელს, როდესაც რუსულ ენაზე გამოიცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქი", იქიდან მოყოლებული ბატონი ნაპო „მაკრიტიკებდა", როგორც მის ერთ-ერთ ავტორს და „მიმტკიცებდა", რომ ყველაზე მეტად ამ წიგნის სახელწოდება იყო მისთვის მიუღებელი. მახსოვს, 2006 წელს ზუგდიდში გაიმართა ჩემი ერთ-ერთი წიგნის განხილვა. იქ მობრძანებულმა ბატონმა ნაპომ თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ჩვენ, ისტორიკოსები, ვამახინჯებდით ისტორიას, როდესაც აფხაზეთს საქართველოს ისტორიულ ოლქად ვაცხადებდით. არც პროფესორ ზაურ კვარაცხელიას, არც პატივცემულ მკითხველს არაფერში სჭირდებათ იმის ახსნა, რომ აფხაზეთი საქართველოა, რომ ეს რეგიონი ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია. ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა. მაშინ ისღა დამრჩენია, კვლავაც ვიკითხო: ბ-ნი ნაპო რატომ ამტკიცებს საპირისპიროს. რა მიზანს ისახავს. რატომ უჭერს მხარს მოწინააღმდეგეს უპრინციპულეს საკითხში, რომელშიაც ვერ ან ძალიან ცუდად ერკვევა. თავისით აკეთებს ყოველივე ამას, თუ ვიღაცა აიძულებს.

1918-1921 წლებში საბჭოთა რუსეთმა და ამ უკანასკნელის სამსახურში მყოფმა ქართველმა ბოლშევიკებმა ქართული სახელმწიფოს ბრძოლა თავისუფლებისათვის და ერთიანობისთვის უკიდურეს შოვინიზმად მონათლეს. ეს შორსგამიზნული იდეა მაშინათვე აიტაცეს სეპარატისტებმა აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც. ახლა გავიხსენოთ 1992 წელი, საქართველოში ჩამოყვანილი ე. შევარდნაძე, მისი ბღავილი დამტვრეულ რუსულ ენაზე: „საქართველოში ფაშიზმი არ გავა!“ საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის ზვიად გამსახურდიასეული იდეა და პოლიტიკა კრემლის ემისარმა კრემლისვე დავალებით ფაშიზმად მონათლა. ეს იდეაც იმწამსვე აიტაცეს სეპარატისტებმა - ქართველებისთვის 1918-1921 წლებში მინიჭებულ და ფართოდ ტირაჟირებულ „შოვინისტობას“ 1992 წელს კიდევ უფრო ფართოდ ტირაჟირებული, გაპიარებული „ფაშისტის“ საპატიო ტიტულიც მიემატა. „სიკვდილი ქართველ ფაშისტებს“ - გაჰყვიროდნენ (და არ მარტო გაჰყვიროდნენ), ოკუპანტებით ზურგმომაგრებული სეპარატისტები 1992-1993 წლებში და შემდგომშიაც.

საერთაშორისო არენაზე ქართველის შოვინისტად და ფაშისტად, აფხაზებისთვის, ოსებისთვის გენოციდის მომწყობად, ოკუპანტად და აგრესორად წარმოჩენა კრემლისა და სეპარატისტების იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, ამ მუშაობის წარმატება კი უმოკლესი გზაა საერთაშორისო აღიარებისკენ. ნებსით თუ უნებლიედ, ბატონი ნაპო მათ წისქვილზე უშვებს წყალს, როდესაც ყველა ამქვეყნიურ, ნამდვილ თუ მითიურ ცოდვაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს; როდესაც სეპარატისტების წინაშე ცალმხრივი მონანიებისკენ, ბოდიშის მოხდისკენ მოგვიწოდებს და თან 222-ე გვერდზე გვამშვიდებს: „ამაში არაფერია საძრახისი და დამამცირებელი. ფაშიზმისთვის ხომ მოიხადა ბოდიში გერმანელმა ხალხმა დანარჩენი მსოფლიოს წინაშე“... როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკა (რომელიც ნამდვილად არ იყო ყოველთვის თანამიმდევრულად

სახელმწიფოებრივი) აფხაზეთში გაიგივებულია ფაშიზმთან! საინტერესოა, აქვს თუ არა გაცნობიერებული ბატონ ნაპოს, რას წერს. რა გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს მისმა ასეთმა თავგამოდებამ სეპარატისტული რეჟიმის დასაცავად. ჯერ ენახა მაინც უმაღლესი საბჭოს ვებგვედზე განთავსებული სია უმოწყალოდ, მართლაც ფაშისტური მეთოდებით მასობრივად დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეებისა და მერე გაეკეთებინა სათანადო დასკვნები. მან კი ამჯერადაც სხვა, რბილად რომ ვთქვათ, ღრმად მცდარი გზა აირჩია. ძალიან ძნელია, მაგრამ ერთი წამით წარმოვიდგინოთ, ებრაელებს ბოდიში რომ მოეხადათ ფაშისტებისთვის!. დაახლოებით იგივეს გვთავაზობს ბ-ნი ნაპო. ისევ და ისევ ისმის კითხვა: რას ერჩის იგი გაბოროტებული მტრის მსხვერპლად ქცეულ ქართულ მოსახლეობას, რა დააშავა მან ასეთი. აფხაზ ხალხს, რომელიც ასევე იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლია, ჩვენ ყოველთვის გულში ვიკრავდით, ვეფერებოდით; იგივეს ვაკეთებთ, სხვათა შორის, დღესაც და მომავალშიც გავაკეთებთ, მაგრამ ამისათვის რატომ უნდა შეურაცხყო საკუთარი ერი და ქვეყანა, რატომ უნდა გააიგივო მისი პოლიტიკა (თუნდაც მცდარი), არც მეტი, არც ნაკლები, ფაშიზმთან.

როგორც ცნობილია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსხვავებული მეთოდებით დღემდე გრძელდება ქართველთა გენოციდის პოლიტიკა. გალის რაიონში (გარდა ქვედა ზონის სოფლებისა) ქართულ ენაზე სწავლა აკრძალულია. ოკუპანტები და სეპარატისტები იქაურ მცხოვრებლებს ეუბნებიან, რომ ისინი არიან არა ქართველები, არამედ მეგრელები, რომლებიც ძალით გააქართველეს; გალში სეპარატისტები გამოსცემენ სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) გაზეთს მეგრულად, რათა „დაეხმარონ“ მოსახლეობას ვითომ დაკარგული ეროვნების აღდგენაში. ბევრჯერ მინახავს (სამსახურებრივად მევალება) გალიდან გადმოსული პედაგოგები, მომისმენია მათი ცხარე ცრემლებში ამოვლებული მონაყოლი იქ არსებული აუტანელი ეროვნული ჩაგვრის, დამცირების

შესახებ. მიუხედავად ამისა, გალიდან გადმოსული ბავშვები, რომლებსაც ქართულად სწავლა ეკრძალებათ, წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს მშობლიურ ენაზე და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებიან. ეს არის იქაური პედაგოგების ისტორიული დამსახურება თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, რომელსაც ჩვენ თუ არა, შთამომავლობა მაინც ღირსეულად დააფასებს.

ვითარება საკმაოდ რთულია. ოკუპანტი, ისევე როგორც მე-19 საუკუნეში, ამჯერადაც მოდის ასიმილაციის, ქართველთა გათიშვის პოლიტიკით, ცდილობს მოისყიდოს ეკონომიკურად შეჭირვებული და, იმავდროულად, ზოგადქართული ცნობიერებადაქვეითებული ადამიანები, თუ არაადამიანები, უხვად აფინანსებს მათ, აწერინებს და უბეჭდავს ათასგვარ სისულელეს დასავლეთ საქართველოს „ისტორიის“ შესახებ და ამით ცდილობს მოწამლოს, პირველ რიგში, გალისა და სამეგრელოს მოსახლეობა. ძირგამომთხრელი მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს ენგურს გაღმა-გამოღმა. ახლა ჩავიხედოთ ბ-ნ ნაპოს წიგნში და ვნახოთ რას „უპირისპირებს“ ის ქართველთა გათიშვის მოსურნეებს, რა „დახმარებას“ უწევს გმირ გალელ პედაგოგებს. დარწმუნებული ვარ, ზაურ კვარაცხელიას წაკითხული არა აქვს ბ-ნ ნაპოს წიგნის რუსული ვარიანტი, კერძოდ, მისი მერვე თავის მე-2 პარაგრაფი - „ბოლოსიტყვაობა, ანუ აფხაზეთის ტრაგედიის მეგრული შემადგენელი“. ამ პარაგრაფს არარსებული მეგრული სეპარატიზმის „მანიფესტი“ შეიძლება ეწოდოს - იშვიათად ნახავ ერთად თავმოყრილ ამდენ უმეცრებას; ვერსად ნახავ ასეთ ღია და უსაზღვრო ერთგულებას მე-19 საუკუნიდან დღემდე საქართველოს უბოროტესი მტრების მიერ მისი სამუდამოდ გაქრობის მიზნით შეთითხნილი სხვადასხვა „თეორიებისადმი“ (ნუ გგონიათ, რამეს ვაჭარბებ). ძალიან გამიჭირდა იმ პარაგრაფის წაკითხვა, მაგრამ რა გზა მქონდა ... ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოვიტან ავტორის მთავარ დასკვნას: „აი, ასე აიღეს ხელი (თუ აიძულეს ხელი აეღოთ!) მეგრელებმა ყველაფერზე; თავის უძველეს ზღაპრულ ისტორიაზე და კულტურაზე, სახელმწიფოებრიობაზე, თვითმყოფადობაზე და ეროვნულ თვითშეგნებაზე. ასე იქცნენ ისინი უბრალო კოლხებად, მერე მათ უთხრეს: თქვენ უბრალოდ კოლხები კი არა, ქართველები ხართ! მორჩა და გათავდა! იჯექით და თავს ნუ გამოყოფთ. ასეთი იყო ქართველიზაციის იდეოლოგია“(გვ. 314). ხედავ, ჩემო ზაურ, რასთან გვაქვს საქმე. არა თუ აფხაზეთს, უკვე სამეგრელოსაც უმიზნებენ და საამისოდ ბრიყვულ, მაგრამ მაინც იდეოლოგიას ქმნიან ვიღაც ავანტიურისტები, რომლებიც ნაპოს ავტორიტეტს არიან ამოფარებული. სამწუხაროდ, ის ამას ვერ ხვდება და უკვე ძალიან შორსაც შეტოპა. მის წიგნში უფრო იმაზეა საუბარი, „როგორ უნდა გასხვისდეს აფხაზეთი“ და როგორ უნდა მივაყოლოთ მას სამეგრელო... რუსული წიგნი რომ წაგეკითხა (რა ბედნიერი ხარ, რომ არ წაგიკითხავს), მოსყიდული მოსეპარატისტო ავანტიურისტებისადმი, ისაკ ჟვანიას შთამომავლებისადმი შენი დამოკიდებულება რომ ვიცი, ალბათ, ათ საგაზეთო გვერდს მიუძღვნიდი ამ წიგნის არა დაცვას, არამედ კრიტიკას. ხომ მეთანხმები, რომ საქმე გვაქვს სამეგრელოში სეპარატიზმის წაქეზების უბადრუკ მცდელობასთან, ანუ უპატიებელ დანაშაულთან წინაპართა, თანამედროვეთა და შთამომავლობის წინაშე, გაუგონარ სამარცხვინო საქციელთან, მშობელი ერის გაუგონარ შეურაცხყოფასთან, ნახევარი მსოფლიოს წინაშე საკუთარი ხალხისა და ქვეყნის დაბეზღებასთან. სხვაა გაიძვერა აშორდია მე-19 საუკუნეში, წერა-კითხვის უცოდინარი ისაკ ჟვანია მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, სულ სხვაა ნაპო მესხია - ჩვენთვის საამაყო და სასახელო პიროვნება. რატომ გადაწყვიტა მან სამეგრელოს მიერ სამუდამოდ შერისხულ და მოკვეთილ აშორდია-ჟვანიას „მემკვიდრედ“ დაამახსოვროს თავი შთამომავლობას. რა საქმე აქვს ნაპოს სხვადასხვა ორღობის „აკადემიებში“ მოკალათებულ ძველ პარტნომენკლატურასთან, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს სამეგრელოს „დაცვის“ ხვეწნა-მუდარით მიმართავს და ამით ლახვარს გვცემს ზურგში. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება. როგორც შევიტყვე, აღნიშნული საკითხით კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურებიც დაინტერესებულან.

ნებისმიერი ადამიანისთვის აშკარაა, რომ ბ-ნ ნაპოს წიგნი, მართლაც, ოკუპანტებისა და სეპარატისტების წისქვილზე ასხამს წყალს, რომ ის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, რისი დამადასტურებელი ბევრი სხვა მაგალითის მოტანაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი იდეების ფონზე წიგნში ტერიტორიულ მთლიანობაზე და სხვა მაღალ მატერიებზე საუბარს არავითარი ფასი არა აქვს. დიდად სამწუხაროა, რომ ნაპომ საკუთარი თავიც უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო და ერთგული მეგობრებიც საშინელ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ერთობლივად რამე უნდა ვიღონოთ, ბატონო ზაურ! არ ვიქნებით მართლები, თუ კვლავაც გაზეთის მეშვეობით გავაგრძელებთ (ყოველ შემთხვევაში, მე ამას არ გავაკეთებ) „დიალოგს“, ამ დღეებში არ შევხვდებით ერთმანეთს და საფუძვლიანად არ დავილაპარაკებთ, თუნდაც იმ საინტერესო წინადადებებზე, რომლებიც კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთ საშუალებას - სახალხო დიპლომატიას ეხება. საქართველოში დღეს არსებული ახალი პოლიტიკური რეალობა ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს სახალხო დიპლომატიის შემდგომი გააქტიურებისთვის. რა თქმა უნდა, ბატონ ნაპოს ამ კუთხით ჯერ კიდევ აქვს საკმარისი რესურსი, რომელიც, გეთანხმები, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

დასასრულ მინდა ღრმა პატივისცემა დავუდასტურო „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, გაზეთის ერთგულ მკითხველებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, არა მარტო გაგებით მოეკიდებიან უმაღლესი საბჭოს მკაცრ, მაგრამ სამართლიან პოზიციას ბ-ნ ნაპო მესხიას წიგნთან მიმართებაში, არამედ მხარშიც ამოგვიდგებიან უზენაესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საშვილიშვილო საქმეში.

ჯემალ გამახარია,
პროფესორი
საქართველოს რესპუბლიკა. 2013-02-20

თანამედროვე შადიმანი

2012 წელს 22 დეკემბერს შესრულდა 21 წელი მას შემდეგ, რაც სამხედრო გადატრიალების გზით დამხობილი იქნა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, რომლის არჩევა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ორსაუკუნოვანმა ბრძოლამ განაპირობა.

1990 წლის 28 ოქტომბერს, სწორედ საბჭოთა სივრცეში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლა კონსტიტუციური გზით და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული სუვერენული სახელმწიფოს აშენება. აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიასათვის ხალხის ნება და კანონიერება უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენდა და ამიტომაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით გამოხატული მოსახლეობის ერთსულოვან ნებაზე დაყრნდობით გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ანუ 1801 წელს დაკარგული საერთაშორისო სამართლის სუბიექტობის სტატუსი საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს აღიდგინა (1918–1921 წლების დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და არც ერთა ლიგამ არ აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა).

ამდენად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის უმთავრესი სამართლებრივი საფუძველი.

სამწუხაროდ, ამ ისტორიული მოვლენისადმი დამოკიდებულება სრულიად არაადექვატურია მის არსებით მნიშვნე-

ლობასთან, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან. თუ კი მოვიშველიებთ შესანიშნავი მოაზროვნის და ფილოსოფოსის გერმანე ფაცაციას სიტყვებს, „რატომ ექცა ჩვენს ერსა და სახელმწიფოს 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვარი ჯოჯოხეთად და 1993 წლის 27 სექტემბრის ჯვართამაღლება–ჯვარცმად“, ეჭვგარეშეა, ნებათავისუფალ ქართველებს იმპერიული უღლიდან თავი არ უნდა დაეღწია:

– რადგან, გაბედა და თავისუფლების ნება გამოხატა 1989 წლის 9 აპრილს, 1990 წლის 28 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისას, 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმზე, 1991 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე;

– რადგან, ეროვნულმა ხელისუფლებამ შუამდგომლობის გარეშე გამონახა საერთო ენა აფხაზებთან და 1991 წლის 29 სექტემბერს თანხმობისა და ნდობის ვითარებაში ჩატარდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

– რადგან, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის გონივრული პოლიტიკის შედეგად აფხაზეთთან მიმართებაში განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებები: „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“, რითაც ბოლო მოეღო სეპარატისტთა ინსინუაციებს იმის თაობაზე, ვითომ კონსტიტუციურად აფხაზეთი მხოლოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში წარმოადგენ და საქართველოს სსრ ნაწილს და არა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში;

– რადგან, კანონი აფხაზეთის პოლიტიკურ–სამართლებრივი სტატუსის შესახებ ძალაში შედიოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რაოდენობის 2/3 და საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო- ების მიერ მისი დამტკიცების შემდეგ (მუხლი 98);

– რადგან, 1991 წლის 27 აგვისტოს „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“

კანონის მე–5 მუხლს მე–3 ნაწილად დაემატა ის, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი ხმებით, რასაც ცალკე, ვერც აფხაზური და ვერც ქართველი მხარეები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მხარდაჭერითაც ვერ აგროვებდა. სწორედ ასეთი კონსტიტუციური ჩანაწერებითა და დამატებებით იყო დაცული აფხაზეთის პოლიტიკურ–სამართლებრივი სტატუსიც და საქართველოს მთლიანობაც;

– რადგან დამოუკიდებელი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ნაბიჯ–ნაბიჯ მიმავალი ქვეყანა ე. წ. ვითომ „განახლებული კავშირის“ შემადგენლობაში ჩაეთრიათ;

რა გველის მომავალში? ალბათ, სასიკეთო არაფერი, თუ კი ასპარეზი დავუთმეთ ჩვენი დროის შადიმანებს.

ერთ–ერთმა მათგანმა ნაპოლეონ მესხიამ მორიგი მეხუთე კოლონის ჩამოსაყალიბებლად გამზადებულმა, 2011 წელს მის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „**Как отторгалась Абхазиа**“–ს გვერდებიდან, საკუთარი თავის ტრფობის ეშხით გაბრუებულმა, სეპარატისტებსა და კრემლის მაღალჩინოსნებს შეახსენა, რომ დროა დაიშალოს დღემდე დევნილობაში არსებული ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რატომ(?). იმიტომ, რომ დეპუტატმა ნაპოლეონ მესხიამ კარგად იცის დევნილობაში მყოფი კონსტიტუციურად ლეგიტიმური ა/რ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუციის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან რუსეთის მხრიდან მისი სრული ოკუპაციის პირობებში და სწორედ ამ მასაზრდოებელი ხაზის გაწყვეტას ლამობს ნ. მესხიას გაღმელი პარტნიორი. ამიტომაც ეპოტინება ყველაფერს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს უქმნის საფრთხეს.

თურმე ნ. მესხიას აზრით: „... მხედველობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა, მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა“. როგორც ვხედავთ ნ. მესხიამ რუსეთის მიერ მოსყიდულ, ჯუჯა სახელმწიფოებთან: ნაურუ, ტუალუ, ნიკარაგუასთან ერთად „ყოფილი ავტონომიები“ უპირობოდ ცნო მცირე იმპერიიდან განთავისუფლებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და წიგნის 23–ე გვერდზე ისტორიულ „გამართლებასაც“ უძებნის: „... ნამდვილად იბადება შეკითხვა: როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართლი“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე–15 საუკუნის შუაგულში“. აქ, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული „ნაშრომის“ სულისკვეთება ნამდვილად ანტისახელმწფიოებრივია და მიმართულია მისი დაშლა–დანაწევრებისკენ. მკითხველს კი ვაუწყებთ, რომ ნაპოლეონ მესხია წიგნის VIII თავიდან პირდაპირ თუ მინიშნებით მოუწოდებს რუსეთს, არ დასჯერდეს აფხაზეთით და „მოხედოს“ სამეგრელოსაც, რომელიც არანაკლებ დაჩაგრულია საქართველოში, ვიდრე აფხაზეთი. ჩვენს მიერ ზემოხსენებულ საკითხებზე საუბარი მიუთითებს არა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეულ სავალალო შედეგებზე, არამედ, და უფრო მეტად იმაზე, რომ ორი ათეული წლის შემდგომაც „ცი ხეს“ შიგნიდან გატეხვის საშიშროება ემუქრება.

ნუგზარ მგალობლიშვილი
საქართველოს უზენაესი საბჭოსა და
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

გამანთავისუფლებელი, დამოუკიდებელი ეროვნული
გაზეთი 2013 წ. თებერვალი, №34 *

განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედება:

ღია წერილი ბატონ ნაპო მესხიას

„ბოღმა სულის მორიელია, ეს კი ობიექტურობის პირველი მტერია“.

მერაბ რატიანი

2009 წელს გამოიცა ცნობილი ნეიროქირურგის ნაპო მესხიას წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი (ფაქტები, ფაქტები, ფაქტები...), მწარე სიმართლე დაუფარავად“.

ამ წიგნს მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა. 2013 წლის 15 იანვარს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული რეფორმებისთვის“ თავმჯდომარის თეიმურაზ მჟავიასა და უმაღლესი საბჭოს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის ჯემალ გამახარიას ვრცელი (გაზეთის 2,5 გვ.) წერილი „ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთის“ შესახებ“. მათში მთლიანად დაგმობილია ნ. მესხიას წიგნის სულისკვეთება, ავტორისეული დასკვნები და შეფასებები, როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგია, რომელიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით, ცალკეული სახელმწიფო მოხელეებისა და საზოგადოების წარმომადგენლების სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალ-

დებებით ხელს უწყობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სიმართლის გამრუდებას, მის ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში წარმოჩენას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღალატის ტოლი ქმედება.

დადგენილებამ ნაპო მესხიასგან მოითხოვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა „წიგნში დეპუტატების, სხვა თანამდებობის პირების და საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური ბრალდებების გამო“.

ამ პუბლიკაციების საპასუხოდ 2013 წლის 9 თებერვალს ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზაურ კვარაცხელიას ასევე ვრცელი წერილი, „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, რომელშიც ცილისწამებად არის გამოცხადებული დადგენილების და მჟავია-გამახარიას დასკვნები.

ამას 2013 წლის 20 თებერვალს მოჰყვა ჯემალ გამახარიას ანალიტიკური წერილი „როგორ სხვისდებოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“... რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული ნ. მესხიას და ზ. კვარაცხელიას დებულებები.

ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რაისა ქარაიას დაჟინებული თხოვნით კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით დაბეჭდილს.

ბატონო ნაპოლეონ, ბრძნული ანდაზაა - „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ და არ შეიძლება არ დაეთანხმო თქვენს პერეფრაზს - „სანამ რამეს იტყვი, შვიდჯერ უნდა გაზომოო“, მაგრამ სხვას რომ ურჩევთ, თქვენც ხომ უნდა გაითვალისწინოთ ეს. სამწუხაროდ ეს არ იგრძნობა თქვენს წიგნში „**Как отторгалась Абхазиа**“. თქვენი ასაკის კაცისთვის შეუფერებელი იმდენი სიცრუე და უზუსტობები იფრქვევა ბოღმით წიგნის გვერდებიდან, რომ აუფასურებს იმასაც კი, თუ რამ ღირებულია მასში. გაოგნებული ვარ, და არა მარტო მე. ბევრმა იმათთაგანმა, ვინც წაიკითხა ეს წიგნი, აფხაზეთელმა თუ თბილისელმა, გაკვირვებულმა მკითხა - რა დაუშავეთ ამ კაცს ისეთი, რომ ამდენ ბოღმას ანთხევსო.! ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს, თუ რა და როგორ ხდებოდა, მათ შორის იმ აფხაზებსაც, ვისთვისაც იყო თქვენი წიგნი გათვლილი. როცა თუნდაც ერთი სიცრუე გაიჟღერებს, ყველაფერი ეჭვქვეშ დგება. წიგნში მოყვანილი „ფაქტები“ კი ისეთი ფანტაზიის დონეზეა დაწერილი, შეიძლება მკითხველი დააეჭვოს...

რა მაქვს მხედველობაში.

- ყველამ კარგად იცის, მათ შორის თქვენც, რომ უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ მხარი დაუჭირა საქართველოს ხელისუფლების მიერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წამოყენებულ თქვენს კანდიდატურას და ბოლომდე იყო მისი დამცველი, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი აფხაზური მხარე იყო და სწორედ ამიტომ გაიხლიჩა უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების არჩევის ერთიანი პაკეტი. შემდგომშიც ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი დაყოლიება თქვენს კანდიდატურაზე ვერც თანხმობის კომისიის დონეზე და ვერც დეპუტატების შეხვედრებზე, რომელიც არაერთხელ გაიმართა. ამიტომაც არ დამდგარა ეს საკითხი სესიაზე და არა ქართული დეპუტაციის „გაუთავებელი თამაშის“ გამო, როგორც ამას თქვენ აფიქსირებთ. ბ-ნ თ.ნადარეიშვილს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა რომ ნდომებოდა, ამას ნამდვილად მიაღწევდა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან, რადგანაც ამის ავტორიტეტი ჰქონდა და მისი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზეც საქართველოს ხელისუფლებიდან მოდიოდა. 17 მაისს ქართული დეპუტაცია თქვენი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ამიტომაც დაგავალათ ვ. არძინბამ გ. ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება სწორედ თქვენ და არა პრეზიდიუმის რომელიმე წევრს, სესიაზეც სწორედ თქვენ დაასახელეთ მისი კანდიდატურა და არა გ. გვაზავამ. რაში დაგჭირდათ სიმართლის დამახინჯება და იმის, რაც თვითონ გააკეთეთ სხვისთვის გადაბრალება. ბ-ნ გ. ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება მოულოდნელი იყო როგორც დეპუტაციისთვის, ასევე თვით ბ-ნ გ.ლომინა-

ძისთვის. მისი კანდიდატურა იმ სიაშიც არ იყო, რომელსაც კენჭი უყარა ქართულმა დეპუტაციამ, თუმცა თქვენს წიგნში ის ფიგურირებს როგორც კანდიდატი თქვენთან ერთად... თქვენ ცრუობთ მაშინაც, როცა ირწმუნებით, რომ ბატონი თ.ნადარეიშვილი თბილისში იყო და იქიდან იძლეოდა დირექტივებს, დეპუტაციას კი მე ვხელმძღვანელობდიო. როგორ. თქვენ ხომ არც პრეზიდიუმის წევრი იყავით და არც არავინ გავალებდათ ამას. თუმცა დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ „მიუხედავად იმისა, ვიყავი თუ არა არჩეული ოფიციალურად ფრაქციის თავმჯდომარედ, თამაზის არყოფნისას მე მიწევდა, მემართა დეპუტაციის ქართული ფრაქცია“. ნუთუ გგონიათ ყველას ამნეზია დაგვემართა. თქვენ ხომ მშვენივრად იცით, რომ აფხაზეთის აჰრ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, პრეზიდიუმის წევრები კი იყვნენ გ.გვაზავა, ვ.ყოლბაია, ე.ასტემიროვა და თქვენთვის, რიგითი დეპუტატისთვის რატომ უნდა დაევალებიათ დეპუტაციის მართვა.! ვისთვის არის ეს გათვლილი. რატომ იბრალებთ, რომ დეპუტაცია ჩაიყვანეთ სესიაზე და შ.ხეცურიანს ათხოვიეთ შესვენების გახანგრძლივება, მაგრამ ვ.არძინბა არ დათანხმდა, სანამ თქვენ არ ჩაერიეთ და არ აუხსენით შესვენება რისთვის გჭირდებოდათ. არა, ბატონო ნაპო, ეს სრული სიცრუეა, რაც აფხაზებსაც კარგად ახსოვთ.

აი, როგორ იყო სინამდვილეში:

ფოიეში საუბრის შემდეგ, როცა თქვენ შემოხვედით ბ-ნ თ. ნადარეიშვილთან, სადაც მთელი დეპუტაცია იყო თავშეყრილი, მოსთხოვეთ, მოეწვია ბ-ნი გ.ლომინაძე და მერე იტყოდით, თუ რა შემოგთავაზათ ვ. არძინბამ. როცა ბ-ნ გივის ვერ დაუკავშირდით და აშკარა იყო შესვენების დროში ვერ ვეტეოდით, ბ-ნმა თამაზმა გვთხოვა და სხვებიც დაეთანხმნენ, ქ-ნი ე. ასტემიროვა და მე წავსულიყავით ვ. არძინბასთან, თქვენ კი დაგვაბარეთ გვეთქვა მისთვის, რომ ვაგვიანებდით იმასთან დაკავშირებით, რაზეც გესაუბრათ. ჩვენ სწორედ მისგან გავიგეთ, თუ რა დავალება მოგცათ მან თქვენ. მე აქ

სრულად არ მოვიყვან მასთან ჩვენს საუბარს, მაგრამ ვიტყვი - მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი იყო თქვენი კანდიდატურის დაყენების, რადგან უფრო მიზანშეწონილად თვლიდა თქვენთვის პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას. მერე რაც სესიაზე მოხდა, ყველამ კარგად იცის.

ჩემი მიზანი თქვენი წიგნის განხილვა სულაც არ არის, მაგრამ არ შევეხო მასში მოცემულ ზოგიერთ ცილისმწამებლურ, ცრუ ბრალდებას არ შემიძლია. თქვენ თ. ნადარეიშვილს, გ. გვაზავას, ე. ასტემიროვას და მე გვაბრალებთ, რომ დავარწმუნეთ სამხედრო საბჭო ომის აუცილებლობაში და შემოვაყვანინეთ აფხაზეთში ტანკები. ყოველივე ამის მოწმედ კი ასახელებთ იმ პერიოდში საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ თენგიზ სიგუას. ეს იმდენად „დამაჯერებლადაა“ აღწერილი, რომ ძნელია, ეჭვი შეიტანო. ამიტომ ამაზე არაფერს ვიტყვი, მასზე პასუხს თვით ბ-ნ თენგიზ სიგუას შემდეგი წერილი გასცემს: მე კი დავამატებდი, თბილისში ომამდე ვიყავი მხოლოდ ერთხელ, აფხაზეთის ინტელიგენციასთან ერთად, საქართველოს გაეროში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე; ბ-ნ ე. შევარდნაძეს კი პირველად შევხვდი და დაველაპარაკე ომის პერიოდში, გაგრის დაცემის შემდეგ, როდესაც მას აფხაზეთის დეპუტაციასთან ჰქონდა შეხვედრა. თქვენ კი, როგორც თვითონ წერთ, თურმე ხშირად გიწევდათ მასთან შეხვედრა, თითქოს ქართული ფრაქციის გადასარჩენად. უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტაციას, და არა ფრაქციას, არაფერი ემუქრებოდა; აფხაზეთში არასოდეს დამდგარა საკითხი არც დეპუტაციის გაუქმების და არც პარალელური სტრუქტურების შექმნის შესახებ, ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ამას ვერავინ დაგიდასტურებთ, ამიტომაც მოგყავთ მოწმედ სულ გარდაცვლილები. ვინ იცის, იქნებ თბილისში თქვენი ვოიაჟების დროს იხილავდით ჯარის შემოყვანის საკითხს სამხედრო საბჭოში და თქვენ მიეცით ამაზე თანხმობა ბ-ნ ე. შევარდნაძეს.!...

ალბათ, მკითხველს დაებადება კითხვა - რატომ ქალბატონებისადმი ასეთი მწარე ცილისწამება.

- ქ-ნ ე. ასტემიროვას მიმართ თქვენ ჯერ კიდევ სოხუმიდან იყავით უკმაყოფილო იმიტომ, რომ პირველმა მან გაუწია წინააღმდეგობა თქვენს მოთხოვნას ომის პერიოდში გაუქმებულიყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქართული შემადგენლობა და არჩეულიყო ახალი. ბ-ნმა ა. გასვიანმა აღიარა, რომ ეს მართლაც ასე მოხდა და ეს დიდი შეცდომა იყო. თქვენ კი წერთ - ჭორი გაგივრცელეს თურმე, რომ თქვენი ჯგუფის წევრებთან (კ.ჯაჭვლიანი, ა.გასვიანი, ჯ.გამახარია) ერთად ვ. არძინბას განცხადებით მიმართეთ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას თხოვდით. ქ-ნმა ე. ასტემიროვამ უკვე თბილისში არაერთხელ შეგახსენათ, თქვენი ეს განცხადება, მაგრამ მაინც წერთ, თითქოს ამის შესახებ მრავალი წლის შემდეგ, დევნილობაში გაიგეთ ბ-ნ გ. გვაზავასა და ჩემგან. რა გინდათ, ცდილობთ ჩვენს დაპირისპირებას. თურმე „ეს უსინდისო პიარი სჭირდებოდა იმას, ვისთვისაც ეს აუცილებელი იყო ჩემი რეიტინგის დასაწევად მაშინ, როცა სოხუმშიც და თბილისშიც ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა დადებითად და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი დანიშვნის საკითხი იყო გადაწყვეტილი“ (...) თბილისში არ ვიცი, მაგრამ სოხუმში გადაწყვეტილი იყო მხოლოდ ქართულ დეპუტაციაში, აფხაზთა მხრიდან კი კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ამავე დროს თქვენ თვლიდით, რომ 2004 წლის მარტში ბ-ნ თ. მჟავიას არჩევა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ორგანიზებული იყო ქ-ნ ე. ასტემიროვას მიერ, თქვენ კი კანდიდატურის მოხსნა მოგიხდათ, და ეს მას არ აპატიეთ.

- რამ დაგბოღმათ ჩემზე. მხოლოდ იმან, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ თქვენს კანდიდატურას მხარი არ დავუჭირე. 2004 წელს, თავმჯდომარის არჩევნების წინაპერიოდში ჯერ ბ-ნი თამაზ ხუბუა გამომიგზავნეთ, შემდეგ პირადად მესაუბრეთ და შემახსენეთ გალი, ჩვენი ოჯახების

ურთიერთობა და ა.შ. მართლაც ჩვენ ხომ გალელები ვართ. თქვენ 1956 წელს დაამთავრეთ იქ მე-3 (რუსული) საშუალო სკოლა, მე 1957 წ. - მე-2 (ქართული); ორივე სკოლა ფაქტობრივად გვერდი-გვერდ იყო და ყველა ერთმანეთს მართლაც კარგად ვიცნობდით. თქვენ კი წერთ, რომ მე და ქ-ნი ოლღა ნაგარნინა 1989 წელს გაგვიცანი მოსკოვში. გალი რომც არ გხსომებოდათ, მე ხომ თქვენთან 1978 წელს ვიყავი, ჯერ კიდევ განახლებაში, ნეიროქირურგიის განყოფილებაში ჩემი გამოკვლევებით და თქვენი აზრი მაინტერესებდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მე თანამშრომლის მცირეწლოვანი ბავშვი მოგიყვანეთ თავის ქალის მძიმე ტრავმით და ხშირად მოვდიოდი თქვენთან ამ ბავშვთან დაკავშირებით. არა მგონია, ეს არ გახსოვდეთ, მაგრამ ისევ ცრუობთ. რატომ. რას გაძლევთ ეს.

- თქვენ ვერც ქ-ნ ო. ნაგარნინას გაიცნობდით ჩემთან ერთად მოსკოვში, რადგან ის ფიზიკურად იქ არ იყო; არც პრესკონფერენცია იყო რომან გოცირიძის მიერ ორგანიზებული. ის ქართულმა სათვისტომომ მოაწყო ჩვენი თხოვნით და იქ 1989 წლის ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით ძალიან კარგი ანალიზი გააკეთა ქ-ნმა რუსუდან ქორჩილავამ. სიტყვით მეც გამოვედი და ქ-ნი ალა ვასილჩენკოც. თქვენ კი წერთ, აფხაზმა სტუდენტებმა მთელი დარბაზი აიყვანეს ხელში და ჩვენს წინააღმდეგ განაწყვეს, ჩვენები კი ხმას არ იღებდნენ, თითქოს წყალი ჰქონდათ პირში ჩაგუბებულიო, შემდეგ კი, ჩემს თანამზრახველებთან ერთად, დარბაზიდან საერთოდ გავიდნენო; თითქოს თქვენმა გამოსვლამ დაალაგა ყველაფერი და ყველა მხოლოდ თქვენგან იღებდა ინტერვიუს. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ თქვენი იმედით წავედით მოსკოვში. ქალბატონები - ალა ვასილჩენკო, გული გადელია, მარგო ვეკუა, რაისა ჯიჯელავა, რუსიკო ქორჩილავა და მე (საბედნიეროდ ყველა ცოცხალია და ყველაფერი კარგად ახსოვთ) წავედით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შესახვედრად. ბ-ნმა რევაზ სალუქვაძემ შეგ-

ვახვედრა რამდენიმე მის კოლეგას და სწორედ მათი რჩევით გაიმართა პრესკონფერენცია. თქვენ იქ არავინ არ გელოდათ და, მართალი გითხრათ, არც არავის ახსოვს თქვენი იქ ჩამობრძანებაც კი. საიდან ამდენი მე, მე, მე... აშკარაა, მახსოვრობა გღალატობთ, ბ-ნო ნაპო, თორემ არავის ახსოვს თქვენი ისეთი აქტიურობა, არც იქ და არც აქ, როგორსაც იბრალებთ. თითქმის 10 წელი ე. შევარდნაძის მრჩეველი იყავით აფხაზეთის საკითხებში; 5 წელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს ხელმძღვანელობდით სახალხო დიპლომატიას აფხაზებთან მიმართებაში, მაგრამ მერე რა. რას მიაღწიეთ. შეიცვალა რამე.! ვერაფერს იტყვი, თქვენ ნამდვილად კარგად ცნობილი, პროფესიონალი დასტაქარი ბრძანდებით და ბევრი სიცოცხლე გიხსნიათ სიკვდილის კლანჭებიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ასეთივე კარგი პოლიტიკოსი იყოთ. მაინც რატომ ცდილობდით ასეთი მონდომებით იმ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობას, რომელსაც „ეგრეთ წოდებულს“ ეძახით და ასე ასამარებთ.... თქვენ ბ-ნ გ. გვაზავას ლანძღავთ და ყველა ცოდვაში ადანაშაულებთ მხოლოდ იმიტომ, რომ დეპუტაციამ ის აირჩია თავმჯდომარედ, თქვენ კი მხოლოდ ოთხი ხმა მიიღეთ თქვენის ჩათვლით. სწორედ ამ ბოღმამ ამოხეთქა თქვენში თორემ, რომ აგვერჩიეთ თავმჯდომარედ, ასეთ ცილისმწამებლურ პასკვილს არ დაწერდით და ყველასთან მეგობრულ ურთიერთობაში იქნებოდით.

თქვენ, რომელსაც თითქოს გახსოვთ და, მაგნიტოფონში ჩაწერილივით, დაწვრილებით აღწერთ ყოველ თქვენს ქმედებას თუ სიტყვას, მოწმედ ძირითადად მოგყავთ აწგანსვენებული ბ-ნი კიმ ჯაჭვლიანი (ალბათ, საფლავში გადაბრუნდება საწყალი), ამ დროს არ გახსოვთ და რეალურ ფაქტებს თქვენს სასარგებლოდ ამახინჯებთ, რასაც ადასტურებენ თქვენი ჯგუფის წევრებიც და ისინიც, ვისაც იმოწმებთ. წიგნში მოყვანილ სიცრუეებს პასუხი რომ გაეცეს, დიდი მოცულობის წიგნი უნდა დაიწეროს და, ალბათ ამის დროც დადგება.

საქმეში ჩაუხედავმა ობივატელმა შეიძლება ეს წიგნი „მწარე სიმართლის“ აღიარებად მიიჩნიოს, როგორც ამას თქვენი სიძე, წიგნის რედაქტორი იური პაპასქუა აკეთებს, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანისთვის მისი სულისკვეთება საკუთარი განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედებაა, რაც ნამდვილად ანტისახელმწიფოებრივია და სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას თქვენი „აღმოჩენა“ – „აფხაზეთი არ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ნაწილი“, ან მთლიანად |||| თავში თავმოყრილი ახალი სეპარატიზმის გაღვივებით გაჟღენთილი მარგალიტები, რომლებიც, არავითარ კავშირში არ არის ომთან და ომის პერიოდთან, მაგრამ სრულად ეხმიანება სეპარატისტების სულისკვეთებას და რუსეთის იმპერიულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული.

თქვენ ხშირად იმეორებთ - „მე მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა - მეთქვა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“, მაგრამ როგორი სიმართლეცაა წიგნში გადმოცემული, აფხაზებმაც კარგად გაიგეს, ამიტომაც ირონიით „მშვიდობის მტრედი“ გიწოდეს.

რაისა ძარაია

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს რესპუბლიკა, 2013-09-19

ნაწილი II
პასუხი სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

მოკლე რეპლიკა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 29 სექტემბრის N06 (14) 13 დადგენილების და მას დართული ინფორმაციის ავტორებს

წავიკითხე თქვენი პასკვილი! ო, ღმერთო ჩემო! რამდენი ბოღმა, რამდენი შხამი, რამდენი ყბადაღებული სიცრუე, რამდენი ურცხვი ცილისწამება!.. მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი! ის რას არ იკადრებს, თუ კი ძალიან მოინდომებს! ეს მით უფრო მაშინ, როდესაც შუბლის ძარღვი მთლად აქვს გაწყვეტილი!..

რამდენიც არ ეცადოს სავლემ, მას არაფერი გამოუვა, - ის დღეს ყველას თვალწინ ვერ გადაიქცევა პავლედ!

ზოგიერთი ჩემი კოლეგის ასეთი მცდელობა უბრალოდ აუხდენელ და რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენია. ამიტომაც მათ მაგიერ მე მეუფლება უხერხულობისა და უკმარისობის გრძნობა! თქვენ მე კი არა, სიმართლესა და ხალხს ემიჯნებით! ასე რომ, არ გინდათ!

მორჩით, - ვაშინერს! გეშინოდეთ ღმერთის!

პატივისცემით
თქვენი **ნაპო მესხია**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
N 25; 9 თებერვალი, 2013 წ.

არა - სამეგრელო არ გასხვისდება!

საკითხის არსი თავიდანვე გასაგები რომ გახდეს, მკითხველს უნდა შევახსენო ჩემი წიგნის **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (15.01.2013, №7) გამოქვეყნებული აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „ისტორიული დადგენილება“ (29.09.2012. №06) და მასზე დართული ინფორმაცია, რომელშიც უხვადაა უშვერი ლანძღვა-გინება, შოკისმომგვრელი ბრალდებები აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების ჩემეული ხედვისა და შეფასებების გამო. ეს ხდება მთელი სამი წლის დაგვიანებით - წიგნი ქართულ და რუსულ ენაზე გამოვიდა 2009 და 2011 წლებში.

აღნიშნული დადგენილება იმდენად ტენდენციური და შეთითხნილია, მან ჩემში ერთგვარი უკმარისობისა და სინანულის გრძნობა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, არ ჩავთვალე საჭიროდ პასუხი გამეცა ამ პასკვილის ავტორებისთვის - მხოლოდ მოკლე რეპლიკით შემოვიფარგლე. მით უფრო, რომ მათ ძალზე კვალიფიციური პასუხი გასცა პროფ. ზაურ კვარაცხელიამ თავის ვრცელ პუბლიკაციაში: **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2013 წლის 8 თებერვალი, N25)

ვიფიქრე, ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ შევცდი. ბატონმა ჯემალ გამახარიამ ერთი კვირაც არ იყო გასული კიდევ ერთი „მამხილებელი“ პასკვილი გამოაცხო: **„როგორ სხვისხდებოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“...** („საქართველოს რესპუბლიკა“, 20.11.2013, N32). მოგვიანებით, „გამოიცხვა“ მეორე „კეთილმოსურნე“ კოლეგის - ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილის პასკვილიც სათაურით: **„თანამედროვე შადიმანი“.**

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ მალე გამოვა ჩემი ბროშურა **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“,** სადაც ვრცლად გაეცა პასუხი ყველა „გამოხმაურებას“, მათ შორის, **„თანამედროვე შადიმანობასაც“.** ამჯერად კი თქვენს ყუ-

რადღებას მივაქცევ ბატონ **ჯემალ გამახარიას** ფაბრიკაციას (მას პუბლიკაციას უბრალოდ ვერ ვუწოდებ!) და **„შეშფოთებას“** იმის შესახებ, რომ მზადდება ახალი ტრაგედია: აფხაზეთის გასხვისება რა არის - ჯერი, თურმე, სამეგრელოს გასხვისებაზეც მიმდგარა და მისი შემოქმედი, როგორც „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი, თურმე, მე - ნაპო მესხია გახლავართ! აი, ასე ამცნო ქვეყანას თავისი მორიგი „აღმოჩენა“ ადამიანმა, რომელსაც ფუნქციადაკარგულ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში **„კონფლიქტის დარეგულირება, დიასპორასთან ურთიერთობა, განათლება და კულტურა“** აბარია - სამწუხაროდ ნომინალურად, რამეთუ არამარტო ბატონ გამახარიას, არამედ, მთლიანად „უმაღლესელებს“, თუ არ დასწამებ, დღემდე ვერაფერი ღირსეული ვერ განუზრახავთ ამ მიმართულებით!

ხალხური სიბრძნისა არ იყოს: **სისხლს სისხლით ვერ ჩამოიბან, ისევე, როგორც ცილისწამებასა და შეურაცხყოფას - იგივე მეთოდით.** მე ამ პოზიციიდან ვესაუბრები ყოველთვის ყველას, მათ შორის იმათაც, ვისაც ენითაუწერელი დანაშაული მიუძღვით ხალხისა და ქვეყნის, უპირველესად, აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე,

ის, რაც იყო მონაგონია, გუშინდელი დღეა, უარესი აწი გველოდება! მთავარია ეს **„გუშინდელი დღე“** ავად არ მოგვიბრუნდეს და ჩვენი ქვეყანა **„კალოუბნად“** არ იქცეს, - აი, რა **„ადარდებს“** ბატონ ჯემალ გამახარიას და ამ **„ავი წინათგრძნობის“** მეკვლედ, აწ უკვე „მეგრული სეპარატიზმის“ ხელშემწყობად და გამღვივებლად ველანდები მე - მისი თანასოფლელი. მან სხვებზე უკეთ იცის, ვისი გორისა ვარ და რა შემიძლია ან რა არ შემიძლია!

ეს მის სინდისზე იყოს!

როგორც ჩანს, ჩემი „კეთილი“ ოპონენტები არ ისვენებენ, ეტყობა მათ გზა-კვალი აერიათ და ხელისუფლებისა და საკუთარი შელახული ღირსების გადასაფარად, ხელს ჩემსკენ იშვერენ - ახალ-ახალ „ბრალდებებს“ მიყენებენ: ცილისწამება და ცრუბრალდება, იმ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ ოპონენტთა არსენალია, რომლებიც რეალური ფაქტებით სიმართლის მთქმელს ვერ იგერიებენ.

ჭეშმარიტად ცუდი სუნი ასდის იმ „ორცხობილას“, რომელიც ბატონმა ჯემალ გამახარიამ გამოაცხო. ეხება რა ქართველიზაციის საკითხებს, მან შეგნებულად გვერდი აუარა არა მარტო ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, იოსებ ყიფშიძეს და სხვ., არამედ თვით ნიკო მარსა და თავის ფავორიტ ფსევდოავტორს, ლეონტი მროველსაც კი, რომელთა მიხედვითაც, „მეგრელებმა თავისი ყველაზე დიდი შენაძენი - სახელმწიფოებრიობა მსხვერპლად გაიღეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეისთვის.“ **სწორედ ამ და ბევრ სხვა მიზეზთა გამო სამეგრელო არასდროს არ გასხვისდება. გონიერ კაცს ეს აზრადაც არ მოუვა, რადგან ეს იგივეა, რომ საძირკველი გამოუთხარო საკუთარ სახლს** - ის უმალვე დაინგრევა, ვითარცა ბაბილონის გოდოლი. ამიტომ არცერთი ჭკუათმყოფელი საკუთარი სახლის დანგრევას არ განიზრახავს!!!

მკითხველს უთუოდ დავეთანხმები იმაში, რომ ეს ძალიან გაზვიადებული ნათქვამია, მაგრამ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში, შორეულ წარსულში ასეთ „იდეოლოგიას“ ამოფარებული ფეოდალები ხელმძღვანელობდნენ ცენტრისკენული მსოფლმხედველობით, რასაც, არც ისე იშვიათად, შიდაარეულობა და შეიარაღებული კონფლიქტებიც ახლდა. კოლხების „ზემოდან“ ასეთი გაფრთხილება არ უნდა გვიკვირდეს. უნდა ვაღიაროთ და სიმართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი!

ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო, რომ საგანგაშოა ის, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდებოდა ქვეყანაში, თუ როგორ შეესივნენ კაციჭამია (გნებავთ პირდაპირი, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით!) მხედრიონელები საქართველოს კუთხეებს, როგორ გაძარცვეს, გადაწვეს, ააოხრეს, შეურაცხყვეს სამეგრელო და მისი მოსახლეობა. დიახ, ასე გაუსწორდნენ საქართველოს ხერხემლად აღიარებულ სამეგრელოს! კიდევ უარესი

- ამ ავაზაკებს ზოგიერთი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი კულტურისა და ხელოვნების მუშაკი უმაგრებდა ზურგს. „ქართველიზაციის“ ეს „თანამედროვე“ ვარიანტი საქართველოსთვის უფრო საზიანო გამოდგა, ვიდრე, ეს იყო მისი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების გარიჟრაჟზე.

მე ამ საკითხებს ისევ მივუბრუნდები. ახლა კი მინდა მკითხველს **მურმან ლებანიძის** (ძალიან მიჭირს მისი ამ კონტექსტში მოხსენიება) ერთი გაუაზრებელი სტრიქონი შევახსენო: **„...აგრეთვე ენას - ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს.“** რა ვქნათ, ბატონო ჯემალ, რომელ ენაზე უნდა ესაუბროთ თქვენ თქვენს მეზობელ აშორტიასა და ჟვანიას?! ხო, ხო ჩემსკენ უფრო ანჩაბაძეები და ალფენიძეები სახლობენ! რა ვქნათ, პირი ამოვიკეროთ?! ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი ცნობილი პოეტის ეს სიტყვები მხოლოდ მისი უნებლიე გადაცდომაა და „ქართველიზაციის“ უხეშ ფორმებს არ ეხმიანება, ძალიან ცდება. ეს არის ის „იდეოლოგია“, რომელიც ხალხს აწუხებს და ქვეყნის ძლიერებასა და ტერიტორიულ მთლიანობას რომ არყევს. გიფიქრიათ ამაზე ოდესმე, ბატონო ჯემალ?!

აქ არ შევჩერდები იმ საკითხებზე, რომლებიც ბატონმა ზაურ კვარაცხელიამ თავის წერილში - „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ უკვე გასცა საკადრისი პასუხი.

მორიგი ცილისწამება და „ბრალდება“ აფხაზეთის 1925 წ. და 1931 წ. კონსტიტუციებს ეხება. მე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ აფხაზებმა იციან აფხაზეთი „რა სტატუსით სარგებლობდა 1925 წლის კონსტიტუციის შემდეგ“. ბატონო ჯემალ, რა არ მოგწონთ ამ სიტყვათა წყობაში? სულ მცირე განმარტება და ახსნაა საჭირო იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციას ალღო ავუღოთ, კერძოდ, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს 1925 წ. კონსტიტუცია გარკვეულ „პერსპექტივებს“ უსახავდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთი მეორეზე მიყოლებით ახალ-ახალი რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები და ავტონომიები ყალიბდებიან. მათ შორის, ბუმია ჩრდილო

და სამხრეთ კავკასიაშიც. 1925 წ. კონსტიტუციას პრაქტიკულად არ „უმუშავია“. ამ პერიოდიდან მოყოლებული აფხაზები მოკავშირეს რუსეთში ეძებენ (მოძებნეს კიდეც!) და არა საქართველოში. რატომ?! არ გიფიქრიათ ამაზე?! ეს, ბატონო ჯემალ, ჩემზე უკეთ თქვენ უნდა იცოდეთ, მაგრამ ეტყობა მკითხველის შეცდომაში შეყვანა უფრო გაწყობთ, ვიდრე სიმართლის აღიარება!

იმოწმებს რა ჩემს სიტყვებს, რომ ფაშიზმისთვის გერმანელმა ხალხმა ბოდიში „მოიხადა დანარჩენი მსოფლიოს წინაშე“ და მე ვამბობ, რომ იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენც აფხაზების მიმართ, ბატონი ჯემალი ასკვნის: **„როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკა... აფხაზეთში გაიგივებულია ფაშიზმთან?!“.** თანაც კითხვას სვამს: **„..აქვს თუ არა გაცნობიერებული ბატონ ნაპოს, რას წერს?...“** ბატონო ჯემალ, სწორედ რომ გათვითცნობიერებული მაქვს! თქვენ რატომ არ აცნობიერებთ იმას, რომ სახელმწიფო საბჭოს, შემდგომში ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის რეჟიმები ქვეყნის შიგნით იყო ფაშისტური, ქვეყნის გარეთ კი დემოკრატიის შუქურად აღიარებული ბუტაფორია?!

შიშველი, მშრალი სტატისტიკით ვერ დაადგენ, ფაშისტურად ვინ უფრო იქცეოდა აფხაზეთში - ქართველები, აფხაზები თუ მოსკოვის მიერ დაქირავებული და ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული მკვლელები(?!)

აქ ისევ და ისევ პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რომელსაც საქართველო გაურბოდა და არ იცოდა, ჩატეხილი ხიდი როგორ უნდა აღედგინა (საუბარია მ. სააკაშვილის მთავრობაზე!), რამეთუ ვერ აცნობიერებდნენ, რომ მასმედიის საშუალებით ან სატელევიზიო, ზოგჯერ დამამცირებელი გადაძახილებით ვერ მოხერხდებოდა პრობლემების მოგვარება.

ვინც კავკასიელ ხალხთა (ქართველთა, აფხაზთა, ოსთა) ფსიქოლოგიას ოდნავ მაინც იცნობს და ცნობს მას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფენომენს, მონანიება და ბოდიშის მოხდა არ გაუჭირდება. მით უმეტეს დიდსულოვან ერს

- სწორედ ეს არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ აფხაზეთისკენ მოძრაობა. ეს უნდა გავითვიცნობიეროთ და დროზე უნდა დავადგეთ ამ ერთადერთ სწორ გზას!

როდესაც ბატონი ჯემალ გამახარია თითიდან გამოწოვილი „ფაქტებით“ „მეგრულ სეპარატიზმში“ მდებს ბრალს, რომლის მოსალოდნელი შედეგიც საპასუხო წერილის სათაურშიც აქვს გამოტანილი და იმავდროულად „სახალხო დიპლომატიის შემდგომი გააქტიურებისთვის“ მნიშვნელოვან როლს მანიჭებს, როგორც „...ამ კუთხით „საკმარისი რესურსის...“ მქონე პიროვნებას, ლოგიკურად მივდივართ ბრალმდებლის აბსურდულ, წინააღმდეგობრივ, გაუცნობიერებელ (არ მინდა ვთქვა, გაცნობიერებულ) პოსტულატამდე იმის შესახებ, **რომ შერიგებით თუ შევრიგდებით ეს ერთი მხარეა, მაგრამ ჩვენი აფხაზებთან - სეპარატისტებთან ერთად ყოფნა და თანაარსებობა საკითხავია.**

ბატონები ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილი და თემურ მჟავია ერთად (ცუდია, როცა 25 კაციან უმაღლეს საბჭოში საუბარი გვიხდება არა მის ფრაქციულ სტრუქტურაზე, არამედ - რაღაც დაჯგუფებაზე...) მებრძვიან საკუთარი მოსაზრების იმპერატიულობისათვის, რომელიც, არც მეტი - არც ნაკლები, ნეობოლშევიზმის მატარებელი სინდრომია. სწორედ ამ სინდრომით იყო დაავადებული წინა ორი ხელისუფლება (მოქკავშირი და ნაცმოძრაობა), რომელიც ქართველ ხალხს, მის დასავლეთში მცხოვრებ ნაწილს „პროვინციულ ფაშიზმში“ დებდა ბრალს.

ნაცმოძრაობის მხრიდან ეს პროცესი დღესაც საკმაოდ გააქტიურებულია, რასაც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმაც აუბა მხარი. ეს ის „ფესვებია“, რომელიც ბატონ თ. მჟავიას და ბატონ ჯ. გამახარიას ასაზრდოებს, რაც აპრიორშივე ბლოკავს ქართველთა და აფხაზთა (ქართველთა და ოსთა) შერიგების გარდაუვალ პროცესს.

ბატონი ჯემალი ოსტატურად (მუხანათურად) იყენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს და „მეგრული

სეპარატიზმის“ სათავეებთან მივყავარ - „აშორდია-ჟვანიას მემკვიდრედაც...“ კი მასახელებს. იქვე დასძენს - „რა საქმე აქვს ნაპოს სხვადასხვა ორღობის „აკადემიებში“ მოკალათებულ ძველ პარტნომეკლატურასთან?..“ - კითხულობს იგი.

ორღობის „აკადემიაზე“ ცოტა მოგვიანებით. ამაზე უფრო ვრცელი საუბარი გვექნება მომდევნო პუბლიკაციაში, აქ კი ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო საუბარი იმ უმეცრებებზე, რომლებსაც ასე უხვად ხმარობს ჩემთან მიმართებაში. თუ შევნიშნე (არასპეციალისტმა!) მეგრული ენის ვერბალური და ლექსიკური სიმდიდრე და სხვებსაც მივანიშნე ამაზე, რატომ ითვლება ეს უმეცრებად? რატომ ითვლება უმეცრებად ასევე, თუ ყურადღება მივაქციე იმ ფანტასტიკურ და უნიკალურ მოვლენას, რომ ქართულ ასომთავრულში თითქმის ყოველი ასო-ბგერა მეგრულ ენაზე საგანს, მის დასახელებას ან მოვლენას ნიშნავს, რაც არ შეინიშნება მსოფლიოს არცერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც?! რატომ არის უმეცრების დადასტურება, რომ მეგრულ ენაში თითქმის ყველა ზმნა სამმაგი ინფორმაციის მატარებელია: მოქმედი პირის, მისი ქმედებისა და იმისა, თუ სად ხდება ეს ქმედება?! რატომ არის მეგრული ენის ყოველივე ეს ნიშანთვისებები მიუღებელი, ხოლო ამაზე ხმამაღლა საუბარი რატომ ითვლება სეპარატიზმად?!

ეს მაშინ, როცა არც მე და არც ვინმე სხვას არ გვითქვამს, რომ მეგრული ენა თავისი მნიშვნელობით დედა ენას, ქართულს უნდა გაუტოლდეს - სალიტერატურო, ან სახელმწიფო ენად იქცეს?! ეს ფიქრადაც არ მოსვლია არავის! იქნებ, ბატონმა ჯემალმა იყოჩაღოს და მისთვის ჩვეული ოსტატობით, ტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები მოიხმოს და „გამაშავოს“, მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს, რადგან, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს!

უბედურება ის კი არ არის, ადამიანებს ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები (ამაში მე ვერ ვხედავ დანაშაულს), უბედურება ისაა, რომ მავანი საკუთარი „მამულიშვილობის“ მტკიცებას სხვათა უკიდურესი შეურაცხყოფისა და დამცი-

რების ხარჯზე რომ ცდილობს. შეიძლებოდა კამათი აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუარო ერთ გარემოებას. ჯ. გამახარიას აზრით, ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ „ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას.“ ვწუხვარ, რომ პირდაპირ „დასახვრეტად“ გავყავარ ბატონ ჯემალს და დასამარხი ორმოც გამზადებული აქვს! ფრთხილად, მეგობრებო, ფეხი არ დაგიცდეთ!

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი სამშობლოდან გადახვეწილი **გრიგოლ რობაქიძე** შავით თეთრზე წერდა: **„საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა საოცარ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, ქართული მწერლობა ამით არას დაკარგავს, კიდევაც მოიგებს.“** მეგრულად მწერლობის „აყვავებაზე“ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველურ ენებს, - მეგრულს, სვანურს, ლაზურს დღეს ახალი მტრები, ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძის, გ. ჭელიძის და მათი თანამოაზრეების სახით გამოუჩნდნენ და კაცმა სადმე მეგრულად რომ წაიღიღინოს, სულ ცოტა „მეგრელ სეპარატისტად“ იქნება შერაცხული.

პირდაპირ ვიტყვი: ვინც „მეგრულ სეპარატიზმზე“ საუბრობს და ბრალს სდებს ვინმეს ამ უკეთურ საქმეში, ის თავად არის „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი და პროვოკატორი! ვისაც მოძმეთა ხელით ცეცხლის ალში გახვეული სამეგრელო უნახავს (1992-1993 წ.წ.) გაახსენდება, ზუგდიდში, შ. დადიანის სახელობის თეატრის ერთი მშვენიერი სპეკტაკლის აფიშა: „მაინც შემოგევლე, ჩემო საქართველო!“ რა არის ეს: სეპარატიზმი თუ ქვეყნისადმი უსაზღვრო ერთგულება?!..

საქართველოს სიყვარულში ცილისწამებით შეჯიბრება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, კონტრპროდუქტიულია. მხოლოდ სიმართლე, როგორ მწარედაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გადაარჩენს და გააერთიანებს საქართველოს!

დაძაბულ დროში გვიხდება ცხოვრება. იმდენი დანაშაულია ჩადენილი აფხაზეთის ომიდან დღემდე, რომ უდანაშაულოებს ავკიდეთ ყველა ცოდვები, ხოლო დამნაშავეებს - ღირსების ორდენები ჩამოვკიდეთ! მე კი არა, „მეგრულ სეპარატიზმში“ **ზვიად გამსახურდიასაც** ადამაშაულებდნენ, ხოლო ქვეყნის დამაქცევარს - **ჯაბა იოსელიანს** ქვეყნის „გამაერთიანებლის“ სტატუსს ანიჭებდნენ! გეკითხებით: **ჯაბა იოსელიანი „ქვეყნის ერთგულია“ და მე, ნაპო მესხია, რომელიც დახვრეტას მხოლოდ უფლის ნებით გადაურჩა, მოღალატე და „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი?!** ამის შემდეგ, რა უნდა მიკვირდეს ამ ქვეყნად! მინდა ვკითხო ჯემალ გამახარიას, ჩემს წიგნებს სპეცსამსახურის თანამშრომლები რატომ ეძებენ მაინც და მაინც მასთან?! ჩემთან მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის და აფხაზეთში დაბრუნების მომხრე ხალხი დადის და მთხოვს წიგნის თითო-ოროლა შემორჩენილ ეგზემპლიარებს. ერთი რამ ცხადია, ამ წიგნებს მართლა კითხულობენ დევნილი „სეპარატისტები“. ჩანს, რომ პატივცემული ჯემალი ამოვარდნილია მათი რიგებიდან და არაკეთილმოსურნეების „იდეოლოგიური უზრუნველყოფითაა“ დაკავებული. მომეცნიერო გამყალბებლის გარდა ვერავინ იკისრებს და არც არავინ იკადრებს ამას!

შეუმცდარი არავინაა ამქვეყნად. დანაშაულია სიმართლის დამალვა და იგნორირება. მეც ვცდებოდი, ალბათ, მაგრამ ჩემი მთავარი შეცდომა, ბატონო ჯემალ, თურმე ის არის, რომ მე შენში ვცდებოდი. მადლობა, რომ თვალი ამიხილეთ!

ისტორია ზუსტი მეცნიერებაა, თქვენ და თქვენი „მხარდამჭერები“ ამაოდ ცდილობთ მის დამახინჯებას. ყველას მოგვიწევს სიმართლის აღიარება და მაშინ ხალხი იტყვის: ვინ არის ერისკაცი და ვინ - შადიმანი!

ამ წერილის ასეთ ნოტებზე დასრულება, მართლაც არ მინდოდა - მეგობრები ქუჩაში არ ყრია, მაგრამ...

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასო ოპონენტებო!

კვლავ უღრმესი პატივისცემით თქვენი

ნაპო მესხია.

ქ. ზუგდიდი, 2013 წლის 25 მაისი,

გაზეთი „საერთო გაზეთი“ №21(255), 2013 წ.

პასუხი სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.

ბალზაკი

ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.

შილერი

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებთ სხვების განსჯა- განქიქება და, მათი ლანძღვის პარალელურად, საკუთარი „მაღალი“ სულიერებისა თუ „ზღვარსგადასული“ პატიოსნების წარმოჩენა. ასეთები უმეტესად უნაკლოდ ფლობენ ტყუილის ხელოვნებას. დიახ, იმდენად უნაკლოდ, რომ ხშირად საკუთარი ტყუილისა ყველაზე მეტად თვითონვე სჯერათ. საზოგადოდ ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანები ამგვარად არ იქცევიან ხოლმე, მაგრამ, განა შეიძლება ამას ავადმყოფობა ვუწოდოთ? მართალია, უზნეობაც ერთგვარი სენია, თუმცა უზნეობა, პირველ რიგში, მაინც უზნეობაა და ის სწორედ ასე იწოდება.

ასეთი შესავალი იმ განცდითაა ნაკარნახევი, რომელიც ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (ა/წ 15 იანვარი, №7) დაბეჭდილი ვრცელი წერილის წაკითხვისას დამეუფლა. **თემურ მჟავიასა** და **ჯემალ გამახარიას** ავტორობით „შექნმილ“ ამ პუბლიკაციიას, ცოტა არ იყოს, უცნაური სათაური აქვს: **„ინფორმაცია“ ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“.** მას წინ უძღოდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება **„დეპუტატ ნ. მესხიას (ანუ თქვენი მონა-მორჩილის) წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“.**

სანამ მას წავიკითხავდი, გახარებულმა გავიფიქრე - რა კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, ოთხი წლის შემდეგ მაინც გამოუნახავთ დრო ჩემი წიგნის წასაკითხად-მეთქი. მართლაც, ჩემს კოლეგებს ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ ამ წიგნის შესახებ და არც პირად საუბარში, არც საჯაროდ - ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში თავიანთი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ. ახლა კი (ჰოი, საოცრებავ!), მეტად „გულმოდგინედ“ განუხილავთ იგი და, სტატია რაღა სახსენებელია, ამასთან დაკავშირებით „ისტორიული“ დადგენილება მიუღიათ, თანაც ისე, რომ ჩემთან ერთი სიტყვაც არდაცდენიათ!

ძალზე საინტერესოა, რაღა მაინც და მაინც ამდენი ხნის შემდეგ, როცა წიგნს ფართო საზოგადოება გაეცნო (ზუგდიდსა და ქუთაისში პრეზენტაციებიც ჩატარდა) და უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა? მაშინ ჩემი კოლეგები, როგორც უმაღლეს საბჭოში, ისე მთავრობაში, რატომღაც დუმდნენ. ახლა კი, ჩემს ზურგს უკან, ასეთი „ისტორიული“ (თუ ისტერიული) დადგენილება მიიღეს და ვრცელი „ინფორმაციის“ თანხლებით ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთშიც გამოაქვეყნეს, თანაც გასული წლის 29 სექტემბერს, ანუ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე! ეს უბრალო დამთხვევა სულაც არ იყო და უთუოდ უკავშირდებოდა ჩემს წინასაარჩევნო აქტიურობას კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის - სწორუპოვარი ქველმომქმედის, მეცენატის, ღვთის მიერ ქვეყნისა და ერის მხსნელად მოვლენილი ერისკაცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, მაშინ (ჭორის დონეზე) ლაპარაკი იყო საქართველოს პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად ჩემს წარდგენაზე - ასეთი შემოთავაზება მართლაც მივიღე, მაგრამ უარი განვაცხადე. უნდა ითქვას, რომ ჩემს პრაქტიკაში მსგავსი რამ ადრეც მომხდარა: თავის დროზე, „აღორძინების“ ერთ-ერთი ლიდერი, აწ განსვენებული ჯემალ გოგიტიძე, დაბეჯითებით მთხოვდა თანხმობას და სა-

ნაცვლოდ პარტიის საარჩევნო სიის პირველ ათეულში მპირდებოდა ადგილს, რა თქმა უნდა, სხვა არაერთ სიკეთესთან ერთად (იხ. რუსული წიგნი 164-165 გვ.). მე იგი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ზემოაღნიშნული „ისტორიული“ დადგენილების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელისა და თანდართული „ინფორმაციის“ ავტორის, ჯემალ გამახარიასგან განსხვავებით, უარით გავისტუმრე, რადგან მართებულად არ მიმაჩნდა აჭარის სეპარატისტული ერთმმართველის, ასლან აბაშიძის კიდევ ერთი წარმომადგენელი ვყოფილიყავი ქვეყნის პარლამენტში, თანაც ამით აფხაზეთის პრობლემატიკას დავშორდებოდი.

როგორც დრომ გვიჩვენა, მართალი აღმოვჩნდი. მაშინ ჩემს ასეთ ქმედებას ბევრი გაგებით შეხვდა, მათ შორის - ჩემი კოლეგები. ახლა კი, ქვეყნის საპარლამენტო არჩევნების წინ, ჩემი ასეთი გააქტიურება მათთვის ძალზე (არ ვიცი რატომ?) საშიში და სახიფათო აღმოჩნდა.

ყოველივე ეს იმ ფონზე ხდებოდა, როცა თვით უმაღლესი საბჭოს და მთავრობის წევრებითა და აპარატის მუშაკებით დაკომპლექტებული ჯგუფები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ დევნილ (და არა მარტო დევნილ) მოსახლეობაში, ქვეყნის დამაქცეველი პრეზიდენტისა და მისი დამნაშავე მთავრობის მხარდასაჭერად. რად ღირს, თუნდაც, ზუგდიდში ჩემი ერთ-ერთი „ოპონენტის“, ჯემალ გამახარიას მიერ თანამედროვე პილატეს მხარდასაჭერად წარმოთქმული წინასაარჩევნო ხოტბადიდება(!!!) და ამგვარად ხალხისადმი გამოვლენილი „ერთგულება“. აი, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და სახელმწიფოებრივი აზროვნება! ეტყობა, მან, ბევრი მისნაირის მსგავსად, ცდუნებას ვერ გაუძლო და „„ქართული ოცნების“ შესაძლო გამარჯვების შიშით, თადარიგი დაიჭირა. ვერაფერს ვიტყვით, ეროვნული პოზიციაც ამას ჰქვია!

ახლა კი, პრეზიდიუმის „დადგენილებისა“ და მასზე დართული „ინფორმაციის“ შესახებ მინდა მეტი სიცხადე შემოვიტანო. ორივე მათგანი იმდენად დატვირთულია სიცრუითა და ცილისწამებით, ხოლო ჩემს მიმართ ისე უხვადაა წაყენებული უხამსი ბრალდებები (ფაქტების აღრევა, მათი კონტექსტიდან ამოგლეჯა, არასწორი კომენტარები და დასკვნები...), რომ მკითხველი შესაძლოა დაიბნეს (მართალიც ეგონოს)!

საოცარია პირდაპირ! მათი ავტორები სხვაზე ხმას როგორ უნდა იღებდნენ? **სწორედ პირად ამბიციებს აყოლილ ამ ადამიანთა ღალატის ტოლფასი საქმიანობის შედეგად დატრიალდა ტრაგედია აფხაზეთში.** ისინი (საუბარია ერთეულებზე, რადგან უმაღლეს საბჭოში არაერთი ღირსეული ადამიანია) ძალზე არაკომფორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და, ბუნებრივია, გრძნობენ მათ მიმართ ხალხის, რბილად რომ ვთქვათ, ნეგატიურ დამოკიდებულებას. ბევრ მათგანს ჯერაც ვერ მოუხმია საღი აზრისთვის და ვერ ამოსულა იმ ჭაობიდან, სადაც ყოფილ ხელისუფლებასთან ერთად ჩაეფლენ. ახლა ისინი ცდილობენ ამ წუმპიდან ამოსვლას და უხვად ისვრიან ტალახს, რათა სხვებიც მოსვარონ. „პანდორას ყუთს“ მოჰხადეს თავი, საიდანაც შხამი და ბალღამი იფრქვევა! რა ჰქნან, აბა, თუკი ვერ ხვდებიან, რომ დღეს სულ სხვა პოლიტიკური ამინდია, გარემოც შეიცვალა და მათგან ნასროლი ტალახი ვეღარაფერს დააკლებს მათ, ვინც ამგვარი ტრაგიკული შედეგის თავიდან აცილებას დღენიადაგ ცდილობდა. განა ამით მართალ კაცს დააკლებენ რამეს?!

დაბეჯითებით შემიძლია გავაცხადო, რომ „ინფორმაცია“, რომელიც თან ერთვის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას, შეთხზულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების **თემურ მჟავიასა** და **ჯემალ გამახარიას** მიერ. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი უარყოფს თავის მონაწილეობას აღნიშნული „ინფორმაციის“ შედგენაში და ირწმუნება, რომ ავტორობა არც ხელმოწერით დაუდასტურებია. ეს მტკნარი სიცრუეა და, აი, რატომ: რედაქციაში გაგზავნილი ტექსტი, მართალია, მათ მიერ ხელმოწერილი არ არის, მაგრამ უმაღლესი საბჭოს დადგენილების ოქმს ზურგს უმაგრებს ვრცელი, რვაგვერდი-

ანი ცნობა „ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“, რომელიც საგაზეთო მასალის იდენტურია და ორივე მათგანის ხელმოწერაც ამშვენებს. ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ „ინფორმაციის“ ავტორები არიან და არა საგაზეთო სტატიისა. ჯემალ გამახარიას თქმით, პუბლიკაცია მას არ ეკუთვნის, რადგან ხელს არ აწერს რედაქციაში შემოსულ მასალას და ამ ფაქტს გაზეთის რედაქტორი ალეკო ასლანიშვილიც ადასტურებს, თუმცა ამას, როგორც ხედავთ, მნიშვნელობა არ აქვს.

აი, ამგვარად, ამ ორი დეპუტატის „ფსევდოავტორობით“ გამოქვეყნდა ეს ვრცელი პასკვილი. მაგრამ აქ სულ სხვა რამეა მთავარი: როგორც გაირკვა, უმაღლესი საბჭოდან წამოსული დოკუმენტები - პრეზიდიუმის (ბეჭდით დამოწმებული) „ისტორიული“ დადგენილება და „ინფორმაცია“ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სახელით გამოქვეყნდა და მისთვის კონკრეტულად ხელი არავის მოუწერია. ავტორები მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ. რატომ? რა ხდება? - **აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მასალები თურმე რედაქციაში მიიტანა** (კარგად დააკვირდით!) **არა სპეცსამსახურის წარმომადგენელმა, არამედ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კოაპტირებულმა დეპუტატმა, ბატონმა გივი ლომინაძემ.**

აი, სწორედ აქედან იწყება უღირსი საქმიანობის ძალზე საინტერესო ისტორია. ამ **„ქორწილის გენერალმა“** თავისებურად „გაამდიდრა“, ანუ ბოღმითა და შხამით კარგად შეავსო „ინფორმაციის“ ტექსტის ნაპრალები და „ფსევდოავტორების,“ თ. მჟავიასა და ჯ. გამახარიას ზურგს ამოფარებულმა, რედაქციასთანაც მყისვე „მოაგვარა“ ურთიერთობა, რათა ეს ვრცელი მასალა სრულად გამოქვეყნებულიყო. ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ აშკარად ვერ დამიპირისპირდებოდა - საამისოდ არც ადამიანური რესურსი გააჩნია, არც მორალური უფლება და აღარც - სიმამაცე! სხვაგვარად, აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო, წიგნში ხომ მისი „საქმენი საგმირონი“ უხვადაა წარმოდგენილი? ამიტომაც, ბუნებრივია, მცდელობა არ დაუკლია, რომ სხვების მიერ შედგენილი „ინფორმაციის“ ტექსტი საკუთარი აბდაუბდით კარგად გაეჯერებინა.

ეჭვგარეშეა, რომ ბატონმა ლომინაძემ, ანგარიშსწორების მიზნით, უკადრისი საქციელი ჩაიდინა და ლაჩრულად, სამალავიდან **„გესლიანი სისინი“** დაიწყო. რა არის აქ გასაკვირი? ბრძნული გამონათქვამისა არ იყოს, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“! მე მას ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, მაგრამ აქამდე საჭიროდ არ მიმიჩნევია, რომ საზოგადოების წინ გამეშიშვლებინა ეს საბჭოური „ქორწილის გენერალი“. ჩემსავით განა ვინმემ იცის, თუ როგორ შეუძლია მას სხვების ზურგს უკან ჩურჩულ-ფუსფუსი? ამ „კაცის კაცს“ არაფრად უღირს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ხელშებოჭილ ადამიანს (როგორც ეს უმაღლეს საბჭოში გააკეთა), მერე კი უთხრას: „ცუდად ვარ, მე შენზე უარესად ვარ და არ გინდა. მოდი, ვილაპარაკოთ მყუდრო გარემოში“. იგი დაპირებებს იოლად იძლევა, მაგრამ მათ შესრულებაზე არც კი ფიქრობს. აი, როგორია ეს ჩვენი „ქორწილის“ გენერალი!

რაც ვთქვი, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რითიც გ. ლომინაძემ დევნილობის პერიოდში ისახელა თავი. აი, მის წარსულს თუ გადავხედავთ, მაშინ უკვე გაცილებით „შთამბეჭდავი“ წარმოდგენა შეგექმნებათ, თუ როგორ „გულანთებულ“ მამულიშვილთან გვაქვს საქმე. ბატონ ლომინაძეს აფხაზეთის მთელი საზოგადოება „კარგად“ იცნობს. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ხალხის ბედუკულმართობასთან. ედუარდ შევარდნაძის, ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის შემდეგ, მას „საპატიო“ ადგილი უკავია იმათ შორის, ვის სინდისზეცაა აფხაზეთის ტრაგედია. მისი გამორჩეული „ღვაწლის“ შესახებ ჩემს წიგნში საკმაოდ დეტალურად არის მოთხრობილი და თუკი ვინმეს დააინტერესებს, გაიგოს ამ კაცის როლი და ადგილი ქვეყნის დამაქცეველთა შორის, შეუძლია ზემოხსენებულ წყაროს მიმართოს.

გივი ლომინაძე არ იმსახურებდა იმ მხარდაჭერას, რაც ჩემგან მიიღო მინისტრის პოსტზე მისი ყოფნა-არყოფნის

შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. გვ. 121–122), ასევე მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე „მხედრიონელების“, უშუალოდ ჯაბა იოსელიანის მიერ მისი კანდიდატურის დაყენებისა და განხილვის დროს (იხ. გვ. 93-102). მაშინ, როდესაც ქართული ფრაქციის 29 წევრიდან მხოლოდ 18-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მე მას ღიად მივეცი ხმა. მას ისეთი დანაშაული მიუძღვის ჩემსა და ჩემი ოჯახის წინაშე, როგორც შს მინისტრს და ადამიანს, რომ ჩემს თანადგომას არ იმსახურებდა. იგი ნამდვილად არ იყო ამის ღირსი, მაგრამ შევუნდე და ორივე შემთხვევაში ქრისტიანული პრინციპითა და საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით ვიხელმძღვანელე. სამწუხაროა, რომ იგი ამას ვერ მიხვდა! და არა მარტო იგი! რას ვიზამთ, „ხოხვისთვის განწირულს ფრენას ვერ მოსთხოვ!“.

თემურ მჟავიასა და ჯემალ გამახარიას ავტორობით გამოქვეყნებულ გამაოგნებელ და შეურაცხმყოფელ ბრალდებებზე თავის მართლებას, არც ბოდიშის მოხდას (როგორც ამას ჩემგან მოითხოვენ) არ ვაპირებ, ისინი იმდენად აბსურდულია!

სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა: მაბრალებენ, რომ ვამახინჯებ ისტორიულ ფაქტებს, რომ ყველაფერში ვადანაშაულებ ქართულ მხარეს და ვაღვივებ მეგრულ სეპარატიზმს.

დაინტერესებულ პირებს, ვთხოვ, წაიკითხონ ჩემი წიგნი და იქ მიიღებენ ამომწურავ პასუხს აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე, გაიგებენ - ვინ ვინ იყო და რას სჩადიოდა, გადაეყრებიან გმირებსა და ანტიგმირებს, დაუფარავად შეიტყობენ სიმართლეს, მწარე სიმართლეს. ასე რომ, არ ღირს და არც ვაპირებ ამ „ფსევდოავტორებთან“ პოლემიკაში ჩაბმას. არც პრეზიდიუმის წევრებთან ღირს კამათი, მიუხედავად იმისა, რომ არ დაიკავეს ღირსეული პოზიცია - ყველაზე მცირე, მათ შეეძლოთ მოეთხოვათ და მიეღწიათ იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხის განხილვაში მეც

მიმეღო მონაწილეობა, როგორც წიგნის ავტორს. არ გააკეთეს! რა ვუყოთ, მათ შორის ისეთებიც არიან, პატივისცემას რომ იმსახურებენ. ზოგიერთი, ალბათ, ვერ გაექცა ჯოგურ ინსტინქტებს და წეს-ჩვეულებას, ვერ გაუძლო ცდუნებას, „ქორწილის გენერლის“ ზეწოლას. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გივი ლომინაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მიღწეულ „კავშირებს“ და „ვალდებულებებს“ ვერ უღალატეს.

უფალმა შევუნდოს, ჩვენც მივუტევოთ ყველას!

მაგრამ ადამიანური პოზიციიდან ძლიერ მაინტერესებს, რა დაემართათ იმათ, რომელთსაც ამგვარი „კავშირები“ და „ვალდებულებები“ არ ამძიმებთ? რა დაემართა **ჯემალ გამახარიას?** ნუთუ მისი საქციელი იმ „წინდახედულების“ შედეგია, რომელიც თადარიგის დაჭერას გულისხმობს და ითვალისწინებს, რომ მას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების დროს თითოეული მათგანის ხმა დასჭირდება?

ნებისმიერ შემთხვევაში, იგი ვალდებული იყო სწორი პოზიცია დაეჭირა! მასზე უკეთ ვინ იცის, რას ვაკეთებდი ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ, როგორ ვწირავდი ყოველივე პირადულს საერთო საქმისთვის: ეს რომ არა, ორი ტრაგედიიდან ერთს ხომ მაინც ავიცდენდი? საკუთარი ოჯახისთვის არ მეცალა და ამიტომაც ვერ გავუფრთხილდი პატარას... სხვებს თუ არა, მას ხომ მაინც უნდა ხსომებოდა ეს! ერისკაცს მიწოდებდნენ, მერე კი რა დაემართათ? სად არის ბატონი აკაკი გასვიანი, რომელიც სულ იმუქრებოდა, რომ სიმართლეს იტყოდა?! როდის იტყვის? ან თუ იტყვის საერთოდ?!..

ვაგლახ, რომ ჩვენს შორის აღარ არის კიმი ჯაჭვლიანი, თორემ მას ვერაფერი შეაკავებდა!

ძალიან არასოლიდურია ყოველივე ეს, ძალიან არასიმპათიურად გამოიყურებით ჩემო „ძვირფასო“ კოლეგებო! ინტელიგენტი კაცი არ უნდა კადრულობდეს ამდენ სიცრუეს და ასეთ ბინძურ საქმეს!

გულისწყრომას და სინანულს იწვევს ის, რასაც თქვენ, ეროვნულ იდეებს ამოფარებულნი, პატრიოტული პათოსით სჩადით – შურს „იძიებთ“ და იმაზე სულ არ ფიქრობთ, რომ უფრო აღრმავებთ უფრსკულს თქვენსა და საზოგადოებას შორის, თქვენი ყოველი სიტყვა ხომ სიძულვილის სახით გიბრუნდებათ უკან? რა საწყენია, რომ ამას ვერ გრძნობთ! რაც არ დაუმადლია მაღლიდან ღმერთს, იმას თქვენ ვერ შეიძენდით! რა ვუყოთ?! უნდა შეგინდოთ!..

არა უშავს, ღმერთი დიდია, ყველაფერს ხედავს, ყველას თავისას მიუზღავს! არც მე ჩავიდებ გულში წყენას იმათ მიმართ, ვინც ამას ოდნავ მაინც იმსახურებს, ვისი პატიებაც შეიძლება. ხოლო ჩემი „მეგობრები“ თუ არ იკმარებენ იმ სიბილწეს, რაც ჩაიდინეს და კვლავაც გააგრძელებენ წვრილმანკაცობას, ჩემგან დანდობას ნუღარ მოელიან - მაშინ უკვე ბოლომდე გაიხსნება „პანდორას ყუთი“!

ახლა კი, მოვუწოდებ ყველას - მოვეშვათ ძიძგილაობას, შევჩერდეთ! ნუ მივეცემით საღათას ძილს, გამოვფხიზლდეთ! მოვინანიოთ დაშვებული საბედისწერო შეცდომები, დავუდგეთ გვერდით ქვეყნის სათავეში მოსულ პროგრესულ ძალებს, ჩვენს დაბეჩავებულ და გაწამებულ ხალხს!

დაახლოებით ასეთ განწყობაზე ვიყავი და ამ შინაარსის წერილის გამოქვეყნებას ვაპირებდი მოახლოებული დევნილთა ყრილობის წინ. იქ ვაპირებდი უფრო ღია (მოურიდებელ) საუბარს. ის იყო, ამ წერილს ვამთავრებდი, რომ დევნილთა დაგეგმილი ყრილობის საორგანიზაციო საბჭოს წევრებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ ისინი ამზადებდნენ საპასუხო წერილს და მთხოვეს ჩემი წერილის გამოქვეყნებისგან თავი შემეკავებინა. მათი თხოვნა გავითვალისწინე და განზრახვა განზე გადავდე. მართლაც, 9 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა პროფ. **ზაურ კვარაცხელიას** წერილი სათაურით **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“.** მას ავტორთან ერთად ხელს აწერდნენ აფხაზეთის სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები.

მეგონა, რომ ამით **„საბრალდებულო დასკვნის“** გამოქვეყნება დასრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა - რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „განმათავისუფლებელში“ (2013 წლის თებერვალი, №34, გვ.16) გამოქვეყნდა ჯერ ნუგზარ მგალობლიშვილის წერილი სათაურით **„თანამედროვე შადიმანი“,** ხოლო ცოტა მოგვიანებით (2013 წ. 20 თებერვალი №32), ჯემალ გამახარიას წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სათაურით **„როგორ სხვისდებოდა“ თუ „გასხვისდეს“...**

ერთი სიტყვით, შემოტევაც ამას ჰქვია! შეეცდები ზედმეტი ემოციების გარეშე, დინჯად და აუღელვებლად გავარკვიო მკითხველი ჩემი ოპონენტების **„სიმართლესა და ზნემაღალი“** მოქმედებების შესახებ. წინასწარ გპირდებით, რომ ვიქნები გულრწფელი. ჩემი პასუხი იქნება არგუმენტირებული, ფაქტებით გაჯერებული, ყოველგვარი შეფუთვისა და მაღალფარდოვნების გარეშე, რითაც ასე გამოირჩევა თქვენი პასკვილები, „პატივცემულო“ ოპონენტებო. მკითხველი გაიგებს, თუ რაოდენ კეთილსინდისიერად და ობიექტურად მოექეცით თქვენ ჩემს წიგნში მოცემულ ტექსტობრივ მასალას. თითოეული ამონარიდი წარმოდგენილი იქნება იმ ენაზე და იმ ფორმით, როგორც ეს ორიგინალშია, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ ტექსტი არ არის ადაპტირებული. მაშინ გამოჩნდება, ჰქონდა თუ არა ადგილი ფრაზებისა და წინადადებების კონტექსტიდან ამოგლეჯას და მიკერძოებულ, დამახინჯებულ ინტერპრეტაციას, იმისდა მიხედვით, თუ ყოველივე ეს რა მიზანს ემსახურებოდა. მაშ, ასე, დავიწყოთ, მივყვეთ „ინფორმაციის“ ტექსტს:

ზემოხსენებულ საგაზეთო პუბლიკაციაში რუსულ ენაზე გამოცემული ჩემი წიგნის (**„Как отторгалась Абхазия“)** მე-20 გვერდიდან დამოწმებულია ამონარიდი შემდეგნაირად: **„ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები, მათ შორის ქართველებიც, მაგრამ გვავიწყდება, თუ** (უნდა იყოს „ან“ ნ. მ.) **მხედვე-**

ლობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა. მათი დანახვა შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ყურადღებითა და გულისყურით ჩავხედავთ საქმეს თვალებში!“

აქ ჩემი ოპონენტები პარალელს ავლებენ **ანდრეი სახაროვის** ცნობილ მოსაზრებასთან, რომელმაც თავის დროზე სამართლიანი ვნებათაღელვა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში და ქილიკობენ ჩემზე, როგორც მკურნალ ექიმზე (ვაგლახ!), რომ მე, ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგული, სამკურნალო პრეპარატის ანოტაციასავით ვთავაზობ მათ ამ „ჭეშმარიტებას“, თანაც ისეთი აბსურდული სახით, რომ თვით აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებსაც კი შეშურდებოდათ. ახლა კი, ვნახოთ, რამდენად ზუსტად გვაწვდიან ისინი ამ ამონარიდს. და რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს!

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ იგი მხოლოდ ერთი შეხედვით გახლავთ რუსული ორიგინალის იდენტური, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ტექსტის მიზანდასახულ დამახინჯებასთან. ზემოთ მოყვანილი ამონარიდი იქ არ მთავდება, სადაც მას ჩემი „კეთილმოსურნე“ ოპონენტები ამთავრებენ. ტექსტი იქვე გრძელდება და არა - აბზაციდან, აი, ასე: **И вряд ли следует здесь чему-либо удивляться. Такова была политика повсеместно, и, какая была политика по всей стране** (მხედველობაშია საბჭოთა კავშირი ნ. მ.)**, такова была она и в отношении автономий и к их малочисленным народам!“**

ახლა შევხედოთ ტექსტს მთლიანობაში! როგორც ხედავთ, აქ საუბარია არა კონკრეტულად ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე, არამედ ზოგადად საბჭოური იმპერიის ნაციონალურ იდეოლოგიაზე მოკავშირე რესპუბლიკებსა და მათ ავტონომიებთან მიმართებაში.

შეიძლება ჩვენში ეს უფრო საგრძნობი და მტკივნეული იყო და ხანდახან უხეშ ფორმასაც კი იძენდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის ისეთ პროვინციულ და მივარდნილ კუთხეებს, როგორებიც იყვნენ ყუმურდო, მორდოვეთი (და არა მოლდავეთი!), ჩუვაშეთი, ყალმიხეთი და სხვ., თითქმის ათი წლით ადრე ჰქონდათ საკუთარი უნივერსიტეტი და ტელევიზია, ხოლო ჩვენში ამ საკითხის მოგვარებისთვის აფხაზეთის 1978 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენები და, ამასთან დაკავშირებით, ავადსახსენებელი საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და მთავრობის მიერ სპეციალური დადგენილების მიღებაც კი გახდა საჭირო. განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ყოველივე ეს თავის დროზე მოეწესრიგებინა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და ამგვარი ვნებათაღელვა თავიდან აეცილებინა?

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ აფხაზეთის 250–ათასიანი ქართული მოსახლეობა არ იმსახურებდა ასეთ ყურადღებას? რა, ეს მარტო ეთნიკური აფხაზებისთვის იქნებოდა და ჩვენ არ ვისარგებლებდით ამით? თუკი შეიძლებოდა, რომ „მრგვალი მაგიდა–ერთიანი საქართველოს“ აფხაზეთის დაჯგუფების თავკაცების - **ნუგზარ მგალობლიშვილის, თემურ მჟავიას, თემურ ლორთქიფანიძის** და სხვათა მხარდაჭერით შეგვექმნა ქართული სულიერებისა და აზროვნების, ვითომცდა, კიდევ ერთი კერა აფხაზეთში და ამისთვის ორად გაგვეხლიჩა ახალდაარსებული სოხუმის უნივერსიტეტი, ის რატომ არ შეიძლებოდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ და სხვა მსგავს საკითხებზე დროული გადაწყვეტილება მიეღო და საქმე დესტაბილიზაციამდე და მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებამდე არ მიეყვანა? მაგრამ აქ ის გახლავთ საყურადღებო, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად უნივერსიტეტის ორად გაყოფას! დააკვირდით, რა აბსურდამდე მიდის ყოველივე, როგორ ფარისევლობასა და თავხედობასთან გვაქვს საქმე! - აფხაზეთის მოსახლეობა, პირველ რიგში კი მისი 95%, რომელსაც ადგილობრივი ქართველები შეადგენდნენ, თურმე, ეროვნული სულისკვეთებისა და აზროვნების დეფიციტს განიცდიდნენ (!!!).

სინამდვილეში კი, ჩემო „ძვირფასო“ ოპონენტებო, სულ სხვა ჩანაფიქრთან გვქონდა საქმე. მე არაერთხელ დავსწრებივარ თათბირებს (მათ შორის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აწ განსვენებული ოთარ ზუხბაიას მიერ მოწვეულს), სადაც აღნიშნული საკითხი იხილებოდა. ამისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, ზურაბ პაპასკირი, ჯუმბერ ხუბუტია, აწ განსვენებული მურმან ბერია და სხვები. მათ აქტიურად უჭერდით მხარს სწორედ თქვენ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალის თავკაცები. ეს არის სიმართლე და ამან ქვეყანას, პირველ რიგში კი აფხაზეთის მოსახლეობას, რაც მოუტანა, ყველამ კარგად იცის. 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებში, სხვებთან ერთად, თქვენც მიგიძღვით ბრალი, რაც დღემდე ვერ შეგიგნიათ! თქვენს მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ ყოველთვის იყო ეროვნული, პატრიოტული ლოზუნგებით შეფუთული, რასაც დღემდე ვერ ღალატობთ. ხალხმა კარგად იცის - ვინ ვინ არის, ვინ რითი იყო დაკავებული და რას სჩადიოდა აფხაზეთში. ნუ ფიქრობთ, რომ ხალხი მართლა ბრბოა! დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის ორად გაყოფა მავანთა კომერციულ მიზნებს ემსახურებოდა. „აფხაზები ისე ირიცხებიან უნივერსიტეტში, რომ მადლობასაც არავინ გვეუბნება. თუ ვინმე იხდის, ეს ისევ ჩვენები არიან და რატომ უნდა ილექებოდეს ეს თანხა აფხაზების ჯიბეებში“? – ასეთი ფრაზები არაერთგზის მსმენია ჩემი მეგობრებისგან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის წამყვანი თანამშრომლებისგან. ნუთუ თქვენც ასეთ მიზნებს ისახავდით, ბატონო ნუგზარ და ბატონო თემურ?! „არა მგონია“, თქვენც ასეთივე მიზნები გამოძრავებდათ! მე რომ მითხრან, ამას „არ დავიჯერებ“, სხვებზე კი რა მოგახსენოთ!..

აი, ასეთია ჩემი კომენტარი თქვენი პირველი, რბილად რომ ვთქვათ, შენიშვნის ირგვლივ. ეს, მერწმუნეთ, თქვენი პირველი კონფუზია!

მესმის, რომ სიმართლე ხელს არ გაძლევთ და გაღმა შედავების ტაქტიკაში ხართ მეტად გაწაფულნი. ფიქრობთ, რომ ამით საკუთარ შეცდომებს გადაფარავთ და განურჩევლად, სწორია ის თუ არა, სხვას ესვრით ტალახს. თქვენ, უბრალოდ, სიმართლეს თვალს ვერ უსწორებთ და გგონიათ, რომ მას ისე და იმ დროს გამოიყენებთ, როგორც დაგჭირდებათ, მანამდე კი საიმედოდ მიჩქმალავთ. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის! **სიმართლე, პირველ რიგში, ეკუთვნის და სჭირდება ხალხს!**

ახლა, მოდით, ისევ ჩვენს ძირითად საქმეს მივუბრუნდეთ. ჩემი ოპონენტები 23-ე გვერდიდან იმოწმებენ შემდეგ ამონარიდს: **„...ნამდვილად იბადება კითხვა, როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ცნება „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართული“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე–15 საუკუნის შუაგულში“**. ამას ისინი სრულ სიყალბეს უწოდებენ.

ჯერ ერთი, როგორც წინა შემთხვევაში, ისინი გვაწვდიან ტექსტის დაჩეხილ ვარიანტს. მათ მიერ მოყვანილი ამონარიდი წიგნში ასე გრძელდება: **„Другое дело, что они, абхазы являлись и являются неотъемлемой частью Колхиды или Лазики, как ее древные римляне называли, а уж через нее и вместе с ней позже стали частью „Сакартвело“.**

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სულ სხვა სიტუაციასთან. აქ შეიძლება ვიკამათოთ ეპოქაზე, დროზე, თუ როდის გახდა აფხაზეთი საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, მაგრამ უდავოა, რომ იგი მის შემადგენლობაში კოლხეთთან ერთად შევიდა და ეს მოხდა, ალბათ, ქვეყნის პირველი გამაერთიანებელი მეფის, ბაგრატ III-ის დროს, XI საუკუნეში. მანამდე არსებულ ისტორიულ წყაროებში ეს არ ჩანს. ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად დოკუმენტში, **„ქართლის ცხოვრებაში“,** ცალკე აფხაზეთი კი არა, კოლხეთიც არ არის მოხსენიებული. თუ რამდენად სანდო ისტორიული წყაროა ის და შეიძლება თუ არა მთლიან-

ად მასზე დაყრდნობა (იხ. გვ. 308), ეს სულ სხვა საქმეა. მაგრამ არც მასში და აღარც სხვა წყაროებში არსად ილანდება აფხაზეთის კვალი საქართველოსთან მიმართებაში. ვიგებთ მხოლოდ, რომ ქართველები თავდაპირველად საუბრობდნენ თურმე სომხურ ენაზე. ასეთ და სხვა მსგავს აბსურდულ ლეგენდებთან ერთად, მისი ავტორი, ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ საქართველო ოდესღაც გადაჭიმული ყოფილა ნიკოპსიიდან დარუბანდამდე. თუ „ქართლის ცხოვრება“ სანდოა, რასაც ეჭვქვეშ აყენებენ თვით ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი (იქვე, გვ. 308), მაშინ ბატონი ჯემალ გამახარია სწორია, როდესაც უაპელაციოდ ამტკიცებს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ისტორიული ნაწილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ მროველის ეს ლეგენდა არ არის გამყარებული რაიმე ისტორიული დოკუმენტებით, ხოლო ნიკოფსია, ავტორთა ნაწილის აზრით, არა ტუაფსე, არამედ ის ადგილია, სადაც განისვენებს სვიმონ კანანელი და ეს ადგილი, როგორც მოგეხსენებათ, ახალი ათონია. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო დაქუცმაცებული იყო სხვადასხვა სამეფოებად და სამთავრეოებად. ამიტომაც, ჩემს წიგნში შეგნებულად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბოლო ხანებში აფხაზეთი ფაქტობრივად არ შედიოდა ერთიანი (გაერთიანებული) ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო უკვე არ არსებობდა, როგორც ერთიანი სახელმწიფო და მისი ადრინდელი შემადგენელი ნაწილები, სამეფოები და სამთავროები, მათ შორის აფხაზეთი, ცალ-ცალკე აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ასე რომ, თქვენ ტყუილად დაშვრით, ჩემო ძვირფასო ოპონენტებო. ჩემი წიგნი და იქ მოტანილი ისტორიული ექსკურსი კი არ უნდა გაღელვებდეთ, არამედ ის ფაქტი, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ 1810 წელს შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც სამთავრო, ხოლო 1864 წელს რუსეთის იმპერატორმა გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და იგი უშუალ-

ოდ თავის მმართველობაში შემოიერთა. ამდენად, რუსეთში მომხდარ რევოლუციებამდე კარგა ხნით ადრე, აფხაზეთი საქართველოსგან გამოყოფილი იყო. ყოველივე ამას დაემატა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის უგუნური და წინდაუხედავი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რამაც ძალიან შეუწყო ხელი და, შეიძლება ითქვას, საფუძვლადაც დაედო აფხაზეთის დამოუკიდებლობას და პუტინის რუსეთის მიერ ცალკე, სუვერენულ რესპუბლიკად აღიარებას. სამწუხაროდ, ეს ფაქტია და ჩემთვის მისი აღნიშვნა აღფრთოვანების საფუძველი სულაც არ არის!

ახლა ისიც გავარკვიოთ, თუ როგორ შეუწყო ხელი ჩემმა წიგნმა კრემლის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას, მაშინ, როცა ეს 2008 წლის აგვისტოში, სამაჩაბლოში ჩვენი უგუნური პრეზიდენტის სარდლობით სამხედრო ოპერაციების ჩატარებისა და იქ განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ მოხდა, მაშინ როცა წიგნის რუსული ვარიანტი საზოგადოებამ მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ იხილა! ან, უფრო მეტიც, ჩემ მიერ წიგნში ისტორიული ფაქტების მოყვანამ და პრობლემებისადმი ჩემეულმა მიდგომამ ახლა როგორღა უნდა შეეწყო ხელი მის საბოლოოდ გასხვისებას? ყოველივე ეს ჩემთვის ფრიად გაუგებარია, მაგრამ მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: თავად თქვენ თუ გჯერათ ამის, ჩემო „ძვირფასო“ ოპონენტებო, თუ ისე, უმისამართოდ ენამრუშობთ? მაგრამ, იმედია, მკითხველი თავად მიხვდება, თუ ვინ არის ჩვენს შორის მართალი!

ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია, რომ საჭიროა ჩვენ თვითონ ვეძიოთ აფხაზეთისკენ მიმავალი გზები, უნდა გვახსოვდეს მერაბ კოსტავას შეგონება: **„ჩვენ ვიპოვით გზებს აფხაზი კაცის გულისაკენ“**. სხვა გზა ჩიხში შეგვიყვანს! ეს ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია კარგად გავიაზროთ არსებული სიტუაცია: აფხაზებისა და მათი აბორიგენობის არაღიარებამ ქართველებს ბევრი ზიანი მოგვიტანა. ჩვენ გავყვიროდით და ხშირად ახლაც გა-

ვიძახით: „ვინ არიან ესენი, ესენი ხომ აფსუები არიან, კასპიის ზღვისპირეთიდან მოთრეული, რომლებმაც დაისაკუთრეს ძირძველი ქართული მიწები, ახლა კი დამოუკიდებლობას მოითხოვენ! ... ძველად აქ სულ სხვა აფხაზები ცხოვრობდნენ, ისინი ქართველები იყვნენ და არა აფსუები“ და ა. შ..

ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ (იგი წერდა, კოლხები ეგვიპტელებს ჰგვანან და ერთნაირად ამუშავებენ სელსო), თავის დროზე, კოლხეთში ჩვენც ეგვიპტიდან მოვსულვართ. მოდით, ნუ დავუჯერებთ! იქნებ ვინმემ გვითხრას, რომ უნახავს, როგორები იყვნენ აფხაზებისა და ჩვენი წინაპრები? ჩემი აზრით, არ შეიძლება ძველი ავტორების იგნორირება, არ შეიძლება უგულებელვყოთ ცნობილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სტრაბონის (მოღვაწეობდა ახ.წ.აღ. პირველ საუკუნეში) და ცოტა მოგვიანებით ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) მითითება იმის შესახებ, რომ ლაზების ზემოთ, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მდ. ბზიფის ხეობაში და ოდნავ ზემოთ, პირველი საუკუნიდან სახლობდნენ ჯერ აფსილები, მერე კი აბაზგები. ვინ იყვნენ ისინი, თუ არა აფხაზები?! ვიმეორებ: შეუძლია კი ვინმეს თქვას, რომ ისინი ქართველები იყვნენ და არა აფხაზები, თუმცა არიან ასეთებიც და მათ შორის ერთ-ერთი პირველია ჩემი ძვირფასი ოპონენტი, ბატონი ჯემალ გამახარია. ისინი კოლხეთს პრეისტორიული დროიდან მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს. ფრჩხილებში მაინც აღენიშნათ, რომ საუბარია იბერიაზე, საქართველოს შორეულ წინამორბედზე. როგორ შეიძლება ისტორიის ასეთი აღრევა და დამახინჯება - ქვეყნის ისეთი ძირძველი ნაწილის როლისა და ადგილის მიჩქმალვა, რომელიც ქართლსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს უსწრებს 15-20 საუკუნის ისტორიით?! რატომ იჩემებენ ისინი რომის პაპზე უფრო მეტ კათოლიკობას, როდესაც ქართული ისტორიის ჰეროდოტე - დიდი ივანე ჯავახიშვილი და ქართული ისტორიის სხვა კორიფეები გვეუბნებიან, რომ ქართების კვალი ჩვენს ისტორიაში მხოლოდ მე-6 საუკუნიდან ჩანს, ხოლო მისი აღზევება - ჯერ სამთავროდ, შემდეგ კი სამეფოდ გარდაქმნა ხდება მოგვიანებით, სადღაც X-XI საუკუნეებში. რამდენად სწორია და რატომ არის საჭირო ისტორიის ასეთი გაუკუღმართება და ქვეყნის რომელიმე ნაწილის ისტორიის უგულველყოფა, მის ხარჯზე წარმოჩენა იმისა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს? არსად არ გადაყრილან ისინი ისტორიის მამის - ჰეროდოტეს ცნობას იმის შესახებ, რომ ძ.წ.აღ. ბოლო საუკუნეებში ზღვიდან ზღვამდე (მეწამული (წითელი) ზღვიდან შავ ზღვამდე) მხოლოდ ოთხი ხალხი სახლობდა: **სპარსები, მიდიელები, სასპერები** და **კოლხები.** სასპერები იმ ადგილზე არიან მოხსენიებულნი, სადაც საუკუნეების შემდეგ გამოჩნდნენ ქართები. იმ დროისთვის, ძველი ბერძნების მტკიცებით და მათი გავლენით, მთელ ძველ საქართველოს იბერია ეწოდებოდა. აქ სახლობდნენ იბერები და ნ. ბერძენიშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ი.ყიფშიძის და სხვათა მტკიცებით, ძირითადი მათი ენა იყო მეგრული (იბერული), რადგან იბერები კოლხური მოდგმისანი იყვნენ. ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც სახლობდნენ და, მეცნიერთა მტკიცებით, სწორედ მათ წიაღში შემოვიდნენ ქართები, რომლებმაც მოგვიანებით საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონია დაამყარეს და, შემდგომი აღზევების კვალობაზე, დომინანტური როლი დაიმკვიდრეს.

„თავდაპირველად სამეგრელოს ერქვა იბერია, მეგრელებს - იბერები და მეგრულ ენას - იბერული,“ - წერს ი. ყიფშიძე. „იყო დრო ქრისტეშობამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავებზე და ამიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოსაც იბერია, ასევე, როგორც როცა ქართები აღორძინდნენ მთელ ჩვენს ქვეყანას დაერქვა საქართველო“ - ამბობს იგი. ასეთია ისტორიაში დამკვიდრებული აზრი. ასე რომ, ყოველივე ამის აღიარება და საერთოდ სიმართლის თქმა რატომ გეჩვენება სეპარატიზმად? რას ამტკიცებენ ამით?! განა უცნობია, რომ მანამდე და შემდგომაც, მთელი ქვეყანა და თვით კოლხეთიც, და-

ქუცმაცებული იყო სამეფოებად და სამთავროებად. ამდენად მისი ჩრდილო-დასავლეთ რეგიონი - აფხაზეთი, როგორც უკვე ითქვა, დასაბამიდანვე შეუძლებელია ყოფილიყო ერთიანი სახელმწიფოს - საქართველოს მხარე. შუა საუკუნეებიდან კი ხდება მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი!

აი, ასეთი ისტორიის წარმოჩენა არ იქნებოდა უფრო მომგებიანი და ხელსაყრელი იმისთვის, რომ დამშვიდებულად და გულახდილად გვესაუბრა აფხაზებთან, ქვეყნის ამ რეგიონის - აფხაზეთის ბედისა და მომავლის გადაწყვეტის საქმეში მონაწილეობა მიეღო ქართველ ხალხს, პირველ რიგში კი - აფხაზეთის მოსახლეობას?! განა ასეთი მიდგომა არ იქნებოდა უფრო მომგებიანი, ვიდრე დღენიადაგ ძახილი: „აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქია, აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა, აფხაზები კასპიისპირეთიდან არიან მოთრეულნი, რომ აფსილები და აბაზგები ქართველები იყვნენ, თუ არ გაჩუმდებიან ჩავქოლავთ, გადავუვლით“ და ა.შ

რამდენად მომგებიანი იყო ასეთი საუბრები ჩვენს ოპონენტებთან?! განა თქვენმა და ზოგიერთი თქვენი კოლეგის ცრუ-ისტორიკოსობამ, ვაი-პოლიტიკოსობამ არ დაძაბა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში და არ შეუწყო ხელი ჩვენსა და აფხაზებს შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას, შემდგომ კი სამხედრო კონფრონტაციას, რომლის შედეგსაც ვიმკით დღეს?

აი, რას წერს ამის შესახებ აფხაზი ხალხის ერთ-ერთი ცნობადი წარმომადგენელი – პოლიტოლოგი კონსტანტინ დუმაა წერილში: **„20 послевоенных лет: кто мешает ослаблению конфликтного потенциала между Грузией и Абхазией“,** რომელიც ელექტრონული ფოსტოთ გამოგვიგზავნა რატომღაც მე და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ერთ–ერთ ყოფილ მდივანს, ბატონ ვილი ალავიძეს. ეს ის კონსტანტინ დუმავაა, რომელიც, ქართველებისადმი ლოიალურობით გამორჩეულ ბორის ადლიბას საოლქო კომიტეტის პირველ მდივნობის დროს, განაგებდა მის ერთ–ერთ განყოფილებას. მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის ვრცელი ამონარიდი მისი წერილიდან მომყავს ორიგინალში. **„Возвращаясь к проблеме грузино-абхазских отношений, в заключение хочу отметить откровенно, что с самого начала Тбилиси не ту ноту взял. Если бы грузинская сторона прибегала к тонким, осмотрительным мерам в отношении абхазов, если бы изначально ею были бы проявлены мудрость, терпение, дальновидность, дипломатичность, если хотите, и хитрость, а не вероломство и коварство, если бы поумерили свой гонор и обуздали чувство некоего превосходства, то не возникло напряженности и процесс развивался бы в удобном для нее направлении. Уже упомянутый Наполеон говорил, что самый легкий способ одолеть противника – сделать его своим другом. Не многим пришлось бы пожертвовать Грузии, пойди она по пути удовлетворения желаний абхазов, прояви она искреннее уважение к ним, как говорят, погладила их по голове. Ну чего могли добиваться? Например, они настойчиво требовали на протяжении долгого времени восстановления топонимики. Кому это мешало? Почему препятствовали, не проявили понимания, великодушия, если хотите? И в итоге разве не пошло бы это, как и многое другое, на укрепление доверия между двумя народами? А зачем надо было оспаривать автохтонность абхазов на этой земле, историческую ее принадлежность им, учитывая особо восприимчивое, ранимое их отношение к родной территории и глубокую чувствительную привязанность к ней, их острую реакцию ко всякого рода псевдонаучным изысканиям, якобы доказывающим пришлось абхазов на этой «исторической грузинской территории?...“. Сказать абхазу, что он живет не на своей исторической родине, а на чужой территории – это для него не просто обида, а глубокое оскорбление. У французского баснописца эпохи Просвещения Бонплины есть такой сюжет. Некоему путешественнику очень докучали своим щебе-**

танием кузнечики. Он вздумал перебить их всех до единого, но был застигнут за этим занятием наступлением ночи и сбился с дороги. Если бы он спокойно продолжал свой путь, заключает баснописец, кузнечики не стали бы причиной его беды, т.к. сами перемерли к концу недели. Может быть, не совсем удачная аналогия. Но ничего бы не потеряли грузины, если бы проявили благоразумие и доброжелательность, заявив: да, эта ваша историческая территория, но так получилось, что мы уже давно вместе живем одной семьей, так что будем вместе защищать ваши интересы и т.д. При этом Сакартвело ничем бы не рисковало, зато вызвало бы к себе доверие со стороны абхазов, а за этим последовала бы искренняя дружба. Чего грузины опасались, имея такой фактор, как численное доминирование в Абхазии, которое исподволь постоянно наращивалось? Добавьте к этому, что экономические рычаги находились в их руках. Никто никого к тому же отсюда не выгонял. И постепенно, шаг за шагом, незаметно, естественно, мирно, «по-братски» они могли бы растворить абхазов в своей среде, как это в сое время случилось в Гальском районе. То есть могли таким методом достичь цели, которую намеревались осуществить посредством войны. Но грузины пошли другим путем и получили то, что получили. Абхазы хоть и дорого заплатили, но зато обрели независимость, пусть и не всеми признанную, чему активно препятствуют Грузия и ее западные покровители, но в судьбе абхазов это ничего не меняет.

Абхазская мудрость гласит: что нет человека, который не ожидал бы лучшего. Это, очевидно, заложено в его природе, иначе бы у человека не было бы стимула к жизни. По аналогии в индийской исторической культуре есть такое понятие, как «культура ожидания», смысл его в том, что появится такой человек, который спасет мир. И мы тоже будем надеяться, что на политической сцене Грузии появятся

персоны, которые поймут, что поскольку мы обречены быть близкими соседями, то надо жить в цивилизованных взаимоотношениях и потому неразумно смотреть друг на друга через прицел оружия. Время показало бесперспективность такого подхода. Надо бы уж это понять, но прежде признать сложившиеся в результате войны реалии не забыв, при этом, это те реалии, в сторону которых они сами развернули наши взаимоотношения. История, господа, пошла по тем рельсам, на которые вы перевели стрелку. Это факт. И с ним надо считаться.“

აქ ცოტა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ! ხედავთ, რას გვეუბნება აფხაზი კაცი? თურმე, როგორ შეიძლებოდა პრობლემების მოგვარება აფხაზეთში. ამაზე არ ვქადაგებდი მე დღენიადაგ და არ ვსაუბრობ ჩემს წიგნებში თუ სხვა პუბლიკაციებში?! ჩვენ კი რას ჩავდიოდით, რას ვაკეთებდით?! ამის შემდეგაც სადაოა ვინმესთვის, რომ **რაც მოხდა აფხაზეთში ქართული მხარის, მისი თავკაცებისა და ადგილობრივი ვაი–პოლიტიკანების საქმიანობის, მათი ღალატის ტოლფასი შეცდომების შედეგია**?!

სწორედ ამიტომაა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია ჩვენი მხარის უგუნური პოლიტიკის შედეგი!

თქვენი მოღვაწეობა აფხაზეთში, მათ შორის უმაღლეს საბჭოში, რაც მახსოვს, ემსახურებოდა მხოლოდ იმას, ბატონო ჯემალ, რომ დაგემტკიცებინათ: აფხაზები აფსუები არიან, აფხაზეთი საქართველოს (და არა, პირველ რიგში, კოლხეთის!) ისტორიული, ძირძველი მიწაა. ამით თქვენ ყველანაირად აღვივებდით აფხაზ ხალხში ანტიქართულ განწყობას, უნებლიედ (უფრო სწორად, შეგნებულად) ხელს უწყობდით მათ მიეღოთ გადაწყვეტილება - გასულიყვნენ საქართველოს შემადგენლობიდან და ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თქვენ მიგაჩნდათ, რომ ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება - პოლიტიკას (გ. გამახარია, აფსილ-აბაზგთა ეთნიკური

ვინაობის საკითხისათვის, გვ.5. თბილისი, 1998 წ.), პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს თქვენი ისტორიკოსების მონაცემებსა და მითითებებს. ამ დროს, არ ითვალისწინებთ იმას, რომ მოწინააარმდეგე მხარესაც ჰყავს თქვენნაირი ისტორიკოსები, რომლებიც ასევე აყალბებდნენ ისტორიას და მიიჩნევენ, რომ აფხაზები არიან აფხაზეთის აბორიგენი ხალხი, რასაც თქვენ არ იზიარებდით და ასეთ საღ აზრსმოკლებულ „ფილოსოფიურ კინკლაობას» (რომელი იყო პირველი: ქათამი თუ კვერცხი) არ უჩანდა ბოლო. თქვენთვის და თქვენი თანამოკალმეებისთვის უცნობი იყო, ალბათ, ძველი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო ძის ბრძნული შეგონება: **„დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო“.** სხვა არაფერზე, სწორედ ამაზეა საუბარი ბატონ კონსტანტინე დუმაას წერილშიც!...

თქვენ, თქვენს მეგობრებთან - მგალობლიშვილებთან, მჟავიებთან და სხვებთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, ხელს უწყობდით ყოველივე იმას, რაც ძაბავდა ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის და იწვევდა საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას. სამწუხაროდ, თქვენ არ აღმოგაჩნდათ სწორი პოლიტიკური ხედვა და თქვენი იდეოლოგიით წყალს ასხამდით აფხაზების წისქვილზე, რაშიც დღეს, „გაღმა შეედავეს» პრინციპით, დანაშაულს აბრალებთ სხვას. სამწუხაროდ, ხეების იქით ტყეს ვერ ხედავდით - ვერ ამჩნევდით იმას, თუ როგორ იყო ჩასაფრებული ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, მისი პროიმპერიული ძალები, როგორ აღვივებდნენ ისინი და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ სეპარატისტულ განწყობას აფხაზეთში. ასე რომ, ყველაფერს იმაში, რაც მოხდა აფხაზეთში, თქვენი ნამოღვაწარი უდაოდ თვალსაჩინოა!

ბატონ მგალობლიშვილზე, არშემდგარ მხატვარ-პოლიტიკოსსა და პოლიტიკაში მის „ნაშიერ“ კიღურაძე-მჟავიაზე (სხვათაშორის, ძალიან საინტერესოდ ჰყვება ბატონი თემური იმაზე, თუ როგორ გადაიქცნენ ისინი - კიღურაძეები მჟავიებად, მოაყოლიეთ და მოუსმინეთ, ძალზე საინტერესოა!), და იმ ხალხზე რა მოგახსენოთ, რომელთა სინდისზეა, სხვებთან ერთად, იმ აპარტეიდული, დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღება, რომელმაც დაღუპა ეს ქვეყანა (დეტალებზე მოგვიანებით შევჩერდები).

მე არ მჯერა, მათ რომ უყვართ აფხაზეთი და მისი მოსახლეობა, ვინაიდან, აქ ფეხამდგარ-გაზრდილთ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთხელაც არ წამოსცდენიათ თვინიერი ერთი კოლხური სიტყვა და ამიტომ ჩემთვის ნაკლებად სარწმუნოა, რომ აწუხებდეთ კოლხეთის (კოლხების!) და საერთოდ, ქვეყნის ბედი, მაგრამ თქვენ რა დაგემართად, ბატონო ჯემალ?! ჩემთან საუბარში რატომ ამართლებდით ასეთ არნახულ და გონიერებასმოკლებულ დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღებას?! ალბათ, იმიტომ, რომ იყავით „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალის წევრი და, ამდენად, **ჭარბობდა თქვენში, ასე ვთქვათ, უწყებრივი აზროვნება ან ყვარყვარიზმის სენით იყავით შეპრყობილი და დუმდით - ინერტულობას არჩევდით აქტიურ საქმიანობას. ყოველივე ამით, თქვენი ვაი-პოლიტიკოსობასთან ერთად, მყისიერად უწყობდით ხელს აფხაზეთში სეპარატიზმის აღზევებას და ორივე მხარეს უქსევდით ერთმანეთთან!**

ასე რომ, **თქვენი „გვარი და სახელი** (ბევრ სხვა ,,ღვაწლმოსილ» ადამიანებთან ერთად) **ისტორიას დარჩება!“**

მცდარია, ალბათ, იმგვარი პოლიტიკის გაგრძელება, თითქოს აფხაზეთი საქართველოს ისეთივე კუთხეა, როგორც კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და ა. შ... **უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენს მიერ აფხაზების და მათი აბორიგენობის არ აღიარების პოლიტიკა უპერსპექტივო აღმოჩნდა და ამან ჩიხში შეგვიყვანა.** ეს ფაქტია და, გვინდა თუ არა, ამას თვალი, უნდა გავუსწოროთთუ გვსურს აფხაზებთან შერიგება, მათთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმის ჩამოყალიბება და დამკვიდრება. ეს შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ დღეისთვის ალტერნატიული გზა არ ჩანს.

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ 1947 წლიდან მოყოლებული, დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზნით, პერმანენტუ-

ლად ხდებოდა ქართველების კომპაქტური ჩასახლება აფხაზეთში. ვფიქრობ, ახლაც, მხოლოდ ასეთი აღიარების პოლიტიკით, ისტორიული სიმართლის დანახვით, შეცდომების მონანიებით არის შესაძლებელი არსებული პრობლემების დაძლევა, მხარეებს შორის გაუცხოების პროცესის შეჩერება, ინტერესების დაახლოება და ურთიერთნდობის აღდგენა. **მხოლოდ სიმართლის აღიარებით, აფხაზებისთვის ალტერნატივის - არჩევანის პირობების და გარემოს შექმნითაა შესაძლებელი ჩატეხილი ხიდების აღდგენა აფხაზეთისკენ მიმავალ გზებზე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი აფხაზების შემობრუნება და აფხაზეთის საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეში მოქცევა. სხვაგვარად აფხაზეთისკენ გზა ჩახერგილია! ეს არის ერთადერთი სწორი არჩევანი და ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ!**

აფხაზებთან დიალოგი შეცდომების აღიარებით უნდა დავიწყოთ. ეს ორივე მხარისთვისაა აუცილებელი! ჩემს ოპონენტებს (და არა მარტო მათ) ჰგონიათ, რომ შეცდომების აღიარება და სამართლიანობის აღდგენა სეპარატისტების წისქვილზე დაასხამს წყალს. მოდით, ნუ დავემსგავსებით ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას, რადგან აფხაზებმა ისედაც მშვენივრად იციან ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები, ხოლო აღიარება და მათი მონანიება შერიგების გზაზე უპირველესი პოზიტიური მომენტი და თანამგზავრია, რის გარეშეც ყველა სხვა მცდელობა არარეალური და უშედეგოა.

ეს მშვენივრად ესმით ჩვენს ვაიპოლიტიკოსებსაც, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ გზით ისინი ვერ გაივლიან. ჯერ ერთი, ყოველი მათი შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა და ამიტომ არც აქვთ მათი პატიების იმედი. აფხაზეთში მათ არავინ მოელის - არც აფხაზები და არც დევნილი მოსახლეობა. ამდენად, მათთან ყოველგვარი დიალოგი გამორიცხულია. გარდა ამისა, არც ეს უკანასკნელნი იქაჩებიან აფხაზეთში წასასვლელად! ცხადია, ურჩევნიათ არსებული ვითარება შეინარჩუნონ. ეს მათ უფრო აძლევთ ხელს, რადგან ნაკლებად

ედარდებათ აფხაზეთიდან დევნილი, გაუბედურებული ხალხისა და ქვეყნის ბედი. **მათ კი არ უყვართ ეს ქვეყანა, არამედ - საკუთარი თავი ამ ქვეყანაში!** ამ ადამიანებს მონანიების ნიშანწყალიც არ ეტყობათ. ბევრი მათგანი კვლავ განაგრძობს პოლიტიკურ და კომერციულ თარეშს, ქედმაღლობას და მათთვის მხოლოდ ის არის მთავარი, რომ თვითონ იყვნენ კარგად, ძალიან კარგად, სხვების თავზე კი თუნდაც ქვას უთოვია! მათ ხომ არასოდეს განუცდიათ ნამდვილი ტკივილი და არც სხვისი სატკივარი ადარდებთ! მათ არც სიდუხჭირე იციან და, აღარც - ბედის უკუღმართობა! ამიტომაცაა, რომ სადაც ტირიან, იქ ეღიმებათ, ხოლო ქილიკობენ იქ, სადაც სევდას მოუცავს ყველაფერი!

ამიტომაცაა, რომ ეს ბედოვლათები ათასგვარ ზღაპარებს თხზავენ, სხვისი დაბეზღებით ერთობიან და არად აგდებენ დიდი კონფუცის გაფრთხილებას: „ნუ ეძებთ ბნელ ოთახში შავ კატას, ვერ დაიჭერთ, რადგან შავი კატა იქ უბრალოდ არ არის!». ისინი სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, საკუთარში კი დირესაც ვერ ამჩნევენ. მანიპულირებენ და აპელირებენ ისეთი ფაქტებით, რომლებიც ვერ ასახავს მათ მიერ შეთხზულ რეალობებს.

მივუბრუნდეთ ისევ მთავარს და დააკვირდით ჩემი ოპონენტების მიერ კიდევ ერთ ამონარიდის დამახინჯებას წიგნის მე-15 გვერდიდან, სადაც ვწერ: **„კარგად არის ცნობილი თუ რა სტატუსით სარგებლობდა იგი 1925 წლის კონსტიტუციით და როგორ ჩამოქვეითდა საკუთარ უფლებებში 1931 წლის კონსტიტუციის მიხედვით...“** აქ საუბარია იმ 1925 წლის კონსტიტუციაზე, რომელიც, ისტორიკოს ჯემალ გამახარიას მტკიცებით, მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა.

ცხადია, ამონარიდი ამ შემთხვევაშიც ამოგლეჯილია კონტექსტიდან - იწყება და მთავრდება მრავალწერტილებით. ასე რომ, მკითხველისთვის უცნობია მისი თავი და ბოლო. არადა, ზემოთ აღნიშნული ამონარიდი წიგნის მე-16 გვერდიდან ასე გრძელდება: **„Отсюда берет начало распространенное**

(среди абхазов! ნ.ბ.) мнение об ущемлении прав этнических абхазов, принижении и оскорблении их национального самосознания и достойнства. Основной причиной и главным радателем создавшегося положения целые поколения абхазов считали (и считают по сей день) не советскую идеологию и политику, а Грузию и грузинский народ. И главную вину в этом они возлогают на грузинских большевиков, на их лидеров, в наше же время – на не одно поколение грузинского руководства. Такое воззрение и такой менталитет абхазского народа складывались и усиливались на протяжении многих десятилетий, и с тех пор пребывает он в постоянных и беспрестанных пойсках путей, средств и возможностей избавления от «грузинского гнета». Не является секрктом и то, что такие настроения подогревались, поощрялись и всячески поддерживались проимперскими силами нашего северного соседа, „преданным другом всех угнетенных» - великой Россией“.

უნდა ითქვას, რომ 1925 წლის ეს კონსტიტუცია არსებობდა არა მარტო ქაღალდზე, როგორც ამას ბატონი გამახარია ამტკიცებს, არამედ მოქმედი გახლდათ, მართალია, ცოტა ხნით (სულ რამდენიმე თვით), მაგრამ იგი მაინც მოქმედებდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლამდე. მანამდე ის რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და საქართველოს შემადგენლობაში შევიდა როგორც სახელშეკრულებლო რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუციური უფლებებიც ბევრად აღემატებოდა ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებს. აი, რაზეა აქ საუბარი და მე ამას შეგნებულად თავს ვარიდებდი - ეს ფაქტი არ მომყავდა ტექსტში, არც რაიმე შეფასებას ვაკეთებდი და მხოლოდ იმას ვამბობდი, თუ რაზე იყვნენ ასე განაწყენებული ისინი – აფხაზები. ერთი სიტყვით, ვმსჯელობდი განზოგადებულად, ყოველგვარი კომენტარის, ავტორისეული სიმპათიისა და ანტიპათიის გარეშე.

ახლა კი, თუ მთლიან ტექსტს თვალს გადაავლებთ, ვინც

რუსულ ენასთან მწყრალად არ არის (რასაც ვერ ვიტყვი ჩემს ოპონენტებზე!), კარგად დაინახავთ, რომ ავტორისეული ტექსტი მოცემულია არა პირველ პირში და არც მათი, აფხაზების სახელით, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნე, განზოგადებულად და წარმოაჩენს მხოლოდ აფხაზების თვალთახედვასა და დამოკიდებულებას პრობლემებისადმი. ვიმეორებ, აქ ავტორისეული დამოკიდებულება, გულისწყრომა ან მათი განცხადების გაზიარების ნიშანწყალიც არსად ჩანს, პირიქით, ირიბად მინიშნებულია, რომ ყველაფერი ეს საბჭოური იდეოლოგიისა და პოლიტიკის შედეგია. უფრო მეტიც, რადგან არ ვეთანხმები აფხაზების ბრალდებებს ქართველი ხალხის მიმართ, სიტყვები «грузинского гнета» ბრჭყალებში მაქვს მოთავსებული. გარდა ამისა, პირდაპირ ვამბობ, რომ აფხაზების ასეთი განწყობა დროთა განმავლობაში მწიფდებოდა, რასაც უფრო მეტად აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, „ყველა ჩაგრულის ერთგული მეგობრის“ – დიდი რუსეთის პროიმპერიული ძალები.

რა არის აქ გაუგებარი?! ან სიმართლის დანახვა არ უნდა გინდოდეს, ან კიდევ რუსულად ვერ კითხულობდე. ვფიქრობ, აქ ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე! სამწუხაროა, რომ ჩემი ოპონენტები ვერ ხედავენ ან, უბრალოდ, არ უნდათ დაინახონ, თუ როგორ აფასებს წიგნის ავტორი აფხაზეთში იმ დროისთვის არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს. მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს! მოდი და მწარედ ნუ გაიღიმებ: ჯემალ გამახარია საგულდაგულოდ მიხსნის იმას, რაც ნებისმიერმა სკოლის მოსწავლემ კარგად იცის - რომ აფხაზეთი საქართველოა და ის კოლხეთიანად ქართული ცივილიზაციის ერთერთი აკვანია. „ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა“, - ამბობს ბატონი ჯემალი და სვამს კითხვას: „ბატონი ნაპო რატომ ამტკიცებს საპირისპიროს? რა მიზანს ისახავს? რატომ უჭერს მხარს მოწინააღმდეგეს უპრინციპულეს საკითხში, რომელშიც ვერ ან ძალიან ცუდად ერკვევა? თავისით აკეთებს ყოველივე ამას, თუ ვიღაცა აიძულებს?“ ან კიდევ: „მთე-

ლი წიგნი, მასში მოტანილი რეალური ფაქტების, რეალური მოვლენების ანალიზიც კი, ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას, ამიტომაც იგი მიუღებელია არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად“. შემდეგ: „რა იდეოლოგიას ეფუძნება ბ–ნი ნაპოს წიგნი და რა საერთო აქვს მას სეპარატისტულ თუ იმპერიულ იდეოლოგიასთან? პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ 2008 წელს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარა, ბატონები ვ. პუტინი და ს. ლავროვი ძალიან დიდხანს იყვნენ დაკავებული უკანონო გადაწყვეტილებების ისტორიული „დასაბუთებით“, უცხოელებთან შეხვედრაზე ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, რომ 1921–1930 წლებში აფხაზეთი იყო სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც 1931 წელს ქართველმა ი. სტალინმა ძალით შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით, აფხაზეთის აღიარებით ისტორიული „სამართლიანობა“ აღვადგინეთო (?!). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს არნახული სიცრუე დიდი ხანია გაცამტვერებულია. ბ–ნი ნაპო თავისი წიგნის მე-15-16 გვერდებზე ხელმძღვანელობს სწორედ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ შეთხზული ამ ზღაპრებით და არა ისტორიული სინამდვილით, რითაც ძალაუნებურად ამართლებს მოწინააღმდეგეს. რატომ, რისთვის, რა მიზნით?“.

ეს ამონარიდები ჯემალ გამახარიას წერილებიდანაა და ისინი (მისგან განსხვავებით) მომყავს მთლიანად, კონტექსტიდან ამოგლეჯის გარეშე.

როგორც ხედავთ, ჩემი ოპონენტი ძალიან „რთულ“ კითხვებს სვამს და რამდენად კანონზომიერი და მართებულია მათი ამგვარად დასმა, მკითხველმა თავად განსაჯოს. მე მასთან კამათს უკვე აღარ ვაპირებ, მით უფრო, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვას ისედაც დიდი დრო მოვანდომე და, შეძლებისდაგვარად, დავანახე მკითხველს, თუ როგორ მოურიდებლად აყალბებენ ჩემი „კეთილმოსურნე“ ოპონენტები ჩემს მიერ მოყვანილ ფაქტებს, ჩემს მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ასე რომ, ვისაც ამის უნარი შესწევს, თავად გაარჩევს თეთრსა და შავს, მტყუანსა და მართალს, ის გამოგვიტანს ყველას შესაფერის ვერდიქტს.

მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი, საქმე უფრო სერიოზულადაა! ისეთ ბრალდებებს მიყენებენ, კიდევ კარგი, 1937 წელი არ არის, თორემ კედელთან მიმაყენებდნენ, ან, ყველაზე მცირე, მაგადანს უკან დამატოვებინებდნენ. დასმენა და ჩაშვებაც ამას ჰქვია! ხედავთ, სადამდე, რა დონის აბსურდამდე მიდის საქმე?! თურმე უბრალოდ კი არ ვცდები, არამედ „პატრონი“ მყავს და მის დავალებებს ვასრულებ!

ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ჯემალ გამახარია და მისი თანამოკალმენი ვერც პოლიტიკურ გარემოში და ვეღარც დროში ახერხებენ ორიენტირებას! მათ, ალბათ, დაავიწყდათ, რომ ჩემი წიგნები 2009 და 2011 წლებში გამოვიდა, ხოლო რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და აღიარება 2008 წლის აგვისტოში - ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის სარდლობით მძინარე ცხინვალის დაბომბვის, რეგიონში მძიმე ჯავშანტექნიკით შეჭრისა და იქ განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ მოხდა.

ძალზე გულსატკენია, რომ ბ-ნ გამახარიას და მის „პადდელნიკებს“ ისეთი ფასეულობები, როგორიცაა: საღი აზრი, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება და ა. შ., ერთ მხარეს დარჩენიათ, ხოლო კალამი სულ სხვაგან გაჰქცევიათ. აშკარაა, აქ უფრო სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს!

სინანული და თანაგრძნობა ყველა ღვთისნიერი ადამიანის ვალია, მაგრამ როდესაც გესაუბრებიან მე–5 კოლონაზე, ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, უფრო სწორად, ბრალს გდებენ უცხო ქვეყნის მომსახურეობაში, სამშობლოს ღალატში და „თანამედროვე შადიმანს“ გიწოდებენ, თანაც ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მრავალი წელია გიცნობენ და მშვენივრად იციან, რაზე ხარ წამსვლელი და რაზე - არა, მერწმუნეთ, ასეთ დროს სიმშვიდის შენარჩუნება ნებისმიერს გაუჭ-

ირდება. მით უმეტეს, როცა ამას გეუბნება კაცი, რომლის სინდისზეცაა (მურმან ომანიძესთან, გივი ლომინაძესთან და სხვებთან ერთად) აფხაზეთში ე.წ. დისპროპორციული (28 : 26 : 11 კვოტებით), სინამდვილეში კი აპარტეიდული საარჩევნო კანონის მიღება. **კანონისა, რომელმაც იმთავითვე განაპირობა მიღებული სავალალო შედეგები.** ეს კაცი, ბატონ ლომინაძესთან ერთად, ურცხვად ატყუებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაესი საბჭოს სხდომაზე ისე წარუდგენდა აფხაზეთს, თითქოს იქ სრული იდილია ყოფილიყო; სწორედ იგი არწმუნებდა ყველას ზემოხსენებული დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების აუცილებლობაში და მის ეფექტურობაში, იმაზე კი არაფერს ამბობდა, რის სანაცვლოდ უნდა დაეთმო ქართულ მხარეს ასე საკუთარი ინტერესები.

სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე გვქონდა ფარულ გარიგებასთან, გაუგონარ ღალატთან – დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების სანაცვლოდ, ნუგზარ მგალობლიშვილის ჯგუფი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანდა თავის კანდიდატურას (სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს ან თავად ნუგზარ მგალობლიშვილს), რომელიც ვ. არძინბასთან ერთად, ერთ პაკეტში იქნებოდა არჩეული. ყოველივე ეს მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც უმაღლესი საბჭოს მუშაობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, ეს შეთანხმება უხეშად დაირღვა. საქმე ის გახლდათ, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის მინისტრთა საჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურა დაასახელა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ მათი გეგმა ჩაიშალა.

ამ მოვლენების თვითმხილველი თავად გახლდით, როგორც დეპუტატთა ქართულ-აფხაზური შემთანხმებელი კომისიის რიგითი წევრი. ერთ-ერთ სხდომაზე, ჩემს გარდა, ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ბატონები: ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე, ა. გასვიანი და შს მინისტრი გ. ლომინაძე (არადეპუტატი), ხოლო აფხაზურ მხარეს - კ. ოზგანი, ს. ბაღაფში, დ. ფილია და ასევე არადეპუტატი ა. ჯერგენია. მსჯელობისას მე ხმამაღლა შევნიშნე: რატომ აკეთებთ ამას, ამის გაკეთება არ შეიძლება-მეთქი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია, ჩემსკენ არც გამოუხედავთ. შეწყობილი საუბარი რატომღაც, არადეპუტატებს - გივი ლომინაძესა და ანრი ჯერგენიას შორის მიმდინარეობდა, სხვები კი უბრალო სტატისტის როლში იმყოფებოდნენ (გვ. 98–99).

რა დამავიწყებს, როგორ გარბოდა ნუგზარ მგალობლიშვილი თავისი ჯგუფის თანხლებით პარლამენტის სხდომებიდან! ამ ადამიანების უგერგილობასა და უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც აღარ ღირს - მათ ხომ სხვებზე ბევრად ადრე მიატოვეს აფხაზეთი?! მაგრამ აფხაზურ მხარესთან მიღწეული შეთანხმების დარღვევა უკვე აშკარა ღალატი იყო! ეს იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ ანაცვალებენ ზოგიერთები საკუთარ ამბიციებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

ის, რაც აფხაზეთში ჩაიდინეთ თქვენ და თქვენმა თანამზრახველებმა, მათ შორის და პირველ რიგში თქვენი თავკაცობით (აფხაზურ მხარესთან გარიგებით!) მიღებული აპარტეიდული საარჩევნო კანონი საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის, ჩვენო „ძვირფასო», **ნუგზარ! ეს თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ არის უმაღლესი დონის შადიმანობა - შადმიანობის მწვერვალი!**

ხალხმა იცის ყველაფერი ეს, და მას თქვენ უკვე ვერ მოატყუებთ!

სულ ტყუილად ცდილობთ, ეროვნულ მოძრაობასა და ეროვნულ დროშას ამოეფაროთ და ასე საკუთარი ორგულობა მიჩქმალოთ! ჩვენს ქვეყანას, თუნდაც უკანასკნელ წლებში, არაერთი ასეთი შადიმანობა ახსოვს, კარგად მიადევნეთ თვალ-ყური, აი, რა არის შადიმანობა:

– **შადიმანობაა,** როდესაც მტერს ხელს უწყობ ან კიდევ განზე დგები და არაფერს აკეთებ შენს ქვეყანაში არსებული

პრობლემების მოსაგვარებლად;

– შადომანობაა, როდესაც საკუთარ ამბიციებს ქვეყნის ინტერესებს ანაცვალებ, რასაც მოჰყვება სისხლისღვრა და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი;

– შადიმანობაა, როდესაც ხელისუფლების სისხლიან გადატრიალებას აწყობ ან მასში მონაწილეობ;

– შადიმანობაა, როდესაც საკუთარი ქვეყნის ერთ–ერთ ძირძველ კუთხეში შეიარაღებული კრიმინალური შენაერთებითა და ჯავშანტექნიკით გაილაშქრებ მშვიდობიანი მოსახლეობის „მორჯულებისა“ და მათი გონზე „მოყვანის“ მიზნით;

– შადიმანობაა, როდესაც საღ აზროვნებას მოკლებული, უგუნური და წინდაუხედავი ქმედებებით, მათ შორის, ფსევდომეცნიერული პუბლიკაციებით ხელს უწყობ საზოგადოების დესტაბილიზაციას, ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებასა და ეთნოკონფლიქტს;

– შადიმანობაა, როდესაც გარბიხარ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებიდან თუ სესიებიდან და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს უბრძოლველად აბარებ ბურთსა და მოედანს;

– შადიმანობაა, როდესაც პატარა აფხაზეთში ორხელისუფლიანობის პრეცედენტს უშვებ - ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობისთვის ცალკე ქმნი ალტერნატიულ მთავრობებს - უმაღლესსა და მინისტრთა საბჭოებს ყველა შესაბამისი სამსახურით, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურებით (პროკურატურა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, უმაღლესი სასამართლო და სხვ.) და ამით ხელს უწყობ ფეთქებადსაშიშ გარემოს ჩამოყალიბებას;

– შადიმანიბაა, როდესაც სამეგრელოს ართმევ საქართველოსთვის აფხაზეთის შენარჩუნების ისტორიულ მისიას, უწყობ დაუსრულებელ ეგზეკუციებს და აოხრებ მას, რათა ზურგი მოერღვეს სამშვიდობო თუ სამხედრო ძალისხმევას, აფხაზეთის უფრო უპრობლემოდ გასხვისების მიზნით;

– შადიმანობაა, როდესაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ძალის გამოყენებას ამჯობინებ;

– შადიმანობაა, როდესაც თითქოსდა საგზაო კომუნიკაციების გაკონტროლებისა და სარკინიგზო შემადგენლობის დაცვის მიზნით, ავტონომიურ რესპუბლიკაში კრიმინალებისგან შემდგარ შეიარაღებულ ფორმირებებსა და მძიმე ჯავშანტექნიკას აგზავნი და საომარ მოქმედებებს იწყებ;

– შადიმანობაა, როდესაც ომის დროს პირწმინდად ძარცვავ საკუთარ მოსახლეობას, შემდეგ კი გამორბიხარ ბრძოლის ველიდან და მას მტერთან პირისპირ ტოვებ;

– შადიმანობაა, როდესაც გუმისთის მსგავსად, ბზიფზე ასევე გამყოფი სამშვიდობო შეიარაღებული ძალების ჩაყენება „გავიწყდება“, გაგრის ზონაში ტოვებ მძიმე ჯავშან-ტექნიკას, თავქუდმოგლეჯილი გამორბიხარ ბრძოლის ველიდან და გულდამშვიდებული ბრუნდები შინ;

– შადიმანობაა, როდესაც უგულებელყოფ და ანგარიშს არ უწევ (არაერთგზის!) მოწინააღმდეგის წინადადებებს ბრძოლის შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის რეალურ შესაძლებლობებს;

– შადიმანობაა, როდესაც ყველას არწმუნებ, რომ აფხაზეთი საიმედოდაა დაცული, მოუწოდებ მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაუბრუნებას, სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ანახლებ სწავლას, მაშინ როდესაც ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში ამგვარი რამ ფიქრადაც არავის მოსვლია თავში; შემდეგ კი, სოჭის 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე, ცალმხრივად განაიარაღებ საკუთარ სამხედრო შენაერთებს, აწყობ ანტიაფხაზურ მიტინგებს და ხელს უშლი გუდაუთაში გადახვეწილ კანონიერი ხელისუფლების აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნებას, რასაც მოსდევს საომარი მოქმედებების განახლება და, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აბარებ მოწინააღმდეგეს ჯერ სოხუმს, მერე კი მთელ აფხაზეთს; **აი, უმაღლესი დონის შადიმანობა!**

– შადიმანობაა, როდესაც სოხუმიდან უკან გამოიწვევ რვა ათასამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს ისე, რომ არ გა-

ნაიარაღებ კოდორზე დაბანაკებულ 300 კაცამდე მოწინააღ-
მდეგის შეიარაღებულ რაზმს და არ აძლევ დაუცველ მშვი-
დობიან მოსახლეობას ოჩამჩირის მიმართულებით გამოს-
ვლის საშუალებას, რითაც სასიკვდილოდ წირავ მას;

– შადიმანობაა, როდესაც ოჩამჩირის რაიონში დაბანაკე-
ბული, კბილებამდე შეიარაღებული 9 ათასამდე სამხედრო
შენაერთები ასევე უბრძოლველად ტოვებენ ოჩამჩირისა და
გალის ტერიტორიებს ისე, რომ მწყობრიდან არ გამოჰყავთ
საგზაო კომუნიკაციები, რათა აღნიშნული რაიონების მოსახ-
ლეობას მოესწრო უფრო ორგანიზებულად და უსაფრთხოდ
გამოსულიყო სამშვიდობოზე;

– **შადიმანობაა,** როდესაც არ ხსნი ახალ ფრონტის ხაზს
მაჭარკასა თუ კოდორზე და დაუცველ სოხუმისა და გული-
რიფშის მოსახლეობას ტოვებ გააფთრებულ მოწინააღმდე-
გის პირისპირ და ასე საკენ-ჭუბერის - ჯოჯოხეთის გზას გა-
უყენებ;

– შადიმანობაა, როდესაც საომარი მოქმედების განახლე-
ბის მიზნით გალის რაიონის ქვედა ზონაში აწყობ მარულას,
შემდგომ იქ ავტომატის მხოლოდ ერთი მჭიდითა და ერთი
ხელყუმბარით შეიარაღებული სამხედრო შენაერთები შეგ-
ყავს, რომლებიც უმალვე ტოვებენ იქაურობას და მოტყუებ-
ულ მოსახლეობას ტოვებ მტრის პირისპირ, იმის მოლოდინ-
ში, რომ იგი ამოჟუჟავს ათასობით ქართველს და ამით მტრის
მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გენოციდის
უტყუარ საბუთს მიიღებ;

– შადიმანობაა, როდესაც დეპუტატები სენაკში ჩატარე-
ბულ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მილიტარის-
ტული შეძახილებით ამხნევებენ და მხარს უჭერენ საკუთა-
რი ხალხის გენოციდის მომწყობ მოღალატე ხელისუფლებას;

– შადიმანობაა, როდესაც თავად არ ცდილობ და სიცრუ-
ით, ცილისწამებითა და დემაგოგიით ხელს უშლი იმათ, ვისაც
აქვს სურვილი და გააჩნია უნარი ხელი შეუწყოს მოწინააღ-
მდეგე მხარეებს შორის მიმდინარე შერიგების პროცესს;

– **შადიმანობაა,** როდესაც მოწინააღმდეგის ბანაკში ცნო-
ბადი სახეებისგან ქმნი წინააღმდეგობის ჯგუფს და ამ დროს
შენი მხარის წარმომადგენელი გასცემს მხარეებს შორის
აფხაზური ეროვნების შუამავლებს, რის შედეგადაც აპატიმ-
რებენ მათ (იხ. გვ.114-115);

– **შადიმანობაა,** როდესაც სოხუმის დაცემამდე ორი დღით
ადრე, ვ. არძინბას წინადადებას ე. შევარდნაძესთან შეხვედ-
რისა და მასთან მოლაპარაკების შესახებ ამ უკანასკნელის
მითითებით ჟენევის ფორმატით პასუხობ. „ჟენევის ფორმა-
ტი სულ სხვაა, მე მინდა შევხვდე ბატონ შევარდნაძეს პირის-
პირო“, - ამბობს არძინბა, მაგრამ შევარდნაძე თავს არიდებს
მასთან შეხვედრას და სთხოვს საგარეო საქმეთა მინისტრს,
ალექსანდრე ჩიკვაიძეს და კანცელარიის აპარატის უფროსს,
ვაჟა ლორთქიფანიძეს: „უთხარით ვ. არძინბას, რომ ვერ მომ-
ძებნეთ და ვერ დამიკავშირდით“ (იხ. გვ. 395-396). **ორ დღეში
კი ეცემა სოხუმი!**

ეს არის შოკისმომგვრელი შადიმანობა, ბატონო ნუგზარ!

– **შადიმანობაა,** როდესაც ჩემი (როგორც ქართულ-აფხა-
ზური მოლაპარაკებების მონაწილის) ძალისხმევით, აფხაზუ-
რი მხარის მხარდაჭერითა და თანადგომით, ქართულ-აფხა-
ზური დიალოგი მოსკოვური შეხვედრებიდან უბრუნდება
თავის პირვანდელ მდგომარეობას და კონფლიქტი ისევ ში-
დარეგიონულ ხასიათს იღებს - უარს ვამბობთ დიალოგის ჟე-
ნევასა და მოსკოვში წარმართვაზე და მოლაპარაკების პრო-
ცესი გადმოგვაქვს სოხუმსა და გალში. მხარეები ვთანხმდე-
ბით დევნილი მოსახლეობის მასობრივ და უსაფრთხო დაბ-
რუნებაზე; ექსპერტების დონეზე ხელს ვაწერთ დოკუმენტს,
რომელიც, დევნილთა დაბრუნების გარდა, აფხაზეთს საქარ-
თველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, სამრთლებრივ
სივრცეში განიხილავდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის პრეზი-
დენტი ე. შევარდნაძე არ ღებულობს მოსკოვის მოლაპარა-
კების ქართველ მონაწილეს და ხსენებული პროექტის თანა-
ავტორს - თქვენს მონამორჩილს, ხოლო სამი დღის შემდეგ

გალის შემოგარენში ეწყობა დივერსიული ტერაქტი, რის შედეგადაც იღუპება აფხაზური მილიციის შვიდი მაღალჩინოსანი, რაც გალში დაგეგმილ შეხვედრისა და, საერთოდ, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ჩაშლას იწვევს (იხ. გვ. 176-180). **აჰა, მართლაც და შადიმანობის ნიმუში!**

– **შადიმანობაა,** როდესაც ვლადიმერ პუტინი სთავაზობს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ვაჟა ლორთქიფანიძეს, ინაუგურაციის შემდეგ პირისპირ შეხვედრას და აფხაზეთთან დაკავშირებული ყველა მტკივნეული პრობლემის მოგვარებას აფხაზების ინტერესების გათვალისწინებინით, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ ჩადის დანიშნულ დროს მოსკოვში იმ უბრალო მიზესის გამო, რომ ედუარდ შევარდნაძე მას, ერთი კვირით ადრე, ათავისუფლებს თანამდებობიდან! (იხ. გვ. 209-210); **აი, ესეც კიდევ ერთი უმაღლესი დონის შადიმანობა!**

ბატონო ნუგზარ, ახლა ხომ გესმით, თუ რა ყოფილა შადიმანობა!

მოდით, გადავავლოთ თვალი აქ ჩამოთვლილ გამაოგნებელ შადიმანობათა მრავალფეროვნებას და ვნახოთ, რომელი არ შეესაბამება სიმართლეს! იქნებ მითხრათ, დამარწმუნოთ?! კაცურად მივიღებ თქვენს ყველა შენიშვნას, ოღონდ თქვით, დაასაბუთეთ, რომ არ იყო ისე, როგორც, ვწერ და გპირდებით, ჩავასწორებ **შადიმანობის ჩემეულ ჩამონათვალს.** მაგრამ ვშიშობ, ძალიან გაგიჭირდებათ ამის გაკეთება!

ის, რაც „იშადიმანა“ ხელისუფლებამ, ეჭვსგარეშეა, ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ქილიკისა და „სიბნელეში შავი კატის ძებნის“ ნაცვლად, აჯობებდა ამაზე გემსჯელათ და გამოგეტანათ უმაღლესი საბჭოს მართლაც ისტორიული დადგენილება სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ! მაგრამ ამას ქვეყნის, ხალხის სიყვარული და გამბედაობა სჭირდება! თქვენ კი ამას, უბრალოდ, ვერ მოგთხოვთ!...

აქ მოყვანილი ფაქტების შემდეგ, თითქოს ყველა ცოდვაში ვადანაშაულებდე ქართულ მხარეს - ქართველ ხალხს და

დათაფლული სიტყვებით მოვიხსენიებდე აფხაზურ მხარეს, უსაფუძვლოდ ხომ არ გეჩვენებათ, ბატონო ოპონენტებო?! თუმცა თქვენგან რაღა უნდა მიკვირდეს! როცა საჭირო იყო, ერთხელაც არ ამოგიღიათ ხმა პროტესტის ნიშნად და არ მიგიციათ პოლიტიკური შეფასება ყოველივე იმისთვის, რაც ხდებოდა აფხაზეთში. სდუმდით და დღემდე გაჩუმებულხართ, ხოლო როდესაც ხმა ამოვიღე და მივმართე ღია მამხილებელი წერილით ქვეყნის დამაქცეველ შევარდნაძეს, თქვენ მას „გარედან მიკერებული“ ჯიბე უწოდეთ. რატომ თქვენ არ მიაკერეთ ჯიბე შიგნიდან?! **ეს არის თქვენი კიდევ ერთი შადიმანობა და სწორედ ესაა ჩვენს შორის სხვაობა, „ძვირფასო“ ოპონენტებო!**

ჯერ ერთი, ნუ აიგივებთ ქართულ მხარეს ქართველ ხალხთან. როდესაც ქართულ მხარეს ვახსენებდი, ყოველთვის ვგულისხმებოდი ქვეყნის სათავეში სისხლითა და მახვილით მოსულ დამნაშავე ხელისუფლებას და მის გვერდით მდგარ ადგილობრივ თუ გარედან მოვლენილ დესტრუქციულ ძალებს, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს. ასევე ვგულისხმობდი ჩვენი რესპუბლიკის არაერთი თაობის ხელმძღვანელობას, რომლებმაც წლების მანძილზე გონივრული ვერაფერი დაუპირისპირეს საკუთარ ქვეყანაში სეპარატიზმის აღზევებას.

ანტიქართული განწყობა ათეული წლების მანძილზე მწიფდებოდა, თანაც ღიად, დაუფარავად, ყველას თვალწინ. ჩვენ კი, საუბედუროდ, ამის საპირწონედ ვერაფერი მოვიფიქრეთ. თავის დროზე უნდა შერჩეულიყო სწორი პოლიტიკური ორიენტირები და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყვეტილიყო საქართველის შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ესაა საქართველოს ხემძღვანელობის (და არა ქართველი ხალხის) არასწორი პოლიტიკის შედეგი. ასე, რომ თქვენი მინიშნებები იმის შესახებ, თითქოს ყველაფერს ქართველ ხალხს ვაბრალებდე, მტკნარი სიცრუეა!

უბედურება ისაა, რომ თქვენ და თქვენისთანები დღესაც, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ქვეყანაში მოხდა, ვერ აცნობიერებთ საკუთარ დანაშაულებრივ შეცდომებს და ისევ ძალისმიერ, მილიტარისტულ პოზიციას ინარჩუნებთ, რაც ყოვლად გაუმართლებელია!

თუ გვინდა აფხაზეთის დაბრუნება, უნდა დავიწყოთ გაუცხოების პროცესის შეჩერებით, რაც ამჟამად საკმაოდ ძნელია. ადრე კი ეს გაცილებით ადვილი იყო, რადგან აფხაზები მოდიოდნენ დილოგზე, რაც მათთან კონსესუსის მიღწევის ბევრად მეტ შანსს გვაძლევდა. ჩემი ოპონენტები დღენიადაგ გაჰკიოდნენ და დღესაც იმ აზრზე დგანან, რომ აფხაზებთან თანაარსებობა შეუძლებელი იყო. ასეთი სიცრუე კი იმისთვის სჭირდებათ, რომ გაამართლონ თავიანთ დესტრუქციული ქმედებები, გადაფარონ ის უგუნურება და დანაშაული, რაც აფხაზეთში ჩაიდინეს.

ომის დროს და მის შემდეგაც არაერთხელ იყო შესაძლებელი აფხაზებთან კონსტრუქციული დიალოგი. ისინი ომიდან გამოსვლის გზებს ეძებდნენ, კომპრომისულ წინადადებსაც გვთავაზობდნენ (იხ. გვ.150-152; 153-158; 395-396), მაგრამ ამაოდ! ჩვენ ამის მზაობა არ გაგვაჩნდა: ყოველთვის, როგორც ვნახეთ ქართული მხარის საბედისწერო, ღალატის ტოლფასი შეცდომები უშლიდა ხელს საომარი მოქმედებების შეწყვეტას, ომიდან ღირსეულ გამოსვლას და დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში მშვიდობიან დაბრუნებას (იხ. გვ.177-187).

ეს ისეთი მწარე სიმართლეა, რომელსაც ჩემი ოპონენტები თვალს ვერ უსწორებენ, მაგრამ ჯიუტად მაინც დამნაშავეებს აფარებენ ხელს, მე კი მაბრალებენ, რომ უსაფუძვლოდ ვადანაშაულებ მათ და მტრის მხარეს ვიცავ; რომ დაბოღმილი და გაბოროტებული ვარ, რადგან მაღალ თანამდებობაზე არ დამნიშნეს. პირდაპირ საოცარია! მათ ხომ მშვენივრად იციან, სინამდვილეში რაც მოხდა? სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ადამიანს შუბლის ძარღვი ერთხელ თუ გაუწყდა, მერე იმას ვერაფერი შველის“!

იმ წუთიდან მოყოლებული, როდესაც ქვეყნის უზენაესი საბჭოს სხდომაზე, რომელსაც პრეზიდენტი ზ. გამსახურდია ესწრებოდა, ჩემი სახელი და გვარი გაჟღერდა, წინააღმდეგი ვიყავი მთავრობის თავჯდომარის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის განხილვის. მაშინ მე განვაცხადე, რომ ჩემთვის ეს იყო „ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე“, რადგან ექიმი ვიყავი და ამ სფეროში მუშაობის არანაირი გამოცდილება გამაჩნიდა. აფხაზეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ამას ისმენდნენ თემურ მჟავია და ნუგზარ მგალობლიშვილი. სოხუმში, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ აფხაზური ჯგუფის სხდომაზე, ზემოთ მოხსენებულ ბატონებთან ერთად, ჯემალ გამახარიაც იყო იმის მოწმე, თუ როგორ მოვიხსენი საკუთარი და მხარი დავუჭირე ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურას. შემდეგ კი, როდესაც ქართული დეპუტაციის შიდაფრაქციული კენჭისყრა ტარდებოდა, მე მივმართე აწ განსვენებულ თამაზ ნადარეიშვილს, რათა ჩემი კანდიდატურა კენჭისყრაზე არ დაეყენებინა. პროტესტის ნიშნად, კაბინეტიდანაც გავედი და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მივიღე. მიუხედავად ამისა, ჩემს კანდიდატურას გაუმარჯვია (ექვს კანდიდატს შორის), მაგრამ კენჭისყრის ოქმი „დაუპატიმრებიათ“ - ბატონ ნადარეიშვილის სეიფში ჩაუკეტავთ და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში არ გაუგზავნიათ.

იმ დროს მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელის გარეშე იყო დარჩენილი და მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ რა ხდებოდა იქ. საკმარისია ითქვას, რომ აფხაზური მხარე მონონაციონალურ სამხედრო ფორმირებებს ქმნიდა და გაუგებარი იყო, რით ინახავდნენ მათ. იმასაც ვხედავდი, თუ რა ბინძური თამაშები მიმდინარეობდა კულისებში - მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის ირგვლივ „გააქტიურდნენ“ გივი ლომინაძე და თამაზ ნადარეიშვილი. ჩემი კანდიდატურით მაშინ უკვე აფხაზური მხარეც დაინტერესდა. ვიცე-პრემიერმა სერგეი ბაღაფშმა და დეპუტატმა დავით ფილიამ მითხრეს, რომ ესაუბრნენ ე. შევარდნაძეს, შეუთანხმეს მას და აფხა-

ზებიც თანახმა იყვნენ ჩემს კანდიდატურაზე, მაგრამ მე მათ უარი განვუცხადე და თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა შევთავაზე. ამაზე, როგორც იტყვიან, „ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს“. ვთხოვე, რომ „აიდგილარას“ ხელმძღვანელობასთან და ვ. არძინბასთან შეხვედრაში დამხმარებოდნენ, მაგრამ მოსმენაც აღარ ისურვეს: „ჩვენ შენ გეცით პატივი, დაგიჯერეთ და იგი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ავირჩიეთ. მერე და რა? ხედავთ, რას სჩადის?! მორჩა, გათავდა, ყველა ლიმიტი ამოწურულია!“. ასეთი იყო მათი ვერდიქტი!

მეორე დღესვე მოვიწვიე ნეიროქირურგიულ ცენტრში ჩემი პატარა ჯგუფის წევრები: აწ განსვენებული კიმი ჯაჭვლიანი, აკაკი გასვიანი და თავად ჯემალ გამახარია (შემდგომში ჩემს გასაქილიკებლად შექმნილი პასკვილების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და ავტორი), ჩავაყენე ისინი საქმის კურსში, ავუხსენი, რომ ორივე მხარე - თბილისიც და სოხუმიც - თანახმაა ჩემს კანდიდატურაზე, მაგრამ მე ამის თაობაზე უკვე მივიღე გადაწყვეტილება და, თუ აფხაზეთში ომი არ გვინდა, ბატონი თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურის ირგვლივ უნდა ვიმუშაოთ-მეთქი. ისინი იმდენად აღტაცებული დარჩნენ ჩემი გადაწყვეტილებით, რომ ერისკაცად მომნათლეს!

შემდგომ გაგრძელდა ბრძოლა ამ მაღალი და მასთან დაკავშირებული სხვა თბილი სავარძლებისთვის. უნდა ითქვას, რომ მავანთა „კაიკაცობა“ მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც აქტიურად ჩავერთე მოლაპარაკების პროცესში, რათა ჩვენთვის სტრატეგიული ზემოხსენებული უწყების, შს სამინისტროს და სახუმისა ან გაგრის თავკაცად ქართული ეროვნების წარმომადგენელი დაგვენიშნა. ამისთვის ცალკე ვხვდებოდი აფხაზური მხარის ლიდერებს - ვ. არძინბას, კ. ოზგანს და უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს და ხშირად, ღამღამობით, გუდაუთაშიც ჩავდიოდი ხოლმე. მახსოვს კ. ოზგანის სიტყვები: **„თქვენ რაზე იკლავთ თავს, როდესაც ნადარეიშვილი და საზოგადოება „სოხუმელები“** (რ. სიჭინავა, გ. გვაზავა) **შინაგან საქმეთა სამინისტროს და ორივე ქალაქს - სოხუმსა და გაგრას გვითმობენ. გაუგებარია, რატომ ხართ ასე შეწუხებულიო?“** (იხ. გვ. 68). მე შემდგომშიც არ ვთმობდი ჩემს პოზიციას, როდესაც ეს საკითხი ომამდე ათიოდე დღით ადრე იხილებოდა ქართულ-აფხაზურ დეპუტატთა შემთანხმებელ კომისიაზე (იხ. გვ. 70-72), რომელსაც, სხვათა შორის, თავად ნუგზარ მგალობლიშვილიც ესწრებოდა. პარალელურად ვმუშაობდი აწ განსვენებულ ოთარ ზუხბაიას ან ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთი უპრეცედენტო ფაქტიც: როდესაც საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, გურამ აბსანძის დაჟინებული თხოვნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭს ვიყრიდი, საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას, **ბატონ თემურ მჟავიას დავალებით, ქალბატონმა ასტემოროვამ ხელში ტელეფონი შემომაჩეჩა. ხაზზე გახლდათ იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, რომელმაც ძალზე დელიკატურად შემომთავაზა: მომეხსნა საკუთარი კანდიდატურა და გზა დამეთმო თემურ მჟავიასთვის. მე, რა თქმა უნდა, გავითვალისწინე ადეიშვილის ეს „თხოვნა“ და თემურ მჟავია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მოგვევლინა!**

ყოველივე ამის შემდეგ თემურ მჟავია და ჯემალ გამახარია მაინც ურცხვად მიწოდებენ დაბოღმილსა და გაბოროტებულს... მით უფრო, რომ კარგად იციან - **თამაზ ნადარეიშვილი ან გივი ლომინაძე რომ დაგვენიშნა მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, აფხაზეთი ომს გადაურჩებოდა! (იხ. გვ. 121; 125). ომი არ გახდებოდა მაშინ საჭირო და ისინი აფხაზეთში ტანკებს არ შემოიყვანდნენ!**

მართლაც აღმაშფოთებელია, როდესაც ადამიანი უტიფრად ცრუობს და თავს უფლებას აძლევს, რეალობად გაასაღოს არმომხდარი, არარსებული! ყოველივე ეს ხომ სცილდება იმ ზღვარს, რომლის იქით ადამიანი წყვეტს ადამიანობას!

მაგრამ, რა დროს რიტორიკაა, როცა ეს ბედოვლათები

„მეგრული სეპარატიზმის“ გაღვივებასაც მაბრალებენ?

ალბათ, სეპარატიზმის ხელშემწყობად იმიტომ მიმიჩნევენ, რომ ჩემში განუზომელ სინანულსა და ტკივილს იწვევს ყოველივე ის, რაც აქ, კოლხეთში მოხდა და რასაც „წალენჯიხის ზარები“ მუდამდღე გვახსენებენ. თუკი კოლხეთის სატკივარი ჯემალ გამახარიაზე, თემურ მჟავიასა და ნუგზარ მგალობლიშვილზე მეტად მტკივა, ეს რატომ უნდა ნიშნავდეს სეპარატიზმს?

ბატონო ჯემალ, თქვენი საყვარელი მეზღაპრე ლეონტი მროველისა და ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, **მეგრელებმა თავიანთი ყველაზე მთავარი მონაპოვარი - სახელმწიფობრიობა მსხვერპლად გაიღეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად და თქვენ რატომ გეშინიათ და რატომ არიდებთ თავს ამაზე საუბარს?** თქვენი მეგობრების, „დიდი“ მეცნიერების - თეიმურაზ გვანცელაძის, ტარიელ ფუტკარაძის და მათი ძმების ხომ არ გერიდებათ, რომლებიც გვამცნობენ, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც კახური, ჯავახური, იმერული, გურული, აჭარული და სხვანი. აბა, გაუგია ვინმეს „კახური ენა“, „გურული ენა“ „ჯავახური ენა“ და ა.შ. ისინი აცხადებენ, რომ მეგრულ-ლაზურის და სვანურის ცალკე ენებად აღიარება ზიანს მოუტანს ქართველთა ერთიანობას და ასეთი რამ არ უნდა დავუშვათო.

ბატონი ფუტკარაძე უფრო შორსაც მიდის: „მეგრელებმა უნდა აღიარონ, რომ მეგრული ენა არ არის, ანდა აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან!“ ეს მან ჯერ კიდევ 2002 წელს, ქუთაისში ჩატარებულ „ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმზე“ განაცხადა და შეიტანა მათ მიერ მიღებული მემორანდუმში. ამის შემდეგ, სულ ახლახან, მან კიდევ ერთხელ განაცხადა: **„ყველამ კარგად უწყის, რომ მეგრული და სვანური ენები არიან და ჩვენი თეორიის საპირწონედ, ისინი ამას თუ დაამტკიცებენ, დავიღუპებით. არც ერთი ნაბიჯი უკან, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მსოფლიო დონეზე იმას, რომ მეგრული იქნას აღიარებული როგორც დიალექტი. სვანური ისე საშიში არ არის, როგორც მეგრული!“.**

ეს წიგნში არ მიხსენიებია, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყოველივე ამან დადებითი ემოციები გამოიწვია ჩემში.

ნეტავ, როდის ეცილებოდა მეგრული ან სვანური ენა ზოგად ქართულს, როდის ჰქონდათ მათ ამის პრეტენზია?

ბატონო ჯემალ, ის კი არ არის საგანგაშო, რაზეც მე ვწერდი და ვტკბებოდი მეგრული ენის ფანტასტიკური ჟღერადობითა და შესაძლებლობებით, რასაც მე სრულიად შემთხვევით მივაქციე ყურადღება, როდესაც დავფიქრდი იმაზე, თუ რატომ მოიხსენიებდნენ აუგად ასე ხშირად მეგრულ ენას. საგანგაშო ის უფროა, თქვენ რომ გეთაკილებათ მეგრელობა და მეგრულად მეტყველება. მეგრული თავისი ლექსიკითა და ზმნათა ამოუწურავი შესაძლებლობებით, სხვა ენებთან შედარებით, მართლაც გამორჩეულია - ამას ლინგვისტები, მსოფლიო დონის მეცნიერებიც აღიარებენ! ნუთუ მსჯელობა იმ ენის შესახებ, რომლის ლექსიკური რესურსი უსაზღვროა, სინონიმური სიმდიდრე კი აურაცხელი, უმეცრება ან სეპარატიზმია?! რატომ არ შემიძლია ამით დავტკბე? ან თქვენ თავად რატომ არ დაფიქრებულხართ ამაზე, ვისი გეშინიათ, ვინ შეგიშალათ ხელი?! ხომ არ შიშობთ, რომ მეგრულ სეპარატიზმში დაგდებენ ბრალს?! სხვაგვარად, რატომ ხართ ასე გულგრილი ასეთი მოვლენების მიმართ? უხერხულად რატომ მიგაჩნიათ იმ ენაზე საუბარი, რომლითაც აიდგით ფეხი და შეერწყეთ სამყაროს? უცნაურია, რატომ მიგაჩნიათ თქვენი „ნანაშ ნინა“ სხვა ენის კილოკავად ან დიალექტად?

თქვენი და თქვენი მეგობრების ხელაღებული დამოკიდებულება საკუთარ „ნანაშ ნინასთან“ საზღვრებს გასცდა (პირდაპირი გაგებითაც) და „თვისტომის დამწუნებელს“ უკვე „სარდაკიას“ გადარებენ სახელობით მოძღვნილ ლექსებში (იხ. გაზეთი „ილორი“ (N223 (282), 11-18 ივნისი, 2013 წ.: „ეს ლექსი „ეძღვნება“ ბატონ ჯემალ გამახარიას და ყველა იმ კოლხს, რომელსაც საკუთარი „ნანაშ ნინა“ დიალექტად

მიაჩნია“. ინტერნეტშიც შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: **http://wikisource.org/wiki/.** ლექსის სათაურია **„ვოურჩქილათ გამახარიას“**). დარწმუნებული ვარ, უკვე წაიკითხავდით, მაგრამ მცირე ამონარიდი მაინც მინდა შეგახსენოთ, თუ რას გწერთ **გია ოკუჯავა** გერმანიიდან:

„კოლხურ ნინაქ ვემედინას, გური თეშე კანკალანს, ლაშას ოკო ურჩქილათ დო არძაქ ჯგირო დეფიფქრათ: „უმინჯ ვანა - ჩხონაფილქ თქუ, სარდაკიაქ დაჟღირუა, ქემინჯით დო გაქშაბურცხეთ უმოღე დო ნაჟირუა“. „სარდაკიეფ“ ქართის ძირნა, „ოჭყორდუნა“ მარგალური, მენცარობას იჩემენა, სერით ვაუღუნა რული. „დიალექტი“ ოფე თურმე, მედეაში კოლხურ ნინა, ჯვეშფბს მუჭო შეხვადუნა, სო ულამნა ირო რინა! - აბა, უკეთესად რა გითხრა?...

მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, დავსძენ, რომ „სარდაკია“ სარეველას ნიშნავს და ავტორი ასე უწოდებს მათ, ვინც თბილისს იხილავენ თუ არა, ივიწყებენ მეგრულს, მეცნიერად მოაქვთ თავი...

როდესაც კოლხურ ენასა და კულტურაზე ვსაუბრობთ, მახსენდება ჩვენს თანასოფლელ, საქვეყნოდ ცნობილ მწერალსა და მეცნიერთან - **ლადო (ვიტალი) ალფენიძესთან** საუბრები. ახლახან ხელმეორედ გადავიკითხე მისი **„სფინქსის ღიმილი“**, **„საქართველო - ღვთისმშობლის ქვეყანა“** და ძალზე ვისიამოვნე. ამ გამოჩენილმა ქართველმა, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, რამდენი დრო და ძალისხმევა მოანდომა კოლხური (პროტო-ქართველური) ენის ძირების მოძიებას, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მისი როლისა და ადგილის პოვნას. ამ ენის განვრცობის არეალის დასადგენად მას არ დაუტოვებია მსოფლიოს არც ერთი კულტურული კერა, რამდენი აღმოჩენით დამტკბარა და რამდენჯერ წამოუძახია „ევრიკა!“. თქვენ კი, რა დაგემართათ, ბატონო ჯემალ? რა ღმერთი გაგიწყრათ! თქვენც ხომ იმ სოფელში დაიბადეთ და იგივე სკოლა დაამთავრეთ, რომელშიც ჩვენი სასიქადულო ლადო ალფენიძე სწავლობდა? რამ შეგაშინათ,

რამ შეგაძულათ ასე ჩვენი ენა, მეგრული?!

მეგრული ენა, ისევე, როგორც სვანური, ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრეა, ქართული კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია - ასგზის გავიმეორებ ამას და არა თუ შემრცხვება, ვიამაყებ კიდეც ამით!

ჩვენში იმის აღიარება კი არ არის საგანგაშო და საფრთხის შემცველი, მეგრელი კაცი მეგრულად რომ საუბრობს, არამედ ის, კახელს შეუძლია თქვას, რომ კახელია, ქართლელს - რომ ქართლელია, გურულს - რომ გურულია, მეგრელს კი ეშინია თქვას, რომ ის მეგრელია, - ვაი და, ვინმემ სეპარატისტობა არ დამწამოსო. ასეა, ბატონო ჯემალ, სწორედ ეს არის ის, რასაც თქვენ აკეთებთ: თავს ესხმით ჩემისთანა უცოდველ კაცს და ათასგვარ ცოდვაში ადანაშაულებთ, მათ შორის „მეგრული სეპარატიზმის“ გაღვივების მცდელობაშიც მდებთ ბრალს! თქვენც კარგად გესმით, როგორ სცოდავთ, მაგრამ, ალბათ, „ასე იყო საჭირო“ და რა უნდა გექნათ?! ამიტომ ეს არც გამკვირვებია. მე სულ სხვა რამ მაოცებს: რატომ არ გამოგიხატავთ პროტესტი, როცა სამეგრელოს ველურებივით შეესივნენ („მხედრიონელები“, გვარდიელები) და გაძარცვეს, გადაწვეს, ააოხრეს იგი - სულში ჩააფურთხეს მეგრელ კაცს, კერია შეურაცხყვეს, ქმარს თვალწინ ცოლი გაუუპატიურეს, მამას და ძმას კი - შვილები და დები! სხვა რომ არ ვთქვათ, მარტო ის ფაქტი შეგზარავს კაცს, რაც ხვიჩიების ოჯახში დატრიალდა: ჯაბას გამოზრდილმა კაციჭამიებმა საწოლქვეშ შეაგდეს ოჯახის მამა, ზედ იმავე საწოლზე გააუპატიურეს მისი მეუღლე - ოჯახის დედა, მერე უბედურ მამას აყურებინეს, როგორ აუპატიურებდნენ მის 15 წლის ქალიშვილს და წავიდნენ... გულშემოყრილმა მამამ საფლავი გათხარა, ცოლშვილი დახოცა, თვითონაც მოისწრაფა სიცოცხლე და ზედ გადაემხო სამარეში (დიტო ჩუბინიძე, გაზეთი ასავალ-დასავალი“ 2005, 14-20 ნოემბერი, №46 გვ.3).

თქვენ თუ გაგიგიათ ამაზე და სხვა მსგავს უბედურებებზე, რის გამოც დღემდე რეკავს „წალენჯიხის ზარები“, ბატო-

ნო ჯემალ? სიმართლე რომ გითხრათ, არ მახსოვს, რომ ამით და სამეგრელოს სხვა პრობლემებით შეწუხებულიყავით. ის კი ვიცი, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდასაჭერ მიტინგზე ხშირად გამოდიოდით ზუგდიდში. როდესაც მე (უმაღლესი საბჭოს წევრებიდან ერთადერთმა) ამოვიღე ხმა და შეკითხვებით სავსე ღია წერილით მივმართე ქვეყნის დამაქცეველ შევარდნაძეს, თქვენ და თქვენმა თანამოკალმემ, როგორც უკვე ავღნიშნე, ქილიკით შეეგებეთ ამ ფაქტს. რატომ?!

საოცარია, ის ყველამ კარგად მიიღო, თქვენს გარდა. ალბათ, იმიტომ, რომ მისი ავტორი თქვენისთანა პოლიტიკანების დონის არ აღმოჩნდა და „სტანდარტების“ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა! მაშინ თქვენ სად იყავით, რატომ სდუმდით? რატომ არ იღებდით ხმას და რატომ ხართ დღემდე დადუმებული?!

ამის შემდეგ ჯემალ გამახარია, თემურ მჟავიასთან ერთად მებრძვის საკუთარი მოსაზრებების „იმპერატიულობისთვის“, რაც, არც მეტი - არც ნაკლები, ნეობოლშევიზმის სინდრომია. სწორედ ამ სინდრომით იყო დაავადებული წინა ორი ხელისუფლება („მოქალაქეთა კავშირი“ და „ნაციონალური მოძრაობა“), რომლებიც კოლხეთს და კოლხებს „პროვინციულ ფაშიზმში“ და აფხაზეთის გასხვისებაში სდებდნენ ბრალს. **აი, ეს არის ჩვენი ბედის ირონია!**

ბატონი ჯემალი ოსტატურად (მუხანათურად) იყენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს, რომლებსაც „მეგრული სეპარატიზმის“ სათავეებთან მივყავართ, იგი აშორდიას და ისაკ ჟვანიას მემკვიდრეთაც კი მაცხადებს და იქვე დასძენს: „რა საქმე აქვს ნაპოს სხვადასხვა ორღობის „აკადემიებში“ მოკალათებულ ძველ პარტნომეკლატურასთანო?“...

პარტნომენკლატურაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება ორღობის „აკადემიებს“, **ჩემი აკადემიკოსები არიან ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო მარი**, რომლებიც იზიარებენ, როგორც

უკვე აღვნიშნე, იმ მოსაზრებას, რომ ოდესღაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს იბერია ერქვა და იქ მცხოვრები მოსახლეობა ერთმანეთს ესაუბრებოდა ზანური (მეგრულ-ჭანური) ენით. ამაზე მოგვითხრობს იოსებ ყიფშიძეც, რომელიც, ჯ. გამახარიასა და თ. მჟავიას თუ დავუჯერებთ, პირველი სეპარატისტი უნდა იყოს, რადგან გამოკვეთილად მიგვანიშნებს, რომ მეგრული იგივე იბერული ენაა. ამაზე უფრო მოგვიანებით და უფრო ვრცლად!

ასეთ „ორღობის“ აკადემიაში, რა თქმა უნდა, არაფერი ესაქმებათ ჩემს „კეთილ“ ოპონენტებს და მათ მეგობრებს, „დიდ“ მეცნიერებს - ტარიელ ფუტკარაძეს, თეიმურაზ გვანცელაძეს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს და სხვებს.

ძალიან რთულ და დაძაბულ დროში გვიხდება ცხოვრება: **კაცმა სადმე მეგრულად რომ წაიღიღინოს, სულ მცირე, „მეგრელ სეპარატისტად“ შერაცხავენ!**

კიდევ ერთხელ პირდაპირ გეტყვით - ვინც „მეგრულ სეპარატიზმზე“ ლაპარაკობს და სხვებს ადანაშაულებს ამ უკეთურ საქმეში, ის თავად არის „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი და პროვოკატორი. საქართველოს სიყვარულში ერთმანეთს ცილისწამებით არ უნდა გავეჯიბროთ, რადგან ეს აუცილებლად უკუშედეგს გამოიღებს. **მხოლოდ სიმართლე თუ გადაგვარჩენს, რაგინდ მწარეც უნდა იყოს იგი!**

აფხაზეთის ომიდან დღემდე უამრავი დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ ხშირად უდანაშაულოებს აჰკიდებენ ხოლმე სხვათა ცოდვებს, დამნაშავეებს კი ღირსების ორდენებით აჯილდოებენ. **მეგრულ სეპარატიზმში ზვიად გამსახურდიასაც კი სდებდნენ ბრალს!.. ხოლო ქვეყნის დამაქცეველი ჯაბა იოსელიანი ზარზეიმით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში - ტერენტი გრანელისა და ელენე ახვლედიანის გვერდით, მაშინ როცა ექვთიმე თაყაიშვილს ასიოდე კაცი თუ მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე,** გზაზე, ხოლო იოსებ ყიფშიძე, სრულიად ახალგაზრდა – ორმოცდასამი წლის ასაკში, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა!...

ასეთია წუთისოფელი, ასეთია ეს ქვეყანა და რა უნდა გიკვირდეს!

მართლაც, რამ უნდა გაგაოცოს, მაგრამ მაინც მიკვირს: ჩემს წიგნებს სპეცსამსახურების თანამშრომლები ძირითადათ თქვენთან რომ ეძებენ, ბატონო ჯემალ! თუმცა ეს არ უნდა იყოს მთლად ცუდი, რადგან **იქაც არიან, ალბათ, წერაკითხვის მცოდნე ადამიანები, წაიკითხავენ და გაერკვევიან, ვინ ვინ არის!**

თქვენი წერილების და „განაჩენის“ მერე ლამისაა მეც დავიჯერო, რომ ედუარდ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი საქართველოს გამაერთიანებლები ყოფილან, ხოლო მე, ნაპო მესხია - სეპარატისტი. კი, მაგრამ, არ გრცხვენიათ, ხალხო?! ბნელა განსაკუთრებით თქვენ, ბატონო ჯემალ! ეს რა ხმაური აგიტეხავთ, რა „ტაშ-ფანდურა“ გაგიმართავთ? აკი, იფიცებდით, რომ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაზე დართული ინფორმაცია პირადად თქვენი დაწერილი არაა, თქვენ მხოლოდ ისტორიული ცნობები მიაწოდეთ. სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა, თავად ყოფილხართ, ამ **უზნეო წამოწყების მთავარი ინიციატორი და „ინფორმატორიც“,** აგრეთვე შემდგომ ერთმანეთს მიყოლებით გამოქვეყნებული „მამხილებელი“ წერილების ავტორი. რატომ, რისთვის? აბა, სად წაიკითხეთ, რომ ფაშისტებია ერთი ან მეორე მხარე, ან სად მოგელანდა, რომ ჩვენს მიერ ბოდიშის თქმა ასოცირდება, თითქოს ებრაელ ხალხს ვურჩევდე ფაშისტებისათვის ბოდიშის მოხდას? თქვენ გეშლებათ, თანაც ძალიან! აქ არც შევარდნაძისა და მისი ხროვის მიერ სამეგრელოში „აღმოჩენილ“ პროვინციულ ფაშიზმზეა საუბარი. მე ვწერ მხოლოდ იმ უგუნურებასა და ღალატზე, რაც ჩაიდინა ხელისუფლებამ საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე - იმაზე, რომ ტანკები კი არა, საჭირო იყო დიალოგი და კონენსუსის გზით პრობლემების მოგვარება. კიდევ ერთხელ გირჩევთ, ნუ აიგივებთ ერთმანეთთან ქართველ ხალხს და უკეთურ ხელისუფლებას, რომლის პოლიტიკა, თქვენი თქმისა არ იყოს, „ნამდვილად არ იყო

ყოველთვის თანმიმდევრულად სახელმწიფოებრივი“. როგორ ფიქრობთ, ძალიან რბილად ხომ არაა ეს ნათქვამი?! საკუთარი დამნაშავე ხელისუფლებისადმი ასეთ ლოიალობას ჰქვია სწორედ „თაფლსმორეული მიდგომა“, რასაც მე მსაყვედურობთ. ჩემგან განსხვავებით, **თქვენ ასეთ და მის მემკვიდრე ხელისუფლებას - ქვეყნის ამაოხრებელ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, მის ლიდერს - პრეზიდენტ სააკაშვილს თავგამოდებით უჭერდით მხარს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც. აბა, ერთი შემახსენეთ, როდის იყვნენ ესენი, ან მათი წინამორბედები სახელმწიფოებრივად სწორი, ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისადმი ერთგულნი - აფხაზეთში, სამეგეგრელოსა თუ ოსეთში?!**

სწორედ, თქვენს ასეთ პოზიციას ჰქვია ყვარყვარიზმი!

დიახ, ყველგან ვიტყვი და ათასგზის გავიმეორებ: აუცილებელია შეცდომების აღიარება, მობოდიშება არა მხოლოდ აფხაზების, არამედ აფხაზეთისა და სამეგრელოს, მთლიანად ქართველი ხალის წინაშე. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გამოვიდეთ პოლიტიკური სტანგაციიდან და ადგილიდან დაიძრას მოლაპარაკების პროცესი, თუ გვინდა გაუცხოების პროცესის შენელება და მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. ეს შესაძლებელს გახდის ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირი, კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას. სიმართლის აღიარებისა და მონანიების გარეშე აფხაზეთის პრობლემები ვერ მოგვარდება! თქვენგან განსხვავებით, ეს აფხაზურ მხარესაც კარგად ესმის: **„Спасибо за Правду! Правда лечит! Она и к столу переговоров может подвести!“**, - აი, როგორ გამომეხმაურა აფხაზური მხარის რადიკალიზმით ყველასთვის კარგად ცნობილი **ტარას შამბა**, როცა მან ჩემი წიგნი წაიკითხა. როგორც ჩანს, ის ღრმად არის დაფიქრებული საკუთარი ხალხის მომავალით და არ გამორიცხავს ჩვენს შორის შესაძლო ურთიერთობებს!

თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ, რატომ ვერ ხედავთ ამ პერსპექტივას?!

ჯერ კიდევ ომამდე და ომის შემდგომაც ოცწლიანმა თქვენმა „ისტორიულ მონაცემებზე“ დაფუძნებულმა რიტორიკამ (გასახედრებამ) უფრო დაგვაშორისა შერიგების მიჯნისგან, რომლის გადალახვის რესურსი დაუნჯებულ გონებას ჯერ კიდევ შემორჩა. ახლა იქნებ ჩვენ გვაცალოთ (ვისაც გვჯერა „გაგვატარეთ“, ბატონო!)

ეჭვიც არ მეპარება, **„ჩვენ ვიპოვით გზებს აფხაზი კაცის გულისაკენ“.**

ყველაფერი ეს თქვენც კარგად გესმით, მაგრამ ვერ ელევით ძალისმიერ მიდგომას, ვინაიდან პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების შემთხვევაში, რჩებით ისე, „ვითარცა თევზი უწყლოდ!“ თქვენ ხელს გაძლევთ უფრო სტატუს-კვოს შენარჩუნება, ამიტომ თავს ესხმით ყველას, ვისაც განსხვავებული მოსაზრება აქვს აფხაზეთში ჩვენს დაბრუნებაზე, უარაღოდ ქვეყნის მთლიანობის აღდგენაზე.

ომმა რა უბედურებაც გვაწია, უკვე გამოვცადეთ, გვეყოს!

მეც გულრწფელად ვწუხვარ, ბატონო ჯემალ, იმასთან დაკავშირებით, რომ გალის რაიონში მოსახლეობას ეკრძალება მშობლიურ ენაზე სწავლა და აუტანელი ეროვნული დამცირების პირობებში უწევს არსებობა. ეს ჩვენი საერთო უბედურებაა, რომელიც სწორედაც ძალისმიერმა დაპირისპირებამ, უგუნურმა პოლიტიკამ მოგვიტანა - ეს ახალი არ არის, მაგრამ ასე განსაკუთრებულად „შეშფოთებული“ ადრე არ მინახიხარ. მხოლოდ ერთხელ წამოგცდათ ჩემთან, რომ **ენგურს გაღმა ჩვენს მოსახლეობას უსწორდებიან როგორც ქართველებს, ხოლო ენგურის გამოღმა როგორც - არაქართველებს!** ეს თქვენი სიტყვებია, მაგრამ ასეთი პოზიცია თქვენ ოფიციალურად არსად დაგიფიქსირებიათ. რატომ?! რატომ დუმდით?! მაშ, დღეს რამ „აგიჩუყათ“ გული გალის პედაგოგებისა და მოსწავლეების აუტანელი მდგომარეობის გამო?

- სად იყავით მაშინ, როდესაც მე ფეხდაფეხ მოვიარე გალის რაიონის ზღვისპირა და ენგურს განაპირა სოფლები, ვხვდებოდი ადგილობრივ მოსახლეობას, ვაცნობდი მათ სკოლებისა

და ოტობაიის ამბულატორიის აღდგენის, გალში რეგიონური თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამედიცინო ცენტრის შექმნის, გალის რაიონის ინფრასტრუქტურის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების გეგმას?

- სად იყავით მაშინ, როდესაც ხელჩართული ბრძოლა მქონდა უმაღლეს საბჭოსა და მთავრობაში ამ პროექტების დაფინანსების შესახებ, ქვეყნის დარგობრივ სამინისტოებსა და საპარლამენტო კომისიებში ვეძებდი მხარდაჭერას?

- სად იყავით მაშინ, როდესაც ვამუშავებდი აღნიშულ პროექტებს და ვაგზავნიდი, ქვეყნის სათანადო უწყებების ხელშეწყობით, ევროკომისიაში, რომელმაც მოიწონა და, რომ არა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი, ისინი რეალიზებული იქნებოდნენ?

- სად იყავით მაშინ, როდესაც მიდიოდა ოტობაიის საუბნო ამბულატორიის აღდგენა, მისი აღჭურვა თანამედროვე საოფისე ავეჯით, სტომატოლოგიური კაბინეტით, სამედიცინო ხელსაწყოებითა და დანადგარებით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით და ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროში ვაგვარებდი ჩვენი ოტობაიისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების იმ პროგრამის გათვალისწინებას, რომელიც დღემდე ემსახურება მის და მიმდებარე 7-8 სოფლის მოსახლეობას? ამ საკითხში ჩემს გვერდით იდგა მხოლოდ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი, **ქალბატონი დალილა ხორავა.** ხოლო თქვენი მხარდაჭერა, თუნდაც ერთი კეთილი სიტყვით მე არ მახსოვს!

როგორ მჭირდებოდა მაშინ თქვენი თანადგომა... რომ გალის რაიონი, მისი პრობლემებით, პრიორიტეტულ მიმართულებებში ჩართულიყო, ისევე, როგორც ქვემო სვანეთი, ანდა ანაკლია? მაგრამ მაშინ ჩვენი სოფლებისა და გალის მოსახლეობის ავბედითობაზე ფიქრისთვის თქვენ სად გეცალათ, იმ „მოძღვრების“ თეორიულ უზრუნველყოფაზე მუშაობდით, რომელ თემებს დაედებოდა ტაბუ, რისი თქმა შეიძლება და რისი - არა.

მესმის თქვენი, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება!

იმაშიც გეთანხმებით, რომ არასასიამოვნოა (ძალზედ მტკივნეულია!) საუბარი იმაზე, თუ როგორ აუპატიურებ-დნენ „მხედრიონელები» ოჯახის დედებსა და ქალიშვილებს მამების, მეუღლეებისა და ძმების თვალწინ; ამაზე საუბარიც არაადამიანურია!

- არ შეიძლება (საშინელებაა!) საუბარი იმაზე, თუ როგორ ასალმებდნენ სიცოცხლეს ორსულ ქალს და ჭრიდნენ მას, რომ გაეგოთ - ნაყოფი ბიჭია თუ გოგო?!

- შეიძლება საუბარი მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ბურთა-ობდნენ აფხაზები ქართველი ჯარისკაცების თავებით გაგ-რის სპორტულ მოედნებზე;

- არ შეიძლებოდა ე.წ. კოლუმბიური გალსტუხებით ურთი-ერთ განებივრება, რასაც არცთუ ისე იშვიათად მიმართავდა ორივე მხარე;

- არ შეიძლება (აგაცრემლებს!) საუბარი იმაზე, თუ რო-გორ გაჰყავდათ ღამით პალატიდან დაჭრილი ავადმყოფი და ზღვისპირას ახვევდნენ ცეცხლის ალში;

- არ შეიძლება ხმამაღლა საუბარი იმაზე, თუ როგორ გაჰ-ყავდათ ღამ-ღამობით თითო-ორ-ორად პატიმრები „პირადი ციხეებიდან“ - სარდაფებიდან და როგორ არ ბრუნდებოდნენ ისინი უკან;

- არ შეიძლება (ადამის მოდგმას შეგაძულებს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ გამოასალმეს „მხედრიონელებმა“ სი-ცოცხლეს ქართული გვარის ახალგაზრდა აფხაზი დაჭრილი მეომარი ქალი გენიტალიაში ავტომატის ჯერით;

- არ შეიძლება (შეგზარავს!) საუბარი იმაზე, თუ რო-გორ იწვოდა მაღალჩინოსნების დავალებით არქივი ან კი-ნოთეატრი და მის ჩასაქრობად შეიარაღებული არამზადები არ ატარებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო მანქანებს, როგორ არ აძლევდა შს სამინისტრო მათ ბენზინს და არ უშვებდა ცეცხლის ჩასაქრობად (თვითონ ვარ თვითმხილველი(!), რო-ცა კინოთეატრი „აფსნი» იწვოდა, ბატონ აკაკი გასვიანთან

ერთად, უშიშროების კომიტეტში ვითხოვდი ბენზინს სახან-ძრო მანქანებისთვის, მაგრამ ამაოდ!..)

- არ შეიძლება (გაგაოგნებს, ჭკუიდან შეგშლის!) საუბ-არი იმაზე, თუ როგორ აგდებდნენ „მხედრიონელები“ ჩვენს ნაჯაფ-ნაწვალებ-ნანოლიავებ სახლებში ხელ-ყუმბარებს და ცეცხლში ახვევდნენ სიტყვებით: ,,აბა რა, მტერს ხო არ და-ვუტოვებთ ასეთ სახლებსო!“;

- არ შეიძლება (დაგაბეჩავებს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ შემომიგზავნა საკუთარ კაბინეტში ქურდი შს მინისტრმა აუდიო-კასეტის ხელში ჩასაგდებად, რომელიც შეიცავდა ინ-ფორმაციას ჩემი სახლის (ტრაგიკულად დაღუპული უფროსი ვაჟის პირადი ნივთების) გაქურდვის და ქურდების ვინაობის შესახებ, რომლის არსებობაზე ვიცოდით მხოლოდ (!!!) მე და ამ უბადრუკმა მინისტრმა!

- არ შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რისი თვითმხილველნი ვყოფილვართ ჩვენ, მე და თქვენ, ბატონო ჯემალ! აბა გაიხ-სენეთ, თუ როგორი წივილ-კივილი იდგა „გოსდაჩის“ პირველ სართულზე, ვინ იყო მაშინ იქ, შიგნით და როგორი ყვირილით გამოვარდა იქიდან **ბესიკ მამუკელაშვილი: ,,ცეცხლში მათი ბრძანებით გავხვიეთ არქივი და ეხლა მე გამოვყავართ მე-ისრედ და მაბრალებენ ყველაფერსო“!!!** გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ, როგორ ვამშვიდებდით და ვაწყნარებდით მას, რომ სხვებს არ გაეგოთ! იმ მაღალჩინოსნებიდან, ვისთანაც დაობდა ბესიკ მამუკელაშვილი, ერთი უკვე არ არის ცოცხა-ლი, ხოლო მეორე თქვენ გიმშვენებთ გვერდს... მიდით, თუ გეყოფათ გამბედაობა და შეახსენეთ მას ეს ფაქტი. თქვენს შორის ვინ იზამს ამას?!...

მესმის, დღესაც არ შეიძლება ამაზე საუბარი, მაგრამ რა ვქნა, მან და თქვენ მაიძულეთ?!...

რამდენი ასეთი და მსგავსი ბარბაროსობა ჩაიდინა რო-გორც ერთმა, ასევე, მეორე მხარემ, მაგრამ მე, ქვეყნის ინტე-რესებიდან გამომდინარე, ამაზე არც ერთი სიტყვა არ დამ-ცდენია სადმე და არც წიგნში, რადგან კარგად მესმოდა, რომ

არ შეიძლებოდა ამაზე ხმამაღლა საუბარი - ვაშინერდ! მით უფრო ვაშინერდ ამ დანაშაულობათა ჩადენა! ვაშინერდ, როდესაც კედელთან გვაყენებდნენ ექიმებს და გვეუბნებოდნენ: „მომეცით წამალი, თორემ მო... თქვენ მეგრელ დედას“, ან კიდევ: „ჯერ აფხაზებს მოუ... დედას, მერე თქვენ, მეგრელებს დაგა... მათ ზემოთ!“

წიგნში არ მითქვამს არ ერთი სიტყვაც საომარ მოქმედებებზე, ომის საშინელებებზე იმიტომ, რომ ვაცნობიერებდი: აფხაზებთან ჩვენ ერთად თანაცხოვრებისთვის ვართ განწირულნი და თავსგადამხდარი უბედურებების შეხსენება იარების მოშუშებას არ წაადგებოდა. წიგნში მხოლოდ დაპირისპირების გენეზისზე, მის შემომქმედ და განმახორციელებელ პირებზე ჩამოვაყალიბე ჩემი შეხედულება და მოსაზრებები - იმაზე, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში! ხმა ამოვიღე და ვთქვი სიმართლე, რაც იყო და მოხდა იქ, რადგან მიმაჩნდა, რომ გაჩუმება დანაშაულის ტოლფასი იყო!

ამიტომ მდებთ, ალბათ, ბრალს ღალატსა და ანტიქართველობაში! კაცს, რომელსაც დასახვრეტად გავყავდით და მიხსნიდა მეთქვა: **,,მეგრელი ვარ“,** ჯიუტად ვამბობდი: **„არა მე ქართველი ვარ“!** მცემდნენ და მაიძულებდნენ: **„თქვი რომ მეგრელი ხარ“,** მე ისევ ხმამაღლა, ამაყად ვიმეორებდი: **,,არა, მე ქართველი ვარ!“** (იხ. გვ. 292-293).

ასეთ კაცს მდებთ ბრალს არაქართველობაში და სეპარატიზმში?!.. ეს თქვენს სინდისზე იყოს!

ახლაც თვალწინ გარბიან საშინელებათა კადრები, რაც გამოვიარეთ ჩვენს ხალხთან ერთად, ამპარტავნული, კაცთმოძულე, უგუნური და წინდაუხედავი - ღალატის ტოლფასი პოლიტიკის შედეგად. გაღებული მსხვერპლი და ტკივილი იმდენად განუზომელია, რომ ვერავინ შემაკავებდა!

ვერც, თქვენ გამაჩუმებთ, ბატონებო! თქვენი ნაქები ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისაძაგლე ყველამ უნდა იცოდეს, რათა განმეორდეს იგი არასოდეს, არასდროს!..

ხაზგასმით მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმ უმეცრებებზეც, რომელსაც მაბრალებთ, და თქვენი თქმით, ასე გაბნეულია ჩემს წიგნში, ბატონო ჯემალ! ამაზე მე საგაზეთო წერილშიც ვისაუბრე, მაგრამ ეს ისეთი თემაა, რომ მას აქაც ვერ აუვლი გვერდს!

რატომ არის უმეცრება, თუ (თუნდაც არაფილოლოგმა) გამოვავლინე ინტერესი ისეთი საკითხისადმი, როგორიც არის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა. ეს თემა საუკუნეების მანძილზე იყო არაერთი მეცნიერის სერიოზული კვლევის საგანი, მაგრამ ამ სწორუპოვარი შედევრის ავტორის ვინაობა დღემდე ღიად რჩება. ვის არ გამოუთქვამს პრეტენზია გენიალური პოეტის კუთვნილებაზე, ვინ არ გვეცილებოდა და არ დაობს დღემდე - სპარსი, ოსი, სომეხი თუ სხვა. ამ დროს გამოდის ქართველი მეცნიერის - პროფ. ამირან ცამციშვილი-ფირცხელაურის ფუნდამენტური ხუთასგვერდიანი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც გვთავაზობს ყველაზე სარწმუნო ვერსიას და გვიდასტურებს რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო არა ვინმე სხვა, არამედ **შოთა (იოანე) ვარდანის ძე დადიანი** (დაიბადა 1060 წელს და აღესრულა ღრმა სიბერეში 1150 წელს), რომელიც ცხოვრობდა მეფე გიორგი III-ის და მისი ქალიშვილის - თამარის ეპოქაში, მათ კარზე განათლების ვეზირის თანამდებობა ეჭირა. საზოგადოებაში, ლიტერატურასა თუ მეცნიერებაში ამ ფაქტს არ მოჰყოლია არავითარი გამოხმაურება - ყველაფერმა ისე ჩაიარა, თითქოს არაფერი მომხდარა (დაეგმო, გაეკიცხა, უარეყო ვინმეს მაინც). რატომ?! თუ გიფიქრიათ ამაზე, ბატონო ჯემალ?!

თქვენთვის და თქვენისთანა ურწმუნო თომებისთვის, ჩემი თხოვნით, კიდევ ერთხელ გაშუქდა ეს თემა გაზეთ „ილორში“ (ა/წ თებერვლიდან № 208 - 215), სადაც იბეჭდებოდა ცამციშვილი-ფირცხელაურისეული უახლოესი ცნობები „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორზე.

არამგონია, რომ თქვენ ამ საინტერესო ცნობებით აღფრთოვანებული დარჩით! როგორ ფიქრობთ, რატომ არის

ტაბუდადებული ეს თემა, ვის არ აძლევს ხელს „ვეფხისტყაოსნის» ნამდვილი ავტორის ვინაობის გამხელა? იქნებ, გიფიქრიათ იმაზეც, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბრძნული და ფილოსოფიური აზრებით ეგზომ დახუნძული პოემის ტექსტი შემორჩენილიყო საუკუნოობით ხალხის მეხსიერებაში და დავიწყებას მისცემოდა მისი ავტორის ვინაობა? ან რატომ არ ჰქონდა ანალოგიურ მოვლენას ადგილი გრიგოლ ჩახრუხაძის „თამარიანის“ და მოსე ხონელის „აბდულ-მესია შავთელის“ შემთხვევაში. ესენიც ხომ იმ ეპოქის კულტურული ძეგლებია?!

მე ვგრძნობ, რომ ბევრ „უხერხულ» კითხვებს გისვამთ. თქვენი „შორსმჭვრეტელური» პასუხებიც ვიცი და მაინც დაჟინებით მინდა გავიგო: თუ გაქვთ თუნდაც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, ზემოაღნიშნულ „მტკივნეულ» თემებზე მსჯელობა რატომ არის მიუღებელი, უმეცრება და რატომ უწყობს ეს ხელს ე.წ. მეგრულ სეპარატიზმს?! რომელ სეპარატიზმზე საუბრობთ თქვენ, საერთოდ, ბატონო ჯემალ?! ან ვინ გითხრათ, რომ სამეგრელოც სხვისდება! აბა, სად ამოიკითხეთ, წიგნის რომელ გვერდზე? საიდან მოგაქვთ ასეთი გამაოგნებელი ამბები, ვის თავში იხარშება ასეთი აბსურდული აზრები? რა მოგივიდათ, ასე რამ შეგაცბუნათ?!

პრობლემა სულ სხვა რამეშია და მე ამ თემას ვუბრუნდები ისევ, ჩემი „ძვირფასი“ ოპონენტების მესვეურო, მეწინავევ! ვერ ხედავთ, რომ კახელს, იმერელს, რაჭველს, არც გურულს ეშინია, რომ თქვან სადაურნი არიან. თქვენ კი ასე რამ შეგაშინათ, თქვათ მეგრელი რომ ხართ?! ასე რამ შეგაძულათ თქვენი ღვიძლი მხარე?! ნუთუ დედას არ უმღერია თქვენთვის: **,,ბრუია, ნანა, ბრუია ბონდო, ჭიჭე ტურა მოურსია...“** ან რატომ არის **„ანტიქართული“ ან „ანტისახელმწიფოებრივი“ აზროვნება,** თუ ვინმემ თქვა, რომ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა ძველის-ძველად, საუკუნეების მანძილზე იბერიად იწოდებოდა და დღემდე დგას იბერიის (კოლხეთის) საძირკველზე, მის ისტორიაზე? რატომ არის ეს **„დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა, მიამიტობა“,** თუ კი ქართული ისტორიის ისეთი კორიფეებიც, როგორებიც არიან ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ყიფშიძე და სხვნი აღიარებენ, რომ ძველ იბერიაში ძირითადი ენა იყო იბერული - ლაზურ-მეგრული (ზანური) და ეს ენა, ვიმეორებ, ამერ-იმერში იბერულად იწოდებოდა, ხოლო ქართების გამოჩენისა (მე-6 საუკუნე) და ქართლის სამთავროდ, მოგვიანებით კი სამეფოდ ჩამოყალიბების, მისი აღზევებისა და ბაგრატ მე-3 მიერ ამერ-იმერის გაერთიანების (მე-11 საუკუნე) შემდეგ, ქვეყანას საქართველო ეწოდა და ამაში უდიდესი როლი მიუძღვის სწორედ კოლხეთს, მის კოლხ მოსახლეობას - **რა არის აქ გაუგებარი?** რატომაა **„ავი წინასწარგანზრახულობა“** საუბარი ისეთ უპრეცედენტო ფენომენზე, როგორიცაა მეგრული ენა? ჩვენი ანბანის - ქართული ანბანის თითქმის ყოველი ასო-ბგერა მეგრულ ენაზე ხომ ცალკე საგანს ან მოვლენას ნიშნავს, რაც არ შეინიშნება მსოფლიოს ერთ ენაშიც, მათ შორის თვით ქართულშიც! მეგრულ ენაზე თითქმის ყველა ზმნა სამმაგ ინფორმაციას შეიცავს: ერთდროულად მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვისზეა საუბარი, სად იმყოფება მოქმედი პირი ან საგანი და რას აკეთებს იგი. ეს ხომ ფანტასტიკურია! ან რატომაა დასამალი, რომ მეგრულ ენას გააჩნია ამოუწურავი სიტყვის მარაგი. ეს ხომ საოცრება და საამაყოა!

რატომაა მიჩქმალული ის ფაქტი, რომ ჩვენი ანბანის – ქართული ასომთავრულის 38 ასო-ნიშნებიდან, თავის დროზე, ხუთი ასო-ნიშანი იქნა ამოღებული და დღეს ისინი არ არიან ხმარებაში? რომელია ისინი და რომელ კუთხის მოსახლეობის ენის ფონემას შეესაბამებიან ეს ასო-ბგრები? რატომ მოხდა ეს და რა მიზნებს ისახავდა იგი?! ეს ფაქტი ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი ანბანი – ქართული ასომთავრული, იბერული (ლაზ-მეგრული – ზანური) ენის ამსახველია და რომ ის წარმოშობილია კოლხეთში – კოლხური მოსახლეობის წიაღში?! რატომ არის ამაზე ფიქრი ტაბუდადებული? თუ

სიტყვის უფლება დაცულია ჩვენში, ფიქრი და საუბარი რატომაა აკრძალული? განა შეიძლება არსებობდეს ბუნებაში სიტყვა ფიქრისა და აზრის გარეშე? თუ გიფიქრიათ ამაზე და სხვა ასეთ გამაოგნებელ „უმეცრებებზე“, ბატონო ჯემალ?!

ეს, რაც შეეხება ფიქრსა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ მივუბრუნდეთ მთავარს და მითხარით: მეგრული ენის – ამ საოცრების მიმართ აღფრთოვანების გამოხატვა რატომაა სეპარატიზმის თანამედროვე იდეოლოგია? რატომ ენაბილწობთ, **როდის და სად ვთქვი, რომ მეგრული ენა უნდა გაუტოლდეს ჩვენ მშობლიურ ქართულს და იქცეს ასევე სალიტერატურო ან სახელმწიფო ენად?!** თუმცა, თუ გულრწრფელნი და სამართლიანი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დამწერლობა ამ უძველეს და უმდიდრეს ენაზე არ უნდა იკრძალებოდეს ჩვენს დროში.

ჩემთვის უბრალოდ ის არის მიუღებელი (ამაზრზენი, გულსატკენი) თუ მეტყვიან, დაივიწყე მეგრული ენა, თუ გინდა იყო ქართველი. ეს არის და ეს! ასე, რომ ნუ გეშინიათ! **არავითარი სეპარატიზმი და არანაირი სამეგრელოს გასხვისება! სამეგრელო იყო და სამუდამოდ დარჩება ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებელ ერთ-ერთ უძველეს და ფუძემდებელ კუთხედ!**

ვიმეორებ, ეს აქსიომაა, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ საქართველო ყოველთვის როდი ყოფილა ერთიანი და განუყოფელი. რა, მიუწვდომელია თქვენთვის, რომ საქართველო არაერთხელ ყოფილა დაშლილი და დაქუცმაცებული სამეფოებად და სამთავროებად, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეების განვმალობაში, რის შედეგადაც ისინი, მათ შორის აფხაზეთიც, ცალც-ალკე აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში? რატომ არის ეს თემა ტაბუდადებული, რა არის აქ არასწორი და გაუგებარი, ბატონო ჯემალ? განა ავადსახსენებელი ბოლშევიკების მიერ (რომელთა გულანთებული პროპაგანდისტი და მეხოტბე იყავით თქვენ წლების მანძილზე, როგორც მათი ისტორიის სწორუპოვარი ტრიბუნი) არ იქნა უკანასკნელად საქართველო გაერთიანებული, თუმცა მათივე წყალობით ქვეყანამ დაკარგა ისტორიული ტერიტორიებიც, მაგრამ მაინც. რატომ გეშინიათ გაუსწოროთ თვალი სიმართლეს და რატომ მადანაშაულებთ დაუმსახურებლად იმაში, რაც აზრადაც არასდროს მომსვლია?

შეიძლება დაგეთანხმოთ, რომ წინგში ამ თემაზე მსჯელობა მაღალპროფესიულ, ღრმა მეცნიერულ ანალიზს არ ეფუძნება (ეს არც იყო მთავარი მიზანი), მაგრამ აქცენტები, რომლის არგუმენტირებისათვის ამ საკითხებს ვეხები, უდავოდ ანგარიშგასაწევია. თემის უნებლიე „გაზვიადებას“ (თუ კი ასეთს ძველ-კოლხური დიდების წარმოჩენისას წიგნში გადააწყდით) მიეხედება და ამით ქვეყანა არ დამიქცევია, **მაგრამ რა ეშველება იმას, რაც მოხდა? მშობლიური ეზო-კარიდან ასიათასობით აყრილ-განდევნილნი თქვენს „ამაგსაც» არ დაგივიწყებენ!**

უმეცრებასა და ღალატში „მხილებით,“ თქვენ მე კი არა, ხალხსა და სიმართლეს ემიჯნებით. ეს არის აქ მთავარი!

შეუმცდარი არავინ ყოფილა, მეც ვცდებოდი, მაგრამ ჩემი მთავარი შეცდომა, ბატონო ჯემალ, თურმე ის ყოფილა, რომ თქვენსა და თქვენისთანებში ვცდებოდი. მადლობა ღმერთს, რომ ამიხილა თვალი!

ახლა კი ისევ ნუგზარ მგალობლიშვილს და მის „შადიმანობანას“ მივუბრუნდეთ. იგი ასეთ ღრმააზროვან კითხვას სვამს: ,,რა გველის მომავალში?“ და იქვე ასკვნის: „ალბათ, სასიკეთო არაფერი, თუკი ასპარეზი დავუთმეთ ჩვენი დროის შადიმანებს.

ერთ-ერთმა მათგანმა, ნაპოლეონ მესხიამ, მორიგი მეხუთე კოლონის ჩამოსაყალიბებლად გამზადებულმა, 2011 წელს მის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის ,,Как отторгалась Абхазия''- ს გვერდებიდან ... სეპარატისტებსა და კრემლის მაღალჩინოსნებს შეახსენა, რომ დროა დაიშალოს დღემდე დევნილობაში არსებული ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. რატომ? - იმიტომ, რომ დეპუტატმა ნაპოლეონ

მესხიამ კარგად იცის დევნილობაში მყოფი კონსტიტიციურად ლეგიტიმური ა/რ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუციის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან რუსეთის მხრიდან მისი სრული ოკუპაციის პირობებში და სწორედ ამ მასაზრდოებელი ხაზის გაწყვეტას ლამობს ნ. მესხიას გაღმელი პარტნიორი (**გრცხვენოდეთ!** ნ.მ.) ამიტომაც ეპოტინება ყველაფერს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძველს უქმნის საფრთხეს".

რა კომენტარი უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში? რა შეიძლება უთხრა ადამიანს, რომლის უტიფრობაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება? შეუძლია კი მას მოიშველიოს თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მე ძირგამომთხრელ საქმიანობას ვეწეოდი უმაღლესი საბჭოს ან ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებს! ვერც წიგნში ნახავს ისეთ სტრიქონებს, სადაც საუბარია დეპუტაციის დაშლაზე, მისი უფლებამოსილების შეჩერებაზე. როგორც ჩანს, იგი რაღაცას გაუბრუებია, შესაძლოა, მეხსიერება ღალატობს, ან კიდევ არ უნდა გაიხსენოს, რა მოხდა აფხაზეთში, რადგან როგორც ვერშემდგარი პოლიტიკოსი, თავის წარსულიდან ფასეულს ვერაფერს მოიხმობს! ამიტომაც მას, უბრალოდ, არ სურს წარსულში დაბრუნება და იმის გახსენება, რაც რეალურად ხდებოდა.

მაგრამ იქნებ ის მაინც გაიხსენოს ბატონ ნუგზარმა, ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც გამუდმებით აყენებდა დღის წესრიგში საკითხს ქართული დეპუტაციის სახელმწიფო საბჭოს ლიდერებთან შეხვედრის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არალეგიტიმური გზით იყვნენ მოსული ქვეყნის სათავეში, რადგან, სურდათ ეს თუ არა, მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მომავალი თაობების წინაშე (იხ.გვ.130-132); ნუთუ არ ახსოვს, ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც ღიად ებრძოდა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს (სწორედ იმ მეხუთე კოლონას, რომელზეც იგი საუბრობს!), შევარდნაძესა და მის გარემოცვას, რომ არ გაეუქმებინათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და არ შეეჩერებინათ დეპუტატებისთვის უფლებამოსილება? ვინ იყო ის დეპუტატი (აწ განსვენებულ კიმი ჯაჭვლიანთან ერთად), რომელმაც შეაჩერა თქვენი თანამებრძოლის, ბატონი გივი ლომინაძის გამალებული მცდელობის შედეგად შევარდნაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართული დეპუტაციისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (იხ.გვ. 138-139)? ვინ იყო ის, ვინც არწმუნებდა შევარდნაძეს და მის გარემოცვას, რომ ამის დაშვება არ შეიძლებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზურ მხარეს ასეთი არაგონივრული და წინდაუხედავი ნაბიჯი ხელ-ფეხს შეუხსნიდა, შესაძლებლობას მისცემდა გამოსულიყვნენ 1978 წლის კონსტიტუციის ჩარჩოებიდან და აღედგინათ 1925 წლის კონსტიტუცია, რაც მათ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს მიანიჭებდა?!

თქვენ სად იყავით მაშინ, როცა ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად დავრბოდი სოხუმსა და თბილისს შორის? კულუარულად ვაგვარებდი აფხაზური მხარისა და სახელმწიფო საბჭოს ლიდერების შეხვედრას (იხ.გვ.28). სად იყავით მაშინ, რომელ სოროში იმალებოდით?

რა გაგიკეთებიათ და რითი მოაწონებთ თავს შთამომავლობას!?

სწორედ თქვენზე ჩურჩულებდნენ მოგვიანებით, რომ ამდენი ხნით მოსკოვში ყოფნის შემდეგ, ,,ფსბ"-ს ან ,,გრუ"-ს აგენტად მოგვევლინეთ. ასეა ეს? დავიჯეროთ?! მე კი, ამ დროს, ისევე ვიბრძოდი ქართული ფრაქცია ,,დემოკრატიული აფხაზეთი"-სათვის, - მის წევრებისთვის შევარდნაძისა და მისი გარემოცვის მიერ არალეგიტიმურად შეჩერებული უფლებამოსილების აღდგენისთვის. 1994 წლის 9 მაისს, სწორედ ედუარდ შევარდნაძესთან ჩემი თითქმის ერთსაათიანი საუბრის შედეგად აღუდგა აფხაზეთის ქართველ დეპუტატებს უფლებამოსილება (იხ.გვ. 167-170) და ამის შემდეგ გახდით

თქვენ (როგორც დანარჩენები!) ისევ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რა, არ იცოდით?

ბევრჯერ ვცადე მეჩვენებინა თქვენთვის და თქვენისთანებისთვის ადამიანობისა და კეთილსინდისიერების მაგალითი; ის, თუ რა უნდა ეკეთებინა დეპუტატს, როგორ უნდა მოეთოკა საკუთარი ამბიციები, ხოლო ხალხისა და ქვეყნის ინტერესები წინა პლანზე როგორ უნდა წამოეწია. ვცდილობდი, არ დამეშვა შეცდომები, გულწრფელი ვყოფილიყავი ყველას მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხვდები, რომ ყოველივე ამას თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის ფუჭად ჩაუვლია!

თავიდან გიცნობდით როგორც ეროვნულს, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლს და კეთილგანწყობილი ვიყავი თქვენს მიმართ. სწორედ ამიტომ გენდეთ და გთხოვეთ გადაგეცათ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთვის აფხაზი ხალხის ელიტური ნაწილის თხოვნა იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდა ვ. არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანა და მისი აფხაზეთის თავკაცად არჩევა, რადგან მათი ღრმა რწმენით **„იგი დაღუპავდა ჯერ აფხაზეთს, მერე კი საქართველოს!“** ამაზე დეტალურად და გულახდილად გესაუბრეთ ჩემთან, სახლში - მყუდრო ვითარებაში! თქვენ ყურადღებით მომისმინეთ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ყველაფერი პირიქით გააკეთეთ (იხ. გვ.47) - თქვენს გარემოცვასთან ერთად, ხელი შეუწყვეთ არძინბას აფხაზეთში ჩამობრძანებას.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად ჩახედული პოლიტიკაში და არ მეგონა, რომ იმ ადამიანს დაემსგავსებოდით, რომელიც ერთხელ შეიძენს ხოლმე ტრამვაის ბილეთს და მერე მთელი სიცოცხლის განვმალობაში იმ ბილეთით მგზავრობს. მოგვიანებით ჩემთვის ეს და ბევრი სხვა რამეც გახდა ცნობილი. მანამდე კი დავდიოდი თქვენთან (სახლშიც კი!) და გამხნევებდით, რათა ისევ აქტიურად ჩაბმულიყავით პოლიტიკურ საქმიანობაში. მაშინ ჯერ კიდევ არ მყავდით ბოლომდე გაშიფრული თქვენ და თქვენი თანამზრახველები. მაგრამ როცა **აფხაზურ მხარეს ხელი შეუწყვეთ დისკრიმინაციული**

საარჩევნო კანონის მიღებაში, ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა!

ამ დროს თქვენ, როგორც „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ლიდერი აფხაზეთში, თქვენს „თანამებრძოლებთან“ ერთად, აფხაზურ პოლიტიკურ ბლოკ „აიდგილარა“-სთან და მის ლიდერებთან - სერგეი შამბასა და ზურაბ აჩბასთან ჩონგურივით გქონდათ აწყობილი ურთიერთობა და ყველა საქმეს აგვარებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტად - ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. სწორედ მათთან მჭიდრო თანამშრომლობით იქნა მიღწეული შეთანხმება ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და აპარტეიდული საარჩევნო კანონის (კვოტებით 28 : 26 : 11) მიღების შესახებ, რომელიც, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. **სწორედ ვ. არძინბას ფაქტორმა და ზემოხსენებულმა დისკრიმინაციულმა საარჩევნო კანონმა გადაწყვიტეს ომისა და მშვიდობის ბედი აფხაზეთში და ამის მოთავე, სხვებთან ერთად, თქვენც ბრძანდებოდით, ბატონო ნუგზარ!**

აქ უნდა შევჩერდეთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი - რა იყო ეს, უბრალო მიამიტობა, თუ საქმე გვაქვს ვერაგულ ღალატთან?! როგორ, რის ფასად შეიძლებოდა ისეთ დათმობაზე წასვლა, როგორიცაა 90-ათასიანი ეთნიკური უმცირესობისთვის 28, ხოლო 250-ათასიანი ქართული მოსახლეობისათვის მხოლოდ 26 სადეპუტატო ადგილის დაშვება უმაღლეს საბჭოში? რატომ არ შეიძლებოდა, რომ პირიქით ყოფილიყო - 28 ადგილი ქართული მოსახლეობისთვის და 26 - ეთნიკური აფხაზებისთვის, ან, თუნდაც, მათი თანაბრად განაწილება (26 : 26 ან 28 : 28)? განა ეს უფრო მისაღები არ იქნებოდა ქართული მხარისათვის? რის ფასად ხდებოდა ქართული მოსახლეობის უფლებების ასეთი უგულებელყოფა, ყოველივე ეს ვის ინტერესებს ემსახურებოდა და რას ეფუძნებოდა ასეთი გაუგონარი დათმობა აფხაზური მხარისთვის?! აფხაზეთი ბორბლებზე ხომ არ იყო, მართლა, შე-

ყენებული, რომ ფსოუს იქით გადაეტანათ იგი აფხაზებს?!... რამდენიც არ უნდა ეყვირა ვ. არძინბას და მის გარმოცვას, ამით არაფერი შეიცვლებოდა, როგორც არაფერი შეცვლილა 1990 წლის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმის შედეგად. აფხაზეთი შემდეგაც დარჩა, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს განუყოფელ ნაწილად!

ის არგუმენტი, რომ ასეთი დათმობით შემოვირიგებდით რუსეთისკენ გადახრილ აფხაზებს, ძალზე უსუსურად და არადამაჯერებლად გამოიყურება. მაშ, რატომ დასჭირდა აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებში ჩართულ ქართულ მხარეს (ნ. მგალობლიშვილი, გ. ლომინაძე, თ. მჟავია, მ. ომანიძე და სხვ.) ასეთ არნახულ დათმობაზე წასულიყო? სწორედ ეს გახლავთ აქ უპირველესად გასარკვევი და სწორედ „აქ მარხია ძაღლის თავი!“ (იხ. გვ.98-99).

საქმე ის არის, რომ ასეთი დათმობის ფასად, აფხაზური მხარე მიიღებდა სრულ პოლიტიკურ კარტბლანშს უმაღლეს საბჭოში, და არა მარტო უმაღლეს საბჭოში, ხოლო ქართულ მხარეს ჰპირდებოდნენ, რომ ერთ პაკეტად (ვ. არძინბასთან ერთად) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევდნენ სავარაუდოდ გ. ლომინაძეს, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ - ნუგზარ მგალობლიშვილს!

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ორივე თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურები დაასახელა და ამ ფარული გარიგების მონაწილეებს, როგორც იტყვიან, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. ამიტომაც, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატურები ვ. არძინბასთან ერთად რომ არ არჩეულიყვნენ დასახელებულ თანამდებობებზე უმაღლესი საბჭოს სესიის პირველსავე სხდომაზე, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, შეიკრიბა ქართულ-აფხაზური დეპუტატთა შემთანხმებელი კომისია (რომლის წევრიც გახლდით) და, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პირველი პირების

პირველსავე სესიაზე, ვ. არძინბასთან ერთად, ერთ პაკეტად არჩევის მხარეებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმების გაუქმების შესახებ. როგორც მახსოვს, ამ საკითხისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ნუგზარ მგალობლიშვილი და შს მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც არ იყო დეპუტატი და არც ქართულ-აფხაზური შემთანხმებელი კომისიის წევრი გახლდათ (იხ. გვ. 99). ამდენად, მისი იქ ყოფნა და აღნიშნული საკითხისადმი განსაკუთრებული დაინტერესება საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა.

სწორედ ეს ბადებს სერიოზულ კითხვებს!

რატომ იყვნენ აღნიშნული პირები ასე დაინტერესებული და რატომ აუქმებდნენ ასეთი გამალებით მხარეებს შორის ადრე მიღწეულ ესოდენ მნიშვნელოვან შეთანხმებას – უმაღლეს საბჭოსა და მთავრობის თავკაცების ერთ პაკეტად პირველსავე სხდომაზე არჩევის შესახებ? რატომ არ უჭერდნენ მხარს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას – მის მიერ რეკომენდებულ კანდიდატურას, თუ ეროვნული ინტერესების ერთგულნი იყვნენ?! რატომ თმობდნენ ისინი აფხაზურ მხარესთან ასეთი შეხმატკბილებით, ყოველგვარი მსჯელობისა და კანდიდატურის განხილვის გარეშე, ქართული მხარის პოზიციებს?!

ეს არის აქ მთავარი, აი, რა არის აქ საკითხავი!!!

საუბარი იმაზე, რომ აფხაზური მხარე შემოთავაზებული კანდიდატურის წინააღმდეგი იყო, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან საქმის არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის უმარლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვ. არძინბას არჩევის თანხმობის სანაცვლოდ, ქართულ მხარეს ენიჭებოდა უფლება წარმოედგინა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ნებისმიერი შესაფერისი კანდიდატურა და აფხაზური მხარისთვის ის მისაღები და უპირობოდ გამსვლელი იქნებოდა. აქ ყოველგვარი კომენტარი და საუბარი წარდგენილი კანდიდატურის ავ–კარგიანობაზე ლოგიკას მოკლებულია. ამდენად, დღემდე გაოგნებას იწვევს თქვენი – შემთანხმებელი კომისიის ქარ-

თული მხარის ამგვარი ქმედება. ქართული მხარის ეს ნაბიჯი გამაოგნებელი იყო აფხაზი ინტელიგენციის იმ ნაწილისთვისაც, რომლებიც თავიდანვე ვ. არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანის კატეგორული წინააღმდეგი იყო. ჩემთვის ეს დეტალებში გახდა ცნობილი მაშინ, როდესაც შესდგა ცნობად აფხაზთა ორმოცკაციანი ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებმა გაგანია ომის დროს მომმართეს თხოვნით, დავხმარებოდი აქსაკალის – ბაგრატ შინკუბას ჩლოუდან სოხუმში ჩამოყვანაში, რათა მიემართათ აფხაზი ხალხისთვის, გამიჯნოდნენ ვ. არძინბას და მის გარემოცვას. მაგრამ ეს ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ მათი ეს ჩანაფიქრი გახსნილ იქნა ისევ ჩვენი მხარის წარმომადგენლის მიერ: ბაგრატ შინკუბა, ჩვენი შუამავლებიანად, დატყვევებულ იქნა და ექსტრადირებული იქნა აფხაზეთიდან (იხ. შეს. 111–112 და 114–115).

როგორადაც არ ითვალთმაქცოთ, ამას ვერსად წაუხვალთ: აქ საუბარია უტყუარ ფაქტებზე და ყოველივე ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ანაცვლებდა მავანი პირად ამბიციებს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს!

სხვა ახსნა ამას არ გააჩნია! ეს შადიმანობის კლასიკური ნიმუშია!

ყოველივე ეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დაწყების წინ ხდებოდა. მაშინ აფხაზურ მხარესთან კონფრონტაცია ჯერ კიდევ არ იყო უკიდურესად გამწვავებული. თქვენ, იმედგაცრუებულმა და ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილმა, მიატოვეთ ქართული დეპუტაცია, ბატონო ნუგზარ! მე კი, რადგანაც იმ დროს ჯერ კიდევ არ გამაჩნდა სათანადო პოლიტიკური გამოცდილება, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი, თუ რა ამაზრზენ ღალატთან გვქონდა საქმე და მაინც ჰუმანურად გექცეოდით თქვენც და თქვენს თანამზრახველებსაც, აკი, ჩემს წიგნშიც მხოლოდ გაკვრით შევეხე ამ გამაოგნებელ ფაქტს. დღეს კი, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ **სწორედ თქვენი და თქვენი თანამზრახველების ნამააგარია აფხაზეთის 1991 წლის აპარტეიდული საარჩევნო კანონი და მის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების სავალალო შედეგები.** ყოველივე ეს კი, შევარდნაძის მოღალატეობრივ ქმედებასთან ერთად (აფხაზეთში ტანკებისა და შეიარაღებული კრიმინალური შენაერთების შემოყვანა), უპირველესი მიზეზია იმ უბედურებისა, რაც თავს დაგვატყდა. **სწორედ ზემოხსენებული საარჩევნო პაკეტის დარღვევის გამო დაიძაბა სიტუაცია უმაღლეს საბჭოში, რასაც მოჰყვა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ვაჟა ზარანდიას დანიშვნა აფხაზი დეპუტატების მიერ, დეპუტატთა ქართული ფრაქციის გასვლა უმაღლესი საბჭოდან და მის ბაზაზე, პარალელურად, ქართული პარლამენტის, ხოლო შემდეგ ე.წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს და ცოტათი ადრე, ეროვნული ერთიანობის საბჭოს შექმნა - იმ მე-5 კოლონისა, რომელმაც, ყველა სხვა დესტრუქციულ ძალასთან ერთად, ის შედეგი განაპირობა, რასაც ხალხისა და ქვეყნის ინტერესები შეეწირა.**

ასე რომ, ბატონო ნუგზარ, ვის ვის, მაგრამ თქვენ და თქვენს თანამზრახველებს არ უნდა ამოგეღოთ ხმა, რადგან ამის მორალური უფლება, უბრალოდ, არ გქონდათ! თქვენ ხომ ერთ-ერთი იმათგანი ბრძანდებით, ვის სინდისზეცაა ქვეყანაში დატრიალებული ტარგედია და ამდენი ოჯახის გაუბედურება? სწორედ ეს გახლავთ ჭეშმარიტი ღალატი, რაზედაც თავად ურცხვად საუბრობთ!

კარგად დაფიქრდით, ბატონებო, ვის ემსახურებით თქვენ, ასე საჯაროდ რომ ემიჯნებით სიმართლესა და ჭეშმარიტებას?!

აი, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის და თქვენისთანებისთვის! აწი, თავად განსაჯეთ - ვინ არის გუშინდელი თუ თანამედროვე შადიმანი! თუ გაგიჭირდათ და ვერ შეძელით, მკითხველი დაგეხმარებათ!

პატივისცემით,

თქვენი

ნაპო მესხია.

2013 წლის 11 მაისი.

გაზეთი „ილორი“, № 239-252; 2013-2014 წ.წ.

ერთი უღირსი და სამარცხვინო პუბლიკაციის კვალდაკვალ

„როცა ქალი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სირცხვილისგან წამითაც კი გაწითლებას“

ხალხური

მკითხველისთვის ადვილად რომ იყოს აღსაქმელი ამ წერილის პათოსი, შევახსენებ: 2009 წელს გამოიცა ჩემი წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ (ფაქტები, ფაქტები, ფაქტები) მწარე სიმართლე დაუფარავად. ამ წიგნს, გამოქვეყნებიდან 4 წლის შემდეგ, მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა. ჯერ იყო **და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 2012 წლის 29 სექტემბრს მიიღო „ისტორიული“დადგენილება (№ 06 (14) 1პ)** „დეპუტატ ნ. მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“. შემდგომ, მას მოჰყვა **ჯემალ გამახარიას** და **ნუგზარ მგალობლიშვილის** ამაზრზენი ფაბრიკაციები, სადაც **„ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მოღალატედ“, „კოლაბორაციონალისტურ, ბოღმიან, პოლიტიკისგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებულ და ჩასაფრებულ ადამიანად“** შემრაცხეს, ჩემი წიგნი კი დაგმეს **„როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგია“.** რა არ მომიგონეს და რა არ მაკადრეს...

მათი გაღიზიანება გამოიწვია ოქტომბრის არჩევნების წინ ჩემმა პოლიტიკურმა აქტივოვამ და ძალადობრივი წარსულის მიმართ მკვეთრად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ. წიგნში აღწერილ სიმართლესა და მოსაზრებებზე აპელირება მხოლოდ ნიღბისთვის დასჭირდა იმათ, ვინც ნგრევას,

დაქუცმაცებას, მხოლოდ საკუთარ ყოფით კეთილღეობის გახანგრძლივებას უჭერდა მხარს და სხვა საზრუნავი არ გააჩნიათ.

ვაიოპონენტების ასეთ უსახურ ამჩატებას საკადრისი პასუხი გაეცა: მკითხველს უთუოდ გაახსენდება ზაურ კვარაცხელიას **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“); ჩემი წერილი **„არა, სამეგრელო არ გასხვისდება“** (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, „ილორი“); იური პაპასქუას **„ჰერიო ბიჭებო..კიდევ ერთხელ ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (გაზეთი „ილორი“); ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, უკვე მომზადებული მქონდა და გაზეთ „ილორს“ გადავეცი გამოსაქვეყნებლად ჩემი ვრცელი პასუხი **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს“.**

მართალი გითხრათ, მეგონა დასრულდა ჩემი მისამართით ქვებისა და ტალახის სროლა - არჩევნები უკვე ჩავლილი იყო და ზნედაცემულ დამკვეთებს სამიზნედ არ დავჭირდებოდი, თუმცა ამაოდ..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კვლავ დაიბეჭდა სალანძღავი წერილი სათაურით: **„განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედება“,** რომლის ავტორი ჩემი კუთხის და ჩემი თაობის წარმომადგენელი - რაისა კონსტანტინეს ასული ჩიკვატია-ქარაია აღმოჩნდა. ქალბატონი რაისა, ჩვენდა საუბედუროდ, დღემდე აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში დეპუტატად „მუშაობს“ და ჩემი წიგნის **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (ქართულ და რუსულ ენებზე) ერთ-ერთი მჯავრმდებელი, ცნობილი „ისტორიული“ დადგენილების თანაავტორიცაა. ბატონების ჯემალ გამახარიას, თემურ მჟავიასა და ნუგზარ მგალობლიშვილის ფაბრიკაციების შემდეგ, ქალბატონ ქარაიას ეს პასკვილი, ამ დაჯგუფების მორიგი „გამოლაშქრება“ გახლავთ, რომელსაც კვლავ გულანთებული **ზაურ კვარაცხელია** დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და გაზეთ „ილორში“ თავისი პუბლიკაციით: **„ამჯერად რაისა, არა**

მაქსიმუტოვნა - უბრალოდ რაისა“, მოურიდებელი, ნამდვილი სახელი დაარქვა თავსგასულ ოპონენტთა მეცადინეობას. ამდენად, აწიწმატებული ქალბატონის მორიგ „მოლანდებებზე“ გამოკიდება ან მეტი ყურადღების გამახვილება შეიძლება არც ღირდეს...

და მაინც, არ დაგიმალავთ, დიდხანს ვიყავი გაოგნებული, ვითრევდი ფეხს, რამდენჯერმე ვცადე მივჯდომოდი საწერ მაგიდას. ვერ ვალაგებდი, როგორ უნდა მეპასუხა იმ აბსურდულ და ბინძურ ბრალდებებზე ქალბატონისათვის, რომლის მამის ხსოვნის წინაშე უაღრესად ვარ დავალებული. ბატონი კონსტანტინეს გამოქომაგება და მისი მაღალი ავტორიტეტი რომ არა, სრულიად ახალგაზრდა ასაკში, თანატოლებთან უხეში ფიზიკური შეხლა–შემოხლისთვის თხუთმეტდღიანი პატიმრობა არ ამცდებოდა, რაც სკოლიდან ავტომატურად გარიცხვას ნიშნავდა და ღმერთმა უწყის, რა მომავალი მელოდა წინ...

დიახ, ვალში ვარ ამ გამოჩენილ სამურზაყანოელის ხსოვნის წინაშე. ეს ფაქტორიც მაბრკოლებდა. მაგრამ მოგეხსენებათ, დუმილი ყოველთვის ოქრო როდია. შეიძლებოდა მავანისთვის ეს ეჭვის საფუძველი გამხდარიყო. იფიქრებდნენ, რომ ოპონენტი სწორია და ხმა ჩააკმენდინა ადრესატსო... ერთი სიტყვით, საქმე მქონდა არაორდინალურ შემთხვევასთან: მენდეთ, მეტად ძნელია „შინაურ“, თანაც ურცხვად გაშიშვლებულ, ცრუპენტელა ქალბატონთან არჩიო მტყუანმართალი.

მომიტევოს მკითხველმა, თუ კი დუმილს ვამჯობინე ამეხადა ფარდა მათთვის კულისებში შესაჭყეტად და მცირე ხნით თვალს მიადევნებს იქ დამყაყებულ სიბინძურეს. მომიწევს სტრიქონ–სტრიქონ მივსდიო ოპონენტის დავბრუდამხვევ ავანტიურას და ნუ ჩამითვლით ამას „გაწელილ კადრად“ - უბრალოდ, მინდა იცოდეთ სიმართლე.

რაში დასჭირდა ქალბატონ რაისას ამდენი სიცრუე, ფაქტების დამახინჯება, მდარე ჰანგებზე ტანის რხევის აყოლა

და ამაზრზენი „სტრიპტიზი“, რაც ასე უხვადაა **„ავტორის დაჟინებული თხოვნით“** გამოქვეყნებულ ღია წერილში. პასუხი მარტივია - დროებითმა კეთილღეობამ, პარტბოსების დაკვეთამ, დაცლილმა სულიერებამ, უპასუხისმგებლობამ მშობლიური კუთხისა და ხალხის წინაშე, უკუღმართმა აზროვნებამ უბიძგა.

სწორედ, რომ უკუღმა, თავდაყირაა აქ ფაქტები დაყენებული. მასში გამოგონილი და არარსებულიც ძლიერ ბევრია, მათ შორის, ისეთიც კი, რომელიც თითქოს უმნიშვნელოცაა.

შორს რომ არ წავიდეთ, სიცრუეა, როცა ქალბატონი რაისა აცხადებს, თითქოს ოჯახებით ვიყავით ერთმანეთთან დაახლოებული და ვიცნობდით ერთმანეთს სკოლის ასაკიდან. ვითომცდა, ჩვენი სკოლები (გალის რუსული და ქალთა ქართული), გვერდიგვერდ იყო და ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს.

სინამდვილეში, ჩვენი სკოლები განლაგებული იყო ქალაქის სხვადასხვა მხარეს და მათკენ მიმავალი გზებიც არ იკვეთებოდა.

ეს ფანდი იმისთვის დასჭირდა ქალბატონ რაისას, რომ ვემხილე „სიცრუეში“, როცა წიგნში ვწერ: ჩვენ პირველად მოსკოვში შევხვდით საქართველოს წარმომადგენლობაში - „მზიურში“, 1989 წლის აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკებისთვის მიძღვნილი ბრიფინგის დროს. ამასთან, მის „აქტიურ მოღვაწეობას“ შეუქმნა ფონი - მასშტაბური ღონისძიების ორგანიზება და იქ სიტყვით გამოსვლაც კი დაიბრალა.

ცხადია, ქალბატონ ქარაიას არსებობა და საქმიანობის შესახებ ადრე არც გამიგია, მაგრამ ჩემი პოლიტიკაში ძალაუნებური ჩართვისა და აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრ ადამიანთან დამაკავშირა. ზოგი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, როგორც ცივილურობის განსახიერება, ზოგმაც წარუშლელი სხვაგვარად დატოვეს კვალი.

ასე რომ, ქალბატონ ქარაიასთან პირადი კონტაქტი მანამდე მართლაც არ მახსოვს.

მოსკოვში „შეხვედრის“ შესახებ კი მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა:

ბრიფინგი, რომელზეცაა საუბარი, მოსკოვში არსებული ქართული სათვისტომოს, მისი ხელმძღვანელის, ბატონ დავით ბერიტაშვილის (დიდი ქართველი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილის) და მისი მეგობრების, ასევე, მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის მიერ იყო ორგანიზებული და არა რაისა ქარაიას და მისი დაქალების მიერ, როგორც ამას ეს ქალბატონი ირწმუნება. მას უძღვებოდა ქალბატონი რუსუდან ქორჩილავა. დარბაზში ტევა არ იყო - აქ იმყოფებოდნენ რუსეთის, აგრეთვე უცხოეთის ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები.

მაღალ საზოგადოებრივ ინტერეს განაპრობებდა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები. ვითარებას ამძიმებდა არაადამიანური მოპყრობის გამოვლინებები, მათ შორის, როგორც ცნობილია, 1989 წლის ივლისის ქართულ–აფხაზური სისხლიანი შეტაკების დროს, აფხაზი მედიკოსების მიერ სამედიცინო ეთიკის უხეშ დარღვევის ფაქტებს ჰქონდა ადგილი: აფხაზი ექიმები არ ღებულობდნენ დაჭრილ ქართველ პაციენტებს, აგრესიულად და ნიშნის მოგებით ნეიროქირურგიულ ცენტრში აგზავნიდნენ - **„მიდით ქართულ საავადმყოფოში, მესხიასთან.“** ამავდროულად, თვით ნეიროქირურგიულ ცენტრშიც აფხაზი ეროვნების თანამშრომლებმა უარი განაცხადეს ქართველი პაციენტების მომსახურეობაზე და დემონსტრაციულად დატოვეს სამსახური.

სწორედ ამ ფაქტებმა განაპირობეს ჩემი მივლინება მოსკოვში და ტრაგიკული დაძაბულობის განსამუხტად, მომიწია ბრიფინგზე სიტყვით გამოსვლა, რამაც დააბალანსა მაშინ აუდიტორიაში შექმნილი ჩვენთვის არახელსაყრელი ვითარება.

რუსუდან ქორჩილავა და გენო კალანდია დამემოწმება, რომ ქალატონი ქარაია იქ სიტყვით არ გამოსულა (მითუმეტეს, რუსულთან ისედაც მწყრალად ბრძანდება).. მოსკოვში

ბრიფინგზე კი არა, უკვე დეპუტატის რანგშიც ერთხელაც (!!!) არ მისულა მიკროფონთან... ასეთი რამ მას არ ეხერხება. სამაგიეროდ, გააჩნია მედროვეობის ყველა ღირსება.

ქალბატონი ქარაია ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს აქტიური წევრი იყო და წარმოადგენდა საზოგადოების იმ უგუნურ და წინდაუხედავ ნაწილს – მე–5 კოლონას, რომელიც მხოლოდ შუღლსა და მტრობას აღვივებდა, პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების სისხლიან კონფლიქტში გადაზრდისათვის ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა. სხვებთან ერთად გარბოდა პარლამენტის სხდომებიდან, მხარში ედგა იქ მოკალათებულ ექსტრემისტულ ძალებს და ასე დაამახსოვრა მათ თავი „საღად მოაზროვნე ადამიანად“.

თ. ნადარეიშვილის, გ. გვაზავას, ე. ასტემიროვას, რ. ქარაიას დამსახურებაა იმაში, რომ ამ გუნდმა შეძლო დაერწმუნებინა სამხედრო საბჭო აფხაზებთან ურთიერთობის „დასალაგებლად“ სამხედრო ჩარევის აუცილებლობაში.

ახლაც ჩამესმის ყურში, თბილისიდან მობრუნებულმა ჩემს კითხვას **„სად იყავით, როგორ წახვედით ისე, რომ არავინ არაფერი იცოდა?“**, მაშინ სახეგაბადრულმა და თვალებგაბრწყინებულმა ქალბატონმა ქარაიამ რომ მიპასუხა: **„დამშვიდდით, ბატონო ნაპო, ორ კვირაში ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავთ!“** აწ. განსვენებული კიმი ჯაჭვლიანი და მე გაოცებული ვფიქრობდით, რა უნდა მომხდარიყო. არ გასულა ორი კვირაც კი, ზუსტად ათ დღეში სოხუმში ტანკები შემოვიდნენ! მაშინ ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა.

ქალბატონი რაისა ამ ფაქტს ურცხვად უარყოფს. როგორც ჩანს, რთულ პათოლოგიასთან გვაქვს საქმე, ეს, რა თქმა უნდა, უბრალო ამნეზია არ გახლავთ. სიცრუე, ორპირობა, ფაქტების დამახინჯება, მისი ხელობაა, რომელსაც უზადოდ ფლობს ეს ქალბატონი და ამ მომწამვლელ არსენალს შეტევისას გულმოდგინედ იყენებს.

მათ რიგს მიეკუთვნება ის ცრუბრალდება, რაც ქალბატონმა რაისამ დამწამა ომის დროს საქართველოს პრემიერ-

მინისტრ ბატონ თ. სიგუას სოხუმში ჩამოსვლის ფაქტთან დაკავშირებით. მან უსინდისოდ უარყო მაშინ მომხდარი ფაქტიც და ვითომ „მამხილა“ სიცრუეში, კვალის წაშლა უნიჭოდ სცადა. სინამდვილეში კი საქმის ვითარება ასეთი იყო: საღამოს ვახშმის დროს, როცა ქალბატონი რაისა და ქ–ნი ასტემიროვა „კუხარკობდნენ“ და მიმტანის ფუნქციებს ასრულებდნენ, სუფრასთან ბატონ თ. სიგუას გვერდით იჯდა – მარჯვნივ გ. ლომინაძე, ხოლო მარცხნივ გია გულუა, მოპირდაპირედ ვისხედით ბატონები თამაზ ნადარეიშვილი, გია გვაზავა და მე. თამადობდა ბატონი გ. ლომინაძე. რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა გულუამ და დამსწრეთ შესთავაზა ორი თენგიზის – თ. სიგუასა და თ. კიტოვანის სადღეგრძელო, რომლებმაც, მისი თქმით, ასე კარგად მოაგვარეს აფხაზეთის პრობლემები. ეს ხდებოდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის თაოსნობით 1992 წლის 3 სექტემბრს მოწყობილ, ე. შევარდნაძისა და ვ. არძინბას მოსკოვური შეხვედრის შემდეგ, როდესაც ხელი მოეწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გენერალ გულუას მაშინ. მანამდე კი, დღისით, როდესაც ბატონი თ. სიგუა შემოვიდა „გოსდაჩაზე“ ე.წ. სტალინის კორპუსში, თბილად მომესალმა და მითხრა: **„ხომ დიდი საქმე გავაკეთეთ, ბატონო ნაპო?“.** მე უმალვე მივუგე: **„დაველოდოთ შემოდგომას!“...** ამან ცივი შხაპივით იმოქმედა ბატონ თ. სიგუაზე, ის განერიდა სხვებს და ისე შევიდა ოთახში. საღამოს კი შესდგა სწორედ ეს ვახშამი, რომელზეც ვსაუბრობ და სწორედ მაშინ გ. გულუას სადღეგრძელო ასე გავაგრძელე: **„მე დიდი სიამოვნებით შევსვამ ბატონ თენგიზ სიგუასა და ბატონ თ. კიტოვანის სადღეგრძელოს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აფხაზეთის პრობლემები ჯერ კიდევ შორსაა მოგვარებისაგან, წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ამასთან, უნდა გითხრათ ისიც, რომ ტანკები არ იყო საჭირო – აფხაზეთში ტანკებს ალტენატივა გააჩნდათ, იყო სხვა გზებიც!“** მაშინ აფეთქდა ბატონი თ. სიგუა, ბატონ

თამაზის მიმართულებით ხელი გაიშვირა და ხმამაღლა თქვა: **„ბატონო ნაპო, დღეს თქვენ მეორედ მესვრით ასეთ რეპლიკას - მე მაბრალებთ ტანკების შემოყვანას და ომის დაწყებას აფხაზეთში! უნდა გითხრათ: მე დღემდე ჩამესმის ყურებში თქვენი კოლეგების ჩხავილი: „დავიღუპეთ, ჩქარა შემოდით, თორემ დავკარგეთ აფხაზეთიო!“ მე თქვენ ტყუილად მადანაშაულებთ ომის დაწყებაში აფხაზეთშიო“.**

არ გამოვრიცხავ, რომ ქალბატონ რაისას არ მოუისმენია ბატონ თ. სიგუასთან შელაპარაკება, რადგან სამზარეულოში ფუსფუსებდა და საერთოდ არ მჯდარა სუფრასთან! სამწუხაროდ, იმათ შორის, ვინც იქ იყო, ორი უკვე აღარ არის ამ ქვეყნად, მაგრამ სხვები ხომ არიან. არა მგონია, ეს შეხვედრა არ ახსოვდეს ბატონ გია გვაზავას ან ბატონ გ. ლომინაძეს! თუ არ ახსოვთ, ეს მათი პრობლემაა და მათ სინდისზე იყოს!

ბატონი თ. სიგუას დამოწმება კი ჩირადაც არ ღირს, ან რა ფასი აქვს იმ კაცის სიტყვას, ვინამაც ედუარდ შევარდნაძესთან, ჯაბა იოსელიანთან, თენგიზ კიტოვანთან და სხვა ეროვნულ ანტიგმირებთან ერთად დაამხო ეროვნული ხელისუფლება, ესროლა საკუთარ ხალხს, ტანკებზე ამხედრებული შემოვიდა სოხუმში და ვითომ, მის დასაბრუნებლად. მან და მისმა ავადსახსენებელმა მეგობრებმა „წარმატებით“ იომეს აფხაზეთში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ასეთივე წარმატებით „მოაგვარეს“ აფხაზეთის პრობლემები, რის შედეგად დაიღუპა მთლიანობაში 30 ათასამდე ადამიანი, 300 ათასამდე დევნილად იქცა, აფხაზეთი კი სამარცხვინოდ გასხვისდა. სხვა თემაა და არ ღირს მსჯელობა მის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელმაც გააღატაკა და დააბეჩავა საქართველოს მოსახლეობა - რა სიმართლე უნდა თქვას ასეთმა კაცმა!

ფანტაზიის ნაყოფია ქალბატონ რაისას მტკიცება, რომ მას ქონდა ცალკე შეხვედრები თ. სიგუასთან, ან ე. შევარდნძესთან და ესაუბრა აფხაზეთთან, კერძოდ კი გაგრასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს მხოლოდ მისი აქტიურობის,

საზოგადო მოღვაწის იმიჯის ილუზიის შექმნის იაფფასიანი ცდაა და მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში შეიძლებოდა ასე მომხდარიყო (და ეს თუ ასეა, იმას უფრო ადასტურებს, რომ ომის დაწყების აუცილობლობაზე ინდივიდუალურადაც მოუხდენია მიუტევებელი გავლენა).

ქალბატონი რაისა, სხვა აურაცხელ უზუსტობასთან ერთად, იმასაც ამტკიცებს, რომ ბ–ნ გ. ლომინაძის კანდიდატურა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სავსებით მოულოდნელი იყო თვით გ. ლომინაძისთვის და სხვებისათვისაც, რაც ღიმილის მომგვრელია და ახლოსაც არ არის ჭეშმარიტებასთან. ის ურცხვად ამბობს: **„ქართული დეპუტაცია თქვენი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ამიტომაც დაგავალათ ვ. არძინბამ გ. ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება სწორედ თქვენ და არა პრეზიდიუმის რომელიმე წევრს და სწორედ თქვენ დაასახელეთ სესიაზე მისი კანდიდატურა და არა გ. გვაზავამ. რაში დაგჭირდათ სიმართლის დამახინჯება და იმის, რაც თვითონ გააკეთეთ, სხვისთვის გადაბრალება?“**

რა დონის სიცრუეა ეს! ქართული დეპუტაცია თუ ჩემი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ე.ი. ჩემი კანდიდატურა თუ დგებოდა დღის წესრიგში, როგორ დამევალებოდა მე სხვისი, კერძოდ, გ. ლომინაძის კანდიდატურის წარდგენა? სად არის აქ ლოგიკა? როგორც ხედავთ, ისე აებნა გზა–კვალი მას, თავადაც ვერ გარკვეულა, რა უნდა თქვას და მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ სწორედ მე წარვადგინე გ. ლომინაძე სესიაზე! იქვე აგრძელებს: **„ბატონ გ. ლომინაძის კანდიდატურა იმ სიაშიც არ იყო, რომელსაც კენჭი უყარა ქართულმა დეპუტაციამ, თუმცა თქვენს წიგნში ის ფიგურირებს, როგორც კანდიდატი თქვენთან ერთად“**... რა შეიძლება აქ ითქვას? ყველას კარგად ახსოვს, რომ შიდაფრაქციულ კენჭისყრაზე სხვებთან (ო.ზუხბაია, ვ. ყოლბაია, რ. სიჭინავა, მ. გობეჩია და ნ. მესხიასთან) ერთად იდგა სწორედ გ. ლომინაძის კანდიდატურაც და მან მიიღო მაშინ ორად–ორი ხმა.

ამ ჭეშმარიტებას ურცხვად უარყოფს ქალბატონი რაისა და შავზე ამბობს, რომ ის თეთრია!

აღნიშნულზე მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთხელ განვმარტავ: ჩემი კანდიდატურა არ შეიძლებოდა დამდგარიყო კენჭისაყრაზე არც იმ და არც სხვა დროს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე კანდიდატურა მოვიხსენი კარგა ხნით ადრე; მეორე, როგორ უნდა დაევალებინა ვ. არძინბას ჩემთვის, რიგითი დეპუტატისთვის, როგორც ამბობს ეს ქალბატონი, გ. ლომინაძის კანდიდატურის წარდგენა, რადგან ეს, მხარეებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, არ იყო არც ვ. არძინბასა და არც სხვა აფხაზი დეპუტატის პრეროგატივა? მით უფრო, რომ ის (და მთლიანად აფხაზური მხარე) კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ გ. ლომინაძის კანდიდატურის და მისი სახელის ხსენებაც კი არ უნდოდათ! ნუთუ არ ახსოვთ ან არ იციან, თუ ვინ წარადგინა იმ ავადსახსენებელ სესიაზე გ. ლომინაძის კანდიდატურა? ბოლოს და ბოლოს ჰკითხეთ თავად გ. ლომინაძეს, მასაც არ ახსოვს, თუ ვინ წარადგინა მისი კანდიდატურა – მე თუ ბატონმა გია გვაზავამ?!

სიმართლე ამ საკითხის ირგვლივ დღეს კარგად იცის ყველამ, მაგრამ სრული სიმართლე – მაინც მხოლოდ ვიწრო წრემ, მათ შორის ქართულმა დეპუტაციამ. ამიტომ, რადგან ქალბატონი რაისა შეეხო მთავრობის თავმჯდომარის საკითხს, აჯობებს ნათელი მოეფინოს ყველაფერს, რაც იყო დაკავშირებული ამ საკითხთან და რა ხდებოდა მის ირგვლივ.

ცნობილია, თუ რა ფარული პაექრობა მიმდინარეობდა კულისებში გ. ლომინაძესა და თ. ნადარეიშვილს შორის. სწორედ ამიტომ დააყენა ამ უკანასკნელმა, სხვა ხუთ კანდიდატთან ერთად, მისი კანდიდატურაც შიდაფრაქციულ ფარულ კენჭისყრაზე. ბატონ გ. ლომინაძის რეიტინგის გათვალისწინებით, გარდაუვალი იყო მისი კანდიდატურის ჩავარდნა. ეს ყველამ კარგად იცოდა, მათ შორის, პირველ რიგში ბატონმა თამაზმა და გამართლდა კიდეც მისი ვარაუდი! ამით, ბატონ

თ. ნადარეიშვილის მოსაზრებით, გ. ლომინაძისა და სხვა უფრო რეალური კანდიდატურები მოიხსნა დღის წესრიგიდან, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ბატონ გ. ლომინაძეს მხარს უჭერდა „მხედრიონი“, კერძოდ, მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი. სწორედ ამის გათვალისწინებით, იმ დღეს – 1992 წლის 17 მაისს, როდესაც სესიაზე იხილებოდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი, თ. ნადარეიშვილი იმყოფებოდა თბილისში, თითქოსდა შიდაფრაქციული კენჭრისყრით გამარჯვებულის (თქვენი მონა მორჩილის!) კანდიდატურის დასამტკიცებლად. სინამდვილეში კი „გოსსაბჭოს“ მან წარუდგინა არა ჩემი, არამედ ბ–ნ გ. ლომინაძეს კანდიდატურა, რითაც ჩააგდო ქართული მხარის ინტერესები და დათვური სამსახური გაუწია თვით გ. ლომინაძესაც, რადგან მისი კანდიდატურა განწირული იყო კრახისთვის, ხოლო მას თავად ეხსნებოდა გზა სანუკვარი მიზნისკენ!

ქალბატონი რაისა კი ამბობს, რომ **„ბ–ნ თ. ნადარეიშვილს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა რომ ნდომებოდა, ამას ნამდვილად მიაღწევდა ბ–ნ ზვიად გამსახურდიასთან, რადგანაც ამის ავტორიტეტი ჰქონდა და მისი კანდიდატურა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზეც საქართველოს ხელისუფლებიდან მოდიოდა“.** ეს სავსებით სწორია: მისი კანდიდატურა დაკავებულ პოსტზე, პრეზიდენტის ბატალიონის მეთაურის, ზვიად ნადარეიშვილის ლობირებით მოდიოდა, მაგრამ ქ–ნმა რაისამ ან არ იცის, ან არ უნდა იცოდეს, თუ როგორ და ვისი ძალისხმევით იქნა მიღწეული აფხაზური მხარის მიერ მისი ძველი, „გაგრის საქმეების“ „დავიწყება“ და მათი თანხმობა ბატონ თ. ნადარეიშვილის ვ. არძინბას პირველ მოადგილედ დანიშვნაზე. ეს იცის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობამ, მაგრამ ქ–ნ რაისასთვის და იმათთვის, ვინც ამას პირველად იგებს, იძულებული ვარ გავიმეორო თვით ბატონ თ. ნადარეიშვილის მიერ ჩემი მისამართით ნათქვამი სიტყვები: **„იმას, რაც დღეს მე გამიკეთეთ, გაუკეთებდა კაცს**

მხოლოდ მამა ან ძმა. მადლობელი ვარ თქვენი“! ეს სიტყვები წარმოსთქვა მან თავისი სახლის კარებთან, როდესაც სესიის დამთავრების შემდეგ მივაცილეთ იგი, ჩემი ძმის მანქანით, ბატონ რაჟდენ ქარდავასთან ერთად. გალის სინდის–ნამუსად აღიარებული ბატონი რაჟდენი სიტყვა–სიტყვით გაიმეორებს ამას (ალბათ, ნებისმიერ დროს!).

ასე ავირჩიეთ ბატონი თამაზ ნადარეიშვილი ვ. არძინბას პირველ მოადგილედ. თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმ დროს, როდესაც აფხაზური მხარე თანახმა იყო ნებისმიერ სხვა კანდიდატურაზე, გარდა ბატონ თ. ნადარეიშვილისა, შესაძლებელი გახდა მათთან კონსენსუსის მიღწევა და მათი დაყოლიება მათთვის აბსოლუტურად მიუღებელი კანდიდატურის თანხმობაზე. დიახ, თუ აფხაზური მხარე არ წამოვიდოდა ასეთ დათმობაზე, ჩვენ (ქართული დეპუტაცია) ვერ შევცვლიდით თ. ნადარეიშვილის კანდიდატურას, ვინაიდან იგი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ იყო რეკომენდირებული და ეს აღემატებოდა ჩვენს ძალებს, უნდა დაგვეტოვებინა უმაღლესი საბჭო და მაშინ ის დაიშლებოდა ისე, რომ არც კი შეუდგებოდა თავის საქმიანობას. ეს კი პოლიტიკურ კრიზისს და საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას ნიშნავდა, რაც შეიარაღებულ კონფროტაციისკენ გვიბიძგებდა. ეს იყო მთავარი არგუმენტი. აფხაზურ მხარეს ეყო ჭკუა და დათმობაზე წამოვიდა, მაგრამ როდესაც, ომის თავიდან აცილების მიზნით, ვარწმუნმებდი აფხაზურ მხარეს ბატონი თამაზის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის მიზანშეწონილობაში, მაშინ, როგორც იტყვიან, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს! მოკლედ, მთლად ისე მარტივად არ იყო საქმე, როგორც ეს წარმოუდგენია ქალბატონ რაისას!!!

ეს მან მშვენივრად იცის, მაგრამ არ უნდა იცოდეს, რადგან ყველაფერი ეს უკავშირდება ამ წერილის ავტორის სახელს!

ასე რომ, ამ მაღალი თანამდებობის და სხვა ბევრი თბილი სავარძლებისთვის ბრძოლას შეეწირა გარკვეულწილად ხალხისა და ქვეყნის ინტერესები!

უნდა შევეხო კიდევ ერთ სენსაციურ სიცრუეს, რომელსაც ქალბატონი ავრცელებს, თითქოს 1992 წლის 17 მაისს, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის არჩევის დღეს, ბატონი თამაზი ნადარეიშვილი იმყოფებოდა სოხუმში და ის ხელმძღვანელობდა ქართულ დეპუტაციას. აი, როგორ მომმართავს ქ–ნი რაისა თავის წერილში: **„თქვენ ცრუობთ მაშინაც, როცა ირწმუნებით, რომ ბატონი ნადარეიშვილი თბილისში იყო და იქიდან იძლეოდა დირექტივებს, დეპუტაციას კი მე ვხელმძღვანელობდიო. როგორ? თქვენ ხომ არც პრეზიდიუმის წევრი იყავით და არც არავინ გავალებდათ ამას, თუმცა დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ „მიუხედავად იმისა ვიყავი თუ არა არჩეული ოფიციალურად ფრაქციის თავმჯდომარედ, თამაზის არყოფნისას მე მიწევდა მემართა დეპუტაციის ქართული ფრაქცია“. ნუთუ გგონიათ, რომ ყველას ამნეზია დაგვემართა? თქვენ ხომ მშვენოვრად იცით, რომ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, პრეზიდიუმის წევრები კი იყვნენ გ. გვაზავა, ვ. ყოლბაია, ე. ასტემიროვა და თქვენთვის, რიგითი დეპუტატისთვის რატომ უნდა დაევალებინათ დეპუტაციის მართვა?! ვისთვის არის ეს გათვლილი? რატომ იბრალებთ, რომ დეპუტაცია ჩაიყვანეთ სესიაზე და შ. ხეცურიანს ათხოვიეთ შესვენების გახანგრძლივება, მაგრამ ვ. არძინბა არ დათანხმდა, სანამ თქვენ არ ჩაერიეთ და არ აუხსენით შესვენება რისთვის გჭირდებოდათ. არა, ბატონო ნაპო, ეს სრული სიცრუეა, რაც აფხაზებსაც კარგად ახსოვთ.**

აი როგორ იყო სინამდვილეში: ფოიეში (ვ. არძინბასთან, ნ.მ.) საუბრის შემდეგ,როცა თქვენ შემოხვედით ბ–ნ თ. ნადარეიშველთან, სადაც მთელი დეპუტაცია იყო თავშეყრილი, მოსთხოვეთ, მოეწვია ბ–ნ გ. ლომინაძე და მერე იტყოდით, თუ რა შემოგთავაზათ ვ. არძინბამ. როცა ბ–ნ გივის ვერ დავუკავშირდით და აშკარა იყო შესვენების დროში ვერ ვეტეოდით, ბ–ნმა თამაზმა გვთხოვა (!!! ნ. მ) და სხვებიც დაეთანხმნენ (!!! ნ. მ), ქ–ნ ე. ასტიმიროვა და მე წავსულიყავით ვ. არძინბასთან (!!! ნ. მ), თქვენ კი დაგვაბარეთ გვეთქვა მისთვის, რომ ვაგვიანებდით იმასთან დაკავშირებით, რაზეც გესაუბრათ. ჩვენ სწორედ მისგან გავიგეთ, თუ რა დავალება მოგცათ მან თქვენ“.

ეს თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა, თუმცა ციტირებული ვრცელი ამონარიდი აერთიანებს რამდენიმე ბრალდებას და ვფიქრობ, მათზე რეალობა სხვებმაც უნდა გაიგოს! ნუთუ ჰგონია ამ ქალბატონს, რომ ყველას ყველაფერი დაავიწყდა და მხოლოდ მას ახსოვს დეტალებში ყოველივე ის, რასაც სინამდვილეში ჰქონდა იმ დღეს ადგილი? რას ამტკიცებს ეს ადამიანი, თითქოს ბატონი თამაზი არ იმყოფებოდა მაშინ თბილისში, ადგილზე, სოხუმში იყო და ხელმძღვანელბდა ქართულ დეპუტაციას? სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, შეეკითხეთ თუნდაც თქვენს თანამოაზროვნეებს – ბატონებს ჯემალ გამახარიასა და თემურ მჟავიას. ისინი, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ყველაფრისა, დაგიდასტურებენ, რომ სწორედ მათ ესაუბრა ტელეფონით ბატონი თ. ნადარეიშვილი და უთხრა, რომ ის მიემგზავრება თბილისს, თითქოსდა ჩემი კანდიდატურის დასამტკიცებლად, სთხოვა მათ, მისი თბილისიდან ზარის გარეშე არ შევსულიყავით სესიაზე, რაც სიტყვა–სიტყვით მოახსენეს ამ ბატონებმა დეპუტაციას (დეტალურად იხ. წიგნის ქართულ და რუსული გამოცემების 91 და 91, 93 გვ.). შეეკითხეთ თავად გ. ლომინაძესაც, დარწმუნებული ვარ, ისიც იტყვის, თუ სად იყო იმ დღეს ბატონი თ. ნადარეიშვილი და ვინ ხელმძღვანელობდა დეპუტაციას. ყველაზე აფსურდული კი აქ ქალბატონის მიერ იმის მტკიცებაა, თითქოს „ბატონ თამაზის თხოვნით და ყველა დეპუტატის თანხმობით“ ის, ქ–ნ ე. ასტემიროვასთან ერთად, ეახლა ვ. არძინბას თხოვნით (ეს გაუგონარი სიცრუეა!): გაეგრძელებინა შესვენება იმის გამო, რომ ადგილზე არ იმყოფებოდა ბ–ნი გ. ლომინაძე, რომლის კანდიდატურა, „გოსსაბჭოს“, კერძოდ, ჯაბა იოსელიანის რეკომენდაციით, უნდა წარედგინა იმ დღეს ქართულ დეპუტაციას. ვიმეორებ, ეს გამაოგნებელი

სიცრუეა! თქვენ არც ბ–ნ თამაზის (რომელიც ფიზიკურად არ იმყოფებოდა სოხუმში!) და არც ვინმე სხვას არ გაუგზავნიხართ არსად. ან როგორ გაგაგზავნიდით თქვენ ისეთ ადამიანებთან, რომლებთანაც არ გაგაჩნდათ არავითარი ავტორიტეტი და საქმიანი ურთიერთობა, მით უფრო ვ. არძინბასთან მოსალაპარაკებლად. აბა გაიხსენეთ, თუ როგორ მოგმართათ თქვენ და თქვენ დაქალ ე. ასტემიროვას მან, ერთადერთხელ ჩვენთან შემოსვლისას: **„Молчи, дура!“** ისიც გაიხსენეთ, თუ ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც გამოგექომაგათ მაშინ თქვენ: «**Как вы можете оскорблять женщин в нашем присутствии!**» ვ. არძინბას პასუხი იყო: **«Они дуры и вещи надо называть своими именами!»** აი, ასეთ კაცთან გაგაგზავნათ თქვენ ადგილზე არმყოფმა ბატონმა თამაზმა შესვენების გასაგრძელებლად?! ეს ფანტასტიკური სიცრუე და წარმოუდგენელი სისულელეა!

თუ ეს ასეა, რას ეუბნებით მაშინ ბატონ დავით გვაძაბიას, ბატონ ჯემალ გამახარიას და ბატონ თემურ მჟავიას, რომლებიც, ჩემი თხოვნით, ორჯერ ეწვივნენ ვ. არძინბას, არა შესვენების გაგრძელების მიზნით, არამედ იმის დასადგენად, თუ რამდენად სანდო იყო მათი დაპირება ჩვენს მიერ წარდგენილი ნებისმიერი კანდიდატურის მხარდაჭერაზე, კონკრეტულად კი - გ. ლომინაძის კანდიდატურის რეალობაზე? შეეკითხეთ მათ და ისინი გეტყვიან სიმართლეს! გეტყვიან იმასაც, თუ სად იმყოფებოდა ბატონი თ. ნადარეიშვილი მაშინ და ვინ ხელმძღვანელობდა დეპუტაციას. შეეკითხეთ ასევე ბატონ შ. ხეცურიანს ვის და სად მიმართა მან სხდომის დაწყების კიდევ ერთი საათით გადავადების თხოვნით, რა უპასუხა ვ. არძინბამ მას და ვისი ჩარევის შემდეგ მოხდა სესიის დაწყების გადადება!

ახლა ბრალდების იმ ნაწილსაც მინდა შევეხო, სადაც დეპუტაციაში ჩემს ლიდერული პოზიციებია უარყოფილი. ოღონდ ოდნავ შორიდან მომიწევს ახსნა - საჭიროა იმ დროისთვის შექმნილი ვითარების გააზრება და მისი სწორი შეფასება. ეს საჭიროა, რათა გაირკვეს, თუ რაზეა აქ საუბარი.

სწორია, რომ მაშინ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ქართულ დეპუტაციას ვუწოდებდით ფრაქცია „დემოკრატიულ აფხაზეთს“ და როდესაც გამოვდიოდით პრესასა თუ ტელევიზიით, მოიაზრებოდა სწორედ ქართველ დეპუტატთა ფრაქცია ამ გაგებით. მეც ჩემს პუბლიკაციებში ამას ვგულისხმობ.

გადაუჭარბლებად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამაში ბრალი, უპირველესად, მის პრეზიდიუმს მიუძღვის. მან ვერ შეასრულა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა, ვერ უზრუნველყო შეთანხმებული საქმიანობა ვერც პრეზიდიუმში და ვერც კომისიებში. პრეზიდიუმის ქართული შემადგენლობა, სამწუხაროდ, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე: ისინი ხშირად არ ესწრებოდნენ პრეზიდიუმის სხდომებს, ბოლო დროს საერთოდ მიატოვეს იგი და არ ცდილობდნენ დაემყარებინათ აფხაზურ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმი და საქმიანი ურთიერთობა, რითაც ხელს უწყობდნენ მხარეებს შორის არსებულ გათიშულობისა და დაპირისპირების პროცესის გაღრმავებას. ტოვებდნენ არა მარტო პრეზიდიუმის სხდომებს – გარბოდნენ სესიებიდანაც. როდესაც ვეუბნებოდი, რომ არ შეიძლებოდა დეპუტატის საქმიანობისადმი ასეთი მიდგომა, ყოველნაირად ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი ქმედებები – ამბობდნენ: **„ჩვენ რა გვინდა იქ, როდესაც თავმჯდომარის პირველი მოადგილე არ ესწრება პრეზიდიუმის სხდომებს?!“** ბატონი თამაზისგან კი არაერთხელ მსმენია: **„რა აზრი აქვს იმ შტერებთან ჯდომას და მათ მოსმენას, ისინი თავისას მაინც არ იშლიან“!**

ასეთ დროს ვიღაცას უნდა აეღო, რამდენადაც შესძლებდა, თავის თავზე პასუხისმგებლობა და ემოქმედა ისე, როგორც მოითხოვდა სიტუაცია და საქმის არსებული ვითარება. ამასთან, შიდაფრაქციული ფარული კენჭისყრით, ჩემი

კანდიდატურის გამარჯვების შემდეგ, აღმოვჩნდი ისეთ სიტუაციაში, რომ ხშირად (უფრო ბატონი თამაზის არყოფნის დროს) მიწევდა აფხაზურ მხარესთან ურთიერთობა და ზოგი საკითხის, მათ შორის საკადრო პრობლემების მოგვარება.

თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარება იმაში, რომ ქართულ დეპუტაციაში გამოვირჩეოდი პასუხისმგებლობით და წარმოვადგენდი იმაზე მეტს, ვიდრე პასიური რიგითი დეპუტატი იყო, მინდა მიპასუხონ სრულიად მარტივ, ლოგიკურ კითხვებზე:

✓ ვისი „აღმოჩენა“ იყო ქ–ნი ასტემიროვა და ბატონი გია გვაზავა? ვინ შემოგთავაზათ მათი კანდიდატურა ჯერ ფრაქციაში, მერე კი შესაბამისად, სადეპუტატო მანდატისა და ეთიკის კომისიის თავჯდომარედ და ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის კომისიის თავჯდომარედ უმაღლეს საბჭოს სესიაზე?;

✓ ვისი ძალისხმევის შედეგად გახდა ბატონ თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა გამსვლელი და ვინ წარუდგინა იგი სესიას უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე?

✓ ვინ შემოგთავაზათ ბატონ ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურა იურიდიული კომისიის თავჯდომარედ, იმისდა გათვალისწინებით, რომ ის წლების განვმალობაში მუშაობდა უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ და გააჩნდა პოლიტიკური საქმიანობის დიდი გამოცდილება. ვინ წარუდგინა მისი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს სესიას?;

✓ ვინ ხელმძღვანელობდა, ბატონ თ. ნადარეიშვილის ავადმყოფობის დროს ქართული ფრაქციის სხდომას, როდესაც იხილებოდა თქვენი – გულრიფშის რაიონის თავკაცის საკითხი და სამი კანდიდატურიდან ფარული კენჭისყრით ერთ-ერთის შერჩევა?;

✓ ვინ წარუდგინა უმაღლეს საბჭოს სესიას კენჭისყრით გამარჯვებული ბატონი დავით გვაძაბიას კანდიდატურა გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის თავკაცის თანამდებობაზე?;

✓ ვინ წარუდგინა ასევე უმაღლეს საბჭოს სესიას გალის

რაიონის თავკაცად ბატონი რუდიკ ცატავას კანდიდატურა?;

✓ ვინ გარწმუნებდათ, მიუხედავად „სახელმწიფო საბჭოს“ ქვეყნის სათავეში არალეგიტიმური გზით მოსვლისა, მასთან თანამშრომლობის აუცილებლობაში, რადგან, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ხელისუფლება კანონიერი, მას დაეკისრებოდა აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, ვინაიდან ის აგებდა პასუხს სრულიად საქართველოსა და მომავალი თაობების წინაშე;

✓ ვინ აყენებდა გამუდმებით საკითხს „გოსსაბჭოს“ ლიდერებთან ქართული დეპუტაციის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ და ვისი წინადადებით შეირჩნენ ისინი?;

✓ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ქართველი წევრების, გასაგები პასიურობის დროს, ვინ დააყენა ეს საკითხი ხელმეორედ ქართულ დეპუტატთა ფრაქციაში კენჭისყრაზე და დელეგაციის რა შემადგენლობა შეირჩა და ვინ გაემგზავრა მაშინ თბილისში?;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც, თ. ნადარეიშვილისა და პრეზიდიუმის სხვა წევრების მიუტევებელი პასიურობის გამო, პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე, მივიდა აფხაზური მხარის სესიაზე და ასევე ღია ეთერში პასუხი გასცა ვ. არძინბას მის მიერ ქართული დეპუტაციისთვის მიყენებულ შეურაცხყოფისთვის, რაც მოჰყვა სესიაზე მასსა და ბ–ნ თ. ნადარეიშვილს შორის სიტყვიერ შელაპარაკებას და ჩვენი დეპუტაციის უმაღლესი საბჭოს სხდომებიდან გასვლას?;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც მეორე დღესვე ეწვია ვ. არძინბას და ხანგრძლივი დიალოგის შედეგად დაარწმუნა იგი თავის უტაქტობაში და იმაში, რომ მან ვერ შეარჩია ვერც ადგილი, ვერც სიტყვები და ღია ეთერში შეურაცყოფა მიაყენა ქართულ დეპუტაციას, მათი სახით ქართველ ამომრჩევლებს და საერთოდ ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ქართულ ნაწილს, რასაც მოჰყვა ჩვენს წინაშე, ქართულ–აფხაზური დეპუტაციის ერთობლივ სხდომაზე, მის მიერ ბოდიშის მოხდა: **« Я извиняюсь за то, что не подобрал**

место, нужные слова и в прямом эфире причинил обиду грузинским депутатам, а в их лице, грузинской части нашего населения!..» – ასეთი არ იყო მისი სიტყვები?!

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და ქართული დეპუტაციიდან ერთადერთი გამოვიდა ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის დროს და მიმართა მას **სიტყვებით: «Владислав Григорьевич, вы запомнились нам подчеркнутыми антигрузинскими выступлениями в Верховном Совете СССР. Теперь выбираем вас председателем Верховного Совета Абхазской автономной республики и, если вы станете лидером не только этнического абхазского населения, которое в меньшинстве в Абхазии, но и всего населения автономной республики, в том числе и его грузинской части, мы, грузинские депутаты, станем рядом с вами, чтобы обустроить Абхазию?»;** ამ სიტყვებში თქვენ და თქვენმა ომის პარტიამ ვერ დაინახეთ მშვიდობიანი, საქმიანი თანამშრომლობის შემოთავაზება და მონათლეთ ისინი, როგორც აფაზებისა მათი ლიდერის მიმართ ჩემი ლოიალური დამოკიდებულება და მხარდაჭერა! ეს შემთხვევით არ იყო, თქვენ არ გაწყობდათ პრობლემებისადმი გონივრული, წინდახედული მიდგომა და მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება!;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, დეპუტატთა მცირე ჯგუფთან ერთად, ეწვია ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, აფხაზეთიდან სხვა გამომსვლელებისგან (ნ. მგალობლიშვილი, გ.ლომინაძე და სხვ.) განსხვავებით, მოახსენა მას სიმართლე იმის შესახებ, რომ საქმე მთლად ისე არ იყო, როგორც ამ ორატორების მიერ იქნა აფხაზეთი წარმოდგენილი: „ესენი თეთრ სამოსში ხედავენ აფხაზეთს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საქმე სინამდვილეში უფრო რთულადაა – პარლამენტი წაგებულია, უმრავლესობა აფხაზების ხელშია და აფხაზეთში წინ სერიოზული პრობლემები გველის“;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც არ დაუმალა ქართულ დეპუტაციას ვ. არძინბასგან მიღებული გამაოგნებელი ინფორმაცია „გოსსაბჭოს“ მიერ გ. ლომინაძის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წარდგენის შესახებ და არ დაეთანხმა მის წინადადებას, ყველაფერი ეს დარჩენილიყო საიდუმლოდ და ემუშავა მასთან ერთად სხვა კანდიდატურის ირგვლივ. მან არამარტო არ დათანხმდა ვ. არძინმბას და არ დაუმალა კოლეგებს მისგან მიღებული ინფორმაცია, არამედ, როდესაც კენჭისყრაზე დადგა გ. ლომინაძის კანდიდატურა, ქართული ინტერესების გათვალისწინებით, ზოგიერთი თქვენთაგანისგან განსხვავებით, ღიად დაუჭირა მას მხარი – კაცს, რომელიც ამას არ იმსახურებდა(!!!) მისგან. თქვენგან, რომელი მოიქცეოდა ასე? გააკეთებდა ამას თვით გივი ლომინაძე?!

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც ღამის თერთმეტ საათზე გამოიყვანეს სახლიდან მხედრიონელებმა და მის კაბინეტში ცხვირწინ უხეშად აუფრიალეს ჯაბა იოსელიანის წერილი, სადაც გულრიფშის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ის ლეონარდო დევდარიანის კანდიდატურას თავაზობდა და რომელსაც, თანხმობის ნიშნად, ხელს აწერდა თამაზ ნადარეიშვილიც, იმ დროს, როდესაც ერთი დღით ადრე, ეს საკითხი იხილებოდა ქართული დეპუტაციის სხდომაზე და ფარული კენჭისყრით, სამ კანდიდატთა შორის, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ლეონარდო დევდორიანის კანდიდატურა იყო, გაიმარჯვა ბატონი დავით გვაძაბიას კანდიდატურამ და ის მეორე დღეს უმაღლესი საბჭოს სესიაზე დგებოდა დასამტკიცებლად. ამიტომ, მიუხედავად მხედრიონელების უხეში ფიზიკური და მორალური ზეწოლისა, არ დათმო, ბატონი თამაზ ნადარეიშვილისაგან განსხვავებით, საკუთარი პოზიცია და არ უღალატა კოლეგების ნებას, დეპუტატთა ქართული ფრაქციის გადაწყვეტილებას და უარით გაისტუმრა მხედრიონელების წარმომადგენლები?;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც პრეზიდიუმის სხდომებისა და უმაღლესი საბჭოს სესიებიდან გაუთავებელი გამოქცევების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და, მას შემდეგ, რაც დეპუტატთა ქართულმა ფრაქციამ დატოვა პარლამენტი, გადასახლდა სინოპში და თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით ჩამოაყალიბა სამართლებრივად არაკანონიერი ქართული პარლამენტი, გაგემიჯნათ და, პროტესტის ნიშნად, დატოვა თქვენი რიგები და მთლიანად გადაერთო საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაზე?;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, 1992 წლის მარტში ზუგდიდში მივლინებული უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც გენერალ დათუაშვილთან ხელჩართული ბრძოლის შედეგად წინ აღუდგა „მხედრიონსა“ და ეროვნულ გვარდიას, ხელი შეუშალა მათ გადასვლას და თარეშს აფხაზეთში, რასაც უცილობლად მოჰყვებოდა ომის დაწყება? ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი მოსახლეობა მაშინ გარდაუვალ უბედურებას?!;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც თავიდანვე გაემიჯნა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს – იმ მე–5 კოლონას, რომლის რიგებს ამშვენებდით თქვენ, თქვენს დაქალ ე. ასტემიროვასთან და ზოგიერთ სხვა დეპუტატთან ერთად, და ამხელდა მას ექსტრემისტულ და დესტრუქციულ საქმიანობაში: „თქვენ დაღუპავთ აფხაზეთს და მთლიანად ქვეყანას!“ – არაერთხელ უთქვამს მას ეს სიტყვები მათივე სხდომებზე, ასევე „გოსსაბჭოს“ ლიდერების წინაშეც?);

✓ ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც სოხუმის ქართული მინისტრთა საბჭოს ერთ–ერთ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ნეტარხსენებული ჟიული შარტავა, მთავრობის ყველა წევრი, აგრეთვე ქვეყნის ვიცე–პრმიერი სანდრო კავსაძე, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, ე.წ. ეროვნელი ერთიანობის საბჭოს ლიდერები ბორის კაკუბავას თავკაცობით, და იხილებოდა, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ქართულ–აფხაზური ხელშეკრულების საფუძველზე,

მთავრობის აფხაზური ნაწილის გუდაუთიდან სოხუმში დაბრუნების საკითხი, **მიმართა** წინადადებით მთავრობის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას: **„შეწყვიტეთ ხელშეკრულების გადასინჯვა, დატოვეთ სავარძლები, ხელს ნუ შეუშლით მათ დაბრუნებას და შერიგების პროცესის დაწყებას!“** – ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც ამასთან ერთად, ყველას გასაგონად უპასუხა ბორის კაკუბავასა და ჯანო ჯანელიძის შეკითხვას: **„ითანამშრომლებდით თქვენ არძინბასა და მის გარემოცვასთან?“ – „მე სატანასთანაც ვითანამშრომლებ, ოღონდ ომი არ განახლდეს და მეტი სისხლი არ დაიღვაროს აფხაზეთში!“;**

✓ აფხაზური ფრაქციის წარმომადგენლებთან მძიმე და თანმიმდევრული კულუარული მუშაობის შედეგად, რომელი დეპუტატის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი აფხაზთა დელეგაციის, ბატონების სერგეი ბაღაფშის, დავით ფილიას, ანრი ჯერგენიასა და ზურაბ აჩბას შემადგენლობით, თბილისში გამგზავრება და სახელმწიფო საბჭოს თავკაცებთან – ედუარდ შევარდნაძესთან, თენგიზ სიგუასთან, ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ კიტოვანთან მათი შეხვედრა, რომელსაც თავად ესწრებოდა ეს დეპუტატი ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან ერთად, და სადაც აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად დაძაბული, ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვისა და არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ბატონი ე. შევარდნაძე ჩამოსულიყო სოხუმში, მაგრამ მან დაპირება არ შეასრულა – მოგვატყუა და თავის სანაცვლოდ ტანკები გამოგვიგზავნა აფხაზეთში?!;

✓ ვისი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი წლების მანძილზე ჩვენთვის აკრძალულ სოხუმის ცენტრალულ მოედანზე ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოსა და საზოგადოების სხვა ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის მრავალათასიანი მიტინგის მშვიდობიანად ჩატარება, რომელიც აშკარად ანტიაფხაზურ ხასიათს ატარებდა; ვისი გულახდილი და ემოციური გამოსვლითა და შეგონებით გახდა შესაძლებელი

დაძაბულობის მოხსნა და მხარეებს შორის მოსალოდნელი სისხლიანი შეტაკების თავიდან აცილება – აფხაზეთში ომის დაწყების პრევენცია?;

✓ ვისი ძალისხმევით გადაურჩა შს მინისტრი გ. ლომინაძე დაკავებული თანამდებობიდან გადაყენებას, როდესაც აფხაზმა დეპუტაციამ „ნიურნბერგის პროცესი“ მოუწყო მას და საკითხი კენჭისყრაზე დგებოდა, რომლის შედეგი ყველასათვის იმთავითვე ნათელი იყო? ბატონი დავით გვაძაბიას წინადადებითა და თანადგომით, ვინ, რომელმა დეპუტატმა დაარწმუნა ვ. არძინბა და მისი ახლო გარემოცვა იმაში, რომ, ისედაც დაძაბული ურთიერთობის ფონზე, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, თუნდაც ეროვნებით აფხაზი გენერალური პროკურორის აპოლონ კვიციინიას განთავისუფლების პარალელურად, რადგან ქართველი მინისტრის მოხსნას უეჭველად საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია და პოლიტიკის ხელიდან გასვლა მოჰყვებოდა! ვინ იყო ის დეპუტატი, ვინ შესძლო და გააკეთა ეს, მიუხედავად გ. ლომინაძისადმი მისი საფუძვლიანი აშკარა ნეგატიური დამოკიდებულებისა?!;

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელს უშლიდნენ და მოღალატედ მიიჩნევდნენ, სდევნიდნენ და ჩაქოლვით ემუქრებოდნენ ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს შტაბის წევრები, ეწეოდა ფარულ, კულუარულ მოლაპარაკებებს აფხაზურ მხარესთან – ჩადიოდა გუდაუთაში სხვისი, თსუ–ს სოხუმის ფილიალის პრორექტორის, ბატონ რ. ხარებავას მანქანით ღამ–ღამობით, რათა არ ჰქონოდა ადგილი ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებისა და ექსტრემისტი დეპუტატებისგან ზედმეტ მითქმა–მოთქმას, ხვდებოდა წამყვან აფხაზ დეპუტატებს, უხუცესთა საბჭოს წევრებს და აწარმოებდა მათთან მოლაპარაკებებს, რომ ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები, როგორიც იყო შს სამინისტრო და სოხუმი ან გაგრა ყოფილიყო, ვთქვათ, ქართული (მათი თავკაცი ქართველი ყოფილიყო), ვინ მიაღწია შეთანხმებას ვ. არძინბას, კ. ოზგანსა და ამ

ქართველ დეპუტატს შორის შეთანხმება, რომ სადეპუტატო ვადის პირველ ნახევარში შს მინისტრი იქნებოდა ქართველი, ხოლო მეორე ნახევარში – აფხაზი და ასეთ პრაქტიკას ექნებოდა ადგილი მომდევნო წლებშიც, ხოლო რაც შეეხება სოხუმსა და გაგრას – გაგრა და გაგრის ზონა, ქვეყნის ეს მნიშვნელოვანი კარიბჭე, ეთმობოდა ქართულ მხარეს **(«Ну, ладно! Не выдавайте меня, ато Аидгылара с меня голову снесет! Обсудите эти вопросы на согласительной комиссии, которым вы руководите, притритесь друг к другу, а когда вийдете на меня, я не повешусь»** – ასეთი იყო ვ. არძინბას სიტყვები!);

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც შემდგომშიც, ჩვენსა და აფხაზ დეპუტაციის შორის ოფიციალური მოლაპარაკებების დროსაც, სადაც განიხილებოდა მთავრობის მთავმჯდომარის საკითხი, არ თმობდა პოზიციას და, თ. ნადარეიშვილისა და საზოგადოება „სოხუმელების“ წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მას ქ. სოხუმისა და გაგრის ზონის საკითხთან ერთად, ერთ პაკეტში განხილვას მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამის შესახებ იცოდნენ მხოლოდ ვ. არძინბამ, კონსტანტინ ოზგანმა, ამ ქართველმა დეპუტატმა და მისმა ჯგუფმა (ა. გასვიანი, კ. ჯაჭვილანი, ჯ. გამახარია), და მას გასაჯაროება სჭირდებოდა. ამიტომ საშემთანხმლებლო კომისიის სხდომაზე ეს დეპუტატი ჯიუტად იმეორებდა: **«Ни один здравомыслящий грузин не согласится занять должность председателя Правительства без грузинского министра МВД Абхазии и главы администраии Сухуми или Гагры. Поэтому, при согласии вашей стороны, эти должности должны рассматриваться и решаться вместе, в одном пакете. Вот только тогда можно будет обсудить отдельные кандидатуры на ту или иную должность и думать о возвращении грузинской депутации в Парламент»**;

ცნობისათვის: ყველაფერი ეს ხდებოდა – თ. ნადარეიშ-

ვილსა და დეპუტატთა მცირე ჯგუფის (რომლის შემადგენლობაში იყვნენ ეს ჩვენი ქალბატონი და მისი დაქალი ე. ასტიმიროვა) თბილისში გამგზავრებისა და აფხაზეთში ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც ქართული დეპუტაციის წევრთა შორის ერთადერთი შეეწინააღმდეგა თ. კიტოვანსა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებს გ. ლომინაძეს „დროებითი სტაბილიზაციის კომიტეტის» თავმჯდომარედ დანიშვნის დროს იმ მოსაზრებით, რომ ამით მოგვეჭრებოდა აფხაზურ მხარესთან მისასვლელი გზაბი და მოლაპარაკებების აღდგენისა და გამართვის ყველა საშუალება (მაგრამ ამაოდ!);

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც, როგორც კი დაინახა, რომ ირღვეოდა 14 აგვისტოს ღამით მიღწეული შეთანხმება და მოსალოდნელი იყო საომარი მოქმედებების განახლება, მივიდა „გოსსაბჭოს“ წევრ ბატონ რაულ კუპრავასთან ერთად, თ. კიტოვანთან - სთხოვა, არ გადაედგათ ეს ნაბიჯი. პასუხად კი მკვახე სიტყვები მიიღო: **„ომია, ძმაო ომი!“** იმ საღამოსვე, როდესაც ე.წ. ვეჩესთან არ მივიდნენ ერთად მდგომნი თ. კიტოვანი, გ. ლომინაძე და თ. ნადარეიშვილი და მას მოუწია ე. შევარდნაძესთან საუბარი, რომელმაც პირდაპირ უთხრა მას: **„არც მე ვიცი, ბატონო ედუარდ, რა ხდება! თქვენ იცით, რომ 14 აგვისტოს, ღამით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის, ძალების დაშორიშორების და მხარეებს შორის დიალოგის დაწყების შესახებ. აფხაზურმა მხარემ გაიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ახალ ათონამდე და ითხოვენ დიალოგს, ჩვენ კი ამაღამ ვაპირებთ სოხუმის აღებას, თან უნდა ჩამოვხსნათ აფხაზური დროშა და მთავრობის სახლის თავზე ავაფრიალოთ ქართული. რატომ ვაკეთებთ ამას, რა საჭიროა დროშა?! რა, აფხაზეთი არაა საქართველო, უცხო ქვეყანას ხომ არ ვიპყრობთ? რა ხდება, ვერ გავიგე?!“** ედუარდ შევარდნაძის პასუხი კი გახლდათ: **„რა საჭიროა, კაცო, უთხარით ნუ გააკეთებენ ამას.**

დამირეკოს კიტოვანმა, როგორც გამოჩნდება.“ იქვე მდგარმა თ. კიტოვანმა კი დაიღრიალა: **„როგორც ჩავალ, ყურებით გამოვათრევ იქიდან, როგორც ჩამოვათრიე მოსკოვიდან!“** როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა! ქვეყნის ბედი წყდებოდა, ესენი კი ყურმილთან არ მიდიოდნენ. აი, რა ხალხთან გვქონდა საქმე და როგორ წყვეტდნენ ისინი ქვეყნის ბედს!.. და გადაწყვიტეს კიდევაც!;

✓ ვისთან, ვის კაბინეტში მიმდინარეობდა ცეცხლის შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საკითხი, როდესაც აფხაზური მხარის სანდო და ავტორიტეტიანი წარმომადგენლებისგან გახდა მისთვის ცნობილი, რომ არსებობდა აფხაზთა ორმოცკაციანი ჯგუფი ცნობილი პირებისაგან შემდგარი და საჭირო იყო მხოლოდ აფხაზი ხალხის უპირობო ლიდერის, ბაგრატ შინკუბას გამოყვანა მშობლიურ სოფელ ჭლოუდან, სადაც ის ჩარჩა და მოწყვეტილი აღმოჩნდა სოხუმსა და აფხაზ საზოგადოებას, რათა სათავეში ჩასდგომოდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გაემიჯნებოდა ვ. არძინბასა და მის მომხრეებს, რითაც გადაარჩენდნენ, მათი აზრით, აფხაზ ხალხსა და აფხაზეთს. ასეთი ადამიანები მტკივნეულად განიცდიდნენ შექმნილ კატასტროფულ ვითარებას და ეძებდნენ გამოსავალს. ხსნის ერთადერთ გზად ისინი ეთნიკური აფხაზი ინტელიგენციის გაერთიანებას და ხალხისათვის მიმართვას მიიჩნევდნენ. ისინი მზად იყვნენ გამიჯნოდნენ ვ. არძინბასა და მის პოლიტიკას, შერიგებოდნენ ქართულ მხარეს და ამისათვის მათ სჭირდებოდათ და უცდიდნენ მხოლოდ ბაგრატ შინკუბას ჩამოსვლას სოხუმში. შემუშავებული გეგმის თანახმად, ოჩამჩირის ფრონტზე მას აფხაზები შეუქმნიდნენ დერეფანს, ხოლო ჩვენ უზრუნდველყოფდით შემდგომ მის უსაფრთხოებასა და რეანომობილით გამოვიყვანდით, როგორც ავადმყოფს. ამ გეგმის გასაცნობად, ამ ქართველი დეპუტატის მიერ ორჯერ იქნა გაგზავნილი მასთან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ საკავშირო სამედიცინო აკადემიის სოხუმის თერაპიისა და

პათოლოგიური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, ქ–ნი ვიოლეტა აგრბა და ცნობილი აფხაზი ჩეკისტი და მწერალი ალიოშა კვიცინია, რომლებმაც ვიწრო ბილიკებით ფეხით იარეს სოხუმიდან ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუმდე, მაგრამ მათი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა – ჩასვლისთანავე ისინი აიყვანეს, ბაგრატ შინკუბასთან ერთად, და გადაიყვანეს ჯერ ქ. ტყვარჩელში, შემდგომ კი ბაგრატ შინკუბა და ქ–ნი ვიოლეტა აგრბა შვეულმფრენით – რუსეთში, ქ. ნალჩიკში, ხოლო ალიოშა კვიცინია ჩაამწყვდიეს კარცერში, სადაც ორი კვირის განვმალობაში მისი ბედი გაურკვეველი იყო. შემდეგ კი შეიწყალეს!

✓ ჩვენი გეგმა ცნობილი გახდა, თურმე, მიამიტობით გამორჩეულ ალიოშა კვიცინიასგან „დროებითი სტაბილიზაციის კომიტეტის“ ხელმძღვანელისთვის, გ. ლომინაძისთვის, რომელიც მისი ჩავარდნის მე–2 დღესვე ეუბნება ამ ქართველ დეპუტატს: „რა არის, რომ ჩვენს ზურგს უკან მოქმედებთ?! რატომ არ გვითანხმებთ ჩვენ, თუ რა საქმიანობას ეწევით აფხაზურ მხარესთან?!“ არადა 40–მდე აფხაზი, ცნობადი და გავლენიანი ადამიანები ეძებდნენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს და მზად იყვნენ დამჯდარიყვნენ ქართველებთან პირისპირ მოლაპარაკების მაგიდასთან, ისინი მხოლოდ ბაგრატ შინკუბას ელოდებოდნენ! მისი გამოყვანაც რეალური იყო და ჩვენი გეგმა ორ დღეში ამოქმედდებოდა, რომ არა იმ ჩვენი მაღალჩინოსნის გაზრდილი „ცნობისმოყვარეობა“... აი, ვის და როგორ ეწირებოდა ხალხისა და ქვეყნის ინტერესები!.

✓ **ვინ არის ის დეპუტატი, რომელიც აკეთებდა ყველაფერს, რომ მშვიდობა შეგვენარჩუნებინა აფხაზეთში და მხარეებს შორის სისხლიან შეტაკებას არ ჰქონოდა ადგილი, მაგრამ, თუ ომი გარდაუვალი იქნებოდა, ძირითადად ადგილობრივ ქართველობას უნდა ეომა, როგორც 1989 წლის ივლისის დღეებში, და, მისი აზრით, მას უნდა დახმარებოდა დანარჩენი საქართველო. ეს პრინციპულად სხვა ხედვა, პრობლემებისადმი სხვა მიდგომა იყო და ამ დეპუტატს ეს მოსაზრება არა-**

ერთგზის გამოუთქვამს ხმამაღლა, მათ შორის, სახელმწიფო საბჭოს ლიდერებთან, პირადად ე. შევარდნაძესთანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ!

✓ იმ დროს, როდესაც აფხაზური მხარე გამალებით ქმნიდა მონონაციონალურ შეარაღებულ ძალებს, ქართული მხარე იყო დაკავებული დესტრუქციული საქმიანობით და არაფერს აკეთებდა მოახლოებული გართულებების პრევენციისთვის, ეს დეპუტატი სვამდა თ. ნადარეიშვილისა და შს მინისტრ, გ. ლომინაძის წინაშე კითხვას: „თავად რატომ არ ვქმნით შეიარაღებულ ძალებს“?! მას პასუხობდნენ: „ადგილზე არაფერი გამოვა, აქ ვერაფერს შევქმნით. არსებობს ჯარი და საჭიროების შემთხვევაში მას შემოვიყვანთო!» მინისტრს „მხედრიონელები» და გვარდია ჰყავდა მხედველობაში, რომლებიც დაკავებული იყვნენ სამეგრელოს აწიოკებით, მისი არაერთგზის აოხრებითა და მომავალი ომისთვის ზურგის მორღვევით! ომის დროსაც ვერ ისვენებდა ეს დეპუტატი, შვეულმფრენით, რომელსაც მართავდა „ავღანელი“ ჯიმი მაისურაძე, გადაფრინდა გალში, შეისწავლა იქ არსებული ვითარება, შემდეგ მოახსენა ედუარდ შევარდნაძეს, რომ იქ უკვე შექმნილი იყო წვევანდელებისა და რეზერვისტებისაგან ხუთი ბატალიონი და სჭირდებოდათ მათ მხოლოდ შეიარაღება და ამუნიცია. ე. შევარდნაძისგან პასუხი იყო: **„12 ათასი ავტომატი გამოგიგზავნეთ და რა უყავით მათ?! მეტი მე არა მაქვს და ვერაფერს მოგცემთო!»** ამ დროს ავტომატები იყიდებოდა ჯერ 40 ხოლო შემდგომ – 80 ათას მანეთად და ვის არ ნახავდით ავტომატით შეიარაღებულს – თავად ჩემი სალანძღავი წერილის ავტორიც, ქ-ნი რაისა და მისი დაქალი ე. ასტემიროვა, ეს ორი – კეკელა და მარო დადიოდნენ ავტომატით მხარდამშვენებულნი! ალბათ წარმოიდგენთ, თუ რა სანახაობა იქნებოდა ეს!

✓ ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც უთხრა ედუარდ შევარდნაძეს: **„ბატონო ედუარდ, მე მიკვირს ერთი რამ: გლეხი, რომ გლეხია, მან იცის, თუ რამეს აშენებდეს – როგორი უნდა ააშენოს, თუ სტუმრობა აქვს, იმის მიხედვით, რა სახსრე-**

ბიც გააჩნია – რამდენი მოიპატიჟოს და რანაირი სუფრა გაშალოს. ჩვენ რა გვემართება? ეს ჯარი არაა, ეს ლაშქარიაო, ამბობთ თქვენ! რატომ დავიწყეთ მაშინ და რატომ ვაგრძელებთ ომს ლაშქრით, რატომ არ ვქმნით წვევანდელების ბაზაზე რეგულარულ, გაწვრთნილ ჯარს, თუ წინასწარვე არაა დაგეგმილი ომში ჩვენი წაგება“, რაზეც შუშისებრი გაუხდა თვალები ბატონ ედუარდს და მისმა სახემ მიიღო „ვზგლიად ჩლენა პოლიტბიურო!“.

ასე მოიქცეოდა და ასეთი სიტყვებით მიმართავდა ქვეყნის პირველ პირს პირადი ამბიციების ტყვეობაში მყოფი და „საკუთარი განდიდების სურვილით გაბრუებული“ კაცი?!

✓ ვისთან, რომელ დეპუტატზე გამოდიდოდა აფხაზური მხარე, როგორც წესი, და ვისთან აწარმოებდნენ ისინი შეხვედრებს სოხუმში, ადლერში, ბამბორაში თუ მოსკოვში? ვინ იყო ის ქართველი დეპუტატი, რომელზეც გავიდა, აფხაზეთის უშიშროების შეფის ავთანდილ იოსელიანის მეშვეობით, ბ–ნი კონსტანტინ ოზგანი, და, გაგანია ომის დროს, ჩამოვიდა სოხუმში წარმომადგენლობითი დელეგაციით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ალექსანდ ანქვაბი, ოლეგ დამენია, ლეონიდ ლაკერბაია, ვლადიმერ ზანთარია და ვალერი კვარჭია, როდესაც ცალსახად დაისვა საკითხი ცეცხლის შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის შესახებ: **«Допустим такую ситуацию: мы бросаем оружие, скажите, какая будет Абхазия в составе Республика Грузия?»** – ასეთი იყო კონსტანტინ ოზგანის სიტყვები! ამას კონსტრუქციული პასუხი გასცა ამ ქართველმა დეპუტატმა, რომლის შემდეგ ალექსანდრ ანქვაბმა აღნიშნა: «**Первый раз слышим от грузинской стороны конструктивные предложения**!» ხოლო გოგა ხაინდავამ, რომელიც დეპუტატ აკაკი გასვიანთან და უშიშროების კომიტეტის შეფთან, ავთანდილ იოსელიანთან ერთად წარმოადგენდნენ აგრეთვე ქართულ მხარეს, დასძინა: «**Мы полностью разделяем позицию, высказанную депутатом Месхия!»**

ამის შემდეგ ბატონი ოზგანი შემოდის წინადადებით: «**Ну, что ж, есть над чем подумать, есть над чем поработать. Давайте, прервёмся на несколько дней, а затем встретимся вновь…»** ამ დროს შემოდის ჯერ გ. ლომინაძე, შემდეგ თ. ნადარეიშვილი შეიარაღებული რაზმითურთ და თავს ესხმის მოლაპარაკების მონაწილეებს. ასე იქნა ჩაშლილი მეტად მნიშვნელოვანი ქართულ–აფხაზური დიალოგი, ომიდან გამოსვლის ყველაზე რეალური შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, არ იქნა გამოყენებული ომის შეწყვეტის, შერიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კიდევ ერთი, ყველაზე რეალური შანსი!

მეორე დღეს სოხუმის მოწმენდილ ცაზე პირველად გამოჩნდნენ ჭურვები და მას შემდეგ დაიწყო მათი უწყვეტი თავსხმა.

კანონზომიერია კითხვა: რატომ აწარმოებდა აფხაზური მხარე მოლაპარაკებებს მაინც და მაინც მხოლოდ ამ დეპუტატთან? რატომ არ გადიოდნენ ისინი სხვებზე? რა იყო ამის მიზეზი? თუ გიფიქრიათ ამაზე, ქალბატონო რაისა?!

✓ აფხაზურ მხარესთან ამ ჩაშლილი შეხვედრის დროს, კონსტანტინ ოზგანის ზემოთ მოტანილი შეკითხვის არსით შთაგონებულმა, რომელმა დეპუტატმა ცნობილ იურისტ, გია ქოიავასთან ერთად შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის პროექტი და მიაწოდა საქართველოს პარლამენტს და შემდგომ კოლეგებთან (ჯ. გამახარია, ა. გასვიანი, კ. ჯაჭვლიანი) ერთად გამოაქვეყნა გაზ. „სვაბოდნაია გრუზიაში», 1992 წლის 1 დეკემბერს და გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, 1992 წლის 2 დეკემბერს?! განა ეს დეპუტატი გამუდმებით არ აყენებდა საკითხს ცენტრისა და რეგიონის ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ და ამ ძირითადი პრობლემის დროზე მოგვარების მიზნით?!

✓ ვინ, რომელი დეპუტატი გაფრთხილებდათ თქვენ, თ. ნადარეიშვილის გარემოცვას, რომ არ შეიძლებოდა 1995

წლის ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის, რუსეთის პოლიტიკური პარტიის «Россия – наш дом»–ის მზგავსად, ახალი პოლიტიკური მოძრაობის „აფხაზეთი ჩვენი სახლია“–ს შექმნა, რომლის დაფუძნებას აპირებდით უმაღლესი საბჭოს სხდომაზე;

✓ ვინ, რომელმა დეპუტატმა ჩაგიშალათ ეს უპრეცედენტო მცდელობა, რადგან არც კონსტიტუცია და არც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებდა ამას;

✓ ვინ, რომელი დეპუტატი გაფრთხილებდათ, რომ არჩევნებში ჩავარდნის შემთხვევაში, რაც, უმაღლესი საბჭოს ავტორიტეტისა და რეიტინგის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, არ აგვცდებოდა მძიმე პოლიტიკური მარცხი – სრული კრახი, მოხდებოდა თვით ამ სიტყვების, „აფხაზეთი ჩვენი სახლი“–ას, მისი ფუძე-არსის სრული დისკრედიტაცია, ამდენად, ამის გაკეთება გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რაც გამართლდა კიდევაც – დევნილმა მოსახლეობამ თ. ნადარეიშვილსა და მის პარტიას მისცა ხმათა მხოლოდ 0,1 % და ამით ხელიდან გამოგვაცალა ყველაზე მთავარი – აფხაზეთელობაც! ის, რომ დევნილები აფხაზეთის ძირძველი და მკვიდრი მოსახლეები ვიყავით!

განა ამას არ მოჰყვა ვ. არძინბას შეურაწმყოფელი და მომაკვდინებელი საეთერო გადმოძახილი: **«Я же говорил, что беженцы у себя дома! Выборы показали, что Абхазия не их дом! Вот, теперь они на своей исторической родине!»**

ეს იყო შედეგი იმ დეპუტატის გაფრთხილებისა – შეურაწმყოფელი და მომაკვდინებელი ჩვენთვის!;

✓ **ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც 1998 წლის მაისის თვეში გალის რაიონში მეორედ დატრიალებული ტრაგიკური მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრების ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, ამხილა ხელისუფლება ღალატში და დამსწრეთა გასაგონად უთხრა ედუარდ შევარდნაძეს: „ის, რაც მოხდა გალში თქვენი, თქვენი ხელისუფლების წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგია და თქვენ ამას, როგორც გჩვევიათ, გადააბრალებთ ისევ გაჭირვებულ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვა – ისტორია განსჯის მტყუანსა და მართალს!“.**

✓ **ვინ იყო ის ერთადერთი ქართველი დეპუტატი, რომელმაც დაგვიანებით (2008 წლის 25 სექტემბერს, ქართულ–რუსული ომის და აფხაზეთის გასხვისების შემდეგ!), მაგრამ მაინც მიმართა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ე. შევარდნაძეს აურაცხელი შეკითხვებით და ამხილა იგი წინდაუხედავ და ღალატის ტოლფას შეცდომებში, რომლებმაც განაპიროობეს ხალხისა და ქვეყნის ტრაგედია და რომლის უგუნურებას შეეწირა 30 ათასზე მეტი სიცოცხლე, აფხაზეთის 300 ათასამდე მკვიდრი მოსახლეობა აქცია დევნილად და აფხაზეთი მოწყდა დედა–სამშობლოს – საქართველოს. ამ სასტიკ სიმართლეს, რომლითაც ამხილა ამ დეპტატმა ქვეყნის დამაქცეველი, ედუარდ შევარდანძე, თქვენ და თქვენმა მეგობრებმა „გარედან მიკერებული ჯიბე“ უწოდეთ! რატომ, რატომ თქვენ არ გახადეთ თქვენს პრეზიდიუმში ის, რაც მოხდა აფხაზეთში, მსჯელობის საგნად? არ აღიმაღლეთ ხმა და არ უთხარით ხალხს სრული სიმართლე, რომელიც დაუფარავად უთხრა ხალხს ამ ერთადერთმა ქართველმა დეპუტატმა, რატომ თქვენ არ გააკეთეთ ეს?!**

და ბოლოს, თქვენს შორის ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც უარი თქვა მისთვის სამარცხვინო სახელმწიფო ჯილდოებზე – გორგასლისა და ღირსების ორდენებზე, და არ მიიღო ისინი მოღალატე და ქვეყნის დამაქცეველ შევარდნაძის ხელებიდან? თქვენ შორის, ვინ მოიქცა ასე და ვინ დარჩა, მზგავსად იმ დეპუტატისა, ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერდგული? „განდიდების სურვილით გაბრუებული კაცი» მოიქცეოდა ასე?! ან თქვენგან რომელი არ დაუმალავდა ქართულ დეპუტაციას ვ.არძინბასაგან მიღებულ გამაოგნებელ ინფორმაციას, „გოსაბჭოს“ მიერ გ. ლომინაძის კანდიდატურის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

წარდგენის შესახებ და არ დათანხმდებოდა მის წინადადებას, ყველაფერი დარჩენილიყო საიდუმლოდ და ემუშავა მასთან ერთად სხვა, (ვ. არძინმბას მინიშნებით!) მისი კანდიდატურის ირგვლივ?! ამ დეპუტატმა არა მარტო არ დათანხმდა ვ. არძინბას წინადადებას და არ დაუმალა კოლეგებს მისგან მიღებული ინფორმაცია, არამედ, უფრო მეტიც, მოთოკა საკუთარი ანბიციები, და, როდესაც კენჭისყრაზე დადგა გ. ლომინაძეს კანდიდატურა, ქართული ინტერესების გათვალისწინებით და რომ ბოლო ჰქონოდა ამ საკითხის ირგვლივ კულისებში მიმდინარე ბინძურ თარეშს, ზოგიერთ თქვენგანისაგან განსხვავებით, ღიად დაუჭირა მხარი მას – კაცს, რომელიც არც ერთი თვალსაზრისით არ იმსახურებდა (!) ამას, მით უფრო მისგან (!!!). თქვენგან რომელი მოიქცეოდა ასე? გააკეთებდა ამას თვით გივი ლომინაძე?!

აქ ვწყვეტ ამ, ცოტა არ იყოს, ჩემთვის ძალიან უხერხულ და უჩვეულო სტილში საკუთარ საქმიანობაზე საუბარს, რაც ცხადია, არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გამხადეს შემეხსენებინა ჩემი ოპონენტებისთვის ის, რითაც ვიყავი დაკავებული უმაღლეს საბჭოში და მის გარეთ, როგორც დეპუტატი, რამდენად არიან სამართლიანნი, კეთილსინდისიერნი, როდესაც ამბობენ, რომ „არავის არ ახსოვს ჩემი აქტიურობა და გაკეთებული საქმეები, არც აქ და არც იქ“. ამასთან, უზომოდ შეურაცმყოფენ, როდესაც მადარებენ „განდიდების სურვილით გაბრუებულ“ კაცს. ეს მათ სინდისზე იყოს, მაგრამ საინტერესოა და მკითხველისთვისაც, ალბათ არ იქნება ინტერესემოკლებული, თუ შეუძლიათ ამ ქალბატონს და მის მეგობრებს დაასახელონ თუნდაც ერთი, ერთადერთი სასიკეთო საქმე, რომელიც გაუკეთებიათ მათ აფხაზეთში, როგორც დეპუტატებს ანდა მოქალაქეებს. ამას ისინი, სამწუხაროდ, ვერ შეძლებენ და არა მგონია, რომ ამით ძალიან შეწუხდნენ, სინდისის ქენჯნით უზომოდ გადაიღალონ. ასეთი ხალხის დეპუტატობა, მე თუ მკითხავთ, პარლამენტარიზმის, თვით პარლამენტარიზმის იდეის დისკრედიტაცია და შეურაწყოფაა!

ქართულ დეპუტაციის უფლებამოსილების აღდგენის საკითხსაც მინდა შევეხო. ეს არ იყო ყველასთვის ერთმნიშვნელოვანი! მავანს და მავანს დეპუტატთა უფლებამოსილება სჭირდებოდა უმაღლესი საბჭოს აღსადგენად და მინისტრთა საბჭოს სტრუქტრურების დაფუძნებისთვის – ერთი სიტყვით, დაკარგული პოზიციების აღდგენისა და საკუთარი კეთილდღეობის გასამყარებლად. დეპუტატთა პროგრესულ და საღად მოაზროვნე ნაწილს კი ეს აფხაზურ მხარესთან უმაღლეს დონეზე დიალოგში მონაწილეობის შანსს აძლევდა. სწორედ ამის შემდეგ, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მომეცა საშუალება, ქართულ–აფხაზური მოსკოვური დიალოგის, 1995 წლის რამოდენიმე რაუნდში მიმეღო მონაწილეობა, სადაც იხილებოდა ძირითადად დევნილების დაბრუნების საკითხი. მოლაპარაკება მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით და მასში, ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობდნენ გაეროსა და რუსეთის პასუხისმეგებელი პირები. აფხაზურ მხარის წარმომადგენელთა შორის წამყვანი როლი ეჭირა ვ. არძინბას მრჩეველსა და მასთან ყველაზე დაახლოებულ პირს, ბატონ ანრი ჯერგენიას. სწორედ მასთან ვაწარმოებდი კულუარულ შეხვედრებსა და მრავალსაათიან მოლაპარაკებებს 1995 წლის იანვარ, თებერვალ და მარტის ოფიციალურ შეხვედრების წინა დღეებში, რის შედეგადაც მივაღწიეთ შეთანხმებას და ერთობლივად შევიმუშავეთ ხელშეკრულობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასიურ და უსაფრთხო დაბრუნებას. ეს დოკუმენტი, რომელსაც ექსპერტის დონეზე ვაწერდით ხელს ბატონი ანრი ჯერგენია და მე, შეიცავდა ისეთ პუნქტებსაც, რომლებიც აფხაზეთს საქართველოს სამართებლივრ სივრცეში მოიაზრებდა, განიხილავდა მის შემადგენლობაში. ეს იყო აქ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი!

ამასთან, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, უარი ეთქვა მოლაპარაკებების ჟენევისა და მოსკოვის ფორმატებს და

ქართლ–აფხაზური დიალოგი გადადიოდა აფხაზეთში, უბრუნდებოდა თავის პირვანდელ, შიდარეგიონალურ პოლიტიკურ საწყისს. (უფრო დეტალურად იხილეთ წიგნის ქართული და რუსული გამოცემების 165–177 და 176–188 გვ.). ყველაფერი ეს კონფლიქტის დარეგულირების არსებული ფორმატის რღვევას ნიშნავდა და ქართულ–აფხაზურ ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა. მოსკოვისა და ჟენევის ნაცვლად, ქართულ–აფხაზური დიალოგი სოხუმში და გალში გადაინაცვლებდა და, შეთანხმების თანახმად, პირველი ასეთი შეხვედრა ერთი კვირის ბოლოს გალში გაიმართებოდა! იმ დღეებში ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი (თუ შემეძლო ასე მეფიქრა!) არავინ იყო, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტის ერთი ეგზემპლარი გადავეცი ჩვენს ელჩს მოსკოვში, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს და მეორე დღესვე გამოვემგზავრე თბილისს, მაგრამ ბატონმა ე. შევარდნაძემ ახლოსაც არ გამიკარა – სამი დღის განმავლობაში, დილიდან საღამომდე ვიჯექი მის მისაღებში, მაგრამ ამაოდ! ქართულ–აფხაზური მოლაპარაკების ქართული დელეგაციის ერთ–ერთ წევრს, რომელსაც ხელში ეჭირა დევნილების დაბრუნების აფხაზურ მხარესთან შეთანხმებული პროექტი, არ ღებულობდა ქვეყნის მეთაური ... ეს კატასტროფა, აშკარა ღალატი იყო!!!

მეოთხე დღეს გალის შემოგარენში მოეწყო არნახული დივერსიული აქტი, რის შედეგად აფხაზური მილიციის 7 მაღალჩინოსანი დაიღუპა და აფხაზეთში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა. ასე ჩაიშალა იმ კვირის ბოლოს გალში დაგეგმილი ქართულ–აფხაზური პირველი შეხვედრა და საერთოდ მხარეებს შორის ყოველგვარი დიალოგი და ურთიერთობა.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ვცადე ე. შევარდნაძესთან შეხვედა, მაგრამ ისევ ამაოდ!...

მაშინ გამახსენდა ანრი ჯერგენიას მოსკოური გაფრთხილება: **«Нам надо спешить, ато помешают!» - «А кто же нам**

помешает?!» - შეეკითხე გაოცებულმა – **«Ваши!»** - იყო მისი მრავლისმეტყველი პასუხი.

მოგვიანებით მივხვდი, თუ რაშიც იყო საქმე. დავრწმუნდი, რომ ჩვენი შეთანხმების პროექტი მაშინათვე არამარტო ე. შევარდნაძის, არამედ თამაზ ნადარეიშვილის მაგიდაზეც იდო!... ამ უკანასკნელმა მოგვიანებით ღმილით მითხრა: „იმ დღესვე ვიყავი საქმის კურსშიო“.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აფხაზეთი გასხვისებული იყო, მისი ქართული მოსახლეობა კი – განწირული!

იმ დღესვე დავწერე განცხადება გადადგომის შესახებ და შევუგზავნე თამაზ ნადარეიშვილს. ის კი არც დაინტერესებულა მიზეზით და არც საუბარი უცდია ჩემთან. 9 წლის შემდეგ, ბედის ირონიით, უკვე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, დავსჭირდი ჩემს კოლეგებს... თამაზ ნადარეიშვილის გადასაყენებლად, სამწუხაროდ. როგორც თავის დროზე, მისი დაწინაურება, გადაყენებაც ვერ მოხერხდა უჩემოდ!

ასე ავღმოვჩნდი ისევ უმაღლეს საბჭოში და კვლავ შევუდექი დეპუტატობის საქმიანობას. მაგრამ ეს იყო მოგვიანებით.

მანამდე, გასული საუკუნის 90–იან წლების ბოლოს, 1988–1999 წლებში, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების პატრონაჟით მიმდინარეობდა სამთავრობო დონეზე ქართლი და აფხაზური დელეგაციების შეხვედრები. ასეთი ორი შეხვედრის მონაწილე გავხდი – ათენში და სტამბოლში. შეხვედრების მთავარი მიზანი ჩვენი ურთიერთდაახლოება და ნდობის აღდგენა იყო. ამასთან, გაეროს ეგიდით, ერთ–ერთ საკითხად იხილებოდა კონფლიქტის ზონაში ერთობლივი სწრაფი რეაგირების ჯგუფების შექმნა. მასში მონაწილეობა ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, დსთ–სა და გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს უნდა მიეღოთ. ორივე შეხვედრამ მწვავე დისკუსიის ფონზე ჩაიარა. აფხაზური მხარე მოითხოვდა ადამიანის უფლებათა დარღვევის, ტერორისტული თუ დივერსიული აქტების მათ მიერ დამოუკიდ-

ებლად მოკვლევასა და სამართლებრივი დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო შვიდამდე პუნქტი, რომლებსაც სჭირდებოდა დაზუსტება და კორექტირება. წარმოდგენილი რედაქციით ის პუნქტები მხარეებისთვის მიუღებელი იყო და ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა (როგორც ათენში, ასევე სტამბულშიც). ამ შეხვედრებს რამდენიმე თვე აშორებდა ერთმანეთს. ვერც გაუცხოების პროცესის შენელებისა და ვერც ნდობის აღდგენის საკითხებში მომხდარა შესამჩნევი რამ. ასე რომ, არავითარი პოზიტიური შედეგი ამ შეხვედრებს არ მოჰყოლია. კონფლიქტის ზონაში ოთხმხრივი სწრაფი რეაგირების შექმნის საკითხიც ღიად რჩებოდა. დოკუმენტი არ იქნა შეთანხმებული და ხელმოწერილი. ამ დროს კანცელარიაში ვიმყოფებოდი, თითქოსდა, პრეზიდენტის მრჩევლად აფხაზეთის საკითხებში, მაგრამ ახლოსაც არ მაკარებდნენ კონფლიქტის პრობლემატიკასთან. მხოლოდ ერთხელ, ჩემი დაჟინებული მოთხოვნისა და მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრს ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს წარვუდგინე ზემოდხსენებული პროექტის ღიად დარჩენილი შვიდი პუნქტის ჩემეული ვერსია, მომეცა საშუალება ჩავსულვიყავი სოხუმში და მემუშავა აფხაზურ მხარესთან ამ დოკუმენტის ირგვლივ. ეს იყო 1999 წლის 2 დეკემბერს: სულ რაღაც ნახევარი საათი დაგვჭირდა მე და ბატონ ანრი ჯერგენიას იმისთვის, რათა გამოგვენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემეული ვარიანტი შეათანხმა ვლადივლავ არძინბასთან. ერთი კვირის თავზე აფხაზური დელეგაცია სერგეი შამბას მეთაურობით თბილისში ჩამოვიდა და მხარეებმა ხელი მოაწერეს ჩემსა და ბატონ ა. ჯერგენიას მიერ შემუშავებულ დოკუმენტს და ასე შეიქმნა ოთხმხრივი სწრაფი რეაგირების ჯგუფები და შეუდგნენ ისინი კონფლიქტის ზონაში თავიანთ საქმიანობას.

კიდევ რა? 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიხეილ სააკაშვილს ვგულშემატკივრობდი, რაც, ქვეყანაში შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ჩემი დიდი შეცდომა იყო! ნაცმოძრაობის აქტივისტებისა და

გულშემატკივრების დაჟინებული თხოვნით, ისევ გამოვედი პოლიტიკურ სარბიელზე (ადრე, როგორც ავღნიშნე, თამაზ ნადარეიშვილის მოადგილის მოვალეობიდან ვიყავი გადამდგარი), სათავეში ჩავუდექი სპეციალურ შტაბს, რომელმაც გააერთიანა ხუთასამდე აქტივისტი და გავშალეთ აქტიური საქმიანობა. მუშაობა მიმდინარეობდა ენგურსგაღმა – გალის რაიონის დაბალი ზონისა და ენგურს განაპირა სოფლების მოსახლეობაში.

არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე გადავედი გალში და ვთხოვე რაიონის დე–ფაქტო ხელმძღვანელობას, არჩევნების დღეს არ გადაეკეტათ (როგორც მათ ყოველთვის ადრე) მოსახლეობისთვის გადმოსასვლელები, რათა მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. მოველაპარაკე ასევე ზუგდიდის საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელობას, რათა გალიდან გადმოსულ მოსახლეობას კენჭი ეყარა იქ, სადაც ეს მათთვის უფრო მოსახერხებელი იყო. საქმის კურსში ჩავაყენე ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა (კერძოდ მისი თავმჯდომარე დ. ჭიაბერაშვილი) და არჩევნების დღეს ავტობუსებით გადმოგვყავდა ხალხი ენგურს გაღმიდან, დილიდან–საღამომდე. ასე მივაღებინეთ არჩევნებში მონაწილეობა მთლიანობაში ათი ათასზე მეტ ამომრჩეველს გალის რაიონიდან. აბსოლუტურმა უმრავლესობამ მაშინ მხარი მიხეილ სააკაშვილს დაუჭირა. მართალია, მერე ყველაფერი ეს სხვამ მიითვალა და გვარიანადაც ისარგებლა, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო შედეგი და ის, რომ აფხაზურ მხარესთან მუშაობა ისევ შემძლებია!

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაშიც, რომ ყოველთვისაა საჭირო და შესაძლებელი კულუარული მუშაობა აფხაზურ მხარესთან. ამაში მარწმუნებდა 2007 წლის ბოლო ქ. მოსკოვში ჩემი მივლინება და მისი შედეგები. ეს შესაძლებელი გახდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი ალასანიას მხარდაჭერით. რამდენჯერმე შევხვდი აფხაზური სეპარატიზმის მამამთავარს ბატონ **ტარას შამბას.** კონფი-

დენციალური საუბრების შედეგად, შევთანხმდით, რომ, თუ მექნებოდა სათანადო მანდატი და მომეცემოდა აფხაზური მხარის ლიდერებთან შეხვედრის შესაძლებლობა, იგი მზად იყო ჩემთან ერთად ემუშავა უხუცესთა საბჭოსთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან ლიხნში, დურიფშში, სოხუმში და სხვაგან. მისი აზრით, მე უნდა გამოვსულვიყავი აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტშიც და მესაუბრა სამურზაყანოს რუსეთის შემადგენლობაში ცალკე შესვლის, აფხაზეთის ბედის გადაწყვეტის დროს მისი მოსახლეობის უფლებებისა და პრეტენზიების შესახებ და სხვ. მან კარგად იცის, თუ რა ელოდება აფხაზ ხალხს რუსეთის შემადგენლობაში, რომ ისინი საბოლოოდ გაიზიარებენ უბიხების, შაფსუგების, საძების და სხვათა ბედს - მათ მომავალი რომ არ უწერიათ.

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მივლინება იმ მხრივაც, რომ ჩვენთან თანამშრომლობდა აფხაზური მხარის ისეთ პიროვნება, როგორიც გამოჩენილი აფხაზი მწერალი ფაზილ ისკანდერია. იგი მაშინაც იყო მზად ჩასულიყო ჩემთან ერთად გუდაუთაში, მაგრამ ეს ჩაიშალა ალექსანდრ ანქვაბის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის გამო. იგი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას მხოლოდ მხარეებს შორის შერიგებაში ხედავდა: «**Конфликт должен кончиться перемирием. Абхазы своё будушее должны искать в Грузии, только с грузинами вместе. Всякое другое просто не приемлемо»**– ასეთი იყო მისი პოზიცია.

რაც შეეხება ქართული მხარის პოზიციას, ჩემს მოხსენებით ბარათს პრეზიდენტის აპარატის უფროსის ქ–ნი ეკატერინე შარაშიძეს სახელზე, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. დაინტერესება გამოიჩინა მხოლოდ ბატონმა ირაკლი ალასანიამ, რომელმაც შემომთავაზა გადავსულვიყავი მასთან კანცელარიაში, როდესაც დაინიშნა სპიკერად აფხაზეთის საკითხებში, მაგრამ ის მაშინათვე გადაიყვანეს გაეროში საქართველოს ელჩად. ასე ჩაიშალა ბატონ ტარას შამბასთან ერთად შემუშავებული ჩემი სამომავლო გეგმები.

და ბოლოს, კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო.

ომის შემდგომი რეალობა და აფხაზეთში შექმნილი ვითარება ახლებურ დანახვას და გააზრებას მოითხოვდა. სწორი გაკვეთილი უნდა გამოგვეტანა დაშვებული შეცდომებიდან, რათა თავი აგვერიდებინა მორიგი გართულებისა და უკუშედეგებისთვის, განზე უნდა გადაგვედო ამბიციები და გადაგვერჩინა აფხაზეთის ქართველობა, თუ გვინდოდა აფხაზეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ერის გადარჩენა და ზოგადად ქვეყნის გამთლიანება.

საჭირო იყო თანმიმდევრული სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, თუნდაც გალის რაიონში, ისე როგორც ეს გაკეთდა ე.წ. ზემო აფხაზეთში, რათა აფხაზებს, რუსეთის გამუდმებული ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის ფონზე, გასჩენოდა ალტერნატივა და მისცემოდა არჩევანის საშუალება – საით აჯობებდა, ჩრდილო–დასავლეთისკენ, თუ სამხრეთ–აღმოსავლეთის მიმართულებით? ეს უთუოდ შეუწყობდა ხელს აფხაზების შემობრუნების პროცესს, გაუხსნიდა ისტორიულ მეხსიერებას და შეაგონებდა მათ, თუ სურდათ გადარჩენა, როგორც ეთნოსს, რომ მხოლოდ ქართველებთან არსებობა და თანაცხოვრებაა ერთადერთი სწორი გზა. რა თქმა უნდა, ამისთვის მხოლოდ ეს არ იქნებოდა საკმარისი – კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო, მაგრამ შექმნილ სოციალურ ვითარებაში, ყოველივე ამას უდავოდ დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამისთვის კი უმთავრესი (საწყის პერიოდში მაინც), გალის რაიონში სპეციალური პროექტების დაფინანსება, სოფლის მეურნეობის, გზების, ჯანმრთელობის სისტემის, განათლებისა და სხვა დარგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია–აღორძინება გვესახებოდა. ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო ევროკომისიის სპეციალური პროექტების ფარგლებში, სწორედ ევროკომისიის დაფინანსების გზით.

კარგად მესმოდა ეს, თანაც ერთგვარი პოზიტიური გა-

მოცდილებაც გამაჩნდა და ნაბიჯ–ნაბიჯ ვცდილობდი მათ ნაწილობრივ რეალიზაციას.

ჩემი ძალისხმევით აღსდგა სოფელ ოტობაიის საუბნო პოლიკლინიკა, აღიჭურვა იგი თანამედროვე ავეჯით, სტომატოლოგიური კაბინეტითა და სხვა სამედიცინო დანადგარებითა და ხელსაწყოებით; ამუშავდა სპეციალური სასწრაფო–სამედიცინო დახმარების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო სპეციალური ტრანსპორტით. ამ საქმეში გვერდით მედგა მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრი ქალბატონი დალილა ხორავა.

ჩემი ინიციატივით შემუშავდა სოფელ ოტობაიაში საუბნო საავადმყოფოს აღდგენისა და რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც როგორც აღდგენილი პოლიკლინიკა, მოემსახურებოდა 7 – 8 მიმდებარე სოფლების მოსახლეობას. ასევე შემუშავდა ქალაქ გალში რეგიონალური სამედიცინო ცენტრის მეგა–პროექტი, რომელიც თანამედროვე მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით იქნებოდა აღჭურვილი.

ამ პროექტებს მხარს უჭერდნენ მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი ბატონი ამირან გამყრელიძე და სახელმწიფო მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე. მათ მიერ ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სახსრები (4,7 მილიონი დოლარის ოდენობით) გათვალისწინებულ იქნა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, მაგრამ, სამწუხაროდ, 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახალმა მთავრობამ იგი ბიუჯეტიდან ამოიღო. ასე რომ, ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

მიუხედავად ხელისუფლების წაყრუებისა და აფხაზეთის მთავრობაში და უმაღლეს საბჭოში ნეგატიური მიდგომისა, ჩემს მიერ შემოთავაზებული იდეების და პროექტებისადმი, მე მაინც არ დამიყრია ფარ–ხმალი და ვეძებდი გზებს მათი განხორციელებისთვის. დიდი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც მივაღწიე იმას, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემს მიერ ლობირებული და შემოთავაზებული პროექტი გალის რაიონის ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის შესახებ, იქნა განხილული და ისევე, როგორც ზემო აფხაზეთი, გალის რაიონი ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დამტკიცებული.

ამ დადგენილების ხორცშესხმის მიზნით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემს მიერ სესიაზე გატანილ და დამტკიცებულ იქნა სპეციალური სამსახური – საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის განყოფილება, რომელსაც დაევალა სპეციალური პროგრამების მომზადება.

ასე ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისთვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იქნა კონკრეტული პროექტები, რომლებიც შემდგომ მხარდაჭერილ იქნა ქვეყნის კონფლიქტების დარეგულირების სამინისტროს მიერ და შეტანილ იქნა სპეციალურ პროექტთა ნუსხაში. ისინი გადაეგზავნა ევროკომისიას დასაფინანსებლად. ეს პროექტები შეთანხმებული იყო აფხაზურ მხარესთანაც. გალის რაიონში მათი განხორციელების სანაცვლოდ, აფხაზური მხარე მიიღებდა ევროკომისიისგან სპეციალურ დაფინანსებას სოხუმის წყალკანალისა და სხვა საკომუნიკაციო სისტემების აღსადგენად. წარდგენილი პროექტები ითვალისწინებდნენ გალში რეგიონალური მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის, გალის რაიონის დაბალი ზონის, კერძოდ, ოტობაიის, მეორე ოტობაიის, განახლების, ფიჩორის, გაგიდის, ქვემო ბარღების, ნაბაკევისა და თაგილონის საშუალო სკოლების რეაბილიტაციას, სოფ ოტობაიის საუბნო საავადმყოფოს მშენებლობას და აგროსექტორისთვის 4 სასოფლო–სამეურნეო ტექნიკური მიკრო–სადგურის შექმნას. პროექტები უნდა ამოქმედებულიყვნენ 2008 წლის შემოდგომაზე, მაგრამ, ამავე წლის აგვისტოს რუსეთ–საქართველოს ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შედეგად ჩაბარდნენ ისტორიას.

ასეთი მიდგომა და სოციალური პოლიტიკა იქნებოდა ერთადერთი, სწორი და წინდახედული ნაბიჯი აფხაზეთთან მიმართებაში. გალის რაიონის აღორძინების პროცესს უნდა მისცემოდა მცოცავი ხასიათი და უნდა განვრცობილიყო სამურზაყანოს მთელ ტერიტორიაზე – ოჩამჩირის რაიონის ჩათვლით. ეს იქნებოდა საქმიანი მიდგომა და წონადი წინადადება აფხაზი ხალხისადმი. ასეთ შემთხვევაში ისინი ირწმუნებდნენ, რომ ჩვენ მართლა მშვიდობით მოვდივართ და გვსურს აფხაზეთში რეინტეგრაცია ხარისხობრივად სხვა, უფრო მაღალ დონეზე. სამწუხაროდ, ისინი, ვისზეც იყო ყოველივე ეს დამოკიდებული, როდი ფიქრობდა ასე!

აი, იმ საქმეთა არასრული ნუსხა, რითაც ვიყავი დაკავებული აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თუ მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამაზე არასდროს დამცდენია ერთი სიტყვაც კი, და ამით არასდროს მიმიპყვრია სხვისი ყურადღება. თუ ვწერდი, ყოველნაირად გავურბოდი სიტყვა „მე“–ს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქალბატონი ურცხვად წერს: „საიდან ამდენი მე, მე, მე,... აშკარაა, მახსოვრობა გღალატობთ, ბატონო ნაპო, თორემ **არავის ახსოვს ისეთი აქტიურობა, არც იქ და არც აქ,** როგორსაც იბრალებთ. თითქმის ათი წელი (სინამდვილეში კი წელიწადნახევარი მ.ნ.) ე. შევარდნაძის მრჩეველი იყავით აფხაზეთის საკითხებში; ხუთი წელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს ხელმძღვანელობდით სახალხო დიპლომატიას აფხაზებთან მიმართებაში, მაგრამ მერე რა? რას მიაღწიეთ? და ა.შ... საღად მოაზროვნე ადამიანისთვის მისი (ჩემი წიგნის! ნ.მ.) სულისკვეთება საკუთარი „განდიდების სურვილით გაბრუებული“ კაცის შემოქმედებაა, რაც ნამდვილად ანტისახელმწიფოებრივია და სეპარატისტთა წისქვილზე ასხმას წყალს“.

კომენტარი აქ თქვენთვის მიმინდვია: მე უძლური ვარ რამე ვთქვა! კომენტარი აქ უადგილოდაც მიმაჩნია, მაგრამ მაინც არ შეიძლება რომ ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმ ბრალდებებზე, რომლებსაც ასე აკოწიწებს ეს ქალბატონი.

ჯერ ერთი, სახალხო დიპლომატიის მცდელობაც არ ყოფილა და მონაწილეობას ვიღებდი მხოლოდ ე.წ. შლაინინგის ფორმატით ცნობილ ორმხრივ, ქართულ–აფხაზურ შეხვედრებში ავსტრიასა და გერმანიაში. ეს იყო და ეს! ისე კი, თავის დროზე, ბატონ ბონდო ჯიქიას (იმ დროისთვის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის გუბერნატორი) მეშვეობით სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს შევთავაზე სახალხო დიპლომატიის წინა პლანზე წამოწევა, სამთავრობო დონეზე აყვანა და მასში დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა აქტიური ჩართვა, მაგრამ ესეც,როგორც დანარჩენი არაერთი ასეთი ჩემი წინადადება უყურადღებოდ დარჩა. ხელისუფლება თავად ვერ აგვარებდა პრობლემებს და სხვებსაც არ უშვებდა ახლოს!

ასევე არ შეიძლება არ ითქვას რამოდენიმე სიტყვა იმ „განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედებაზეც“, რაზეც ასე ურცხვად მიგვანიშნებს ეს ქალბატონი.

მკითხველს ეს არ შეიძლება არ აინტერესებდეს, რომ, თურმე, ექიმსაც გაუჩნდა მაღალი სავარძლებისკენ ლტოლვა და აბა რა უნდა დაგვმართნოდა ჩვენს სასიკეთოდ. ეს მეც დიდი ხანია მაწუხებს და, რახან მომეცა საშუალება, ვიტყვი გულწრფელად, ყველაფერი ეს ჩემთვისაც იყო მოულოდნელი და გამაოგნებელი, მიუხედავად იმისა რომ, როგორც ცნობილია, ექიმსაც გააჩნია კონსტიტუციური უფლება იყოს ამომრჩეველი და ასევე არჩეულიც. მაგრამ ამაზე არასდროს არ მიფიქრია, მით უფრო, რომ ვიყავი დაკავებული ძალზე საინტერესო საქმით - საზოგადოებაშიც საკმაოდ ცნობადი ვიყავი და სხვა ამბიციები არ გამაჩნდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი ჩემთვის უჩვეულო და უცნობ სამყაროში – პოლიტიკაში. ამაში ღმერთია მოწმე, როგორც იტყვიან: «Человек предпологает, а Бог распологает!»

ყველაფერი დაიწყო ძალიან მარტივად: ჩემთან მოვიდნენ სოხუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები და მეუბნებიან: „საჭიროა დეპუტატობის ისეთი კანდიდატი ქალი, რომელიც

დააბალანსებდა ქ–ნ ნათელა აკაბას ანტიქართულ პოზიციას და უზომო აქტიურობას მომავალ უმაღლეს საბჭოში“. მე მაშინათვე გამახსენდა გალის რაიონის მთავარი ექიმი, ქ–ნი დალილა ხორავა – განათლებული, სიმპატიური და ძალზე ენერგიული ქალბატონი. ორიოდე დღის შემდეგ ვეწვიეთ კიდეც მას და ვთხოვეთ მონაწილეობა მიეღო უმაღლეს საბჭოს არჩევნებში, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. მოტივაცია საკმაოდ არგუმენტირებული იყო: დეპუტატად კენჭს იყრიდა მისი მეუღლე, ბატონი თამაზ ხუბუა და უკვე რეგისტრირებულიც იყო ცენრალურ საარჩევნო კომისისაში. ამასთან ერთად, მან განაცხადა: „გალიდან კენჭი უნდა იყაროს ბატონმა ნაპომ!“. თქვა ეს და ისე დაგვტოვა, რომ მოვასწარი მხოლოდ მიმედევნა მისთვის, რომ არაფერი ეღონა საამისოდ. მას კი სახელდახელოდ მოუწვევია რაიონის სამედიცინო საზოგადოების კრება, სადაც ერთხმად დაუმტკიცებია ჩემი კანდიდატურა და მეორე დღესვე შეუტანია იგი ცენრალურ საარჩევნო კომისისაში.

ასე ავღმოვჩნდი დეპუტატობის კანდიდატთა სიაში. მე კი არ ვიჩენდი არავითარ ინტერესს და აქტიურობას. გადიოდა დღეები, მე არ ვჩანდი – არ ჩავდიოდი გალში და არ ვხვდებოდი ამომრჩევლებს. ასეთ დროს ჩამოდის სოხუმში ქალბატონი დალილა აქტივისტებთან ერთად, და მეუბნება: „აქვე, შენს კაბინეტში ჩამოვიხრჩობ თავს, თუ არ გამომყვებით გალში და აქტიურად არ ჩაებმებით წინასაარჩევნო მარათონში. რა გაეწყობოდა... ერთი სიტყვით, „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო!“ ასე გავხდი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი.

მერე იყო დეპუტატთა მცირე ჯგუფის შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან, ბატონ ზ. გამსახურდიასთან, სადაც აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარის საკითხიც განიხილებოდა. აქ, ჩემთვის მოულოდნელად, ჩემი გვარიც გაჟღერდა, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე: „ეს მოწმენდილ ცაზე ჭექა–ქუხილია ჩემთვის, მე ექიმი ვარ და ამისათვის არ ვარ

მზად“-მეთქი, მაგრამ ეს მაინც ითქვა და შემდგომ მსჯელობის საგნად იქცა.

სოხუმში ჩამოსვლის მეორე დღესვე „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის საბჭოს სხდომა შესდგა, სადაც იხილებოდა დეპუტატთა თბილისში გამგზავრების და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთან შეხვედრის შედეგები. სხდომას საბჭოს ყველა წევრი ესწრებოდა და გარეშე საზოგადოების წარმომადგენლებიც, მათ შორის, თუ სწორად მახსოვს, ქალბატონები რაისა ქარაია და ეთერი ასტემიროვა. მე ასევე უარი განვაცხადე ჩემი კანდიდატურის განხილვაზე და მწვანე შუქი ავუნთე ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, რომლის კანდიდატურა ასევე გააჟღერა პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ: „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეარჩიეთ ყოლბაიასა და მესხიას შორის“ – თქვა მან.

გადიოდა დღეები, მაგრამ ეს საკითხი არ დგებოდა დღის წესრიგში და იგი არ იხილებოდა არც ქართულ დეპუტატთა ფრაქციაზე და არც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე. მართალია, გრძელდებოდა მავანთა კულუარული აქტიურობა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ ამბობდა. ამიტომ ფრაქციაში განვაცხადე: „როგორც ჩანს, მე ვუშლი ხელს საქმეს, ვიხსნი ჩემს კანდიდატურას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და ვიფიქროთ ერთად იმაზე, თუ ვინ წარვადგინოთ. მინისტრთა საბჭოში სრული განუკითხაობაა და აჩქარება გმართებს“ – მეთქი. პასუხად სრულ სიჩუმეს წავაწყდი. ვხვდებოდი, ერიდებოდათ ჩემი, ამიტომ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ დეპუტაციაში ისევე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, მაგრამ ისევ – სამარისებური სიჩუმე. ვერ მოინახა დეპუტატთა შორის ერთი კაციც კი, რომელიც იტყოდა: „ბატონო ნაპო, მართალი ხართ, თქვენი კანდიდატურა, როგორც ექიმის, მართლა გვიშლის ხელს“. კარგად მესმოდა, ბევრს ვერც წარმოედგინა ექიმი მთავრობის ხელმძღვანელად, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრს არ

უნდოდა ჩემი, როგორც სპეციალისტის დაკარგვა, მაგრამ ამის მთქმელიც ვერ აღმოჩნდა დეპუტაციაში!...

არ ვაპირებ თავის მართლებას, ეს, როგორც ხედავთ, სრულებითაც არ მჭირდება! არც იმაზე ვისაუბრებ (თუმცა ვთქვი უკვე), რომ ექიმი ისეთივე წევრია საზოგადოების, როგორც ნებისმიერი სხვა სპეციალობის წარმომადგენელი და მას, როგორც საზოგადოების ნებისმიერ წევრს, გააჩნია კონსტიტუციური უფლება იყოს არჩეული ნებისმიერ თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, მე ყოველ ნაბიჯზე ვამბობდი უარს ჩემს კანდიდატურაზე და აფხაზურ მხარესთან ვმუშაობდი სხვების (ო. ზუხბაიას, ვ. ყოლბაიას ან რ. სიჭინავას) კანდიდატურაზე.

აქ უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ თუნდაც იმ ფაქტს, როდესაც არ მივიღე მონაწილეობა შიდაფრაქციულ ფარულ კენჭისყრაში, რომელსაც უნდა დაესახელებინა პიროვნება, რომლის კანდიდატურა იქნებოდა წარდგენილი ქართული მხარის მიერ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. მაშინ ყველას გასაგონად, ვთხოვე თ. ნადარეიშვილს, არ დაეყენებინა ჩემი კანდიდატურა კენჭისყრაზე. მან უგულველყო ჩემი თხოვნა, და მაინც გაჟღერდა ჩემი გვარი სხვა კანდიდატებს (ო. ზულბაიას, ვ. ყოლბაიას, გ. ლომინაძე, რ. სიჭინავა და მ. გობეჩია) შორის. მაშინ, პროტესტის ნიშნად, დავტოვე კაბინეტი, სადაც ეს პროცედურა მიმდინარეობდა, და მონაწილეობა არ მივიღე მასში. მიუხედავად ამისა, პირველსავე ტურში გაუმარჯვია ჩემს კანდიდატურას, მაგრამ კენჭისყრის შედეგები ნადარეიშვილს გამოუკეტავს საკუთარ სეიფში და პრეზიდიუმში არ გადაუგზავნია.

შემდგომ იყო შეკამათება მასსა და ვ. არძინბას შორის სესიაზე, ღია ეთერში და ჩვენს მიერ უმაღლესი საბჭოს დემონსტრაციულად დატოვება და არალეგიტიმური, პარალელური პარლამენტის ჩამოყალიბება, რაც სამართებლივად დანაშაული და პირდაპირი გამოწვევა იყო. მე ვტოვებ კოლეგებს და მთლიანად ვუბრუნდები საკუთარ პროფესიულ საქმიანობ-

ას. ამ დროს ნადარეიშვილის თხოვნით, ავდივარ „გოსდაჩაზე“ და ჩვენს შორის იმართება კონფედენციალური საუბარი. **„შალვოვიჩ, თქვენ უნდა წახვიდეთ ჩემს თანამდებობაზე, არძინბას პირველ მოადგილედ, მე კი მთავრობაში გადავალ“.** ჩემი პასუხი იყო: **„ბატონო თამაზ, ორივე თანამდებობა შენ გქონდეს, მე მოვიხსენი ჩემი კანდიდატურა იმის გამო, რომ არ ვიყავი საამისოდ შინაგანად მზად, ვარ ექიმი, მსგავს თანამდებობებზე არ მიმუშავია და, ამდენად, მე ეს არ მჭირდება. ვიმეორებ, ორივე თანამდებობა შენთვის დამითმია, მე ქუჩაში დავდგები, ქუჩასაც დავგვი, ოღონდ ტანკები არ შემომიყვანო აფხაზეთში!“**-მეთქი და ამ სიტყვებით ვტოვებ მას. ამ დროს ის მეუბნება: **„ხვალ უნდა შედგეს შემთანხმებელი კომისიის სხდომა, გთხოვ, წაიყვანე შენი გუნდი და მიიღე მასში მონაწილეობა, ეს მაინც გამიკეთე, გთხოვ!“** – თქვა მან და მეც დავთანხმდი.

ეს ხდებოდა ომის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე. ამ შემთანხმებელ კომისიაზე იდგა სწორედ მთავრობის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ სოხუმისა და გაგრის გამგებლის საკითხები. აფხაზური მხარე ითხოვდა ამ საკითხების ცალ–ცალკე განხილვას, მთავრობის თავმჯდომარის საკითხის ცალკე საკითხად გამოყოფას. **კონსტანტინ ოზგანი** თავისას არ იშლიდა: «**Давайте, договоримся по вопросу председателя Правительства, а потом они с председателем Верховного Совета рассмотрят эти вопросы, а мы на своих комиссиях, будем решать, поддержим или не поддержим их.**» **კონსტანტინ ოზგანის** პოზიციას არ ვეთანხმებოდი, ვითხოვდი სესიაზე ამ საკითხების ერთად, ერთ პაკეტში განხილვას. მეორე დღეს ჩვენი მხარის შემადგენლობა შეიცვალა, დეპუტატების ნ.მგალობლიშვილის და ჯ.გამახარიას ნაცვლად, თ.ნადარეიშვილმა ე.წ. არაფორმალები გამოაგზავნა, რომლებიც მზად იყვნენ გაეზიარებინათ აფხაზური მხარის პოზიცია. ეს მათ (განსაკუთრებით, ბატონ თამაზს), მკითხველისთვისაც გასაგები

მიზეზთა გამო, ხელს აძლევდა. მე კი არ ვთმობდი ჩემს პოზიციას. ასეთ დროს დიალოგში ერთვება აწ. განსვენებული ზურაბ აჩბა, რაც იშვიათად ხდებოდა აფხაზების პრაქტიკაში.

ის ამბობს: **«Давайте, в самом деле, обсудим вопрос Совета Министров. Назначение Зарандия было нашей ошибкой! Мы сами исправим свою ошибку, и без вас попросим его уйти. Встречаемся уже второй день и ни к чему не приходим, давайте, обсудим вашу кандидатуру на пост председателя Совета Министров, а по вопросу Министра внутренных дел, Гагры и Сухуми тогда договоримся легче. Что же касается Председателя, я бы рассмотрел кандидатуру господина Месхия. Вначале я был категорически против этой кандидатуры – где нейрохирург и где председатель Правительства, но, видать ошибался! Теперь же я двумя руками буду голосовать за кандидатуру Напо Месхия!»**

ჩვენი მხარის, კერძოდ, შემოგზავნილი **ზ. პაპასკირის** უტაქტობის გამო ჩაიშალა ეს შეხვედრა. ასე რომ, არცერთ საკითხში არ იქნა მიღწეული შეთანხმება.

ასე დამთავრდა აღნიშნული შეხვედრა. იმ საღამოსვე ჩემთან, ნეიროქირურგიულ ცენტრში მოვიდნენ ბატონები სერგეი ბაგაბში და დავით ფილია და მითხრეს: „ველაპარაკეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და ის თანახმაა და მხარს უჭერს თქვენს კანდიდატურას, საჭიროა მხოლოდ ქართული დეპუტაციის პარლამენტში დაბრუნება“. მე ავუხსენი მათ, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზური მხარე დათანხმდება ბატონი თამაზის კანდიდატურაზე და ვთხოვე, რომ კიდევ ერთხელ განეხილათ მისი კანდიდატურა - შეექმნათ ჩემთვის დერეფანი ვ. არძინბასთან კონფედენციალური შეხვედრისთვის, აგრეთვე „აიდგილარას“ თავკაცებთან მისასვლელად, რათა დამერწმუნებინა ისინი, ომის პრევენციის მიზნით, ამის აუცილებლობაში. მათ მოსმენაც არ ისურვეს, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: **«Уважили твою просьбу один раз и избрали его первым заместителем председателя Верховного Совета Абхазии. Ну и что?! Больше этого не будет. И не старайся, с этим покончено!»** –ასეთი იყო მათი ვერდიქტი!

მეორე დღესვე მოვიპატიჟე ჩემი თანამოაზრე კოლეგები ნეიროქირურგიულ ცენტრში და ჩავაყენე ისინი საქმის კურსში, თუ რა მოხდა შემთანხმებელ კომისიის სხდომაზე და იმაზე, რაც შევიტყვე გასულ საღამოს ს. ბაღაბშსა და დ. ფილიასაგან. ვუთხარი მათ, რომ თბილისიც თანახმაა ჩემს კანდიდატურაზე, მაგრამ ისინი უარით გავისტუმრე და ახლა გეუნებით თქვენ: „ომი თუ არ გვინდა აფხაზეთში, უნდა მოვიხსნა საბოლოოდ საკუთარი კანდიდატურა და აფხაზურ მხარესთან უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რათა თამაზ ნადარეიშვილი გავიდეს მთავრობის თავმჯდომარედ“. ამას ჩემი კოლეგები – ბატონები აკაკი გასვიანი, ჯემალ გამახარია და აწ. გასვენებული კიმი ჯაჭვლიანი შეხვდნენ აღფრთოვანებით და ამაღლებული ეპიტეთებით შემამკეს – ერისკაცად გამომაცხადეს.

სამწუხაროდ ჩვენს შემდგომ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია და ორიოდე კვირის შემდეგ ტანკები გამოჩნდნენ სოხუმში!

ასე რომ, მშვიდობის საკითხი მაშინ ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ავირჩევდით მთავრობის თავმჯდომარედ. დარწმუნებული ვარ აფხაზურ მხარეს რომ დაეჯერებინა ჩემთვის, დაეთმო და თავმჯდომარედ დანიშნულიყო თამაზ ნადარეიშვილი ან გივი ლომინაძე, მათი ამბიციები დაკმაყოფილდებოდა, ამით ბევრი პრობლემა მოიხსნებოდა, არც ტანკები გახდებოდნენ საჭირო და ომი აგვცდებოდა აფხაზეთში!

ომის შემდგომაც იყო სერიოზული შემოთავაზება „აღორძინების“ მხრიდანაც, მაგრამ აქაც ურყევი ვიყავი და არ დავეთანხმე ძალზე მომხიბვლელ შემოთავაზებაზე.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, რამდენიმე თვით ადრე, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ამიყვანეს ზუგ-

დიდიდან და კანცელარიაში დამსვეს, თითქოსდა პრეზიდენ-ტის მრჩევლად აფხაზეთის საკითხებში. სინამდვილეში კი ხელისუფლებას უნდოდა, რომ არ წავსულიყავი აჭარაში – „აღორძინება»–ში და არჩევნების დროს თან არ გამყოლოდა აფხაზეთიდან დევნილი ელექტორატი.

მანამდე, ცნობილი ბიზნესმენის კობა ნაყოფიას შუამ-დგომლობით, ორჯერ შევხვდი „აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერს, აწ. განსვენებულ ჯემალ გოგიტიძეს და ჩვენს შო-რის ხანგძლივი საუბარი გაიმართა. შეხვედრა ბატონ კობას ოფისში მიმდინარეობდა, მას, ბატონ კობას გარდა, ყოფილი პარლამენტარი თენგიზ ჯგუშია და რაჟდენ ქარდავა ესწრე-ბოდნენ. მეტად მიმზიდველი იყო შემოთავაზებები: ადგილი „აღორძინების“ საპარლამენტო საარჩევნო სიის პირველ ათე-ულში და, თუ დავთანხმდებოდი, უფლება მეძლეოდა რეკო-მენდაცია გამეწია კიდევ ერთი კანდიდატისთვის (ვისაც ამ-ოვირჩევდი!), ის ამ სიაში მესამე ათეულში მოხვდებოდა. იყო მინიშნება, რომ აჭარაში, თუ ვისურვებდი – თვით ბათუმში მივიღებდი ბინას ან მის გარეუბანში სახლ-კარს რაც ჩემთვის ნაკლებად სარწმუნო იყო. ეს შორეულ პექსპექტივას უფრო განეკუთვნებოდა! ჩემთვის უფრო მიმზიდველი აჭარაში ნე-იროქირურგიული სამსახურის ჩამოყალიბების პერსპექტივა გახლდათ. ამ საკითხებზე ბატონი **ჯემალ გოგიტიძე** სარწმუ-ნო გარანტიებს იძლეოდა.

ეს საუბარი სოჭში აფხაზების უხუცესთა დელეგაციასთან შესახვედრად გამგზავრების წინ შესდგა. სოჭიდან დაბრუნე-ბისთანავე შედგა ჩვენი მეორე შეხვედრა **ჯემალ გოგიტიძეს-თან,** მაგრამ მასაც შედეგი არ მოჰყოლია.

ჯერ ერთი, მე ბოლომდე კიდევ არ ვიყავი განთავისუფლე-ბული იმ განცდილი უმძიმესი შთაბეჭდილებებიდან და დამ-თრგუნველი ფაქტებისგან, რაც აფხაზეთში გადამხდა. ასეთ დროს, როდესაც მოწყვეტილი ვიყავი ჩემს სასაფლაოს, სა-დაც ჩემი ვაჟიშვილები განისვენებდნენ და როდესაც ჩემი ხალხი გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, მე არ შემეძლო

მეფიქრა საკუთარ თავზე. რაც მთავარია, კარგად მესმოდა, რომ საპარლამენტო ტრიბუნა და იქიდან პრობლემებზე სა-უბარი შედეგზე ნაკლებად იქნებოდა ორიენტირებული და წლები შეუმჩნევლად და უშედეგოდ ჩაივლიდნენ, რამდენიც არ მეფრქვია (თუ შევძლებდი) ბრძნული სიტყვები პარლა-მენტის ტრიბუნიდან, არ მომეცემოდა პრობლემებთან მიახ-ლოების საშუალება – აფხაზურ მხარესთან პირდაპირი, უშუ-ალო შეხვედრებისა და დიალოგის შესაძლებლობები. ეს არ იყო ის გზა, რომელსაც „ტაძრამდის მივყავდი“. მეორეც, ამ მიმზიდველი წინადადებების მიღმა იმალებოდა პოლიტიკუ-რი თამაში, სადაც სანაცვლოდ მე უნდა გამეღო ერთგვარი ხარკი – **უნდა გავმხდარვიყავი კიდევ ერთი პარლამენტარი, რომელიც მხარს დაუჭერდა პარლამენტში სეპარატისტუ-ლი რეგიონის ლიდერის პოზიციას. ჩემი ფიქრი კი ამ დროს აფხაზეთს დასტრიალებდა და სხვა ბრძოლებში ვერ გამოვ-დგებოდი.** ამიტომ არ დავთანხმდი „მომხიბვლელ შემოთავა-ზებებს». ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში შემდგომშიც არ შემპარვია ეჭვი. ამ გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა აჭარაში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა.

ამასთან, ვფიქრობდი იმაზეც, რომ, თუ ვიქნებოდი პრე-ზიდენტთან ახლოს, მის აპარატში, იქნებ რაიმე მაინც მოვა-ხერხო-მეთქი ქართულ-აფხაზური პრობლემების მოგვარე-ბასთან დაკავშირებით. მაგრამ, უნდა გითხრათ, არც არავ-ის დასჭირვებია ჩემი რჩევა და ფაქტობრივად უფუნქციოდ ვიყავი. მხოლოდ ერთხელ, ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ჩავედი სოხუმში, შევხვდი ბატონ ანრი ჯერგენიას, რომელთანაც შევათანხმე დოკუმენტის ჩემი ვერსია, რო-მელიც ეხებოდა კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაგირების ოთხმხრივი ჯგუფების შექმნასა და მათ ამოქმედებას (რო-მელზეც უკვე მქონდა საუბარი). ეს იყო და ეს! ვხედავდი, რომ კანცელარიაში უსაქმოდ ჯდომას არ ქონდა აზრი, ამიტ-ომ ჩავაბარე კაბინეტის გასაღები ბატონ პეტრე მამრაძეს და დავბრუნდი ზუგდიდში.

„ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვის შემდეგ, 2004 წლის მარტში დასრულდა ბატონი **თამაზ ნადარეიშვილის** მრავალწლიანი უპირობო ლიდერობა და ახლა უმაღლეს საბჭოს ახალი ხელმძღვანელობა უნდა აერჩია. იმ დროისთვის რეგიონალური საკითხებს, ე.წ. ზვიადისტებთან შერიგების შედეგად ხელისუფლებაში ვიცე–პრემიერის რანგში მოსული **გურამ აბსანძე** კურირებდა. ამდენად, მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე, აფხაზეთის საკითხებიც. არ ვიცი როგორ და რატომ, შეიძლება, ბატონი ზაური კვარაცხელიას რეკომენდაციით, რომელიც მუშაობდა მის აპარატში და კარგად მიცნობდა და იცოდა ჩემი მიდგომა და შესაძლებლობები აფხაზეთთან მიმართებაში, მომიწია ბატონ გ. აბსანძესთან შეხვედრამ მისივე ინიციატივით. მან შემომთავაზა უმაღლეს საბჭოში დაბრუნება, რათა მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში, იგი მხარდაჭერას და ამოდგომას მპირდებოდა, რაზეც პირველ შეხვედრაზე უარი განვაცხადე, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ თანხმობა მივეცი იმის გათვალისწინებით, რომ კიდევ ერთხელ მეძლეოდა შანსი წარმომეჩინა უმაღლესი საბჭო, როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე და მიგვეღო მონაწილეობა მხარეებს შორის მიმდინარე დიალოგში. ამით ქართულ-აფხაზური დიალოგი შიდარეგიონალურ, პოლიტიკური კონფლიქტის ხასიათსა და ელფერს შეიძენდა: კვლავ ჩნდებოდა შანსი პირდპირი დიალოგის გამართვისა უშუალოდ აფხაზურ მხარესთან.

ამ მოსაზრებით დავთანხმდი ბატონ გ. აბსანძეს და მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საბჭოს 2004 წლის არჩევნებში. ჩემთან ერთად კენჭს იყრიდნენ ბატონები თემურ მჟავია, დავით გვაძაბია და გია გვაზავა. ამ ორმა უკანასკნელმა სესიაზევე მოიხსნეს თავიანთი კანდიდატურები. პირისპირ თემურ მჟავია და მე ავღმოვჩნდით.

ამ დროს, როდესაც გამოვდიოდი საარჩევნო პროგრამით და სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, ქალბატონმა ე. ასტემიროვამ შემომაჩეჩა ხელში ტელეფონი და მითხრა: „იუსტიციის მინისტრს, ბატონ ზურაბ ადეიშვილს სურს თქვენთან საუბარიო». მეც გამოვართვი მას ტელეფონი და აი „რა რჩევა“ მომცა ბატონმა ადეიშვილმა: **„ბატონო ნაპო, ჩვენ ვიცით, ვინ ხართ, რა კაცი ბრძანდებით, მაგრამ ახლა გვჭირდება მჟავია, მოიხსენით თქვენი კანდიდატურა და გზა დაუთმეთ ბატონ მჟავიას. ეს ასეა საჭირო“** – თქვა მან და გამორთო ტელეფონი.

პატივმოყვარე კაცი იქვე მოიხსნიდა თავის კანდიდატურას და გაეცლებოდა იქაურობას, მაგრამ მე მოვთოკე ჩემი თავმოყვარეობა და ამბიციები და კენჭი ვიყარე თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, იმის იმედით, რომ ბატონ მჟავიას ხელმძღვანელობა არ შემიშლიდა ხელს დასახული მიზნების რეალიზაციაში, მაგრამ, მიუხედავად ჩემი ხუთი წლის განმალლობაში უწყვეტი აქტიურობისა და მუდმივი ინიციატივისა, ადგილიდან ვერ დავძარი ბატონი თემური, რათა მოგვეპოვებინა ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა და წარმოგვეჩინა ჩვენი თავი როგორც დევნილი მოსახლეობის ლეგიტიმურ წარმომადგენლებს და გავსულვიყავით აფხაზურ მხარესთან პირდაპირ დიალოგზე. ასე ჩაიარა უშედეგოდ ხუთმა წელიწადმა...

2008 წლის აგვისტოს თვის მოვლენების შემდეგ საბოლოოდ გაქრა ყოველგვარი პერსპექტივა და უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა თანამდებობაზე ყოფნას. ჩავარდა ის მოსაზრებები და აღნიშნული პროექტები (გალის რაიონის ზღვის პირა და ენგურს გასწვრივ მდებარე სოფლების სკოლებისა და მათი ინფრაქსტრუქტურის რეაბილიტაცია, სოფ. ოტობაიაში საკვანძო საავადმყოფოსა და გალში თანამედროვე მოთხოვნათა დონის რეგიონალური სამედიცინო ცენტრის გაშენება, აგროსექტორში სასოფლო–სამეურნეო მიკროტექნიკური სადგურების დაფუძვნება და სხვა.), რომლებიც ჩემს მიერ მომზადებული და უკე იყო შესული ევროკომისიის პროგრამაში.

ამით დაესვა წერტილი ჩემს მოღვაწეობას უმაღლეს საბ-

ჭოში და დავჯერდი იმას რაც მოვასწარი. ასეთია ჩემი ნაამაგარი, როგორც დეპუტატის – დეპუტატისა, რომელიც გამოიყურებოდა ყოველთვის, როგორც „თეთრი ყორანი» – ებრძოდა დესტრუქციულ ძალებს და აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რათა შეგვენარჩუნებინა მშვიდობა და შემდგომში აღგვედგინა ნორმალური ურთიერთობა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს ერთეულების შესაძლებლობებს აღემატებოდა. ნათქვამია „მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო!“

ჩვენი საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუ ერთგვარ პარალელს არ გავავლებთ აფხაზეთის დესტრუქციულ ძალებსა და საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის საქმიანობის შორის.

ამისთვის საჭიროა პატარა ექსკურსი, რათა გავიხსენოთ ომის წინა პერიოდი და ის, თუ რა პოლიტიკური ვითარება სუფევდა მაშინ აფხაზეთში – რა პოლიტიკურ თამაშებს ეწეოდნენ ადგილობრივი თუ მოვლენილი „ლიდერები“ და როგორ ქმნიდნენ ან უწყობდნენ ხელს ფეთქებადსაშიშ ვითარებას. სწორედ ამან, აფხაზთა სეპარატისტულ პოლიტიკასთან ერთად, განაპირობა მხარეებს შორის ურთიერთდაპირისპირება და ხელი შეუწყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას.

თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს!

განა ჩვენვე არ დავადექით თავიდანვე გათიშულობისა და განხეთქილების გზას?! გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ როგორ გავყავით უნივერსიტეტი აფხაზეთში, შემდეგ მწერალთა კავშირი, საფეხბურთო გუნდი და ბოლოს... პარლამენტიც! **ეს ყველაფერი ჩვენი ვაი–პოლიტიკოსების დაუღალავი დესტრუქციული საქმიანობით ხდებოდა და ამის სათავეში ედგა აფხაზეთის ის ფსევდო–ინტელიგენცია, რომელიც ჩამოყალიბდა შემდგომ ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს სახით. ყველაფერი კეთდებოდა მათ მიერ ეროვნულ ლოზუნგებსა და ქართულ ინტერესებზე ამოფარებით. სინამდვილეში კი**

ყველაფერი მათი პირადი კარიერისტული ან კლანურ–მაფიოზური, კომერციული ინტერესებით იყო განპირობებული.

საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ სოხუმის უნივერსიტეტის გაყოფა. ამაზე საზოგადოებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ე.წ. ეროვნული ერთიანობის წარმომადგენელთა აზრით, **„აფხაზეთის სახლემწიფო უნივერსიტეტის გახლეჩა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე თსუ-ს სოხუმის ფილიალის შექმნა სულაც არ იყო ქართველ ექსტრემისტთა დესტრუქციული ქმედება, მით უფრო კარიერას და ფულს დახარბებულ ქართველ პროფესორ–მასწავლებელთა ჯიუტი ახირება, არამედ ეს იყო აფხაზეთის ქართველობის საერთო–სახალხო საპროტესტო აქცია აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ“.** ეს ძალზე მიამიტურად და უსუსურად გამოიყურება. შეიძლება დაეთანხმო მათ, რომ არ იცოდე უნივერსიტეტის გაყოფის ნამდვილი მიზეზი და მიზანი. მათ გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა, საზოგადოებამ რომ არ იცოდეს, თუ როგორ გაიზარდა ერთიორად ე.წ. „სტავკები“ თსუ–ს სოხუმის ფილიალში იმ საბედისწერო 1989 წელს აფხაზეთში პირველი შეიარაღებული შეტაკებისას დაღვრილი სისხლის ფონზე.

ამაზე შეიძლება არც ღირდა ამდენი საუბარი რომ არა ის, თუ რა მოჰყვა მათ საქმიანობას აფხაზეთში. ასეთი ადამიანების ძალისხმევით ეროვნული ნიშნით გაიყო, როგორც ითქვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რასაც მოჰყვა სწორედ ის სისხლიანი დღეები აფხაზეთში.

ასეთი იყო ამ ეროვნული სულისკვეთებით „გულანთებული“ ძალების ხელწერა და მათი საქმიანობის შედეგი აფხაზეთში.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რით იყო დაკავებული (ქ–ნ ქარაიას აზრით) ის „განდიდების სურვილით გაბრუებული“ კაცი – რით იყვნენ, დესტრუქციული ძალების საპირწონედ, დაკავებული და რა საქმიანობას ეწეოდნენ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის წარმომადგენლები,

უფრო დაძაბულ და ფეთქებადსაშიშ ვითარების დროს, ისინი ვინც არ იყო პირადი ამბიციებით და კომერციული ინტერესებით შეპყრობილი და ზნედაცემული.

აფხაზეთში მცხოვრებთ, განსაკუთრებით სოხუმელებს, კარგად ახსოვთ, თუ რა ვითარება შეიქმნა აფხაზეთში მთლიანად და, კერძოდ, სამედიციო საზოგადოებაში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

საყოველთაო ეროვნული გლოვის დღეებში რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ბატონმა **არსენ თარბამ** არ ჩამოუშვა ავტონომიური რესპუბლიკის დროშა. მის ამ საქციელს დიდი აყალმაყალი და შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც გართულებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დაპირისპირებამ მკვეთრად გამოხატული ანტიქართული, ანტიეროვნული ელფერი შეიძინა, დაიმუხტა ირგვლივ ყველაფერი და ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალი, რომ ხანძარი დანთებულიყო. ასეთ ვითარებაში გაერთიანდა სოხუმის (და არა მარტო სოხუმის!) სამედიცინო საზოგადოება აფხაზეთის ნეიროქირურგიული ცენტრის გარშემო, რომელსაც ვხელმძღვანელობდი. სამედიცინო საზოგადოება მოითხოვდა ბატონ **არსენ თარბას** გადაყენებას და დასჯას. ეს კი ადვილი საქმე არ იყო არა მარტო იმიტომ, რომ მის გვერდით ეროვნული ნიშნით გაერთიანდა სამედიცინო საზოგადოების აფხაზური ნაწილი, არამედ სხვა, უფრო მნიშვნელოვან მიზეზთა გამო.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ბატონი არსენი საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის ე.წ. იატაკქვეშა ბიუროს წამყვანი წევრი, იმ თითქოსდა უხილავი დაჯგუფებისა, რომელიც სეპარატიზმის, ანტიქართული იდეოლოგის ბუდე და შეუვალი ციტადელი გახლდათ. ამავე დროს, იგი მეორე მოფლიო ომში მცირე მიწის ბრძოლებისთვის დაჯილდოებული იყო „ხალხთა მეგობრობის» ორდენით და საკავშირო მთავრობისგან

საჩუქრად მიღებული ჰქონდა პერსონალური ავტომანქანა „ვოლგა». ასე, რომ არსენ თარბასთვის ხელის ხლება ადვილი საქმე არ იყო!

მისი, როგორც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის საქმიანობას თავის დროზე საკავშირო ჟურნალ „კროკოდილმაც“ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამაოდ!

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბატონი ბორის ადლეიბასაგან არაერთგზის მსმენია, თუ როგორ ცდილობდა იგი პენსიაზე მის გაშვებას. სწორედ ამისთვის წარუდგენიათ იგი ორდენზე და კიდევ ერთხელ დაუსაჩუქრებიათ პერსონალური ავტომანქანით, რათა, ასაკის გათვალისწინებით, პომპეზურად გაეშვათ დამსახურებულ პენსიაზე. მაგრამ გუდაუთიდან ჩამოსულან უხუცესთა საბჭოს წევრები და უთქვამთ ბატონ ბორისისთვის: «Не трогайте Тарбу!» – უთქვამთ და გასულან კაბინეტიდან ისე, რომ არც კი მოუსმენიათ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის არგუმენტისთვის. ბორის ადლეიბამ კარგად იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას გუდაუთის სოფლებში – ლიხნში თუ დურიფშში, ამიტომ საოლქო კომიტეტმა დათმო პოზიცია და უკან დაიხია. ახლა კი აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და დასჯას, რაც, ბუნებრივია, არარეალური იყო.

ამ დროს იყო მოწოდებაც: უნდა აგვეღო იარაღი, თოფი უნდა გავარდნილიყო აფხაზეთში და ეს ექიმების ხელით უნდა დაწყებულიყო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ეს ორიოდე თვით წინ უძღოდა უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად, სოხუმში 1989 წლის ივლისის პირველ სისხლიან შეტაკებას.

აფხაზეთში სისხლი ექსტრემიზმის შედეგად ისეთ დროს დაიღვარა, როდესაც ქართული მოსახლეობა სრულებით არ მოელოდა და არ იყო მზად. მთლიანად ორივე მხარის ექსტრემისტების სინდისზეა ყოველივე ის, რაც მოჰყვა მათ საბედისწერო შეცდომებს 1989 წლის ივლისის დღეებში!

ჩვენ კი, მათგან განსხვავებით, არ დაგვიწყია რესპუბლიკური საავადმყოფოს ორად გაყოფა – აფხაზურ და ქართულ საავადმყოფოებად. ჩვენ ავირჩიეთ სხვა გზა: ექიმთა საგაფიცვო კომიტეტის ბაზაზე შევქმენით ე.წ. СТК (მშრომელთა კოლექტივების საბჭო) და ექიმთა საზოგადოების თხოვნით ჩავუდექი მას სათავეში, გავაერთიანე მასში, როგორც ქართული, ასევე (დააკვირდით!) აფხაზური წარმომავლობის ცნობილი მედიკოსები, შევიმუშავეთ წესდება და მის საფუძველზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა განყოფილებებში, კვოტების მიხედვით, დელეგატებად ავირჩიეთ საღად მოაზროვნე მედიკოსები და ისე ჩავატარეთ შემაჯამებელი კონფერენცია, რომ მას არ გავაკარეთ არც ჯანდაცვის სამინისტროს, არც მთავრობის წარმომადგენლები.

აი ასე, ყოველგვარი აჟიოტაჟის, რაც მთავარია, მშვიდობიანად, სისხლის ღვრის გარეშე, კენჭისყრით გავათავისუფლეთ **არსენ თარბა** რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობიდან და ჯანდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრობისგან!

ეს ისე მოვაგვარეთ, რომ არც ერთხელ არ შევხებივართ მტკივნეულ და მეტად სათუთ ეროვნულ თემას. ყველა კრება თუ კონფერენცია ჩემი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და შეევეცადე (შევძელი კიდეც!) პრობლემების მოგვარება არა ეროვნული, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ჭრილში, არამედ პროფესიულ სიბრტყეში. არც ერთი მხრიდან ექსცესებს არ ჰქონია ადგილი. ეს პროცესი თითქმის ორ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა და ისეთი კორექტულობით ჩაიარა, რომ ბატონ არსენ თარბას თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ არც ერთი საყვედური არ დასცდენია. უფრო მეტიც, აფხაზ ექიმებისგან შემდგარი ათკაციანი ჯგუფი მოვიდა ჩემთან და მთხოვეს თანხმობა, რათა მემუშავა **არსენ თარბას** ნაცვლად რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად. თანამდებობა მე, მოწოდებით კლინიცისტს, არ მიზიდავდა და აფხაზი ეროვნების მთავარი ექმის ნაცვლად (მიაქციეთ ყურადღება!) დავნიშნეთ არა აფხაზი, არამედ ქართველი – **თემურ შურღაია.**

თსუ–ს სოხუმის ფილიალის პროფესორ–მასწავლებელთა ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის წარმომადგენლები ისევე, როგორც ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები, ვერც ჩვენი მაგალითის შემდეგ მიმხვდარან, თუ რა იყო უმჯობესი – საღი გონების მოხმობა თუ მათ მიერ დაშვებული უგუნურება?

რაც შეეხება ანტისახელმწიფოებრიობას და სეპარატიზმისათვის ხელშეწყობას, რაშიც მდებს ბრალს ქალბატონი რაისა, რამდენადაც ეს აბსურდული არ იყოს, ყურადსაღებია, მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდები, რადგან ეს და სხვა მსგავსი საკითხები, მათ შორის ის, თუ რატომ და როგორ დაირღვა უმაღლესი საბჭოს სესიების დაწყებამდე ორი დღით ადრე, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები ერთად, ერთ პაკეტში უნდა ყოფილიყვნენ არჩეული, რატომ და ვინ იყო ამაში დაინტერესებული – ეს და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურადაა განხილული ჩემს საკმაოდ ვრცელ პუბლიკაციაში: „პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს“-ში (გაზ. „ილორი“, 2013 წ. NN 238–252). სტატიაში ამომწურავადაა პასუხი ამაზე გაცემული, თუმცა აქაც უნდა ითქვას, თუ რასთან გვქონდა საქმე. აფხაზეთის უმაღლესი ჩინოსნების ერთად, ერთ პაკეტში არჩევა იყო შემადგენელი ნაწილი იმ ფარული გარიგებისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, რომლის თანახმად **ვ. არძინბას** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევისა და ე.წ. დისპროპორციული, სინამდვილეში კი დისკრიმინაციული (აპარტეიდული!) საარჩევნო კანონზე (კვოტებით 28:26:11) თანხმობის სანაცვლოდ ქართულ მხარეს (ნ. მგალობლიშვილი, გ. ლომინაძე, თ. მჟავია, მ. ომანიძე და სხვა) ენიჭებოდა უფლება მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე წარედგინა ნებისმიერი კანდიდატურა და ის აფხაზური

მხარისთვის იქნებოდა მისაღები და უპირობოდ გამსვლელი. ამასთან, მხარეებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, თუ ვინ იქნებოდა ის ქართველი, რომლის კანდიდატურა ვ.არძინბას კანდიდატურასთან ერთად, ერთ პაკეტში დადგებოდა კენჭისყრაზე, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: პრეზიდენტმა **ზ. გამსახურდიამ** ორივე თანამდებობაზე (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზეც) სულ სხვა კანდიდატურები დაასახელა და ამ ფარული გარიგების მონაწილეებს, როგორც იტყვიან, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!“ ამიტომაც, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატები **ვ. არძინბასთან** ერთად რომ არ არჩეულიყვნენ დასახელებულ თანამდებობებზე, ორი დღით ადრე მოწვეულ იქნა მხარეებს შორის არსებული შემთანხმებელი კომისია და სხდომაზე ადრე ფარულად მიღწეული შეთანხმება გაუქმდა. აი, რა დონის ღალატს ქონდა ადგილი!...

დიახ, **ვ. არძინბას** ფაქტორს, გარიგებით მიღებულ დისკრიმინაციულ საარჩევნო კანონს და მავანთა ბინძურ ამბიციებს შეეწირა ომისა და მშვიდობის ბედი აფხაზეთში.

მკითხველმა ეს იცის! ალბათ, ხვდება იმასაც, რომ ის, რასაც ქალბატონი წერს, შორსაა სიმართლისაგან და არ არის გონებაგახსნილი და მიუკერძოებელი ადამიანის ნააზრევი. **ეს შავი პიარის, ადამიანის სიძულვილისა და შურისძიების სურვილით გზააბნეული ადამიანის ნაბოდვარია – ადამიანის, რომელიც კანითაც გრძნობს მის და მის მეგობრების მიმართ ხალხის ანტიპატიას იმ უგუნურობისა და მოღალატეობრივი ქმედებების გამო, რომლებიც ასე უხვად ჩაიდინეს მათმა დექსტრუქციულმა ძალებმა, რომელთა რიგებში იმყოფებოდა თავად ქალბატონი რაისა ქარაიაც – ეროვნული ერთიანობის საბჭოდ წოდებული იმ მე–5 კოლონის და დეპუტატთა ქართული ფრაქციის ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის შემადგენლობაში, რომლებიც წარმოადგენდნენ დამანგრეველ ძალას და დღენიადაგ გაიძახოდნენ: „ვინ არიან ესენი? რა უნდათ იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ? აფხაზეთი**

მარტო მათი ხომ არაა? აფხაზეთზე მეტი პრობლემა არაა საქართველოში?! წესიერად თუ არ იქნებიან, გადავუვლით» და ა.შ. „არავითარი კონტაქტი აფხაზურ მხარესთან!“, „ისინი ჩვენი მტრებია, მათთან თანადგომა და თანაარსებობა არ შეიძლება“, „მოღალატეებად ჩავთვლით და ჩავქოლავთ ყველას, ვინც რამეთი დაეხმარება აფხაზებს“, „მტრის ხატი უნდა შევქმნათ აფხაზებისგან» ა.შ. და ა.შ..

აი ასეთი ხალხის რიგებში იდგა და მხარს უმშვენებდა ეს ქალბატონი – იმ ძალებს, რომლებსაც გონივრულ, წინდახედულ პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მათ არ ესმოდათ, ან არ სურდათ სცოდნოდათ, ასეთი პოლიტიკა დამღუპველი რომ იყო. ახლა, როდესაც მიხვდნენ თავიანთ საბედისწერო შეცდომებში, ცდილობენ გადაფარონ თავიანთი უგუნურება და ამისთვის თხზავენ ათასგვარ პასკვილებს იმათი მისამართით, ვინც ამხელდა და ამხელს მათ საკუთარ უგუნურებაში და ღალატში. ასე რომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ასე იკბინება და ასე ძალუმად რომ აფრქვევს სიბინძურეს ეს ქალბატონი. ის შეიძლება, არც იმსახურებდეს პასუხს, მაგრამ მარტო ამ ქალბატონში როდია საქმე – არის მკითხველი და ის იმსახურებს იმდენ პატივისცემას, რომ იცოდეს სიმართლე.

და მაინც ერთგვარ დისკომფორტს განვიცდი იმის გამო, რომ ამ ქალბატონთან - მის ყოველგვარ კრიტიკას მოკლებულ და უსუსურ კითხვებზე პასუხის გაცემა მიწევს, და, ამდენად, ისევ უნდა მივუბრუნდე ამ ქალბატონის წერილის სტრიქონებს: **„თქვენ კი, როგორც თვითონ წერთ, თურმე ხშირად გიწევდათ მასთან (ე. შევარდნაძესთან, ნ.მ.) შეხვედრა, თითქოს ქართული ფრაქციის გადასარჩენად, უმაღლეს საბჭოს ქართულ დეპუტაციას, და არა ფრაქციას, არაფერი ემუქრებოდა; აფხაზეთში არასოდეს დამდგარა საკითხი, არც დეპუტაციის გაუქმების და არც პარარელური სტრუქტურების შექმნის შესახებ, ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ამას არავინ დაგიდასტურებთ“.**

სინამდვილეში ასე მარტივად არ იყო საქმე.

1991–1992 წ.წ. დეკემბერ–იანვრის სახელმწიფო გადატრიალებისა და ქვეყნის სათავეში არალეგიტიმური ძალების მოსვლის შემდეგ, საქართველოში აფხაზეთსა და აჭარაში იყო დარჩენილი ლეგიტიმური, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და ეს ერთგვარ დისკომფორტს უქმნიდა სისხლიან ხუნტას. ამიტომ ის ცდილობდა ყოველნაირად მის დისკრედიტაციას. სწორედ ამისთვის შეიქმნა აფხაზეთში ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭო – ის მე-5 კოლონა, რომელსაც მხარს უჭერდა „გოსსაბჭო“: ისინი უკანასკნელის სატელიტი ძალები იყვნენ და აკეთებდნენ ყველაფერს საზოგადოებრივი და პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის აფხაზეთში.

ჩვენ, ქართული დეპუტაცია, ისევე როგორც მთლიანად აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, სახელისუფლებო ვაკუუმში აღმოვჩნდით და უმაღლეს საბჭოში ვერაფერს ვწყვეტდით. ამ დროს სიტუაცია დღითიდღე იძაბებოდა და რთულდებოდა. ჩვენს მიერ უმაღლესი საბჭოდან საბოლოოდ გასვლა, ცალკე ფრაქციად, შემდეგ კი „პარლამენტად“(!) ჩამოყალიბება ფეთქებადსაშიში სიტუაციის ხელოვნურად შექმნის მცდელობა და მეტად არაგონივრული ნაბიჯი იყო. იგი სამხედრო კონფრონტაციისკენ გვიბიძგებდა. ამ დროს, ძველებურად გრძელდებოდა დეპუტატთა დევნა ე.წ. ეროვნული ერთაინობის საბჭოს მიერ - ისინი გვიბარებდნენ თავიანთ სხდომებზე, შეკრებებზე და დეპუტატთა ფრაქციის დაშლას მოითხოვდნენ: სახელმწიფო საბჭოს წინაშე აყენებდნენ საკითხს დეპუტატებისათვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისიდან ინსპირირებული პოლიტიკური პუტჩის მცდელობა იყო – მათ არ აწყობდათ ლეგიტიმური პოლიტიკური ოაზისის არსებობა აფხაზეთში, ამიტომ ღიად უჭერდნენ მხარს ექსტრემისტულ და დესტრუქციულ ძალებს. ამდენად, ხშირად დგებოდა დღის წესრიგში დეპუტატთა ქართული ფრაქციის ყოფნა–არყოფნის საკითხი. ჩვენი, **კიმი ჯაჭვლიანთან** ერთად,

ედუარდ შევარდნაძესთან ერთ-ერთ შეხვედრისას სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი და მან დაავალა თავის თანაშემწეს: **„გადაეცით ლომინაძეს, რომ გუშინდელი მასთან მიღებული გადაწყვეტილება ძალაში არ შედის, დეპუტატები უნდა დარჩნენ“.** როგორც ცნობილი გახდა, წინა დღეს მას სტუმრობდა გ. ლომინაძე ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებთან ერთად.

ქართული დეპუტატთა ფრაქციის, ისევე როგორც აფხაზეთის პარლამენტის დაშლა დიდი შეცდომა და პოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი იყო. ამის დაშვება არ შეიძლებოდა, თუმცა ეს დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. ჯერ კიდევ 1992 წლის 30 ივლისს, აფხაზეთში პარარელური ქართული მთავრობის და მისი სტრუქტურების დაფუძნების მცდელობის (ამაზე გვექნება დეტალური საუბარი) ჩავარდნის მეორე დღეს, თამაზ ნადარეიშვილმა ქართულ დეპუტატთა ფრაქციის სხდომაზე საგანგებოდ, კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დასვა საკითხი ფრაქციის დაშლისა და დეპუტატებისთვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, მაშინ ფარული კენჭისყრით ჩემმა ალტერნატიულმა წინადადებამ გაიმარჯვა – თვრამეტმა დეპუტატმა დამიჭირა მხარი და მხოლოდ ოთხმა დაიკავა თ. ნადარეიშვილის დანაშაულებრივი პოზიცია. იმ ოთხ დეპუტატთა შორის იყვნენ სწორედ ქ–ნი რაისა ქარაია და მისი დაქალი ე. ასტემიროვა!!! ამის შემდეგ ეს ქალბატონი ურცხვად წერს, რომ დეპუტაციას არასდროს არაფერი ემუქრებოდა და არასდროს მდგარა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი!

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს და ქართული დეპუტაციის ყოფნა–არყოფნის საკითხი შემდგომშიც არაერთგზის დამდგარა დღის წესრიგში და ბოლოს ე.წ. „იმელის“ (ე. შევარდნაძის!) პარლამენტმა და მასთან დაახლოებულმა დექსტრუქციულმა წრეებმა მაინც მიაღწიეს საწადელს – გააუქმეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, დაშალეს დეპუტატთა ქართული ფრაქცია და თავად მიუსხდნენ (!!!, ნ.მ.) აფხაზ სეპარა-

ტისტებს (რომლებიც მიუბრუნდნენ 1925 წლის კონსტიტუციას და აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს!), მოლაპარაკების მაგიდასთან ხან ჟენევაში, ხან კიდევ რუსეთში, ხანაც სად, რითაც აფხაზური მხარე, მაშასადამე, აფხაზეთი აღიარეს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიქეტი!...

ამის გაკეთება, ვიმეორებ, არ შეიძლებოდა: უმაღლეს საბჭოში ქართულ და აფხაზურ ფრაქციათა წარმომადგენლებს შორის მუდმივი დიალოგი უნდა ყოფილიყო, რაც ქართულ–აფხაზურ კონფლიქტს შიდარეგიონალურ პოლიტიკურ კონფლიქტის ელფერს ანიჭებდა და მისი ქვეყნის გარეთ გატანა და ინტერნაციონალიზაცია დაუშვებელი იყო – აფხაზურ მხარეს ხელისუფლების ასეთი არაგონივრული და წინდაუხედავი ნაბიჯი ხელ–ფეხს უხსნიდა, შესაძლებლობას აძლევდა გამოსულიყვნენ 1978 წლის კონსიტუციის ჩარჩოებიდან და აღედგინათ 1925 წლის კონსიტუცია, რაც მათ სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს სტატუსს ანიჭებდა, რაზეც არაერთგზის მითქვამს და წერილითაც მიმიმართავს ბატონ ედუარდ შევარდნაძისთვის, რასაც დამიმოწმებს, ალბათ, ქვეყნის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი **ოთარ ფაცაცია.**

ასე რომ, ქვეყანაში ამ ერთადერთი ლეგიტიმური სტრუქტურის დაშლა შეცდომა კი არა, ღალატის ტოლფასი ქმედება გახლდათ. ამას, ყოველ შემთხვევაში, წინდახედულ სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამაზე მიუთითებდა სწორედ აშშ სახელმწიფო მდივანი **მადლენ ოლბრაიტიც** ე. შევარდნაძეს 1994 წელს მისი გაეროში გამოსვლის დროს.

სწორედ ამის კვალობაზე, 1994 წლის 9 მაისს **ე. შევარდნაძესთან** ჩემი შეხვედრის და თითქმის ერთსაათიანი პირდაპირი საუბრის დროს გადაწყდა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის» საქმიანობისა და ქართული დეპუტაციისთვის უფლებამოსილების აღდგენის საკითხი: **„ჩემთან არის ნაპო, შემოდის საინტერესო წინადადებით, უნდა აღვადგინოთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტატთა ფრაქცია. გადმოვა შენთან, მოუსმინე მას და იმოქმედეთ ისე, როგორც გეტყვის“** – ასეთი **იყო ე. შევარდნაძის თ. ნადარეიშვილთან** სატელეფონო საუბრის ბოლო სიტყვები, მაგრამ ბატონმა თამაზმა ეს ყველაფერი თავის თავზე მოირგო და დეპუტატთა ფრაქციის აღდგენის ნაცვლად, ისევ სამართლებრივად არაკანონიერი - უმაღლესი საბჭო ჩამოაყალიბა.

რაც შეეხება იმას, რომ აფხაზეთში არასდროს დამდგარა საკითხი პარარელური სამთავრობო სტრუქტურების შექმნის შესახებ, როგორც ურცხვად გვაუწყებს ქ–ნი რაისა, ეს მისი კიდევ ერთი გამაოგნებელი სიცრუეა! სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო და ამიტომ ეს მოითხოვს ამ საკითხის დეტალურად განხილვასა და გააზრებას.

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ქართული დეპუტაციის მცირე ნაწილის ძალისხმევის შედეგად, ვერც პარარელური მინისტრთა საბჭო და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტო ჩამოყალიბდა აფხაზეთში. ქართულ დეპუტატთა ფრაქციის წევრებმა და მის ბაზაზე არალეგიტიმურად შექმნილი პარლამენტის 1992 წლის 29 ივლისის სესიის დამსწრე საზოგადოებამ იცის ეს და იცის ისიც, თუ ვისი ძალისხმევის შედეგად ვერ მოხერხდა იგი. არადა, დექსტრუქციულ ძალებს საამისოდ ყველაფერი ჰქონდათ მზად: **შეიქმნა ცნობილი იურისტებისა და ყოფილი პარტიული და საბჭოური მოხელეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა აფხაზეთის 1978 წლის მოქმედი კონსტიტუციის შესწორების პროექტი და დებულებები აფხაზეთში პარალელური მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების შესაქმნელად.** იმ დროისთვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ქართული ფრაქციის ბაზაზე, როგორც ითქვა, უკვე იყო შექმნილი ე. წ. აფხაზეთის პარალელური პარლამენტი და **ახლა აფხაზეთის მოსახლეობის ქართული ნაწილისთვის (კარგად დააკვირდით!) – აფხაზეთის ქართუ-**

ლი მოსახლეობისთვის ცალკე მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბება უნდოდათ. პატარა აფხაზეთში ორი მინისტრთა საბჭო: ერთი აფხაზებისთვის, ხოლო მეორე – ქართველებისთვის და მათი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, პარალელური ძალოვანი სტრუქტურები: პროკურატორა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამსახური და სხვა!...

კიდევ ერთხელ კარგად ჩაუფრიქრდით, რა მასშტაბის ავანტურისტული ნაბიჯი იგეგმებოდა – **ეს უკვე პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა! აფხაზეთში, სადაც საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია, მხარეებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება, საერთო დაძაბულობა პიკს აღწევდა და ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა, უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილი, თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით, და ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭო დესტრუქცული საქმიანობით იყო დაკავებული, რომელიც პირდაპირ ომისკენ უბიძგებდა მოსახლეობას! ყველანი უფსკრულის პირას ვიმყოფებოდით!** ოფიციალური თბილისი კი კვლავინდებურად სდუმდა. ეს მას, როგორც სჩანს, ხელს აძლევდა!

მას შემდეგ, რაც ქართულმა ფრაქციამ დატოვა პარლამენტი და გადასახლდა სინოპში, ე.წ. „გოსდაჩაზე» და თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით ჩამოყალიბდა სამართლებრივად არაკონსტიტუციური პარლამენტი, მე პროტესტის ნიშნად, როგორც უკვე ავღნიშნე, დავტოვე იქაურობა და მთლიანად გადავერთე პროფესიონალურ საქმიანობაზე.

ასეთ დროს, კერძოდ, 1992 წლის 28 ივლისს, ღამის თორმეტ საათზე მირეკავს დეპუტატი **აკაკი გასვიანი** და გადაუდებელ შეხვედრას მთხოვს. მას თან ახლავს ცნობილი ჩეკისტი **ბათო საღინაძე**. მათგან ვიგებ, რომ 29 ივლისს ტარდება ე.წ. ქართული პარლამენტის სესია, რომელიც აფხაზეთში პარალელური ქართული მთავრობისა და მისი სტრუქტურების შექმნას ეძღვნება. მათი თხოვნით, დავურეკე თამაზ ნადარეიშვილს და შევხვდი მას ღამის 1 საათზე და მოვუყევი, რაც შევიტყვე ბატონი აკაკი გასვიანისა და ბატონი ბათო

საღინაძისგან – პარალელური მთავრობის, მისი ძალოვანი სტრუქტურების შექმნას, სოხუმის რაიონის რაიკომის ყოფილ შენობაში ან მაჭარკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. „მრეო“-ს შენობაში მათი განთავსების შემთხვევაში, აფხაზური მხარის მიერ ისინი ჰაერში იქნებიან აყვანილი და ამით აფხაზეთში ომი დაიწყება, ეს დასტურდება სხვადასხვა წყაროებით-მეთქი. **„მერე რა, დაიწყოს მერე!“**, თქვა მან და მიიხურა ეზოს კარები!

მეორე დღეს, დილის ათ საათზე, მივდივარ ე.წ. „გოსდაჩაზე», სადაც უნდა ჩატარებულიყო ეს ავადსახსენებელი სესია. აქ ხალხმრავლობა იყო. გამოჩნდა **გივი ლომინაძეც.** იგი გავიყვანე ცალკე და ჩვენს შორის, ყველას თვალწინ, ხანგრძლივი და პირუთვნელი საუბარი შესდგა. დეტალებზე არ შევჩერდები, ავღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ იგი დავიყოლიე და ვურჩიე: საჩქაროდ გასცლოდა იქაურობას, თუ არ სურდა მის სახელს დაკავშირებოდა ომის დაწყება აფხაზეთში. ამ დროს ამოვიდა უშიშროების სამსახურის უფროსი **ავთანდილ იოსელიანიც**. ახლა მან გამიხმო განზე და შეშფოთებული მიყვება დეტალებში იმას, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სესიის მოსალოდნელ დადგენილებას. მისი ნათქვამი ტყუპისცალივით ემთხვეოდა იმას, რაც წუხელ შევიტყვე ბატონი აკაკი გასვიანისა და ბატონი ბათო საღინაძისგან, მაგრამ არ გავუმხილე მას და შევეცადე გადამემოწმებინა, თუ რა წყაროებს ეფუძნებოდა მისი ინფორმაცია; დავრწმუნდი, რომ ორივე ინფორმაცია იყო დამოუკიდებელი და სარწმუნო. ყოველივე ეს გავანდე **აკაკი გასვლიანს, კიმი ჯაჭვლიანს** და **ჯემალ გამახარიას.** ვთხოვე მათ მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დამჭირდებოდა სესიის მსვლელობის დროს. ყოველ შემთხვევაში საქმეში არ უნდა ჩარეულიყვნენ ჩემი მინიშნების გარეშე.

სესია თამაზ ნადარეიშვილმა გახსნა და სხდომა დაიწყო. ის იყო, შეუდგა დღის წესრიგის დამტკიცებას, ვთხოვე სიტყვა პროცედურის შესახებ. ამით ვისარგებლე და დავასაბუთე,

რომ წარმოდგენილი პროგრამით დღის წესრიგი არ უნდა დამტკიცებულიყო. მოვახსენე დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას, რომ ეს იქნებოდა საბედისწერო შეცდომა, რასაც ომი მოჰყვებოდა აფხაზეთში.

ბატონი თამაზი, ეტყობა არ მოელოდა ამას, და მეტად გაფიცხდა, შემომიტია - მე კი არ ვთმობდი და ჩვენს შორის ასეთი შეკამათება დაპირისპირებაში გადაიზარდა: მე არ ვეთანხმებოდი მის პოზიციას და მომყავდა არგუმენტები მის მიერ ჩაფიქრებული მიზნების გასაქარწყლებლად. დეპუტატები გაოგნებული იყვნენ - არ იცოდნენ, რა ექნათ, ვის მიმხრობოდნენ. თუ ვინმე გამოვიდოდა ნადარეიშვილის პოზიციის გასამყარებლად, მაშინ დაუყოვნებლივ გამოვიდოდნენ ჩემი მომხრეები: **აკაკი გასვიანი , კიმი ჯაჭვლიანი** და **ჯემალ გამახარია,** მაგრამ მათ ჯერ თადარიგი ეჭირათ, რადგან არ ჩანდნენ ბატონ თამაზ ნადარეიშვლილის მომხრეები! ამდენად, სხვა არავინ არ ჩარეულა ჩვენს შეხლა–შემოხვლაში. ბატონი თამაზი იმდენად გამწარდა, რომ მოღალატედაც გამომაცხადა, მაგრამ ამან არ დამაკარგვინა წონასწორობა. მან ბოლოს და ბოლოს დათმო პოზიცია, როდესაც ნახა, რომ საკითხისადმი ჩემს მიდგომას იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ ბატონი **ავთანდილ იოსელიანი** და (ყველას გასაოცრად!) **თვით გივი ლომინაძეც.**

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემი ყოფნისა და საქმიანობის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ეს ფაქტი მიმაჩნია! მაშინ ვირწმუნე, რომ ერთ კაცსაც, თუნდაც მარტოობაში, ბევრი შესძლებია!

შემდეგაც იყო პარარელური სამთავრობო სტრუქტურების შექმნის არაერთი მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდებოდა მაგრამ მან უფრო კულუარული ხასიათი მიიღო და ახლა უკვე არა პარალელური ქართული მთავრობის შექმნას სცდილობდნენ, არამედ აქცენტები გადატანილი ჰქონდათ უფრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ მიმართულებით მიდიოდა სეპარატისტული მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან სწორედ იმ დროს, როდესაც მე ვცდილობდი, რომ ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიციები, როგორიცაა შს სამინისტრო და სოხუმი ან გაგრა, ქართველების განმგებლობაში რომ ყოფილიყო. მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ, თურმე, საზოგადოება „სოხუმელები“-ს წარმომადგენლები თმობდნენ აღნიშნულ მეტად მნიშვნელოვან პოზიციებს: **«Чего ты убиваешся за МВД, когда ваши «Сухумчане» согласны уступить и МВД и Гагры, если главой Правительства будет назначен их представитель, а твой Надареишвили готов все отдать – и МВД, и Сухуми, и Гагры лишь бы он был Председателем?!»** - მეუბნებოდა კონსტანტინ ოზგანი.

როდესაც ვერ მიაღწიეს საწადელს და გაირკვა, რომ აფხაზური მხარე ამ საკითხებში კომპრომისს არ დაუშვებდა, თ.ნადარეიშვილი, დეპუტატთა მცირე ჯგუფთან ერთად, ეწვია „გოსსაბჭოს“ ლიდერებს და დაარწმუნა ისინი იმაში, რომ აფხაზეთი ბორბლებზე იყო შეყენებული და ფსოუს იქით რომ გადაჰქონდათ აფხაზებს! ასე და ამგვარად, ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურების ხელშეწყობით ტანკები იქნა შემოყვანილი აფხაზეთში!

ის, რასაც ვერ მიაღწიეს ომამდე, რეალიზებულ იქნა ომის დროს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქართულმა ნაწილმა, **თამაზ ნადარეიშვილის** თავკაცობით, ჩაშალა დეპუტატთა ფრაქციის ერთ-ერთი სხდომა, სადაც, ჩვენი ჯგუფის (აკაკი გასვიანი, კიმი ჯაჭვლიანი, და **ჯემალ გამახარია)** წინადადებით, უნდა განხილულიყო საკითხი, ქართულ დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი-ს“ ბაზაზე, დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის (აღმასკომის) შექმნის შესახებ: შემუშავებული გვქონდა მისი წესდება და საქმიანობის რეგლამენტი, რომლის თანახმად, ხელმძღვანელად და კომიტეტის წევრებად დაინიშნებოდნენ ისევე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლები – თავმჯდომარედ ბ–ნი **თ. ნადარეიშვილი**, ხოლო **გ. გვაზავა, ვ. ყოლბაია და ე. ას-**

ტიმიროვა კომიტეტის წევრებად. ისინი ინარჩუნებდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრისა და დეპუტატის, როგორც ყველა დანარჩენი, უფლებამოსილებას. ასეთი ნაბიჯი იმ დროს, ომის პერიოდში მეტად გონივრული და პოლიტიკურად წინდახედული ნაბიჯი იქნებოდა, რამეთუ არ ვქმნიდით აფხაზების გარეშე ახალ სამთავრობო სტრუქტურებს და ამით ვიტოვებდით მათთან მისასვლელ გზებს – მხარეებს შორის დიალოგის აღდგენისა და კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას, მაგრამ **თამაზ ნადარეიშვილმა,** დეპუტატთა დესტრუქციულ და ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილთან ერთად, ჩაშალა დეპუტატთა ფრაქციის ეს სხდომა და, მიუხედავად ჩემი ხვეწნა-მუდარისა, არ გადაედგათ ასეთი ნაბიჯი, გადავიდნენ მთავრობის სხდომათა დარბაზში, სადაც ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავყრილობა მიმდინარეობდა.

ეს იყო დეპუტატების მიერ თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილების უგულვებელყოფა, კონსტიტუციური ლეგიტიმურობის ჩანაცვლება საქმოსნების, ყოფილი პარტოკრატების, საბჭოური მუშაკებისა და სხვა მოხელეებისგან შემდგარი სახელდახელოდ შექმნილი აუდიტორიის შეუზღუდავი უფლებებით: იყო ბეტეერები, შეიარაღებული ჯარისკაცები, გამოსვლები, მომიტინგეთა კენჭისყრაც, ოვაციებიც. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი, რაც ხდება პუტჩის დროს და როდესაც „ბელადს“ ირჩევენ მომიტინგე აუდიტორიაში. არ იყო მხოლოდ ერთი რამ – ელემენტარული ადამიანური ღირსება და მორალი, პასუხისმგებლობის გრძნობა და, უბრალოდ, სინდისის ქენჯნა ყოველივე მომხდარის გამო!

შემდეგ პრესითა და ტელევიზიით ქვეყნის საზოგადოებას მიეწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა ჩატარდა დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის» ბაზაზე არსებული „პარლამენტის“ სესიის ღია სხდომა ფართო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამაზ ნადარეიშვილი. ასე აიტაცეს პუტჩისტ-მომიტინგეებმა **თამაზ**

ნადარეიშვილი ხელში და აიყვანეს მე-2–დან მე-12 სართულზე და დასვეს იმ კაბინეტში, სადაც ოდესღაც ისხდნენ არხიპ ლაბახუა, **ავთანდილ საყვარელიძე, იუზა უბილავა, გივი ანჩაბაძე...** ეს უბედურება იყო! ამით მოიჭრა აფხაზურ მხარესთან მისასვლელი გზები!

აი რა ფარსსა და უზნეობას ჰქონდა ადგილი და რის ფასად ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურებმა და ქართულ დეპუტატთა ფრაქციის ნაწილმა, რომლის აგრესიულ და ანტიაფხაზურად განწყობილ ფრთას წარმოადგენდნენ ქალბატონები **ე. ასტიმიროვა, რაისა ქარაია** და მათი ძმადნაფიცი **თემურ მჟავია,** მაინც მიაღწიეს საწადელს!

სამწუხაროდ, მათ სახეებზე, როგორც ხედავთ, არც დღეს შეინიშნება მონანიების ნიშანწყალი! მაშინ კი მომხდარი ფაქტი ყველამ კანონიერად მიიღო. ეს ფარსი არავის გაკვირვებია. ისევე, როგორც სახელმწიფო საბჭოს მიერ ამ უკანონობის დაკანონება გაკვირვებია ვინმეს. ან რა იყო გასაკვირი იქ, სადაც ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა, სადაც კანონი არ კანონობდა და არაკონსტიტუციური ქმედება კანონის ძალას იძენდა და ყოველივე ეს ავტომატიანი „დემოკრატების“ ძალისხმევითა და ამოდგომით ხორციელდებოდა.

აი ასე, ვიმეორებ, ეს ერთი მაღალი და მისგან მეტნაკლებად დამოკიდებული ბევრი სხვა თბილი სავარძელი, ცნობილი გარემოებებისა და მიზეზებთან ერთად, გახდნენ ყველა ჩვენი უბედურების თავი და თავი! ეს რომ არა, აფხაზეთში ომი გარდაუვალი არ იყო!

აი, ეს არის სიმართლე და დასრულებული სურათი იმისა, თუ რა ხდებოდა დეპუტაციაში და მის ირგვლივ, საერთოდ აფხაზეთში. ამ დროს ეს ქალბატონი ცინიკურად და უმეცრად საუბრობს ათასგვარ სისულელეებზე. სწორედ ამან მიბიძგა ამეღო კალამი და მეთქვა ხალხისათვის სრული სიმართლე.

რაც შეეხება თავად ქალბატონ რაისას, ვფიქრობ მისმა პორტრეტმაც მიიღო დასრულებული სახე და ამით ის უფრო

ცნობადი გახდა ფართო საზოგადოებისთვის, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის!

აქ მახსენდება დიდი შექსპირი და მისი მკაცრი ვერდიქტი ქალების მიმართ: **«Ничтожество – вам, женщины, имя!»** ძალზე გაოცებული დავრჩი მაშინ, როდესაც ამოვიკითხე ეს სიტყვები მისი ნაწარმოებიდან. არ ვეთანხმებოდი და დღემდე არ ვიზიარებ ამ გენიოსის მოსაზრებას: როგორ შეიძლება ასე ხელაღებით ისაუბრო ქალებზე, საერთოდ – ჩვენს დედებზე, დებზე და სხვა ახლობლებზე? ბოლოს და ბოლოს რამდენია გამოჩენილი ქალი ცხოვრების სხვადასხვა დარგში – მეცნიერებაში, ლიტერატურაში თუ ხელოვნებაში. ცოტა მოგვიანებით ოდნავ დავმშვიდდი, როცა წავაწყდი ამ სიტყვების ივანე მაჩაბლისეულ ვერსიას: **„არარაობავ, დედაკაცი, უნდა გერქვას შენ!“**

კაცის ცხოვრებაში დგება, თურმე, ისეთი წუთები, როდესაც გაიძულებენ, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ან იშვიათად, მაგრამ მაინც, თავადაც გიჩნდება სურვილი წარმოსთქვა ეს სიტყვები, რამდენადაც შეიძლება, ხმამაღლა – ყველას გასაგონად!

ნაპო მესხია

გაზეთი „ილორი“, N 258-266; 2014 წ.

ნაწილი III
საზოგადოების წარმოადგენელთა გამოხმაურება აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ცალკეულ დეპუტატთა პუბლიკაციებზე

ჟურნალ „რიწის“ რედაქციის მინაწერი

აი ჟამის რა სიღრმეებიდან მოდის ის, რაც 2008 წლის აგვისტოში გამეორდა.

ასე, რომ ბატონ **ნაპო მესხიას** სტატია სამივე დროს ეკუთვნის და აქ დასმულ კითხვებზე დაფიქრება ყველა ქართველს ერთნაირად მართებს. დასკვნების გაკეთებაც ერთად უნდა ვცადოთ, თორემ **ედუარდ შევარდნაძის** მიერ ბეჭდვით მედიაში გაკეთებული ახსნა-განმარტებები ერთობ ზედაპირულია და არადამაჯერებელი. ამიტომ, კიდევ უფრო მძაფრდება ის მამხილებელი პათოსი, რომლითაც გაჟღენთილია უპასუხო კითხვები, უპასუხო იქნებ იმიტომაც, რომ... ხშირად თავის თავშივე გულისხმობს პასუხს და გვაფხიზლებს, შინაგანი მღვიძარების აუცილებლობაში გვარწმუნებს. დემოკრატიის არსიც ხომ ის არის – ერი, ხალხი თვითონ წყვეტს თავის და საკუთარი ქვეყნის ბედს, მის მომავალს. ეს კი დაფიქრებით, განსჯით ისწავლება. ავტორსაც, ჩვენი აზრით, სწორედ აქეთკენ მივყავართ, გვეყოს ნება და გამბედაობა, ისევ და ისევ არ დავუშვათ - თანაც მერამდენედ - უკვე დაშვებული შეცდომები (ეს აგვისტოც ხომ იმ, 1992 წლის აგვისტოს ბევრ რამეში ტყუპისცალივით ჰგავდა).

ამდენად, ძალზე ღირსეული, ღირებული და პირუთვნელობით გამორჩეული კითხვებია!

ავტორი - თავიდან ბოლომდე ჩვენთანაა, კითხვებს მათრახივით ატლაშუნებს და მოსვენებას არ გვაძლევს.

ჩვენ ეს კითხვები დღეს - განსაკუთრებით დღეს - ძალიან, ძალიან გვჭირდება, როცა „პუტინიზმის“ იმპერიულ ამბიციებს და... ჩვენს შეცდომებს (რომლებშიც ღალატის ნიშნებიც აშკარაა ხოლმე) ათიათასობით ადამიანი შეეწირა, ისევ ეწირება და დევნილების რიცხვიც მატულობს და მატულობს...

ლიტერატურულ საზოგადოებრივი
ჟურნალი „რიწა“ №2 2008 წ.

ვის როგორ სტკივა აფხაზეთი!

8 თებერვალი, 2013. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ. დადგენილებას ახლავს „ინფორმაცია ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ“, რომელიც პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების გაგრძელების სახით დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, №7, 15 იანვარი, 2013 წ.).

ფრიად რთულ საქმეს მოვკიდე ხელი. არადა, გაჩუმება, მართლაც რომ ღალატის ტოლფასია. რთულია იმიტომ, რომ ჩვენ მეტ-ნაკლები დატვირთვით, ერთად გამოვიარეთ ის ჯოჯოხეთი, რომელიც თავს დაგვატყდა. და ეს არ იყო ერთჯერადი აქტი-ტრაგედია, ეს, ეპიზოდურად მეორდებოდა და ენგურს გამოღმაც გაგრძელდა.

ყველა შეთითხნილ ბრალდებას პასუხი რომ გაეცეს, შესაძლოა, იმავე მოცულობის წიგნი ხელახლა იქნეს დასაწერი. ამიტომაც მკითხველის ყურადღებას, ჩემი აზრით, იმ უმთავრეს საკითხებზე შევაჩერებ, რომელიც წყალგამყოფი ხაზია ბ-ნ ნაპო მესხიასა და მის „კეთილ“ ოპონენტებს შორის.

ახლახან, 26 იანვარს, დევნილთა ნაწილმა კინოსახლში თავი მოვიყარეთ დევნილთა ყრილობის მომზადების მიზნით. დამსწრეთა შორის იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: თემურ მჟავია, ნუგზარ მგალობლიშვილი, ანზორ წოწონავა, ეთერ ასტიმიროვა და რაისა ქარაია. მათ იქვე დაარიგეს „საქართველოს რესპუბლიკის“ ის ნომრები, სადაც ზემოაღნიშნული მასალები იყო დაბეჭდილი.

სხდომა მიჰყავდა ბ-ნ ზაურ ბედიას (ცნობილი მფრინავი), რომელმაც, როცა თვალი მოჰკრა ნაცნობი გაზეთის ნაცნობი ნომრების დარიგებას, თავიდანვე განაცხადა, დღეს შევიკრიბეთ დევნილთა ყრილობის მომზადების მიზნით და გთხოვთ,

სხვა საკითხებზე არ ვისაუბროთო. ბატონი ნუგზარ მგალობ-ლიშვილი ეტყობა ცდუნებას აჰყვა, სიტყვა მოითხოვა და ნი-მუშად ორი ბრალდების მოშველიებით ბატონ ნაპო მესხიას „ქებათა-ქება“ აღავლინა.

სიტყვა მეც მოვითხოვე და ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილ-საც შევეპასუხე. პირველი, ვინც პროტესტის ნიშნად დარბა-ზი დატოვა, ბ-ნი თემურ მჟავია გახლდათ, რომელმაც გას-ვლისას მომაძახა: „თქვენ ამისთვის პასუხს აგებთ!“

უმაღლესი ცრუბრალმდებელი

სამწუხაროა, რომ ასეთი ეპითეტით გვიწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-უმის მოხსენიება. საქართველოს ხელისუფალთა პრაქტიკაში ცრუბრალდებები არახალია. ამის დიდოსტატი თვით ე. შე-ვარდნაძე გახლდათ. სიმართლე მას იშვიათად თუ დაცდენია პირიდან.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დადგენილება და მისი გაგ-რძელება-ინფორმაციაც სწორედ ასეთი პათოსითაა შედგე-ნილი. დადგენილების პირველსავე წინადადებაში ვკითხუ-ლობთ: „... წიგნში, „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“, მოცე-მულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების მოღვაწეობ-ის ამსახველი დამახინჯებული, ცილისმწამებლური ფაქტე-ბი... “ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მტკიცებით, წიგნის ავტორს „... მიზნად აქვს დასახული აფხაზეთის ტრაგედიაში ერთმნიშვნელოვნად დამნაშავედ ქართული მხარის გამოყვა-ნა“. თურმე ნუ იტყვით, - ბ-ნი ნაპო მესხია „..დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით... ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას... “, იგი დახასიათებულია, როგორც „... კოლაბორაციონალისტური, ბოღმიანი, პოლიტიკისგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებული და ჩასაფრებული... პოლიტიკური მსოფლმხედველობის... “ მატარებელ ადამიან-

ად (ნეტავ, ბოლშევიკთა მიერ შეთითხნილი რომელი „ბრალ-დებებიდანაა“ ეს გადმოწერილი. გადასამოწმებელია „მეგ-რელთა საქმე“, „ექიმთა საქმე“ და სხვ.).

ასეთი პრეამბულის შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გაჭირვებია დადგენილების პირველსავე მუხლში ჩაეწერა ის, რომ ეს წიგნი წარმოადგენს „..წინასწარ-განზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრი-ვი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერი-ალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას... “ აი, თურმე სინამდვილეში ვინ არის ბ-ნი ნაპო მესხია. მოკლედ, გამოდის, რომ წიგნის ავტორი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის რანგში შეპარული რუსეთის აგენტი და აფხაზუ-რი აგრესიული სეპარატიზმის (აწ უკვე „მხილებული“) მხარ-დამჭერია.

იარლიყის მიკერებაც ამას ჰქვია. ეტყობა, მავანი და მავა-ნი გაღმა შეედავეს პოლიტიკას კარგად არის დაუფლებული.

აფხაზეთის აჰრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „ნაპო-ლეონ მესხიასგან მოითხოვს საჯარო ბოდიშის მოხდას... წი-ნააღმდეგ შემთხვევაში უფლებას იტოვებენ სასამართლო წესით აღიდგინონ შელახული ღირსება. სხვათა შორის, სა-კითხავია, ვინ ვის უნდა მოუხადოს ბოდიში.

სასამართლო გარჩევით კი ემუქრებიან ბ-ნ ნაპო მეხსიას, მაგრამ მინდა, ვიცოდე, რომელი მოსამართლისგან ელოდ-ებიან ასე „დაჩაგრული“ ადამიანები „შელახული ღირსების“ აღდგენას. იქნებ მიხეილ სააკაშვილის „ჯიბის“ რომელიმე მო-სამართლემ გამოიჩინოს „ობიექტურობა“, ან სპირიტიზმის უახლესი მეთოდებით პილატე გამოიხმონ, მედიუმად ბ-ნი ე. შევარდნაძე ან თვით კოტე კუბლაშვილი გამოადგებათ.

რაც შეეხება ინფორმაციას „... ნაპო მესხიას წიგნის „რო-გორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“, - თავიდან ბოლო სტრიქონამდე კარგად შეფუთული პასკვილია. გაოცებას იწ-ვევს ინფორმატორთა პრიმიტივიზმი, კონტექსტიდან ამოგ-ლეჯილი ციტატების მოხმობითა და მაღალფარდოვანი ტერ-

მინოლოგიის ციტატების მოშველიებით ავტორის იმ კუთხით წარმოჩინება, რომელიც მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის საშუალებას იძლევა. ის დაწერილია წიგნის ავტორის განქიქებით და არა ფაქტების მოხმობით ფაქტების წინააღმდეგ. წერენ, - ბ-ნი ნაპო მესხია აღშფოთებულია იმით, რომ ის თავის დროზე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, შემდგომში - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე არ იქნა არჩეულიო. არა, ბატონებო, ბ-ნი ნაპო აღშფოთებული იყო არა ამით, არამედ იმ პოლიტიკანების აულაგმავი მოქმედებებითა და საბედისწერო შეცდომებით, რამაც „უხვად მოიტანა ცრემლი და ცხედრები“ (გვ. 9).

ამ ფონზე, როგორც თვითონ წერს, ის ვერ გაექცეოდა ემოციებს, ხელმეორედ (უფრო სწორად, მერამდენედ!) განიცდიდა „... თავს გადამხდარი უბედურება, ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების მძიმე წუთებიც... “ (გვ. 10). იგი ტრაგიკულმა მოვლენებმა უფრო ულმობელი გახადა და თქვა მწარე სიმართლე იმის შესახებ, რომ „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა უგუნურობისა და ღალატის შედეგია“ (გვ.11).

ბატონი ნაპო მესხია წერს არა ვინმეს დავალებით, არამედ გულის კარნახით იმის თაობაზე, რომ „ვერც ნატოში გაწევრება და ვერც ვაშინგტონის გავლით რუსეთთან პირუთვნელი დიალოგი ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს... აფხაზ ხალხთან, მის ლიდერებთანაა პირდაპირი დიალოგი საჭირო“ (გვ. 11). ამას ვერ იტყვის რუსული იმპერიალიზმისა და აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგეტი, როგორც ამას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გვარწმუნებს.

„ინფორმაციის“ ავტორები ბ-ნ ნაპო მესხიას ადანაშაულებენ იმაში, რომ მას „... მიზნად აქვს დასახული თუ დავალებული (დავალებული ვისგან. ზ. კ.) აფხაზეთის ტრაგედიაში უეჭველ დამნაშავედ ქართული მხარე გამოიყვანოს“. აი, სადამდე მიდის ამის დამწერი და ხელმომწერი (ერთ-ერთი ხელმომწერი რომ ბ-ნი თ. მჟავიაა, ეს თვითონ დაამტკიცა, მაგრამ ვეჭვობ ასე ვრცელი პასკვილის ერთ-ერთი ავტორი

თვითონ იყოს. ბატონი ჯემალ გამახარია ასეთი რამებისათვის, ვფიქრობ, დროს არ დაკარგავდა, ხელმოწერაზე კი რაღა გითხრათ).

მინდა, მკითხველი მენდოს და საჯაროდ განვაცხადო წიგნის ღირსებებზე, იმ წიგნზე, რომელსაც თავიდან ბოლომდე ერთადერთი ლაიტმოტივი გასდევს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის გზების ძიება, დევნილთა დაბრუნება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ეთნიკური პოლარიზაციის მოხსნა, ტერიტორიების დეოკუპაცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტების... რეაბილიტაცია და განვითრება.

არავის ეგონოს, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. ბატონი ნაპოს მიერ შემოთავაზებული და განხორციელების ფაზაშიც კი იყო მრავალი პროექტი სამედიცინო ცენტრების, ვაჭრობის თუ სხვა კონკრეტულ საკითხებზე.

რაც შეეხება, თუ რომელი მხარეა (ქართული თუ აფხაზური) უფრო დამნაშავე, დაკვირვებულ მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს სწორი დასკვნების გაკეთება. წიგნის ავტორს ფრთიან ანგელოზად არც ერთი მხარე არ ჰყავს გამოყვანილი. სჯობს აქვე ითქვას: ბ-ნი გ. ლომინაძე და თ. ნადარეიშვილი აფხაზებს არ წყალობდნენ (არც აფხაზები წყალობდნენ მათ). ეს რომ არა, ტანკები საჭირო არ გახდებოდა. ეს იცის ხალხმა.

„ინფორმაციის“ ავტორები ბ-ნ ნაპო მესხიას წარმოგვიდგენენ, როგორც მონსტრს, რომლის უმთავრეს მიზანს მართვის სადავეების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა და არა შექმნილი დაძაბული სიტუაციისა და ეთნოდაპირისპირების განმუხტვა. ის, თურმე „„... ავანტიურისტებს, აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებს აფარებს ხელს... დამნაშავედ გამოყავს ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო... “ და იქვე, - „... თითქოს სოხუმის მოქმედი ეროვნული ერთი-

ანობის საბჭო წარმოადგენდა... “ იმ ორგანიზმს, რომელსაც „... უდევს ლომის წილი აფხაზეთის ტრაგედიაში“. აი, თურმე ბ-ნი ნაპოს სახით ვისთან გვქონია საქმე. საწყენია, როცა ასეთ პასკვილს უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე აწერს ხელს. ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდის“ წყალობით მოსული კაცი (ბატონი თემური) სოხუმში მოქმედ ეროვნულ საბჭოს გამაერთიანებელ ისტორიულ როლზე რომ საუბრობდეს, საეჭვო მინიშნებებს იწვევს მის კეთილსინდისიერებაზე.

კარგად მახსოვს, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ცალკეული წევრები, თუ როგორ დასდევდნენ ცეცხლითა და მახვილით ეროვნული მოძრაობის („ჰელსინკის კავშირი“, „სახალხო ფრონტი“ და სხვ.) აქტივისტებს, ისინი არაერთხელ აგვდევნებიან ქუჩაში, სახლებშიაც კი გვივარდებოდნენ. მეც მათ მიზანში ვიყავი აყვანილი. ეროვნული ერთიანობის საბჭო „მხედრიონის“ და პირადად ჯაბა იოსელიანის (სახელმწიფო საბჭოთან ერთად) დასაყრდენი და მისი კურსის გამტარებელი იყო აფხაზეთში. რეცენზენტები ერთი და იგივე საკითხების გარშემო ტრიალებენ. საგულდაგულოდ ტკეპნიან ნიადაგს იმისათვის, რომ სიმართლე მიჩქმალონ, ხოლო წიგნის ავტორი გამოუსწორებელ ცილისმწამებლად და უვიცად გამოაცხადონ. ანდა ავიღოთ შემდეგი მორიგი ბრალდება იმის შესახებ, რომ ბ-ნი ნ. მესხია „... თაფლში ამოვლებულ სიტყვებს უშურველად იმეტებს აფხაზი კოლეგების განსადიდებლად“. ამ ინფორმაციის ავტორებს, ალბათ, გამორჩათ შავით თეთრზე ნაწერი შემდეგი სიტყვები - „კონფრონტაციის თავი და თავი, იმთავითვე იყო აფხაზთა ანტიქართული განწყობა, ეს აქსიომაა და მტკიცებას არ მოითხოვს (გვ. 19). პატივცემულო ინფორმატორო, განა ეს თაფლში ამოვლებული სიტყვებია.

ინფორმატორები შიგა და შიგ ეროვნულ მოძრაობის ძალებსაც უტევენ და აქაც ბ-ნი ნაპო მესხიას დანაშაულის კვალს ეძებენ. ისინი ნიშნის მოგებით კითხულობენ: „ჩატარებულა კი ოდესმე აფხაზეთში (თუნდაც მის ფარგლებს გარეთ)

ანტიაფხაზური მიტინგი... „ანტიაფხაზურს ვერ გავიხსენებთ, თუმცა, როგორ გაიხსენებ, როცა ასეთი რამ ცხადში არ ყოფილა“. ეს, მე ვიტყოდი, სულში ჩაფურთხებაა და მეტი არაფერი! ნუთუ ამ სტრიქონების დამწერმა (ასევე, ხელმომწერმა!) ერთხელ მაინც არ შენიშნა ის მრავალათასიანი მიტინგები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში 112 დღის განმავლობაში რომ ტარდებოდა. როგორ, განა ეს არ იყო ანტიაფხაზური მიტინგები. მომიტინგეებზე მუქარა- მუქარაზე მოდიოდა (როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხრიდან). ამიტომაც დავტოვეთ საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია და მეტი დაცულობის თვალსაზრისით სოხუმის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავინაცვლეთ. ნუთუ ის უღმერთო, ვინც ამას წერს, სანთლის ასანთებად ეკლესიაში ერთხელაც არ მოსულა. ჩვენ მიტინგებს ვმართავდით აფხაზეთის გარეთაც. რად ღირს თუნდაც „სოხუმი - მოსკოვი - სოხუმის“ რეისის თვითმფრინავის ვნუკოვოს აეროდრომზე ჩემი ჯგუფის მიერ შტურმით აღება და მასთან დაკავშირებული პერიპეტიები! როგორ, მიტინგებზე, მანიფესტაციებსა და სხვა აქციებზე (შიმშილობის აქციები) ჩვენ რა, აფხაზი სეპარატისტების ქება-დიდებით ვიყავით გართულნი. სახელდახელოდ აღვნიშნავ: ეს იყო ანტიაფხაზური და არაანტიქართული, ამავე დროს სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების მამხილებელი მიტინგები. გრცხვენოდეთ მაინც, ამას რომ წერთ, მით უმეტეს, ხელს რომ აწერთ! მე ისიც მახსოვს, ამ მიტინგებსა და საპროტესტო სხვა აქციებში ბატონი ნ. მგალობლიშვილი და არც ბ-ნი თ. მჟავია ერთხელაც არ მინახავს მოსული.

რაც შეეხება „... მთავრობის სახლთან, ცენტრალურ მოედანზე... “ ჩატარებულ „ანტიაფხაზურ“ მიტინგს (მე ის ანტიაფხაზურ მიტინგად არ მიმაჩნია, ის იყო ანტისამშვიდობო მიტინგი, ზ. კ.), აღვნიშნავ: კარგად მახსოვს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს შტაბში მოვიდა ბ-ნი გივი ლომინაძე და გვთხოვა, მიტინგი ერთად ჩაგვეტარებინა. ჩვენ ბატონი გივი ჩვენს მიტინგზე მივიპატიჟეთ. ეს მან არ ისურვა და გაწ-

ბილებულმა უმალ დაგვტოვა. ორი მიტინგი, ორი პოზიცია, - ასე შეაფასა მასმედიამ ჩვენი და ეროვნული ერთიანობის საბჭოს პოზიციები. უხეშად რომ ვთქვათ, ბ-ნ გივი ლომინაძის მიტინგზე 1000-მდე კაცი თუ იქნებოდა, ჩვენთან, როცა მიტინგი ტარდებოდა, ყველაზე ცოტა 10 ათასი კაცი მაინც იყრიდა თავს. უფრო ხშირად კი - 20-30 ათასი კაცი.

„ჩვენ მაინც გაიძულებთ ქართველებს, პირველებმა გვესროლოთ ჩვენ, აფხაზებს“, ბ-ნ ნ. მესხიას თავის წიგნში მოჰყავს რა ვ. არძინბას ეს სიტყვები, წერს: „ჩვენ კი ჭკუა არ გვეყო და ვესროლეთ კიდევაც“ (გვ. 25). ამიტომაც არ ერიდება ბ-ნი ნაპო უფრო მკაცრ შეფასებასაც: „... აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედნი ჩვენ, ქართველები ვართ“.

ინფორმატორები თანდათან ექსტაზში შედიან, წიგნის ავტორს ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებენ და თქვენ წარმოიდგინეთ იგი „... რუსულ მონობას დანატრებული ადამიანი... “ ყოფილა. ამ კონტექსტში საერთაშორისო რეზონანსის მქონე „ფაქტებიც“ არის მოშველიებული. გვიშველეთ, იგი ნატოში საქართველოს გაწევრების წინააღმდეგიაო. ნუთუ მათ არ იციან ის, რომ ტერიტორიულად დაქუცმაცებულ, ნახევრად ანექსირებულ საქართველოს ნატოში არავინ და არასოდეს არ მიიღებს.! თავიანთი ჭკუით, ხმა ამერიკასაც (აშშ) მიაწვდინეს, - არიქა, ბ-ნ ნაპოს თქვენი საგარეო პოლიტიკა არ მოსწონს და რაიმე იღონეთო!

ინფორმატორები საოცარ „აღმოჩენებსაც“ აკეთებენ. იმ სახით, რა სახითაც წარმოგვიდგენს ბატონი ნაპო კოლხურ-მეგრულ თემატიკას, წერენ ისინი - „... უფრო მეგრული სეპარატიზმის (რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ჩემი ღრმა რწმენით არც არასოდეს იარსებებას) წახალისებაა... “ მინდოდა მეთქვა, წერენ ისინი, მაგრამ ხელში მარტო ერთი ავტორი შემრჩა. მიაქციეთ ყურადღება ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს, - „... ჩემი ღრმა რწმენით... “

თავიდანვე ცხადი იყო, ეს პასკვილი არც თ. მჟავიას და არც ჯ. გამახარიას მიერ არაა დაწერილი. მჯღაბნელი სადღაც

კულუარებში ზის და მავანთა დავალებას ასრულებს.

ინფორმატორის (უკვე მხოლობით რიცხვში) მიერ „გახსნილია“ არა ერთი და ორი „ტრაგი-კომიკური ფარსი“, რომელიც, თურმე, ბ-ნ ნაპოს „შეუპარებია“ თავის წიგნში. ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, რამეთუ ეს „ინფორმაცია“ სავსეა მსგავსი, თანაც არაფრისმთქმელი წვრილმანებით. თუმცა, ინფორმატორი ამ წვრილმანებით თვით მიდის ტრაგიკომიკურ დასკვნამდე. ყველა სიკეთესთან ერთად, ნუ იტყვით და ბ-ნი ნაპო მზაკვარიც ყოფილა, დამნაშავეც და მოღალატეც, თანაც განდიდების მანიით შეპყრობილი. მოკლედ, საშიში ადამიანი.

ვიტოვებ უფლებას, მივმართო ბ-ნ ნაპო მესხიას მიმართ ამ ცილისმწამებლური, მართლაც ღირსების შემლახველი დადგენილებისა და ინფორმაციის ინიციატორებს, - გეყოფათ! ნუ მანიპულირებთ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით. თუ ბატონი ნაპო მესხია „..განიცდის სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს... “, მაშინ რა უნდა ვთქვა თქვენზე, ალბათ, ის, რომ თქვენ სინდის-ნამუსის დეფიციტს განიცდით! თქვენ გაურბიხართ სიმართლეს, ფაქტებს, რომლებიც ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ სხვისდებოდა (იყიდებოდა) აფხაზეთი. გავაგრძელოთ.!

აფხაზეთიდან დევნილთა არმიას სული-ღა გადმოყვა მხოლოდ, ზოგიერთებს - ათასები და მილიონები! გავაგრძელოთ.!

ვინ „აითვისა“ ჰუმანიტარული დახმარებები და გაჭირვებაში ჩავარდნილთა მწარე ხვედრით ხელი ვინ მოითბო.!

არავინ არ გერჩით, მოუარეთ დათრეულ გროშებს! გავაგრძელოთ.! გზას ნუ უღობავთ იმათ, ვისაც აქვს მორალური უფლება და ნდობა, ელაპარაკოს ჩვენს თანამოძმე აფხაზებს.

ინფორმატორ-რეცენზენტი ბ-ნ ნაპო მესხიას წარმოგვიდგენს, როგორც გაბოროტებულ და დაბოღმილ პიროვნებას იმის გამო, რომ ის არჩეული არ იქნა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ.

წიგნში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი ის ვირეშმაკობანი, რომლის მიზანს ბ-ნ ნაპო მესხიას კანდიდატურის

მოხსნა ან ჩაგდება წარმოადგენდა. შევახსენებ მკითხველს: წინასწარ შეთანხმებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ვ. არძინბას) და მისი მოადგილის (თ. ნადარეიშვილის), ასევე მთავრობის თავმჯდომარის (ნ. მესხიას) არჩევნები ერთ პაკეტად უნდა შემდგარიყო. მე არ ვიცი, რატომ და როგორ, მაგრამ კენჭი ეყარა მხოლოდ ვ. არძინბას და თ. ნადარეიშვილის კანდიდატურებს. ვფიქრობ, აქაც ვიღაცის ხელი ერია. მთავრობის თავმჯდომარის პოსტი ღიად დარჩა, ანუ მივიღეთ მთავრობა პრემიერის გარეშე. ეს აწყობდა ვ. არძინბას და, როგორც ირკვევა, თამაზ ნადარეიშვილსაც.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი საკმაოდ დიდხანს ელოდა თავის პატრონს, მაგრამ ამაოდ! საქმეში სახელმწიფო საბჭო და პირადად ჯაბა იოსელიანი ჩაერია. თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნდა იმაში, რომ თუ კენჭისყრაზე ბ-ნ ნაპო მესხიას კანდიდატურა დადგებოდა, კიდევაც გავიდოდა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს მას არ აწყობდა. ბატონი ნაპო მესხიასთვის ცნობილი ხდება კულუარებში მიმდინარე თამაშები და უარს ამბობს კენჭისყრაზე. შედეგად, კენჭისყრაზე ჯაბა იოსელიანის პროტეჟე ბ-ნი გივი ლომინაძის კანდიდატურა დგება. მას მხარს ფორმალურად თამაზ ნადარეიშვილი უჭერს (მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცის, ბ-ნ გივი ლომინაძის კანდიდატურა ჩავარდება). თ. ნადარეიშვილის გათვლები ზუსტი აღმოჩნდა, - ბ-ნ. ლომინაძის კანდიდატურა ჩავარდა, მაგრამ... აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად ვაჟა ზარანდია მივიღეთ.

მთავარი სათქმელი

მთავარი სათქმელი მართლაც რომ წინ გველოდება. მანამდე ორი ეპიზოდური შტრიხიც. მე მაშინ სახელმწიფო მინისტრის ბ-ნ გურამ აბსანძის ერთ-ერთ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი (2004 წ.). ცოტა მოგვიანებით კი - პრეზიდენტის სტრუქტურაში განყოფილების უფროსად (2005 წ.) კურატორი ისევ ბ-ნი გურამ აბსანძე გახლდათ. ბუნებრივია, აფხაზეთი, სახალხო დიპლომატია, ქართული დიასპორა... ჩვენი საზრუნავი სფერო გახლდათ. ვგრძნობდით, გვაკლდა ის კაცი, ვინც მეგზური იქნებოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დალაგებაში. ბ-ნმა გურამმა საკუთარი ინიციატივით სასაუბროდ ბ-ნი ნაპო მესხია მოიწვია და წინადადება მისცა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მისი თავმჯდომარის რანგში დაბრუნებულიყო. ბ-ნ ნაპოსგან თანხმობის მიღება არც ისე იოლი გამოდგა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არჩევნების დღეც დადგა. ჩვენს ჩანაფიქრს, - ერთად, უნისონში გვემუშავა აფხაზეთის პრობლემებზე, - ვიღაც ბლოკავდა. არჩევნების მიმდინარეობისას, - იგონებს ბ-ნი ნაპო, საპროგრამო გამოსვლაც კი დამთავრებული არ მქონდა, მობილურით იუსტიციის მინისტრი ბატონი ზურაბ ადეიშვილი მიკავშირდება. ის მეუბნება: „ბატონო ნაპო, ჩვენ ვიცით ვინ ხართ, რა კაცი ბრძანდებით, მაგრამ ახლა გვჭირდება მჟავია, მოხსენით თქვენი კანდიდატურა და გზა დაუთმეთ ბატონ მჟავიას. ეს ასეა საჭირო“ (გვ. 179). ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ უფლებას ვიტოვებ ბატონ თ. მჟავიას შევეკითხო, - ახლა ვის სჭირდებით, ასეთ პასკვილს ხელს რომ აწერთ.! მკითხველთა საყურადღებოდ: ბ-ნმა ნაპომ დეპუტატებს სიტყვა-სიტყვით აუწყა რა ბატონ ზურაბ ადეიშვილთან საუბრის შინაარსი, იქვე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

არც მორიგი მცდელობა გამოდგა შედეგიანი. ბატონი გურამ აბსანძე ბ-ნ ნაპოს ისევ დაუკავშირდა. შეხვედრაც შედგა. ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეობაზე იყო საუბარი. მახსოვს, ბ-ნი ნაპო რარიგ შეწუხდა, უარიც გვითხრა, მაგრამ ჩვენ არ ვეშვებოდით. სამწუხაროდ, ისევ გამოჩნდნენ „უჩინმაჩინიანი“ პირები და ეს ჩანაფიქრიც განწირული აღმოჩნდა.

ეს ის ფაქტებია, რომლებიც გადამოწმებასაც კი არ ექვემდებარებიან, რამეთუ ამ მოვლენების მონაწილე აქტიორები, აწ განსვენებული თამაზ ნადარეიშვილის გარდა, ადგილზე

არიან და ვიცი, მაინცდამაინც არც მეხსიერებას უჩივიან.

დაბოღმილი და გაბოროტებულია, - წერს ინკოგნიტო ინ-ფორმატორი და ნუ იტყვით, „... საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ამავე დროს განაწყენებული და ჩასაფრებულიც“ ყოფილა. ნეტავ, ბ-ნი ნაპო ვის ჩაუსაფრდა.! იქნებ პირიქით კი იყო ჩასაფრების მომენტები და ისიც არაერთხელ.

ბ-ნი ნაპო მესხია ბრძოლის ველიდან არასოდეს გაქცეულა, - არც აფხაზეთში და არც სხვაგან, მაშინაც კი, როდესაც ის დასახვრეტად გაჰყავდათ. მან კოლოსალური სამუშაოს შესრულება შეძლო.

მივმართავ მის, მართლაც და დაბოღმილ, ოპონენტებს: ერთ მხარეზე ჩამოწერეთ ის, რაც ბ-ნ ნაპოს გაუკეთებია (მხოლოდ ის ფაქტები, რომლებშიც თქვენ ეჭვი არ გეპარებათ) და მეორე მხარეზე ის, რაც თქვენ, ყველას ერთად გიკეთებიათ. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სასწორის პინა ბ-ნ ნაპო მესხიას მხარეს ჩამოწვება და გააკეთებდა გაცილებით მეტს, რომ ჰქონოდა მხარდაჭერა და არა ხელისშეშლა. სწორად გამიგოს ბ-ნმა ჯემალ გამახარიამ, - ეს მას და უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ დეპუტატს არ ეხება. ბ-ნმა ჯემალმა თავისი მეცნიერული კვლევებით ბევრ ისტორიულ მოვლენას ნათელი მოჰფინა და ეს ფრიად დასაფასებელია. მაგრამ, ამასთან ერთად, ბევრ ჩვენს საერთო მეგობარს უკმარისობის განცდაც აწუხებს. კერძოდ ის, რომ ამ სათაკილო თამაშებში ის არ უნდა ჩარეულიყო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, თუ მას ესწრებოდა, თავის პოზიცია დაეფიქსირებინა.

ისტორიული მეხსიერება არ კვდება. ის თაობიდან თაობაზე გადადის და ხალხში ცოცხლობს. მით უმეტს, - ორი ათეული წლის წინათ მომხდარი მოვლენები დღეს უფრო ნათლად არის წარმოჩენილი, მათი შეფასებაც უფრო მეტ ობიექტურ ხასიათს იძენს. სამწუხაროდ, ამას ვერ იტყვი ინ-ფორმატორ-გრაფომანზე, რომელსაც ბატონ ე. შევარდნაძის შემდეგი სიტყვები ავიწყდება(.!): „რომ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ (გვ. 328), ან

კიდევ: „პირველი პრეზიდენტის დროს ქართველების შეჭრა სამხრეთ ოსეთში ავანტიურისტული ნაბიჯი იყო. ოსებს ბოდიში მოვუხადე იმ შეჭრისათვის, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და სისხლი არ უნდა დაღვრილიყო“ (გვ. 324). გამაგებინეთ მაინც, - ამ მჯღაბნელისათვის ე. შევარდნაძის ეს ბოდიშები თუ მისაღებია, აფხაზებმა რა დააშავეს ისეთი. იმავე ინტერვიუში „მეორე“ ე. შევარდნაძე თვალებში პირდაპირ ნაცარს გვაყრის: „ბოდიშის მოხდა რომ შველოდეს საქმეს და აფხაზეთი დაბრუნდებოდეს, სამებაში ან სადაც არ უნდა იყოს, მივიდოდი და ბოდიშს 100-ჯერ მოვითხოვდი“ (გვ. 325).

ბოდიშის მოხდა თვითმიზანი და ყველა ტკივილის მომხსნელი პანაცეა არ არის, მაგრამ სიმართლის თქმა და შეცდომების (დანაშაულის) აღიარება სახალხო დიპლომატიაში აუცილებელი შემადგენელია. ხალხთა შორის შერიგების სხვა, უფრო შედეგიანი რამ ბუნებაში არ არსებობს. მხოლოდ ამით არის განპირობებული ბ-ნ ნაპო მესხიას აფხაზებისადმი მიმართვით ნათქვამი სიტყვები: „... აღვივსოთ ვაჟკაცობით და ყველას გასაგონად წარმოვთქვათ: დამნაშავეები ვართ, გვაპატიეთ ხალხო, ვინანიებთ!!!“

ნუ ავჩქარდებით, ნაუცბათევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ და ამ სიტყვების ავტორს ღალატში ნუ ვდებთ ბრალს.

ვინც ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და რუსეთის იმპერიული ზრახვების ისტორიას იცნობს, დამეთანხმება, რომ აფხაზეთის ტრაგედიას რუსეთი სულ ცოტა 250 წ. მანძილზე ამზადებდა. ფაქტებს არ ჩამოვთვლი. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთს არა თბილისი, არამედ მოსკოვი მართავდა. ამდენად, ვერც ისტორიულ და ვერც ახლო წარსულში ჩვენ, ქართველებმა, აფხაზეთს ვერ ვუპატრონეთ. უფრო მეტიც, - „... აფხაზეთის ტრაგედიის სცენარი სხვაგან შორს, საგულდაგულოდ მზადდებოდა. ჩვენ მხოლოდ უზადოდ შევასრულეთ რეჟისორის ჩანაფიქრი“ (გვ. 24). შეუძლებელია ბ-ნ ნაპოს ამ სიტყვებს არ დაეთანხმო.

გვერდს ვერ ავუვლი, ინფორმატორის აზრით, მორიგ „მძი-

მე“ ბრალდებასაც. ბ-ნი ნაპო წერს. „... როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო „ქართული“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე-15 საუკუნის შუაგულში“ (გვ. 23):

არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოს სამათასწლოვანი ისტორია და კულტურა გააჩნია. ეს ბ-ნმა ნაპომ კარგად იცის, მაგრამ იცის ისიც, თუ რამდენჯერ განიცადა საქართველომ ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცება. მეორეც, საქართველოს ისტორია გაუგონარი დოზით არის დამახინჯებული. ეს ამონარიდიც ამ დამახინჯებათა ანარეკლია და გონიერმა მკითხველმა საპირწონედ არ უნდა გამოიყენოს ბ-ნ ნაპო მესხიას მოღვაწეობის გასამუქებლად. დროა, ჩირქცხებას მოვეშვათ! დასკვნით ნაწილში ბრალმდებლის როლში მყოფი ინფორმატორი ბ-ნ ნ. მესხიას მოღვაწეობას აფასებს, როგორც „... ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, რომელიც შეუნიღბავად უპირისპირდება ქართულ სახელმწიფოს“. მისივე მტკიცებით „... წიგნში ნათქვამი ზოგიერთი სიმართლეც კი (მაგალითად ე. შევარდნაძის შეფასებები და ა. შ.), როგორც წესი, ანტიქართულ სამოსელშია გახვეული“. ე. შევარდნაძე წერილში, „თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №186, 3 ოქტომბერი, 2008 წ.), რომელიც ბატონ ნ. მესხიას წერილის პასუხს წარმოადგენს, ვკითხულობთ: „ბატონ ჯაბას (ჯაბა იოსელიანი, ზ.კ.) პატრიოტიზმში (რომელიც თავის მოგონებებში ბევრ არასასიამოვნო რამეს ლაპარაკობს ჩემზე) არასოდეს ეჭვი არ შემპარვია“. ახლა ბატონ ედუარდს შევეკითხოთ: მას ზვიად გამსახურდიას პატრიოტიზმში როდის შეეპარა ეჭვი. ანალოგიური კითხვით მივმართავ აფხაზეთის აჰრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მის მიერ დაქირავებულ ინფორმატორს: ბატონებო, ნაპო მესხიას პატრიოტიზმში როდის შეგეპარათ ეჭვი.

ახლა კი დაპირებულ მთავარ საქმეზე ვისაუბროთ

წიგნი გამოცემულია 2009 წ. აფხაზეთის აჰრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 2012 წ. 29 სექტემბრით არის დათარიღებული, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე, ხოლო გამოქვეყნდა თანდართულ პასკვილთან ერთად 2013 წ. 15 იანვარს. რატომ ასე დაგვიანებით. საოცარი შუალედები და დამთხვევებია.

საკითხავია, რა „მექანიზმის“ ამუშავებას ცდილობენ დღევანდელი მობოლშევიკო ამხანაგები. ხომ არ ჩქარობენ.

ადვილი მისახვედრია, - ეს არის ზემოდან დაკვეთით მიღებული დადგენილება, მაგრამ შემსრულებლებმაც კარგად იზრუნეს იმისათვის, რომ ხელიდან არ გაეშვათ ფაქტებით შეიარაღებული ოპონენტის ჩაჩუმების ხელსაყრელი მომენტი. ეს ერთი.

მეორე. ეტყობა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და დეპუტატთა გარკვევეული ნაწილი ქვეყნის მთავარი მატყუარა - თაღლითის, ვადაგასული პრეზიდენტის, იუდუშკა სააკაშვილის ილუზორული გეგმების ტყვეობაში არიან, - ფიქრობენ, ნაცმოძრაობა ვაითუ ისევ უმრავლესობაში მოვიდესო.!

მესამე. ეს არის მოსალოდნელი მხილებისაგან თავდაცვის მიზნით წინასწარ შეთითხნილი „კონტრბრალდებების“ ილუსტრირება. ორი რა არის, ერთდროულად სამი კურდღლის დაჭერაზე ფიქრობენ.

მაგრამ ამაოდ! მატარებელი დაიძრა, ვადაგასული პრეზიდენტი ახლა უკანა ვაგონში ზის და იმაზე ფიქრობს, ელმავალი აღმართს რომ შეუდგება, იქნებ სიჩქარემ იკლოს და ისე გადმოხტეს, რომ რამე არ მოიტეხოს. ძნელი სათქმელია, იგი როგორ „ნახტომს“ გააკეთებს.

ამ ნახევრად ლირიკული გადახვევა-განტვირთვის შემდეგ უფლება არ მაქვს, გადაუდებელ ამოცანებზე არ ვისაუბროთ.

1. დღეს, როგორც არასდროს, გვეძლევა უცილობელი შანსი, უახლოეს პერსპექტივაში დაიწყოს და წარმატებით გან-

ვითარდეს აფხაზთა და ქართველთა (თანაბრად, - ოსთა და ქართველთა) შერიგების პროცესი.

2. განსახილველად მიღებული უნდა იქნეს ყველა ინიციატივა, - კერძო თუ კოლექტიური, მათ შორის ის პროექტები და წინადადებები, რომლებიც ბ-ნ მესხიას წიგნშია წარმოდგენილი.

3. დევნილთა ყრილობის მოწვევის მიზნით შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა (რომლის წევრიც მე ვარ) კონსულტაციები იქონიოს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და აფხაზეთის აჰრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დაწყებისა და ამ პროცესში ბ-ნ ნაპო მესხიას მონაწილეობის შესახებ.

წერილი დასაბეჭდად გამზადებული მქონდა, როდესაც დევნილთა ყრილობის მოსამზადებელ შეხვედრაზე ბ-ნ ნაპო მესხიას სიტყვებს ვისმენდი იმის თაობაზე, რომ საჭიროა გავერთიანდეთ შერიგების იდეის გარშემო. ჩვენ ვაკეთებთ ერთ საქმეს და ერთად უნდა ვიმოქმედოთ. მისმა შეგონებამ ერთი შესანიშნავი სიმღერა გამახსენა, რომელიც ასე იწყება: „ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია... “ დაილოცოს დედის ნანასავით ტკბილი ქართული ხალხური (ასევე აფხაზური და ოსური) სიმღერები. ქართველ კაცს ვაზი და სიმღერა შველოდა. ახლაც ასეა.

ქართველებო და აფხაზებო! მოდით, ენგურის ხიდისთავს ერთად მივაშუროთ, - პირობა შევკრათ, ჩვენი ისტორიული ძმობა განვაახლოთ, შევრიგდეთ და ერთმანეთს კი არ მივუხტეთ, არამედ ერთად აღვადგინოთ ჩვენი საერთო სახლი! ხიდი და ხიდისთავი, ცხინვალის მიმართულებითაც მოიძებნება, - დროს ნუ ვკარგავთ!

ზაურ კვარაცხელია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

P.S.

დევნილთა ყრილობის მომწყობი საინიციატივო ჯგუფი ზაურ ბედია (ჯგუფის ხელმძღვანელი, ქ. სოხუმი), როლანდ კაკულია, სოხუმი, მერაბ ჯიქია, - ქ. გაგრა, თემურ გოგოხია, ქ. გაგრა, ზაურ ჯიქია, ოჩამჩირის რ-ნი; რეზო ქობალია, ოჩამჩირის რ-ნი; დიმიტრი ომანაძე, სოხუმის რ-ნი; ნიკოლოზ ზარანდია, სოხუმის რ-ნი; ლორა გადელია, გულრიფშის რ-ნი; მიშა ჭანტურია, გალის რ-ნი; ალეკო ლაგვილავა, ქ. სოხუმი; რობერტ მამისაშვილი ქ. ცხინვალი. გულნაზ გულუა, გალის რ-ნი, გაეცნო რა ბ-ნ ზაურ კვარაცხელიას ჯერ გამოუქვეყნებელ წერილს, - „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი!“ - იწონებს მას და მხარს უჭერს იმ საქმიან წინადადებას, რომლებიც მან განსახილველად შემოგვთავაზა. ვიმედოვნებთ, ჩვენი ინიციატივა, აზრთა გაზიარების მიზნით შევხვდეთ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რეაგირების გარეშე არ დარჩება.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2013-02-09

ამჯერად რაისა, არა მაქსიმუტოვნა - უბრალოდ რაისა

(აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქ-ნ რაისა ქარაიას ერთი უღირსი პუბლიკაციის კვალ და კვალ)

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ რაისა მაქსიმოვნა (მაქსიმუტოვნა) – გორბაჩოვა ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ძალიან სურდა, აფხაზეთი უქართველებოდ ენახა. უფალი არ გაგვწირავს და მისი „ზმანება“, ჩვენც თუ არ მოვინდომეთ, რეალობად არ უნდა იქცეს! ნებისმიერი დაპირისპირება, რომელიც პიარტყუილების პირდაპირი შედეგია, სწორედ რომ რაისას წისფქვილზე ასხამს წყალს.

წესით, საპასუხო წერილი, კომენტარი თუ განცხადება იმ ბეჭდვით ორგანოში (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“) უნდა გამომექვეყნებინა, რომელშიც საპოლემიკო მასალა დაიბეჭდა. მაგრამ აღნიშნულმა გაზეთმა ჩემი ერთ-ერთი, ინფორმაციულ-პოლიტიკური ხასიათის წერილი ისე შეკრიჭა, რომ მე თვითონ ვერ დავადგინე, რისი თქმა მსურდა. ამიტომ გადავწყვიტე, ქალბატონ რაისას მოკლე პასუხი სხვა გაზეთიდან გავცე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია, რაში სჭირდება მას აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების შიდა სამზარეულოში ესოდენ გამუდმებით ხელის გასვრა? ეს სამზარეულო, არც ისე იშვიათად, შხამიან საკვებს (თუ საკენკს) გვიმზადებს. აქ მოყუჩებულ ზოგიერთ „მზარეულს“ ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე-დევნილი ადამიანად არ მიაჩნია და იცით, რატომ? 20 წელიწადია ტრიალებს აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების მოჯადოებული კარუსელი - ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდომა-გადახტომა. ზედა ეშელონები „სკუპ-სკუპის“ პროცესში იქმნება და ისიც დროებით. მეკარუსელეები ისევ

ძველ პოზიციებს უბრუნდებიან. დეპუტატობა და მთავრობის რიგითი წევრობა მათთვის აქ გარანტირებულია.

ყველას ვეკითხები: საქართველოს ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფ ხალხს (ზოგიერთებს კარგად გამართული ბიზნესიც გააჩნიათ...) ძალუძთ კი „გაზაფხულის“ მოყვანა?

ამა წლის 19 სექტემბრს, ისევ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში~ (№179), დაიბეჭდა მორიგი პასკვილი - ამჯერად ქ-ნ რაისა ქარაიას **„ღია წერილი ბატონ ნაპო მესხიას“**, რომლის შესავალ ნაწილში მეც ვარ ნახსენები.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი თავი ვალდებულად ჩავთვალე, ნათელი მომეფინა ზოგიერთი საკითხისათვის. კერძოდ, მემხილა ქ-ნ რაისა სად იტყუებს თავს და სად ატყუებს მკითხველს.

ქალბატონ რაისას თავიდანვე ვეტყვი, - მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი. იმ წერილით ისე გაიშიშვლეთ თავი, რომ შორიდანაც ჩანს ის ჭუჭყიანი სამოსი, რომელშიაც ყოფილხართ გახვეული. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი ამ სიტყვებისათვის, ვიმედოვნებ, სწორად გამიგებენ.

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს სტრიქონ-სტრიქონ მივსდიო მის „შემოქმედებას“, აღვნიშნავ მხოლოდ პრინციპულ მომენტებს, რომლებიც მას უნდა სცოდნოდა.

პირველი: ვლადისლავ არძინბამ, - წერს ქ-ნი რაისა, - ჩვენთან საუბარში ... იღებდა **„კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ კატეგორიულად წინააღმდეგი იყო“..** აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ბ-ნ ნაპო მესხიას კანდიდატურის დაყენებისა. ქალბატონო რაისა, თუნდაც შემდგომი მოვლენების გათვალისწინებით, ნუთუ დღეს მაინც ვერ ხვდებით, რატომ? როგორ, ვ. არძინბა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, თუ სხვა რამ აწუხებდა? (თქვენი სიტყვებით ის **... „უფრო მიზანშეწონილად თვლიდა“..** ნაპო მესხიას პროფესიული საქმიანობა გაეგრძელებინა). ამ კითხვებზე პასუხი სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების პოლიტიკური

არჩევანის პირველივე გვერდებიდან იკითხება. კერძოდ, - ვ. არძინბას არ აწყობდა ქართულ დეპუტაციას მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ისეთი პიროვნება დაესახელებინა, რომელიც კენჭისყრისას უცილობლად საჭირო ხმებს მიიღებდა. ასეთი იყო სწორედ ბ-ნი ნაპო, - ერთადერთი სხვებთან შედარებით. ვ. არძინბას აწყობდა **„ის“** რომელიც შემდგომი მანევრირების საშუალებას მისცემდა. თუ მართლა ამნეზია არ გჭირთ, გაიხსენეთ, შემდგომში მოვლენები როგორ განვითარდა.

მეორე: თქვენს „ღია წერილში“, ქალბატონო რაისა, ბევრ უხერხულობებსა და მოგონილ ამბებსაც წავაწყდი (ალბათ, ბ-ნი ნაპო გაგცემთ ამაზე პასუხს). რაში დაგჭირდათ, ან ვის სასარგებლოდ სტყუით ასე მწარედ?. თქვენ აქ ბ-ნ თემურ მჟავიაზეც საუბრობთ. მისი წინასაპრეზიდენტო კამპანია ხომ არ გაქვთ წამოწყებული? მართალი გითხრათ, იმათ მაგივრად მრცხვენია, ვინც ასე აუბრალოებს საქართველოს პრეზიდენტობას. კაცმა რომ თქვას, როლები კარგად გაქვთ განაწილებული, - საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მომავალი პრემიერი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც თქვენი წრიდან გყავთ შერჩეული. ეს არის, ალბათ, წინასაარჩევნოდ (როგორც შარშან) თქვენი გამოჩენის ძირითადი მოტივი, თორემ სხვა დროს არ ყოფილხართ ასე აქტიური...

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, ბ-ნი თემური ისეა აფხაზეთის წარმომადგენელი, როგორც მე – იაპონიის იმპერატორისა. დავაკონკრეტებ: ის არის ერთობლივად მამუკა გიორგაძისა და ნაცმოძრაობის (ნეობოლშევიკების) წარმომადგენელი (პროექტი).

დამატებით იმასაც გეტყვით, რომ არამარტო თქვენ და თქვენი ამფსონები, არამედ ბევრად მეტიც, ჯერ კიდევ ილუზიებისა და წინა ხელისუფლების გავლენის, მათი პიარტყუილების ტყვეობაშია. არჩევნების შედეგებში დაინახავთ ამას!...

და კიდევ ერთი, - ბ-ნ ნაპოს საყვედურობთ, - მიცვალებულებს იმოწმებსო. კი მაგრამ, თქვენ ვის იმოწმებთ ქ-ნო რაისა? თენგიზ სიგუას? და ამას არ თაკილობთ?! ამის შემდეგ, ბ-ნ ნაპოს არ დაუჯეროთ, - აქაოდა ცრუობსო და თქვენ დაგიჯეროთ? პატივცემულო დედაკაცო? კი მაგრამ, არ გრცხვენიათ?! რამ დაგიკარგათ მოქალაქეობრივი სინდის-ნამუსი? დარწმუნებული ვარ, ჯაბა იოსელიანს, ცოცხალი რომ იყოს, თენგიზ სიგუასავით გვერდში ამოიყენებდით. იქნებ არ იცით, ვისი პროტეჟე იყო იგი?

რაც შეეხება ბატონ ნაპო მესხიას, ის ერთადერთია თქვენს შორის, რომელსაც, თავისი კეთილდღეობა და ამბიციები არ დაუყენებია წინა პლანზე - ხალხისა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. იგი არასოდეს წასულა საკუთარ სინდისთან კომპრომისებზე. უცხოვრია და დღენიადაგ უღვაწია ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ხალხმა იცის ეს და ამიტომ ენდობა მას.

როგორც წინა პუბლიკაციაში („ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, საქართველოს რესპუბლიკა, 2013 წ. 9 თებერვალი, №25) გირჩიეთ და აქაც შეგახსენებთ: **„ერთ მხარეზე ჩამოწერეთ ის, რაც ბატონ ნაპოს გაუკეთებია ზოგადად, მათ შორის აფხაზეთშიც (მხოლოდ ის ფაქტები, რომლებშიც თქვენ ეჭვი არ გეპარებათ) და მეორე მხარეზე ის, რაც თქვენ, ყველას ერთად გიკეთებიათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სასწორის პინა ბატონ მესხიას მხარეს ჩამოწვება და გააკეთებდა გაცილებით მეტს, რომ ჰქონოდა მხარდაჭერა და არა ხელშეშლა“** - ეს თქვენც იცით კარგად. საზოგადოებას არასოდეს შეჰპარვია ეჭვი მისი პოზიციის სისწორეში და მის გულრწფელობაში. ის ყოველთვის ამბობდა და დღესაც ამბობს მხოლოდ სიმართლეს და სწორედ ამიტომ სჯერა ხალხს მისი.

მკრეხელობაა (უფრო მსუბუქად ვერც ვიტყვი), თქვენ რომ მას **„განდიდების სურვილით გაბრუებულს“, „ანტისა-**

ხელმწიფოებრივად შემომქმედს“, „სეპარატიზმის გამღვივებელს“ უწოდებდეთ. ვინ ვინ და თქვენ სხვაზე რა გაქვთ საქილიკო.

რამდენიც არ უნდა შეეცადოთ და აფრქვიოთ სიბინძურე, ბატონი ნაპო მესხიას ღირსებას არაფერი დააკლდება!

სიტყვა გამიგრძელდა. დროა მიხედოთ საკუთარ თავს. რა ფერუმარილიც არ უნდა წაიცხოთ სახეზე, საკუთარ ჭუჭყს მაინც ვერ გადაგიფარავთ.

ზაურ კვარაცხელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
10 ოქტომბერი 2013 წელი

რედაქციისაგან: ბატონ ნაპო მესხიას პასუხს მკითხველი იხილავს ჩვენს გაზეთში მისი მიმდინარე პუბლიკაციის დამთავრებისთანავე.

გაზ. „ილორი“ N 243, 2013 წ.

„ჰერიო, ბიჭებო“...

კიდევ ერთხელ ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“

სულით ხორცამდე შემძრა მედროვეთა ძარღვგაწყვეტილმა ენამრუშობამ, რომელიც აგორდა ბატონ ნაპო მესხიას წიგნზე **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი[1]“.** მათი ისტერიული ღავღავი, რომელიც გასული წლის ოქტომბრის არჩევნებს აედევნა, ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ისევე როგორც ძალადობრივი წარსულის ყველა ატრიბუტი, არსით და საქმით ქონდრისკაცთა მცირე გუნდი სიბინძურეს ანთხევდა იქაც კი, სადაც ამის დაშვება „ვაშინერს“.

როგორც ამ წიგნის რედაქტორი, პასუხისმგებლობას ვგრძნობ და, ცხადია, ჩემთვის არც ის არის სულ ერთი, ვის დაკვეთას აჰყვა დოლისა და ზურნის ეგზომ გულისწამღები „ხმაშეწყობა“.

ჯერ კიდევ წიგნის ხელნაწერში გაცნობისას ვხვდებოდი, რომ ავტორს ეკლის გვირგვინი არ ასცდებოდა ჩვენი დროის სწორუპოვარი მუხთლობის, უგუნურების, ძმათა დაპირისპირების შემომქმედთათვის ნიღბის ჩამოხსნისა და აფხაზეთის ტრაგედიის გენეზისის აღწერის გამო. აკი რედაქტორის წანათქმაში განვჭვრიტე კიდეც: **„ამ წიგნზე დიდხანს ისაუბრებენ - აღტაცებით (ვისაც სიმართლის მოსმენა ძალუძს), აღშფოთებით (ვისაც შეეხნენ და ამხილეს), გაოცებით (ვისაც ავტორის გამბედაობა გააკვირვებს), ოპტიმიზმით (ვინც კი მშობლიური კერიისკენ მიბრუნების იოტისოდენა პერსპექტივას დაიმგზავრებს თან). ილაპარაკებენ ყველგან (ქუჩაში, მანქანაში, შეხვედრებსა და დაკრძალვებზე), ყველა ბრუნვაში და ფორმაში, რადგან შეუძლებელია გულში გამოკეტო ემოცია ასე პირუთვნელად გამომზეურებული უკუღმართობის მიმართ“.**

ასეც მოხდა - წიგნს გვიან, მაგრამ მაინც მოჰყვა „აურზა-

1 „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ - ასე ჰქვია ნაპო მესხიას წიგნს და არა „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“

ური სალხინეთში“. იგი მართლაც შესანიშნავი ლუსტრატორი გამოდგა: ბევრმა აფხაზეთის ტრაგედიაში საკუთარი როლი ამოიცნო, სხვებმა კი, აქამდე უცნობ დეტალებთან ერთად, „ომის პარტიის“ ნამდვილი სახეები იხილეს, გაიგეს სიმართლე - მწარე, გაშიშვლებული, ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

წიგნზე არათუ ქუჩაში, მანქანაში, შეხვედრებსა თუ დაკრძალვებზე, აწ უკვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოშიც ალაპარაკდნენ (აყაყანდნენ) ორსახა და გენეტიკური ლაქიები. მისი ავტორი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მოღალატედ (კოლაბორაციონალისტურ, ბოღმიან, პოლიტიკისგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებულ და ჩასაფრებულ ადამიანად) შერაცხეს, ხოლო განსჯის საგანი დაგმეს „როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგია“.

რა არ იკადრეს და რა არ მოიგონეს (მიმძიმს იმ სიბინძურის სიტყვა-სიტყვით გამეორება)?!..

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ურცხვად მოითხოვს (ელოდება) ნაპოლეონ მესხიასგან საჯარო ბოდიშის მოხდას იმის გამო, რომ რეალურად არსებული ფაქტები შეურაცხყოფად მიიღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაიქადნენ, რომ სასამართლო წესით აღიდგენენ **შელახულ ღირსებას** (?!).

ყველაზე პირწავარდნილი და გონებააჭლექებული ბრიყვიც ვერ შეთხზავდა ასეთ განაჩენს! თუმცა რა არის აქ გასაკვირი - რა ხელობაც აითვისეს და ადრეც მისდევდნენ, იგივეს კოპირებენ. მათ მიერ „კომპრომატების“ შეგროვების სტილსა და წერის მანერაშიც მკვეთრად გამოსჭვივის საბჭოეთის პერიოდის პარტბოსსების სკოლის გავლენა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნებისმიერ ავტორს აქვს უფლება გამოხატოს მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულება, მით უმეტეს, პიროვნებას, რომელიც განგების

ნებით მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა და თავად განიცადა ამ ტრაგედიის ყოველი ეპიზოდი. მისი გადასაწყვეტია, როდის და სად გაამჟღავნოს კულუარული ფაქტები, მოქმედი პერსონაჟები თუ როლის შემსრულებლები. სხვაზე რა გითხრათ, მაგრამ ნაპო მესხიამ ზუსტად იცის სად რა თქვას და რატომაც არ უნდა გაჩუმდეს. შეიძლება მის შეფასებებს დაეთანხმო, ან ცალკეულთან მიმართებაში განსხვავებული მოსაზრებაც კი გამოთქვა, მაგრამ მისი პოზიცია „**სრულიად გაუგებარი, მიუღებელი“** ან **„ცილისმწამებლური“** ნამდვილად არა არის. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი იარლიყებით ჩაახრჩო აზრის გამოხატვის თავისუფლება - პრეზიდიუმის დადგენილებით გამოიტანო ყოვლად უსახური ვერდიქტი, ეშაფოტზე ყულფი აუკვანძო კაცს, რომელმაც გაბედა სახელით მიემართა ტრაგედიის შემომქმედთათვის.

ასე მხოლოდ ტირანიის ეპოქაში იქცეოდნენ!

თბილისში გადმობარგების ორი ათეული წლის განმავლობაში აგრე გულმოდგინედ რომ „ედარდა“ ფუნქციადაკარგულ და მიჩუმათებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ენგურს გაღმა ჩარჩენილ თანამოქალაქეთა ბედზე, მათი გაუსაძლისი ყოფა ოდნავ მაინც შემსუბუქდებოდა.

„დევნილობაში მყოფი კონსტიტუციურად ლეგიტიმური ა/რ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუტი“ ასე მუხლჩაუხრელად რომ **„უზრუნველეყოფდეს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან“,** უფრო ახლოს ვიქნებოდით საოცნებო მიზანთან (სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ არ მოგვიწევდა მშობლიური ეზო-კარის მიტოვება).

რაც არ უნდა ვიბაქიბუქოთ, ქართულ-აფხაზურ (ქართულ-რუსულ) დაპირისპირებაში ჩვენი წვლილიც (ცხელ თავებში აფეთქებული გადაწყვეტილებებიც) რომ ურევია, ამის ხელაღებით უარყოფა უპასუხისმგებლო სიჯიუტეა, რომელიც ჩირადაც არ ღირს.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გენეზისი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ისტორიული ფაქტების ხელაღებით დამახინჯება, წამოჭრილი პრობლემების მიმართ წაყრუება და მათ გადაწყვეტაზე მხოლოდ ძალისმიერი პასუხი (მუშტების ქნევა, გულზე მჯიღის ცემა, ჯავშანტექნიკაზე ამხედრება და ა.შ.) ამ ტრაგედიის განუყოფელი ნაწილია, რომლებმაც დაგვაშორისა და მოძმესთან (ნათესავთან, სისხლსა და ხორცთან) მოციქულად ტყვია გვიქცია.

არავინ უარყოფს, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა **„დიდმა“** მეზობელმა **„მშვენივრად ითამადა“, „მშვიდობის სადღერგრძელო ყანწით დალია“,** კარგად **„მოილხინა“** და ახლაც **„ხალისობს“,** მაგრამ ეს ყველაფერი მარტო რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიის შედეგი როდია - ჩვენც კარგი **„მერიქებობა“** გავწიეთ.

ისიც ხომ ფაქტია, არა თუ მაშინ (მძვინვარების სათავეებთან), დღესაც არ მიმდინარეობს დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის - დიალოგი და არა შეხვედრები უცხოეთში.

დიალოგი ხელოვნებაა, დაძაბულობის, დაპირისპირების მოხსნის, კეთილგანწყობის შექმნის ნიჭია, რომლის დეფიციტიც, სამწუხაროდ აღმოგვაჩნდა.

ორ ათეულ წელზე მეტია შეხვედრებს - ურთიერთბრალდებათა დაუსრულებელ სერიას სასარგებლო შედეგი არ მოაქვს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, უუნარობაზე, ნების არ ქონაზე, უნიჭობაზე მეტყველებს და თუ ამის შესახებ ხმამაღლა ითქვა, ომით დაშანთული იარების წამლობაზე ვინმე ალაპარაკდა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობაზე მიგვითითა, რატომაა ეს „**მზაკვრობა“, „ჩასაფრება“, „აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებზე ხელის დაფარება“, „სიმართლის გამრუდება“, „პოლიტიკური ახლომხედველობა“, „დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა, მიამიტობა“, „ავი წინასწარგანზრახულობა“, ანტიქართული“** ან **„ანტისახელმწიფოებრივი“ აზროვნება, „მონურ მორჩილებაში დაბრუნების აგიტაცია“** და ათასი სხვა უშვერი ლექსიკა, ასე ჭარბად რომაა **„მომობნეული“** აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **„ხანგრძლივვადიან ნამოღვაწარში“.**

მაშ, რა ვქნათ? გავაგრძელოთ ომის რიტორიკა, ლანძღვაგინება (ყმუილი და წკმუტუნი), ტერიტორიების დანაწევრება, გათითოკაცობა და საშინელებანი კვლავ ჭედოს გრდემლმა?

ამ **„ფანდმა“** უკვე (ათასგზის) დაგვანახა თქვენი **„სიბრძნის და გამოცდილების“** ნაქარბორბალი პანორამები.

როცა ამ ორგანოს **2012 წლის 29 სექტემბრის № 06 (14) 1პ დადგენილება** „დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის„ როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“ და **თანდართული ინფორმაცია** ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ, ასევე **ჯემალ გამახარიას ფაბრიკაცია „როგორ სხვისდებოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“** (აბა, პუბლიკაციას მას ვერ დაარქმევ), ან **ნუგზარ მგალობლიშვილის „თანამედროვე შადიმანი“** ჩავიკითხე, ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა, თუ **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ - აი, ასე, ეს ხალხი იყო კონფრონტაციის ერთ-ერთი შემომქმედი.** მათი თვალსაწიერი ვერ გასცდა მტრის ხატის ძიებას, ინტრიგების ხლართვას, პირველკაცობის დაუოკებელ ამბიციებს.

ისინი ჩარჩნენ **„იმ სიბინძურეში, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის სამყოფელში[1]“,** ღიად თუ ფარულად ყოველი ფეხალაგის ჭუჭრუტანაში ჩაელამებულები იჭყიტებიან, ასინეთასავით აყურადებენ საქმიან შეხვედრებს თუ ქალ-ვაჟის ინტიმურ ჩაჩურჩულებას, დასმენის წინასწარ გამზადებულ ბლანკის მონიშნულ სტრიქონებში ჩაჯღაბნიან სახელდახელოდ დაზუთხულ (დაკვეთილ) სიტყვებს: „მოღალატე“, „აგენტი“, „სეპარატისტი“, „მტერი“, დამნაშავე“, ან „დივერსანტი“ და უმალ აფრენენ (პირდაპირი გაგებითაც) „მაღალ“ და „ტანად“ ბოსსებთან. **სხვა ფიქრი არ იცის ამ ხალხმა...** ნებაწართმეული საზოგადოების გამოფხიზლება მათ

1 სიტყვაბილწობის ერთ-ერთი მაგალითი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაზე დართული ინფორმაციიდან.

ხელს არ აძლევთ. იმის გამომზეურება, თუ რას სჩადიან ან რა აქვთ ჩადენილი, რა თქმა უნდა, არ სურთ **- აი, სულ ეს არის, არც მეტი და არც ნაკლები.**

ერთხანს მოთმინებით ველოდი, მათგან კიდევ ვინ ამოჰყოფდა წუმპიდან თავს, ვისაც წიგნმა სილა გააწნა. ვიყუჩე, რათა ყველას დაენახა, თუ როგორი სახით სტუმრობდნენ ისინი მზისქვეშეთს. მხოლოდ რამდენიმე მათგანს უმტყუნა ფილტვებმა და ამოიწვერა, ხოლო უფრო საშიშნი, გაიძვერანი ფსკერზე დარჩნენ გართხმული და ატივტივებულთა ხარბი ჩანასუნთქით იხანგრძლივებენ დარჩენილ ყოფას. მათ მიერ დაგეშილმა გოშიებმა ანაგვებული პირიდან ისეთი სიმყრალე აფრქვიეს, რომ მას საუცხოო პარფიუმით დანამული პირბადეც ვერ გასცრიდა. გარდა ამისა, არც სულში ფათურს მოერიდნენ და სვეგამწარებული კაცისთვის სანუგეშო შვილიშვილების გადამტერებასაც შეეცადნენ... ეს უკვე მეტისმეტია!

ჰოი, საძაგლობავ, სხვა რა სახელი უნდა გერქვას შენ? - აზრი, საქმე და სახეც მხოლოდ ერთნაირად მრუდი გაქვს!

ამჟამად გნიასი მინელდა. როგორც ჩანს, არსენალი ამოეწურათ ან გულადი კალმოსანი გამოელიათ. მაგრამ ყოველივე ეს იმდენად ამაზრზენი იყო, რომ წაყრუება ძალიან გამიჭირდა. დაგროვილმა სათქმელმა ჩემდაუნებურად არტახები დაწყვიტა და თქვენამდე მოსვლა მისთვის აღარც მე დამიშლია.

დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას - ყოველგვარი შებათქაშების გარეშე, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ და რის ფასად წამოიწყო ეს საქმე!

რა ზღაპრებიც უნდა შეთხზან, ამ ზნედაცემული თავაშვებულობის შტაბბინას მხოლოდ ერთი განზრახვა ამოძრავებდა: ზუგდიდში თავიანთი ფავორიტის კლანური აღზევების სანაცვლოდ, პოლიტიკური აქტივობიდან ჩამოეშორებინათ ნაპო მესხია და შეებღალათ მისი ძალზე მაღალი ავტორიტეტი.

დიახ, ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულიდან, როგორც კი ხალხმა უკეთესი მერმისისკენ გაიხედა, ისინი უკვე ხრიკებს ხლართავდნენ. „ახალი ისტორიის“ ერთ-ერთ თანაავტორს[1] აკი წამოსცდა კიდეც, რომ **„ზაფხულში უკვე არსებობდა... ინფორმაციის პროექტი, რომელიც... თანდათანობით იხვეწებოდა. ინფორმაციის საფუძველზე ასევე კოლექტიურად მომზადდა დადგენილების პროექტი. ორივე დოკუმენტზე მუშაობა, მიზეზთა გამო, თითქმის 3 თვე გაჭიანურდა. საბოლოო გადაწყვეტილება 29 სექტემბერს იქნა მიღებული“.** მაშინ მხოლოდ თითო ოროლა რაინდი (სიტყვით და საქმით ნამდვილი ერისკაცი) გაემიჯნა „გადარჩენის“ ინსტინქტებს. „ციხის კადრებმა“ კი მათი ჩანაფიქრი სამუდამოდ „ჩამოცოცხა“. როგორც წესი, თავგაჩეჩქვილი უხსენებლის კუდის ქნევა დიდხანს არ გასტანს.

დიდი გამოცდილება და ნაკითხობა არაა საჭირო, რომ მიხვდე ნაპო მესხიას წიგნზე ზემოაღნიშნულ „გამოხმაურებებს“ გულღვარძლიანი, „ღირსებაშელახული“ არაერთი დამკვეთი ჰყავდა. საწუხარი ის არის, რომ ისინი ისევ ჩვენს გვერდით არიან და ასე მოთმინებით ვიტანთ მათ ხანგრძლივ „ხელმწიფობას“.

ამ დღეებში გამოვა ბროშურა: **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“,** რომელშიც შევიდა ავტორის ვრცელი პასუხი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ავტორებისა და **„ამჩატებული რეცენზენტების“** გამაოგნებელ ბრალდებებზე (მანამდე კი შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთ „ილორში“). ეს წერილიც, თავად წიგნის მსგავსად, ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ დაიწერა მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს რა ფრაზები ამოგლიჯეს მთლიანი კონტექსტიდან „განდგომილმა კოლეგებმა“ და თურმე რაში „შეცდა“ ნაპო მესხია. ბროშურაში შევიდა აგრეთვე პროფესორ ზაურ კვარაცხელიას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატიაც.

მინდოდა თავადაც ჩამერთო კომენტარი პრეზიდიუმის დადგენილების თუ საგაზეთო „სიძვის“ ავტორთა მიერ წიგ-

1 ასეთი მედროვე და კომპარტიის მეხოტბე ისტორიკოსთა გულმოდგინე მეცადინეობამ წარყვნა საქართველოს მატიანე, ფაქტობრივად მიჩქმალა კოლხური დიდების შარავანდედი.

ნში აღწერილი ცალკეული ფაქტების გაუკუღმართებულად წარმოდგენის გამო, მაგრამ, ვფიქრობ, ბატონმა **ზაურ კვარაცხელიამ** შესანიშნავად (კვალიფიციურად, არგუმენტირებულად) წარმოადგინა ჯანსაღი აზრის პოზიცია - სრულიად ვიზიარებ მის მოსაზრებებს. ამასთან, ყველაზე უკეთ მაინც თავად ნაპო მესხიამ „დასვა წერტილი“ და აქ სიტყვის ჩაკვეხებაც ზედმეტია.

საპასუხო ვრცელ წერილში ავტორი უფრო პირდაპირი და მოურიდებელია. ახალი ფაქტების და არანაკლებ შოკისმომგვრელი კულუარული ინტრიგების შესახებაც მალე შეიტყობთ. **როცა მკითხველი გაეცნობა ნაპო მესხიას წიგნს, მის გარშემო ატეხილ ქილიკს და ახლად გამოსულ ბროშურას, თავად მიხვდება, ვინ ვინ არის. ვინ იღვწოდა ქვეყნის (ერის) კეთილდღეობისთვის და ვინ დაუდგა გვერდით თანამედროვე (კაციჭამია) ჯალათებს, ვინ შლიდა-ანაწევრებდა და ვინ იცავდა ერთიან სახელმწიფოს.**

ჩემი აზრით, ეს არა თუ საჭირო, აუცილებელიც იყო - ყველგან და ყველაფერში ხომ ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია! მართლაც დადგა დრო ითქვას სიმართლე, რომელსაც უთუოდ აქვს სამკურნალო თვისებები. ტყუილით, ფაქტების დამახინჯებით თუ შელამაზებით, საბოლოოდ, არსად არავის გაუმარჯვნია.

ხანგრძლივი ყოყმანი დასჭირდა იმის გადაწყვეტას, საერთოდ ღირდა თუ არა ბეჭდური პოლემიკა აბსურდულ ბრალდებებზე. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ წაუყრუე, ბაზარში მოლაყბე ჩიაკაცების მონაჭორი შესაძლოა ვინმეს მართალი ეგონოს. ამიტომ პასუხის გაცემა სწორედაც რომ საჭიროა. მას მარტო ადრესატები კი არა, სხვებიც გაეცნობიან (მათ შორის, ნაპო მესხიას შვილიშვილები) და, არა მგონია, მტყუან-მართლის გარჩევა გაუჭირდეთ.

კიდევ ერთი, რისთვისაც ამ ბროშურის გამოსვლას ვაანონსებ: გავბედავ და გაუწყებთ, რომ ბატონი ნაპო არ აპირებს ბოდიშის მოხდას და „**სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნო**“ ბატონებო, მოგიწევთ სასამართლო წესით აღიდგინოთ **შელახული ღირსება** (თუ ამ თვისების დეფიციტი სულს არ გიმძიმებთ) და გამზადებული შესაგებელი წინასწარვე იქნება თქვენთვის ცნობილი. მასში კიდევ უკეთესად დაინახავთ საკუთრ სახესაც და სხვების აცუღლუტების ნამდვილ მიზეზსაც.

მიბრძანდით, მიბრძანდით... ჩამწკრივდით სასამართლოს ზღურბლთან. იქ მაინც ხომ აუცილებლად მოგიწევთ **დაამტკიცოთ „სამშობლოს მოღალატის“, „იმპერიის აგენტის“, „მეგრული სეპარატიზმის“** და თქვენ მიერ წაყენებული სხვა უთვალავი ბრალდება.

ლამისაა **„ჰერიო, ბიჭებო“...** ჩავაკვნესო (რა თქმა უნდა, არაპირდაპირი გაგებით).

ჩემი დარიგება არაფერში გამოგადგებათ, მაგრამ, ყოველშემთხვევაში, არც რაიმეს გავნებთ, იცოდეთ: საცა თქვენსას დაიქადნით, იქ სიმართლეს მეტი ფასი დაედება და უთუოდ გამოჩნდება, ვის ჰგონია საკუთარი თავი **„ერისთავი“** და ვინ აღმოჩნდა **ნამდვილი შადიმანი**!

ისიც უნდა გამცნოთ, რომ თქვენი „ბეჯითობით“ ნაპო მესხიას ღვაწლს და ავტორიტეტს იოტისოდენა ჩრდილიც არ მისდგომია. ყველაზე ძვირადღირებული მარკეტოლოგიც ვერ შეძლებდა წიგნის პოპულარობის ისე გაზრდას, როგორც ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და თქვენი მეცადინეობის შედეგად მოხერხდა - საქართველოს მთლიანობის ურიცხვი მომხრე ახლა მართლაც სანთლით დაეძებს აწუკვე მკითხველთა წრეში მიმოფანტულ მის ეგზემპლარებს. სიამოვნებით გადმოგცემთ მათ დანაბარებსაც:

შეხვედრამდე სასამართლოში!

იური პაპასძუა

წიგნის **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** და
ბროშურის **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას
ზურგშექცეულნი“** რედაქტორი.

მშვიდობისმყოფელი დასტაქარი

ჩემს თაობას კარგად ახსოვს პრესტიჟული და სახელმოხვეჭილი „ნაპო მესხიას კლინიკა“ სოხუმში. **აფხაზეთსა და მის ფარგლებს გარეთ მისგან ყველა მძიმე პაციენტი სასწაულს ელოდებოდა და ბატონი ნაპო ამ სასწაულს ახდენდა!.** ..ის კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად აკეთებდა თავის საქმეს, არასდროს უკითხავს პაციენტისთვის მისი ეროვნულ-ეთნიკური წარმომავლობა თუ ძვირად ღირებული უნიკალური აღჭურვილობით მკურნალობის ანაზღაურების შესაძლებლობა. ... და თუ ვინმეს ვერ შველოდა და მკურნალობა ფატალური შედეგით მთავრდებოდა, ემოციურად განიცდიდა... ავადმყოფებს ხშირად საყვედურობდა „დროულად მოდით ჩემთან, დიაგნოზის დასმა არ დაგვიანდეს“. **მედიცინის ისეთ ელიტურ დარგში, როგორიც ნეიროქირურგიაა, ის ეპოქა მართლაც რევოლუციური იყო და ბატონი ნაპო კი ამ დარგის რევოლუციონერი.**

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ აღიარებული კოლხი დასტაქარი ქართულ-აფხაზური უკიდურესი გაუცხოების და საომარი მოქმედების ეპიცენტრში აღმოჩნდებოდა. აფხაზეთსა და დანარჩენი საქართველოს სასაზღვრო ოტობაიაში დაბადებულს, დიდი სამურზაყანოს ეთიკურ კოდექსზე აღზრდილს სხვაგვარად არც შეეძლო. სავსებით, ბუნებრივია, რომ მისი ცხოვრებისეული ზნეობრივი კრედო გასცდა ნეიროქირურგიის აკადემიზმის სფეროს და უშუალოდ, მთელი არსებით ჩაერთო უკომპრომისო პოლიტიკურ პროცესებში ურთულესი სამშვიდობო მედიატორული მისიით. **აქტიურ საჯარო პოლიტიკაში მისი უშუალო ჩართულობა განაპირობა მისმა ჰუმანიტარულმა და პრინციპულმა ცხოვრებისეულმა პოზიციამ, მაღალმა პიროვნულმა ავტორიტეტმა და უკომპრომისო მხარეების პოლიტიკური ელიტების უუნარობამ ძმათამკვლელი დაპირისპირების კომპრომისული დიალოგის რეჟიმში გადასაყვანად.** ბატონი ნაპოლიეონის პოლიტიკური რესურსი

სხვადასხვა ეროვნების მადლიერი პაციენტებით დაწყებული და უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონებში სანდოობის მაღალი რეპუტაციით დამთავრებული, პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყების პირველივე დღეებში წარმოჩინდა და დაპირისპირებული მხარეების ყველა დონის შეხვედრებში მისი მონაწილეობა უალტერნატივო აუცილებლობად იქცა.

აფხაზეთში ომისწინანდელი და უშუალოდ ძმათამკვლელი საომარი მოქმედებების თანმხლებ პოლიტიკურ ფორუმებში ბატონი ნაპოლეონის თანამონაწილეობის მოტივაციაზე მოგახსენეთ, მაგრამ ისიც უნდა დავამატო, რომ მისი შეუვალობა და შეუპოვრობა ვერ ჰგუობდა რუსეთის იმპერიულ ექსპანსიას, აფხაზური სეპარატისტული ელიტის ამბიციებს და კულუარული ბინძური პოლიტიკური თამაშის წესებს, რომლებიც ეროვნული მოძრაობის დროშებს ამოფარებული, ხელისუფლებისთვის და თანამდებობისთვის მებრძოლი, დისკრედიტებული ზოგიერთი ქართველი პოლიტ-სუბიექტების წყალობით დამკვიდრდა.

პარადოქსული ფაქტია, რომ აფხაზეთში იმდროინდელი პოლიტიკური პროცესების ყოვლის მომცველი ახსნა დღესაც შეუძლებელია, ვინაიდან პარლამენტისა და მთავრობის მიერ დღემდე არ არის პოლიტიკურად შეფასებული აფხაზეთის ჯვარცმის საკვანძო საკითხები. უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე არ არის დეკლარირებული აფხაზეთის ტრაგედიის ყოვლისმომცველი პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, სამხედრო-პოლიტიკური წარუმატებლობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი საშინაო თუ საგარეო ფაქტორები. დღემდე ვერავინ დამარწმუნა იმაში, რომ მიუხედავად ეთნო-პოლიტიკური კრიზისის პიკისა, ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ომის პრევენციის მთავარი რესურსი, მაშინაც და დღესაც მისი აღმატებულება მძიმე პოლიტიკური კომპრომისია და ცივი გონებით გათვლილი წინდახედული რაციონალური-პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ქართულ-აფხაზური ისტორიული

ერთობა იძლევა მხოლოდ ერთ ამონახსენს - სამშვიდობო სამოქალაქო დიალოგი და დიდი შერიგება. ჩვენ ორივემ, ქართველებმა და აფხაზებმა დავკარგეთ სამოთხე. ჩვენ ორივე მოძმე ხალხმა ერთად უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და ერთად ვაშენოთ ისტორიული მომავალი.

ბატონი ნაპოლეონ მესხიას წიგნმა „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ და ვრცელმა საგაზეთო პუბლიკაციამ „აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!“, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგმა თავი გადააქან-გადმოაქანა, ზოგმა თავისი თავი დაინახა და გაღიზიანდა, ზოგმა მის დებულებებში ღალატის ნიშნებიც კი დაინახა... „ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის იგი“ (კონსტანტინე გამსახურდია).

მახსოვს, ჯერ კიდევ 1994 წლის სექტემბერში მისი იმ დროისათვის არაპოპულარული პოზიცია ცალსახად წარმოჩინდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „გავითავისოთ აფხაზური გაკვეთილი“ – „მხოლოდ ზნეობა და ერთობა გადაგვარჩენს!“ მაშინ ამბიციურ რევანშისტული ეფორიაში სამშვიდობო რესურსებზე, დიალოგზე და შერიგებაზე საუბარიც კი ანათემაზე გადაცემის საფრთხეს შეიცავდა. მოგვიანებით კი, 1998 წლის გალის ტრაგიკული მოვლენების დროს მხოლოდ რამოდენიმემ გავრისკეთ, მათ შორის ბატონმა ნაპომ და ხმამაღლა დავგმეთ ქართული პოლიტიკუმის ამბიციური წინდაუხედაობა და ე.წ. „ამჯერადაც მოგვატყუეს“ უსუსური თეზა.

თავს უფლებას მივცემ, საჯაროდ განვაცხადო ჩემი პირადი დამოკიდებულება. **პირადად ჩემში ამ წიგნმა და ავტორის განსაკუთრებით ბოლო პერიოდის პუბლიკაციებმა დიდი ემოციები გამოიწვია. ბევრი საგულისხმო ამოვიკითხე. წიგნის გვერდებზე კითხვის და ძახილის ნიშნების დასმაც დამჭირდა... ვთვლი, რომ წიგნი უდაოდ ბევრად უფრო საინტერესო**

და სასარგებლო წასაკითხია, ვიდრე თავდაცვითი კრიტიკული ინტერვიუები თუ წერილები მის შესახებ და მით უფრო პოლიტიკური ტრიბუნებიდან თითის ქნევა. მის ნააზრევთან ასეთი ფორმით ჭიდილი უმართებულოდ მეჩვენება... რას იზამ, ქაღალდი არ წითლდება.

ბუნებრივია, ნებისმიერი წიგნი ერთდროულად სუბიექტურიც არის და ობიექტური. საქართველოში ყველას მოსაწონს ხომ ვერც იტყვი და ვერც **დაწერ... მის პუბლიკაციებში მოცემული ნააზრევი და პრინციპული შეხედულებები განსაკუთრებულად აქტუალურია და მნიშვნელოვანი. ყოველი ფრაზა გულიდან ამოსული და განცდილია... იგი უდავოდ სასარგებლოა დაინტერესებული მკითხველისათვისაც.** ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერ წიგნს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ **ამ წიგნს უფლება კი არა მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია. იგი აუცილებელი წიგნია მათთვის, ვინც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მუშაობს, ვინც ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, ვისთვისაც ქართულ-აფხაზური დიდი შერიგება ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა.**

ყველას აქვს ბუნებრივი და თანაბარი უფლება გამოხატოს თავისი თვალსაზრისი და დაიცვას თავისი შეხედულება. დროა საქართველოში ყველამ ვისწავლოთ განსხვავებული აზრის პატივისცემა და სხვას ჩვენი შეხედულებები ზეწოლით არ მოვახვიოთ თავს.

ქიშპი, შური, გაუტანლობა, სკამის მაძიებლობა, საკუთარი თავის ძიება კონფლიქტში და არა ომის მიზეზთა ძიება საკუთარ თავში... არახალია ჩვენთვის. „ფოცხზე ფეხის დადგმა“ 2008 წლის სამაჩაბლოში... თვითგმინვის მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე მაინც უნდა გვესწავლა პრევენციის ანაბანა.

ამ წიგნში და სტატიებში დომინირებს დიდი წუხილი და სევდა... ამასთანავე, წიგნი წარსულისა და აწმყოს კრიტიკულად გააზრების შესაძლებლობას იძლევა. ის გადაუდებელ საგანგებო მოქმედების აუცილებლობას ქადაგებს. ბოლოს-

დაბოლოს ჩვენ უნდა შეგვწევდეს უნარი ვაღიაროთ წარსულის და სადღეისო შეცდომები. რატომ არ გვინდა თუნდაც ის ვაღიაროთ, რომ **პასუხისმგებლობა იმაზე, რაც აფხაზეთში და სამაჩაბლოში მოხდა თითოეულ ჩვენთაგანსაც ეკისრება.**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პროფესორი ნაპოლეონ მესხია ამ სისხლიანი ტრაგედიების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა. ჩვენ ამ საკითხში ყოველთვის თანამოაზრენი ვიყავით და ასეთებად ვრჩებით. მშვიდობის მშენებლობისა და თანაბარუფლებიანი პარტნიორობის რესურსების ძიება აფხაზურ-ქართულ ტრადიციებში საძებარი არ არის, მაგრამ როგორც ჩანს ამას ყველა დონის ცალსახა ნება და საკუთარი გონივრული ძალისხმევა სჭირდება... სხვისი მოიმედობითა და მედიატორობით პროგრესი ვერ მიიღწევა... დროსა და სივრცეში ე.წ. „გაყინული“ ვითარება კვლავ იმ შეკუმშულ ზამბარას მაგონებს, რომელმაც მავანთა უგუნურობით და უნიჭობით კიდევ ბევრჯერ შეიძლება გაიშალოს , აიწვიტოს და უდანაშაულო ადამიანთა ახალი ტანჯვა მოგვიტანოს.

უცხოელი დამპყრობლები ანგრევდნენ, ქართველი ხალხი კი თავიდან იწყებდა, ერთხელ უკვე აშემნებულს და ან დანგრეულს მეორედ თუ მეათედ აგებდა, საქართველოს „სისხლის წვიმების“ დროს იშვა სევდიანი ხალხური სიმღერა „...რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

იმედი მაქვს დამეთანხმებით, რომ სადღეისო რეალიების პირობებში აფხაზეთთან დაკავშირებული ყველა პუბლიკაცია და კერძო თვალსაზრისი თითქმის ყოველთვის სუბიექტურია. მე აფხაზეთის დაბრუნების და აფხაზეთში დაბრუნების იდეით ვცხოვრობ და წინასწარ გიხდით ბოდიშს, თუ ჩემი ესსე არა მართებულად მოგეჩვენოთ. იმაში კი უნდა დამეთანხმოთ, რომ არც კომპიუტერული პროგრამა არსებობს, რომელიც მზა რეცეპტებს ამოგვიბეჭდავს ან რაიმე აპარატი, რომელშიც ჩააგდებთ მონეტას და მიიღებთ მრავალ უცნობი ან ეთნო-პოლიტიკური განტოლების ცალსახად გადაწყვეტის ამონახსენს...

იმპერიის ნგრევის პირობებში, მრავალ საუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ძმობისა და ისტორიული თანაცხოვრების ურთულეს ეტაპზე, რუსეთის ექსპანსიით პროვოცირებული დამანგრეველი ძმათა მკვლელი ომის ტრაგედიას უალტერნატივოდ უნდ ამოჰყვეს მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტის პოზიტიური ფერისცვალების ურთულესი პროცესი. ყველა ომი ხომ მოლაპარაკებებით მთავრდება. მოლაპარაკება კი ომზე ბევრად ძნელია. თუ ამ პარადიგმაზე ვერ შევთანხმდით, ჩემი რწმენით, აზრს კარგავს ყოველგვარი დისკუსია აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის ორივე მხარისთის სასურველ პერსპექტივებზე.

დღეს კონფლიქტი ისევ ღრმა ჩიხშია. პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ძალთა დისპოზიცია კვლავ უცვლელია იმის გამო, რომ არცერთი მხარე არ არის მზად მნიშვნელოვანი, არსებითი, მაქსიმალური, გონივრული კომპრომისისთვის. ვერანაირი ტრანსფორმაცია ვერ განიცადა მხარეების წარმოდგენებმა წარსულსა და მომავალზე... ყველაფერი გაიყინა დროსა და სივრცეში. იძულებით ურთიერთ ლოიალურობის რეჟიმიც კი ვერ დამყარდა. პოლიტიკურ კალენდარს უცვლელად აწერია „არც ომი, არც მშვიდობა“.

მწარე სიმართლე ის გახლავთ, რომ ოცი წელი გავიდა და ქართულ და აფხაზურ პოლიტიკურ ელიტებსა და მოძმე ხალხებს შორის დიალოგი ჯერ არც კი დაწყებულა!. მიზეზი მარტივია - კონფლიქტი სულ უფრო კარგავს შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის მახასიათებლებს. კარგია ეს თუ ცუდი, ეს კიდევ საკითხავია... საგარეო ფაქტორები და საერთაშორისო ფასილიტატორების როლი წარმოჩენილია უალტერნატივო პრიმატის რანგში. **მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ პანაცეა ევროინტეგრაცია, ნატოში გაწევრიანება და რუსეთთან კომპრომისი კი არ არის, არამედ სატელიტების შესაძლო ხელშეწყობით, უშუალოდ ქართულ-აფხაზური, პირდაპირი, ორმხრივი პოლიტიკური დიალოგია და ამ დიალოგის წარმატებაა. სწორედ დიალოგის, ნდობის ხარისხის პოზიტიური**

შედეგები უზრუნველყოფენ აფხაზეთის კვანძის გახსნას. დამეთანხმებით, რომ **დღემდე ვერ მიიღწია კონფლიქტების მოგვარების ცივილიზებული, მშვიდობიანი გზებით გადაჭრის ერთიანი, სისტემური, დოქტრინალური და კონცეპტუალური მიდგომა და კონფლიქტების მენეჯმენტი... სწორედ სამშვიდობო მენეჯმენტი, რადგან კონფლიქტის მართვის გარეშე პროგრესი ამ საქმეში არასდროს არ იქნება.**

სწორად მინდა ვიყო გაგებული: გაყინულ-დაკონსერვირებულ კონფლიქტში პიროვნული და სახელის უფლოფაქტორი უმნიშვნელოვანესია. მათი როლი მზარდია. ისიც ბუნებრივია, რომ თბილისისა და სოხუმის ლიდერები და ელიტები ცდილობენ კონფლიქტის მოუგვარებლობის სპექტრის გამოყენებას ხელისუფლების მოპოვების, მისი შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის. ძალიან დიდია პოლიტიკურ ძალთა ცდუნება მიაღწიონ პროგრესს ამ პროცესში. ხელისუფლებისთვის ბრძოლის ინსტრუმენტად და საზოგადოებების კონსოლიდაციის საფუძვლად აფხაზეთის საკითხის გამოყენება არახალია, ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკურ ვაჭრობაში ორძაღლს ერთ ძვალს არ უგდებენ. რუსეთის იმპერიული რეფლექსების ღიად დემონსტრირების პირობებში ჩვენი მხრიდან აგრესიული მუქარების რიტორიკა, პოლიტიკური მანიპულირების და სპეკულაციის იარაღად კონფლიქტის მოუგვარებლობის თემატიკის გამოყენება ხშირად აბსურდამდე გადის.

ქვეყნის გამთლიანება, ფუძეაყრილთა საკუთარ მიწაწყალზე დაბრუნება, ჩვენი აფხაზი ძმების ფსიქოლოგიურად საქართველოსკენ შემობრუნება, რომელთაც დღეს აღარ სურთ, რომ საქართველოს მოქალაქეებად იწოდებოდნენ, შესაძლებელია არა ომით და რევანშის დროშების ფრიალით, არამედ სახელმწიფოში თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრებით, თავისუფალი საზოგადოების ინსტიტუტების დაფუძნებით, ფუძეაყრილი მოსახლეობის უფლებების პრიმატით და სოციალ-ეკონომიკური გარანტიებით.

მხოლოდ დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოებათა ურთიერთქმედებაა გზა კეთილდღეობისკენ და ისეთი სახელმწიფოს შექმნისკენ, რომელიც მიმზიდველი იქნება ჩვენთვის და აფხაზებისათვის, იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის.

აფხაზური ლაბირინთის ამონახსენი პირდაპირპროპორციულია აფხაზეთის ენგურგაღმა და ენგურსგამოღმა საზოგადოების მზაობის ხარისხისა. ფაქტობრივად, აფხაზეთის იძულებით ადგილნაცვალი საზოგადოების როლი და მნიშვნელობა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში შეგნებულად თუ შეუგნებლად წლების მანძილზე გამოუყენებელია, უფრო ზუსტად, იგნორირებულია. იგი არ განიხილება, როგორც კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური პროცესის მთავარი და გადამწყვეტი პოლიტიკური რესურსი.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ლეგიტიმური წარმომადგენლობა არ ფლობს რეალურ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სოციალურ ბერკეტებს. დღემდე ვერ მიიღწია ასეთი კომპეტენციის დელეგირება. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ **პოლიტიკურად დაქსაქსული, არაქმედითუნარიანი აფხაზეთის ქართველობის ფენომენი უფუნქციოდ აღმოჩნდა.** დევნილები, ავტორიტეტული, გავლენიანი, კეთილსინდისიერი პიროვნებები არ არიან ჯეროვნად წარმოდგენილი პარლამენტში, მთავრობაში, საკრებულოებში, ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ სტრუქტურებში, აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე უწყებებში. მათ არ გააჩნიათ ტელევიზია და გაზეთი, ფრაგმენტულია მათი მონაწილეობა პოლიტიკურ მოლაპარაკებებში და საერთაშორისო ღონისძიებებში. თუნდაც „პოლიტიკურ ტურიზმად“ შერაცხულ ქართულ-აფხაზურ არაფორმალურ შეხვედრებში, რომელთა მნიშვნელობა ჩემი აზრით ძალზე დიდია.

იქნებ დადგა დრო, დასრულდეს თანამდებობრივი ექსპერიმენტები აფხაზეთთან დაკავშირებით. ჩვენ ხომ შინააშლილობის, თანამდებობრივი კინკლაობის მწარე გამოცდილება გადმოგვყვა სოხუმიდან... ერთის მხრივ, ცხარე დებატები

აფხაზეთის სახელისუფლებო საკადრო კორპუსის კანდიდატურებზე სასარგებლოც არის, ვინაიდან ეს დისკუსია პროვოცირებს აფხაზეთის მივიწყებულ პრობლემატიკაზე საჯარო დისკუსიებს. ამასთანავე, ყოვლად მიუღებელია წრე გადასული ცილისწამება და არაკორექტულობა.

კონფლიქტის „თეთრი ლაქებს“ , პასუხგაუცემელი კითხვები სიჭარბეს, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებსა თუ დანაშაულებრივი უმოქმედობის ფაქტების სიმრავლეს მხოლოდ აფხაზეთის იმდროინდელ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ნუ მივაწერთ. აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბარომეტრია და მოპასუხე პირველ ყოვლისა, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა და მისი ლიდერები არიან.

არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა. **გარდასულ დღეთა მოვლენებსა და ფაქტებზე შეხედულებათა ცივილურ ჭიდილში უნდა იშვას შეულამაზებელი სიმართლე და რაც მთავარია, მასზე დაყრდნობით დავადგეთ იმ გზას, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს. ტაძრამდე, სადაც აფხაზები და ქართველები ერთად ილოცებენ.** სწორედ ამას ქადაგებს ბატონი ნაპო.

ბატონი ნაპო და მისი დიდებული ოჯახი გაცნობიერებული უსამართლობისა და დიდი პირადი დარდის მატარებელია. მიუხედევად ამისა, ღირსეულად იტანენ ტკივილს. მისი ოჯახი ქვეყნის ბედითა და მოყვასის ტკივილით შეჭირვებული ოჯახის ცხოვრებით ცხოვრობს. უკვე ოცი წელია ბატონი ნაპო უყოყმანოდ ეხმაურება ენგურსგაღმა და ენგურსგამოღმა განსაცდელში მყოფი ადამიანების ძახილს და იმედს, საკუთარი რისკის ფასად ჩადის იქ, სადაც პოლიტიკოსებს არ ჩაესვლებათ და სიცოცხლეს ჩუქნის პაციენტებს.

გულის ტკივილით მინდა ავღნიშნო, რომ ისეთი დიდი დასტაქარი, როგორიც პროფესორი ნაპოლეონ მესხიაა ბევრად უფრო დაფასებული და უზრუნველყოფილი იქნებოდა ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, თუნდაც იტალიის ქალაქ ნიაპოლში, საიდანაც მისი სახელი მომდინარეობს.

ბატონი ნაპოლეონ მესხია ვერასდროს შეეგუება დევნილობას საკუთარ სამშობლოში, ღირსეულად, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და მოღვაწეობს. ისე ცხოვრობს, მარტო ერთს კი არა, ათას კაცს ეყოფა. სამშობლოს სიყვარული, აფხაზურ-ქართული ძმური ერთობის აღდგენა–განმტკიცების იდეისადმი თავდადება ყოველთვის იყო და იქნება დიდი დასტაქარის არსებობის, ცხოვრების თუ მოღვაწეობის უმთავრესი თანამდევი ფასეულობა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მისი ძალისხმევა და გულწრფელი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის, ახალი საქართველო შემოიმტკიცებს აფხაზეთს და ისტორია ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ ბატონო ნაპო!

სიყვარულით თქვენვის მლოცველი,

ზურაბ ერძვანია,
აფხაზეთის ექს-პრემიერმინისტრი, გენერალ-მაიორი

თქვენ უკვე დაიბრუნეთ თქვენი წილი აფხაზეთი, ბატონო ნაპო!

დიახ, თქვენმა წიგნმა გააკეთა ის, რაც ამდენი ხნის განვმალობაში ვერ მოახერხა ქართულმა დიპლომატიამ - არცერთ წერილზე იმდენი გამოხმაურება არ მიგვიღია აფხაზეთიდან, რამდენიც თქვენი წიგნის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო მივიღეთ! საინტერესო კი ისაა, რომ გვეხმაურებან ის ახალგაზრდა აფხაზები, რომელთაც თქვენი, როგორც დასტაქარის ხელის სითბო არ უგვრძნიათ და მხოლოდ თქვენ მიერ აფხაზეთის მოვლენებზე გამოცემული წიგნით გაგიცნეს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ჯერ ავადსახსენებელი შევარდნაძის, შემდეგ კი ასევე ავადსახსენებელი სააკაშვილის მმართველობის ჟამს საქართველოს მოქალაქეებს ყველაფერი აკლდათ, მაგრამ საზოგადოება ყველაზე მწვავედ მაინც იმ სიმართლის დეფიციტს განიცდიდა, რამაც საქართველოს ეს ძირძველი კუთხე დააკარგვინა.

არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, მაგრამ ჩემთვის არაერთიგზის დამისხვამს შეკითხვა: **რა საჭირო იყო საქართველოში აფხაზეთის მთავრობისა თუ საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნა, მით უმეტეს, თუ რეალურად ისინი აფხაზეთის საკითხებს ვერ გადაწყვეტდნენ და მხოლოდ „აფხაზეთობანას“ თამაშებთ იქნებოდნენ დაკავებულნი.** დევნილთა პრობლემების მოსაგვარებლად განა საკმარისი არ იქნებოდა მათთვის სპეციალურად შექმნილი დევნილთა სამინისტროსა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების ძალისხმევა? სწორედ ამაზე ფიქრმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ **ეს სტრუქტურები შევარდნაძემ სპეციალურად შექმნა, რათა დევნილებს არ მიემართათ თავისი სატკივარის თაობაზე აფხაზეთის რეალური (ჩვენ რომ „დე-ფაქტოს“ ვეძახით) ხელისუფლებისათვის, რითაც კიდევ უფრო დავშორდით აფხაზებსა და აფხაზეთს!** ხოლო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მის მიერ

წამოწყებული პროვოკაციული ომით რომ საბოლოოდ დაგვაკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ამაში დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქნებ ვინმემ ამიხსნას, თუ როგორი სქემით უნდა ემუშავა თბილისში აფხაზეთის საბაჟო სამსახურს, ან, თუნდაც აფხაზეთის საგზაო პოლიციას? ვერავინ შემომედავება იმაში, რომ მთელი ეს სტრუქტურები გახლდათ ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოში დანერგილი კორუფციული სპრუტის ერთ-ერთი მომხვეჭელური საცეცი.

ვიცი, არც მე მაპატიებენ ამ სიტყვებს, განსაკუთრებით თბილისში მოკალათებული „**აფხაზეთის მთავრობის**“ მესვეურები, მაგრამ სიმართლე სიმართლეა და იგი აუცილებლად უნდა ითქვას, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენ ჯერ კიდევ ვაპირებთ აფხაზებთან შერიგებასა და მათთან თანაცხოვრებას!

თქვენ მიერ აფხაზეთის ომამდე და ომის პერიოდში აღწერილი საბედისწერო მოვლენები და მოვლენათა შემდგომი განვითარება იმის უტყუარად დასკვნის საშუალებას გაძლევთ, რომ დიახაც, წინასწარ შემუშავებული მოღალატეობრივი გეგმის საფუძველზე გასხვისდა აფხაზეთი და ამ ტრაგედიაში დიდი როლი სწორედაც რომ აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლების ქართულმა ნაწილმა ითამაშა.

აფხაზეთის თემაზე დღეს ბევრი წერს, თავდარწმუნებულად მოძღვრას და უხვად აფრქვევს არაფრის მთქმელ სენტენციებს. ამ თემაზე წერის უფლება კი მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს მისი სუსხი და დღესაც სტკივათ აფხაზეთი. თქვენზე მეტად ვინ განიცადა აფხაზეთი მაშინ, როცა ვიღაც უჯიშო გადამთიელმა ავტომატი სასროლად მოგიღირათ, მასთან ერთად მყოფი აფხაზი ახალგაზრდა კი გადაგეფარათ და ჩეჩენ „ბოევიკს“ უთხრა:

- ამ კაცმა ჩემი ძმა გადამირჩინა უეჭველ სიკვდილს და მას

რომ თმის ღერი ჩამოუვარდეს, ცოცხლებს არ დაგტოვებთ არცერთსო!

აი, როგორი ადამიანი უნდა წერდეს აფხაზეთსა და აფხაზებზე!

თქვენ, როგორც ხელმადლიანი დასტაქარი, საქართველოშიც კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ აფხაზეთი გტკივათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ განისვენებენ თქვენი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები, არამედ იმიტომ, აფხაზეთი თქვენი სულის ნაწილია და სული არასოდეს არ იყოფა.

ფაქტია, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთი იმდენად არ ეჯავრებოდათ, რომ თოფები მიეღირებინათ და მოხუცები, ქალები და ბავშვები ეხოცათ. წარუშლელია ამ ომით მიყენებული მძიმე შთაბეჭდილება, მაგრამ როცა მოვლენებს აფასებენ თქვენნაირი პირუთვნელი ადამიანები, კიდევ რჩება იმის იმედი, რომ ქართველები და აფხაზები ოდესმე მაინც მივუსხდებით მოლაპარაკებათა მაგიდას.

თქვენი **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** ამის უტყუარი წინაპირობა გახლავთ!

ამიტომაც გიძღვნის ქართული საზგადოებრიობა დიდ მადლობას, თქვენ, ძმაო ნაპო, ამ თავსმოხვეული სამარცხვინო ომის ჭეშმარიტი მიზეზების გამომზეურებისათვის!

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი
გაზეთი „ილორი“, N 252, 2014 წ.

ნაპო მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ბატონმა ნაპო მესხიამ ამასწინაზე გამოსცა 400 გვერდიანი წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ აფხაზეთის ტრაგედიაზე რომ დაწერო და ხალხის სააშკარაოზე გამოიტანო ის სინამდვილე, რაც საზოგადოებისათვის ჯერაც მთლად არ იყო გათვითცნობიერებული თუ რა მოხდა და რა მოუვიდა ისტორიული, ძირძველი მშობლიური მიწაწყლიდან იარაღის ძალით, იძულებით გამოდევნილ მოსახლეობას და რაც მთავარია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად, რომელიც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა და ამ უაზრო ომს ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ამის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ჰქონდა იმ პიროვნებას, რომელმაც მთელი სიგრძე-სიგანით იწვნია ის არაადამიანური, დამამცირებელი ქმედებები, რასაც აფხაზეთში სჩადიოდნენ გადამთიელი ბოევიკების და სეპარატისტულად განწყობილი დაჯგუფებები, პლუს საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება.

დიახ, მავანთ არ აწყობთ გამოაშკარავდეს ის არაკაცობა, თვალთმაქცობა და ღალატი, რაც ხდებოდა და მოხდა აფხაზეთის ომში, რომლის უშუალო გამჩაღებლები იყვნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მაშინდელი მესვეურები: ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და მათი ხროვა, რომელთა უგუნურმა სახელმწიფო მართვამ დაგვაკარგვინა წალკოტი მხარე - აფხაზეთი და საერთოდ ჩვენი ქვეყანა გახადეს დეგრადირებული. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იარაღის

ძალით სამშობლოდან განდევნის შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის უნიათობით, საქმისადმი აშკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებებით და ღალატით, მშობლიური მიწა-წყლიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გამოდევნილი იქნა 300 ათასამდე ადამიანი. აქ აღნიშნულის მრავალი ფაქტია მოყვანილი წიგნში.

ხაზგასმით უნდა ითქვას ის, რომ აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების შესახებ ასეთი სიმართლე სააშკარაოზე ჯერ-ჯერობით არავის გამოუტანია. მავანნი კი ფიქრობდნენ, ყველაფერი ყურადღების მიღმა დარჩებოდა, მაგრამ თავის პატიოსნებით, პრინციპულობითა და პირუთვნელობით ბატონმა ნაპო მესხიამ ფარდა ახადა დღემდე ყოველივე დაფარულს, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და ადგილი მიუჩინა, ქართველ საზოგადოებას ამცნო ის მოღალატური ქმედებები, რომელსაც სჩადიოდნენ ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და მათი დამქაშები.

ბატონმა ნაპო მესხიამ თავის სუფთა ხელში აიღო კალამი და ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გვამცნო ის სიმართლე, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი!

აღნიშნულ წიგნში მკითხველი გაეცნობა უამრავ შემზარავ ფაქტებს.

ბატონი ნაპო ომის პერიოდში და მის შემდეგ, ყველა დონეზე აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური მრავალფორმატიან მოლაპარაკებებში, მუხლჩაუხრელად იღწვოდა არსებული პრობლემების დასარეგულირებლად. მისი ყოველდღიური შრომისა და ჯაფის შემდეგ 1995 წელს ქ. მოსკოვში მიღწეული იქნა შეთანხმება დე-ფაქტო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან ანრი ჯერგენიასთან, აფხაზეთიდან დევნილთა შინ დაბრუნებაზე. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დევნილთა დაბრუნება მთლიანად აფხაზეთში უნდა დაწყებულიყო 1995 წლის აპრილის თვეში და დასრულებული

უნდა ყოფილიყო ამავე წლის ბოლოს.

ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ახლოსაც არ გაიკარეს შევარდნაძემ და ნადარეიშვილმა, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ხმამაღლა განაცხადა - **„რა გვაქვს შესათანხმებელი მაგ მათხოვრებთან, მალე ტანკებით გადავუვლითო!“** ჰოდა ყველამ დავინახეთ, ვინ-ვის, როგორ გადაუარა!

მეტად უხეში, განუმეორებელი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ, როცა წინააღმდეგი გამოვიდა და მხარი არ დაუჭირა გალში რეგიონული სამედიცინო ცენტრის გეგმა-პროექტს, იმ მოტივით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე თითქოსდა მიზანშეწონილი არ იქნებოდა მისი განხორციელება. მაშინ ეს საკითხი ყურად არ იღეს ჟვანიამ და ბურჯანაძემ. არადა როგორი მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული პროექტის განხორციელება აფხაზთა და ქართველთა დაახლოების მიზნით.

ასევე იყო მრავალი ფაქტი იმისა, რომ ქართულ-აფხაზური მხარეები მოლაპარაკებების შედეგად აღწევდნენ საჭირო შეთანხმებას, მაგრამ შევარდნაძისა და ნადარეიშვილის ჩარევის შემდეგ, ეს ყველაფერი განუხორციელებელი რჩებოდა. ისინი სიტყვით, თითქოსდა მხარს უჭერდნენ სახალხო დიპლომატიას, მაგრამ მის განსახორციელებლად არაფერს აკეთებდნენ. ასეთი ფაქტები მრავლადაა წიგნში მოყვანილი.

სიმართლე უნდა ვთქვა, წინამდებარე წიგნში მოტანილი აღმაშფოთებელი ფაქტების გაცნობისას, არა ერთხელ მიფიქრია გულმა არ მიმტყუნოს-მეთქი და დროებით თავს ვანებებდი მის კითხვას. თურმე ჩვენს შორის (საზოგადოებაში) არსებობს ისეთი პიროვნება ბატონი ნაპო მესხიას სახით, რომელსაც ძალუძს პირითვნელად და მთელი პირდაპირობით თქვას მარადიული სიმართლე. თურმე რამდენი ავბედითი მაგალითის მომსწრე და რამდენი ტკივილიანი მოთმინების ტარება შესძლებია ადამიანს?!..

ბატონ ნაპოს თავისი წიგნის მეშვეობით ხალხის სააშკარა-

ოზე მთელი პრინციპულობით გამოაქვს ნამდვილი, უტყუარი ფაქტები, რასაც თავიანთი ავი ნააზრევითა და მოქმედებით ახორციელებდნენ ედუარდ შევარდნაძე და მისი დამქაშები, რომლებმაც აფხაზეთში მცხოვრები უდანაშაულო მოსახლეობა მოიყვანეს არნახულ ტრაგედიამდე. ნუთუ ეს ხალხი მთლიანად ისეთი დილიტანტები იყვნენ, რომ გათვითცნობიერებული არ ჰქონდათ ის, რომ ძლევამოსილი ომიც ბოროტებაა, რაც თავიდან აცილებული უნდა იყოს ჭკუით და გონებით.

თუმცა ძალით წართმეულს, ნებით ვერ დაგვიბრუნებს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ომის შემდგომ მაინც საღი, გონივრული დიპლომატიით გვემუშავა აფხაზებთან და მიგვეღწია რაღაც კონსესუსამდე?! ნამდვილი სარდალი ხომ გონებით იმარჯვებს და არა იარაღით!

აფხაზეთის ომით ბევრი გამდიდრდა, ბევრმა დიდ თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი და დღეს ისინი სულაც აღარ ფიქრობენ აფხაზეთში დაბრუნებაზე, რადგანაც მყარად არიან დაფუძნებული დედაქალაქში. ნუთუ მათ არ ესმით ის, რომ - „ყოველ ფრინველსაც უყვარს თავისი ბუდე, მხოლოდ ბაყაყისთვის სულ ერთია რომელ ჭაობში მოხვდება!“

ბევრმა დღეს დუმილი ამჯობინა, ვაი თუ უცაბედად, ჩემდა საზიანოდ რამე წამომცდესო და ისინი უფრთხიან სიმართლლის თქმას, მაგრამ - „ვინც ავ საქმეს ფარავს, ორგზის უფრო სასტიკ სასჯელს იმსახურებს“- (ევრიპიდე).

ბატონმა ნაპომ დუმილი დაარღვია და თავის მშვენიერ წიგნში ისეთი სიმართლე თქვა, ყველას თვალი აუხილა. კაცურმა-კაცმა სიმართლის ტვირთი იტვირთა, ზიდა და მოიტანა ჩვენამდე - საზოგადოებამდე. დიახ, ბატონებო, ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაიჩაგროს, მაგრამ, მისი საბოლოო დამარცხება შეუძლებელია.

ბატონი ნაპო მესხია ის კაცია, რომელსაც შესწევს უნარი და აქვს იმისი ალღოც, მიუხედავად დღეს არსებული დაძაბული მდგომარეობისა, თავისი ადამიანური ღირსებითა და პირუთვნელობით მაინც მიაღწიოს სასურველ შედეგს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

და ბოლოს, არ შემიძლია ბატონ ნაპო მესხიაზე, მის პიროვნებაზე არ ვთქვა ორი სიტყვა: ბატონმა ნაპომ მთელი თავისი ცხოვრების გზა სიკეთითა და პატიოსნებით გამოიარა, უნუგეშო უნუგეშებია, გაჭირვებულთათვის დახმარების ხელი წაუწვდენია. უაღრესად განათლებული, ზნემაღალი, ყოველმხრივ მისაბაძი და სიცოცხლის დამცველია. მიუხედავად იმისა, რომ საოპერაციოს ახლო-მახლო ყუმბარები და ბომბები სკდებოდა, მას ერთი წუთითაც არ უღალატია „ჰიპოკრატეს ფიცისათვის“ და ხელიდან არ გაუგდია საოპერაციო დანა, ბევრ დაჭრილსა და დასახიჩრებულს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ამ პიროვნებას გასაოცარი ჭირთათმენა და უდრეკი ნებისყოფა გააჩნია, ცხოვრებაში ბევრი ტკივილიანი გზა გამოიარა და გაუძლო ყველაფერს, არ გატყდა, რადგან მის სხეულში ბუდობს ხალხისადმი სიყვარული და რაც მთავარია უაღრესად სამართლიანი კაცია. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში, უყვართ, პატივს სცემენ და ეკითხებიან მას. ის გახლავთ სუფთა პოლიტიკოსი და დიპლომატიური ნიჭით (ალღოთი) დაჯილდოებული ადამიანი. წლების განვმალობაში მოღვაწეობდა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თავმჯდომარის მოადგილედ და როგორც ხალხის რჩეული (დეპუტატი) დაუღალავად შრომობს დევნილი ხალხისთვის, რათა ნაწილობრივ მაინც შეუმსუბუქოს მათ არსებული დუხჭირი ცხოვრება.

ბატონმა ნაპო მესხიამ თავის კაცობით კიდევ ერთხელ დაამტკიცა შესანიშნავი ნაშრომის მეშვეობით, რომ ის ღირსეული მამულიშვილია, რომელიც ემსახურება მხოლოდ სიმართლესა და სხვას არაფერს! ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი ნაპო მესხიას წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ ერთგვარ ბესტსელერად იქცევა ფართე მკითხველთათვის, გან-

საკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის და არამარტო მათთვის.

იური კაკავა
პუბლიცისტი

P.S.

დღეს, როდესაც „ჩრდილოეთის დათვი“ კარს მოგვდგომია და ნაწილ-ნაწილ ტორავს კოლხ-ივერთა სისხლით მორწყულ, ღვთივკურთხეულ ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს, სჯობს პირადულ ამბიციებს თავი ვანებოთ და ყურად ვიღოთ ყველამ ბატონი ნაპო მესხიას მიერ შემოკრული განგაშის ზარის ხმა, რომლითაც მან გვამცნო ის უბედურება, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი, რათა მომავალშიც აღარ მოხდეს ანალოგის განმეორება.

ი. კ.

სირცხვილია ნაპო მესხიას წიგნს „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ აკრიტიკებდე

მეგობრებო, ძალიან მოკლედ, ორი სიტყვით მინდა გამცნოთ, რომ სირცხვილი მათ, ვინც შეეცადა გააკრიტიკოს ბატონი ნაპო მესხიას (ღვაწლმოსილი მეცნიერის მედიცინის დარგში) წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, წიგნი, რომელიც ჯერ კიდევ ელის ღირსეულ შეფასებას, რამეთუ ასე ზუსტად აფხაზეთის ომის შესახებ არავის დაუწერია სიმართლე. მან შექმნა დიდებული ქმნილება - საგანძური (სხვას ამას ვერ უწოდებ). სხვას რომ თავი დავანებოთ, წიგნი აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენასა და შერიგებას ემსახურება - წიგნი, რომელიც სინამდვილეს ღაღადებს. ხომ არ გეშინიათ ამ სიმართლის ბატონებო, ამიტომ ხომ არ ფაფხურობთ? გრცხვენოდეთ, თქვენი ვინაობის დასახელება მიჭირს, მაგრამ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის.

ლტოლვილი საზოგადოება მოითხოვს: ხელები შორს ნაპო მესხიას დაუფასებელი ქმნილებისაგან. ნაპო მესხიას იმდენი გაუკეთებია ნეიროქირურგიის დამკვიდრების საქმეში აფხაზეთში და ლტოლვილებში საქართველოში, რომ ღირსია სიცოცხლეშივე დავუდგას შთამომავლობამ ძეგლი. ახლო მომავალში თუ არ შეწყდა ცილის წამება (სხვა არაფერია), ელოდეთ მის დასაცავად მრავალათასიან მიტინგებს, სადაც საჭიროა.

მამანტი ჯოლია
ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან)
თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის,
შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა
კავშირის საპატიო თავმჯდომარე

გაზეთი **„ილორი“**, N 252, 2014

ნაპო მესხიას წიგნების პრეზენტაციაზე, მათი შეფასებები საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ

მკითხველთა დიდი აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა 2009 წელს, ცნობილი სოხუმელი ნეიროქირურგის ნაპო მესხიას ავტორობით გამოცემულმა წიგნმა **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“,** რომელიც გაზეთ **„ილორის“** ფურცლებზეც იბეჭდებოდა (ნაპო მესხიამ უდიდესი პატივისცემა გამოხატა პირად საუბარში გაზეთ **„ილორისა“** და ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ - **ლ.ქ.).** ორი წლის შემდეგ, - ამ დღეებში, ასევე ნაპო მესხიას ავტორობით, გამოვიდა ამ წიგნის რუსული ვარიანტი **„ Как отторгалась Абхазия“** - უფრო სრულყოფილი და სამართლით გაჯერებული, ვიდრე ქართული ვარიანტია.

საზოგადოება „**ზუგდიდელის**“ ინიციატივითა და ძალისხმევით ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ამ წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. **„არ ველოდი, თუ ასეთი უნარი გამაჩნდა, მაგრამ ცხოვრებამ ისეთ პირობებში ჩამაყენა, რომ შევძელი კიდევაც. წიგნის დაწერა თუ გინდა, საქმე კარგად უნდა იცოდე. ეს წიგნები ერთბაშად არ დაწერილა. მას წინ უძღოდა დიდი ხნის ფიქრი და განსჯა. ქართულ ენაზე დაწერილი ჩემი წიგნი ბევრმა აფხაზმა წაიკითხა და მთხოვეს, რომ დამერთო ნება რუსულად ეთარგმნათ, მაგრამ მე მათ უარი განვუცხადე და შევპირდი, რომ თავად დავწერდი რუსულ ენაზეც და ამან განაპირობა კიდეც რუსულ ენაზე ამ წიგნის გამოცემა, რომელიც უფრო სრულყოფილი გამოვიდა, ვიდრე ქართულ ებაზე დაწერილი!“ -** აღნიშნა ამ შეხვედრაზე ნაპო მესხიამ.

წიგნში, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლება და ასახულია, თუ როგორ მიზანდასახულად იკარგებოდა,

სხვისდებოდა აფხაზეთი. ზუგდიდის რაიონული პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ვახტანგ კუკავას კითხვაც ნაპო მესხიასადმი ასეთი იყო:

- რაც მოხდა, ხელისუფლების მხრიდან შეუგნებლად თუ შეგნებულად იყო გაკეთებული? მათ იცოდნენ წინასწარ შედეგი?

ამ კითხვაზე პასუხი არა მხოლოდ ვახტანგ კუკავას, არამედ ყველა დამსწრეს აინტერესებდა. ნაპო მესხიას პასუხი იყო ცალსახა და კატეგორიული: **„რა თქმა უნდა შეგნებულად, აფხაზეთის გასხვისება ჩაფიქრებული იყო კარგა ხნით ადრე. სამეგრელო რომ დაარბიეს, აფხაზეთს ზურგი მოუნგრიეს, რათა უფრო ადვილად ჩაებარებინათ!“ -** განაცხადა ნაპო მესხიამ. მან ამ შეხვედრაზე მყოფთ: ყოფილ პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს შეახსენა, თუ რამდენჯერ მიმართა მათ თხოვნით, გადაეცათ მისი მოსაზრებები საქართველოს მაშინდელი **„პრეზიდენტისათვის“,** რათა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დარეგულირებულიყო, მაგრამ ამაოდ.

ნაპო მესხია ჩვენს ჩრდილოეთ მეზობელთან არსებულ ურთიერთობასაც შეეხო - „**არაა, რა თქმა უნდ, მოსაწონი, რომ ვაგინებთ რუსეთს. რუსებმა ჩვენ თვითმყოფადობა და თავისთავადობა შეგვინარჩუნეს, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. სანამ არსებული ხელისუფლება იქნება, ჩვენს ხსნას საშველი არ დაადგება!“** დასძინა ნაპო მესხიამ.

ამ შეხვედრაზე ყველა გამომსვლელი ერთსულოვანი იყო, რომ წიგნი არის უბადლო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიმართლე.

ოთარ ფაცაცია, საზოგადოება **„ზუგდიდელის“** თავმჯდომარე: **„პროფესორს, ცნობილ ნეიროქირურგს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა კალამიც ააღებინა ხელში და ქაღალდზე გადაატანინა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია“.**

მურმან ნაჭყებია, საზოგადოება **„ზუგდიდელის“** თავჯდო-

მარის მოადგილე: **„ნაპო მესხიამ თავის წიგნში მწარე სიმართლე დაუფარავად გადმოსცა, დროა, სახალხო მოძრაობა „სამეგრელომ“, საზოგადოება „ზუგდიდელმა“ და საზოგადოება „სამურზაყანომ“, ნაპო მესხიასთან ერთად, მოვძებნოთ აფხაზებთან მისასვლელი და დასაახლოებელი გზები. უნდა მოვახერხოთ მათთან საერთო ენის გამონახვა, ნდობის აღდგენა... “**

ბონდო ჯიქია, „სამეგრელო-ზემო სვანეთის“ ყოფილი გუბერნატორი: ღრმად მწამს, რომ, ამ კოლხი კაცის ნაწარმოები გამოადგება, განსაკუთრებით, ახალ თაობას, მტყუან-მართალის გარჩევაში“.

თამაზ ცანავა, „ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი: ასეთი სიმართლე, რაც აფხაზეთში ომამდე, ომის პერიოდში და ომის შემდეგ მოხდა, არავის აღუწერია ნაპო მესხიას გარდა. ეს არის უნიკალური წიგნი, რომელიც უნდა ისწავლებოდეს უმაღლეს სასწავლებელში, როგორც კონფლიქტოლოგიის საუკეთესო ნიმუში.“

ნაპო მესხიამ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა გალის რაიონის მკვიდრის, ინჟინერ ნუგზარ სართანიას ღვაწლი და ამაგი. **„რომ არ ყოფილიყო ნუგზარ სართანია, მე ვერ შევძლებდი ამ წიგნის რუსული ვარიანტის გამოშვებას“** - აღნიშნა ნაპო მესხიამ. როგორც შეხვედრაზე თქვა, უახლოეს დღეებში თბილისში დაგეგმილია ამ წიგნის პრეზენტაცია უფრო ფართო მასშტაბით.

ლადო ქირია,
ჟურნალისტი

სპეციალურად გაზ. „ილორისათვის“
გაზ. **„ილორი“,** 2011 წლის 28 ივნისი-5 ივლისი.

ნაწილი IV
აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების გენეზისი

აფხაზეთში დამარცხებისა და მისი გასხვისების მიზეზები საკუთარ, ეროვნულ თვითშეგნებასა და ქვეცნობიერის წიაღში უნდა ვეძიოთ

აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების მიზეზი უფრო საკუთარ, ეროვნულ თვითშეგნებისა და ქვეცნობიერების წიაღში უნდა ვეძიოთ - ასეთი აზრი გამომყვა ცნობილი მწერლის, გურამ ოდიშარიას ნაწარმოებიდან – **„ომამდე დამარცხებული“.** ამაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ ერის ცხოვრებიდან მწერლის მიერ დანახული ეპიზოდები, იმდენად ზუსტი და შთამბეჭდავია, რომ მის რეალობაში არავის იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეიძლება შეეპაროს.

დღეს უკვე სადავოც არაა, რომ არსებული ვითარება, ხელისუფლების უნიათობის, უნიჭობის, ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. მაგრამ მავანს მაინც უჩნდება კითხვა: ხომ არ ჰქონდა ადგილი კიდევ სხვა არსებით მიზეზებსა და გარემოებებს, რატომ გაგვწირა უფალმა ასე, თუ მისი რჩეული ერი ვიყავით? აკი ხშირად გავიძახით კიდევაც ხმამაღლა: **„რაც კარგები ვართ,ქართელები ვართ“...**

ასე **„ჰარი-ჰარალედ“** რომ არ გვქვს საქმე ბოლო 20–25 წლის განვმალობაში ნათლად გამოჩნდა: ჯერ სამკვდრო–სასიცოცხლოდ გადავეკიდეთ ერთმანეთს, მივანგრ–მოვანგრიეთ ყველაფერი, რისი განადგურებაც შეიძლებოდა და საბჭოთა იმპერიის დაშლისას, ყველაზე უკეთესი სასტარტო მდგომარეობის მქონე ერი ისე ჩამორჩა ყველას და ყველაფერს, რომ გეოპოლიტიკურ გზაგასაყარზე მდგომთ

ვერ გადაგვიწყვეტია საით ჯობია, სად წავიდეთ – უზნეობისკენ, გადაგვარებისკენ, ეროვნული თავისთავადობის და თვითმყოფადობის, მართმადიდებლური კულტურის და ერის იერსახის დაკარგვისკენ, თუ ყველა ამ და სხვა ფასეულობების გადარჩენა და შენარჩუნებისკენ? რა გვჭირს ასეთი, რა ღმერთი გაგვიწყრა! ხომ არ მართლდება ცნობილი რუსი მწერლის, **ვიქტორ ასტაფიევის** მიერ თავის მოთხრობაში **(„Ловля пескарей в Грузии“)** გამოთქმული მოსაზრება ქართველი ერის შერყეული ზნეობრივი და სულიერი ჯანმრთელობის შესახებ? ნუთუ ეს ასეა? თუ არადა რა გვემართება, რომ დღესაც არ გავრკვეულვართ რა გვინდა, რანი ვართ?!

პასუხს ამ და სხვა ასეთ კითხებზე დაინტერესებული მკითხველი მიიღებს, თუ გადაშლის ცნობილი მწერლის ბატონ გურამ ოდიშარიას წიგნს „ომამდე დამარცხებული“, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ ავტორთან შეთანხმებით. გაეცანით მას და თავად განსაჯეთ. კომენტარი და ბოლოთქმაც თქვენთვის მიმინდვია, ძვირფასო მკითხველნო.

ნაპო მესხია

* * *

...1993 წლის 2 ოქტმობრის შუაღამე. უღელტეხილი. ალპური ზონა. გზისპირა ლოდთან ვჩერდებით მე და ჯემალ დარასელია. სულს ვითქვამთ. ლოდს მოხუცი ქალი გადასწოლია, ძლივს გასაგონად კვნესის – მიშველეთ, დამეხმარეთ! ვერ ვშველით, ვერ ვეხმარებით. არც პური უნდა, არც წყალი მოხუცს, სამშვიდობოს სურს ყოფნა, შვილებსა და შვილიშვილებთან; სიცოცხლე უნდა. ჩვენ მისი ტარება არ შეგვიძლია. აღმართზე ღმუილით ამოდის „ურალი“ – სამხედრო სატვირთო მანქანა, „ურალი“ სამხიდიანია, ადვილად ძლევს უღელტეხილს. კაბინა ახალგაზრდა სამხედროებითაა გაჭედილი. გააჩერეთ, ბიჭებო! – ვყვირით ჩვენ. არ აჩერებენ. გახევებულები მხოლოდ წინ იყურებიან. არადა, სახე ყველას ერთნაირი აქვს. ვერც ერთს ვერ დაიმახსოვრებ. ეს მათ არც კარგად იციან. „ურალი“ გვშორდება. ახლაღა ვამჩნევთ, რომ „ურალის“ ძარაზე კაციშვილი არაა. „ურალი“ ღრიალით ჯაბნის აღმართის მკვეთრ მოსახვევს. ვაკვირდებით და... უცხოური მანქანა, თუ არ ვცდები – „მერსედესი“, დაღლილი, ძვირფას ბეწვიანი ცხოველივით ჩაყუჟულა „ურალის“ ძარაში. ეტყობა, მაგრადაა მიკოჭილი ძარას, თორემ ასე რომ არყოფილიყო, ციცაბო აღმართზე გადმოქანდებოდა და ჩამოსრიალდებოდა. მიდის „ურალი“, გზისპირას, ლოდზე მოხუცი კვდება, ჩვენც, – სიქაგამოცლილები, ისე ვუყურებთ ამ სურათს, თითქოს ეს ყოველივე სხვა ქვეყანაში, ან სულაც უცხო ფილმში ხდებოდეს; საკენში ასეთი „ურალის“ მძღოლები მანქანის გადაყვანაში მილიონ რუსულ მანეთს ითხოვდნენ. კლიენტები ბლომად ჰყავდათ. „ურალს“ კი შეუძლია 30–40 ადამიანი გადაიყვანოს სამშვიდობოს, 30–40 მომაკვდავი გადაარჩინოს, მაგრამ კაციშვილი არ ჩანს „ურალის“ სვლის შემჩერებელი. ვერც იარაღს გამოიყენებს ვინმე, მაშინ აქვე ოთხი ავტომატურ პასუხებს გასცემს არამკითხეს კაბინიდან. არ ჩანს კაცი, „ურალი“ გააჩეროს, „მერსედესი“ გზისპირას დააგდოს, 30–40 ბავშვითა და მოხუცით დახუნძლოს მანქანა.

ეს სურათი ჩემთვის საქართველოს სირცხვილია – უღელტეხილი, „ურალი“ და „მერსედესი“, მომაკვდავი ადამიანები. ეს სურათი ჩემთვის გერბია ჩვენი დამარცხებისა!

ომი ომია, ომის შემდგომი მშვიდობაც თავისებური ომია. ერთნი ვამტკიცებთ, რომ ომი რუსეთთან წავაგეთ, მეორენი ვასაბუთებთ, რომ ომი წავაგეთ ჩრდილოეთ კავკასიელებთან და კაზაკებთან, მესამენი – სხვას ვამბობთ. მოდით, მათ თავი დავანებოთ და იმ ომზე ვიმსჯელოთ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო, იმ ომზე, რომელშიც საქართველო დამარცხდა საქართველოსთან! არც პოლიტიკოსი ვარ, არც სამხედრო საქმე ვიცი, ვერც ვერავის განვიკითხავ, მაგრამ ერთი რამ ცხადია – საქართველოს როგორმე უნდა შეეჩერებინა ეს ომი და არ უნდა წარემართა ის, ან უფრო

ზუსტად – არ უნდა დაეწყო! ვერ მოახერხა! სწორედ ამიტომაც დამარცხდა ქართული პოლიტიკა და ამ დამარცხებამ ამდენი სისხლი დაღვარა. გავა დრო და ომის გამომწვევ მიზეზებს სპეციალისტები გაანალიზებენ. ჩემი სათქმელი სხვაა – საქართველო ომამდე იყო დამარცხებული! აფხაზეთის ომი საქართველოს უპირველეს ომში დამარცხების დასტური იყო. მეტი არაფერი. საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ, სხვა ქვეყანას, დასაბამიდან დაებედა თავისი უპირველესი და მარადიული ომი. ესაა ომი საკუთარ თავთან, ესაა ომი ზნეობისა უზნეობის წინააღმდეგ, სიკეთისა – ბოროტების წინააღმდეგ, ერთგულებისა – ღალატის წინააღმდეგ, სიყვარულისა – სიძულვილის წინააღმდეგ... და როგორც ვერავინ და ვერასოდეს გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს. ის მისი მარადი თანამგზავრია. როდესაც საქართველო იგებდა უპირველეს ომს, ის ერთიანი, ძლიერი, ბედნიერი ქვეყანა იყო მაშინ და სხვა ომებსაც იგებდა. ხშირად უბრძოლველად აცილებდა ომს და მტერსაც კი მოსწონდა ასეთი საქართველო. როდესაც აგებდა უპირველეს ომს, უბედურდებოდა და სხვა ომებსაც აგებდა უმალ.

სანამ საქართველო დამარცხებულია თავის უპირველეს ომში, ის ვერც ერთ სხვა ომს ვერ მოიგებს, მარად დამარცხებული იქნება! ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ – მე არ ვსაუბრობ იმ ომზე, რომელშიც სხვებთან დავმარცხდით, არამედ იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო!

ტანკებით და ავიაციით რკინიგზას არ იცავენ, ჩვენმა პოლიტიკამ ვერ გაისიგრძეგანა თავისი ქმედების რეალური შედეგი. ომმა იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანი, სამკვდრო–სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს ორი ხალხი, აზვირთდა სიძულვილი. დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაიღუპნენ პატიოსანი, კეთილი ადამიანები, როგორც ეს ყოველთვის ხდება (როგორც ზემოთ ვთქვი, ომში დაღუპულთა უმრავლესობა უდანაშაულო, ნათელი სულისანი არიან). ეს წესია ომის, მისი ზნეა, მისი რელიგია. ჩვენ ღმერთი გვსჯის იმიტომ, რომ გვართმევს რჩეულებს.

ჩვენ აფხაზეთის ომამდე ვიყავით დამარცხებული!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილის ესკალაცია განვავითარეთ, როცა ბოღმის შხამი ვანთხიეთ, იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა – „ქართველებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“. მეგობარი მტრად გავიხადეთ, მოწინააღმდეგეს ამ გზის მტრად მოვიკიდეთ, საკუთარ ოჯახში აგენტებისა და ხალხის მტრების ძიება გამოვაცხადეთ, უღირსი აღვაზევეთ, განსხვავებულ აზრს ყიჟინით გამოვენთეთ. უპირველესად სიტყვით გავხდით მკვლელები ერთმანეთისა: სიტყვით იმიტომ, რომ დავივიწყეთ ჩვენს წმინდა წერილებში თქმული – **„ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცის მკვლელია“.** დავივიწყეთ რუსთაველი – **„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“,** ეს რუსთველოლოგებმაც დავივიწყეთ, პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე მდგარმა რუსთველოლოგებმაც.

მოძულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედნი არიან, გამომხმობები არიან ომის. ავ სიტყვებს ავი სროლები მოჰყვა. პატივცემულ „მაკაროვს“ პატივცემული „კალაშნიკოვი“ აჰყვა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საშინელებათა სპექტაკლში ხდება, გაიბზარა საქართველო. უბედურება საქართველოს გულიდან დაიწყო. ჩვენს მიერ ბრიყვულად და ბოღმით მოქნეული მარჯვენის ინერციამ ჩვენვე დაგვცა. იარაღი არაკაცებსაც ჩაუვარდათ ხელში, იარაღმა მოგზაურობა დაიწყო მამულში. **ჩვენ აქ, თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი! ომი, რომელიც არა და არ უნდა დაგვეწყო!**

თუ, მართალია, სადღაც, სხვაგანაც იწერებოდა ამ საშინელების სცენარი, ჩვენ ზედმიწევნით ჩინებულად შევასრულეთ ჩვენი როლი და მიამიტებივით ვიძახით: ჩვენ ამის გაკეთება არ გვინდა, ამას სხვები გვაკეთებინებენო.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა უგუნურად მოვიქეცით

სამეგრელოში. როცა უცოდველი ადამიანები დავსაჯეთ, უდანაშაულოებს დავერიეთ, ვძარცვეთ ჩვენი ხალხი. არ ზოგავდა ამ კუთხეს დამამხობელი ხელისუფლება და, ფაქტობრივად, სისხლის ღვრისკენ, ომისაკენ მოუწოდებდა მას, ცდილობდა, ბოლომდე მიეყვანა მისი პოტენცია, გულუბრყვილობაც. არ ზოგავდა ამ კუთხეს ახალი, ძველის იარაღით მძლეველი ხელისუფლება... და, საბოლოოდ, ცოდვათა მორევში ხალხი ისჯებოდა, ისჯებოდა სრულიად საქართველო. შედეგად ბაბილონელებივით სხვა და სხვა ენაზე დაიწყეს საუბარი დედაქალაქმა და პერიფერიებმა. ერთმანეთის ჭირისადმი ზედაპირულმა, აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთმანეთის სატკივარის ვერგაგებამ, ღალატმა დაგვამარცხა.

საქართველოს ისტორიის დაწყევლილი წლებიდან კვლავ ამოტივტივდა მოჯადოებული ტახტი და არ დაახანა ბრძოლამაც ტახტისათვის, იმ ტახტისათვის, რომელიც მიუხედავად XX საუკუნისა, მიუხედავად ჩვენს თავსდამტყდარი ამდენი უბედურებისა, ბრიყვსაც კი რომ ასწავლიდა ჭკუას, მაინც ბაჯაღლო ოქროსი გვგონია, არა და, ავი დემონის მიერაა მოოქროვილი, მხოლოდ ჩვენს მიერ სისხლით მოთხვირლი. ჩვენ დაგვამარცხა იმ ტახტის ოქროს ფერმა, მასზე ახლად დაღვრილმა და მასზე შემხმარმა, ძველმა სისხლმაც! ჩვენ დაგვამარცხა ურთიერთსიძულვილმა და დაუნდობლობის იმ ტრადიციამ, რომელიც ვერა და ვერ ამოვიშანთეთ გულიდან.

ჩვენ დაგვამარცხა უღმერთობამ!

ჩვენ მითიური, ორთავიანი ფრინველივით დავღუპეთ საქართველოს სხეული, იმ ფრინველივით, რომლის თავებმაც შეიძულეს ერთმანეთი და ერთი მეორის საზიანოდ ქვების ყლაპვა დაიწყეს. ორი თავი, მაგრამ ერთი სხეული, ერთი კუჭი ჰქონდა ფრინველს... და მან ვერ მოინელა მოძულეთა ვეების ნაყლაპი ქვები და დაიღუპა.

ჩვენ სიძულვილის გამო დავისაჯეთ, დავისაჯეთ სიძულვილისა და სიბრიყვის გამო! დავისაჯეთ იმ უკიდურესი რადიკალიზმის გამო, რომელსაც ადევნებულებმა თავი მერამდენედ ამოვყავით მახეში და მერამდენედ მოვხვდით სისხლის ნიაღვარში. მოვინდომეთ ერთი ნახტომით გადავვლებოდით იმ უფსკრულს, რომელსაც, ყველაზე ცოტა სამი ნახტომი მაინც სჭირდებოდა. ჩავვარდით კიდეც!..

ჯერ ძმათმოძულეები, ხოლო შემდეგ ძმათა მკვლელები გავხდით. ასე დავმარცხდით სწორედ! ღმერთმა დასწყევლა ძმის მკვლელი კაცნი. მანკი, სასო წარკვეთილმა, ამოთქვა: „ამის შემდგომ ვინც მე შემხვდება, ის მომკლავს მეო“. ღმერთმა ნიშანი დაადო კაცნს, რათა არავის მოეკლა იგი. მას უნდა ეცხოვრა და თავისი ცოდვით ევლო ამ ქვეყანაზე. ღმერთმა მას სიცოცხლე მიუსაჯა – სასჯელის უმაღლესი ზომა! არავითარი მნიშვნელობა არა ქვს, ორ ძმას შორის რომელია მართალი. საშინელებაა, რომ ერთ-ერთი ძმის მკვლელია. ასეთთან კი საუბარიც ძნელია; ასეთთან არც ლხინის სუფრაზე გვერდით ჯდომაა სახალისო!

ასე დავმარცხდით ჩვენ!

უღელტეხილზე ბავშვები და მოხუცები გვეღუპებოდნენ, ჩვენ, კი, შიშისა და სიხარბისგან დაბრმავებულები, „ურალებითა და ვერთმფრენებით ქონებას მივეზიდებოდით, ვძარცვავდით ნახევრადცოცხალ თვისტომთ, მათ, რომლებსაც სახლიდან ერთი ფუთიღა მოჰქონდათ, ფუთა და იმედი იმისა, რომ – ნაწამებთა და დევნილთ უპატრონებდა და მოეფერებოდა მამული ჩვენ ყველამ ერთად გავწირეთ მათი და ჩვენი იმედი. რამდენი სიკეთე ხვდებოდა ხალხს გზადაგზა, რამდენი თანამდგომი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიავის მოწმეც გავხდებოდი ოდესმე. აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ – **აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს უღელტეხილზე მოვეპყარით. ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ ზნეობრივ ომში დავმარცხდით და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან!**

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა კომფორტის თაობას და-

ვამონებინეთ თავი. საქართველო მუხლებზე დაეცა ამ თაობის წინაშე. უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. **ჩვენ დაგვამარცხეს ფულისა და უცხოეთის მაღაზიების კულტით, „ყოჩაღი ბიჭებისა“ და სიყალბის განდიდებით. ჯერ კიდევ სამოციან წლებში მიუსხდნენ ერთ მაგიდას ქურდები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ჩარჩები და ჩინოსანი მოხელეები. საბოლოოდ იშვა მახინჯი ჰიბრიდი – მაფიოზთა, ჩარჩთა და მედროვეთა ქვეყანა. დაითრგუნდა სინათლე!**

ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი უღელტეხილი. ჩვენ შუა უღელტეხილზე, სიკვდილ–სიცოცხლის სამანზე ვიმყოფებით და იქვე დავრჩებით სამუდამოდ, სანამ ჩვენს გვერდით ადამიანები იხოცებიან და სანამ ჩვენს გვერდით ტაატით გადიან გზას უცხოური მანქანებით დატვირთული „ურალები“. სანამ ასეთი გაჭირვების ჟამს, რომლის მსგავსიც, ვგონებ, არც ჩვენი ისტორიული მახსოვრობის შრეებშია, ვმუხთლობთ ერთმანეთს, სანამ ასე გათითოკაცებული და კუთხეებად დაყოფილი უგუნურები და უსინდისოები სიძულვილს ვამეფებთ, სანამ ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ, სანამ ბოღმა გვახრჩობს, სანამ სრულიად საქართველოს სიყვარული და სინათლე, სრულიად საქართველოს სიკეთე და გონი სადღაც კუთხეში არ გვყავს მიმწყვდეული და განწირული, იქ ვიქნებით, იქ, სამუდამოდ – უფსკრულის ნაპირზე მდგარნი, უღელტეხილის სუსხსა და ქარში, ნისლსა და მარტოობაში, ერთა შორის ეულები, განგების მიერ დასჯილი, გადაგვარებული მამულიშვილები!

ჩარჩი გავიბატონეთ სულში, გავიმეფეთ, ჩარჩს დავაპყრობინეთ სულის უწმინდესი სფერო, გავიბინძურეთ სული და სულჩარჩიანებმა დიდჩინოსნებმა და წვრილმა სამხედროებმა, გაზულუქებულმა, ფუფუნებას დაჩვეულმა სამოქალაქოებმა, იქითურებმა და აქეთურებმაც ათასნაირი გზითა და ხრიკით ვყიდეთ და ვყიდეთ „მკვდარი სულები“ იმ ომში, რომელიც არა და არ უნდა დაწყებულიყო. ვყიდეთ „ქაღალდის

ბატალიონები“, იარაღი და პროდუქტები, სამხედრო ფორმები და ჯარისკაცის კბილის ჯაგრისებიც კი, კაცობა გავყიდეთ და გავყიდეტ იმედი და რწმენა, მერე ვზიდეთ და ვზიდეთ ოჯახებში საქართველოს დამარცხება, საქართველოს დაცემა, საქართველოს სირცხვილი!

განუკითხაობამ დაგვამარცხა ჩვენ!

ინგრეოდა სოხუმი, გრუხუნებდა ომი მის ერთ უბანში, მეორე უბანს კი ყიდულობდნენ ჩარჩები, ყიდულობდნენ და ყიდიდნენ, ინაწილებდნენ, ევაჭრებოდნენ ერთმანეთს. იყიდებოდა უცხოეთიდან მოტანილი ჰუმანიტარული დახმარება გემებითა და თვითმფრინავებით. ნარკობიზნესმენები უცოდველნი ჩანან „ჰუმანობიზნესმენების“ ფონზე. ცნობლია – ვაჭართა ქარავნის ხუთიოდე მოლაღობე ყაჩაღი აცეკვებს თავის ნებაზე. ჩარჩი მხდალი, საცოდავი არსებაა. **ჩარჩული სულით გაჟღენთილი ომი დიდი ხნით ადრე დამთავრდა დამარცხებით.** ვერ იქროლებენ, ბიჭებო, თქვენი ძვირადღირებული მანქანები, საშინელი სიკვდილით საღუპული 30–40 სული ყოველდღე თან სდევს მათ და სულტყუილად გგონიათ, რომ ისინი ვეღარ გხედავენ თქვენ. ბოლო–ბოლო მანქანების გადაყვანას მერეც ხომ მოასწრებდით, როცა დევნილებს ეშველებოდა. განწირულები ხართ, ბიჭებო, ცოდვიანია თქვენი ქონება. მონები ხართ თქვენი ცოდვისა, არა მარტო თქვენ, ჩვენც – ყველანი, თქვენს გამო! თქვენს ფულს ვასიკო ჯიშკარიანის – რაინდი მეომრის – სისხლი აცხია, ვასიკოსი, რომელიც ამბობდა – მოვა დრო და აუცილებლად შევროგდებით ქართველები და აფხაზები, უპირველესად ნამდვილი მეომრები შევრიგდებით, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, კაცები და არა მკვლელები, არა ბინძურები. **თქვენითაც დავმარცხდით ჩვენ;** სავალალოა ჩვენი მდგომარეობა! ფულის კეთების სხვა გზებიც ხომ არსებობდა, ბიჭებო! **იქ სადაც ჩარჩულისეული აღზევდა, გამარჯვება არ გვეწერა!**

იცით, როგორ იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში? დიდ, გულამოცლილ გოგრას ხვრელს უკეთებენ და შიგ საჭმელს ყრი-

ან. მაიმუნი ჩაყოფს ხელს გოგრაში, მუჭით იღებს საკვებს და უკან ამოღებისას დამუშტული მტევანი აღარ ეტევა ხვრელში. მოდიან მონადირეები, მაიმუნს გაქცევა უნდა, კივის, ჩხავის, მაგრამ ხარბია, საჭმელი არ ეთმობა, ხელი გოგრიდან ვერ გამოაქვს.. ასე იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში!

იცით, როგორ იჭერენ ბანანა–თევზებს ამერიკაში? დაახლოებით ახლახან ნახსენები გოგრის მსგავს გოგრაში ბრინჯს ყრიან და წყალში ათავსებენ. შეცურდება სულელი ბანანა–თევზი, ჭამს ბრინჯს, ჭამს და მერე უზომოდ გაბერილი, ვეღარ ეტევა ხვრელში, მოდიან მეთევზეები და წყლიდან ამოაქვთ გოგრა. ასე იჭერენ ბანანა თევზებს ამერიკაში!

ჩვენ ვერც საფლავი დავთმეთ, ბიჭებო, ვიხმაურეთ და ვიყვირეთ, ამერიკასაც გადავძახეთ და აფრიკასაც, იაპონიასაც და ბურკინა ფასოსაც, **მაგრამ ხარბნი და უძღებნი ვერ გავეტიეთ იმ ხვრელში, რომლის იქით ულამაზესი, ლაღი და თავისუფალი სივრცე იქნებოდა... ასე დავმარცხდით ჩვენ აქ, საქართველოში.**

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ რა რუსეთს, ჩვენი ლიდერები საბელადო ფრაზებით საბელადო ქულებს იგროვებდნენ მიტინგებზე. კრიტიკა – კრიტიკად, მაგრამ სად იყო ის სიბრძნე, რომელსაც საქართველო ქარბორბალაში მოხვედრილი ხომალდივით უსაფრთხოდ უნდა გამოეტარებინა წყალქვეშა რიფებით დანაღმულ წყლებზე. სად იყო ის დიდოსტატი, 10–15 სვლით ადრე უნდა სცოდნოდა, თუ რა სიტუაცია შეიქმნებოდა პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, იმ დაფაზე, სადაც ხისგან გამოთლილი ფიგურები კი არა, ადამიანები იღუპებიან.

ხანდახან რეალობის შეგრძნებადაკარგულები სადღაც მოვისვრით ყუმბარას და არც ვუფიქრდებით, სად აფეთქდება...

საქართველოს ნგრევა მისი სულის ნგრევიდან დაიწყო („ინგლისელებს არ დაუპყრიათ ინდოეთი, არამედ იგი ჩვენ თვითონ მივეცით მას“, – მაჰათმა განდი).

ჩვენ ბრალმდებელთა ქვეყანა ვართ, სადაც ყველა ერთმანეთს განიკითხავს და ასამართლებს, საკუთარი თავი კი უცოდველი მიაჩნია. ანგელოზების მხარეშიც არ ხდება ასე! ქვეყნის გამგებლებს არც ადრე ჰქონდათ გათავისებული და არც ახლა ახსოვთ ძველთუძველესი, ზეციური პრინციპი – რომ ისინი მწყემსები არიან – და საქართველოს ნებისმიერი მოსახლე შვილია მათი და ისე გაუფრთხილდნენ, ვით საკუთარ პირმშოს; გაუფრთხილდნენ, მიესათუთონ თავიანთ სამწყსოს და უყვარდეთ უკლებლივ ყველანი! უყვარდეთ და შეიყვარებენ! **მამული, მთები და მდინარეები გეოგრაფია და გეოპოლიტიკა კი არ არის, მამული – ადამიანია! სანამ თავად არ ჩავწვდებთ ჩვენი სირცხვილის არსს, სანამ თავად არ ჩამოვირეცხავთ ლაფსა და ტალახს, სანამ არ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელს ყოველგვარი მიკიბ–მოკიბვისა და სიძულვილის გარეშე, ჩვენი საშველი არ იქნება.** ჩვენი თანადგომით უნდა ვუკურნალოთ ერთმანეთსაც და უბედურებების რკალში მოწრიალე ქვეყანასაც, **ჩვენ თავად უნდა დავდგეთ ფეხზე, თორემ სხვათა იმედით ვერასოდეს გავიმართებით წელში!** არადა, დაწყევლილებიც ვართ – როცა ერთმანეთს მწარე, მაგრამ საჭირო სიმართლეს მივაგებებთ, ჩვენს სიტყვებს შორის აღარ ისმის გულის კაკუნივით ხმა – „ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ და მინდა, ყველას უყვარდე! უკეთესი მინდა იყო!“

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა 87 პროცენტით ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, ხოლო 95 პროცენტით სახელმწიფოს მეთაური. ნებისმიერი ნორმალური ქვეყნისათვის არანორმალური პროცენტებია. თუ მათთან ვითარება ასე წარიმართა, საგონებელში ჩავარდებიან. **ჩვენ ერთი კაცის შემყურე ქვეყანა ვართ! ჩვენ გვჭირდება ის ერთი კაცი იმისათვის, რათა მერე, როცა დრო დადგება, ყველაფერი მას გადავაბრალოთ. ჩვენ მისი მსხვერპლად შეწირვა გვჭირდება. ოღონდ ჩვენ არ ვიყოთ რამეში დამნაშავე!** ჯერ ცაში ავტყორცნით მას, გავაღმერთებს და მერე ერთგვარი სიამოვნებითაც დავანარცხებთ მიწაზე. ესაა ჩვენი ფარული უზნეო შეთქმულება! ისე

ვცხოვრობთ, თითქოს იჯარით აღებულ ქვეყანაში ვიყოთ. **მოშლილი სახელმწიფოს ერთიანობისა და მისი სინდისი ერთიანობის სტრუქტურა, ასევე ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობაც.**

ზოგიერთი ჩვენგანი დღეს თავს იმშვიდებს – ასეთ დღეში ჩავარდნილ სხვა ქვეყანას საქმე ბევრად უარესად ექნებოდაო. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ეს ჩვენ რას გვიშველის? ან რას გვაძლევს ეს, თავს რატომ ვიტყუებთ? სხვებს შევეშვათ, **მოდით უპირველესად პასუხი საკუთარ თავს მოვთხოვოთ; მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები – დიდნი და მცირენი. ჩვენ ხომ ცოდვმრავლები ვართ. ყველაფერი სულიერი განწმენდიდან უნდა დავიწყოთ და მხოლოდ შემდეგ განვიკითხოთ სხვები. ეს ხომ კაცური და პატიოსანი ქმედება იქნება. ძნელია და შეუძლებელი მოუნანიებელი სულით ცხოვრება...**

გაზეთი **„საქართველო და მსოფლიო“**
16.10.2014.

КАК И ПОЧЕМУ ВСЕ ЭТО БЫЛО И КАК ЖЕ ТЕПЕРЬ?!

К абхазской трагедии!

Крушение империи и национально-освободительное Движение, охватившее все советское пространство, не могли не затронуть интересы и малочисленных народов. В период «парада суверенитетов» автономных республик на всей территории бывшей империи, Абхазия не могла оставаться в стороне от этих процессов.

Это надо было предвидеть и учесть, но в тогдашней Грузии до того ли бйло. В этом и состоит корень зла! Потому-то и следует рассматривать военный конфликт в Абхазии как следует рассматривать военный конфликт в Абхазии как следствие недальновидной и непродуманной (если не сказать преступной) политики грузинского руководства, пришедшего к власти путем военного переворота.

Несмотря на то, что расстановка сил и политическое противостояние к тому времени достигали, по сути, критической отметки, мир в Абхазии все еще можно было сохранить. Но все чего-то жлади – в Тбилиси в ожидании наблюдали за ходом процессов, а абхазское же руководство выжидало случая… И случай не заставил себя ждать!

Ошибочно было бы рассматривать события таким образом, будто лишь абхазы или только внешние силы повинны в абхазской трагедии, а наша причастность к ней минимална. Отнюдь! Грузинское руководство в значительной степени повинно во всем, что произошло в Абхазии. Оно не просто следило и ждало! Оно делало все для углубления политического противостояния и общественной дестабилизации в Абхазии – оно не делало ничего, чтобы происта-

новить назревавшую военную конфронтацию и предотвратить трагическое развитие событий: им не было выдвинуто ни одно конструктивное предложение для урегулирования существовавших в Абхазии проблем. Десятилетиями оно придерживалось тактики: «чем бы дитя не тешилось, лишь бы не плакало». Политический дальтонизм, близорукость (если не слепота) или предательство?! Видимо, и то, и другое, и третье – все месте!

Противоречия и политическое противостояние, имевшие место в Абхазии, могли и должны были быть урегулированы мирным и только мирным путем. У традиционного подхода не было альтернативы: в Абхазии фатальной неизбежности войны не было! Однако сторонами были полностю приогнорированы возможности традиционного подхода к урегулированию накопившихся проблем, а высшим грузинским руководством (которое незадолго до того совершило кровавый переворот в Тбилиси), воспользовавшись политическим кризисом и общественным хаосом, создавшимися в стране, будто с целыо охраны транспортных коммуникаций и иных объектов, вместо ввода полицейских и омоновских подразделений, без учета создавщейся общеполитической ситуации в регионе да и в стране в целом, вопреки здравому смыслу и трезвому расчету, был осуществлен маршевый переход танковых формирований в Абхазию, повлекший за собой жестокое кровавое противостояние и ничем неоправданные многочисленные человеческие жертвы, депортацию сотен тысяч мирного насиления, разрушение городов и сел, разорение учреждений и культурных объектов Абхазии. Таковы итоги этого безумия и вандализма!

Приходится презнать: военный конфлиликт в Абхазии был нужен всем. Нужен был он и абхазскому руководству, об этом, кстати, оно не раз заявляло громогласно. Военный конфликтв Абхазии был нужен и России для его далеко идущих имперских целей!.. но более всего он нужен был тогдашнему руководство грузии. Ему он нужен был для перевода существовавщей в стране политической ситуации в иное русло: необходимо было общественное мнение отвлечь от происшедшего в Тбилиси и привлечь его к другой, более важной проблеме. И эту проблему, при отсутствии, надо было придумать, надо было создать! Неизбежной гражданской войне следовало придать иную, более вескую – этническую – окраску. Нужна была политическая дестабилизация другого уровня, другого качества – как воздух, нужен был этноконфликт! Иначе военная хунта не удержалась бы у власти – ее смела бы гражданская война!

Они это понимали, и теперь дело оставалось за случаем – необходима была лишь маленькая искорка, и пожар был обеспечен! Условия для этого были, они реально существовали в Абхазии! И руководство Грузии идет на это с тем, чтобы энергию народа, вектор его усилий развернуть и направить в другую сторону с тем, чтобы потом предстать перед ним – перед своим народом (если он свой!) – в мантии мессии, в обличьи спасителя. Так был обманут народ!

Конфликт в Абхазии подогревался необузданной амбицией как местной экстремистски настроенной части общества, лидеров партии войны, рвавшихся к власти, как и (что самое главное!) лидерами военной хунты, верховным ее руководством – самим господином Шеварднадзе. Его роль особа и уникальна! Во всей этой истории он стоит особняком!

После развала советской империи, он, бывший руководитель внешнеполитического ведомства СССР, с помощью и при непосредственной поддержке международных реакционных сил, готовит и осушествляет военный переварот в Грузии, свергает законное, народом избранное правительство и огнем и мечом приходит к власти. Это была ему пла-

та за услуги в деле развала советской империи. Но Грузию тогда в мире мало кто знал, а он, «главный архитектор международной демократии», привык вращаться на орбите сильных мира сего и хочет вновь туда подняться. Но как?! А тут надои у власти удержаться! А это не просто! Выход был найден! И он был очень прост: не гражданская война, а межнациональный конфликт – нужен был межэтнический конфликт, но не такой, который мог быть локализован и низведен, как 1989 году, до простого столкновения, а такой, который мог быть интернационализирован и вынесен за пределы признанных международным сообществом государственных границ, скажем, в Женеву или ешё куда-рибудь!.. Вот тогда всеобщее внимание, внимание международного сообщества, лидеров глобализма – блюстителей нового мирипорядка – можно будет привлечь к себе… Вот, мол, видите, в каком оказался положении… Помогите! Я вам – тогда, а вы мне – теперь… Расчет был прост, он был ювелирно выверен: танковый поход в Абхазию, и он снова на коне! Он снова стал встречаться с друзьями с сильными мира сего, выступать на международных форумах на всех уравнях и с высоких трибун стал делится опытом, как побеждать свой народ, как разжигать межэтнические конфликты и как потом их разрешать… воистину – от комедии до трагедии всего лишь пол шага!

А что народ?!.. причём тут народ или его интересы?! Ему нет дела до народа. Для таких, как он, тысячи жертв – это всего лишь статистика! Такова логика его и ему подобних! Таковы вехи жизни и деятельности людей, оказавшихся в плену собственных болезненных амбиций, личных иллюзий и больной психики…

Итак, в Абхазии проблемы были и не малые. Но Абхазия не была установлена на колесах, и абхазы (со всем народом, в том числе двух сто пятьдесят и тысячным грузинским

населением) не в состоянии были ее за Псоу перенести. С ними надо было говорить, с ними можно было договориться. Нужен был диалог, и только!

Следует повторить: **были проблемы, но они были определонного свойства. Их надо было и можно было решать иным, мирных путем, путем мирного политического диалога.** Но тут речь идёт и о других проблемах, о тех судьбоносных проступках и проблемах, которые исскуственно и искусно создовало грузинское руководство. Их оно создало немало, а затем стоически их преодолевало! Во всяком случае, делало вид! В самом же деле реализовывало свои безумные и коварные замислы: Шеварднадзе надо было удержаться у власти, а для этого надо было двинуть танки в Абхазию. Причины были, и нужен был лишь повод. А повод нашёлся: беспредел на железной дороге!

Но, в дальнейшем оказалось, что железная дорога тут ни причём. Оказывается, надо было отстаивать территориальную целостность страны! Было бы смешно, если бы не было печально!..

На первий взгляд, что же здесь особенного? Правительство свои Вооружённые Силы вправе перемещать на территории своей страны в любом направлении. Такое право ему дано и защищено Конституцией – главным законом, гарантом правопорядка в государстве. Но с одним условием: **правительство должно быть законным, и в стране должна быть Конституция, стоящая на страже прав и свобод граждан, всего народа, а не части его, на охране правовых и политических устоев государства.** Однако тут было всё, но не было главного – не было ни Конституции, ни народом избранного правительство и неправомерно приостановившая Конституцию государства – незаконная власть, опиравшаяся на вооружение соединения, укомплектованные, в основном, криминальными элементами – на бандформирования.

Вот почему был ввод танковых формирований в Абхазию неконституционным и неправомерным. Это, конечно же, был преступный шаг! Это, конечно же, было предательство!..

Конфликт в Абхазии не стал, меж тем, межэтническим и возник он не на религиозной основе. Это был чисто внутренний, политический конфликт! В основе ее лежали, помимо приведенных обстоятельств, гипертрофированные требованные и нереальные притязания этнического меньшинства в Абхазии. Их интересы можно было учесть, и проблемы могли быть устранены, но для этого нужна была политическая воля сторон… А его – то как раз и не было! Дефицит её и привел к кровавому противостаянию. Это был конфликт незаконного руководства Грузии с собственным народом!

Конфликт в Абхазии готовился тщательно, ему предшествовали неоднократные карательные экспедиции в Самегрело – геноцид колхов: на правом берегу Ингури в них стреляли как в грузин, а на левом - как в негрузин!.. В этом и состояла трагедия грузинского народа, трагедия нации… Но она была нужна! Карательные экспедиции были необходимы: предварительно надо было подавить сопротивление сторонников президента Гамсахурдия в Самегрело, а затем и в Абхазии, насадить хаос и беспредел, в том числе и на железной дороге, максимально ослабить тыл, чтобы затем совершить танковый бросок и сдать Абхазию.

В итоге, главным следствием конфликта явились бесчисленные человеческие жертвы, нарушение территориальной целостности государства и депортация сотен тысяч коренного расселения, духовно-психологический геноцид собственного народа, отчуждение абхазов и нарушение кровнородственных связей между ними и грузинами. Хоть и частично, но с подачи Шеварднадзе, свершилась давнишняя мечта проимперских сил России – Грузия без грузин!..

Временно, но тем не менее!... Вот главный итог этого бесрассудства и предательства!...

В результате Абхазия одичала, в особенности юго-восточная её часть. Опустевшие дома занимаются прищельцами – «свято место, пусто не бывает!» Имеет место неслыханная экспансия россиян! При углублении текущих процессов и тенденций со временем под угрозой может оказаться судьба самих абхазов, как этноса, как нации. Они исчезнут с лица земли! Примеров тому немало!..

В этом и состоит главный, настораживающий итог конфликта для самых абхазов!

Где же выход! Он только в одном: абхазы должны вернуться к своим изначальним корням, к своему историческому опыту – они часть колхидской культуры и только в содружестве с колхами, с грузинами в целом, могут сохранить свою самобытность и ментальность как нация. В ином случае они поставят под угрозу саму перспективу, будущее своего народа. Это надо признать, и об этом следует помнить!

Обиду и боль надо превозмочь! История знает немало случаев, когда народ стоял перед выбором – быть или не быть! Тут только здравый смысл, разум и трезвый расчёт должны возобладать. Это единственно правилный путь выхода из кризиса!

Стороны – как грузинская, так и абхазская – должны, прежде всего, приостановится, присесть, вздохнуть глубоко и призадуматься. Призадуматься над тем, как и почему всё это произошло. Призадуматься и вспомнить сказ о том, как и почему перессорились два зверя и что сталось с их лакомым куском мяса, когда они в смертельной схватке изрядно приустали и решили передохнуть... Надо подумать и над тем, что лучще: быть в объятиях русского медведя или рядом с собачонкой, которая иногда хоть и кусается, но, всё

таки, друг человека!

Если дороги судьба и будущее своего народа, его перспективы, стороны должны объявить мараторий, отойти от демонстрации силы и от всякой, в том числе и от военной риторики. Должны успокоиться, заглянуть Правде в глаза, признать свои ошибки и дать политическую и правовую оценку случившемся, со всеми вытекающими отсюда правовыми и юридическими выводами и последствиями. Это главное условие, это начало всех начал!

Это не может не смягчить противостояние! Это повыисит степень понимания и доверия друг к другу, что позволит им сесть за стол переговоров. Этого можно достичь лишь при озабоченности судьбой и будущим своего народа. Это можно сделать лишь через признание собственных ошибок и через покаяние! Другого нет! Всякое другое – это очередное безумие с ещё более тяжкими последствиями для сторон!.. Не слудует забивать об этом!..

Надо признать, что у каждого из сторон есть своя правда! Каждая из сторон должна признать и поклониться ей, ее Величеству, правде, помня при этом, что Правда эта разная у Сторон, и каждая из них отдельно не может быть тождественна Истине – на разных берегах одной реки не могут быть две Истины!

Истина – она всегда одна, а в нашем случае состоит в том, что абхазы в самом деле не свалились с неба, как пологают некоторые горе-политики, а жили они издревле бок о бок с грузинами, одни чуть севернее, другие – чуть южнее. Периодически менялись их этнические границы то в одном, то в другом направлении, но жили они всегда на одной и той же земле – на территории нынешней Абхазии. Это историческая правда, как и то, что абхазы и колхи, а стало быть – грузири, на совместное проживание и на сосуществование обречены самым Всевишным! Они жили и могут жить

вместе, если бы им не мешали!..

Абхазию в грузинское правовое поле можно вернуть лишь совместно с этническими абхазами. Это возможно лишь признанием ошибок и покаянием – покаянием перед своим, перед обоими народами! Да, только так, только через признание ошибок! С нами от этого ничего не случится, с нас ничего не убудет. Ведь извинился немецкий народ перед остальним миром за фашизм, однако, это отнюдь не принизило его национальное достоинство и международный авторитет. Напротив! Почему бы нам не последовать немецкому примеру?!

Абхазский народ, с учётом его менталитета, можно развернуть лицом к себе лишь через Правду! Только через Правду, только посредством правдивого диалога. И только совместно с ним можно снять проблемы и восстановить мир и согласие. Другого нет, другое просто не надо! Пусть не думают, что народ можно повалить или поставить на колени! Помимо его воли, народ непринудить к миру! Ошибается тот, кто рассматривает народ и расценивает его возможности с учётом одних лишь статистических данных. Это равно, чтобы о достоинстве человека судить лишь по росту, по весу или по иным внешним данным. Но в нашем же случае статистика предстаёт иной стороной – она не убеждает, она не наруку абхазам!..

Право на самоопределение даётся нынче не этносу, а народу, и 17% этническое население не в праве, без учёта интересов остальной части населения, требовать нереальные вещи – выход из состав не может удовлетворять международнуму праву, такая статистика и такой процентный состав не может удовлетворять международным стандартам. Об этом надо знать и помнить всем. Надо полагать, что абхазы знают и понимают это. Вот о чём было говорить и следует говорить с ними и теперь! Лишь так можно приос-

тоновить текущий и всё углублающийся процесс взаимного отчуждения и преодолеть недоверие между народами.

Итак, только через диалог и только непосредственно с этническими абхазами можно вернуть изгнанное коренное население к родным очагам, а Абхазию – в правовое поле грузинской государственности, а о её государственно-правовом устройстве в составе единого государства и об условиях и конституционных гарантиях договориться можно.

Отдельный вопрос – это вопрос интеграции Абхазии в состав России. Это нереально! Однозначно! Это неоднократно давали понять мировое сообщество, ООН и Россия – в том числе. Более того, без участия изгнанного четырёхсоттысячного коренного населения, без учёта его интересов, нельзя решать судьбу Абхазии. Помнить надо и об этом!

Думаю, что абхазы всё это хорошо понимают! Надо пологать, что они сделают правильный выбор. Тут надо всё отбросить и – ради интересов грядущих поколений – следует сделать единственно разумный и правильный шаг – самим сесть за стол переговоров!

Для начала можно рассмотреть вопрос Самурзакано и самурзаканцев, которые, как известно, сами, заблаговременно и отдельно от Абхазии, вместе с населением Кодорского ущелья, под протекторатом Мингрелии, вошли в состав Российской империи. Об этом почему-то не говорят, это почему-то умалчивается! А чем же это не аргумент?!

Если абхазы основным своим аргументом считают тот факт, что они до революции в России не входили в состав Грузии и поэтому не признают Грузию правопреемником интересов Абхазии, в противовес этому, почему не рассмотреть отдельно интересы самурзаканцев, преобладающей части коренного населения Абхазии – от Ингури до Галидзги?! Не говоря ничего об остальных, надо спросить у самурзаканцев, как и у населения Кодорского ущелья, как представляют они себя вне исторической родины, вне Грузии, и хотят ли они в Россию?!. Вот в чём вопрос! Почему же не спрашивают об этом у них, у этнических грузин, и без них решают их судьбу?! Вот почему без учёта интересов коренного, а ныне изгнанного многочисленного населения Абхазии нельзя решать её судьбу!

Над этим и над всеми остальными вопросами следует подумать вместе. Уверен, так легче и лучше сумеем понять друг друга и договорится.

Следует сделать шаг, а за ним последует другой! За партнёром дело не станет – движение приобретёт двухсторонний характер. Только двухстороннее движение, движение навстречу друг к другу, может вывести процесс из тупика, и диалог может стать более конструктивным и плодотворным. Таковым он может быть только лишь при условии, если Россия, с его так называемыми миротворцами, покинет Абхазию. Пока они там, не будет ни диалога, и не следует ждать подвижек в переговорном процессе!

Вопрос урегулирования российско-грузинских отношений стоит особняком и зависит, в основном, от усилий грузинского руководства. Здесь, как убедились, НАТО не панацея! Надо самим искать пути урегулирования отношений с Россией. Эмоции и военная риторика здесь не помогут, нужен уравновешенный и взвещенный подход! Урегулирование отношений с Россией – это очень важное, если не решающее условие на пути достижения цели, равно как и то, кто будет участвовать в переговорном процессе.

Диалог надлежит вести не только в рамках общепринятых и утверждённых на практике форматов, но и между представителями разделённого войной абхазского общества. Ведь, это им придётся жить вместе, поэтому, прежде всего, им следует совместно решать судьбу Абхазии и её будущее. Поэтому за столом переговоров с грузинской сто-

роны должны сидеть, вместе с другими, и представители изгнанного из Абхазии населения. Это они обладают, в первую очередь, наряду с этническими абхазами, равными правами на Абхазию. Вот почему их участие в переговорном процессе приобретает особый смысл и большую, выгодную нам, легитимность. Это существенный момент, и этим не следует пренебрегать! Представители депортированного населения, облечённые соответствующими полномочиями и обязанностями, могут внести новую, свежую струю и вывести переговорный процесс из состояния стагнации. Тогда он приобретёт более динамичный и конструктивный характер.

Итак, ключи к урегулированию грузино-абхазского конфликта лежат на пересечении интересов абхазского и грузинского (прежде всего изгнанного из Абхазии) населения, при условии урегулирования отношений с Россией! Прежде всего, с ней! Только в таком случае усилия здравомыслящих представителей сторон могут вывести переговорный процесс из тупика и привести к сближению позиций и к сбалансированности интересов. Только так возможно возвращение Абхазии в грузинское правовое поле, в состав грузинской государственности. Другого пути нет, и всякому другому следует решительно предпочесть разумный и единственно правильный путь – путь мирных переговоров и консенсуса.

газетои „сзвободзнаиа грузиа“
2008 წ. 14 ივნისი N49-50 (23-989)

ღია წერილი ბატონ ნაპოლეონ მესხიას

დიდად პატივცემულო ბატონო ნაპო, ვკითხულობ თქვენს წიგნს „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, როგორც ქართულად ასევე რუსულადაც. მიხარია, რომ ამქვეყნად ყოფილა ადამიანი, ვისი აზრი ზუსტად ემთხვევა ჩემსას, ერთ-ერთი გლეხკაცის აზრს. ნება მომეცით გაგაცნოთ ჩემი გლეხური შეხედულებები, თქვენისთანა ბუმბერაზ პოლიტიკოსს, საღად მოაზროვნე პიროვნებას.

ბატონო ნაპო, მთელი ჩემი ცხოვრება აფხაზეთში – გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში გავატარე. 1948 წელს, 18 წლის ყმაწვილი ჩავედი გაგრაში და 15 წელი დავყავი იქ – ჯერ ვსწავლობდი, მერე ვმუშაობდი. თამაზ ნადარეიშვილის მამას შორიდან ვიცნობდი, მგონი ბანკში მუშაობდა. 1959 წელს დავსახლდი სოხუმში – ლეჩკოფში. პარალელურად ოჩამჩირეში პორტის ტერიტორიაზე ავაშენე საკუთარი სახლი, გავაშენე ბაღი, მიყვარდა ფიზიკური შრომა, ამავე დროს პოლიტიკაც. თოხითა და ბარით რომ მივდიოდი სამუშაოდ, თან მიმქონდა საწერკალამი და რვეული, რადგან ფიზიკური შრომის დროს ხშირად მებადებოდა აზრი. ჩემს ცხოვრებაში 24 საათი ვფიქრობდი საერთო საქმეზე. ჩემი ოჯახი ნახევრად ქართული, ნახევრად აფხაზურია. მეუღლე აფხაზია, კორტავაა გვარად, ოჩამჩირიდან, რძალიც აფხაზია ათარიდან, გვარად ბეჭვაია. რძალი ქორეოგრაფი იყო, ჩემი შვილი გია სალამურზე უკრავდა იმავე ანსამბლ „შარატინში“, რომელსაც ედიკ ბებია ხელმძღვანელობდა. ვახტანგ ვოზბა ჩემი შვილის ქვისლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ სისხლითა და ხორცით აფხაზებთან ვარ გათქვეფილი. და არა მარტო მე, არამედ აფხაზეთში მცხოვრები ათიათასობით ქართველებიც. ჩვენ, მეგრელებს, აფხაზებზე ახლოს დედამიწის ზურგზე არავინ არ გვყავს. ჩვენ, ტყუპი ძმებივით ვგავართ ერთმანეთს გარეგნობით, კულტურით, წესითა და ადათით, პურმარილით, სტუმართმოყვარეობით. ოდითგანვე ჩვენს წინაპრებს უყვარდათ ერთმანეთი. ჩვენი ახ-

ალგაზრდები შერეულ ოჯახებს ქმნიდნენ, რითაც კმაყოფილი იყვნენ მათი მშობლები. მეგრელებისთვის აფხაზური ენა და სახელები მეტად საპატივცემულო და საყვარელი გახლდათ. მახსოვს, პატარა ვიყავი, გალიდან სტუმრები რომ მოდიოდნენ ცხენებით, მშობლები იტყოდნენ: აფხაზები მოვიდნენო. მაშინ ენგურს გაღმელ მეგრელებს ყველას აფხაზებს ეძახდნენ. მთელი დღე პატეფონს ვუსმენდით, ვამღერებდით აფხაზურ სიმღერებს. ძველად ბაბუაჩემს ხარკამეჩით გუდაუთიდან ღვინო მოჰქონდა. ერთხელ, ბაკურიანში ყოფნისას, გუდაუთელი აფხაზი შემხვდა. გულში ჩავიკარი, გადავეხვიეთ ერთნმანეთს როგორც დიდი ხნის უნახავი ძმები.

ბატონო ნაპო, ჩემს თავს ვეკითხები მთელი 24 საათის განმავლობაში, რა მოხდა, რომელმა სატანამ დაგვინგრია ეს ბედნიერი ცხოვრება, ძმობა, ნათესაობა, სიყვარული და ა.შ. ვიცით ყველამ კარგად, მაგრამ რატომღაც ყველა სდუმს. როდემდე ასე? ალბათ ეს გაგრძელდება მანამ, სანამ თქვენისთანა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები არ გამოჩნდებიან და ყველაფერს არ დაარქმევენ თავის სახელს. სანამ ეს არ მოხდება აფხაზური საკითხი მოუგვარებელი დარჩება. არავისთვის არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ **„при союзе абхазцы были ущемлены“,** იყო დრო აფხაზეთში აფხაზები არ ჩანდნენ, არც ქუჩაში, არც სახელმწიფო სტრუქტურებში. როგორც ვიცით, სტალინისა და ბერიას მერე გამოჩნდნენ და თანდათან დაიწყეს ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეს ბუნებრივია, აფხაზებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ქართველები, რუსები და სხვები. მახსოვს. ვლადისლავ არძინბა გამოვიდა საბჭოეთის ბოლო სესიაზე და განაცხადა: **„Когда исчезают рыбы, их заносят в красную книгу, а когда исчезает народ – молчать“.** იმ დღიდან დაიწყო მათი გამოსვლები. მე ვეთანხმები ვ. პუტინს, რომ თქვა **„საბჭოთა კავშირის დაშლა იყო კატასტროფა ყველა საბჭოთა ერებისთვისო“.** ჯერჯერობით ასეა და მომავალი ღმერთმა იცის როგორი იქნება. ჩემი გაგებით, **ნაციზმი, შოვინიზმი, სეპარატიზმი, ფაშიზმი ერთი და იგივეა.**

სტალინი თავის მე–5 ტომში წერს, ქართველები ჩაგრავდნენო აფხაზებს. ამის მოწმე მეც ვარ. ასე იყო თუ ისე, ვიყავით ერთად ჭირში და ლხინში. მიუხედავად ამისა, აფხაზები დღედაღამ ფიქრობდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებაზე. ამ მიზნის მისაღწევად აფხაზებმა ქართველებზე უკეთესად გამოიყენეს ყველა ბერკეტი და ქეც მიაღწიეს მიზანს. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა აფხაზებისთვის თვითმიზანი განედევნათ ქართველები აფხაზეთიდან. მე ასე ვფიქრობ, რომ ყველა ქართველის – არა. ჩვენს ვაიპოლიტიკოსებს დანაშაული რომ არ ჩაედინათ, ქართველთა ხელშეუხებლობა გარანტირებული იყო.

არძინბა ტრაგედიის წინა დღეებში მიმართავდა ქართველებს **„давай братья в месте будем защищать Абхазию от бандитов“**. კარგი იყო ავტომატები არ აგვეღო და ნეიტრალური პოზიცია დაგვეკავა, კუდში არ გავყოლოდით „ნალიოტჩიკებს“ ავტომატით ხელში

ბატონო ნაპო, მე პირადად არ მიმიღია მონაწილეობა ამ უაზრო სისხლისღვრაში. ომამდე სულ აფხაზების გვერდით ვიყავი. მონაწილე ვარ თითქმის ყველა მათი ყრილობებისა. ხშირად გამოვდიოდი სიტყვით, ვატყობდი, რომ უხაროდათ ქართველის გამოსვლა, მათს გვერდით ყოფნა. ხშირად მიწვევდნენ აფხაზეთის რადიოსა და ტელესტუდიებში. ვწერდი საგაზეთო სტატიებს ქართულ გაზეთ „აფხაზეთის ხმა“–ში „ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ“, „РЕСПУБЛИКА АБХАЗИЯ“ – ში **„разобщенность не выгодно никому“** და სხვა სიტყვით. გამოვსულვარ მთიელთა წინაშე. აფხაზები ხშირად მეკითხებოდნენ, რატომ არ მოდიან ქართველები ჩვენთანო. მე თითქმის ყველა აფხაზეთის ლიდერი მიცნობდა: ვ. არძინბა, ს. შამბა, ზ. აჩბა, ს. ბაღაფში, ვ. კვარჭია, ვ. ზანთარია და სხვები. ოცდაოთხი საათი პარლამენტის წინ ვიყავი ატუზული, მუხლჩოქში ვეხვეწებოდი ყველას, რომ არ მომხდარიყო ძალადობა. ვ. არძინბას წერილიც კი გადავეცი და როგორც მითხრეს მან ჩემი წერილი პარლამენტარებს გააცნო. მახსოვს, ერთხელ

სხდომიდან გამოსული სერგეი ვასილის ძე ბაღაფში ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მანუგეშა: **„Гванджи дорогой, не переживайте так сильно, не бойтесь, Эдуард Амросович ни как не допустит на абхазской земле второй карабах“.** მე დავფიქრდი და ვუთხარი **„вы очень ошибайтесь“.**

მეორე დღეს, 1992 წლის 11 აგვისტოს ვეწვიე თბილისს, პირველად შევუარე პრესსცენტრს და ვალერი კვარაცხელიას ჩემი წერილები დავუტოვე პრესისთვის. მოვითხოვე ტელეეთერში გამოსვლა, რომ მიმემართა ქართველებისათვის არ მომხდარიყო თოფის გასროლა ძმებს შორის. ვალერ კვარაცხელიამ გულგრილად მიმიღო, წერილი უჯრაში შეაგდო და მკითხა: რა ამბავია თქვენში, მეგრული დროშა აგიფრიალებიათო. აფხაზეთზე ერთი ხმაც არ ამოუღია. თბილისელი პოლიტიკოსები მხოლოდ იმუქრებოდნენ და სხვა არაფერი. ამის მერე შევხვდი ჩემთვის კარგად ნაცნობ სახელმწიფო საბჭოს წევრ ჯანსუღ ჩარკვიანს. კაბინეტის კარი შევაღე და რომ შევედი, გამიკვირდა ცივი თვალით რომ შემომხედა. მე ვუთხარი, ბატონო ჯანსუღ, რა ბზიკმა გიკბინათ ასე რომ მხვდებით – მეთქი. ის წამოხტა თავისი ჩვეული მანერით და ავტომატივით მომახალა: რომელმა ბზიკმა მიკბინა ბატონო და თქვენმა მეგრულმა ბზიკმაო. მსოფლიო პოლიტიკოსს ვაცილებდით მე და ვალერი კვარაცხელია სამეგრელოში და წალენჯიხაში მეგრელი ქალი დაიკუზა და თეთრი მეგრული ტრაკი უჩვენა შევარდნაძესო. სენაკში კი კვერცხები გვესროლესო. თქვენს დამპალ გამსახურდიას რომ არ ჰქონოდა იაზე დამთავრებული გვარი, ის არ მოუვიდოდა, რაც მოუვიდაო. მას ივანე ჯავახიშვილი დაავიწყდა და თავის მამას კოსტაიას დაბადების დღე გადაუხადაო. თქვენი მეგრელი ბერია მოვიდა და დედაჩემს ეჟოვის სურათი ჩამოახსნევინა კედლიდანო. ეხლა რომ ჩახვალ თქვენს მხარეში, უთხარი აფხაზებს და მეგრელებს, რომ არის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება შევარდნაძის ხელმოწერით, სამ დღეში მოვდივართ 170 ტანკით და ერთ დღეში ზვავივით გადაგივლით მეგრელებსა და აფხაზებსო. მე ვერ

მოვითმინე, შევაჩერე გლეხმა სახელმწიფო საბჭოს წევრი შევარდნაძის მარჯვენა ხელი და ჩემი გლეხური გაგებით პასუხი გავეცი. თქვენისთანა ვაიპოლიტიკოსები დაღუპავენ საქართველოს – მეთქი. ვიცი, თქვენ მოხვალთ სამ დღეში და იოლად გადაუვლით მეგრელებს, რადგან ისინი ქართველები არიან და წინააღმდეგობას ადგილი არ ექნება, მაგრამ დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი, აფხაზებს ვერასოდეს ვერ გადაუვლით – მეთქი. ეს სიტყვა არ მოეწონათ იქ მდგომ პოლიტიკანებს და მისაყვედურეს, ვინ არიან ეს თქვენი აფხაზები ისეთებიო? მე ვუთხარი ყველას გასაგონად, ნუთუ თქვენ ვერ იგებთ, რომ ჩვენ საქმე აფხაზ ხალხთან კი არ გვექნება, არამედ სულ სხვა გარეშე დიდ ძალებთან – მეთქი. ის იყო მივუჯახუნე კარები და იმედგაცრუებული დავბრუნდი აფხაზეთში და მოუთმენლად ველოდი მესამე დღის გათენებას, 14 აგვისტოს. ზუსტად შეასრულეს დანაპირები, შემოგრიალდნენ ტანკებით ოჩამჩირეში, შემდეგ სოხუმში. ვიცოდი, იქ რა მოხდებოდა და მეორე დღეს ხან ფეხით, ხან ველოსიპედით გავეშურე სოხუმისკენ, რადგან იქ მყავდა შვილი და შვილიშვილი. გზადაგზა რომ მივდიოდი, ვნახე ტამიშში გადაბრუნებული ტანკები ეყარა, ალბათ იმიტომ, რომ უმეტეს ნაწილს ძველი ტრაქტორისტები მართავდნენ. რომ შევედი სოხუმში, კახელმა მეომარმა გამაჩერა და ველოსიპედი წამართვა და მითხრა, სანამ არ მომიტან ერთ ყუთ სიგარეტს, ველოსიპედს არ მოგცემო. მე გზა ფეხით გავაგრძელე და მაიაკამდე ჩავედი. იქ სროლები იყო, ამიტომ სარდაფებს ვაფარებდი თავს. ვხედავდი მისაბმელიან სატვირთო მანქანებს როგორ ტვირთავდნენ ნადავლით, რომელიც გაჰქონდათ ოჩამჩირის პორტით, რადგან ზუგდიდს ვერ გაივლიდნენ. მე კარგად ვიცოდი, რომ ეს კანონიერი ომი არ იყო, ეს იყო სუფთა ყაჩაღობა, ძარცვა და ზვიადისტებზე შურისძიება. მე გადავწყვიტე, არ მიმეღო მონაწილეობა ამ უაზრო სისხლისღვრაში და ოჯახით აფხაზებთან ერთად წავედი სამხედრო გემით სანკტ–პეტერბურგში. ჩემთან რომ მოდიოდნენ აფხაზები ტიროდნენ, ეს რა დაგვემართაო. პეტერბურგში

ყოფნისას მე კავშირი დავამყარე ყველა კომპეტენტურ პირებთან ჩვენი სათვისტომოდან, მათს შორის: ბადრი კაკაბაძესთან, კონსულ კუხალეიშვილთან, არესტო ბაგრატიონთან და სხვებთან. ჩემი სტუმრები იყვნენ აფხაზები, რომლებიც დიდ სინანულს გამოთქვამდნენ, ეს რა მოგვივიდა ძმებსო. მე დავდიოდი სმოლნში, ტავრიის სასახლეში დსთ–ს შტაბბინაში, სადაც 12 ბოძი იდგა, რომლებზეც ეკიდა საბჭოთა რესპუბლიკების დროშები. მხოლოდ ერთი ბოძი იდგა თავისუფალი. ერთხელ ვიხუმრე კომპეტენტურ პირებთან, ეს თავისუფალი ბოძი მე დამიტოვეთ მეთქი, მინდა ავაფრიალო ქართული ნაციონალური დროშა–მეთქი. ამის მერე თითქმის ერთი წელი დავდიოდი, ვნახულობდი ჩემს ბოძს. რომ მივიდოდი, რუსები იტყოდნენ ხოლმე: **„вот грузинский представитель пришел“.** ჩემი ოცნებაც ასრულდა. მართლაც ამ ბოძზე ჩამოკიდეს ჩვენი დროშა, რომლის მონაწილე მეც ვიყავი. სიტყვაც კი წარმოვთქვი: „я рад, я счастлив, что на российском земле снова сияет наша грузинская национальная знамя среди знамен братских республик“. ჩემთან მოვიდა ვლადიმერ ფილიპეს ძე შუმეიკო და მადლობის ნიშნად ხელი ჩამომართვა და ჩაილაპარაკა: **„слишите какой он умных слов говорить?“** მე პეტერბურგში ყოფნის დროს მისაუბრია ჩიკვილაძესთან, ზურაბ ჟვანიასთან, ვახტანგ გოგუაძესთან, გენადი ზიუგანოვთან, სელეზნიოვთან, სობჩაკთან, მატვიენკოსთან და ბევრ სხვებთან. მაწუხებდა აფხაზური საკითხი, ყველაზე მწვავე და ჯოჯოხეთური. ერთხელ ზურაბ აჩბას მიწვევით ვესწრებოდი მოსკოვში ქართულ–აფხაზურ შეხვედრას, სადაც გამოვედი სიტყვით. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როცა ჩემსკენ ხელგამოშვერილი წამოვიდნენ აფხაზი ქალები: თინა ზუბბა, ეშბა, აჩბა და სხვები და ამბობდნენ: **„уахацкисаит уара агруа“.** საღამოს სახლში მიმიპატიჟეს, ჩემი გამოსვლით კმაყოფილი იყო ყველა ქართველიც, ვინც იქ ესწრებოდა. ბულატ ოყუჯავა და გრიგორი გორინი მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს, ტელეფონის ნომრები მომცეს და დახმარებას დამპირდნენ. მე არასოდეს

არ ვიყავი ცალმხრივი, რომელიც მიუღებელია საქმისათვის. მე ხშირად დავდიოდი საქართველოს საელჩოში, მოსკოვში, იქაც ყველა თანამშრომელი მიცნობა. რომ მივიდოდი, იტყოდნენ, დიდი ქართველი პატრიოტი მოვიდაო. ხშირად ვხვდებოდი ვალერიან ადვაძეს, ოთარ ჩერქეზიას, რეზო გაბრიაძეს და სხვებს. მახსოვს, ერთხელ შევიარე ჩვენს საელჩოში და ვნახე ელდარ შენგელაია. ის კარგად მიცნობდა და მითხრა: გვანჯი ბატონო, თუ გცალიათ დარჩით ჩვენთან, დღეს ედუარდ შევარდნაძე ელცინს უნდა შეხვდესო. მეც დავთანხმდი და არ გასულა დიდი ხანი, საელჩოში შემოვიდა ესკორტი და მანქანიდან გადმოვიდა შევარდნაძე. ჩემსკენ მოიხედა და მივხვდი, რომ მიცნო, რადგან მე ვყოფილვარ მასთან თბილისში ჩაის თაობაზე, სერგეი ბაღაფშმა გამაგზავნა. ის იყო, რომ დამინახა ჩემსკენ წამოვიდა, ჩამიხუტა და ზურგზე ხელები მიბრახუნა. შემდეგ ერთად გავაცილეთ ედიკა ელცინთან შესახვედრად. მას გაყვნენ ვ. ადვაძე და სხვები. ჩვენ კი ველოდებოდით მათ დაბრუნებას, რათა გაგვეგო შეხვედრის შედეგები. ამ პერიოდში ჩვენთან მოდიოდნენ სხვადასხვა არხის ჟურნალისტები, გვეკითხებოდნენ ბევრ რაღაცეებზე. არ გასულა დიდი დრო და დავინახე ქუჩის მეორე მხარეს რომ იდგნენ რამდენიმე ნაცნობი აფხაზები. მე ვინ არ მიცნობდა აფხაზეთში, გამიხარდა მათი ნახვა და მივედი მათთან. რომ მივესალმე, ერთ–ერთმა იხუმრა, გვანჯის ორი გული აქვს, ერთი აფხაზური და ერთი ქართულიო. მეორემ დაამატა, რა საჭიროა ორი გული, ჰქონდეს ან ერთი ან მეორეო. ბევრი იხუმრეს, მერე იკითხეს, **Что вы делайте с этими бандитами** -ო. მე ვუთხარი, ჩემთვის გინდ აფხაზი იყოს გინდ ქართველი, ორივე მშობლიურია – მეთქი. ორივე მიყვარს–მეთქი. არ მოელოდნენ ამისთანა პასუხს. კიდევ გავიდა ცოტა ხანი და წამოვიდა აფხაზების კოლონა, წარწერებით: **Шеварднадзе, Берия, эти убыйцы… абхазия не грузия,** ასეთ რთულ სიტუაციაში გამოჩნდა შევარდნაძის კორტეჟი, რომ დაინახეს დემოსტრანტები შეჩერდნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ და ისევ წამოვიდნენ. როცა

მიუახლოვდნენ საელჩოს, პირველი მანქანა გაატარეს და მეორეს გარს შემოეხვივნენ. ამასობაში მანქანიდან შურდულივით გამოვარდა ედუარდი, შიგ ჩაუხტა აფხაზებს, ორს შემოხვია ხელები და ატყდა ერთი ამბავი – ბავშვები ტიროდნენ, ქალები კიოდნენ, მამაკაცები ბღაოდნენ. ქალები უკნიდან ფეხებს ურტყამდნენ, აფურთხებდნენ, კიტელი და სარორჩქა შემოახიეს, ჰალსტუკი უკან ეკიდა. ეს ყველაფერი წამებში მოხდა. კიდევ კარგი, რომ დაცვამ დროულად ხელიდან გამოსტაცა შიშველი, სველი პრეზიდენტი და საელჩოსკენ წაიყვანეს. აფხაზებმა ხმამაღლა მორთეს ძახილი, ზვიადი, ზვიადი... თავი თბილისში, რუსთაველზე მეგონა. ამის მერე მე, როინ მეტრეველმა და ელდარ შენგელაიამ გავესაუბრეთ აფხაზებს. მე ცოტა აფხაზურად, ცოტა მეგრულად, ცოტა რუსულად და ყველაზე აგრესიული ქალები დავიყოლიე მასზე, რომ შევსულიყავით საელჩოში და ნორმალურად გავსაუბრებოდით შევარდნაძეს. ის იყო თხუთმეტიოდე აფხაზი გავიყოლიე და შევედით საელჩოში, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ რაციით გვაცნობეს, რომ ედუარდ შევარდნაძე გულის შეტევით საჩქაროდ წაიყვანეს აეროპორტში, თბილისში გასაფრენად. იმ დღეს ჩაიშალა საღამოს შეხვედრა ელცინთან.

მე შევეკითხე ელდარ შენგელაიას, ბატონო ელდარ, ასეთი ინციდენტის მერე შეიძლება თუ არა რამე საუბარი იყოს შერიგებაზე–მეთქი. მითხრა, რატომაც არა, ისტორიაში უფრო უარესიც მომხდარაო. დაე ასე იყოს მარა მე მეეჭვება.

მე კი პეტერბურგში ყოფნისას ახალ წელს მილოცავდნენ სერგეი ბაღაფში, გენადი გაგულია და მამშვიდებნენ, არ ინერვიულო, მალე ისევ აფხაზეთში იქნებიო. ძალიან გული დამწყდა, რომ სერგეი ბაღაფში, ზურაბ აჩბა და ბევრი საღად მოაზროვნე აფხაზები ნაადრევად წავიდნენ ამ ქვეყნიდან. როცა დეპუტატად ირჩევდნენ ლორიკ მარშანიას, მაშინ მე მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი. ადასაც კარგად ვიცნობ. მათ გარდა, თითქმის ყველა აფხაზი ლიდერი მიცნობდა. ომის მერე დავშორდით ერთმანეთს. ახალმა თაობამ არ იცის

ჩემი ვინაობა და არც მე ვიცნობ მათ. სხვანაირად არ შეიძლება, შენ სადაც მიდიხარ, სადაც ცხოვრობ იქაური ქუდი უნდა დაიხურო. მე უფრო მეტი კავშირი და ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან. ისინი მაფასებდნენ, პატივს მცემდნენ. ჩემი საქციელი არ მოსწონდათ ქართველებს, კერძოდ თამაზ ნადარეიშილს, დიმა ჯაიანს და სხვებს. მხოლოდ ჯემალ გამახარია იყო ჩემი კარგი გამგონე. მე დიდ პატივს ვცემდი მას. თამაზ ნადარეიშვილმა ბევრჯერ მისაყვედურა, რა გინდა იმ აფხაზებთან ტელევიზიით რომ გამოდიხარო, მალე ჩვენი ტელევიზია გვექნება და იქ ილაპარაკე რამდენიც გინდაო. სინოპში რომ დავდიოდი, ვამჩნევდი სულ ჩხუბობდნენ ერთმანეთთან ქართველი დეპუტატები. მე რომ დამინახავდნენ, სხვანაირად მიყურებდნენ. მახსოვს, ერთხელ ქართველების ყრილობაზე კელასურში რომ ტარდებოდა, არ შემიშვეს, მაგრამ ვიღაცის დახმარებით ძლივს შევაღწიე. სიტყვით რომ გამოვდიოდი, დიმა ჯაიანმა მიკროფონი გამითიშა და დამიყვირა – არანაირი მშვიდობიანი მოლაპარაკება არ იქნება, აუცილებლად სისხლი უნდა დაიღვაროსო. ჩემი ნათქვამით დაინტერესდნენ თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტები. მათ გარეთ გამიყვანეს და ჩემგან აიღეს ინტერვიუ. მაგრამ ვინ იყო მაშინ საღი აზრის მომსმენი ან გამგონე. ყველას გვახსოვს ზვიადი კაბინეტში რომ არ შეუშვეს, გააგდეს, ხოლო შემდეგ მოკლეს. მაშინ ქვეყანას პატრონი არ ჰყავდა, მოღალატე შევარდნაძეს მხოლოდ სკამი აინტერესებდა. აფხაზეთში უაზროდ შეიყვანა უგალოვნიკები, მძარცველები. შევარდნაძე ამბობდა, სოხუმი თუ დაეცა, პირველი მე ავალ სახრჩობელაზეო. დაეცა სოხუმი და თვითონ გამოიქცა და მის მაგივრად სახრჩობელაზე ავიდნენ ერის გმირები: ადამია, ალასანია, შარტავა და სხვა ვაჟკაცები. შარტავას დედა ფენია ჩემი სოფლიდან იყო, რის ჩემი მოგვარე. გული მტკივა, რომ ჟიული უაზროდ შეეწირა შევარდნაძის მოღალატეობრივ საქციელს. ამ თაღლითმა, გაიძვერა თეთრმა მელამ დაღუპა საქართველო. მან ყველაფერი იკადრა, მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურა კომპარტიას

და დღეს უსირცხვილოდ ამბობს კომუნისტები ფაშისტებზე უფრო საზიზღრები იყვნენო. დაავიწყდა, რომ თვითონ იყო კომუნისტების ლიდერი, ტრიბუნაზე ავიდოდა 2–3 საათი ლაყლაყებდა, გეგმებს ფარატინა ქაღალდით ასრულებდა. ბრეჟნევს უკნიდან უძვრებოდა, რომ გასულიყო სტალინურ ორბიტაზე, რომ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, თუნდაც მცირე ხნით. მაგრამ რუსებმა რომ არ გაუშვეს, მას დასჭირდა მხოლოდ 24 საათი შემობრუნებულიყო დასავლეთისკენ ასოთხმოცი გრადუსით და გამხდარიყო ცეერუს აგენტი, დაენგრია საბჭოთა კავშირი, ქვეყნის დამღუპველი, 9 აპრილის ავტორი, ერის მოღალატე, დღეს თავს კომფორტულად გრძნობს.

ბატონო ნაპო, მე ვიყავი ის ერთადერთი ქართველი, რომელიც სულ აფხაზების გვერდით იდგა ჭირშიც და ლხინშიც. სამაგიეროდ ისინიც დიდი პატივსცემით მექცეოდნენ. მათი თანამდებობის პირები ყველაფერში მეხმარებოდნენ, ყველა მიცნობდა, ყვალას ვუყვარდი. ხშირად დავდიოდი მათთან და კარებს რომ შევაღებდი ადგებოდნენ და მიმიპატიჟებდნენ. მახსოვს, ერთხელ ს. ბაღაფშმა მითხრა, გვანჯი შემოდი ვისაუბროთო. მეც ვთანხმდებოდი, მაინტერესებდა აფხაზების მომავალი ბედი როგორი იქნებოდა. ერთხელ საუბრისას მან ხუმრობით მითხრა, რომელიც სიმართლეს უფრო ჰგავდა: გვანჯი ბატონო, ჩვენ აფხაზებს არაფერი გვესაქმება ღალიძგას იქითო და სამურზაყანო შენთვის მიჩუქნიაო. მე საზღვრის გადაწევა მოვითხოვე, ის კი თავისას მთავაზობდა.

ბატონო ნაპო, ჩემი გაგებით იმ დიდი ტრაგედიის მერე თითქმის გამორიცხულია ჩვენი ერთად ცხოვრება. ხომ არ აჯობებს ძმურად გავიყოთ უძრავ–მოძრავი, მხედველობაში მაქვს ტერიტორია. ეს აზრი მე ბრუნერისაგანაც მომისმენია. თქვენც გქონდათ ამის შესაძლებლობა, რომ გუმისთა და სხვა მდინარე ყოფილიყო ჩვენს შორის საზღვარი, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ მხარი არავინ დამიჭირა, რას მიქვია, რომ იყვირიან, ჩვენ ერთ გოჯ მიწას არ დავთმობთო. აფხაზეთის მიწა

მარტო ქართველების ხომ არ არის, ის აფხაზების მიწაცაა, მათ ხომ ვერ გავყრით იქიდან? თუ მიწა მათი არაა, აფხაზეთი რატომ ჰქვია? აქ სადაო არაფერია, ნუ ვიქნებით დამპყრობლები. მე ერთხელ კითხვა დავუსვი აფხაზ ცნობილ ლიდერებს. „**Абхазцы и менгрелы однофамилцы братья или нет?** მიპასუხეს: **ну, как же братья, конечно.** მე ისევ ვკითხე, **если для одного брата земля родная, почему для другого брата не родная?** მათ მიპასუხეს, **ну хорошо, мы согласны, что братья, Но скажите как могут в одном доме жить и управлять двум братьям?** მე აქ თავი შევიკავე, სხვა რა გზა მქონდა.

ბატონო ნაპო, აფხაზეთი იყოფა სამ ნაწილად: ჯიქეთი, შილოეთი და სამურზაყანო. მე თქვენ გეკითხებით, აფხაზებმა თუ დაგვითმეს სამურზაყანო, გვაწყობს თუ არა ეს ჩვენ? რა თქმა უნდა კელასურამდე ტერიტორიის დათმობას არ დათანხმდებიან, ის კი არა ღალიძგამდეც საეჭვოა. გალის რაიონი მთელი აფხაზეთის მკვებავია და თუ ამასაც დავთმობთ, არ ვიცი. აფხაზებს ვინ ჰკითხავს, მთავარია რუსები იყვნენ თანახმა. რუსეთის გვერდის ავლით და ანტირუსული პოლიტიკის გატარებით ერთ გოჯა მიწასაც ვერ დავიბრუნებთ. ჩემი გაგებით ჩრდილოეთის გზა ჩვენთვის უფრო პერსპექტიულია ვიდრე დასავლეთისა.

მინდა ყველა კატეგორიის ქართველმა კარგად გაიგოს, აფხაზეთი ჩვენთვის დაკარგულია, აფხაზები ჩვენ არ დაგვიბრუნებენ არც ერთ მეტრ მიწას, იმ საშინელი ტრაგედიის მერე. ამ საკითხში დიდია რუსეთის ფაქტორი. ჩვენ თუ რუსეთთან საერთო ენა გამოვნახეთ, მოსალოდნელია ყველაფერი. მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ თუ ჩვენ ნატოში შესვლას ვაპირებთ, ვიქნებით ამერიკის მოკავშირე, მაშინ რუსეთისკენ ნუ მივიხედავთ და დავემშვიდობოთ სამუდამოდ აფხაზეთსა და ოსეთს. საშიშია კიდევ მეტი ტერიტორია არ დავკარგოთ. სამხრეთში ჩვენს მიწებს ბევრი მუშტარი ჰყავს, სომხეთისა და თურქეთის სახით. გავიგოთ ხალხნო, რუსეთს უჩვენოდ არაფერი დააკლდება, ჩვენ კი ურუსეთოდ გაგვიჭირდება. რა დაგ-

ვიშავა ისეთი ერთმორწმუნე რუსეთმა, პირიქით ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმა აიძულეს რუსეთი მიემართა სამხედრო ძალისთვის. გახდი მისი მოკავშირე და ყველაფერს გაგიკეთებს, ცხოვრებამ დაამტკიცა ეს, ჩვენ ქართველები ვინმეს გავლენის ქვეშ უნდა ვიყოთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ რუსეთი თავისუფლებას, დამოუკიდებლობას არ წაგვართმევს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს გარშემო მტრულად განწყობილი ქვეყნებია, მათს შორის ყველაზე საშიში სომხეთია. ამიტომ საქართველოს სჭირდება ძლიერი მფარველი. ღმერთმა გვაჩუქა ასეთი რუსეთის სახით. რა გვემართება ოკეანისგაღმა რომ ვიყურებით. დაფიქრდით ხალხნო, სანამ გვიან არ არის. ყველაფერი ვიღონოთ ერთმორწმუნე რუსეთთან, გამოვნახოთ საერთო ენა და თუ რუსებმა არ მიიღეს ჩვენი თხოვნა, მაშინ სხვა გზა არ დაგვრჩენია და თუ გვინდა ეშმაკთან ვიმეგობროთ, ოღონდ საქმით დაგვეხმაროს. მაღალი ტრიბუნებიდან ლაქლაქი არ არის საჭირო. ყველაფერი ვიღონოთ, რომ რუსები გავიდნენ აფხაზეთიდან და თუ ეს ბედნიერება გველირსა, აფხაზეთის საკითხი 24 საათში გადაწყდება. აფხაზების უმრავლესობა ჩვენთან დარჩება, უმცირესობა უკან გაჰყვებიან რუსებს. გთხოვთ ყველას ნუ ავჩქარდებით, ნუ ვაღიზიანებთ რუსეთს. რუსეთში ყოველთვის პუტინი და მედვედევი არ იქნებიან. მოვა სხვა ძალა, უფრო დემოკრატიული და ალბათ გვეშველება. თავი ავარიდოთ უაზრო სისხლისღვრას, ეს ყველა სულელს შეუძლია. მთავარია შევძლოთ მშვიდობიანი გზით საქმის მოგვარება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც მრგვალი მაგიდა ვერ უშველის, იმას ატომიც ვერ უშველის. სიტყვა ატომზე უფრო ძლიერია, როგორ ვენდოთ დასავლეთს, რომელიც 20 წელია ვერაფერს აკეთებს აფხაზეთის მიმართებაში, გაერო რისი გამკეთებელია, ის მხოლოდ ნასისხლარზე გამოჩნდება, ხელი რომ მოითბოს. ჩვცენ მხოლოდ მოთმინება და ჭკუა გვიშველის. მივბაძოთ სომხებს, თავი დავანებოთ ანტირუსულ ისტერიკას და ყველაფერი მოგვარდება. ეს ასე იყო და ასე იქნება. აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა

სტიქიურად, უაზროდ იღვრებოდა უდანაშაულოთა სისხლი ორივე მხრიდან. ეს ომი კი არ იყო, ეს იყო შევარდნაძის ყაჩაღების მიერ წარმოებული გენოციდი აფხაზეთში მცხოვრები ხალხისა, კერძოდ აფხაზებისა და ქართველებისა. ამ დროს მე პეტერბურგში ვიყავი და იქიდან ვაკეთებდი რაც შემეძლო. ერთხელ ტელევიზიაში გადასცეს, რომ ტყვარჩელის მიმართულებით აფხაზი ხალხისთვის ჰუმანიტარული ტვირთის სახელით 25 მანქანა მოდიოდა. ეს მანქანები შემოწმების გარეშე გაატარეს. მე ამან ძალიან დამაფიქრა და სასწრაფოდ დავრეკე მოსკოვში, ჩვენს ელჩთან ვალერიან ადვაძესთან და ვუთხარი: რატომ დაუშვით ასეთი შცდომა, ეს ხომ იარაღით სავსე მანქანებია-მეთქი. მიპასუხა, ბატონო გვანჯი შენ რა განერვიულებს, შევარდნაძემ ჩვენზე უკეთესად იცის რას აკეთებსო. ვერ მოვითმინე და თბილისში დავრეკე უშიშროებაში. იქიდან ვიღაც პაიჭაძემ მიპასუხა ყველაფერს გავარკვევთო. სწორედ ამის მერე იყო, რომ იმ შეგზავნილი იარაღით სოხუმი აიღეს. ვინ იყო მაშინ გამკითხავი. შევარდნაძემ ის კი არა ხალხი დააბრუნა სოხუმში და იქ ჩახოცა, თვითონ კი გამოიქცა. სახრჩობელაზე ნამდვილ გმირებს მოუწიათ ასვლა. რომ გაიქცა მერე რატომ არ დაეხმარა სვანეთში გოლგოთას გზაზე მიმავალ საწყალ გაუბედურებულ ხალხს. ყველამ ვიცით, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ ჩვენს ხალხს იქ, როგორ გაძარცვეს ისევ ჩვენებმა. ანგელოზები ჩვენს მხარესაც არ იყვნენ, ამიტომ საჭირო იყო აფხაზეთში ომის დაწყება, თუმცა ეს ომი არ იყო, ეს ნადავლის ძარცვა და ზვიადისტებზე ნადირობა იყო. ეს ჩანაფიქრი კარგად შეასრულა შევარდნაძემ, რუსის ჯარის დახმარებით საბოლოოდ ამოხოცა ზვიადისტები, ზვიადი კი მოკლა. მიკვირს ქართველები ამის მერე მაინც დუმილს არჩევენ, მთავარი დამნაშავე კი ფუფუნებაში ჰყავთ. მაგრამ ყველამ კარგად გაიგოს, ისტორიასი არაფერი იმალება, ადრე თუ გვიან ყველაფერს გაეცემა პასუხი. გული მწყდება, როდესაც აფხაზეთში დამარცხებას ჩვენ, მეგრელებს და ზვიადისტებს გვაბრალებენ. ახია ჩვენზე, რაც დაგვემართა ზუგდიდელებს, წა-

ლენჯიხელებს, გალელებს. დღემდე არავინ ამაზე რეაგირებას არ აკეთებს, პირიქით ენგურს იქით მეგრელები მეორეხარისხოვან ქართველებად მოგვნათლეს. არავითარი დახმარება, არავითარი კომპენსაცია. გულსატკენია ის, რომ როცა კახელებს სეტყვამ ვენახი გაუფუჭა ან სახნავი დაუზიანა, ყველას ზარალი აუნაზღაურეს. ჩვენ კი მამაპაპური სახლები, საფლავები და უძრავი ქონება დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ სულის გარდა და არავითარი დახმარება, სულს ვღაფავთ და ჩვენი ხელისუფლება ბოდიშსაც კი არ გვიხდის. 28 ლარიანი შემწეობის შემყურემ, ბევრმა წვალებითა და დიდი შრომით რაღაცას მიაღწია, მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესობაა. ჩემი გოგო 20 წელია ნაქირავებში ცხოვრობს, იმიტომ, რომ საშუალება არა აქვს ვინმეს რომ ჩაუჯიბოს. ის დრო დადგა, დღეს მგელი უნდა იყო და მგელზე უფრო მგელი. დღეს პატიოსანი კაცი განწირულია. დალესის თქმისა არ იყოს, პატიოსანი კაცი გამასხარავებულია და წარსულს ჩაბარდა.

აფხაზებმა ის უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ისინი თუ იცხოვრობენ რუსებთან თანდათანობით დაკარგავენ კულტურას, ენას, თავისუფლებას. ისინი ერთმოგვარე ქართველებთან შეინარჩუნებენ ყველაფერს, რასაც აფხაზური ჰქვია. საქართველოდან ასიმილაციის საშიშროება მათ არ ემუქრებათ. მინდა მოვიყვანო ერთი მაგალთი: კომუნისტების დროს ვლადიკავკაზში ჩავედი, რაღაც გასაყიდი ტვირთი მიმქონდა. ბაზარში ერთი ახალგაზრდა ოსი დამეწია და მკითხა, ვინ ვიყავი. რომ გაიგო, ქართველი ვიყავი, ჩემოდანი გამომართვა და ბაზრამდე მიმაცილა და მთხოვა საღამოს რომ დაბრუნდები მატარებლის სადგურში დაგვხვდებიო და გაგაცილებო. მე არ ვიცოდი ის მართლა დამხვდებოდა თუ არა, მაგრამ რომ მივედი იქ ვნახე. ჯერ პურმარილზე დამპატიჟა, მერე ბილეთი ამიღო და დამაბარა: გადაეცით დიდი მადლობა ქართველ ხალხს, რომ ოსებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნეს, აქ კი ჩრდილოეთში ჩვენ ყველაფერი დაკარგული გვაქვსო. მე არ ვიცი დღეს რა დაემართათ აფხაზებს, ოსებს და სხვა ეთნიკურ კავკასიელებს, რომ თავის ბედზე არ ფიქრობენ. რა ქნან, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. ეს დადასტურდა ჩეჩნეთის ომში. სანამ რუსეთში არ გაიმარჯვებს დემოკრატია, მანამდე კავკასია იქნება დღევანდელ სიტუაციაში. კაცი იმედით ცხოვრობს და ჩვენც მოვითმინოთ მანამ, სანამ არ გამოჩნდება პატრონი. ასეთ პატრონს მე ჯერ ვერ ვხედავ. სიტყვით ყვალა გვპირდება დახმარებას, მაგრამ საქმე სამწუხაროდ არ ჩანს.

ნუთუ ჩვენ, ქართველებს არ გვინდა გავიგოთ, რომ ამერიკა და დასავლეთი აფხაზეთის გულისთვის რუსეთს არ აწყენინებს. მე რომ მკითხოთ, გლეხს, რუსეთი უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ამერიკა და სხვა ქვეყნები. გთხოვთ, ნუ გავაბრაზებთ რუსეთს, ნუ ვაიძულებთ იყოს ჩვენს მიმართ უფრო რადიკალური. მკაცრმა ანტირუსულმა პოლიტიკამ შეიწირა გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი. ნუ გავიმეორებთ ჩვენი წინამორბედების შეცდომებს, ნუ დავკარგავთ ძველ გზას და ველ მეგობრებს. ჩვენ, როგორც მიწათმომქმედ ქვეყანას, უფრო გვჭირდება მშვიდობა, მდიდარი სოფელი და რუსული ბაზარი და არა ამერიკის იარაღი, ხოლო ჩვენი ავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდეს. გთხოვთ, ნუ ვიქნებით მარიონეტები, სჯობია ვიყოთ თავისუფლები, დსთ, სწორედ ამის გარანტი გახლავთ. რომ გავშიფროთ, მშვენივრად ჟღერს: **„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“.**

ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი ჩვენ არ მოგვცემს იმის ნებას, ნატოს ჯარი დავუყენოთ საზღვართან. ეს ბუნებრივია, ამიტომ თავი უნდა დავანებოთ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, ცემა-ტყეპას. ყველამ უნდა ვიფიქროთ სამშობლოზე, რადგან არ არსებობს პირადი ბედნიერება ეროვნული ბედნიერების გარეშე.

გვანჯი დარასელია

ზუგდიდი, კოლხიდა

გაზეთი: **„ილორი“** NN 284-286 2014 წ.

დაგვიანებული წერილი საქართველოს ექსპრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

გახსნილი საუბარი იმაზე, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ მწარე სიმართლე - დაუფარავად!

ბატონო ედუარდ,

ეს წერილი დაიწერა ცხელ გულზე, აფხაზეთის დაკარგვისა და იქიდან ასიათასობით მკვიდრი მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ, მაგრამ მაშინვე თაროზე აღმოჩნდა. რა აზრი ჰქონდა მის გაგზავნას, როდესაც წინასწარ იყო ცნობილი, რომ ის პასუხს არ ეღირსებოდა. ასე გავიდა წლები. ახლახან ხელში ჩამივარდა (ისიც დაგვიანებით) თქვენი უკანასკნელი თხზულება – **„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“.** გავეცანი მას და უხერხულობისა და უკმარისობის გრძნობა დამეუფლა: ღმერთო ჩემო, რამდენი, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობაა შიგ, აქა-იქ კი აშკარა და სრული სიცრუეც. მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი! ამ გარემოებამ და, ამასთან ერთად, ბედის ირონიით, ისევ აგვისტოში დატრიალებულმა ტრაგედიამ, და ბოლოს, ამ და სხვა საკითხებზე თქვენმა უწყვეტმა დამოძღვრებებმა, საბოლოოდ გამომიყვანეს მწყობრიდან და მიბიძგეს ჩამომეღო თაროდან 1994 წელს დაწერილი წერილი, ანუ აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებული ფიქრები და მოსაზრებები, მცირე ჩამატებები თუ შესწორებები შემეტანა მასში და ისე გამეცნო თქვენთვის და ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

წერილის მიზანი, რა თქმა უნდა, თქვენი წიგნის რეცენზირება არ არის. ამაში მაინცდამაინც არ ვარ კომპეტენტური. თქვენი წიგნის გაცნობამ, უბრალოდ, ისევ გამიჩინა სურვილი, გესაუბროთ უშუალოდ აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ შთაბეჭდილებებზე და მოსაზრებებზე, რომლებიც უკვე რამდენი წელია მოსვენებას არ მაძლევს, დაგისვათ კითხვები, რომლებზეც აგერ უკვე რამდენი წელია, პასუხს ვერ ვპოულობ. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, იქნებ, დამეხმაროთ!

ვიდრე კითხვებზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ, ძალიან მოკლედ მოგახსენოთ იმაზე, გარდა უკანასკნელი მოვლენებისა, თუ კონკრეტულად რამ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა. ამასთან ერთად, გთხოვთ მომიტევოთ, თუ მოვლენებისა და ფაქტების შეფასებისას მკაცრი და პირუთვნელი ვიქნები. აფხაზეთზე, აფხაზეთის ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე და მიღებულ შედეგებზე სხვაგვარად საუბარი შეუძლებელია. მშვიდად ასევე ვერ ვისაუბრებ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ე.წ. მეგრული სეპარატიზმი და, თავის დროზე, თქვენს მიერ კოლხეთში, კერძოდ, სამეგრელოში, „აღმოჩენილი“ და პროვინციულად შერაცხული ფაშიზმი. ეს ფაქტი ნებისმიერ ჭეშმარიტ ქართველს მაშინაც ზარავდა და დღესაც არ აძლევს მოსვენებას, ვერ იხსენებს მას აღშფოთების გარეშე.

მაშ ასე, ბატონო ედუარდ, თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად უწყით, რომ ორი მსოფლიო და უამრავი ლოკალური ომების მომსწრე მე-20 საუკუნეს თითქმის არ ახსოვს (ცხადია, ფაშისტების მიერ მე-2 მსოფლიო ომში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს არ ვგულისხმობ) მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ესოდენ მასშტაბური და მხეცური სისასტიკის გამოვლენის სხვა მაგალითი, როცა ეთნიკური ნიშნით ამოჟლიტეს და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად აქციეს 250 ათასზე მეტი ქართველი, სულ 400 ათასამდე ადამიანი. მსოფლიოს მით უფრო არ ახსოვს, რომ ხელისუფლებას საკუთარი, ასე შეურაცხყოფილი და ნატანჯი ხალხის მიმართ გამოეჩინოს მსგავსი ცინიზმი, ისეთი, როგორიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა საკუთარი ხალხის მიმართ აფხაზეთში 1992-1993 წლებში და შემდგომ პერიოდში. ასეთ

პირობებში გულგრილობა და დუმილი ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ მსურს დაუფარავად მოგახსენოთ მწარე სიმართლე, გაგიზიაროთ ათასობით აფხაზეთიდან დევნილის გულისტკივილი. ამასთანავე, საჭიროდ მიმაჩნია იმის აღიარებაც, რომ არც მაშინ წარმოვადგენდი და არც დღეს წარმოვადგენ რომელიმე ოპოზიციურ დაჯგუფებას. უფრო მეტიც, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სწორედ მე ვიყავი ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც აფხაზეთის ე.წ. რუსულენოვან მოსახლეობაში პირადად თქვენი და საქართველოს პარლამენტის მხარდამჭერ წინასაარჩევნო კრებებსა და მიტინგებს აწყობდა აფხაზეთში. ვაღიარებ, რომ მაშინ დიდ იმედებს ვამყარებდი თქვენზე!. და არა მარტო მე!...

თქვენთვის, უდავოდ, ცნობილი უნდა იყოს, თუ რა მზაკვრულ გეგმებს ისახავდნენ აფხაზეთში არსებული ანტიქართული წრეები და როგორ იყენებდნენ მათ რუსეთის გარკვეული ძალები საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ. მაგრამ მომხდარი უბედურების მთავარი მიზეზი მაინც სულ სხვა რამ გახლავთ, კერძოდ, ის, რომ ერმა, რომელსაც თქვენისთანა პოლიტიკოსი ედგა სათავეში, ვერაფერი გონივრული ვერ დაუპირისპირა სეპარატისტთა ანტიქართულ იდეოლოგიას და მოახლოებულ საფრთხეს. უფრო მეტიც, 1992 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად ანტიქართული განწყობების გაძლიერებისა და როგორც აფხაზთა, ისე კონფედერატებისა და მათი მოსკოველი მფარველების მხრიდან აშკარა მუქარისა, თქვენ აფხაზეთი ქართველთა შორის დაპირისპირებისა და თბილი სავარძლებისთვის ბრძოლის არენად აქციეთ. თქვენთვის და ფართო საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი, თუ ვინ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით ამ სამარცხვინო ბრძოლაში, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა; რა დესტრუქციულ საქმიანობას ეწეოდნენ ცალკეული ყოფილი საბჭოური მოხელეები და აფხაზეთის ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები ბატონ **ბორის კაკუბავას** თავკაცობით. თქვენ ისიც კარგად უნ-

და უწყოდეთ, რომ, სხვა გარემოებებთან ერთად, რომლებიც უშუალოდ თქვენს სახელთანაა ასოცირებული, აფხაზეთში უგუნური პოლიტიკის წყალობით მიღებული სავალალო შედეგები და ამჟამად არსებული ვითარება როგორც აფხაზეთის ანტიქართული ძალების საქმიანობას, ისე ქართველი ვაი-პოლიტიკოსების გაუთავებელ ამბიციებს და ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს მოჰყვა.

მათ არა მხოლოდ არ ეყოთ გონიერება, არამედ, უბრალოდ, ხელს არ აძლევდათ სტაბილურობა აფხაზეთში, ვინაიდან მშვიდობიან ვითარებაში პირადი ან ჯგუფური პოლიტიკური თუ კომერციული ინტერესების რეალიზაციას ვერ მოახდენდნენ. ამისათვის დესტაბილიზაცია და არეულობა იყო საჭირო. ამიტომაც ამ ძალებმა შეცდომაში შეგიყვანეს თქვენ (შეგიყვანეს კი?!), სახელმწიფო საბჭო და აფხაზეთში ჯარების შეყვანისა და ომის დაწყების საბედისწერო გადაწყვეტილება მიგაღებინეს. ასე და ამგვარად, ამ ვაი-პოლიტიკოსების, აფხაზეთის პარლამენტის ზოგიერთი, რბილად თუ არ იქნება ნათქვამი, უპასუხისმგებლო, თქვენთან დაახლოებული დეპუტატისა და ექსტრემისტული წრეების ზნედაცემულ, გონებადახშულ წარმომადგენელთა ამბიციებს შეეწირა ხალხის ბედი და ინტერესები აფხაზეთში და განა მარტო აფხაზეთში?!..

აფხაზეთში ეროვნული ნიშნით დაპირისპირებას, საზოგადოების პოლარიზაციას, ვითარების უკიდურესად დაძაბვას და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ხელი შეუწყო აგრეთვე დეკემბერ-იანვრის ცნობილმა საბედისწერო მოვლენებმა თბილისში და შემდგომ ბრძოლამ უკანონოდ დამხობილი ხელისუფლების აღსადგენად.

ყოველივე ამაში და აფხაზეთში ომის გაჩაღებაში, მიუხედავად იმისა, აღიარებთ თუ არა, მთელი პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ, რადგანაც საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებას და მის გაღრმავებას შორიდან ადევნებდით თვალყურს. ერთი შეხედვით, თითქოს არც ერეოდით ამ პრო-

ცესებში, მაგრამ სინამდვილეში ფარულ თუ ღია მხარდაჭერას უწევდით იმ ძალებს, რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად აპირობებდა დესტაბილიზაციას. ქვეყანაში მომხდარი არეულობის, სამოქალაქო დესტაბილიზაციის გარეშე თქვენ, უბრალოდ, ვერ შეინარჩუნებდით სავარძელს, თქვენ ამისთვის სულ სხვა მასშტაბისა და ხარისხის დაპირისპირება გჭირდებოდათ: თქვენთვის ეთნოკონფლიქტი იყო საჭირო. სხვაგვარად, სამოქალაქო ომი წაგლეკავდათ თქვენც და თქვენს მომხრეებსაც – მომავალ ავადსახსენებელ „მოქალაქეთა კავშირს"!... არც სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებს ეყოთ გონიერება, წინდახედულობა და... 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყეთ ომი.

ცალკეული პარტიები თუ პოლიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ხელს უწყობდნენ ან მიესალმებოდნენ თქვენს ჩამობრძანებას საქართველოში, დღეს აცხადებენ, რომ აფხაზეთში ომი გააჩაღეთ თქვენ, რათა განადგურებული და დაჩოქილი საქართველო შეგეყვანათ დსთ-ში; რომ თქვენ ამ მისიით იყავით საგანგებოდ მოვლენილი საქართველოში და ა.შ. ეს ყველაფერი კი, საუბედუროდ, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. ამის დასტური იყო თქვენს მიერ 1994 წლის თებერვალში ცნობილ რუს ჟურნალისტ **კარაულოვისთვის** მიცემულ ინტერვიუში გაცხადებული რეალობა: სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი თურმე ქართველ ხალხზე, მის პარლამენტზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ რუსეთზე და, უშუალოდ, მის პრეზიდენტზე - **ბორის ელცინზე.** რარიგ გულსატკენი და სამარცხვინო იყო მაშინ თქვენს მიერ ამის აღიარება!.. ან კიდევ, საქართველოს ლიდერის რანგში იმავე 1994 წელს გერმანიაში თქვენი პირველი ვიზიტის დროს ღია ეთერში გაკეთებული მინიშნება იმაზე, რომ გენშერის მისაღებში თქვენ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, შემთხვევით, გულმავიწყობით კი არ დაგრჩენიათ საიდუმლო საქაღალდე!. საოცარია, რა სიამაყით და ვალმოხდილი ადამიანის გრძნობით ამბობდით ამას!...

მივუბრუნდეთ ისევ აფხაზეთის ტრაგედიას. საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად, ქართული ჯარები აფხაზეთში საგზაო კომუნიკაციების დასაცავად და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად შევიდნენ... **ჯაბა იოსელიანის** მტკიცებით კი, მათი მიზანი აფხაზეთში თავშეფარებული ექს-პრეზიდენტის მომხრეების განადგურება იყო...

მე არც ექსპერტი ვარ და არც მსაჯულის პრეტენზია მაქვს, რომ ხსენებული ვერსიების ანალიზს, ომის ჭეშმარიტი, სიღრმისეული მიზეზებისა და მიზნების დადგენას შევუდგე. ამას მიუკერძოებელი და უკომპრომისო ისტორია განსჯის. შესაბამის განაჩენსაც ის გამოიტანს. მე მხოლოდ იმაზე ვისაუბრებ, რაც უბრალო მოკვდავის გადასახედიდან შეუიარაღებელი თვალითაც მკაფიოდ ჩანს, რაც აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობამ საკუთარ ზურგზე იწვნია.

სამეგრელოს არაერთგზის დარბევისა და აფხაზეთის ომის შედეგად განადგურდა ან დევნილად იქცა ძირითადად თქვენთვის ესოდენ **„ახლობელი"** კოლხური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს გასული საუკუნის 60-იან წლებში კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს მიერ **„მეგრელთა საქმედ"** წოდებული იმ ცნობილი სნეულების რეციდივი იყო, რომლითაც თავის დროზე **მგელაძეები** და **რუხაძეები** იყვნენ შეპყრობილნი - იმ სამარცხვინო დადგენილებისა, რომელიც 80-იან წლებში თქვენს მიერ, საქართველოს საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტბიუროს დადგენილებათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად რომ იქნა აღიარებული!... ეს იმ დროს, როდესაც, იმავე 1953 წელს იმავე ავადსახსენებელი პოლიტბიუროს მიერ ეს სამარცხვინოდ შეთითხნილი დადგენილება იქნა უარყოფილი და ბათილად ცნობილი. გაკვირვებას იწვევს, ამდენი ხნის შემდეგ - 80-იან წლებში რისთვის დაგჭირდათ ეს, ბატონო ედუარდ?! მეგრელებისადმი განსაკუთრებული „სიმპათი-

ით“ ხომ არ იყო ეს გამოწვეული?!

ამდენად, აფხაზეთში ომის დაწყებას, მიზანმიმართულ „იდეოლოგიურ“ სამზადისთან ერთად, კოლხური მოსახლეობის მასობრივი დევნა და გენოციდი უძღოდა წინ. ამასთანავე, პარალელურად მასმედიით მიმდინარეობდა ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი და მეტად საშიში კამპანია **„მეგრელთა სეპარატიზმის“, „პროვინციული ფაშიზმი“**-სა და **„აფხაზურ-მეგრული რესპუბლიკის“** შექმნის მცდელობის შესახებ. ამ უზნეო პროპაგანდის ავტორებმა სხვებზე უკეთ იცოდნენ, რომ არანაირი სეპარატიზმი, არც იმ მითიური რესპუბლიკის შექმნის გეგმა ბუნებაში არ არსებობდა. მიზანი, როგორც აღმოჩნდა, ერის გახლეჩა და სამეგრელოსთვის დანარჩენი საქართველოს დაპირისპირება იყო. ამ უზნეო პოლიტიკამ კი თავისი შედეგები სწორედ ქვეყნისთვის ყველაზე საბედისწერო პერიოდში გამოიღო. **მხედრიონისა და გვარდიელების მიერ გადათელილი სამეგრელოს მოსახლეობა აფხაზეთის ომისადმი დამოკიდებულებაში ბევრად უფრო ინერტული აღმოჩნდა, ვიდრე 1989 წლის ივლისის ცნობილი მოვლენების დროს. სწორედ ის დანაშაულებრივი პოლიტიკა გახდა მიზეზი გალის რაიონისა და, საერთოდ, სამეგრელოს მოსახლეობის (რომელთაც სეპარატისტებად და, ამდენად, მოღალატეებად აცხადებდით!) პასიური დამოკიდებულებისა აფხაზეთის 1992-1993 წწ. სამარცხვინო ომისადმი. ამის არდანახვა და არასწორად ახსნა, შესაბამისად, ტრაგედიის ნამდვილი მიზნებისა და მიზეზების მიჩქმალვა მონანიების ნაცვლად, კიდევ უფრო ამძიმებს თქვენს დანაშაულს. ამიტომ აფხაზეთში სამარცხვინო დამარცხების მიზეზებს კოლხეთში და კოლხებში კი არ უნდა ეძებდეთ, არამედ საკუთარ თავში, კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და ამის შემდეგ ერის გახლეჩაში, სახელმწიფო პოლიტიკის უსუსურობაში, მთავრობის მიერ წინდაუხედავად გადადგმულ ნაბიჯებში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ დანაშაულებრივ პოლიტიკაში.**

დაგიჯეროთ, ვინ, ვინ, მაგრამ თქვენ არ იცოდით, რომ გაურკვეველი წარმომავლობის ლაშქრისა და კრიმინალური ელემენტებისგან შემდგარი ჯარის იმედით ომს ვერ იგებენ? მოგეხსენებათ, არც იწყებენ, თუ დამარცხება არ არის წინასწარ დაგეგმილი!. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ არც ომის დაწყებამდე და არც მისი დაწყების შემდეგ ბრძოლისუნარიანი სამხედრო ფორმირებების შექმნა ქვეყნის მთავარსარდალს აზრადაც არ მოგსვლიათ მაშინ, როდესაც აფხაზები, რუსი სპეციალისტების დახმარებით, გამალებით ქმნიდნენ შეიარაღებულ ფორმირებებს და ომისთვის ემზადებოდნენ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასაიმედოდ გყავდათ შერაცხილი. ამიტომ ადგილზე ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ არაფერი კეთდებოდა.

მესმოდა, ჩვენც რაღაცა უნდა გვეღონა. ეს აზრი ჩემში უფრო გამყარდა **კონსტანტინე ოზგანთან** არაერთგზის კონფიდენციალური შეხვედრების შემდეგ. ის არც კი მალავდა, რომ ცოცხალ ძალასა და სახსრებს ჩრდილო კავკასიასა თუ ახლო აღმოსავლეთში ეძებდა შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. ამიტომ კონკრეტული წინადადებებით მივმართე ბატონ **თამაზ ნადარეიშვილს,** მაგრამ მან წაუყრუა ჩემს წინადადებებს. აფხაზეთის ა/რ შს მინისტრმა **გივი ლომინაძემ** კი ლაკონურად მომიჭრა: **„არის ჯარი და საჭიროების შემთხვევაში მას შემოვიყვანთ“-ო!** ბატონ მინისტრს, რა თქმა უნდა, მხედრიონი და გვარდია ჰყავდა მხედველობაში, ანუ ის ფორმირებები, რომლებიც არბევდნენ და აჩანაგებდნენ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კი სამეგრელოს, და ახლა მათ აფხაზეთში შემოსაყვანად ამზადებდნენ, თუმცა თავიდანვე ცნობილი იყო, თუ რა მოჰყვებოდა მათ შემოსვლას. ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაშიც, რომ გამოუვალ შემთხვევაში აფხაზეთში უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ ქართველობას უნდა ეომა და მას უნდა დახმარებოდა დანარჩენი საქართველო, რაც არაერთგზის ხმამაღლა მითქვამს თქვენ-

თვის და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებისთვისაც, მაგრამ ამაოდ! ამიტომ, უკვე ომის პირველ დღეებში, გადავფრინდი გალში, სადაც ადგილობრივი წვევამდელების ბაზაზე უკვე შეექმნათ (გამგებელი რუდიკ ცატავა) საჯარისო ფორმირებები. ახლა მათი შეიარაღება იყო საჭირო!

როდესაც ამის შესახებ და მთელ რიგ ხელისშემშლელ ფაქტორებზე მოგახსენეთ, გახსოვთ, რა მიპასუხეთ, ბატონო ედუარდ? **„ბატონო ნაპო, 12 ათასი ავტომატი გამოგიგზავნეთ და რა უყავით ისინი?! მეტი არა მაქვს და რა მოგქცეთ!»** მე თავი ვერ შევიკავე და ზომაზე მეტი ემოციურობით გიპასუხეთ: **„მე რა საერთო მაქვს შეიარაღებასთან?! საერთოდ კი, რა ხდება ვერ გამიგია, ბატონო ედუარდ, გლეხი რომ გლეხია, იმანაც იცის, როცა სახლს აშენებს ან, ვთქვათ, სტუმრებს ელოდება, გათვლის რა სახსრები სჭირდება ამისთვის და რამდენი აქვს. იმის მიხედვით იმოქმედებს. ჩვენ კი რა გვემართება?!»** რა თქმა უნდა, ეს თქვენ არ გესიამოვნათ და ცივად გამომისტუმრეთ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი და გადამწყვეტი იყო ის, რომ ამ საუბარს და ჩემს თხოვნას არ მოჰყოლია შედეგი: ომის პირველ დღეებში ყაზარმულ მდგომარეობაში მყოფი გულრიფშის ბატალიონისათვის გაიცა მხოლოდ 16 ავტომატი, ხოლო გალის 5 ბატალიონისა და 500 მოხალისისთვის – არც ერთი(!). ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იარაღს უპირველესად კრიმინალური რეპუტაციის მქონე პირებს ურიგებდნენ და მავანნი კი ყიდდნენ მას.

სწორედ ასეთი რეალიების ფონზე, გაგრის საეჭვო ვითარებაში ჩაბარებისა და იქ დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ომის მთელი სიმძიმე ადგილობრივი მოსახლეობის მხრებზე გადავიდა. **სად გაგონილა ასეთი რამ: სამთავრობო ჯარები – გვარდია და მხედრიონი იწყებენ ომს და, მიუხედავად უდიდესი სამხედრო უპირატესობისა, არ იღებენ არც ერთ აფხაზურ სოფელს, აპარტახებენ ძირითადად ქართულ დასახლებულ პუნქტებს, პირწმინდად ძარცვავენ და აჩანაგებენ, აწიოკებენ, როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მოსახლეობას. მერე, დიდძალ შეიარაღებასთან ერთად, აბარებენ მოწინააღმდეგეს გაძარცვულ გაგრას და „ვალმოხდილნი“ სამთავრობო ჩინმენდლებით მკერდდამშვენებულნი ბრუნდებიან სახლებში ისე, რომ გააფთრებული მტრის პირისპირ ტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გმირულად იცავდა აფხაზეთს.**

უთავბოლო ომს აფხაზეთში ისეთივე უთავბოლო, არაორგანიზებული და, თამამად შეიძლება ითქვას, მავნებლური (შედეგებიდან გამომდინარე) პარტიზანული მოძრაობა მოჰყვა გალის რაიონში. პირწმინდად წაგებული ომის შემდეგ მოწინააღმდეგის მსხვერპლი მშვიდობიანი, დაუცველი მოსახლეობა აღმოჩნდა. არადა არ შეიძლებოდა არ გცოდნოდათ, რომ პარტიზანული მოძრაობა უფრო ომის მსვლელობისას უნდა მიმდინარეობდეს, მისი მოქმედების არეალი მტრის ზურგი უნდა იყოს და არა საკუთარი დაუცველი მოსახლეობის ტერიტორია. თითო-ოროლა ბოევიკის გაუვნებელყოფას მოსდევდა ათობით და ასობით ადამიანის ამოხოცვა, ათობით სოფლის გადაწვა და განადგურება. ამ ტრაგედიამ განსაკუთრებულ მასშტაბებს გალის რაიონში 1994 წლის თებერვალსა და 1998 წლის მაისში მიაღწია...

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1998 წლის მაისში გალის რაიონში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები ვიღაცას სჭირდებოდა, ვიღაცას ხელს აძლევდა და ყოველივე ეს წინასწარ იყო დაგეგმილი. სხვანაირად ვერ ახსნი ომის ისევ განახლებას და მდ. ენგურზე ფრონტის ხაზის გავლებას, ენგურზე **„გუმისთის“** გადმოტანას ისევ სრულიად მოუმზადებლად, ისევ და ისევ ქვეყნის საზიანოდ. ისმის კითხვა: **რა იყო მაინც ამ მზაკვრული ჩანაფიქრის შორსმიმავალი მიზანი?**

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიხსენოთ ის, თუ რა იყო ამ ყველაფრის წინაპირობა. თქვენ არ მიესალმებოდით ფიჩორში მარულას გამართვას და არ აცხადებდით, რომ საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და მისი განმტკიცება გალის რაიონში რეალურად შესაძლებელი იყო?. მაგრამ სი-

ნამდვილეში კი ხდება გაუგონარი რამ - იქ შეყვანილ, ავტომატის ერთი მჭიდისა და ერთი ხელყუმბარის („ლიმონკის“) ამარად დარჩენილ საჯარისო ფორმირებებს, როგორც ჩანს, სცენარის მიხედვით, უკან უნდა დაეხიათ და მშვიდობიანი მოსახლეობა გააფთრებული მტრის პირისპირ უნდა დაეტოვებინათ. რაც შეეხება დისტანციურად მართვად პლასტიკურ ბომბებს, რომელიც ერისწყლის არხის გასწვრივ ყოველ ერთ კილომეტრში იქნა დამონტაჟებული, არ ამოქმედდნენ –ისინი გამოშიგნული, ე.წ. ზაპალის გარეშე აღმოჩდნენ?!...

მოტყუებულმა ჯარისკაცებმა მაინც მოახერხეს და სამშვიდობოზე გამოსვლის საშუალება მისცეს მოსახლეობას! ძნელია შეაფასო თქვენეული გეგმის შესაძლო შედეგები და მასშტაბები!... საბედნიეროდ, მოვლენები დაგეგმილი სცენარით არ წარიმართა. იმიტომ ხომ არ ნერვიულობდით იმ დღეებში განსაკუთრებით, ბატონო ედუარდ?. ვინც გალის მოვლენების მეორე დღეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80-წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ტელეგადაცემას უყურებდა, რა დაავიწყებს თქვენს ისტერიულ ქავილსა და აკანკალებულ ხელებს!... ყველაფერი დღესავით ნათელი იყო! მტერიც მიხვდებოდა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა გალის მშვიდობიანი მოსახლეობის, დიდისა და პატარის ამოჟლეტას...

ყველაფერი ეს პათეტიკა და მით უფრო ლირიკული გადახვევა არ გახლავთ! ეს მწარე და სასტიკი სიმართლეა. ის სიმართლე, რომელიც დღეს ყველამ კარგად იცის, მათ შორის გალის მოსახლეობამაც, მაგრამ უცნობია მხოლოდ ის, თუ რა ბედი ეწია იმ 12 თუ 20 მილიონ დოლარს, რომელიც ამ გამაოგნებელი იდეის რეალიზაციისთვის იყო გამოყოფილი?! მოიძიეთ და აგებინეთ ვინმეს პასუხი გალის მოვლენების გამო? ან ვინ აგებდა პასუხს?!...

ამასობაში ხალხი სულ სხვა რამის მოლოდინში იყო. ის მიესალმებოდა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის დამთავრებას და ეგონა, რომ, 1993 წლის 7 ნოემბერს რუსეთის ხელ-

შეწყობით, ზუგდიდში შემოსული სამთავრობო ჯარები, როგორც ტელევიზია აცხადებდა, გააგრძელებდნენ წინსვლას ფსოუს მიმართულებით. სინამდვილეში კი სამთავრობო ჯარებმა ცეცხლის ალში გაახვიეს სენაკი, შემდეგ დარჩელი, გადაწვეს და ააწიოკეს ასობით ოჯახი და დიდძალი ნადავლით გაბრუნდნენ შინ. იმ ავადმოსაგონარ დღეებში რამდენიმე კვირის განმავლობაში მდ. ენგურს გაღმა-გამოღმა ერთნაირი ხელწერით მიმდინარეობდა კოლხთა ენით აუწერელი გენოციდი. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ გაღმა აფხაზებისა და მათ მიერ დაქირავებული მკვლელები შემზარავი სისასტიკით უსწორდებოდნენ მათ, როგორც ქართველებს, გამოღმა კი სამთავრობო ჯარები – მხედრიონი და გვარდია ანალოგიურად ექცეოდნენ როგორც არაქართველებს! ამაში იყო, არამარტო და არაიმდენად კოლხების, არამედ სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის ტრაგედია.

ომის მთელი მსვლელობა, მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ნაბიჯები, საკადრო პოლიტიკა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, მეტყველებდა იმაზე, რომ ქვეყანაში სეპარატიზმის ალაგმვა, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის განმტკიცება კი არ ყოფილა მთავარი, არამედ კომერციული მიზნები. სოჭის შეთანხმების საფუძველზე განიარაღებული აფხაზეთის ქართველობა ღალატის შედეგად, აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დაქირავებული მკვლელების მსხვერპლი გახდა. როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ამისკენ იყო მიმართული სამთავრობო სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზანს ემსახურებოდა თითქმის ყველა და ყველაფერი აფხაზეთის ქართველობის ცნობილი წრეების დესტრუქციული საქმიანობის ჩათვლით.

ყველა ფაქტისა და არგუმენტის ერთ წერილში მოყვანა, მოგეხსენებათ, შეუძლებელია, მაგრამ მოტანილი მასალაც ბადებს აურაცხელ კითხვას და ვიდრე მათ დასმას შევუდგებოდე, კიდევ ერთხელ გთხოვთ მომიტევოთ წერილის პირუთ-

ვნელობისთვის, რაც გარდაცვლილთა და დახოცილთა ხსოვნისადმი პატივისცემით, დევნილთა განუზომელი ტკივილით არის განპირობებული. მიტევებას ვითხოვ აგრეთვე იმისათვის, რომ წერილი ესოდენ გადატვირთულია კითხვებით, მაგრამ ისინი პასუხს მოელიან! აი ისინიც!.

რისთვის იყო საჭირო ომი აფხაზეთში? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება? თუ მშვიდობა გვინდოდა ამ რეგიონში, რატომ არ მოხდა პოლიტიკური ორიენტირის დროზე გამონახვა და წლობით მომწიფებული პრობლემის დიალოგის გზით მოგვარება? ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაში დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებლად, რატომ არ შემუშავდა კონსტრუქციული წინადადებები და რატომ არ გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები?

სამაჩაბლოდან გამოტანილი გაკვეთილების შემდეგ მაინც რატომ ვერ აღმოვჩნდით მზად ახალი, დემოკრატიული ძვრებისა და რეალიებისადმი აფხაზეთთან მიმართებაში? ხომ არ შევრჩით უშუალოდ ჩვენი პრობლემების მოგვარებას და ხომ არ მოგვიდუნდა ყურადღება საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ერების პრობლემებისადმი? ხომ არ გავერთეთ პირადი, პარტიული თუ კლანურ-მაფიოზური ამბიციებით და ასევე ხელისუფლებისათვის გაუთავებელი ბრძოლით? რატომ ვერ გამოვიჩინეთ უფრო მეტი პოლიტიკური წინდახედულობა და, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტი მოქნილობა? ვფლობდით კი ერთმანეთის მოსმენის ხელოვნებას? მიუგდეთ კი ყური ჩვენს ოპონენტებს და გავითავისეთ მათი ინტერესები? რატომ არ ვცადეთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში არსებული პრობლემების მოწესრიგება ტრადიციული გზით?.

რატომ არ გავითვალისწინეთ, რომ დემოკრატიული მოძრაობა და დემოკრატიული ცვლილებები მეტნაკლებად შეეხებოდა ყველა ერს – დიდსა თუ პატარას და აფხაზეთი ამაში გამონაკლისი არ იქნებოდა? არ უნდა გვცოდნოდა, რომ იმპერიის ნგრევის შედეგად მიმდინარე პროცესები – ავტონომიების რესპუბლიკებად გარდაქმნა და „სუვერენიტეტების აღლუმი“ – გარკვეულწილად ჩვენს ავტონომიებსაც შეეხებოდა?

თუ გავეცნობით ბატონ **ვაჟა ლორთქიფანიძისადმი,** იმ დროისათვის რუსეთში ჩვენი ელჩის სახელზე თქვენს მიერ გაგზავნილ წერილს, ვერ ვიტყვით რომ ეს არ იცოდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე გამბედაობა არ გეყოთ, და ეს წერილი უფრო ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის თვალსაჩინო ნიმუშად თუ გამოდგება. აი ისიც:

„სრულიად საიდუმლოდ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი

ბატონო ვაჟა,

გადაეცით ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის: მჯერა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.

რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხებს განვიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისთვის. ასეთია ჩვენი პოზიცია, გამომდინარე „გერმანული“ ვარიანტიდან. ამასთან, უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ სამოკავშირეო (ხელშეკრულებაზე) ურთიერთობებზე უარს ვერ ვიტყვით, მაგრამ ხალხის შემზადებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იცი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ვ. რჩეულიშვილი. გრიგორიანული მიმართულებით, ზ. ჟვანია, ი. სარიშვილი და ჭყო-

ნია. კავკასიელებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არეშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან. ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თემოსთან ერთად გააცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ. მ.შ. განსაკუთრებით „ჩვენმა მხატვარმა“.

ედუარდ შევარდნაძე
(სტილი დაცულია)

აქ სრულიად ნათელია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნების საწინაარმდეგო კამპანია ხალხის მოსატყუებლად იყო გამიზნული. ასევე გასაგები ყოფილა, თუ რატომ არ გამოთქვით პროტესტი ჩებიროვის პრეზიდენტად არჩევის დროს. თქვენი წერილიდან ირკვევა, რომ ეს მოვლენა მასთან იყო შეთანხმებული და წინასწარ დაგეგმილი. ნახსენები „გერმანული ვარიანტი“ (ბოდენის გეგმა) ქვეყნის ფედერაციულ თუ კონფედერაციულ მოწყობას გულისხმობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთს მომავალში სამუდამოდ დავემშვიდობებოდით. ამასთან ერთად, ხომ არ იყო ეს ორმაგი თამაში - დასავლეთისადმი კეთილგანწყობასთან ერთად, რუსებსაც ერთგულებას ეფიცებოდით. ამით ხომ არ იყო გამოწვეული ჩვენს მიმართ რუსეთის გაუნელებელი აგრესია და ძალისმიერი მიდგომა, რაც შემდგომმა პერიოდმა და ამასწინათ დატრიალებულმა მოვლენებმა ცხადყო.

თუ მშვიდობა გვსურდა, მოვალენი არ ვიყავით ყოველგვარი ორმაგი სტანდარტების გარეშე სწორად შეგვეფასებინა არსებული რეალიები და ჩვენს ოპონენტებთან ერთად მოგვეძია აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის ორივე მხარისათვის მისაღები მოდელი, გაგვემიჯნა კომპეტენციები და პრობლემები მოგვეგვარებინა კონსენსუსის გზით? რა ვიღონეთ საამისოდ? რატომ არ ვეკიდებოდით გაგებით აფხაზური მხარის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს? რა დაშავდებოდა იმით, თუ აფხაზეთის განათლების ან კულტურის მინისტრი დაინიშნებოდა თავად აფხაზეთში?!...

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რა ვიღონეთ აფხაზ ხალხთან, მის ლიდერებთან საერთო ენის გამოსანახად, მათთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად? იმისთვის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, გაეროსა და ევროგაერთიანების ექსპერტთა მონაწილეობით, უსისხლოდ მიგვეღწია კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის? განა არ იყო ცნობილი, რომ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობაში აფხაზი ხალხის პროცენტული შემადგენლობა ვერ პასუხობდა მათ პრეტენზიებს? ვაწარმოებდით ამის და სხვა საკითხების ირგვლივ გულწრფელ და დაუღალავ დიალოგს აფხაზურ მხარესთან, იმათ ლიდერებთან, რათა მოგვეძია და გამოგვენახა სეპარატიზმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები თავად აფხაზ ხალხში? თუ გვსურდა პოლიტიკური სტაბილურობა და თუ ომი არ გქონდათ დაგეგმილი, რატომ იყო იგნორირებული აფხაზეთის პარლამენტის ქართული დეპუტაციის საღად მოაზროვნე ჯგუფისა და საზოგადოების პროგრესული, დიალოგისა და კონსენსუსის მომხრე ნაწილის ძალისხმევა?

რატომ დავადექით გათიშულობის, გაყოფისა (ჯერ თეატრი, მერე მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი, საფეხბურთო გუნდიც კი და, ბოლოს, პარლამენტი!) და განხეთქილების გზას? ანტიქართულ პოლიტიკურ აქციებს თუ პოლიტიკურ ნაბიჯებს რატომ ვპასუხობდით მხოლოდ ბრაზით, მიტინგომანიით, სადაც ხშირად აფხაზ ხალხს ვერ ვანსხვავებდით აფხაზი სეპარატისტებისგან? განა ჩვენივე შეცდომების შედეგად, არასწორი ტაქტიკისა და არასრულყოფილი პოლიტიკის გამო არ რთულდებოდა დღითიდღე ქართულ-აფხაზური ურთიერთობა და არ იძაბებოდა ვითარება აფხაზეთში? უმჯობესი არ იყო პოლიტიკური დიალოგის გზას დავდგომოდით?. მომგებიანი არ იქნებოდა, დროზე მიგვეღო ქვეყნის ძირითადი კანონი და კონსენსუსის გზით გადაგვეწყვიტა

აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი? თუ სახელმწიფო საბჭო, როგორც არალეგიტიმური ორგანო, ვერ მიიღებდა ახალ ძირითად კანონს, რატომ შეაჩერა მან უკანონოდ და წინდაუხედავად არსებული კონსტიტუცია? სწორედ კონსტიტუციის უქონლობამ არ შეუწყო ხელი პოლიტიკურ დესტაბილიზაციას აფხაზეთში და ამით არ ისარგებლეს ჩვენმა ოპონენტებმა? პარლამენტის არჩევის შემდეგ მაინც რატომ დროზე არ მივიღეთ ახალი ძირითადი კანონი, ან პარლამენტმა რატომ არ განიხილა, თანაავტორებთან (ჯ. გამახარია, ა. გასვიანი და კ. ჯაჭვლიანი) ერთად, ჩემს მიერ შემოთავაზებული („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992წ. 2 დეკემბერი; „სვაბოდნაია გრუზია“, 1992წ. 1 დეკემბერი) საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის პროექტი? რატომ ვიჩენდით ამდენ უგერგილობას და რატომ ვადექით კონფრონტაციის გაღრმავების გზას? რას ემსახურებოდა ამგვარი მიდგომა?

თქვენ წერთ: **„სატელეფონო საუბრებში ვთავაზობდი არძინბას, რომ ჩვენი შეხვედრა შემდგარიყო, მაგრამ იგი ყოველთვის უარს მეუბნებოდა და სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა: სხვები ჩამოდიოდნენ თბილისში და ადვილად ვპოულობდით მათთან საერთო ენას და მივდიოდით დასკვნამდე, რომ შეტაკება არ დაგვეშვა“.** რამდენად სწორია ეს, ბატონო ედუარდ? თბილისში ერთადერთი შეხვედრის ერთ-ერთი მომწყობი და მონაწილე მე გახლდით. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, ბატონი თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და თამაზ ნადარეიშვილი, ხოლო აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ სერგეი ბაღაფში, ანრი ჯერგენია, დავით ფილია და ზურაბ აჩბა. თბილისში ჩვენი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი იყო, მოგვეწყო თქვენი და არძინბას შეხვედრა სოხუმში, რათა დაგროვილი, გადაუდებლად მოსაგვარებელი პრობლემების ირგვლივ შემდგარიყო დიალოგი თქვენსა და მას შორის. არძინბა მზად იყო საამისოდ! თქვენ დაგვპირდით, რომ ჩამობრძანდებოდით, მაგრამ ამაოდ! წიგნში კი წერთ: **„მე ჩავედი სოხუმში,**

მაგრამ არძინბას ვერ შევხვდი - თავს მარიდებდა, გაქრა, ჩემთან შეხვედრა არ უნდოდა, ამასობაში აფხაზებმა მობილიზაცია გამოაცხადეს და ჯერ კიდევ ჩემი სოხუმში ყოფნისას ბრძოლებიც დაიწყო“. სინამდვილეში სოხუმში თქვენ ომის დაწყებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ ჩამობრძანდით! მანამდე გამოგვიგზავნეთ... ტანკები!. ამდენად, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის გაურბოდა! რისთვის დაგჭირდათ ასეთი უზუსტობა?!...

თუკი ომი დაგეგმილი იყო და მშვიდობა ხელს არ გაძლევდათ, შეფასდა კი სათანადოდ აფხაზური პოლიტიკური წრეების შინაური თუ გარეშე საყრდენი ძალები, რეალურად ვისთან მოგვიწევდა დაპირისპირება? რატომ უგულვებელყავით კონფედერატთა ძალები და მათი შესაძლებლობები? განა არ იყო ცნობილი, რომ ეს ორგანიზაცია პოლიტბიუროში თქვენი ყოფნის პერიოდში ავადსახსენებელმა სუკმა საგანგებოდ შექმნა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში დესტრუქციული საქმიანობისათვის? მხედველობიდან რატომ გამოგრჩათ რუსეთის უკიდურესად რეაქციული ძალების როლი, რუსეთის ოფიციალური თუ არაოფიციალური წრეების დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ, მათი აშკარა თუ შენიღბული მხარდაჭერა და წაქეზება აფხაზეთის ანტიქართული წრეებისა? გათვალისწინებული და გათვითცნობიერებული არ უნდა ჰქონოდათ რუსეთის ფენომენი კავკასიაში, ან ყოფილი იმპერიის სამხედრო თუ წითელ-ყავისფეროვანი რეაქციული წრეების დამოკიდებულება და განწყობა პიროვნულად თქვენს მიმართ? უცნობი იყო ყოველივე ეს თქვენთვის?. უნდა გამოგრჩენოდათ მხედველობიდან, რომ რუსეთი ყველაფერს იღონებდა, რათა დაჩოქილი საქართველო შემოებრუნებინა იმპერიისკენ და რომ ცხინვალთან და აფხაზეთთან დაკავშირებულ პრობლემებს გამოიყენებდა საამისოდ?! რა, დიდი პოლიტიკოსობა სჭირდებოდა ამას?!...

თუ დსთ-ში შესვლას არ აპირებდით, რასაც არაერთგზის აცხადებდით, უმჯობესი არ იყო, ჯერ მოგვეგვარებინა საში-

ნაო პრობლემები, ყოველ შემთხვევაში აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებში პოზიტიური ნაბიჯები გადაგვედგა? უმჯობესი არ იყო, რომ მოგვეცადა პარლამენტის არჩევნებამდე, შეგვევსო არსებული სამართლებრივი ვაკუუმი და პოლიტიკური გზით მოგვეხსნა აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემები?!

აფხაზეთში ტანკებზე და ჯავშანმანქანებზე ამხედრებულნი რომ შემოხვედით, რატომ არ გაითვალისწინეთ აფხაზური მხარის განწყობა და მათი მხრიდან მოსალოდნელი სვლები? თუკი სამშვიდობო მისიით შემოდიოდით, ტანკები რისთვის იყო საჭირო?. წინასწარ რატომ არ გამოგზავნეთ რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი აფხაზებთან მოსალაპარაკებლად, რათა თავიდან აგვერიდებინა ყოველგვარი მოულოდნელობა და გართულება? რატომ უგულებელყავით ცნობილი ჭეშმარიტება, ერთსა და იმავე წყალში ორჯერ რომ ვერ შეხვალ, მით უმეტეს, ერთსა და იგივე წყალს ორჯერ რომ ვერ დალევ, მით უფრო ყანწით?!...

წესრიგის დასაცავად და სამშვიდობო მისიით თუ შემოდიოდით და სხვა მიზნებს არ ისახავდით, რატომ არ შეჩერდით ოხურეისთან სისხლის დაღვრის შემდეგ მაინც და რატომ არ დაადექით კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების გზას? ან, თუ შემოხვედით, რატომ დაუყოვნებლივ არ გახვედით ბოლომდე? თუ ყოველივე ეს თქვენთან შეუთანხმებლად ხდებოდა, რატომ შემდგომ მაინც არ ჩაერიეთ და არ განმუხტეთ შექმნილი ვითარება? თუ თქვენი ქვემდგომნი მართლა არ გითანხმებდნენ თავიანთ ქმედებებს და არ გემორჩილებოდნენ, რაზე ჩამობრძანდით, თქვე დალოცვილო, და რატომ დაგვამხეთ ეს ქვეყანა თავზე?!.

რატომ დავარღვიეთ 1992 წლის 14 აგვისტოს ღამით მიღწეული შეთანხმება - ორივე მხარეს გაეყვანა სამხედრო ძალები და მძიმე ტექნიკა ქ. სოხუმის ფარგლებს გარეთ და ამის შემდეგ მისხდომოდა მოლაპარაკების მაგიდას? მოხდა კი ჯარების დაშორიშორება?! აფხაზურმა მხარემ თუ შეასრულა

ეს შეთანხმება, ჩვენ რატომ დავარღვიეთ იგი? რისთვის დაგვჭირდა ის ოთხი დღე-ღამე და რით ვიყავით დაკავებული ამ მცირეოდენი შესვენების დროს?! ყაჩაღობით?! უდანაშაულო და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებით? აფხაზეთის სამეცნიერო დაწესებულებისა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკური არქივი) და კულტურის (თეატრები და სხვ.) ობიექტების გადაწვით და განადგურებით?! კერძო და სახელმწიფო ქონების გაძარცვითა და გატაცებით? რით, კიდევ რით ვიყავით დაკავებულნი? პოლიტიკური საკითხების მოგვარებით?! მაინც რომელი პოლიტიკური ან სამხედრო პრობლემა მოგვარდა მაშინ ან მოგვიანებით? მაშ, რისთვის იყო საჭირო ეს სამარცხვინო ომი? რისთვის გავიღეთ ასეთი ძვირადღირებული საფასური?! მართლაც ბორბლებზე ხომ არ იყო შეყენებული აფხაზეთი, რომ ის, ქართულ, თუ არაქართულ მოსახლეობასთან ერთად, ფსოუს იქით გადაეტანათ აფხაზებს. არ შეიძლებოდა, დროებით, ახალ დემოკრატიულ არჩევნებამდე, ყოფილიყო ყველაფერი ისე, როგორც იყო? რა შეიცვალა აფხაზეთში 1991 წლის 17 მარტის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმის (რომელშიც თქვენც მონაწილეობდით და, ისევე, როგორც სეპარატისტებმა, სსრ კავშირის შენარჩუნებას მიეცით ხმა!) შედეგად? ამის შემდეგაც ხომ დარჩა აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად?!.

აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას თუ ვაპირებდით და ამისათვის აუცილებლად ომი იყო საჭირო, მაშინ სამეგრელო წინასწარ და საგანგებოდ რატომ იქნა დარბეული? იმისთვის ხომ არა, რომ სამეგრელოს რეგიონი ომში არ ჩაბმულიყო და ჩვენს ჯარებს მორღვეოდა ზურგი? ან რატომ გამოეცხადა უნდობლობა აფხაზეთის ქართველობას, განსაკუთრებით, გალის რაიონის მოსახლეობას? რატომ არ მიეცა მათ შესაძლებლობა შეესრულებინა თავისი ისტორიული მისია - საქართველოსთვის აფხაზეთის შენარჩუნების

მისია, რომელიც, ამ ურთულეს ვითარებაშიც ეკისრებოდა მას და ეკისრება დღესაც? რატომ არ მიეცათ მათ იარაღი? უკეთესი არ იქნებოდა, როგორც გთავაზობდით, ადგილობრივ ქართველობას ეომა და მას დახმარებოდა დანარჩენი საქართველო? ყოველივე ამის შემდეგ რამდენად სწორი იყო სამთავრობო პოლიტიკა და რამდენად სამართლიანი იქნება, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის ქართველობას დაბრალდეს ომში წაგება?

რატომ იჩენდით უნდობლობას პატიოსანი ადამიანების მიმართ და ჯარში უპირატესობით რატომ სარგებლობდნენ დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები და საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები? რატომ უძღვებოდნენ ისინი – კრიმინალები და არაპროფესიონალები – საჯარისო ფორმირებებს? რატომ ხდებოდა ყოველივე ეს და რაზე იყო ეს გათვლილი?

და კიდევ: რატომ არ ვიყენებდით თავიდან არსებულ უზარმაზარ სამხედრო უპირატესობას და რატომ არ მივიწევდით წინ და რატომ ვიხევდით სულ უკან?. რატომ ვთმობდით გამუდმებით ჩვენი ბიჭების სისხლის ფასად აღებულ პოზიციებს? რით იყო ეს გამოწვეული და რას ემსახურებოდა იგი? რატომ ჩაბარდა გაგრა და მასთან ერთად დიდძალი საბრძოლო ტექნიკა? თუ გაგრის ჩაბარება არ იყო დაგეგმილი, რატომ გადაგავიწყდათ სამშვიდობო ჯარების, გუმისთის მსგავსად, ბზიფზეც ჩაყენება, როგორც ამის შესახებ იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი კიტოვანი საუბრობდა მოგვიანებით? ან რატომ გამოიქცნენ ჩვენი ჯარები გაგრიდან ისე, რომ არც ერთი საკომუნიკაციო ობიექტი არ გამოუყვანიათ მწყობრიდან? გაგრა თუ ჩვენი სატკივარი იყო, როგორც ამას გამუდმებით აცხადებდით, რატომ არ გამოაქვეყნეთ საპარლამენტო კომისიის დასკვნა გაგრის ტრაგედიის შესახებ? თუ სოხუმი ჩასაბარებლად იყო გამიზნული, რატომ მოუწოდებდით იქიდან გამორიდებულ ხალხს უკან დაბრუნებისკენ?. რატომ არწმუნებდით აფხაზეთის მოსახლეობას

აფხაზეთის ქართულ მთავრობასთან ერთად, რომ „გაგრა და სოხუმი საიმედოდ იყვნენ დაცული და მათ ჩიტიც კი ვერ გადაუფრენდა“? თუ სოხუმი ჩასაბარებლად იყო გამიზნული, რატომ გაავსეთ ქალაქის ქუჩები შინ დაბრუნებული მოსახლეობით, მათ შორის ქალებითა და ბავშვებით, ან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რატომ დააწყებინეთ სწავლა იმ დროს, როდესაც თბილისში ამაზე ჯერაც არ უფიქრიათ? თუ ღალატს არ ჰქონდა ადგილი, რატომ ვერ გაუმკლავდა რვაათასიანი ქართული სამხედრო შენაერთი, როგორც თქვენ ამტკიცებდით, 500 თუ 600-კაციან მოწინააღმდეგეს, რომელმაც შტურმით აიღო სოხუმი?!

თუ ომის განახლება და აფხაზეთის ჩაბარება არ იყო დაგეგმილი, რატომ არ სრულდებოდა, მიუხედავად აფხაზური მხარის მიერ შექმნილი სიძნელეებისა, სოჭის ხელშეკრულება? რა აზრი ჰქონდა ხელშეკრულებას თუ, მას დავარღვევდით? იმისთვის ხომ არა, რომ მის საფუძველზე ცალმხრივად განგვეიარაღებინა ადგილობრივი ქართველობა, რომელიც გმირულად იცავდა მშობლიურ ქალაქს, და მერე უფრო ადვილად აეღო სოხუმი მოწინააღმდეგეს? თუ არა და რატომ მიმდინარეობდა სოჭის ხელშეკრულების გაუთავებელი რევიზია თქვენი მომხრეების მხრიდან და რატომ იქნა დაშვებული საპროტესტო მიტინგები სოხუმში, რომელთა მომწყობნი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ე.წ მთავრობისა და „ეროვნული ერთიანობის საბჭოს“ წევრები - მოითხოვდნენ, სოხუმში არ შემოეშვათ გუდაუთაში მყოფი მთავრობის აფხაზური ნაწილი? სამმხრივი სამთავრობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ვის ჰქონდა ამის უფლება. თუ ყოველივე ეს თქვენს მიერ იყო ვიზირებული, მაშინ რა აზრი ჰქონდა აფხაზური მხარის ლიდერებთან - ბაგრატ შინკუბასთან, ფაზილ ისკანდერთან, ტარას შამბასა და სხვებთან, თქვენი დავალებით, ჩემს მიერ სოჭის ხელშეკრულების მხარდასაჭერად გამართულ მოლაპარაკებებს? ამის შემდეგ რამდენად სამართლიანია იმის მტკიცება, რომ ისევ (უკვე მერამდენედ!)

მოგვატყუეს და ისევ და ისევ აფხაზურმა მხარემ და მათმა მომხრე ძალებმა დაარღვიეს მიღწეული შეთანხმებები?.

რატომ ვიღებდით ყოველთვის წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს და ამის შემდეგ რატომ ვიყავით სულ გართული მიღებული შედეგების გადასინჯვითა და გამოსწორებით? მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის, სოჭის 1993 წლის 27 ივლისის სამმხრივი ხელშეკრულებებისა და აფხაზურ მხარესთან დიალოგის ჟენევაში გატანით ვლადისლავ არძინბა და მისი მთავრობა, საერთოდ, აფხაზეთი, არ აღიარეთ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად?!... უმჯობესი არ იქნებოდა, აფხაზურ მხარესთან დიალოგი უშუალოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის წარმომადგენლებს წარემართათ და კონფლიქტს ლოკალური, შიდარეგიონალური ხასიათი მისცემოდა? ეს უფრო მომგებიანი არ იქნებოდა ჩვენთვის? რისთვის იყო საჭირო კონფლიქტის ინტერნაციონალიზება? რა მიზანს ემსახურებოდა იგი? იმას ხომ არა, თქვენი უცხოელი მეგობრების (შულცების, ბეიკერების, გენშერების და ძმათა მათთა) ყურადღება მიგექციათ შიდა პრობლემებისადმი და ამით გასულიყავით ისევ იმ ორბიტაზე, სადაც ტრიალებენ ძლიერნი ამასოფლისანი? აბა რისთვის იყო ეს საჭირო? იმისთვის ხომ არა, რომ ასეთი გზით უკეთ გაფორმებულიყო აფხაზეთის გასხვისება? ამ მოსაზრებას არ ადასტურებს ის ფაქტი, რომ **თქვენ უწყვეტად საუბრობდით ომიდან ღირსეულად გამოსვლის გზებზე და იმავდროულად უარყოფდით ამის შესაძლებლობებს.** გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, როცა, ომის დაწყებიდან ორიოდე თვის თავზე, აფხაზურმა მხარემ დიალოგის გამართვის წინადადებით მომმართა უშუალოდ და, თქვენთან შეთანხმების შემდეგ, შევხვდი სოხუმში აფხაზურ დელეგაციას, რომელსაც ბატონი ოზგანი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ, აგრეთვე, ალექსანდრე ანქვაბი, ოლეგ დამენია და სხვ. ჩვენი მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ იმ დროისთვის სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკითხებში გოგა ხაინდრავა, დეპუტატი აკაკი გასვიანი და აწ განსვენებული, აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი. ეს შეხვედრა ამ უკანასკნელის კაბინეტში მიმდინარეობდა.

აფხაზურმა მხარემ, კერძოდ, კონსტანტინე ოზგანმა განაცხადა: **„დავუშვათ, ჩვენ ვყრით იარაღს, გვითხარით, როგორი იქნება აფხაზეთის სტატუსი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში“?!** მე, რუსეთის „ფედერატივნი დოგოვორ“-ზე დაყრდნობით, ჩამოვაყალიბე ჩვენებური ხედვა და მიდგომა პრობლემისადმი. მახსოვს, ანქვაბის რეპლიკა: **„ქართული მხარისგან პირველად ვისმენთ კონსტრუქციულ წინადადებებს.» ოზგანმა დასძინა: „კარგით, არის, რაზეც უნდა წავიმუშაოთ, ვიმსჯელებთ თქვენს წინადადებებზე და ერთი კვირის შემდეგ ისევ შევხვდეთ“.** ამ დროს შემოდის დაუპატიჟებელი სტუმარი ბატონი **გივი ლომინაძე,** ისმენს ყოველივე ამას და შემდეგ ისევე უსიტყვოდ გადის. 15-20 წუთის შემდეგ შეიარაღებული რაზმით თავს გვესხმის ბატონი **თამაზ ნადარეიშვილი** და გვაკავებს ყველას.

ჩემი სწრაფი ჩარევის შედეგად სიტუაცია მალე განიმუხტა, მაგრამ აფხაზური დელეგაცია ისე გავაცილეთ და ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ მათ ჩვენკენ არც კი მოუხედავთ. ამის შემდეგ გირეკავთ თქვენ „ვეჩეთი“ და გიყვებით მომხდარის შესახებ. სახტად დავრჩი – არანაირი რეაქცია და არავითარი შეშფოთება(?!) თქვენ არც კი დაინტერესებულხართ, რაზე ვსაუბრობდით აფხაზებთან! არადა, უპრეცედენტო შემთხვევას ჰქონდა ადგილი: სამარცხვინო ომიდან ღირსეულად გამოსვლის გზები ისახებოდა – აფხაზები საქართველოს სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის შენარჩუნებაზე საუბრობდნენ! არსებულ ვითარებაში ეს აშკარა გარღვევას ნიშნავდა! თქვენ კი ყოველივე ამას გულგრილად, ყოველგვარი ემოციების გარეშე ისმენდით. არც ერთხელ არ ჩართულხართ საუბარში! ბოლოს, გახსოვთ, რა მითხარით, ბატონო ედუარდ?! შეგახსენებთ, თუ არ გახსოვთ! (მკითხველს კი ვთხოვ, კარგად დააკვირდეს დიალოგის ლექსიკას!...)

„ბატონო ნაპო, როგორ ხართ (!) ჯაბასთან?“ „როგორ უნდა ვიყო, ბატონო ედუარდ, კანონიერ ქურდთან?!“ - გიპასუხეთ გაოცებულმა. თქვენ თქვენსას არ იშლიდით და განაგრძობთ: **„წადით ოჩამჩირეში და მოუყევით ყველაფერი ჯაბას“**... ამის შემდეგ მიგდებთ ყურმილს! იმ დროს ტამიში ბლოკირებული იყო მტრის მიერ, ვერც ჩახვიდოდი, ძალიანაც რომ გდომოდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ოჩამჩირეში წასვლას და ჯაბასთან საუბარს?!

მეორე დღეს სოხუმის მოწმენდილ ცაზე პირველად გამოჩნდა ჭურვები, სოხუმზე განუწყვეტელი თავდასხმები დაიწყო!... როცა **თამაზ ნადარეიშვილის** იმ ქმედებას თქვენგან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, რა უნდა იფიქროს ადამიანმა? შეეძლოთ **გივი ლომინაძეს** და **თამაზ ნადარეიშვილს** თქვენთან შეუთანხმებლად თქვენს მიერ რეგლამენტირებული შეხვედრის ჩაშლა?! არა მგონია, არ მჯერა!... და, თუ შეეძლოთ, აფერუმ მათ ვაჟკაცობას!. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მათ და კიდევ სხვათა თავგასულ ზრახვებსა და ამბიციებს, რომლებსაც შეეწირა ხალხისა და ქვეყნის ინტერესები, საუბარი ვაჟკაცობაზე, საერთოდ, და რამენაირ ზნეობაზე, რბილად რომ ვთქვათ უადგილო და უხერხულიცაა!... **რომ არა (სხვა გარემოებებთან ერთად!), მავანთა მოძალებული ამბიციები, აფხაზეთში ომი გარდუვალი არ იყო.** იყო სხვა გზებიც!. ტრადიციულ მიდგომას ალტერნატივა არ გააჩნდა! დარწმუნებული ვარ (და, ალბათ, არა მარტო მე!), რომ, ზემოთხსენებული ორი პიროვნებიდან, რომელიმე ერთი რომ ყოფილიყო აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი, ტანკები არ გახდებოდა საჭირო და ომი აგვცდებოდა!...

შეგახსენებთ მეორე, ასევე უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს. ომის შემდეგ, 1995 წელს, ჩემი წინადადებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის უფლებამოსილების აღდგენის შემდეგ, საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო ქართულ-აფხაზური მოსკოვური დიალოგის 1995 წლის იანვარ-თებერვალ-მარტის რაუნდებში. პარალელურად კულუარულ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი აფხაზ ლიდერებთან, მათ შორის ბატონ ანრი ჯერგენიასთან. სწორედ ამ კულუარულ მოლაპარაკებების დროს მივაღწიეთ შეთანხმებას, უარი გვეთქვა მოსკოვურ შეხვედრებზე და დიალოგი გადაგვეტანა აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმსა და გალში, სადაც დეპუტატთა ქართული და აფხაზური ფრაქციების წარმომადგენლები შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად რუსეთის მხარის, კერძოდ, ბორის პასტუხოვის კატეგორიული წინააღმდეგობისა, ჯერგენიასა და ჩემს მიერ შემუშავებულ წინადადებას მხარი დაუჭირეს საქართველოში გაეროს წარმომადგენელმა სტარჩევიჩმა და ბუტროს ბუტროს გალის პირადმა წარმომადგენელმა ბრუნერმა. ასე და ამგვარად, თქვენს მიერ ინტერნაციონალიზებული და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანილი ქართულ-აფხაზური დიალოგი ჯერგენიამ და მე აფხაზეთში დავაბრუნეთ, რითაც კონფლიქტი ავტომატურად შიდაპოლიტიკურ კრიზისის ხასიათს იძენდა. ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ შემოთავაზებული დევნილთა უპირობო და მასობრივი დაბრუნების პროექტი შეიცავდა, აგრეთვე, ისეთ პუნქტებს, რომლებიც აფხაზეთს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში – საქართველოს შემადგენლობაში განიხილავ-

Москва, 30 марта 1995 г.

На состоявшейся в Москве 29-30 марта 1995 года встрече представителей конфликтующих сторон - грузинской и абхазской депутатских фракций ВС Абхазии был обсужден вопрос возвращения беженцев и перемещенных лиц, а также рассмотрены вопросы, связанные с его реализацией.

Представители абхазской и грузинской депутатских фракций Верховного Совета Абхазии

признали дальнейшее вооруженное противостояние губительным для Сторон и выразили решимость положить конец бессмысленному кровопролитию;

согласились, что первоочередной задачей и непреложным условием для полномасштабного политического урегулирования грузино-абхазского конфликта является безусловное, безотлагательное и достойное возвращение беженцев и перемещенных лиц в места их постоянного проживания,

признали необходимость возвращения беженцев с непременным обеспечением их безопасности и восстановления конституционных прав и свобод, декларированных в резолюциях ООН и других международных организаций;

основываясь на резолюциях Совета безопасности ООН и стремясь к их выполнению;

заботясь о национальном примирении и достижении межнационального согласия, безопасности населения и каждого гражданина в отдельности;

руководствуясь стремлением к достижению гражданского мира, национальной и социальной взаимной толерантности и желанием общими усилиями противостоять любому проявлению национализма, шовинизма и экстремизма;

с целью преодоления издержек межнациональной розни и клановo-мафиозных интересов,

признавая необходимость восстановления и утверждения принципов политического, социального и юридического равноправия между народами;

заботясь о защите и неприкосновенности прав и свобод национальных меньшинств, а также о возрождении и упрочении кровно-родственных связей и лучших традиций между абхазским и грузинским народами;

считая, что проблемы, существующие между конфликтующими сторонами должны и могут быть преодолены лишь совместными усилиями и только путем политического диалога и консенсуса;

с целью обеспечения совместных усилий в достижении максимального расширения политических и экономических прав и свобод при определении политического статуса в государственно-правовом устройстве Абхазии в составе Республики Грузия;

в целях совместных усилий в достижении верховенства закона, восстановления законности и общественного порядка, совместными усилиями преодоления криминогенной ситуации и восстановления морально-нравственных норм и правил совместного проживания;

признавая, что только совместными усилиями возможно восстановление войной разрушенных родственных и дружественных связей, городов и сел, экономики и народного хозяйства Абхазии

СОГЛАСИЛИСЬ О НИЖЕСЛЕДУЮЩЕМ

1. Стороны согласились осуществить массовое возвращение беженцев без их анкетирования за исключением лиц, способствовавших разжиганию межнациональной розни, кровавому противостоянию и подозреваемых в совершении уголовных преступлений.

2. Список лиц, которым отказано в возвращении, будет в кратчайший срок передан грузинской стороне для рассмотрения на двух- или четырехсторонней комиссии, как и абхазской стороне – список лиц, подозреваемых в аналогичных деяниях.

3. Возвращение беженцев и перемещенных лиц будет осуществляться поэтапно: на первом этапе возвращаются беженцы в Гальский район: затем со стороны реки Псоу в Гагри и Гагрскую зону; на третьем этапе в Гульрипшский и Очамчирский районы и в г. Сухуми, а затем в остальные районы Абхазии.

4. Возвращение беженцев в Гальский район начнется в середине апреля и завершится в конце июня с.г. В Гальский район могут быть репатрированы временно и выходцы из этого района, а также их родственники.

В Гагры и Гагрскую зону возвращение беженцев должно начаться с начала мая и завершиться к началу осени.

В Гульрипшский и Очамчирский районы и в г. Сухуми репатриация беженцев и перемещенных лиц начнется в июле месяце и завершится, как и в остальные районы Абхазии, до конца 1995 года.

5. Возвращению беженцев будет предшествовать создание механизмов защиты и контроля безопасности репатрированного населения на местах их проживания. В этих целях будут созданы четырехсторонние комиссии с участием представителей депутатских фракций и общественности сторон, а также представителей УВКБ и военных наблюдателей ООН.

6. Из Гальского района будут выведены абхазская полиция и прочие вооруженные формирования и введен личный состав районной полиции, которая пополнится необходимым количеством личного состава МВД Абхазии (из лиц грузинской национальности) с преобразованием Гальской районной полиции в Управление МВД Абхазии.

Подобная модель механизмов защиты и безопасности репатрированного населения будет предусмотрена и в других районах с преимущественно грузинским населением.

В городах и районах со смешанным населением эти вопросы будут решаться в традиционной форме путем предварительного примирения личного состава полиции и других силовых структур.

7. Стороны обязуются не допускать вторжение вооруженных бандформирований с сопредельных территорий на территорию Гальского района.

Эти обязательства Сторон распространяются на все территории, куда будут репатрированы беженцы.

8. В Гальском районе будут восстановлены районная администрация, система местного управления, правоохранительные органы и другие структуры власти и управления народным хозяйством довоенного периода.

Аналогично будут решаться вопросы в районах и селах с преимущественно грузинским населением.

В городах и селах со смешанным населением подход к решению этих

вопросов будет индивидуальным.

9. Депутатские фракции будут способствовать восстановлению и налаживанию юридических, народнохозяйственных и прочих связей между районами и городами Абхазии.

После полномасштабного урегулирования грузино-абхазского конфликта и восстановления юрисдикции Грузии на всей территории Абхазии репатрированное население будет жить по законам, непротиворечащим законам Республики Грузия, и способствовать совместному противостоянию произволу, всякого рода деструктивной (в том числе политической) деятельности.

10. Представители депутатских фракций считают необходимым широкое вовлечение, в рамках народной дипломатии, представителей общественности в процесс возвращения беженцев и в достижении межнационального примирения и гражданского мира, а также с целью исключения самой возможности дальнейшей конфронтации и силового противостояния.

11. Настоящий проект Соглашения разработан и завизирован представителями абхазской и грузинской депутатских фракций ВС Абхазии для подписания полномочными представителями Сторон при участии и посредничестве Российской Федерации, Республики Грузия, ООН и ОБСЕ.

В проект могут быть внесены согласованные изменения.

Проект Соглашения по возвращению беженцев и перемещенных лиц визируют

С АБХАЗСКОЙ СТОРОНЫ

А.ДЖЕРГЕНИЯ

Личный Представитель Президента Республики Абхазия

С ГРУЗИНСКОЙ СТОРОНЫ

Н. МЕСХИЯ

Член Госделегаций Республики Грузия

დნენ! აი ისიც:

შეთანხმების თანახმად, პირველი შეხვედრა ერთი კვირის თავზე გალში უნდა შემდგარიყო. აფხაზური მხრიდან დიალოგში მონაწილეობას სერგეი ბაღაფში, ალექსანდრე ანქვაბი, დავით ფილია და ანრი ჯერგენია მიიღებდნენ. ქართული მხარის შემადგენლობა კი თქვენ უნდა განგესაზღვრათ. შეთანხმების პროექტი შემუშავებული და ექსპერტთა დონეზე ვიზირებული იყო ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ, მასში დაფიქსირებული პოზიციები კი შეჯერებული და შეთანხმებული –ოფიციალურ სოხუმთან.

ამ დოკუმენტის თაობაზე მეორე დღესვე მოვახსენე საქართველოს ელჩს რუსეთში ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს. მაშინ თქვენთან უშუალოდ დალაპარაკების საშუალება არ მომეცა. თბილისში ჩასვლისთანავე, გეახელით „იმელში“, სადაც სამი დღის განმავლობაში, დილიდან გვიან ღამემდე ამაოდ ველოდებოდი თქვენს „წყალობას“ – თქვენ ჩემთვის ვერ მოიცალეთ! სწორედ იმ დროს, 1995 წლის 1 აპრილს გალის შემოგარენში, სოფელ მახუნჯიაში ტარდება უპრეცედენტო დივერსიული აქტი, რის შედეგადაც იღუპება აფხაზური პოლიციის 7 მაღალჩინოსანი. გამახსენდა მაშინ ანრი ჯერგენიას მოსკოვში ნათქვამი სიტყვები: **„უნდა ვიჩქაროთ, თორემ ხელს შეგვიშლიან“. „ვინ?“-მეთქი. „თქვენები“,** - იყო პასუხი. ვხედავდი, როგორ აუხდა სიტყვები ანრი ჯერგენიას!... თქვენ კი არც ეს, არც მიღწეული შეთანხმება და მის ირგვლივ არსებული მოსაზრებები, არც აფხაზური მხარის განწყობა და პოზიცია გაინტერესებდათ!... რატომ?! ისმის კითხვები, ეს დივერსიული აქტი, უბრალო დამთხვევა იყო, თუ მიღწეული შეთანხმების ჩაშაშლელად გამიზნული ქმედება?!

ამასობაში აფხაზეთში გამოცხადდა საყოველთაო გლოვა და გალში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური დიალოგი, რა თქმა უნდა, ჩაიშალა. ვხედავდი, რომ თქვენთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, მით უფრო, რომ მახუნჯიაში მომხდარი ფაქტის ახსნას დიდი თავისმტვრევა არ სჭირდებოდა! მოგვიანებით **თამაზ ნადარეიშვილმა** ღიმილით მითხრა: **„თქვენი პროექტი იმ დღესვე ჩემს მაგიდაზე იდო!“...**

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება თქვენ, რატომღაც, ხელს არ გაძლევდათ! ეს მეორედ ვირწმუნე მაშინ, თუმცა მიზეზს ვერ ვხვდებოდი. იქნებ, ჩემისთანა უბრალო მოკვდავის მიერ მიღწეული შე-

თანხმება მიუღებელი იყო თქვენისთანა დიდი პოლიტიკოსისთვის?!... იქნებ, იყო სხვა, მხოლოდ თქვენთვის ცნობილი, თქვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი?!

ახლა ისევ წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს მივუბრუნდეთ. 1994 წლის 10 მარტს თქვენ აუქმებთ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, როგორც „არაკანონიერს.!“ რამდენად სწორი და თანამიმდევრული იყო ასეთი ქმედება? ან რომელი ნორმატიული აქტი თუ სამართლებრივი მექანიზმი დაედო ამას საფუძვლად? იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა სახელმწიფოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია რამდენად სწორი იყო ასეთი ქმედება? რას ისახავდა მიზნად ასეთი წინდაუხედავი და სამართლებრივად არასწორი ნაბიჯი?

თქვენი უკანასკნელი თხზულების თანახმად, აფხაზეთის დე ფაქტო უმაღლეს საბჭოში მისი შემადგენლობის რაღაც ერთი მესამედი დარჩენილა, თურმე! რამდენად შეესაბამებოდა ეს სინამდვილეს? განა უცნობი იყო თქვენთვის, რომ აფხაზური მხარე, მის მხარდამჭერ სხვა ეროვნების დეპუტატებთან ერთად, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორმოცდაათ პროცენტზე მეტს შეადგენდა და მას რომ კვორუმი გააჩნდა? განა ჩვენს მიერ პარლამენტის გაუმართლებლად საბოლოოდ დატოვების შემდეგ არ მიიღეს იმათ მთელი რიგი უკანონო, ჩვენთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები, რომლებმაც მხარეებს შორის ისედაც ძალზე დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავა? აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გაუქმება არ უშლიდა ხელს გაეროს აფხაზეთის პრობლემების მოგვარებაში, მათ შორის, დევნილების დაბრუნებაში?

ომიდან ღირსეულად გამოსვლას თუ აპირებდით, რასაც არაერთგზის აცხადებდით, რატომ განაიარაღეთ და ფრონტის ხაზიდან გამოიყვანეთ ჩვენი ჯარი მაშინ, როდესაც იგივეს არ აკეთებდა მოწინააღმდეგე? რატომ არ შემოწმდა მისი გრძელი ავტოკოლონა, რომელიც თითქოს ჰუმანიტარული ტვირთით ტყვარჩელისკენ მიემართებოდა? ვის მიუძღვის ამაში ბრალი, ან სად არიან ის ადამიანები დღეს? ან კიდევ,

რატომ აწინაურებდით და ურიგებდით ჩინ-მედლებს ასე უხვად ამ სამარცხვინოდ წაგებული ომის გენერლებს თუ სხვა ჩინოსნებს, რომელთა უზნეობამ, უნიჭობამ, უგერგილობამ და დანაშაულებრივმა საქმიანობამ შეიწირა ამდენი სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და დაგვაკარგვინა აფხაზეთი? რატომ ხდებოდა ყოველივე ეს?

სწორედ ამგვარ გარემოებათა გამო ვერ შევძელი მიმეღო თქვენს მიერ ბოძებული სამხედრო და ღირსების ორდენები. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აფხაზეთში მოხდა, ეს, უბრალოდ, უზნეობად მივიჩნიე! საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი, ვინც აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ ჩინ-მენდლებს ატარებენ?!

რატომ არ გამაგრდნენ სამთავრობო ჯარები, სოხუმის დაცემის შემდეგ კელასურზე, მაჭარკაზე ან კოდორზე? თუ აფხაზეთი მიზანმიმართულად არ ბარდებოდა და თუ ღალატს არ ჰქონდა ადგილი, რატომ გარბოდა ჯარი მშვიდობიანი მოსახლეობის წინ? რატომ არ გაარღვიეს ხუთ თუ ექვსათასიანმა სამხედრო შენაერთებმა კოდორის ხიდთან გამაგრებული აფხაზთა 300 კაციანი რაზმი და სოხუმისა და გულრიფშის მოსახლეობას რატომ არ გაუხსნეს გზა სამშვიდობოსაკენ? რატომ გაუყენეს ასიათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის სამხედროები, რატომღაც ომის წინა დღეებში შეკეთებულ საკენ-ჭუბერის გოლგოთის - ვარლამის გზას მაშინ, როდესაც გამოსვლა ოჩამჩირის მიმართულებით შეიძლებოდა, საიდანაც გულრიფშის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოვიდა? ოჩამჩირისა და გალის რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, მწყობრიდან რატომ არ გამოიყვანეს საკომუნიკაციო ნაგებობები? ან რატომ დროზე არ გააფრთხილეს ამ რაიონების მოსახლეობა? რატომ ძარცვავდნენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პირები დევნილებს სვანეთის მთებში? იმ ჯოჯოხეთის გზაზე მიმავალ გაუბედურებულ ადამიანებს რატომ უწოდებდნენ ფორმიანი მძარცველები **„მეგრელ მოღალატეებს“?** რატომ განაიარაღეს იმავე გზა-

ზე სოხუმის 23-ე ბრიგადის – გენერალ გენო ადამიას შენაერთების დიდი ნაწილი? განა ისე დაიღუპა გენერალი ადამია, როგორც თქვენ წერთ? განა არ იცოდით, რომ **გენო ადამია,** სხვებისგან განსხვავებით, არ გამოქცეულა ბრძოლის ველიდან და არ დაუტოვებია თავისი თანამებრძოლები მტრის პირისპირ?! ის იმათ გამოსახსნელად გაეშურა და სწორედ ამ დროს შეეფეთა მოწინააღმდეგის რაზმს და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე! ან რით ახსნით იმას, რომ ქვეყნისა და ერისთვის თავდადებული, ცოტნე დადიანის ზნეობის დონის გმირი - **ჟიული შარტავა** მეგობრებთან ერთად შეატოვეთ გაატრეებულ მოწინააღმდეგეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთი აღიარებული ანტიგმირი წინასწარ გამოიყვანეთ სამშვიდობოზე და დააწინაურეთ, როგორც ვალმოხდილი გმირი? მაშინ, როდესაც სოხუმი უკვე ეცემოდა, რატომ არ მიეცით ჟიული შარტავას განკარგულება თანმხლებ პირებთან ერთად დაეტოვებინა მთავრობის სასახლე და გამოსულიყო სამშვიდობოს, იქ, სადაც თქვენ და თქვენი `ვალმოხდილი~ სარდლობა იმყოფებოდით? თავის ურყევ პატრიოტულ მრწამსს, ერისა და ქვეყნის გაერთიანებისა და მშვიდობის გზების ძიებას ხომ არ შეეწირა იგი?.

რატომ არ იღო ყურად აფხაზეთის თავდაცვის საბჭომ დეპუტატ **კიმი ჯაჭვლიანის** წინადადება, რომ დროზე გადაეკეტათ სოხუმის მიმდებარე მთებზე არსებული ბილიკები და გადასასვლელები? ან რატომ არ შეისმინა იქ დაღუპული **ელგუჯა გურჩიანის** გაუთავებელი ვედრება, საიმედოდ დაეცვათ და გაემაგრებინათ ცუგუროვკა-კამანის მონაკვეთის გადასასვლელი გზები, რომლითაც მოწინააღმდეგე მძიმე ტექნიკისა და ჯარის სოფელ შრომის გავლით სოხუმში გადმოსროლას ლამობდა (და გადმოიყვანა კიდეც!), რატომ უწოდებდნენ ელგუჯას პროვოკატორს და რატომ შუქდებოდა შესაბამისი ფაქტები არასწორად? კერძოდ, რატომ ამტკიცებდა ჩვენი ტელევიზია (თუ ის ჩვენი იყო?!), სამეგრელოში არც ერთი ლტოლვილი არ შეუშვესო, როცა დევნილთა ორი მესამედი სწორედ სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში იყო შეფარებული? რა მიზნებს ემსახურებოდა ასეთი უზნეო პროპაგანდა? მაშინ როდესაც აფხაზეთის ქართველობა სისხლისგან იცლებოდა, ქვეყნისთვის ასეთ ტრაგიკულ ჟამს, თბილისის საკონცერტო დარბაზებში თუ ტელევიზიაში რატომ იმართებოდა გამუდმებით ტაშ-ფანდური, და „ნაღდი შოუ“?

და ბოლოს, რატომ დავთანხმდით ასე სახელდახელოდ დსთ-ში შესვლაზე, თუ რუსეთი არ დაგვეხმარებოდა აფხაზეთის დაბრუნებაში და თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანება აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში არ წაგვეშველებოდა, როგორც თქვენ გვაიმედებდით? რატომ გადაიდგა ეს ნაბიჯი? თუ ომის წაგების შემდეგ შეიძლებოდა რუსეთის ჯარების შემოყვანა საქართველოში და მათთვის სამშვიდობო სტატუსის მინიჭება, ომის მსვლელობის დროს გაუაზრებლად რატომ უარყავით გენერალ გრაჩოვის მიერ სოჭში შემოთავაზებული გეგმა, რომელიც სადესანტო დივიზიის აფხაზეთში გადმოსროლას, ორივე მხარის განიარაღებას და სამშვიდობო მისიის შესრულებას ითვალისწინებდა? თუ ამგვარი შეთანხმება ოთხივე მხარის (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთი, ეუთო) მიერ იქნებოდა სამართლებრივად გაფორმებული და მოხდებოდა მხარეების განიარაღება, რეგიონის სრული დემილიტარიზაცია, ხომ აგვცდებოდა ის, რაც მოხდა შემდგომ აფხაზეთში! გუდაუთიდან უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნებისა და აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისა და რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ განა შესაძლებელი არ გახდებოდა ახალი არჩევნების ჩატარება აფხაზეთში?

არ მინდა, ვინმეს ბრძენად ან წინასწარმეტყველად მოვევლინო, მაგრამ აფხაზეთის ომის დროს ბევრი მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ომიდან ღირსეულად გამოსვლა და კონფლიქტის მოგვარება, ამ პრობლემისადმი ჩემეული მიდგომა გამაჩნდა. არ ვიცოდი მხოლოდ, ვის უნდა გაეკეთებ-

ინა ეს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნდა აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღება, ერთობლივი ძალებით მხარეების განიარაღება და მთელი ტერიტორიის გაკონტროლება; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის აღდგენა, დროებითი სამთავრობო მმართველობის შემოღება ან კანონიერი მთავრობის არჩევა; საგანგებო მდგომარეობის მოხსნისა და, ოთხმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ, კონფლიქტის კონსენსუსის გზით დარეგულირება; ახალი დემოკრატიული (და არა აპარტეიდული!) საარჩევნო კანონის შემუშავება და აფხაზეთის ახალი ხელისუფლების არჩევა; კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარების შემდეგ, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნვა, შესაბამისი პოზიციების შეჯერება და ა.შ. ამგვარი მიდგომა და მოსაზრებები ერთ-ერთი ღამის საუბრების დროს გავაცანი ნეტარხსენებულ ჟიული შარტავას. ეს ძალიან მოეწონა მას და მთხოვა, ქაღალდზე გადამეტანა.

სოხუმის დაცემამდე, დაახლოებით ერთი კვირით ადრე, აფხაზეთის ე.წ. მთავრობის საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელსაც, მის სრულ შემადგენლობასთან ერთად, ქვეყნის ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია და სხვები ესწრებოდნენ. აქ იყვნენ აგრეთვე ე.წ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებიც ბორის კაკუბავას თავკაცობით. 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული საკითხები იხილებოდა. მწვავე სჯა-ბაასი გაიმართა და ყველამ, გარდა თბილისელი სტუმრებისა, ხელისუფლების აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნებას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. ერთი სიტყვით, მიმდინარეობდა სოჭის ხელშეკრულების რევიზია.

ამ დროს ნეტარხსენებული **ჟიული შარტავა** დარბაზიდან იყო გასული, ის გაეროსა და რუსეთის სამხედრო დამკვირვებლებს ხვდებოდა და სხდომას, ფაქტობრივად, **სანდრო კავსაძე** უძღვებოდა. განსაკუთრებით „ეროვნული ერთიანობის საბჭოს“ წევრები აქტიურობდნენ. ვხედავდი, ისევ მილიტარისტული ძალები მძლავრობდნენ, ამიტომ მწვავედ შევეკამათე მათ. იმ ავადსახსენებელი სხდომის დამსწრეთ და თავად **სანდრო კავსაძეს** შევახსენებ სხდომის ზოგიერთ დეტალს. მან მითხრა: **„ბატონო ნაპო, მე ვიცნობ თქვენს გეგმას, იგი ბატონმა ჟიულიმ გადმომცა და გავეცანი. ის მისაღებია და გთხოვთ, მოგვახსენოთ!»** მოკლედ ვისაუბრე პროექტის ირგვლივ, თანაც დამსწრეთ მივმართე თხოვნით, შეეწყვიტათ სოჭის ხელშეკრულების ირგვლივ გაუთავებელი კამათი, დაეთმოთ სავარძლები და ხელისუფლების აფხაზური ნაწილის გუდაუთიდან სოხუმში დაბრუნებისთვის არ შეეშალათ ხელი. ატყდა ერთი აურზაური, სასტიკად შემომიტიეს. განსაკუთრებით აქტიურობდა **ბორის კაკუბავა: „თქვენ ითანამშრომლებთ არძინბასა და მის გარემოცვასთან?“** - ცხარობდა იგი. **„მე სატანასთანაც ვითანამშრომლებ, ოღონდ ომი არ განახლდეს და მეტი სისხლი არ დაიღვაროს-მეთქი!“** მეორე დღეს სოხუმში საპროტესტო მიტინგი მაინც გამართეს, რასაც ომის განახლება და სოხუმის დაცემა მოჰყვა. ბატონო ედუარდ, თქვენ ამას ყველაფერს შორიდან აკვირდებოდით და მოვლენების განვითარებაში არ ერეოდით! რატომ?!

თუ გენერალ **გრაჩოვის** შემოთავაზება მიუღებელი იყო, რადგან მასში რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის ნიშნები იკვეთებოდა, რატომ არ შეიძლებოდა მისი განეიტრალება კარგად გააზრებული, დაახლოებით ზემოთ მოტანილი ჩემეული გეგმის ან მისი მსგავსი წინადადებით?! ხომ შეიძლებოდა გრაჩოვის მიერ შემოთავაზებული გეგმიდან მაქსიმალური სარგებლის გამოტანა და მომგებიანი შეთანხმების მიღწევა? თქვენს მიერ გამოთქმული არგუმენტი, რომ, სოჭში ორი ძალოვანი მინისტრის –**ყარყარაშვილისა** და **ბათიაშვილის** გადადგომის შემდეგ თბილისში დაბრუნება გაგიჭირდებოდათ, დღევანდელი გადასახედიდან, მიღებული კატასტროფული შედეგების ფონზე უსუსურად და არასერიოზულად ხომ არ გეჩვენებათ, ბატონო ედუარდ? რატომ არ გაითვალისწინეთ ეს ყველაფერი და რატომ უარყავით შემო-

თავაზებული გეგმა წინდაუხედავად? ენგურზე რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ჩაყენებით განა არ ფიქსირდებოდა უფრო მძიმე შედეგი – აფხაზეთის, რეალურად კი, რუსეთის საზღვარი და ამით მის მიერ აფხაზეთის ანექსირების ფაქტი? გენერალ გრაჩოვის მიერ შემოთავაზებული წინადადების მაქსიმალურად გონივრული გამოყენების შემთხვევაში, ვიმეორებ, ხომ არ მივიღებდით იმ ტრაგიკულ შედეგს: ათიათასობით ადამიანის მსხვერპლს, ასიათასობით ძირძველი მოსახლის გამოდევნას, აფხაზეთის ქართველებისაგან დაცლას – აფხაზეთის უქართველებოდ დარჩენას, აფხაზეთის დე-ფაქტოდ დაკარგვას და რუსეთის მიერ მის ანექსირებას? თქვენი დონის პოლიტიკოსმა რატომ ვერ განჭვრიტეთ ყოველივე ეს და რატომ მიიღეთ ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილება?! ამას დიდი პოლიტიკოსობა სჭირდებოდა?!... ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ამის გააზრების უნარი არ შეგწევდათ! მაშინ რა მოხდა, ბატონო ედუარდ?! სამოქალაქო ომის განახლების პერსპექტივამ და თქვენი ხელისუფლების დამხობის საშიშროებამ ხომ არ განაპირობა ასეთი უცაბედი, გაუთვითცნობიერებელი და შედეგზე ნაკლებად ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება?. როგორ ფიქრობთ დღეს, რა ყოფილა უფრო მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული - ომიდან ღირსეულად გამოსვლა, აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელუხლებლობა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, თუ ტახტის შენარჩუნება და ხელისუფლების პოზიციების გამაგრება და განმტკიცება?!... ბატონო ედუარდ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ესაა უმთავრესი საკითხავი, კითხვათა კითხვა!.

როგორც ხედავთ, კითხვებს ბოლო არ უჩანს. ის შეიძლება, უასასრულობამდე გაგრძელდეს, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ისედაც ცხადია, რომ ისინი ისევ უპასუხოდ დარჩებიან, თუმცა საზოგადოებრიობამ იცის სიმართლე და ამ კითხვებზეც პასუხი, მას თავისი ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია და თქვენს წიგნში უხვად გაბნეული „უზუსტობები“ ამ პოზიციაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით, ბატონო ედუარდ, აფხაზეთთან მიმართებაში რამდენადმე სერიოზულ და წინდახედულ პოლიტიკაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უადგილო და უხერხულიცაა. როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ვერც ურმის გადაბრუნებამ გვიშველა, ამის შემდეგაც ვერ ვპოულობთ სწორ გზას – ძველ შეცდომებს ახალი მოსდევდა და მოსდევს დღესაც და მივყვებით ასე მოვლენათა არახელსაყრელ დინებას. თუ ვინმე იმაღლებდა და იმაღლებს ხმას, იმისი სიტყვა წააგავდა და წაგავს „ხმას მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. პატიოსანი ადამიანების მიმართ უნდობლობის პოლიტიკას ბოლომდე აგრძელებდით. წინა პლანზე წამოწეული იყო არაკომპეტენტური ადამიანების, ერთეულების, უმთავრესად დამნაშავე პირთა და კლანურ-მაფიოზური წრეების სურვილები, რასაც ემსხვერპლა კიდეც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები. ამაშია მთელი ტრაგიზმი!

უბედურება ისიცაა, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება დღემდე არ არის აღიარებული! არადა საჭირო და აუცილებელია სიმართლის, რა არასასიამოვნოც არ უნდა იყოს იგი, დღის სინათლეზე გამოტანა და მისთვის თვალის გასწორება. გარდა იმისა, რომ ეს ცხოვრებისეული კანონზომიერებაა, ამას მოითხოვს ხელისუფლებისგან ხალხი, ეს მისი დაკვეთაა, რისი უგულვებელყოფა ან დაყოვნება საბედისწერო შეცდომა და უზნეობაა. ეს რომ დროზე გაკეთებულიყო და მიგვეცა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება ყოველივე იმისა, თუ რა შეცდომები დავუშვით და რა სავალალო შედეგები მივიღეთ, არ მოხდებოდა ის, რაც ახლახან დატრიალდა ქვეყანაში. მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი იქნა იგნორირებული და ამჟამად ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ეს ყველაფერი თქვენს მიერ დატოვებული მემკვიდრეობის შედეგია. ეს არის რეალობა და მიუკერძოებელი სიმართლე! თუ იგი გვაინტერესებს საერთოდ! სიმართლე და ჭეშმარიტება.

უნდა გვახსოვდეს, რომ, ძველი ბერძნებისა არ იყოს, **„ძა-**

ლა არა ღმერთში, არამედ სიმართლეშია“. მე კი ვიტყოდი სხვაგვარად: **სიმართლეა და სამართალია თავად ღმერთი!** ეს უნდა ახსოვდეს დღევანდელ ხელისუფლებასაც. იგი ვალდებულია სამართლებრივი შეფასება მისცეს ყოველივე იმას, რაც აფხაზეთში მოხდა. ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება! დრო თვითონვე დაარქმევს ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს - ღალატს... დიახ, ღალატს, არნახულ და გაუგონარს - ისეთს, რომელსაც ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება! ღალატი, უპირველესად, ქვეყნისა და ერის უზენაესი ინტერესების, შემდეგ კი აფხაზეთის ქართველობის მიმართ!..

აი, ეს არის სიმართლე და ეს უნდა აღიაროს ხელისუფლებამ. მან, როგორც წინამორბედი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ, უნდა აღიაროს ქვეყნისა და ხალხის, მათ შორის აფხაზი ხალხის წინაშე დაშვებული საბედისწერო შეცდომები და მოუხადოს მათ ბოდიში, როგორც, გერმანელმა ხალხმა გააკეთა ეს მსოფლიოს წინაშე ფაშიზმის გამო. ამით რა, შეირყა თუ უფრო ამაღლდა მსოფლიოს ხალხთა თვალწინ გერმანელი ხალხის ღირსება და ავტორიტეტი? ამიტომ, იქნებ ჩვენც მივმართოთ გერმანელთა გამოცდილებას, იქნებ ჩვენც მივბაძოთ მათ, რადგან აფხაზეთში დაბრუნება და აფხაზეთის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქცევა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი, და, თუ აფხაზ ხალხთან პირდაპირი დიალოგი გვინდა, ჩვენც მოგვიწევს ამის გაკეთება. თქვენ რას იტყვით, ბატონო ედუარდ?! მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ახლა კი იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება და სკეპტიკურად შეხვდება ჩემეულ შეფასებებს, მოვიყვან კიდევ ერთ გამაოგნებელ ფაქტს ამჯერად საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ **ალექსანდრე ჩიკვაიძის** წიგნიდან. „პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით“ (თბ. ლოგოს არტი, 2004). გთავაზობთ ამონარიდს ამ წიგნიდან: „1993 წლის სექტემბერში, სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე, საკუთარ კაბინეტში ვეს აუბრებოდი რუსეთის ელჩს ბატონ ზემსკის... ასეთ დროს ტელეფონის ზარი, - ყურმილის მეორე მხარეზე ვლადისლავ არძინბაა: **„შევარდნაძე შემხვდეს“,** - მესმის ყურმილში. **„მე მზად ვარ მოლაპარაკებისთვის. სადაც გინდათ, როდესაც გინდათ.“** მე მას ჟენევის მოლაპარაკების თემით ვპასუხობ. **„მოლაპარაკება ჟენევაში ერთია, მე კი პირადად შევარდნაძე მინდა შემხვდეს. ბატონო მინისტრო, ალექსანდრ დავიდოვიჩ, ეგებ დაუკავშირდეთ, რომ მე მასთან საუბრისთვის ვარ მზად, მოვდივარ დიალოგზე“,** - მიპასუხა არძინბამ.

ამ დროს შევარდნაძე სოხუმშია და მასთან მხოლოდ რადიოკავშირი არსებობს, ისიც მხოლოდ ვაჟა ლორთქიფანიძის საშუალებით. არძინბას ვპირდები, რომ შევეცდები პრეზიდენტთან დაკავშირებას. როგორც იქნა ტელეფონის ზარი: მკაფიოდ მესმის ვაჟა ლორთქიფანიძის ხმა: **„შევარდნაძემ მითხრა, საშას გადაეცი არძინბას უთხრას, რომ ვერ მიპოვა“...** დაახლოებით 10 წუთში მდივანს შემოაქვს არძინბას დეპეშა, სადაც უკანასკნელი შევარდნაძესთან სასწრაფო შეხვედრას ითხოვს“...

შეგახსენებთ, ყველაფერი ეს სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე ხდებოდა!!! და თქვენ, ბატონო ედუარდ, არძინბასთან შეხვედრა და საუბარი არ გსურდათ!?... აქ კომენტარი ზედმეტია! ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემს ძალებს აღემატება, ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელია! იქნებ თქვენ სცადოთ, ძვირფასო მკითხველო! თუმცა ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, ალბათ, თავად ბატონ ედუარდის კომენტარი! და, მართლაც, თქვენ რას იტყვით, ბატონო ედუარდ?! თუმცა, რამდენადმე დამაჯერებელ პასუხს ამ და სხვა კითხვებზე მე, ალბათ მკითხველიც, არ მოველით. ამიტომ, იქნებ სჯობდეს აღიაროთ ქვეყნის საზიანოდ დაშვებული საბედისწერო შეცდომები და საჯაროდ, ყველას გასაგონად ერისა და ბერის, ღვთისმშობლის ხატისა და უფლის წინაშე მოინანიოთ ჩადენილი ცოდვები. იქნებ, სცადოთ, ბატონო ედუარდ, ა?!...

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

2008 წ. 23-25 სექტემბერი NN178-179-180 (6038)

თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორს
პატივცემულო რედაქტორო,

თქვენი გაზეთის ბოლო ნომრებში გამოქვეყნდა ბატონ **ნაპო მესხიას** მიმართვა ჩემს სახელზე.

წინასწარ გეტყვით: არც გაზეთის, არც ავტორის მიმართ პრეტენზიებს არ გამოვთქვამ, თუ კითხვა იბადება - პასუხი უნდა გაეცეს. თუმცა ბოლო წლებში, როგორც „მემუარებში“, ისე პრესის მეშვეობით ვცდილობდი, შესაძლებლობის ფარგლებში, მეპასუხა ანალოგიურ კითხვებზე (რამდენად გამომივიდა, ეს სხვა საკითხია).

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ბატონ ნაპოს ეს კითხვები დაესვა მანამ, სანამ ჯაბა იოსელიანი და ავთანდილ იოსელიანი წავიდოდნენ ამ ქვეყნიდან.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ჩემს პასუხისმგებლობას არასდროს უარვყოფდი.

ამჯერად, კონკრეტულად მხოლოდ 2-3 საკითხს შევეხები.

პირველი: რატომ შევიდა ქართული ჯარი აფხაზეთში? ეს მოხდა მაშინ, როცა მე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და არა მთავარსარდალი (ფაქტიურად მთავარსარდალი იყო ის, ვინც რეალურად ხელმძღვანელობდა მაშინდელ შეიარაღებულ ძალებს).

საქმე ის არის, რომ მაშინ ფუნქციონირებდა მატარებელი სოჭი-სოხუმი-თბილისი, რომელსაც ბანდიტები სისტემატურად ძარცვავდენენ (მახსოვს, ზარალმა ფულის მაშინდელი კურსით 9 მილიარდი მანეთი შეადგინა).

ეს ძირითადად რუსეთის ტვირთები იყო. გაჩნდა რეალური საფრთხე, რომ ამ ყოველის ანაზღაურება საქართველოს დაეკისრება.

სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოვაცხადე, რომ მატარებლების ძარცვა უნდა შეწყდეს, თანაც ამ პრობლემას პოლიცია თავს ვერ მოაბამს და საჭირო იქნება საქმეში შეიარაღებული ძალების ჩართვა. ჩემი მაშინდელი წინადადებით, მატარებლების გასაცილებლად უნდა შექმნილიყო სამი პუნქტი (სამტრედიის რაიონში, სოხუმში, მაგრამ არა ქალაქში, არამედ ერთ-ერთ სოფელში და ლესელიძეში).

როგორც ზემოთ ვთქვი, პოლიციის მონაწილეობას რეალურად გამოვრიცხავდი. სხვათაშორის, ეს თემა შევათანხმე ბატონ არძინბასთან, რომელსაც შევთავაზე, აფხაზეთსაც მიეღო მონაწილეობა ამ აქციაში, რაზეც არძინბამ თანხმობა განაცხადა, თან მთხოვა ვინმე ჩამოსულიყო სოხუმში გეგმის დეტალებზე მასთან სასაუბროდ.

პირველი, ვინც სოხუმში ჩავიდა, არძინბასთან ჩემი საუბრის მეორე თუ მესამე დღეს, გახლდათ ბატონი თენგიზ სიგუა, რომელსაც არძინბა არ შეხვდა. თენგიზ კიტოვანი, რომელიც ასევე იცნობდა ამ მოსაზრებას, იმყოფებოდა ახალციხეში და, როცა მან თავისი საქმეები მოათავა, (იარაღი უნდა მიეღო რუსეთის ერთ-ერთი ბაზიდან), შევიდა აფხაზეთში, მაგრამ მის შესვლამდე გალსა და ოჩამჩირეში გამოჩნდა ქართული პოლიციის რამდენიმე რაზმი (რასაც ჩემი გეგმა არ ითვალისწინებდა). და სწორედ პოლიციის შესვლას მოჰყვა პირველი შეტაკება ქართველ პოლიციასა და აფხაზებს შორის. როგორც მახსოვს, ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთიც დაიჭრა.

ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში აფხაზეთში, სოხუმთან გამოჩნდა ქართული გვარდია თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, რომელიც სოხუმის მახლობლად დაბანაკებულა.

სხვათა შორის, სოხუმის რაიონში გვარდიის გამოჩენასთან დაკავშირებით, სოჭიდან დამირეკა ბორის ელცინმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემი შეცდომაში შეყვანა უნდოდათ და გამაფრთხილა, რომ სოხუმში შესვლა არ შეიძლებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ქალაქში იდგა კბილებამდე შეიარაღებული რუსული ბატალიონი, ზღვის მხრიდან საზღვარსაც რუსები იცავდნენ და მათთან შეტაკების შემთხვევაში რეალურ საფ-

რთხეს წარმოადგენდა რუსულ-ქართული ომის დაწყება.

მე დავურეკე ბატონ თენგიზ კიტოვანს და კატეგორიულად ავუკრძალე ქალაქში შესვლა, რა თქმა უნდა, ელცინის ზარის შესახებაც ინფორმაცია მოვაწოდე.

საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ მე კიდევ რამდენჯერმე დავრეკე ბატონ თენგიზთან, მაგრამ მან აღარ მიპასუხა, ყურმილს სხვები იღებდნენ და ჩემს გაფრთხილებებს გადასცემდნენ - ყველაფერი ეს ამაო გამოდგა. გვარდია მაინც შევიდა სოხუმში, რაც შემდგომში მართლაც ქართულ-რუსულ ომში გადაიზარდა, რომლის სავალალო შედეგები ყველასთვის ნათელია.

მეორე შემთხვევა მინდა გამოვთქვა ე.წ. **„გრაჩოვის გეგმასთან“** დაკავშირებით.

გრაჩოვთან შეხვედრა მოხდა ადლერში. მანამდე ის ჩემთან კონტაქტებს თავს არიდებდა. შეხვედრას, ჩემს გარდა, ესწრებოდნენ გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი.

გრაჩოვმა შემომთავაზა აფხაზეთში მყოფი კონტინგენტის კიდევ 2-3 ათასი კაცით გაზრდა, იმ პირობით, რომ აფხაზეთში „სრულ წესრიგს“ დაამყარებდა.

გრაჩოვის წინადადებასთან დაკავშირებით გია ყარყარაშვილმა და ირაკლი ბათიაშვილმა პროტესტი გამოთქვეს და თანამდებობიდან გადადგომა გამოაცხადეს.

გრაჩოვის წინადადების განხორციელებას, რა თქმა უნდა, ენგურს გაღმა რუსეთის ჯარის გადმოსვლა და სამეგრელოს აწიოკება მოჰყვებოდა. ეს გააცნობიერეს ჩემმა ახალგაზრდა თანამებრძოლებმა და მათი მწვავე რეაქცია ამის შედეგი იყო.

იმის თქმა მსურს, რომ თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო.

სხვათა შორის, მახსოვს სოხუმში შესვლამდე, გია ყარყარაშვილი თავისი ბრიგადით გაგრიდან ფსოუმდე ჩავიდა და მშვიდად დაბრუნდა უკან, არანაირი პრობლემა არ შექმნილა.

ომის დაწყების შემდეგ ბრძოლებში საქართველოს ყველა რაიონი მონაწილეობდა და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ყველა ნორმალური მოქალაქე, გალის რაიონის ჩათვლით, რომლის

ბატალიონი სხვებთან ერთად იბრძოდა ბოლო წუთამდე.

გაგრის და ლესელიძის ტრაგედიაზე მე ბევრი რამ დამიწერია. კერძოდ, რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტთან გამართული თათბირის შესახებ (1992 წლის 3 სექტემბერი), რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ლიდერი ესწრებოდა, მათ შორის იყო არძინბაც. სწორედ იმ თათბირზე ერთხმად გადაწყდა, რომ ომი აფხაზეთში დამთავრდა, თათბირზე არც კი მოუთხოვიათ, რომ საქართველოს ჯარი აფხაზეთიდან გასულიყო. შედეგი სავალალო აღმოჩნდა და ამაში ბატონ ნაპოს ვეთანხმები. სხვათა შორის, გაგრის და ლესელიძის დაცვას მაშინ ბატონი ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა და მან დამარწმუნა, რომ მოწინააღმდეგის ჯარის არც ერთი ქვედანაყოფი არ იმყოფება ამ რეგიონში. არ დამეჯერებინა? ასეთ დროს ერთმანეთის წარსულზე აღარ ლაპარაკობენ, მით უმეტეს, ბატონი ჯაბას პატრიოტიზმში (რომელიც თავის მოგონებებში ბევრ არასასიამოვნო რამეს ლაპარაკობს ჩემზე) არასდროს ეჭვი არ შემპარვია.

რაღაც ვერ ვიხსენებ თქვენს მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან და შემდეგ თქვენს ტელეფონით მოწოდებულ ინფორმაციას, როცა, თურმე, მე თქვენ ბოლომდე არ მოგისმინეთ და ყურმილი დაგიკიდეთ.

ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია ჩემთან კონტაქტი, ასეთ რამეს არ დაგიჯერებენ, იმიტომ, რომ არასდროს და არავისთან ასეთი რამ არ ჩამიდენია.

ბატონო რედაქტორო, მინდოდა ძალიან მოკლე პასუხი გამომსვლოდა, მაგრამ არ გამომივიდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

კითხვები, ბატონ ნაპოს წერილის მიხედვით კიდევ ბევრია, მაგრამ, როგორც თავადვე მოგახსენეთ, ჩემი ავტორობით გამოქვეყნებულ ლიტერატურაში ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია. მომავალში მზად ვარ ვითანამშრომლო თქვენთან.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე

გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**

№186 (6044), 2008 წლის 3 ოქტომბერი.

ედუარდ შევარდნაძე:

როცა რუსეთის ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეიქმნება, იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის

ის, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე** არაერთხელ დაუდანაშაულებიათ აფხაზეთის დაკარგვაში, სიახლე არავისთვის არის. სოხუმის დაცემის მე-15 წლისთავზე აფხაზეთის თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამოც იძენს, რომ „მიუკერძოებელმა შუამავალმა რუსეთმა“ 15 წელზე მეტი ვეღარ მოითმინა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა პირველმა აღიარა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ნაპო მესხიამ** გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში **„მწარე სიმართლე – დაუფარავად! დაგვიანებული წერილი საქართველოს მეორე პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ანუ გულახდილი საუბარი იმაზე, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი“,** ექსპრეზიდენტი შევარდნაძე „ქვეყნისათვის საზიანოდ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებში“ დაადანაშაულა და „საჯაროდ, ყველას გასაგონად ჩადენილი ცოდვების მონანიებისკენ“ მოუწოდა.

თავის წერილში მესხია აფხაზეთში ომამდე, საომარი მოქმედებებისა და ომის შემდგომ განვითარებულ არაერთ ეპიზოდს იხსენებს და ექსპრეზიდენტ **შევარდნაძისგან** არაერთ კითხვაზე პასუხის გაცემას მოითხოვს.

ნაპო მესხიას წერილზე საქართველოს მოსახლეობა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება ბევრს იმსჯელებს. ჩვენც შევეცადეთ წერილში დასმულ უმთავრეს კითხვებზე პასუხი თავად ედუარდ შევარდნაძესგან მიგვეღო.

- ბატონო ედუარდ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაპო მესხია თქვენ „ქვეყნისათვის საზიანოდ დაშვებულ საბედისწერო შეცდომებში“ გადანაშაულებთ და საჯაროდ, ყველას გასაგონად ჩადენილი ცოდვების მონანიებისკენ მოგიწოდებთ. მესხია წერს - „იქნებ სცადოთ ბატონო ედუარდ!». ჩვენ კი გთხოვთ, იქნებ სცადოთ ბრალდებებზე პასუხის გაცემა. აპირებთ თუ არა გაითვალისწინოთ რჩევა და მართლაც მოინანიოთ აფხაზეთის საკითხში დაშვებული შეცდომები?

- ჯერ ერთი, უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ მსიამოვნებს ის აქტიურობა, რომელსაც ზოგიერთი მოქალაქე, მათ შორის ბატონი მესხია იჩენს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით. რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებებს, მე არაერთხელ გამიცია პასუხი და კიდევ მზად ვარ გავცე. მაგრამ, ბატონი მესხია ისეთ და იმდენ საკითხებს აყენებს, რომლებზეც მე ჩემს წიგნში ვსაუბრობ. იგი კი ამბობს, რომ თქვენ წიგნში ასე და ისე წერთო, მაგრამ ეტყობა, ჩემი წიგნი სრულიად წაკითხული არ აქვს. ჩემს წიგნში აფხაზეთზე თუ არ დავწერდი, აბა, რაზე უნდა დამეწერა? ბატონ ნაპოს ბევრი ცალმხრივი ინფორმაცია აქვს და მასთან დავას ხომ ვერ დავიწყებ. ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ბატონი ნაპო წერს. დაერეკა ერთხელ და ეკითხა, ასე იყო თუ არა. ვიმეორებ, მე ცუდს არაფერს ვხედავ იმაში, რომ ამ კაცმა აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესი გამოიჩინა და როგორც თავად ხედავს, ისე წერს.

- ნაპო მესხია ამტკიცებს, რომ აფხაზეთში ომის დაწყების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. თქვენი აზრი ემთხვევა დეპუტატ მესხიას შეხედულებას, თუ თქვენ სხვა მოსაზრება გაქვთ?

- მან ალბათ არ იცის, რატომ მოხდა აფხაზეთში ჯარების შეყვანა. ომის დაწყება არც არავის უფიქრია. კარგად უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ შევიყვანეთ ჯარი აფხაზეთში. მაშინ

არც პარლამენტი იყო, მე არც სახელმწიფოს მეთაური ვიყავი და არც პრეზიდენტი, იყო სახელმწიფო საბჭო. სოჭი-სოხუმის რკინიგზის მონაკვეთზე შემადგენლობები იძარცვებოდა, თანაც მახსოვს, ზარალმა 12 მილიარდი რუსული რუბლი შეადგინა. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლებოდა, ცხადი იყო. საქართველო იძულებული იქნებოდა აენაზღაურებინა ზარალი. მაშინ მთავარსარდალი არ ვიყავი, ვიყავი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომაზე გამოვედი და ვთქვი, რომ ეს ისეთი ორგანიზებული და მძიმე დანაშაულია, რომ ამას მილიცია ვერ მოერევა, ამიტომ საჭიროა ჯარის შეყვანა და ჯარს უნდა ჰქონდეს მხოლოდ მატარებლის გაცილების უფლება. იმასაც დავაზუსტებ, რომ ჩემი წინადადება იყო, გახსნილიყო სამი პუნქტი, ერთი სამტრედიის მახლობლად, მეორე სოხუმის რაიონში და მესამე ლესელიძეში. რამდენიმე ასეულ ჯარისკაცსა და ოფიცრებს დაეკისრებოდათ მატარებლების გაცილება და თავიდან აიცილებდნენ ამ ძარცვას. ასეთი იყო ჩანაფიქრი.

ომის დაწყებას არავინ აპირებდა. მაშინ ერთადერთი სამხედრო ძალა იყო გვარდია, რომელსაც კიტოვანი მეთაურობდა, მაგრამ მე რომ მთავარსარდალი არ ვიყავი, ისე გამოდიოდა, თითქოს კიტოვანისთვის ჩემი ბრძანება სავალდებულო არ იყო. შემდეგ პოლიცია ისე შეიყვანეს, ჩემთვის არაფერი უკითხავთ და პირველად თოფი მაშინ გავარდა, როცა პოლიცია გალიდან ოჩამჩირეში გადაადგილდებოდა. გალი-ოჩამჩირის გზის მონაკვეთზე მაშინ მგონი ერთი ადამიანი დაიღუპა. მატარებლების გაცილებასთან დაკავშირებით სატელეფონო საუბარი მქონდა ვლადისლავ არძინბასთან. მან მითხრა, ყველაფერი გავიგე, თანახმა ვარ, მაგრამ დეტალების გასარკვევად და ვინმე ჩამოვიდეს და ამიხსნასო. მეორე დღეს სოხუმში გაემგზავრა ბატონი სიგუა, მაგრამ არძინბა ვერ იპოვა და ვერ დაელაპარაკა. ორი თუ სამი დღის შემდეგ კიტოვანი ახალციხეში რუსების მიერ მიღებული ტანკებით და ზარბაზნებით აფხაზეთისკენ დაიძრა და სოხუმს მიადგა. მაშინ მე

დავურეკე და კატეგორიულად ავუკრძალე სოხუმში შესვლა. გაფრთხილების მიუხედავად კიტოვანი სოხუმში მაინც შევიდა და ჩემს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. ჩემი დანაშაული ის არის, რომ როცა კიტოვანი გაჯიუტდა და სოხუმში სასწრაფოდ უნდა გადავფრენილიყავი და შევხვედროდი აფხაზეთის ხელმძღვანელობას, რათა კიტოვანის სოხუმში შესვლა არ დამეშვა. მაგრამ მარტო მე რას შევძლებდი. ომის დაწყების პრობლემა რთული საკითხია. აფხაზეთში ომის დაწყება იმ ადამიანის კისერზეა, ვინც სოხუმში ჯარები შეიყვანა.

- 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში ჯარის თუნდაც რკინიგზის დასაცავად შეყვანა რომ საომარი მოქმედებების დაწყებაში გადაიზრდებოდა, ამის პროგნოზირება რთული არ უნდა ყოფილიყო...

- რატომ უნდა მოჰყოლოდა საომარი მოქმედებების დაწყება, როცა რამდენიმე თვით ადრე გია ყარყარაშვილი თავისი ბრიგადით შევიდა სოხუმში, მთელი აფხაზეთი ფსოუმდე გაიარა, ფსოუს წყალიც ისე დალია, რომ იქ პრობლემა არ შექმნია. ჩვენ აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად შევედით და არა საომრად.

- ბატონო ედუარდ, დეპუტატი მესხია თავის წერილში აცხადებს, რომ თქვენ არძინბასთან შეხვედრის პირობა მიეცით სოხუმიდან თბილისში ჩამოსულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ანრი ჯერგენია, სერგეი ბაღაფში, ზურაბ აჩბა, ალექსანდრე ანქვაბი, დავით ფილია, ავთო იოსელიანი და თავად ნაპო მესხია, მაგრამ პირობა არ შეასრულეთ და პრაქტიკულად ხელი შეუწყეთ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას. თუ ეს ასეა, რა მიზეზით შეიკავეთ თავი და არ შეხვდით არძინბას, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყებამდე თქვენთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა.

- მე გითხარით, რომ არძინბას შევპირდი, სოხუმში სიგუა და კიტოვანი ჩავიდოდნენ და რკინიგზის დაცვის საკითხებზე

დაელაპარაკებოდნენ, მაგრამ სიგუა სოხუმში რომ ჩავიდა, არძინბა დაიმალა. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილში იყო. მაშინ სიგუამ იგი ვერ იპოვა, კიტოვანს არც უძებნია, რადგან მას არძინბა არ აინტერესებდა და სოხუმში შესვლა უნდოდა. ასე რომ, ჯარის შეყვანა არ ნიშნავდა ომის დაწყებას. ვიმეორებ, ჯარი იმიტომ შევიყვანეთ, რომ სოჭი-სოხუმის რკინიგზის მონაკვეთზე მატარებლები არ გაეძარცვათ. რაც შეეხება არძინბასთან შეხვედრას, მე არძინბას თბილისში ომის შემდეგ, 1997 წლის გაზაფხულში შევხვდი. მაშინ იგი თბილისში პრიმაკოვმა ჩამოიყვანა. მთელი რვა საათი გავატარეთ ერთად, ვისაუბრეთ, მაგრამ არძინბა არაფერზე თანხმდებოდა. მერე პრიმაკოვმა ხელი ჩაიქნია და ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა.

- დეპუტატი მესხია გახსენებთ ომის დაწყების ორი თვის თავზე სოხუმში, აწ გარდაცვლილი ავთო იოსელიანის კაბინეტში გამართულ შეხვედრას ოზგანთან, ანქვაბთან და დამენიასთან, რომლის დროსაც აფხაზური მხარე საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების პირობას იძლეოდა, რის შესახებაც მესხიამ თქვენ ტელეფონით შეგატყობინათ, მაგრამ თქვენ ამ ინფორმაციისათვის ყურადღება არ მიგიქცევიათ და მას ამ საკითხებზე ჯაბა იოსელიანთან შეხვედრა ურჩიეთ. რატომ? და კიდევ, მოქმედებდნენ თუ არა ბატონი გივი ლომინაძე და ბატონი თამაზ ნადარეიშვილი სოხუმში თქვენთან შეთანხმებით. თუ არა, ბატონი მესხია კითხულობს - რატომ არ დასაჯეთ ნადარეიშვილი, რომელსაც გუდაუთიდან სოხუმში ჩამოსული იმ აფხაზი ლიდერების დაპატიმრება სურდა, რომლებიც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლისათვის მზადყოფნას გამოთქვამდნენ?

- სანამ სოხუმში იყო, ნადარეიშვილი თითქმის ყოველდღე მიკავშირდებოდა. იმას რატომ არ იხსენებენ, რომ ლომინაძე აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და მის სამინისტროს აფხაზური გვარდია რომ შეესია და მას ცხვირ-პირი

დაუმტვრიეს და აფხაზეთიდან გამოაძევეს. ავთო იოსელიანს მე ვენდობოდი, ვიცნობდი 20 წლის განმავლობაში. აფხაზეთთან დაკავშირებით რისი გამოქვეყნებაც მან სიცოცხლეში მოასწრო, საეჭვო არაფერი მინახავს.

- ბატონი მესხია მიიჩნევს, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, როგორც თქვენი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ, ბოდიში უნდა მოიხადოს აფხაზი ხალხისა და აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წინაშე. რას უპასუხებდით ამგვარ მოწოდებას?

- ბოდიშის მოხდა რომ შველოდეს საქმეს და აფხაზეთი დაბრუნდებოდეს, სამებაში ან სადაც არ უნდა იყოს, მივიდოდი და ბოდიშს 100-ჯერ მოვითხოვდი, მაგრამ ეს საქმეს არ უშველის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა მისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება მიიღო. თუ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, რატომ არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ჩეჩნეთი, ინგუშეთი, თათრეთი, ბაშკირეთი? ან დაღესტანმა რა დააშავა, სადაც 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და კასპიის ზღვაზე აქვს გასასვლელი?

- ბატონო ედუარდ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამ ტერიტორიების დაბრუნების რა პერსპექტივა აქვს საქართველოს?

- ჩვენ 12 წლის განმავლობაში ვარწმუნებდით აფხაზებსა და ოსებს, რომ ქართულ მხარეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით გვინდოდა კონფლიქტის მოგვარება, ბევრმა ოსმა და აფხაზმა ეს დაიჯერა. ბორჯომში ჩემთან შეხვედრაზე ჩიბიროვი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრას მოითხოვდა და არა დამოუკიდებლობის აღიარებას. იქნებოდა თუ არა სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არც იდგა და ამაზე საუბარი არც ყოფილა. სხვათა შორის, პირველი პრეზიდენტის დროს ქართველების შეჭრა სამხრეთ ოსეთში ავანტიურისტული ნაბიჯი იყო. საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ, გორში გამოსვლის

დროს, ოსებს ბოდიში მოვუხადე იმ შეჭრისთვის, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და სისხლი არ უნდა დაღვრილიყო. ყოველთვის გავურბოდი სისხლისღვრას. პრეზიდენტის პოსტიდანაც ამიტომ გადავდექი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, რომ არ გადამდგარვიყავი, სისხლი დაიღვრებოდა. სანამ ცხინვალში შევიდოდით და რუსები საქართველოს ტერიოტორიებს დაიკავებდნენ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა საკმაოდ გარკვეული იყო. ვთქვი და გავიმეორებ, ბევრმა აფხაზმა და ოსმა დაიჯერა, რომ ჩვენ კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანად გვსურდა. ბოლო ომი რომ არ დაწყებულიყო, ალბათ კიდევ რამდენიმე წელი იყო საჭირო და კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდებოდა. რუსებს საქართველოზე ფიქრი არ ასვენებთ. მხედველობაში მყავს სამხედროები. 200 წელი ვიყავით მათი კოლონია. უახლოეს ხანებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა არ გვაქვს. ჩაინიშნეთ და დაიმახსოვრეთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო რუსეთს პრობლემები შეექმნება. როცა რუსეთს ყოფილ ავტონომიებში პრობლემები შეექმნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მოსკოვის პოზიცია სხვანაირი იქნება.

ინტერვიუ მიცემული „ინტერმედნიუსი“-სათვის,
გაზეთი **„ახალი თაობა“** №269 (4649)
2008 წლის 29 სექტემბერი.

ედუარდ შევარდნაძის პასუხის პასუხად!

სად არის დღეს ის კაცი, რომელიც ყველაფრისთვის კისრულობდა პასუხისმგებლობას და სახრჩობელაზე ასვლით რომ იმუქრებოდა?!

ამას წინათ საშუალება მომეცა ფართო საზოგადოებისათვის **„საქართველოს რესპუბლიკის“** მეშვეობით მესაუბრა ქვეყნის ექს-პრეზიდენტთან, **ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან** და ვრცელი ინფორმაცია მიმეწოდებინა იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ გასხვისდა აფხაზეთი. ამ პუბლიკაციას ფართო გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის ბატონი ედუარდის მხრიდანაც.

თავიდან ბატონ ედუარდთან პოლემიკას არ ვაპირებდი, რომ არა ის უზუსტობანი და ფაქტების აღრევა, რითაც ასეა გაჯერებული „ინტერმედნიუსი“-სთვის მიცემული და გაზეთ „ახალ თაობა“-ში დაბეჭდილი მისი ინტერვიუ, მოგვიანებით კი „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული მისი წერილი. ბოლოს და ბოლოს, გაუგებარი რჩება, თუ რა რაოდენობის ზარალი მიადგათ რუსეთსა თუ სომხეთს, აფხაზეთში მატარებლების ძარცვით. პირველ შემთხვევაში ბატონი ედუარდი ასახელებს 12 მილიარდ რუბლს, ხოლო მეორე შემთხვევაში - 9 მილიარდს. რომელია სწორი? ამასთან ერთად, დღემდე გაუგებარია თუ ვინ გადაწყვიტა ჯარისა და მძიმე ჯავშანტექნიკის შეყვანა, ომისა და მშვიდობის ბედი აფხაზეთში!

ბატონი ედუარდი ყველაფერს თენგიზ კიტოვანს აბრალებს, ხოლო ის - ბატონ ედუარდს, რომელიც თავის მხრიდან თვლის, რომ „თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ ასე გრძელდება ეს ე.წ. პინგ-პონგი მათ შორის, ამიტომ საზოგადოებამ დღემდე არ იცის სიმართლე. საყურადღებოა ისიც, რომ ბატონი ედუარდი მიესალმება იმ აქტიურობას, „რომელსაც ზოგიერთი მოქალა-

ქე, მათ შორის ბატონი მესხია იჩენს, („თურმე“ - ნ. მ.) აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით“ და დასძენს, რომ „ვერ იხსენებს მის (ე.ი. „ბატონ მესხიას“ - ნ.მ.) მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან და მისგან მოწოდებულ ინფორმაციას, როცა, თურმე, ბოლომდე ვერ მოვუსმინე და ყურმილი დავუგდე მას“.

გაუგებარია თუ რატომ ვერ ახსენდება ბატონ ედუარდს, როგორ ვარწმუნებდი იმ სხვადასხვა შეხვედრაზე, რომ არ შეიძლებოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და დეპუტატთა ქართული ფრაქციის (იმ დროისთვის ქვეყანაში ერთადერთი ლეგიტიმური ორგანოს) დაშლა, ასევე ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, 1994 წლის 9 მაისს მასთან შეხვედრისას ჩემი არგუმენტირებული წინადადების შედეგად გადაწყდა დეპუტატთა ქართული ფრაქციის აღდგენის საკითხი, რითაც კარგად ისარგებლა ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა და არალეგიტიმურად გააფორმა ის, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. არ ვიცი რატომ არ ახსენდება ეს ბატონ ედიუარდს და ისიც, რომ, ომის წინა დღეებში სწორედ ჩემი ძალისხმევის შედეგად იქნა ჩამოყვანილი თბილისში აფხაზი ლიდერები. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ვერ იხსენებს, თუ რა სიტყვებით გამაცილა მან რუსეთში ბაგრატ შინკუბასთან, ფაზილ ისკანდერსა და ტარას შამბასთან შესახვედრად, რათა მათ მხარი დაეჭირათ 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებისათვის? შევახსენებ ბატონ ედუარდს: **„ჩვენ არ გვეგულება მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდეს აფხაზებში. ამიტომ პოზიტიურ შედეგებს მოველი თქვენგან“.** ასეთი იყო მისი სიტყვები.

ბატონ ედუარდს შევახსენებ მასთან ბოლო შეხვედრასაც თბილისში: ბატონი ოზგანის წინადადების თაობაზე, სატელეფონო საუბრის შემდეგ, მან მიმიწვია თბილისში, რათა ჩამოვყალიბებულიყავი თუ რა ჩარჩოებში მესაუბრა აფხაზურ მხარესთან. მას ვეახელი აწ გარდაცვლილ ავთანდილ იოსელიანთან (და არა ჯაბა იოსელიანთან, რომელთანაც არასდროს მქონია რამენაირი შეხება და ურთიერთობა!) ერთად. ამ შეხვედრის დროს განსაკუთრებული სითბოთი მიგვიღო მან ე.წ. იმელის შენობაში. ეს გაგრისა და გაგრის ზონის სამარცხვინოდ ჩაბარებისა და მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბერს (ბორის ელცინის პატრონაჟით), მისი არძინბასთან შეხვედრის მომდევნო დღეებში ხდებოდა. ბატონი ედუარდი მოითხოვდა აფხაზებს გაგრა და გაგრის ზონა დაეთმოთ, მობრუნებულიყვნენ უკან და დამდგარიყვნენ მდინარე ბზიფის გასწვრივ. **„მე გადავცემ ამას აფხაზებს, მაგრამ არა მგონია, რომ ისინი ამაზე წამოვლენ. ჩვენ რომ ვიყოთ, ვიზამდით ამას, ბატონო ედუარდ!“** - ვუპასუხე მე. ბატონმა ედუარდმა ამოიოხრა: **„არა, გაგრა ჩვენი სატკივარია!».** თუ არ წამოვლენ, რა ვიღონოთ მაშინ?!“ მისი პასუხი კვლავ ისეთი იყო: **„არა, გაგრა ჩვენი სატკივარია!“** მერე განაგრძო, რომ ამზადებდა (რაც ტყუილი გამოდგა!) მთამსვლელთა 3 ბატალიონს და მთიდან, მტრის ზურგში აპირებდა სამხედრო ოპერაციების ჩატარებას. მე ვუპასუხე: **„ბატონო ედუარდ, უზურგოდ, სათანადო დახმარების გარეშე ამოჟუჟავენ ჩვენს შენაერთებს და ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდება მეთქი“.**

ისევ, უკვე მესამედ თქვა ოდნავ აღელვებულმა: **„არა, გაგრა ჩვენი სატკივარია“.**

აქ უნდა ვთქვა ის, რის თქმასაც არ ვაპირებდი: ვხედავდი, თუ როგორ გვაბრიყვებდა და დამეუფლა ემოცია, რის გამოც მოუხერხებლად მოვბრუნდი, იდაყვი მომიხვდა ჩემს წინ მდგარ ყავის ფინჯანზე და გადავაქციე იგი. ამაზე ბატონ ედუარდს გაეღიმა, რაც ძალიან მეწყინა და, ოდნავ გასაგონად ამოვღერღე: **„კიდევ კარგი ამ ქვეყნად ყავის გარდა არაფერი დამიქცევია“**-მეთქი. მან ამ ქარაგმულად ნათქვამს უმალვე მიაქცია ყურადღება, ალბათ მიხვდა, თუ რას ვგულისხმობდი და უცბად შეეცვალა სახე. თვალებმა მიიღეს შუშისებური გამოხედვა: „ვზგლიად ჩლენა პოლიტბიურო!“. ამით დასრულდა მაშინ ჩვენი საუბარი.

მესამე დღეს შედგა ჩემი, ბატონების გოგა ხაინდრავა-

სა და აკაკი გასვიანის თანხლებით, ის ცნობილი შეხვედრა აფხაზურ მხარესთან, რომელიც ბატონ თამაზ ნარადარეიშვილის მიერ ჩვენი დაკავების მცდელობით დასრულდა. ამის შემდეგ, ბატონი ავთო იოსელიანის კაბინეტიდან, მისი და ბატონი აკაკი გასვიანის თანდასწრებით, „ვეჩეთი“ ვურეკავ ბატონ ედუარდს. მომისმინა და ოჩამჩირეში გამაგზავნა ჯაბასთან!.... ამით დასრულდა ჩვენი საუბარი. არ ვიცი ამის შემდეგ რამდენ ხანს ეჭირა მას ხელში ყურმილი. ის კი ვიცი, რომ ისახებოდა „მორცხვი ომიდან“, როგორც მას უწოდებდა ბატონი ედუარდი, სინამდვილეში კი სამარცხვინო ომიდან ღირსეულად გამოსვლის პერსპექტივა. მაგრამ მან და მისმა თანამზრახველებმა ეს საგანგებოდ ჩაშალეს და ეს მას, თურმე არ ახსოვს!... და, საერთოდ, „რაღაც ვერ იხსენებს ჩემს მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან და ჩემს მიერ ტელეფონით მიწოდებულ ინფორმაციას“...

აქ კომენტარს შეგნებულად თავს ვარიდებ. სამაგიეროდ ბატონ ედუარდს შევახსენებ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან სატელეფონო საუბარს. 1992 წლის 18 აგვისტო, დღის მეორე ნახევარი, სინოპი, ე.წ. სტალინის აგარაკი (მკითხველს მიტევებას ვთხოვ, რომ ეპიზოდების აღწერა დეტალურად მიხდება. რა ვქნა, სხვაგვარად ვერ ვახსენებ ადრესატს). დარბაზში, სადაც ტელეფონებია, ხალხმრავლობაა: აქ არიან სამხედროები, მათ შორის თენგიზ კიტოვანიც. ის შუაში დგას და ესაუბრება თამაზ ნადარეიშვილსა და გივი ლომინაძეს. ამ დროს რეკავენ ე.წ. „ვეჩეთი“, მაგრამ იმ სამიდან არც ერთი არ მოდის ტელეფონთან, თუმცა ყველა ხვდება, თუ ვინ უნდა იყოს.

ყველაზე ახლოს ტელეფონებთან მე აღმოვჩნდი. ისინი მანიშნებენ და ყურმილს ვიღებ: ბატონი ედუარდი ითხოვს თენგიზ კიტოვანს. მე ვანიშნებ, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვრის. ვსაუბრობ ბატონ ედუარდთან მისი მდივნის, ქალბატონი ცისანას მეშვეობით. მკითხველი მიმიხვდება თუ რა სიტუაციაში აღმოვჩნდი! იძულებული ვარ ვუთხრა, რომ კიტოვანი გასულია. ამ დროს ის აქ დგას და მისმენს! მაშინ

ბატონი ედუარდი ითხოვს გივი ლომინაძეს, შემდეგ თამაზ ნადარეიშვილს. მაგრამ ისინიც არ მოდიან ყურმილთან, ისინი იძულებული ხდებიან თავი შეიკავონ, რადგან თავდაცვის მინისტრი კიტოვანი თავს არიდებს ბატონ ედუარდთან საუბარს. მესმის ქალბატონ ცისანას ხმა: „ბატონი ნაპოა ტელეფონთან, გაესაუბრებით?“, „მომეცით“ - იყო პასუხი. და აქ, შექმნილი უხერხულობით გამწარებული, ვეუბნები: **„ბატონო ედუარდ, ვერ გავიგე რა ხდება, 14 აგვისტოს ღამით მხარეებს შორის, როგორც იცით, მიღწეულ იქნა შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ჯარები უნდა დაშორიშორებულიყვნენ - აფხაზებს საჯარისო ფორმირებები და მძიმე ტექნიკა უნდა გაეყვანათ ახალ ათონში, ხოლო ჩვენ -გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე და ამის შემდეგ უნდა მივსხდომოდით მოლაპარაკების მაგიდას. რა ხდება, ვერ გამიგია: თუ აფხაზებმა შეასრულეს დაპირება, ჩვენ რატომ ვარღვევთ, რატომ არ გავდივართ გულრიფშში? უფრო მეტიც, ახლა აპირებენ სოხუმის დალაშქვრას - აფხაზური დროშის ჩამოხსნას და ქართულის აღმართვას! რა საჭიროა ეს? რა, სხვა ქვეყანას ვიპყრობთ? რა საჭიროა დროშის ჩამოხსნა და ახლის აღმართვა?“** და ა.შ. ყველა გასუსული დგას და ყურადღებით ისმენს ჩემს ტირადას.

ბატონი ედუარდიც ისმენს და ბოლოს ამბობს: **„რა საჭიროა, კაცო, უთხარით, არ გააკეთონ“.**

ეს იყო და ეს! არავითარი შეშფოთება, არავითარი ემოციები. კიტოვანიც ლაკონიური იყო: **„როგორც ჩავალ, გამოვათრევ იქიდან ყურებით, როგორც ჩამოვათრიე მოსკოვიდან!»** აი, ასეთი ხალხი წყვეტდა აფხაზეთის, მაშასადამე, ქვეყნისა და ხალხის ბედს, და გადაწყვიტეს კიდევაც!..

ამ ეპიზოდის მოყვანა იმისთვის დამჭირდა, რომ ბატონი ედუარდი, თურმე, „ვერ იხსენებს ტელეფონით ჩემს მიერ მიწოდებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას“. ამ ინფორმაციაზე უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა ყოფილიყო?! მაგრამ რა?

მინდა შევეკითხო ბატონ ედუარდს: „რა იღონეთ ამის

შემდეგ?! ჩაერთეთ და შეაჩერეთ იერიშის მიტანა სოხუმზე, განმუხტეთ უკიდურესად დაძაბული სიტუაცია, შეაჩერეთ საომარი ესკალაცია?!» ოთხი დღის განმავლობაში, 14-დან 18-მდე, სანამ არ დავლაშქრავდით სოხუმს, ყოველ დღე მოდიოდნენ ჩვენთან, ქალაქში საგანგებოდ დარჩენილი, სერგეი ბაღაფში, სერგეი შამბა, დავით ფილია და ზურაბ ლაბახუა. ისინი მზად იყვნენ დიალოგისათვის! ვაწარმოებდით ჩვენ მათთან საქმიან შეხვედრებს?! რა აზრი ჰქონდა ინფორმაციას და ჩემს ვედრებას, თუ გონივრულად ვერ გამოიყენებდით მას?!

რაც შეეხება იმას, რომ ასევე „რაღაც ვერ იხსენებს ჩემს მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან"..., უკვე ხსენებული და ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრების გარდა, რომლებიც ომის მსვლელობის დროს სოხუმში არაერთგზის შესდგა აფხაზ ლიდერებთან - კონსტანტინე ოზგანთან, ალექსანდრე ანქვაბთან, ოლეგ დამენიასა და სხვებთან, მას შევახსენებ ჩემს კონფიდენციალურ შეხვედრებს იმავე ოზგანთან სოჭში და ბომბორაში, შეხვედრებს აფხაზების უხუცესთა საბჭოს წევრებთან და ბოლოს ისევ 1995 წლის შეხვედრებს მოსკოვში, რომელთა დროსაც ანრი ჯერგენიამ და მე, ოფიციალურ სოხუმის თანხმობით, შევიმუშავეთ და აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების შესახებ, და ასევე, 1999 წელს, კანცელარიაში მრჩევლის რანგში ყოფნის დროს, შედგა ჩემი შეხვედრა აფხაზ ლიდერებთან სოხუმში, რომელიც დასრულდა იმით, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ კონფლიქტის ზონაში სასწრაფო რეაგირების ოთხმხრივი კომისიის შექმნის შესახებ, რომლის პროექტი, მხარეებისათვის 7 პუნქტის მიუღებლობის გამო, არ დამტკიცებულა გაეროს თავმჯდომარის მეგობარი ქვეყნების თაოსნობით მოწყობილ მხარეთა წარმომადგენლობითი დელეგაციების ათენის და სტამბოლის შეხვედრის დროს, რომლის მონაწილე მეც გახლდით. სოხუმში ჩემი ერთი ვიზიტით მოიხსნა პროექტში არსებული უთანხმოებანი და აფხაზურ მხარესთან შეჯერებული, ჩვენთვის ფრიად მისაღები პროექტი თბილისში ჩამოვიტანე, რომელიც ერთი კვირის თავზე თბილისში მხარეებმა მიიღეს და დაამტკიცეს. ყოველივე ამის შემდეგ ბატონი ედუარდი, რატომღაც, „ვერ იხსენებს ჩემს რამენაირ მნიშვნელოვან შეხვედრას აფხაზების ლიდერებთან".

არ ვიცი, რამდენად გულწრფელად და კეთილსინდისიერად ამბობს ამას. ამაზე მეტი რა შეხვედრა უნდა მქონოდა აფხაზების ლიდერებთან? მას ალბათ, უბრალოდ, არ სურს აღიაროს, რომ აფხაზურ მხარესთან შეიძლებოდა კონსტრუქციული დიალოგი და აფხაზეთში ომის თავიდან აცილება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ედუარდი ვერ პასუხობს ჩემს მიერ დასმულ არც ერთ შეკითხვას და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ორ საკითხზე. ამტკიცებს, რომ პოლიციელები ვერ გაუმკლავდებოდნენ მატარებლების მძარცველებს აფხაზეთში. რამდენად სწორი იყო ეს?! იქნებ, მან გაიხსენოს სახელმწიფო საბჭოს ის სხდომა, სადაც იხილებოდა ეს საკითხი და სადაც რკინიგზის უწყების იმდროინდელი ხელმღვანელი ბატონი რემი ვაშაკიძე. რკინიგზის გასამხედროებული დაცვისთვის ავტომატების გადაცემას ითხოვდა, ბატონმა ედუარდმა უარი თქვა და ჯარისა და მძიმე ტექნიკის შეყვანა მოითხოვა, რაც გაუგებარი იყო ყველასთვის, ვინაიდან რკინიგზაზე მიმავალ შენაერთებს ტანკები ვერ დაეწეოდნენ და ვერ დაიცავდნენ. აი სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს სხდომის სტენოგრამაც, რომელიც თავის დროზე (1995 წლის 18-24 მარტის №10 (133)-ში) გამოქვეყნდა გაზეთ „7 დღეში".

ედუარდ შევარდნაძე: „რაც არ უნდა მოხდეს, სომხეთისკენ მიმართული ტვირთი შეუფერხებლად უნდა ჩადიოდეს. ტვირთის უსაფრთხოება მატარებლებზე მთლიანად თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობაზე უნდა იყოს. საჭიროა ლესელიძე-სამტრედიის მონაკვეთზე მოეწყოს 1-2 ბანაკი. ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებსა და სოფლებში სამხედრო ნაწი-

ლები გამოყენებული არ იქნება. საერთო ხელმძღვანელობა დაევალება გენერალურ შტაბს. ყველაფერი იქნება ისე, როგორც უნდა იყოს სამხედრო უწყებაში და, რაც უფრო ადრე დავიწყებთ, მით უკეთესია. ცოტა დრო დასჭირდება სამხედროებს, მაგრამ გუშინ ვთხოვე დაჩქარებულიყო ეს პროცესი, გადადება საქმისა არ შეიძლება, არც სხვა გამოსავალი არის. ბატონ თენგიზს (საუბარია ქვეყნის პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუაზე - ნ. მ.) ხომ არ სურს განმარტებები?"

თენგიზ სიგუა: „თქვენ აღნიშნეთ, რომ პოლიცია ვერ უზრუნველყოფს ამ ტვირთის უსაფრთხოებას, რადგან მას არ გააჩნია საშუალებები. მე ჩავიწერე თქვენი სიტყვები: „უნდა დავავალოთ თავდაცვის სამინისტროს". მე ბოდიშს ვიხდი, რადგან არ ვარ სამხედრო საკითხებში კომპეტენტური, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ არის თავდაცვის სამინისტროს ფუნქციები. კანონით თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს არა აქვს რკინიგზის შემადგენლობებზე თავდასხმების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების უფლება. ხოლო პოლიციელს ამის უფლებები აქვს. ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს პოლიციამ და რკინიგზის გასამხედროებულმა დაცვამ".

ედუარდ შევარდნაძე: „მე არ ვარ სასტიკი ზომების მომხრე, მაგრამ ახლა სისუსტე შეიძლება უფრო ძვირი დაგვიჯდეს. მომკალით, თუ ამან შედარებით უმტკივნეულოდ არ ჩაიარა. ცოტა შორსაც გავიხედოთ, შეიძლება ეს ძალიან გამართლებული ღონისძიება გამოდგეს."

ყველამ კარგად დავინახეთ, თუ „რა შორსმჭვრეტელი" ყოფილა ბატონი შევარდნაძე. ეს შემდგომში. ახლა კი მისი ძალისხმევის შედეგად ეს დადგენილება მიღებულ იქნა და ბატონმა ედუარდმა, და არა სხვა ვინმემ, შეიყვანა ჯარი და ჯავშანტექნიკა აფხაზეთში.

დადგენილების მიხედვით, ჯარი 16 აგვისტოს უნდა ყოფილიყო ფსოუზე. 15 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძე ურეკავს გია ყარყარაშვილს და ეშერიდან ჯარს უკან აბრუნებს. საყურადღებოა, რომ არ ურეკავს იმ დროს სოხუმში მყოფ პრემიერ-მინისტრ ბატონ თენგიზ სიგუას, რადგან მას არ ჰქონდა უფლება დაერღვია სახელმწიფო საბჭოს, გადაწყვეტილება, და ალბათ, ისიც იცოდა, რომ ბატონი თენგიზი შეეწინააღმდეგებოდა მის ასეთ გადაწყვეტილებას.

არასწორია ბატონი ედუარდის მტკიცება იმის თაობაზეც, რომ ომის დაწყებამდე ბატონი თენგიზ სიგუა არძინბასთან მოსაპარაკებლად იმყოფებოდა სოხუმში. „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილ წერილში ბატონი ედუარდი ამბობს: **„პირველი, ვინც სოხუმში ჩავიდა არძინბასთან ჩემი საუბრის მეორე თუ მესამე დღეს, გახლდათ ბატონი თენგიზ სიგუა, რომელსაც არძინბა არ შეხვდა."** ეს აშკარა უზუსტობაა. ბატონი თენგიზი, ღვთის წყალობით, ცოცხალია და თავად იტყვის, რომ ომის დაწყებამდე ის აფხაზეთში არ ყოფილა და ჩამოვიდა მხოლოდ 14 აგვისტოს საღამოს, სოხუმში წითელ ხიდთან შეტაკებისა და სისხლისღვრის შემდეგ. ამ შემთხვევაში უბრალოდ ბატონი ედუარდის მიერ ფაქტების ხელოვნურად აღრევას აქვს ადგილი. დღესავით ნათელია, თუ ვინ შეიყვანა ტანკები აფხაზეთში - თენგიზ კიტოვანმა თუ ბატონმა ედუარდმა. თენგიზ კიტოვანს ისედაც ჰყოფნის თავისი, რომ არ დავაბრალოთ სხვისი ცოდვები. მას ისიც ეყოფა, რომ იყო კანონიერი ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მთავარი „გმირი", და რად ღირს მისი „ნამუშევრების" არაჩვეულებრივი „გამოფენა" რუსთაველის პროსპექტზე. ასე რომ, ამ საკითხში ბატონი ედუარდის კომენტარი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი და მიუღებელია.

ბატონი ედუარდი „ინტერნეტნიუს"-ს, „ახალ თაობა"-სა და „საქართველოს რესპუბლიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში ე.წ. გრაჩოვის გეგმას ეხება. მისი შეფასებები ამჯერადაც მიუღებელია მკითხველისათვის. თუ რატომ იქნა ცალმხრივად განიარაღებული ქართული მხარე და რას ემსახურებოდა მისი ეს ნაბიჯი კარგად არის გაშუქებული ჩემს წერილში და შეუძლია ისევ მიუბრუნდეს მას. აქ კი შეგახსენებთ 1993 წლის 24 ივლისს პარლამენტის სხდომის პერიპეტიებს. სწორედ იმ

დღეს განიხილებოდა საკითხი აფხაზეთიდან ჯარისა და მძიმე ტექნიკის გაყვანის შესახებ. აი სტენოგრამაც.

ედუარდ შევარდნაძე: „მე კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს არის შუალედური დოკუმენტი. მე ყოველთვის ვლაპარაკობდი, რომ ჩვენ სოხუმს არავის დავანებებთ, და არც იქნება. სანამ ვსუნთქავ, ქალაქს დავიცავთ. მე გამოვრიცხავ საუბარს იმის შესახებ, რომ საქართველომ შეიძლება სოხუმი ჩააბაროს. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ვინმეს გადავაბარო პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა უნდა ავიღო როგორც სახელმწიფო მეთაურმა, მაგრამ ჩემთვის პარლამენტის აზრი, რა თქმა უნდა, კანონია, მაგრამ, როცა ლაპარაკია გადაწყვეტილების მიღებაზე –გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სახელმწიფო მეთაურმა, და, როგორც ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა, რომელსაც მე გარკვეული მიზეზების გამო არ ვეთანხმები, ის (სახელმწიფოს მეთაური - ნ. მ.) შეიძლება სახრჩობელაზე ავიდეს და ავა კიდევაც, თუ დავკარგავთ სოხუმს“.

ბატონ ედუარდს უდავოდ ახსოვს, რომ პარლამენტის უმრავლესობა არ დაეთანხმა მის წინადადებას სოხუმიდან ცალმხრივად ჯარისა და მძიმე ტექნიკის გამოყვანის შესახებ. მას, ალბათ, შეეშინდა, რომ კენჭისყრის დროს საკითხი ჩავარდებოდა, ამიტომ მეორედ გამოდის და ამბობს: **„მე არ ვფიქრობ, რომ დღეს პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს. საქმე ეხება იმას, მოვიწონოთ თუ არ მოვიწონოთ, მივიღოთ თუ არ მივიღოთ. სხდომის ოქმში შეიძლება ჩაიწეროს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებისთვის, მის შედეგებისთვის, ხელმოწერის ჩათვლით, ეკისრება სახელმწიფო მეთაურს. მე მზად ვარ, რომ ვაგო პასუხი ყოველ სიტყვაზე და ყოველ ფრაზაზე, და, რა თქმა, უნდა შედეგებზეც. ამით მინდა დავამთავრო ჩემი გამოსვლა.“**

რამდენადაც ცნობილია, ასეთ დოკუმენტზე ხელი უნდა მოეწერა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ან საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალ-

ექსანდრე ჩიკვაიძეს და არა პარლამენტის თავმჯდომარეს, აწ განსვენებულ ვახტანგ გოგუაძეს! რატომ მოხდა ეს?!... ცნობილია, რომ ბატონმა ალექსანდრემ უარი განაცხადა ასეთ კაპიტულანტურ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე და მაშინ ალბათ, ბატონმა ედუარდმა ბატონი ვახტანგ გოგუაძე აიძულა ხელი მოეწერა. თუ ახსოვს ეს? იქნებ, ესეც დაავიწყდა ბატონ ედუარდს?! სად არის დღეს ის კაცი, რომელიც ყველაფერზე იღებდა პასუხისმგებლობას და სახრჩობელაზე ასვლით იმუქრებოდა?! ხომ ჩაბარდა სოხუმი და მასთან ერთად მთელი აფხაზეთი?

აი, ძირითადად ის, რაზეც მქონდა დაუფარავი საუბარი ბატონ ედუარდთან ჩემს წერილში და რომლებსაც ბატონი ედუარდი ვერ პასუხობს. მას არც უნდა ეცადა ეს! როგორც ვაფრთხილებდი, ის ვერ უპასუხებდა მათ!

ამით ვამთავრებ. დასასრულს მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წიგნის ბოლომდე წაკითხვა ნამდვილად ვიცი! ჰოდა, მინდა მკითხველი დავარწმუნო, რომ ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხს ბატონ ედუარდის წიგნში ვერ მოიძიებს. აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებში იქ მეტწილად უზუსტობას, ზოგ შემთხვევაში კი აშკარა სიცრუეს გადაეყრებით.

ბოლოთქმა: ის, რაც გაზეთის ფურცლებს მიღმა დარჩა.

ბატონ შევარდნაძის მითითება იმაზე, რომ, გრაჩოვის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, სამეგრელოსაც დავკარგავდით, აშკარად გადაჭარბებულია. ეს არგუმენტი უსუსურია და არა მგონია, რომ ვინმემ ის სერიოზულად აღიქვას. გასაგებია თუ რატომ შიშობს ბატონი ედუარდი. მას ეშინია, რამეთუ იმდენად მძიმეა მათი დანაშაული სამეგრელოში!

ახლა კი იმისათვის, რომ საბოლოოდ ამოწურულ იქნას თემა და ამით დასრულდეს ჩემი მასთან, ასე ვთქვათ, მიწერ-მოწერა, დავძენ შემდეგს: თუ თვალყურს მივადევნებთ და შევაჯერებთ ბატონი ედუარდის საქმიანობას საქართველოში, მისი „მეორედ მოსვლის“ შემდეგ, ვნახავთ, როგორ იკვეთება და ადვილად იკითხება სწორი ხაზი, მისი საქმიანობის

უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც შედგება:

- კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და, მის შედეგად, ერის გახლეჩისა და სამოქალაქო ომის დაწყებისაგან;

- სამეგრელოს რეგიონის არაეთგზის დალაშქვრისა და აფხაზეთის ომის იდეოლოგიური მომზადებისაგან; სამეგრელოში სეპარატიზმისა და პროვინციალური ფაშიზმის „აღმოცენრბისაგან“;

- კოლხი მოსახლეობის, მათ შორის. აფხაზეთის ქართველობის გენოციდისა და აფხაზეთის ომისთვის წინასწარ ზურგის სახელდახელოდ მორღვევისაგან;

- აფხაზეთში ჯარისა და ჯავშანტექნიკის შეყვანისა და შეიარაღებული ეთნოკონფლიქტის დაწყებისაგან;

- ქვეყნის ეროვნული ძალისხმევის აფხაზეთის ეთნოკონფლიქტის, მასთან დაკავშირებული პრობლემებისკენ მიმართვისაგან;

- ბზიფზე, გუმისთის მსგავსად, სამშვიდობო საჯარისო ფორმირებების ჩაყენების „დავიწყებისა“ და შემდგომ, 1993 წლის 27 ივლისს აფხაზურ მხარესთან კაპიტულანტური ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული მხარის ცალმხრივი განიარაღებისა და აფხაზეთიდან ჯარისა და მძიმე ტექნიკის გამოყვანისა და აფხაზეთის მუხანათურად მტრებისთვის ჩაბარებისაგან;

- კონსტიტუციის გაუქმებისა და სამართლებრივი ვაკუუმის შექმნისაგან;

- აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, იმ დროისთვის ერთადერთი ლეგიტიმური და, ამდენად, კანონიერი რეგიონალური ხელისუფლების დაშლისაგან;

- რეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის ინტერნაციონალიზებისა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანისა და სეპარატისტული აფხაზეთის დე-ფაქტოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებისაგან;

- გრაჩოვის არც თუ ისე მიმზიდველი, მაგრამ, იმ დროისთვის მაინც მისაღები გეგმის – მხარეების განიარაღებისა

და აფხაზეთის დემილიტარიზაციის გეგმის უარყოფისაგან;

- აფხაზეთის სამარცხვინო ომის სამარცხვინოდ წაგებისა და ამის შედეგად აფხაზეთის დე-ფაქტოდ გასხვისებისა და იქიდან 300 ათასამდე ძირძველი ქართული მოსახლეობის გამოდევნისა და აფხაზეთის უქართველებოდ დატოვებისაგან - აფხაზეთის ქართველებისგან დაცლისა და ენგურზე რუსეთის სასაზღვრო ჯარების ჩაყენებისაგან...

- და ბოლოს, მიმდინარე წელს, ბედის ირონიით, 2008 წლის ისევ აგვისტოში ბატონი ედუარდის მოსკოველი მეგობრების მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსგან მოკვეთისა და მათი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებისაგან.

აი, ბატონებო, ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქმიანობის ის არასრული ჩამონათვალი, რაზეც მქონდა საუბარი მასთან ჩემს წერილში დაუფარავად და რომლებსაც ბატონი ედუარდი ვერ პასუხობს. მას, ვიმეორებ, არც კი უნდა ჰქონოდა ამის სურვილი! როგორც ვაფრთხილებდი, ის ვერ უპასუხებდა მათ!

ისევე როგორც ბატონ შევარდნაძეს, ხელისუფალთ და, განსაკუთრებით „,მოქკავშირელებისაგან» ბევრს გაუჭირდება დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რადგან, ცნობილ მიზეზთა გამო, ისინი ვერ იტყვიან სრულ სიმართლეს, ნახევარი სიმართლით კი, მოგეხსენებათ, ჭეშმარიტება ვერ ვლინდება, თუმცა ჭეშმარიტება ამით ბევრს ვერაფერს კარგავს – იგი მაინც ჭეშმარიტებად რჩება!

მკითხველმა კი იცის მათზე პასუხი, ამიტომ აზრი არა აქვს კითხვების გაგრძელებას. ისედაც ძალზე გადავღალე მკითხველი.ამდენად გადავდივარ თხრობის სხვა მანერაზე.

და მაინც! მესმის, ბევრი რამ გაუგებარი ხდება ამ ქვეყნად, მაგრამ ერთი უდაოდ საკითხავია: **რატომ გადავზარდეთ პოლიტიკური კრიზისი ომში?! რატომ დავიწყეთ ეს სამარცხვინო ომი და თუ დავიწყეთ, რატომ დავმარცხდით ასე პირწმინდად?! აფხაზეთი დავკარგეთ თუ გავასხვისეთ?! თუ**

დავთმეთ, რატომ და რის ფასად,რის სანაცვლოდ!? რა იყო ამაში ჩადებული? რატომ არ ჩააწერინა საერთოდ შევარდნაძემ 1995 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი და ცხინვალის ავტონომიები?! რაა ეს, უბრალოდ გულმავიწყობის შედეგია თუ უფრო შორს მიმავალი გეგმები – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისების კონსტიტუციურად გაფორმება?! აი, ეს არის საკითხავი(!!!)

იქნებ, სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე?! მისთვის ტახტის შენარჩუნებასთან ერთად, იქნებ ,ყოველივე ეს დეტალია იმ გარიგებისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი კუნძულ მალტაზე **გორბაჩოვსა** და **ბუშ-უფროსს** შორის? იქნებ, რუსეთს დაუთმეს აფხაზეთი აღმოსავლეთ ევროპიდან და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან გასვლის სანაცვლოდ?! ეს იციან ამ ორმა და თავად შევარდნაძემ, მაგრამ იტყვის? ან იტყვის თუ რის ფასად დაუთმო მან, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ერთპიროვნულად, ბარენცის სრუტე ამერიკელებს, ხოლო დამანსკის კუნძული ჩინელებს?! ვინ გეტყვის?!

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ იცის, ბევრს გუმანით ხვდება და მაინც იგი კარგადაა ყოველივე ამაში გათვითცნობიერებული. **იცის ისიც, თუ ვინ ღალატობს მას. იცის თუ ვინ იყო მისი განუყოფელი ნაწილის – კოლხეთის გენოციდის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი.იცის თუ ვისი ხელით კეთდებოდა ეს ბინძური საქმე. იცის ეს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერს ახერხებს! ან რა უნდა ქნას?** დარჩენია მხოლოდ ის, რომ იცოდეს ყველაფერი და ითმინოს. სხვა გამოსავალს ვერ ხედავს! სხვა გამოსავალი არაა სწორი და მართლებული! ამიტომ უნდა ითმინოს, რადგან იცის, რომ ვარლამის გზით ქვეყანა დიდხანს ვერ ივლის. იცის,ეს გზა დიდხანს არ შეიძლება ასე გაგრძელდეს! ამიტომ უნდა ითმინოს,რადგან კარგად იცის, რომ გადაურჩება ყველას და ყველაფერს!

დევნილებიც დიდი გაგებით შეყურებენ ყველაფერს. რა ვუყოთ, რომ ვიღაც – ვიღაცეები ერთობოდნენ აქ თბილისში, რის შედეგადაც ათსობით მშვიდობიანი და დაუცველი ადამიანის ამოხოცვა, სოფლების გადაწვა და გაჩანაგება მოყვა. მერე რა, კოლხები ცოტათი მეტნი არიან და ამით მაინცდამაინც ბევრი არაფერი დაშავდება. ნუგეშად მათ ისიც ჰყოფნით, რომ ბატონი შევარდნაძე ძალიან განიცდიდა და ძალიან ადარდებდა დევნილების ძნელბედობა. იციან, რომ მას სამეგრელო ძაან **„უყვარდა»** და **„უვლიდა“** მას თვალისჩინივით, როგორც **„საქართველოს გულს“** და, როგორც **„ხერხემალს“**!. დღემდე უმადლიან მას ასეთი დაფასებისა და მზრუნველობისათვის, მაგრამ ხანდახან სევდიანად ეღიმებათ, უფრო ხშირად კი ძალიან შიშობენ: ვაი თუ გული გაუჩერდეს, რა ეშველება მაშინ საქართველოს?! ან რომ გადაიღალოს და ხერხემალი მოწყდეს, მაშინ მთლად დავიღუპეთ! რა ეშველება კიდურებს, ხომ უმოძრაოდ დარჩებიან?! ხედავთ, რა უბედურებაში იყო ჩანარდნილი აქაურობა, რა სადარდებელში?! თუ კიდურები გაუჩერდებოდა, ეს მისი ბრალი იქნებოდა, და თუ გული – გული, მართლაც, ღმერთმა არ ქნას! გული ხომ უფრო სათუთია, სიკვდილის ერთ-ერთი კარიბჭე.... მაშინ საქმეს ვერც შეცდომების აღიარება და ვერც მონანიება უშველიდა!..

ისე ცრემლამდე ააღელვა თავის დროზე ყველა, თქვენმა, ბატონო ედუარდ მონანიებამ. უფრო თხოვნამ, ჩაერიცხეთ ლტოლვილთა რიგებში. ცოტა გაამხნევა თქვენმა მოწოდებებმა და დაპირებამ, რომ თვითონ წარუძღვებოდით დევნილებს და შეიყვანდით აფხაზეთში ნახევარი ან ერთ მილიონამდე ადამიანი რომ ამოწყვეტილიყო. ვერ გაიგეს მხოლოდ თუ ქართველი ხალხის რომელ ნახევარ მილიონზე ან მილიონზე იყო საუბარი! ის კი იცოდნენ, რომ არ დააღალატებდით და არ ჩააგდებდით მათ განსაცდელში, როგორც არ მიატოვეთ იქ აფხაზეთში...

არც სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოპატიჟება დარჩენილა უყურადღებოდ. გიმადლიან ძაან, მაგრამ კოლხები, ცოტა არ იყოს უცნაური და ჯიუტი ხალხია, არ უნდოდათ და არ უნდათ! არ უნდათ თქვენი შეწუხება რადგან

ძალზე დაკავებული ბრძანდებოდით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით, და თავიანთ ნასოფლარებში და ნასახლარებში ურჩევნოდათ. აქ ერთხმად ამბობდნენ: არსად არ გადავსახლდებით, რომ ამოვწყდეთ მაინც საკუთარ სახლებში დაბრუნებისათვის ვიბრძოლებთო. რა ვუყოთ, რომ ყველაფერი დაკარგეს, უსახლკაროდ და უსახსროდ დარჩნენ! სხვა შესაძლებლობა და უფლებები მათ არ გააჩნდათ და არ გააჩნიათ. დღემდე თქვენს მიერ **„გამოგზავნილ“** და **„გზას გადარჩენილ“** ჰუმანიტარული დახმარებით სულდგმულობენ და იმედიანად არიან რომ თქვენი მემკვიდრეები მომავალშიც არ დააღალატებენ და არ დააკლებენ მათ ზრუნვას.

ასე ფიქრობენ და სულ ლოცულობენ! სხვა უფლებები მათ არ გააჩნიათ. ამას დაუტოვებენ, ალბათ! ისე იმედიანად არიან, რომ ეს მაინც დაურჩებათ ამ „დემოკრატიულ“ ქვეყანაში(?!)

გვესმის, ყოველივე ეს შეიძლება ერთნაირად ვერ გაიგონ, განსაკუთრებით იქ, მოსკოვში! მაგრამ, რა ვქნათ იქაც ხომ ხალხნი არიან, და უნდა შეისმინონ, რომ თქვენ თითქმის ყველაფერი მოახერხეთ, ყველაფერი მოასწარით: საკუთარ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მოწყობა,ერის გახლეჩვა, ქვეყნის დაქუცმაცება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისება, ათიათასობით ადამიანის ამოხოცვა, აფხაზეთისა და სამეგრელოს ქართველობის ფიზიკური და სულიერი გენოციდი, სახელმწიფო ეკონომიკის გაჩანაგება და განიავება, კრიმინოგენული სინამდვილის დამკვიდრება და საზოგადოებაში უზნეობის გაბატონება; საკუთარ ხალხზე გამარჯვებით ეთნოკონფლიქტების შექმნისა და დარეგულირების ლაბორატორიაც შესთავაზეთ სამყაროს – კომფლიქტის შედეგად დაკარგული ტერიტორიები მისი მკვიდრი მოსახლეობის გარეშე! კიდევ რა? უცხოელების მიერ საქართველოს ძირძველი კუთხეების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამუდამოდ ანექსირება და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეასთან საბოლოოდ გამოთხოვება?!...

მეტი რა უნდა გეღონათ ერთ ადამიანს! ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს და შეისმინოს ყველამ, რომ თქვენს მიერ ჩრდილოეთიდა ამოყვანილი მზე დიდხანს კარგად გვათბობდა და გვასულდგმულებდა, რისთვისაც მიწამდე ქედს გიხრით. ასე რომ ყველამ სწორად უნდა გაიგოს, ყველგან – აქაც და იქაც!

მეტი რა გითხრათ! გემშვიდობებით, ბატონო ედუარდ, და გთხოვთ – ხშირად ნუ შეგვახსენებთ თავს.გვინდა თქვენთან ერთად დავივიწყოთის კოშმარი რომელიც ასოცირდება თქვენს სახელთან!

P.S.

ეხლა კი ინტერეს მოკლებული არ იქნება ,ალბათ, თუ დავინტერესდებით, რომელ საპატიო ადგილს დაიკავებდა ქვეყანაში ბატონ **ედუარდ შევარდნაძის** თავკაცობით მომხდარი» საქმენი საგმირონი» და, უპირველესად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გასხვისების ფაქტი ქართველთა ისტორიაში იმ 309 სამარცხვინო ფაქტთა შორის, რომლებიც სისტემაშია მოყვანილი ნეტარხსენებული **ლევან სანიკიძის** მიერ. მე თუ შემეკითხებით, ვიტყვი ცალსახად: **„Пальма первенства будет отдана господину Шеварднадзе!“,** - ანუ, პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება ბატონ ედუარდს!!!....

ნაპო მესხია
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №209 (6067)
2008 წლის 7 ნოემბერი.

ქვეყნის არაეროვნული ხელისუფლება და ეროვნული საქმე

„მეგობრების“ სიცილ-ხარხარი შევარდნაძის დაკრძალვაზე

ამ სურათმა, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ (N26, 2014 წ) ცნობით, სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა, მსოფლიო შემოიარა: აი, ასე ხარხარებდნენ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი (რომლებსაც ედუარდ შევარდნაძე უახლოეს მეგობრებად თვლიდა) და მისი მეუღლე – ბარბარა, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე. ქვეყნის მთელი ელიტა დამწუხრებული და სხვა ათასი ვაისგან ქანდაცლილი ეთხოვებოდა ადამიანს, რომლის მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულება გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე პოზიტივი. მის სახელთან, მოჩვენებით დიდებასთან ერთად, დაკავშირებულია გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის სისხლიანი მოვლენები და ქვეყნის მთლიანობის რღვევა. იქვე, ამ საქვეყნოდ ცნობილი სტუმრების უკან, იდგნენ შევარდნაძის მგლოვიარე შვილები, შვილიშვილები, ოჯახის წევრები, ესენი კი გულიანად ხარხარებდნენ...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველებისთვის და მთელს კავკასიაშიც, დაკრძალვის ცერემონიაზე სიცილ-ხარხარი არა მარტო მიცვალებულის, ჭირისუფლის, დამსწრე საზოგადოების, კულტურის, ტრადიციების შეურაცყოფაა.

მაშ, რაზე იცინოდნენ ჯეიმს ბეიკერი და ჰანს დიტრიხ გენშერი? ვეჭვობ, ისინი არ გლოვობდნენ მიცვალებულს, არც ანეკდოტს ყვებოდნენ, არც პოროშენკოს უკრაინის ბედ-იღბალსა და მის მომავალზე ბჭობდნენ. უბრალოდ, ეცინებოდათ და იცინოდნენ. ან რა მნიშვნელობა აქვს, თუ რაზე ან ვისზე იცინოდნენ ისინი... მათ კარგად იცოდნენ, რომ ყურადღების ცენტრში იყვნენ და აქ ყოფნით გამოხატავდნენ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, მაგრამ **ჩვენს ტრადიციებსა და საწუხარს მათი ე.წ. „დასავლური ღირებულებები“ სრულებითაც არ ითვალისწინებენ. აქ მთავარი ისაა, რომ მათ ეს არც ადარდებთ: ევროპელები თუ ოკეანეს გაღმელი პატრონები ჩვენ სრულფასოვან ადამიანებად, უბრალოდ, არც გვთვლიან და მხოლოდ თავიანთი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული და მერკანტილური მიზნების განსახორციელებად ვჭირდებით.**

აი, ეს არის აქ ჩვენთვის მთავარი და ყურადსაღები, თორემ იყო თუ არა შევარდნაძე მათთვის მნიშვნელოვანი და პატივსაცემი პერსონა, ეს სულ სხვა საქმეა.

ისე, კაცმა რომ თქვას, იგი მათგან მაინცდამაინც დიდ პატივისცემას, ეტყობა, არც იმსახურებდა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ შევარდნაძე ერთდროულად ორი პატრონის

– ხან ერთის, ხან მეორის, ხანაც ორივესი ერთად, მსახური იყო. ამიტომ, მათ შორის, ჯაბასა და შევარდნაძის ურთიერთობისა არ იყოს, ცალმხრივ მეგობრობას ჰქონდა ადგილი: შევარდნაძე თვლიდა ჯეიმს ბეიკერს და ჰანს დიტრიხ გენშერს თავის დიდ მეგობრებად, ხოლო ისინი... რაა ამაში გასაკვირი?!

ეტყობა **შევარდნაძე**, როგორც ფრანკლინ დელანო რუზველტს ნიკარაგუელი დიქტატორის ანასტაზიო სამოსა გარსიას დახასიათებისას უთქვამს, **„შეიძლება იყო ძაღლიშვილი“**, მაგრამ პორტუგალიისა და კუბის დიქტატორების – სალაზარისა და ბატისტასგან განსხვავებით, რომლებიც დიდი მწუხარებითა და პატივით დაკრძალეს ფრანკოს ესპანეთში, როგორც ჩანს, **არ იყო მათი ძაღლიშვილი.**

მაშ, ვინ იყო ედუარდ შევარდნაძე – **კაცი, რომელიც საკუთარი გარემოცვის მიერ ლამის „მსოფლიო დემოკრატიის მთავარ არქიტექტორად და უდიდეს პოლიტიკოსად“ იყო შერაცხული, თავის ქვეყანაში მშობლიური ხალხი ომსა და უბედურებას რომ ვერ გამოარიდა? განა მისი „ავტორიტეტის“ ზეობის დროს არ გასხვისდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, სამას ათასზე მეტი ადამიანი დედაბუდიანად რომ მოწყდა მამა-პაპისეულ მიწა-წყალს და საკუთარ ქვეყანაში დევნილად რომ იქცა?**

სულითა და ხორცით ჭეშმარიტი ქართველი საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს მიაყენებდა ამდენ ტკივილს და ჩააგდებდა მას ასეთ განსაცდელში? **არ უნდოდა, ვერ შეძლო, არ გამოუვიდა, ძალა არ ეყო, ვერ მიხვდა და მოატყუეს** – შეიძლება ამის დაჯერება?!

ეტყობა, სულით, ხორცით, მენტალობით არ იყო ის ქართველი და ამიტომაც ქართულ საქმეს ვერ აკეთებდა!

თუ ჭკუათხელ, იმფანტ მიხეილ სააკაშვილის სომხური წარმომავლობა დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს და ყველასთვის ცნობილია, ედუარდ შევარდნაძის ვინაობა ბურუსითაა მოცული და არაერთგვაროვან მითქმა-მოთქმას ბადებს.

მაშ, ვინ არის ედუარდ შევარდნაძე, როგორია მისი გვარსახელის გენიოლოგია?!

ამას წინთ, შემთხვევით წავიკითხე ჟურნალ „თბილისელის“ 2001 წლის დეკემბრის 48-ე ნომერში ჟურნალისტ ნინო ჩხაიძის საინტერესო წერილი, რომელიც ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროსაა გამოქვეყნებული და, როგორც ცნობილია, მას არავითარი რეაქცია არ მოყოლია.

აი, რას წერს ჟურნალისტი ნინო ჩხეიძე (ყოველგვარი რედაქციული ჩარევის გარეშე), წაიკითხეთ და განსაჯეთ:

„ამ სამი წლის წინ, როდესაც მთელი საქართველო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, ერთ-ერთი რედაქციის დავალებით საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მშობლიურ სოფელ მამათში მიმავლინეს. პრეზიდენტ შევარდნაძის იმ სახლის ნახვა და დათვალიერება, სადაც იგი დაიბადა, არა მარტო ჟურნალისთვის, ნებისმიერი ადამიანისთვისაც საინტერესო იყო. ეს ინტერესი მამათში ჩასულს ცოტა ძვირი დამიჯდა და რომ არა პრეზიდენტის ბიძაშვილი გურამ (ბიჭოლია) პატეიშვილი, მამათიდან, ალბათ, საერთოდ უმასალოდ ჩამოვიდოდი.

აი, რა მიამბო პრეზიდენტის ბიძაშვილმა: „მამაჩემის მამა და ედუარდის დედა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. დედა ჰყავდა ედუარდს შესანიშნავი პიროვნება. სურათი რომ ნახოთ, გაგიჟდებით, ისე ჰგავს დედამისს. საერთოდ, შევარდნაძეების გვარი ძლიერი და ჭკვიანი გვარია, იმიტომ კი არა, პრეზიდენტის რომ არის, უბრალოდ, გამორჩეულია. ეს გვარი ზუსტად იმ თვისებების გამტარებელია, რომლებიც ქართველ ერს ახასიათებს. მე სუფსაში ვმუშაობდი, სახლს ვაგებდი. ნუგზარ შევარდნაძის სახლიც ჩემი აგებულია. სუფსაში იყო ხალხი, ვინც სუფრასთან შეგნებულად მპატიჟებდა იმისთვის, რომ გაეგოთ, საიდან იყო წამოსული ედუარდის დედის გვარი. ვგიჟდებოდი ამის გამგონე! მე თუ არა, აბა, ვის უნდა სცოდნოდა, სადაურია პატეიშვილის გვარი! ხან ფრანგობას

გვაბრალებდნენ და ხან – გერმანელობას. ყველაფერი ხალხის მონაჭორია“. ბიჭოლია პატეიშვილი სუფსაში კომუნისტური რეჟიმის ხანაში მუშაობდა. მაშასადამე, პრეზიდენტის წარმომავლობაზე ეჭვი ჯერ კიდევ იმ დროს გაჩნდა. და მაინც, რატომ ამახვილებს საზოგადოება ყურადღებას პრეზიდენტის (და არამარტო მის) გენეალოგიაზე? დარწმუნებული ვარ, **პრეზიდენტ შევარდნაძეს საქართველო რომ აეყვავებინა, კაციშვილს აზრად არ მოუვიდოდა მისი წარმომავლობის ქექვა, მაგრამ ახლა, როდესაც ქვეყანა დაქცეული, გაყიდული და გადაგვარებულია, ბუნებრივად ისმის კითხვა: ნუთუ შეეძლო სისხლით ხორცამდე ქართველს საკუთარი ქვეყნის ამ დღეში ჩაყენება?!**

მწერალმა და პუბლიცისტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარმა, ბატონმა გივი ცქიტიშვილმა 1999 წელს გამოსცა წიგნი „საქართველოს შავი დღეების ქრონიკა“, სადაც ერთ-ერთი თავი – „რომელი ქვეყნის მოქალაქეა შევარდნაძე“ – პრეზიდენტის წარმომავლობას ეხება. ბატონი გივის თქმით, **ამ წიგნს პრეზიდენტამდეც მიუღწევია. შევარდნაძეს წიგნი გადაუთვალიერებია და ირონიულად უთქვამს – ამ წიგნიდან მაინც გავიგებ სადაური და ვინა ვარო.**

გივი ცქიტიშვილი: – შევარდნაძის საეჭვო წარმომავლობის შესახებ პირველად 1994 წელს შევიტყვე. შევხვდი ნაცნობს – ერთ-ერთი პოპულარული სახელმწიფო სამსახურის ყოფილ პასუხისმგებელ მუშაკს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). აღელვებულმა ბატონმა ვახტანგმა ასეთი რამ მიამბო: „ედუარდ შევარდნაძე ახალი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, როცა მე, ჩემი მაშინდელი სამსახურის წყალობით, შავი ზღვის ერთ-ერთი ცნობილი სანატორიუმის საგზური მივიღე. ორსაწოლიან პალატაში მოსკოვიდან ჩამოსული დამსვენებელი დამხვდა, გვარად ვასილიევი, რომელიც, თურმე, საკავშირო ცეკას სპეცგანყოფილების წამყვანი მუშაკი ყოფილა.

ერთმანეთს მალე დავუახლოვდით. იმ პერიოდში საკავშირო ტელევიზია, რადიო, პრესა ანშლაგით აძლევდა მასალებს შევარდნაძის საქმიანობაზე და ეს მეამაყებოდა! ასეთ ეიფორიაში რომ ვარ, ერთ საღამოს ვასილიევი მეკითხება: **-Вахтанг Николаевич, знаете ли вы, что ваш Первый секретарь ЦК КП Грузии, товарищ Шеварднадзе по национальности еврей?..** გავოცდი, ვიფიქრე, მომესმა-მეთქი. მაშინ გამიმეორა: **– Вы прослушали, наверное, я спрашиваю: кто ваш Первый секретарь Шеварднадзе по национальности?** ვასილიევი კარგა ხანს გამომცდელად მიყურებდა, თურმე, ფიქრობდა, ეთქვა თუ არა, საიდან იცოდა ეს. ბოლოს მითხრა, რომ **მას არაერთხელ სჭერია ხელში ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის დოსიე, რომელიც მისი, თავად ამბროსოვიჩის ხელით იყო შევსებული და „სრულიად საიდუმლო“-ს გრიფით სკკპ ცკ-ის სპეცგანყოფილებაში ინახება, სადაც მას ეროვნებად „ებრაელი“ უწერია!..“** ასე დაამთავრა თავისი სათქმელი ბატონმა ვახტანგმა. რა უნდა მეპასუხა? მე მხოლოდ ის ვიცი, ისიც – გადმოცემით, რომ **შევარდნაძის დედა „ლუქსემბურგელი“ გერმანელი იყო წარმოშობით, ანუ დღევანდელი ბოლნისიდან, სადაც მათი წინაპრები რუსებმა ჩაასახლეს** და 1944 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, სტალინმა ისინი ისევ რუსეთს დაუბრუნა. მახსოვს ისიც, რომ ამ ორიოდე წლის წინ გერმანიაში მიმავალმა ედუარდ ამბროსოვიჩმა თვითმფრინავში, ინტერვიუს დროს, განაცხადა: – **მიყვარს და პატივს ვცემ გერმანელ ხალხს!** – და, თითქოს ხუმრობით, – **თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხთან ნათესაობა მაკავშირებსო.** ზოგმა ეს ისე გაიგო, თითქოს პირდაპირ ეთქვას – მე ხომ დედა გერმანელი მყავსო.

(ცოტა მოგვიანებით, 1994 წელს, უკვე საქართველოს ლიდერის რანგში ჩასულმა ედუარდ შევარდნაძემ, ასევე ღია ეთერში გამაოგნებელი რამ განაცხადა: როდესაც პირველად ჩავედი ბერლინში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, გენშერის მისაღებში საიდუმლო პაპკა დავ-

ტოვე. ყველას ეგონა, რომ ეს მე მიამიტობით და გულუბრყვილობით დამემართა, – ღიმილით დასძინა მან. **ასეთი იყო ჩვენი ედუარდ ამბროსოვიჩი!** აქ კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია! **ნ.მ.).**

ეჭვს ისიც ბადებს, რომ მისი დედის წარმომავლობის შესახებ ყველანაირი საბუთი გამქრალია, ერთი დაწერილი სიტყვა არ არსებობს თურმე! გარდა ამისა, 1993 წელს მოსკოვში ასიათასიანი ტირაჟით გამოიცა წიგნი „ხელისუფლება და პიროვნება“, რომლის ავტორია ვინმე პ. პერესვეტი. წიგნში დოკუმენტურად არის აღწერილი 1917-1993 წლებში სსრკ-ში მოღვაწე უმაღლესი რანგის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ჩინოსანთა თანამდებობა მათი ეროვნების მითითებით:

„მ.ს. გორბაჩოვი – ებრაელი დედით.

ა.ნ. იაკოვლევი, იგივე იაკოვ ლევი – ებრაელი.

ვ.ა. მედვედევი, სსკპ ცკ მდივანი იდეოლოგიის დარგში, იგივე ცუკერმანი – ებრაელი.

ე.მ. პრიმაკოვი – გაუ-ს გენერალური დირექტორი, იგივე კირშენბალტი – ებრაელი.

ბ.ნ. ელცინი – ныне хозяин России – еврей.

ვ.ა. ბაკატინი -შს და კგბ-ს მინისტრი – ებრაელი.

Э.А. Шеварднадзе – бывший Первый секретарь ЦК КП Грузии, министр ИД СССР. Курировал еврейские вопросы в Политбюро ЦК, ныне хозяин Грузии – грузинский еврей»(!) (აქ მკითხველს უთუოდ წარმოუდგება ცნობილი სურათი, რომელშიც აღბეჭდილია ედუარდ შევარდნაძე იერუსალიმში, მოსეს (გოდების) კედელთან, აღსარების დროს, რომელიც ბევრ ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნდა. **ნ.მ**).

– ბატონო გივი, რამდენადაც ვიცი, თქვენთვის ცნობილია პრეზიდენტ შევარდნაძის ნამდვილი გვარი...

– საზოგადოება „XXI საუკუნეში» მოვიდა კაცი პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, რომელმაც განაცხადა, რომ მან **მამათში პრეზიდენტის დედ-მამის საფლავის ქვაზე წარწერილი**

გვარი გიტლინგი პატეიშვილად გადააკეთა. ამის მერე ეს კაცი აღარ გვინახავს.

– იმ უცნობს გვარი გიტლინგი პატეიშვილად როდის გადაუკეთებია?

– ამბროსი შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგ. სხვათაშორის, ისიც გაირკვა, რომ შევარდნაძე ქართული გვარი არ არის. ქართული გვარია შევარდენიძე. გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი ცაგოლოვა ყოფილა.

– საიდან?

– ქუთაისიდან მომავალს, „წყალტუბო-თბილისის» მატარებელში გორელი კაცი დამემგზავრა, რომელმაც გვითხრა – შევარდნაძის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი წარმოშობით გორიდან არისო. არადა, ცნობილია, რომ პრეზიდენტის მეუღლე საგარეჯოელი ცაგარეიშვილია. აი რა გვიამბო გორელმა მგზავრმა: **„ნანული ცაგარეიშვილი გორშია დაბადებული. მამამისი გორელი ოსი იყო, გვარად – ცაგალოვი.** ამბობდნენ, პოლიტიკური ბრალდებით დახვრიტესო ოცდაჩვიდმეტში. პატარა ვიყავი მაშინ, მაგრამ დღესაც მზარავს იმ შიშის გახსენება, რასაც ბავშვები განვიცდიდით, როცა მისი დახვრეტის შესახებ საუბრობდნენ უფროსები. ჩემს ბავშვობაში ყველა გორელმა იცოდა, ქალბატონი ნანულის მამა ოსი რომ იყო, გვარად – ცაგალოვი. ნანულის დედამ ქმრის დახვრეტით გამოწვეულ დარდს ვერ გაუძლო და მალე გარდაიცვალა. ობლად დარჩენილი **შვიდი წლის პატარა ნანული მამიდამ საგარეჯოში წაიყვანა და იქ გაზარდა. ეტყონა, ჭკვიანი ქალი იყო ნანულის მამიდა და იმაზეც იზრუნა, რომ მამის ბრალდებას შვილის მომავალზე ცუდად არ ემოქმედა. მიდგა-მოდგა და მამის გვარი ცაგარეიშვილად გადააკეთებინა,** რაც კახეთისთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო: ცაგარეიშვილები ხომ იმერლები არიან, ძირითადად – სამტრედიის რაიონიდან“.

– ქალბატონი ნანული თუ შეგეხმიანათ ამასთან დაკავშირებით?

– რა თქმა უნდა. **ქალბატონი ნანული ამბობს, მართალია, გორში, ოსის ოჯახში დავიბადე, მაგრამ ოსი არ ვარო**. საქართველოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ პირველი, რაც გააკეთა, ოსეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება გახლდათ და ეს არ იყო შემთხვევითი.

– ბატონო გივი, არ გეშინიათ, ამგვარ განცხადებებს რომ აკეთებთ?

– მე რა შუაში ვარ? ამას ხალხი ლაპარაკობს. **პრეზიდენტი ურია რომ არის, ამის შესახებ თვითონ, თავისი ხელით აქვს შევსებული ბარათი. ზვიად გამსახურდიამ** გროზნოში ყოფნის დროს თბილისში წერილი გამოაგზავნა, სადაც პირდაპირ წერს – **ახლად არჩეული პარლამენტის წევრთა 70-80% არაქართველია და ამას დავამტკიცებო.** მე ახალი არაფერი აღმომიჩენია, ამას ხალხი ამბობს და წერს.

დამშვიდობებისას ბატონმა გივიმ ზემოაღნიშნული არგუმენტების განსამტკიცებლად კიდევ ერთხელ გამიმეორა: **„ყოველივე ამას „ჰაერზე“ რომ ვლაპარაკობდე, აქამდე დამიჭერდნენ, მაგრამ მხოლოდ ფაქტებს ვეყრდნობი და რასაც მე, გივი ცქიტიშვილი ვამბობ, იცოდეთ, წყალი არ გაუვაო...**

ჩემი მხრივ კი დავძენდი: ოღონდ ამ გაუბედურებულ საქართველოს ეშველოს და წაადგეს რამე და ბატონი გივი ცქიტიშვილის ნაამბობი, თუნდაც თავიდან ბოლომდე ტყუილი იყოს. ამას, მგონი, ბატონი გივიც, როგორც გულანთებული მამულიშვილი, დიდი სიხარულით შეხვდებოდა“.

აი, ასეთია ეს ისტორია, სხვა საქმეა მიიღებს თუ არა მას მკითხველი, თუმცა სიმართლე და, მაშასადამე, სარწმუნო მასში საკმარისზე მეტია.

როგორც ვნახეთ, ამხანაგმა შევარდნაძემ ვერ გაამართლა ქალბატონ ნინო ჩხაიძესა და ქართველი ხალხის მოლოდინი. მან, პირიქით, თავისი ანტიეროვნული და არასახელმწიფოებრივი საქმიანობით უკურნებელი უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს, ხოლო მისმა შეგირდმა მიხელ სააკაშვილმა კიდევ უფრო დაამძიმა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული

„საქმენი საგმირონი». ამაში არაფერია გასაკვირი: ისინი, უბრალოდ, არ იყვნენ ბედკრული ქართველი ხალხის შვილები! სავსებით ლოგიკურია, რომ ებრაელი შევარდნაძე და სომეხი სააკაშვილი ვერ გააკეთებდნენ ქართველი კაცის საქმეს. „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიაო“ – არის ნათქვამი. ეს ჭეშმარიტებაა და აქამდე ვერ გაუგია ეს ქართველ ხალხს. ისევე, როგორც ვერ გაუგია თუ რისთვის იყვნენ მოვლენილი ისინი საქართველოში. ებრაელი შევარდნაძის მსოფმხედველობას, ავადმყოფურ ამბიციებსა და კარიერისტულ მისწრაფებებს ზღუდავდა ქართველი ხალხის ჰუმანურ-მიმტევებლური თვისებები და ეროვნული მართმადიდებლური მენტალიტეტი. მან კი, ისევე როგორც მისმა მემკვიდრემ, ვერ დაინდო ქართველი ხალხი და მისი ისტორია, კულტურა, განათლება, მეცნიერება და სხვ. როგორც ფრანკ-მასონური ლოჟის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შევარდნაძე ემსახურებოდა კოსმოპოლიტური, სულიერად გამოშიგნული და ზომბირებული თაობების ჩამოყალიბებასა და მის დამკვიდრებას საქართველოში. იგი გლობალიზაციის, მონოპოლარული მსოფლიოს და ცხოვრების ახალი წესრიგის დამყარების ერთგული მეხოტბე იყო და როგორ გაითვალისწინებდა ქვეყნის ინტერესებს, ან სად ეცალა მას ქართველი ხალხისა და ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად?! შევარდნაძის მემკვიდრე დაშნაკ-ცუტუნ სააკაშვილმა დაასრულა თავის მოძღვრის მიერ დაწყებული ყველა შავბნელი საქმე; საქმიანად გადასცა რუსეთს ქვეყნის ტერიტორიები – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი; ეცადა ქვეყნის დედაქალაქი გადაეტანა დასავლეთში, აღმოსავლეთ საქართველოში „დიდი არამენიის“ იდეის განვრცობისათვის, მაგრამ ეს მას არ გამოუვიდა და გაიქცა ქვეყნიდან. ახლა პოროშენკოს უდგას გვერდში, უკრაინის დასაქცევად! პარლამენტში ოპონენტების სახით შემორჩენილი „ნაცები“ – ქართულ გვარებს ამოფარებული ხაჩიძე-ხაჩიკიანები, მინაშვილი-მინასიანები, დარჩიაშვილი-დარჩიევები, უსუფაშვილი-უსუპოვები თუ სხვა რჯულის მანქურთები,

აკეთებდნენ და აკეთებენ დღესაც არაქართულ საქმეს, ემსახურებიან სხვა, ჩვენთვის უჩვეულო და მიუღებელ იდეას და იდეოლოგიას. სწორედ ამას ემსხვერპლა ჩვენში ქვეყნის ინტერესები, ქართული ეროვნული იდეა და მისი ლიდერები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებსაც მუხანათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე. სწორედ ამ არაეროვნულმა ძალებმა უკუღმა შემოაბრუნეს ჩვენი ისტორია და ჩვენი განვითარება მიდის დღეს იმ რელსებით, საითკენაც გადასწიეს მათ ისრები – ეროვნული იერ-სახის, წეს-ჩვეულებების, მართლმადიდებლური კულტურის, ეროვნული იდენტურობის და სხვა ფასეულებების ნიველირებისკენ. სწორედ ესაა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი მიზეზი. ეს სიღრმისეულად დღესაც არა გვაქვს გაცნობიერებული და გათავისებული.

ასეთია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის განვითრების ტენდენციები და მისი წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები. ამას უნდა ვაცნობიერებდეთ, და ეს უნდა გვახსოვდეს! უნდა გვახსოვდეს, რომ არაქართველი ვერ გააკეთებს ქართველი კაცის საქმეს!!!

უნდა ვიცოდეთ ეს და კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არაეროვნული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ საქმეს!

ნაპო მესხია

ნაწილი V
აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზური სახელმწიფოებრივ-საერთებლივრ სივრცეში მოქცევის გზები

რა გვინდა ჩვენ და რა სჭირდება საქართველოს!

ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველი ხალხის სურვილი თითქმის ყოველთვის თან ხვდება საქართველოს სურვილებს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით შევარდნაძისა თუ სააკაშვილის ხელისუფლებებზე, რომლებიც ყველაფერს საქართველოსა და ქართველი ხალხის სურვილების საწინააღმდეგოდ აკეთებდნენ.

სწორედ ამან მიიყვანა საქართველო დაშლამდე, ქართველი ხალხი კი გაღატაკების ზღვართან დააყენა.

ახლა კი დადგა დრო, რომ ყველამ ვაკეთოთ ის, რაც საქართველოს და მის მოსახლეობას სჭირდება, რის იმედსაც ახალი ხელისუფლების ენერგიული მოქმედებები გვინერგავს. მაგრამ ნებისმიერ ხელისუფალს ხალხის მხარდაჭერა და ბრძნული რჩევები სჭირდება, რაც ყველა ჩვენთაგანს ავალდებულებს, რომ აქტიური აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, იქნება იგი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკის მიღმა მდგარი უბრალო მოქალაქე.

მე სპეაციალობით დასტაქარი ვარ და მთელი ჩემი შრომით კარიერის განვმალობაში ბევრი ადამიანი დამიხსნია სიკვდილის კლანჭებისაგან. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სოხუმში, ვმეგობრობდი აფხაზებთან და სწორედ აფხაზმა ვაჟკაცმა მიხსნა სიკვდილლისგან, როცა 1993 წელს, გალში ჩეჩენ **„ბოევიკებს“** დასახვრეტად მივყავდი. ამჟამად კი, როგორც ასიათასობით სხვა ქართველი, მეც დევნილობაში ვიმ-

ყოფები და საკუთარ ოდაბადეში დაბრუნების ჩაუქრობელი მასულდგმულებს!

ჩემი საკმაოდ სქელტანიანი წიგნის – **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** (რომელსაც, სამწუხაროდ, გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამო, ამრეზიით შეხვდა სწორედ ქართული საზოგადოების ზოგიერთი წევრი) – წინასიტყვაობაში ავღნიშნავ: **„ვერც ნატოში გაწევრიანება და ვერც ვაშინგტონის გავლით, რუსეთთან პირუთვნელი დიალოგი ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს. რუსეთისა და ამერიკის ფაქტორი უთუოდ გასათვალისწინებელია, მაგრამ, პირველყოვლისა, აფხაზ ხალხთან, მის ლიდერებთანაა პირდაპირი დიალოგი საჭირო!“**

არა მგონია, ამ სტრიქონების ჭეშმარიტებაში დღეს ვინმე შემომედავოს! ათასგზის გადაიღეჭა მივანთა მიერ ეს პოსტულატი, მაგრამ მისი არსი ოდნავადაც არ არის შეცვლილი.

დამეთანხმებით, ჩვენ, ახლა, იმ კონკრეტული პიროვნების მოლოდინში ვართ, რომელიც შესძლებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარშემო შეკრული ჯადოსნური წრის გარღვევას და ღირსეულად დააბრუნებს აფხაზეთში თუ ცხინვალის რეგიონში ქართულ მოსახლეობას.

საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა დამეთანხმება, რომ, ასეთ ადამიანად, დღეს, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია შეიძლება იქნას დასახელებული, და თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ!

მართალია, მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ამა თუ იმ პოლიტიკოსის ან საზოგადო მოღვაწის სულისკვეთების განსასაზღვრად მისი ნაწარმოებების გაცნობა უფრო საშური საქმეა, ვიდრე მასთან პირადი კონტაქტი. მე ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ ნდობის განცდა კიდევ უფრო გამიძლიერდა მას შემდეგ, რაც წავიკითხე გაზეთ **„ილორში“** დაბეჭდილი მისი ამასწინანდელი ვრცელი ინტერვიუ სათაუ : **„ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა“.**

ისტორიულად ცნობილია, რომ რუსი ერი იოლად არც წყენას ივიწყებს და არც სიკეთეს. საქართველო რუსეთის ურთიერთობაში კი სიკეთე ბევრად სჭარბობს წყენას და თუ ახლა ეს ორი ქვეყანა ზურგშექცეული დგას ერთმანეთთან, ეს მხოლოდ შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებათა დიდი **„დამსახურებაა“,** რომელთაც ნაცარი მიაყარეს ჩვენი და რუსი ხალხის ლამაზ ურთიერთობებს და ყველაფერი იღონეს ორ მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოთა შორის კეთილმოყვარული დამოკიდებულებების ჩასაჭრელად. ამაზე შორს აღარ წავალ და აღარ დავაკონკრეტებ, თუ რომელ ქვეყანას აძლევს ხელს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაფუჭება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა მტრებმა ლამის მიაღწიეს საწადელს და დიპლომატიური ურთიერთობებიც კი მოშალეს იმ ქვეყანასთან, რომელთან ერთადაც საქართველოს საუკუნეების განვმალობაში მიაღწია დიდ წარმატებებს, განავითარა საკუთარი ეკონომიკა, განათლება, ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება...

სავალალოა ეს ყველაფერი, მაგრამ ახლა თავში ხელის ცემის დრო არ არის! ახლა აუცილებელია აღდგეს მეგობრული კავშირები რუსეთთან, აღდგეს ყველა ის მდიდარი ტრადიცია, რაც ამ ორ ერს აკავშირებდა საუკუნეთა განვმალობაში. და, ჩემი აზრით, ამ ურთიერთობათა აღდგენას ბატონ ალექსანდრე ჭაჭიაზე უკეთესად ვერავინ გააკეთებს.

ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ყოველთვის მოგვიწოდებდა რუსეთთან ურთიერთობების დათბობისა და კეთილი დამოკიდებულებების აღდგენის თაობაზე, მუდამ ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლო გასღები სწორედ რუსეთში დევს და ამ ქვეყნის კეთილი ნების გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებაც კი არ შეიძლება.

ამგვარი რჩევების მოცემის მორალური უფლება კი სწორედ იმ ადამიანს აქვს, რომელსაც შეეძლება დიალოგის გამართვა აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან, და, რაც მთავარია, ექნება ამ დიალოგის გამართვის ლეგიტიმაცია ქვეყნის, როგორც შიდა, ასევე გარე პოლიტიკური ძალებისაგან!

მე პრადად გახლავართ იმის მოწმე, თუ როგორ ურეკავდა ცხინვალიდან, ოსი ეროვნების მეგობარი, გაზეთ **„ილორის“** მთავარი რედაქტორს თხოვნით, რომ მისთვის გაეგზავნა ბატონი ალექსანდრეს პუბლიცისტური ნაწარმოებების კრებული **„რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს“.**

სწორედ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას აღნიშნული წიგნით, მისი შთამბეჭდავი ტელეინტერვიუებითა და საგაზეთო პუბლიკაციებით რწმუნდები, რომ იგი მყარი იდეოლოგიური შეხედულებების მქონე ადამიანები გახლავთ და დაუფიქრებლად და ჰაიჰარადარ იცვლის საკუთარ პოლიტიკურ მრწამსს. ცხოვრებამ კი დაგვარწმუნა, რომ იგი შეუმცდარი პოლიტიკოსია და მისი ყველა პოლიტიკური **„წინასწარმეტყველება“** – ავი თუ კარგი, თითქმის ყოველთვის აგვხდენია ხოლმე. სწორედ ამგვარი იდეოლოგიური პრინციპულობისა და პოლიტიკური გამჭრიახობის გამო სცემენ მას დიდ პატივს რუსეთის სახელისუფლებო წრეები თუ გამოჩენილი პოლიტიკოსები, არა საქართველოს ინტერესების დათმობით, არამედ პირადი ღირსებების წყალობით, რისი აშკარა დასტურიც გახლავთ ის, რომ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ამ რამდენიმე წლის წინ, რუსეთის ხელისუფლებამ დააჯილდოვა ხალხთა მეგობრობის ორდენით!

მხოლოდ ეს ფაქტიც იკმარებს საიმისოდ, რომ რუსებმა დიდი ნდობა გამოუცხადონ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რაც საკმაოდ ხელშესახები პოლიტიკური დივიდენდი გახლავთ საქართველო–რუსეთის ურთიერთობათა დარეგულირების საქმეში მონაწილეობისათვის.

ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია აფხაზ მოსახლეობასა და აფხაზეთის სახელისუფლებო წრეებს შორის. ყველამ იცის, რომ ბაბუამისი – ესტატე ჭაჭია ოჩამჩირის ერთ–ერთი დამაარსებელი გახლდათ, რომლის სახსრებით აგებული სახლები დღესაც ამშვენებენ ამ დიდებულ აფხაზურ ქალაქს. სულმნათი ესტატე ჭაჭია, ამავე დროს, გახლდათ თავისი ქვეყნის უანგარო გულშემატკივარი, დიდი მეცენატი და სამურზაყანოში წერა–კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან დაახლოებული საზოგადო მოღვაწე. ვფიქრობ, ამგვარი უნიკალური სავიზიტო ბარათით ნებისმიერი ქართველი იამაყებდა...

ჩემი აფხაზი მეგობრებისაგან გამიგია ისიც, რომ ალექსანდრეს ახლო ნათესაობა გააჩნია აფხაზეთის ყველაზე გავლენიანი გვარების წარმომადგენლებთან, რაც დიდ რაც დიდ მნიშვნელობას იძენს აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის წარმართვისას. უდავოდ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ალექსანდრეს განუყრელი მეგობარი გახლდათ აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტი, აწგანსვენებული სერგეი ბაღაფში და, ასევე, ბატონი ალექსანდრეს მეგობარია ახლანდელი პრეზიდენტი ბატონი ალექსანდრე ანქვაბი. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ბატონი ალექსანდრეს რძლის მამა (მძახალი) გახლავთ არა მხოლოდ ყველაზე მდიდარი აფხაზი, არამედ რუსეთის დუმის ერთადერთი აფხაზი დეპუტატი ოთარ არშბა, რომელიც საერთაშორისო მეტალურგიული კონცერნის **„ევრაზია–ჰოლდინგ“-**ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ფაქტია, რომ ასეთი ავტორიტეტული პიროვნების კონფლიქტის მოგვარების საქმეებში ჩარევა, უდავოდ სასიკეთოდ ქაადგება აფხაზი და ქართველი ხალხის დაახლოების პროცესებს.

ახლა, გეკითხებით, განა ბატონი ალექსანდრეს ამგვარი კავშირები და შესაძლებლობები არ კმარა აფხაზებისა და ოსების ნდობის მოსაპოვებლად?

ამას წინათ, ბატონ ალექსანდრესთან დაკავშირებული ერთ–ერთი საგაზეთო წერილიდან შევიტყვე, რომ ბატონი ალექსანდრეს მამა–პაპანი ოჩამჩირის სასაფლაოზე არიან დაკრძალულები და აფხაზეთში ქართველთა ღირსეული დაბრუნება მისი სასიცოცხლო ამოცანა გახლავთო.

აფხაზური მიწისა და აფხაზი ადამიანის სიყვარულს მე ვერავინ მასწავლის – სოხუმის სასაფლაოზე ჩემი შვილები არიან დაკრძალული: 5 წლის ბიჭი და 27 წლის ვაჟკაცი და მათი დანაკარგის სიმძიმეს ოდნავ მაინც მიმსუბუქებს ის, რომ ამ საფლავებს დღეს სწორედ აფხაზები არ აკლებენ მოვლა–პატრო-

ნობას. ამის მეტს, მე, ამ საკითხზე, აღარ ვილაპარაკებ – თავად განსაზღვრეთ, სულიერად როგორ მიილტვის აფხაზეთისკენ ყველა ის ქართველი, რომელთა ახლობლებიც აფხაზეთის მიწაში განისვენებენ, რომელთა დაცლილი, დაბრმავებულ-ფანჯრებიანი სახლები პატრონის გამრჯე ხელს ელოდებიან!

დიახ, მე საკუთარ თავზე მეტად მიყვარს ის აფხაზური მიწა, რომელსაც ჩემი შვილები თბილად ჰყავს გულსში ჩაკრული, სოხუმის ის კლინიკა, სადაც მე გადაუდებელ ოპერაციებს ვატარებდი, შავი ზღვის სოხუმის უმშვენიერესი სანაპირო, სადაც ჩემს განუყრელ აფხაზ და ქართველ მეგობრებთან ერთად ვატარებდით დაუვიწყარ საღამოს!...

2012 წლის ოქტომბერში ახალი სიცოცხლე შეიძინა საქართველომ – ისტორიას ჩაბარდა ავადსახსენებელ მიხეილ სააკაშვილისა და მის „ნაციონალთა“ დამღუპველი მმართველობის ხანა, დაიწყო ქვეყნის ეკონომიკისა და სულიერების აღორძინების შეუქცევადი პროცესები, მაგრამ დღეს, ნებისმიერი ქართველის უპირველეს ამოცანას სწორედაც რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება უნდა წარმოადგენდეს და არა სხვა, თუნდაც უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო დარგებზე ზრუნვა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე საქართველო მკლავმოჭრილი ხეიბარია, მე კი, როგორც გამოცდილმა და მრავალჭირგადატანილმა დასტაქარმა, კარგად ვიცი ნებისმიერი დახეიბრებული ადამიანის ნატვრა – მას ჯანმრთელობის აღდგენა ურჩევნია თუნდაც ყველაზე მიმზიდველ მატერიალურ და ფინანსურ სიკეთეს!

ახლა, აუცილებელია, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად ვაქციოთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევის საკითხი, რადგან ამ პიროვნების ავტორიტეტი და ინტელექტუალური შესაძლებლობები იმედს გვინერგავს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არც თუ შორეულ პერსპექტივაში გადაიწევს!

ნაპო მესხია

გაზეთი **„ილორი“** N212(271), 2013 წ 19–16 მარტი

აფხაზეთის შემოერთების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა სოხუმის დაცემიდან და ქვეყნის სხეულიდან აფხაზეთის მოწყვეტის შემდეგ. დღემდე გაისმის მავანთა ოხვრა: **როგორ დავკარგეთ აფხაზეთი?!** ვერ გავრკვეულვართ, რასთან გვაქვს საქმე. ხელისუფლებაც სდუმს... არ არქმევს სახელს ქვეყანაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს. ეს ხელს არ აძლევს, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი წვლილიც გამოჩნდება მაშინ.

აფხაზეთის ტრაგედიის გენეზისი რთული და მრავალწახნაგოვანია. იგი წარსულისა და აწმყოს ურთიერთდაკავშირებულ არაგონივრულ მოქმედებათა ერთობლიობას ეფუძვნება. **მრავალი კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია, მათ შორის: აფხაზეთი დავკარგეთ თუ გავასხვისეთ?! რა იყო ამისი უმთავრესი მიზეზი და შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების თავიდან აცილება? რა იყო საჭირო საამისოდ?**

უკვე 23 წელი იწურება მას შემდეგ, რაც დავტოვეთ აფხაზეთი და დღემდე გრძელდება უთავბოლო, არაფრისმომცემი რიტორიკა, რომ აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა და წარმოადგენს ქვეყნის ისტორიულ ოლქს, ხოლო თვითონ აფხაზები არაავტოქტონური მოსახლეობაა. აქედან გამომდინარე, მავანს მიაჩნია, რომ ყველაფრის თავიდათავი აფხაზური სეპარატიზმი იყო.

რა თქმა უნდა, აფხაზეთში არსებობდა ანტიქართული განწყობა, რომელიც ათეული წლების განვმავლობაში მწიფდებოდა და პიკს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მიაღწია. საზოგადოების პოლარიზაციისა და პოლიტიკური დაპირისპირების ნოყიერი გარემო თანდათან, ყალიბდებოდა ჩვენ თვალსწინ, მაგრამ ჩვენი მხრიდან ერთი კონსტრუქცი-

ული ნაბიჯიც არ გადადგმულა, აფხაზურ მხარესთან უბრალო პოლიტიკური დიალოგის მცდელობაც არ გვქონია. პირიქით, ვაკეთებდით იმას, რაც უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას (ტოპონიმიკისა და დემოგრაფიული სურათის შეცვლა და ა.შ.), იწვევდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. ეროვნული ნიშნით ვემიჯნებოდით ერთმანეთს: ცალ-ცალკე ვქმნიდით მწერალთა კავშირებს, თეატრებს, საფეხბურთო გუნდებსაც და ბოლოს (დააკვირდით!), პარლამენტებსაც კი. აფხაზეთში ქართველი მოსახლეობისთვის ცალკე მინისტრთა საბჭოს შექმნასაც შევეცადეთ (ყველა სამინისტროთი და მათი ქვედანაყოფით, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურებითურთ!). ყველაფერი ეს ცენტრალური ხელისუფლების – სისხლიანი „გოსსაბჭოს“, მისი თავკაცის ბატონი შევარდნაძის წაყრუებით, მისი შენიღბული თუ აშკარა მხარდაჭერით ხორციელდებოდა, სისრულეში კი მოჰყავდა მის მიერვე აფხაზეთში შექმნილ **„ეროვნული ერთიანობის საბჭოს“** (სახელდახელოდ შექმნილი მე–5 კოლონის და მასში გაერთიანებული ქართველი ცრუინტელიგენციის) ლიდერებს და უმაღლესი საბჭოს ექსტრემისტულ ნაწილს (თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით). **ისინი განუხრელად აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს და აფხაზი ხალხის სახით ქმნიდნენ მტრის ხატს, უბიძგებდნენ საზოგადოებას შეიარაღებული დაპირისპირებისკენ.**

ასე რომ, აფხაზეთში პრობლემები იყო და სეპარატისტული განწყობა ადეკვატური მუხტით ძლიერდებოდა, მაგრამ ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობდა. **ტანკები იქ არ იყო საჭირო!** სხვა გამოსავლის გამონახვაც, ცხადია, შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთი ბორბლებზე როდი იყო შეყენებული და მის ტერიტორიას, მათ შორის, 250-ათასიან ქართულ მოსახლეობასთან ერთად, ფსოუს იქით ხომ ვერ გადაიტანდნენ აფხაზები? მით უფრო, როცა ისინი გულწრფელად მოდიოდნენ კონსტრუქციულ დიალოგზე ომამდე, ომის დროს და მის შემდეგაც. მაგრამ, როგორც ჩანს, დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარება ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, რადგან მრავალი პრობლემისგან აზვირთებული ხალხის ენერგია მას მიაწყდებოდა წასალეკად. საჭირო იყო ეს ენერგია სხვა მიზნისკენ მიმართულიყო...

ეს მიზანი რომც არ არსებულიყო, ხელოვნურად უნდა შეექმნათ. დიახ, ხელოვნურად! აფხაზეთში კი უკვე ყველაფერი მზად იყო ეთნოკონფლიქტისთვის და ხელისუფლებამ ეს შანსი გამოიყენა – „სახელმწიფო საბჭომ“, გამოგონილი ვერსიით, ჯავშანტექნიკა და კრიმინალური ელემენტებისაგან შემდგარი ბანდფორმირებები შეუსია აფხაზეთს. მანამდე კი ამ უკონტროლო ბანდამ რამოდენიმეჯერ გადაუარა სამეგრელოს, შეურაცხყო ძირძველი კოლხური მოსახლეობა, სულში ჩააფურთხა მას და ამით ზურგი მოურღვია მისმიერვე დაგეგმილ ომს აფხაზეთში, შემდეგ უპრობლემოდ რომ ჩაებარებინა მტრისათვის. ასეც მოხდა, 1993 წლის 27 ივლისის – სოჭის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს უმაღლესმა სარდლობამ ცალმხრივად განაიარაღა ქართული მხარე და წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა აფხაზეთი მომხდურს.

სხვა ახსნას ვერ მოუძებნი იმას, რაც მოხდა...

კბილებამდე შეიარაღებული 9-10 ათასამდე ჯარისკაცი კისრისტეხით გამოიქცა აფხაზეთიდან და უიარაღო ქართული მოსახლეობა გააფთრებულ მტერს შეატოვა პირისპირ. „მშობელ ხალხს“ უფრო უსაფრთხო გამოსასვლელი ჩაუკეტეს ოჩამჩირის მიმართულებით და უსულგულოდ გაუყენეს საკენ-ჭუბერის გზას, სარდლობამ კი თავისი შეიარაღებული ძალებით, პირველმა გააღწია სამშვიდობოს, სადაც აფხაზეთის ტრაგედიის სცენარის ავტორი და მთავარი რეჟისორი, თავის დამქაშებთან ერთად, პატივით მიიღეს. შეჩვენების, ანათემისთვის გადაცემის ნაცვლად, ხალხისა და ქვეყნის მოღალატეს, ომში დამარცხებულ, ქვეყნის ტერიტორების დამთმობ მთავარსარდალს, როგორც გმირს, საპატრიარქომ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – დავით აღმაშენებლის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

იზამდა ამას ამბროსი ხელაია? არ ვიცი, ვეჭვობ, რომ არა! თქვენ თავად განსაჯეთ!

აქ კაცს უნებლიედ გახსენდება ერის უგვირგვინო მეფის, ილია მართლის სარკაზმითა და გულისწყრომით ნათქვამი სიტყვები: **„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი!..“** და ასევე დიდი აკაკის ისტორიული ფრაზა: **„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!..“**

აი, ის რაც უნდა ითქვას მანამ, სანამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე, აფხაზეთისკენ მიმავალ გზებზე ვიმსჯელებთ.

წარსულის შეფასებისა და დაშვებული შეცდომების გაანალიზების, მათი გულწრფელი აღიარების გარეშე, საუბარი ამ საკითხზე უსაგნო და უსაფუძვლოა. ჩვენ, სამწუხაროდ, დღემდე არა გვაქვს გაცნობიერებული, რატომ, რისთვის დატრიალდა აფხაზეთის ტრაგედია; რა იყო საჭირო იმისთვის, რომ იგი ძირშივე აღკვეთილიყო. ვერც ურმის გადაბრუნების შემდეგ დავადექით სწორ გზას.

აფხაზეთის გასხვისების დაკანონებას ჯერ კიდევ მაშინ შეექმნა მყარი საფუძველი, როცა არალეგიტიმურმა ორგანომ – „სახელმწიფო საბჭომ“ – 1994 წელს გააუქმა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და ხელოვნურად შექმნა ქვეყანაში სამართლებრივი ვაკუუმი, რომლითაც მყისვე ისარგებლეს აფხაზებმა და აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. შიგა რეგიონული პოლიტიკური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციით, შევარდნაძემ, პრობლემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანა და მერე თავად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას აფხაზეთის წარმომადგენლებთან ხან ჟენევაში, ხან მოსკოვსა და ხან – სად, რითაც აღიარა აფხაზეთი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ასე გაუფორმა შევარდნაძემ აფხაზებს „დამოუკიდებლობა“.

დღესაც არ ვადგავართ სწორ გზას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, როგორც შევარდნაძის, ისე მისი მემკვიდრის – სააკაშვილის ხელისუფლებას და ახალ მთავრობასაც აღარ სურს აფხაზეთში დაბრუნება, მისი საქართველოს სამართებლივ სივრცეში დამკვიდრება. ეტყობა ისინი ღრმად ჩახედულნი არ არიან პრობლემის არსში ან დაგეშილები არიან ქართველი ხალხის „უგუნური მოყვარის თუ ჭკვიანი მტრის“ მიერ.

ომის პერიოდში და მის შემდეგაც, არაერთგზის მოგვეცა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ ყველა მათგანი გამოუყენებული დარჩა. თავადაც არაერთხელ ვყოფილვარ მონაწილე და თანაავტორი ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული რამდენიმე ისეთი პროექტების, რომლებიც ითვალისწინებდნენ დევნილთა მასობრივ და უსაფრთხო დაბრუნებას და აფხაზეთის ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში მოქცევას, მაგრამ ყველა ეს პროექტი ჩაიშალა (ჩაშალეს). არ შეიძლება აქ გვერდი ავუაროთ ასეთ ფაქტსაც: სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე, საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, ალექსანდრე ჩიკვაიძეს დაურეკა ვლადისლავ არძინბამ და სთხოვა მას: **„შემხვდეს შევარდნაძე, მზად ვარ მოლაპარაკებისათვის, სადაც გინდათ, როდესაც გინდათ“...** ბატონმა ალექსანდრემ პასუხად ჟენევის ფორმატი შესთავაზა, რომელიც ვ. არძინბამ ცივად უარჰყო: **„მოლაპარაკება ჟენევაში ერთია, მე კი პირადად შევარდნაძე მინდა შემხვდეს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ და გადასცეთ მას, რომ მე მასთან საუბრისთვის ვარ მზად, მოვდივარ დიალოგზე“.** ამ დროს შევარდნაძეს რაციით დაუკავშირდნენ, მან კი საკუთარი აპარატის უფროსი, ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე ასე დააკვალიანა: **„გადაეცით საშას, უთხრას ვ. არძინბას, რომ მე ვერ მიპოვეთ!..“**

გესმით, ეს ხდება სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე?!.

შევარდნაძე შეგნებულად გაექცა არძინბასთან დიალოგს და სამარცხვინო ომიდან ღირსეულად გამოსვლას. წარმოიდგინეთ, როგორ აისახებოდა ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რამდენი ადამიანი გადაურჩებოდა სიკვდილს და რამდენი ოჯახი – განადგურებას. ისინი კი შეეწირნენ ერ-

თი კაცის უგუნურ და ავადმყოფურ ამბიციებს. მოგიყვანთ ამ კაცის კიდევ ერთ გამაოგნებელ გადაწყვეტილებას: 2000 წლის მარტში ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იგორ ივანოვმა, ვაჟა ლორთქიფანიძეს გადასცა პუტინის სიტყვები: **„ინაუგურაციის შემდეგ მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც ვერ დავამთავრეთ მაშინ. შენ ჩამოხვალ მოსკოვში, მოგიპატიჟებთ აგარაკში და დავუძახებ ყველა მინისტრს, რომლებიც საჭირო გახდება ჩვენი მხრიდან. მთელ შაბათს ვიმუშავებთ, ვიმსჯელოთ და ამოვწუროთ კონფლიქტი. თუ შაბათი საკმარისი არ იქნება, ვიმუშავოთ კვირასაც, მაგრამ არ დავშორდებით ერთმანეთს მანამ, სანამ არ ამოვწურავთ კონფლიქტს. საჭირო იქნება აფხაზების ინტერესთა გათვალისწინებაც, მაგრამ საკითხი გადაწყდება საქართველოს ერთიანი საზღვრების შიგნით“.**

რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა, რომელიც 15-16 მაისისთვის იყო დაგეგმილი, ჩაიშალა – 4 მაისს ბატონმა შევარდნაძემ ვაჟა ლორქიფანიძე დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა. რატომ?! პირველი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ის, რომ მას ხელს არ აძლევდა, ვლადიმერ პუტინი სახელმწიფო მინისტრს რომ ეპატიჟებოდა და არა უშუალოდ მას, პრეზიდენტს. აი, სად მარხია ძაღლის თავი! **„თუ მასთან არა, მაშინ არავისთან!“. სხვანაირად აფხაზეთი ვეღარ გასხვისდებოდა!**

ადგილი ჰქონდა არაერთ სხვა დრამატულ შემთხვევასაც: **არძინბას პირად წარმომადგენელ, ანრი ჯერგენიასთან მოსკოვში ხანგრძლივი და კონსტრუქციული დიალოგის შედეგად მოვამზადეთ ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული პროექტი, დევნილი მოსახლეობის მასობრივი და უსაფრთხო დაბრუნების თაობაზე, რომელიც დიპლომატიური არხებით გადაეგზავნა შევარდნაძეს, მაგრამ მან ჩვენ ახლოსაც არ გაგვიკარა! აფხაზეთში ჩვენი მხარის მიერ საგანგებოდ**

მოწყობილმა ტერაქტმა კი შეთანხმების განხორციელება საბოლოოდ ჩაშალა.

მაშინ, ჯერ კიდევ ვერაფერს ვხვდებოდი, არ ვიცოდი, რა მელონა, რა ხერხისთვის მიმემართა. მერე და მერე, სხვებთან ერთად, თვალი აგვეხილა და მივხვდი, გავაცნობიერე როგორ მოქმედებდა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი „დიდი“ პოლიტიკოსის, „მსოფლიო დემოკრატიის მთავარი არქიტექტორის“, ბატონი შევარდნაძის **ცბიერზე უცბიერესი** გონი: **თუ მასთან არ სურთ, მაშინ არავისთან!..**

ასეთი იყო თანამედროვეობის ამ „დიდი პოლიტიკოსის“ ლოგიკა! ასეთმა მიდგომამ დააქცია ეს ქვეყანა, გააუბედურა ათასობით ოჯახი „საკუთარ ქვეყანაში“!. ამ დროს ის ამაყობდა, რომ დაანგრია გერმანიის გამყოფი ბერლინის კედელი; სანაცვლოდ მან „საკუთარ ქვეყანაში“, ენგურის გასწვრივ აღმართა სიძულვილისა და მტრობის კედელი! ასე შეეწირა შევარდნაძის ავადმყოფურ ამბიციებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები. ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს ელიტამ (ვაი, ჩემო უბედურო ქვეყანავ!) ეს კაცი უკანასკნელ გზაზე ისე გააცილა, როგორც ეროვნული გმირი.

როცა ასეთი მუხანათები სხედან ხელისუფლების სათავეში, წარმატებისთვის როგორღა უნდა მიგვეღწია, მით უფრო, როცა ასეთი მუხანათობა დაუსჯელი რჩება, მაგალითის ძალას იძენს და მეორდება. სწორედ დაუსჯელობამ განაპირობა ის, რომ წარსულში დაწყებული „საქმენი საგმირონი“ წარმატებით დააგვირგვინა შევარდნაძის პირმშომ და მიმდევარმა სააკაშვილმა მძინარე ცხინვალის დაბომბვითა და იქ ჯავშანტექნიკის შეჯირითებით, რასაც მოჰყვა რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. აი, ამ საშინელებათა მეხამრიდად უნდა დაწესდეს ნებისმიერი მაღალჩინოსნის სრული ლუსტრაცია, ჩვენი მომავალი თაობების უსაფრთხოება თუ გვავალია გონება დაუნჯებულ პაპებს, მამებს, საზოგადოებას.

რეზიუმის სახით დავძენ შემდეგს: მხოლოდ დაშვებული

შეცდომების გონივრული განსჯით, მათი ახლებურად დანახვითა და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთისკენ მიმავალი გზებისა და ხიდების აღდგენა და მათზე გავლა. სიმართლით და მონანიებით შეიძლება მივუახლოვდეთ პრობლემას და მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას აფხაზეთის წარმომადგენლებთან ერთად. სიმართლე მწარეა, მაგრამ ის კურნავს! ძველი ბერძნების მოსაზრებით, ძალა სიმართლეშია და არა ღმერთში. მე კი ვიტყოდი: ძალა სიმართლესა და სამართალიანობაშია.

გასაგებია, რომ სიმართლის აღიარება არ არის ყოველთვის ადვილი და მომგებიანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში, მაგრამ ეს აუცილებელია, თუნდაც შიგა მოხმარებისთვის. უნდა მოვეშვათ გაუთავებელ საუბარს აფხაზურ სეპარატიზმზე. ეს არაფრის მომტანია. იგი ხელს უწყობს გაუცხოების პროცესის გაღრმავებას, აფხაზ ხალხთან დისტანცირებას. მით უფრო, რომ პოლიტიკაში სიტყვა „სეპარატიზმი“ შემოგდებულია იმათ მიერ, ვინც დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის ეთნიკურად განსხვავებული ნაწილის მიმართ და ცდილობენ, პასუხისმგებლობა მათვე დააკისრონ მიღებული უკუშედეგების გამო. ამის მაგალითი არაერთია.

დაპირისპირება და გაუცხოვება ძლიერ გაღრმავდა და, თუ გვიან არ არის, **აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზი ხალხის ნდობის აღდგენით, მათი ნებითა და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია! – სხვა გზა ჩახერგილია!**

აფხაზებთან საუბრისას ძალზე მნიშვნელოვანია, ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის ისტორიის ღრმა ცოდნა და სწორი აღქმა და არა ფსევდომეცნიერული მიდგომა, რომლითაც გვასაზრდოებდნენ ათეული წლების განმავლობაში. **აფხაზეთშიც არიან**

წერა–კითხვის, ნამდვილი ისტორიის მცოდნე ხალხი. აქაც ჩინებულად იციან, რასაც გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, აღნიშნავდა: კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობდნენ აბაზგებიო; ხოლო მოგვიანებით, ფლავიუს არიანეს (ახ.წ.აღ. II ს.) ცნობით, ლაზების ზემოთ, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მდინარე ბზიფის ხეობაში, პირველი საუკუნიდან სახლობდნენ ჯერ აფსილები, შემდეგ აბაზგებიო. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით კი აფსილ-აბაზგები (სერგი მაკალათიას მოსაზრებით – აფხაზები) კოლხების გვერდით ბინადრობდნენ.

ეს და ბევრი სხვა ისტოიული ფაქტებიც კარგად იციან აფხაზეთში, რომ ყოველივე ეს ხდებოდა გაცილებით ადრე, ვიდრე კავკასიაში გამოჩნდებოდნენ ქართები – ქართველების წინამორბედი ტომი, რომელთა კვალისთვის ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს მე-6 საუკუნემდე ვერსად მიუგნიათ. მსოფლიო ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს მიხედვით, სიმწრის (წითელი) ზღვიდან შავ ზღვამდე სახლობდა მხოლოდ ოთხი ხალხი: სპარსები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. აფხაზებმა კარგად იციან, რომ ისინი სწორედ კოლხური სამყაროს – იბერიის ნაწილნი არიან და არა საქართველოსი, რადგან თვით ცნება „ქართველი და საქართველო“ ბუნებაში ჯერაც არ არსებობდა; ისინი მოგვიანებით გახდნენ ძველ მეგრულ-ლაზურ (ზანურ) ენაზე მოსაუბრე იბერიის მკვიდრნი. ამიტომ არ იზიარებენ აფხაზები ფსევდომეცნიერულ და თავსმოხვეულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისინი ე.წ. ქართველური მოდგმისანი არიან. მათ მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ადიღეური შტოს წარმომადგენენ. ქართველი ავტორები კი, დაწყებული პავლე ინგოროყვათი და დამთავრებული ჯემალ გამახარიათი, ქადაგებენ: **აფხაზები ქართველები (მესხები!) იყვნენ – ქართული სამყაროს ნაწილი და პრეისტორიული დროიდან აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქიაო.**

დავიწყებასაა მიცემული ის რეალური ფაქტიც, რომ რუსეთის შემადგენლობაში მოქცევამდე, საქართველო კარგა ხნით ადრე იყო სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული. აფხაზეთი გარკვეული დროის განმავლობაში საერთოდ არ შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, ამიტომ არ მიიჩნევენ აფხაზები საქართველოს თავის სამართალმემკვიდრედ. ეს მათ კარგად იციან, მაგრამ არ იციან, ან არ სურთ იცოდნენ, რომ აფხაზეთი იმ დროისთვის, როცა შედიოდნენ რუსეთის შემადგენლობაში, გაცილებით ნაკლები ტერიტორიით იყო წარმოდგენილი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასეთ თავსმოხვეულ ფსევდომეცნიერულ მიდგომას აფხაზების წარმომავლობის საკითხისადმი და გაუთავებელ კინკლაობას მათი აბორიგენობის შესახებ, შეუძლებელია ნეგატიური როლი არ ეთამაშა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. აფხაზების, როგორც თვითმყოფადი ერის არაღიარებამ მეტად შეუწყო ხელი და განაპირობა გაუცხოების და უნდობლობის ტენდენციების ჩამოყალიბება-გარღმავებას. აფხაზებმა ნელ-ნელა დაიწყეს განდგომა. ეს კარგად ჩანს იმ ისტორიულ ფაქტიდანაც, რომ აფხაზები თავდაპირველად, ჯერ კიდევ მუჰაჯირობამდე, იხრებოდნენ ჩვენსკენ და ჩაჩბები, აჩბები, ინალფები, მარშანები, ემხები, მანები, აქირთები, ზვამბები, თარბები, ზუხბები, ქეცბები, ხინთბები, აკიჟბები, ლაცუჟბები, ხინტუბები, აბუხბები, ბუდბები, ყოლბები და სხვანი სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ – სამეგრელოსაკენ და იქცნენ კიდეც შესაბამისად შერვაშიძეებად, ანჩაბაძეებად, ინალიშვილებად, მარშანიებად, ემხვარებად, მარღანიებად, აქირთავებად, ზვამბაიებად, ხინთბაიებად, თარბაიებად, ზუხბაიებად, ქეცბაიებად, აკიჟბაიებად, ლაცუჟბაიებად, ხინტბაიებად, აბუხბაიებად, ბუდბაიებად ყოლბაიებად და ა.შ. ხოლო გასაბჭოების შემდეგ, როდესაც აფხაზეთი შემოვიდა ჯერ კონფედერაციის შემადგენლობაში, როგორც სახელშემკრულებლო რესპუბლიკა შემდეგ უფრო დაქვეითებული კონსტიტუციური უფლებებით (ავტონომია) საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, უფრო მეტად იჩინა თავი დაპირისპირებამ და აფხაზებმა ისევ იბრუნეს პირი ჩრდილო-დასავლეთისკენ და დაუბრუნდნენ თავიანთ საწყის მდგომარეობას.

რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს უფრო გონივრული იქნებოდა, გვეფიქრა იმაზე, თუ რა არ მოეწონათ მათ, რა იყო ერთი ან მეორე პროცესის მიზეზი, რა ისტორიული მოვლენები ედო ამას საფუძვლად, ვიდრე დღენიადაგ გაუთავებელი ძახილი: **„აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქია; აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა; აფხაზები აფსუები არიან და ისინი კასპისპირეთიდან არიან მოთრეულნი; რომ აფსილები და აბაზგები ქართველები იყვნენ“,** როდესაც, როგორც ითქვა, ცნება „ქართველი“ და „საქართველო“ ჯერ კიდევ ბუნებაში არ არსებობდა. **„რა უნდათ იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ?! თუ არ გაჩუმდებიან, ჩავქოლავთ, გადავუვლით და ა.შ.“** – ასეთი იყო ექსტრემისტებისა და ვაი-პოლიტიკოსების შეძახილები, რომელთაც გონივრულ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ამრიგად, აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების მიზეზი ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის ხელისუფლების გონიერებას მოკლებული, წინდაუხედავი, ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. ცრუისტორიკოსებმა და ვაი-პოლიტიკოსებმაც დაძაბეს საზოგადოებრივი ვითარება და მეტად შეუწყვეს ხელი ჩვენსა და აფხაზებს შორის უთანხმოების ჩამოყალიბებასა და დაპირისპირებას, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ე.წ. სეპარატიზმში. ეგრედწოდებული-მეთქი, რადგან ეს ტერმინი სრულფასოვნად ვერ ასახავს აფხაზეთში განვითარებულ საზოგადოებრივ მოვლენებს და პოლიტიკურ პროცესებს. უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ, რომ გვესაუბრა აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩამოწოლილ გაუცხოებაზე, უნდობლობაზე, განდგომაზე, დისტანცირებაზე და ა.შ. სიტყვა სეპარატიზმი კი სრულად ვერ ასახავს დაპირისპირებულ მხარეებს შორის წარმოჩენილ

პრობლემებს, ამასთან ერთად, არაკორექტულადაც გამოიყ-ურება.

ტერმინი სეპარატიზმი მომდინარეობს ლათინურიდან, სიტყვა „სეპარაციო"–დან და გამოთავისუფლებას, გამოყ-ოფას ნიშნავს, რაც ბუნებრივ პროცესებსაც ესადაგება: მშ-ობიარობისას ნაყოფი შორდება მშობლის უბეს და იწყებს და-მოუკიდებელ არსებობას. ასეა ზოოსამყაროში და საერთოდ, ბუნებაში – ვაშლი ან მსხალი დამწიფებისას ვარდება მიწა-ზე, რაც ასევე გამოყოფის მაუწყებელია და ეს ნორმალური, ბიოლოგიური პროცესია. მედიცინაშიც იხმარება ხშირად ეს სიტყვა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასტაქარი ამა თუ იმ პათოლოგიურ წარმონაქმს დელიკატურად, ქსოვილე-ბის ზედმეტი დაზიანების გარეშე გამოჰყოფს. ეს ნიშნავს სე-პარაციულ, ატრავმატულ (ტრავმის გარეშე) გამოყოფას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სეპარატიზმი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცირერიცხოვანი ერის, ეთნი-კური უმცირესობის მიერ ცალკე, სამართლებრივი სუბიექ-ტის სტატუსის მოპოვების მცდელობას, სახელმწიფოს ერთი-ანი ტერიტორიული სივრციდან გამოყოფის პოლიტიკას და პრაქტიკას გულისხმობს, თუმცა აფხაზეთში განვითარებუ-ლი მოვლენების წარმოჩენა ცალსახად აფხაზურ სეპარატიზ-მად, ამ პროცესში მოპირისპირე მხარის ადგილისა და რო-ლის გარეშე, არასწორი და, ამავდროულად, კონტპროდუქ-ტიულია.

გარდასულ ჟამთა შეფასებისას ან მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტისას ჩვენში ხშირად ემოციები ჭარბობს, ვჩქარობთ და არ ვითვალისწინებთ ობიექტურად არსებულ ფაქტორებ-სა და პროცესებს. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ აფხაზების მჭიდრო მეზობლობა და მეგობრობა დიდ რუსეთთან, მისი შენიღბული თუ აშკარა წაქეზება ქართველების წინააღმდეგ. **ვერ გავითვალისწინეთ, რომ რუსეთი, როგორც „ყველა ჩაგ-რულის პატრონი და მზრუნველი", მაშინათვე ამოუდგებოდა აფხაზებს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ და გა-ითამაშებდა ე.წ. აფხაზურ კარტს საქართველოს თავისკენ შემობრუნების მიზნით. ამას იგი გააკეთებდა, პირველ რიგ-ში, იმიტომ, რომ უსაზღვროდ დიდია მისი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში და, კერძოდ, – საქართველოში.** ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ისიც, რომ, სწორედ ამ რეგიონში მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი დიდი მეზობელი არ დაუშვებდა ჩდილო-ატლანტიკური ალიანსის მიახლოებას საკუთარ საზღვრებთან. **ეს არ შედიოდა და არ შედის რუსეთის ინტერესებში და რასაც აკეთებს, აკეთებს არა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის სიძულვილით (საზიან-ოდ კი!), არამედ თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.** ამიტომ ისარგებლა მან ჭკუათხელი სააკაშვი-ლის უნიათობით, შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და ლამის თბილისამდე დამკვიდრდა. მერე შემოიღობა აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ-ოსეთიც და აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რაც ჩვენი უგუნურობითა და ხელშეწყობით მოხდა! ამ დროს ჩვენ გამარჯვებას ვზეიმობდით რუსეთ-საქართველოს ორდღი-ან ომში და ვმართავდით ცენტრალურ მოედნებზე საზეიმო ტაშ-ფანდურს...

„ჩვენისთანა ბედნიერი, არის განა სადმე ერი?!"

ჩვენ დღესაც ვერ ვაცნობიერებთ ბევრ სხვა გარემოებ-ას. **ვერ ვითვალისწინებთ, რომ ვერც ევროსაბჭო და ვეღარც ოკეანესგაღმელი ჩვენი მეგობარი ქვეყანა ვერ დაუპირის-პირდება ჩვენს გამო რუსეთს**. ეს თვალნათლივ დაგვანახა ბოლოხანს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა – რუ-სეთი ვერ შეეგუა სტეპან ბანდერას და ფაშისტური „კარატე-ლების" მემკვიდრეების აღზევებას სლავურ ქვეყანაში – უკ-რაინაში და მხარი დაუჭირა იქ მცხოვრებ რუს მოსახლეობას. ისარგებლა ამით და დაიბრუნა (შეიძლება ითქვას, სამარ-თლიანადაც!) თავისი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი – ყირიმი, რომელიც უგუნურმა ხრუშოვმა გააჩუქა მის მიერ უკრაინაში თავის დროზე ჩადენილი შავი საქმეების გადასაფარავად. ყი-რიმი რუსეთის ისტორიული ნაწილი რომ არის, ამაზე შეუძ-

ლებელია ორი აზრი არსებობდეს. იგი იმპერატორმა ეკატერინე-მეორემ, გრაფ პატიომკინის სარდლობით, გაათავისუფლა ოსმალეთის ბატონობისაგან, ხოლო, ადმირალებმა უშაკოვმა და ნახიმოვმა ბოლო მოუღეს თურქეთის ბატონობას შავ ზღვაზე. შემდეგ იმავე იმპერატორის მიერ დაარსდა ყირიმში სევასპოტოლი და სიმფეროპოლი. ხოლო, მოგვიანებით, იოსებ სტალინმა აჰყარა ყირიმიდან თათარი მოსახლეობა და ასე გახდა იგი სუფთა რუსული ოლქი – 90% ეთნიკური რუსული მოსახლეობით. მოკლედ, არსებობდნენ უტყუარი ისტორიული და მორალური წინაპირობები იმისა, რაც მოხდა ამას წინათ ყირიმში. ამას ვერ შეცვლის ვერანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ. როგორც არ გააკრიტიკონ რუსეთი, იგი თავისას არ დაიშლის. კრილოვისა არ იყოს, რუსეთი მოისმენს და თავისას გააგრძელებს. ამისთვის მას გააჩნია ყოველნაირი (ადამიანური, ეკონომიკური და სხვ.) უზარმაზარი რესურსი, გიგანტური ნაბიჯებით განვითარებად ჩინეთთან სიახლოვე, გამყარებული ხელშეკრულებით, რომლებიც უფლებამოსილს და მართებულს ხდიან მას, მოიქცეს ისე, როგორც მოეპრიანება. ასე რომ, რუსეთი მოუსმენს ყველას, მაგრამ უკან არ დაიხევს.

ჩვენც ხომ არ ვიტყოდით უარს ლორეს, ერუშეთის, ტაო–კლარჯეთის, საინგილოს თუ კაპადოკიად წოდებულ ლაზ–ჭანეთის შემოერთებაზე?!

აქ ასეთი ჩართვა გამოწვეულია არა იმით, რომ ძალიან მომწონს ის, რაც ხდება უკრაინაში, არამედ იმით, რომ ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვითვალისწინებთ რუსეთის თავისებურებას, მის ინტერესებს ჩვენს რეგიონში. ხშირად ხეების იქით ტყეს ვერ ვხედავდით და დღესაც ცუდად ვარჩევთ!

უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეალობა ჩვენივე გაუაზრებელი მოქმედებების თუ უმოქმედობის შედეგია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის რეალობაა, რომლისკენაც თვითონვე შემოვაბრუნეთ ჩვენი ისტორია.

აფხაზებსა და ოსებთან ჩვენი ურთიერთობა (რუსეთთანაც!) წავიდა იმ რელსებით, საითკენაც ჩვენ გადავწიეთ ისრები: აფხაზები და ოსები ჩვენ ჩავახუტეთ რუსებს! ეს ფაქტია და ეს უნდა გვახსოვდეს მათთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებისას.

რუსულ ეთნოფსიქოლოგიაზე ყველაზე კარგად რუსმა პოეტმა ფიოდორ ტიუტჩევმა თქვა: **„Умом Россию не понять, Аршином общим не измерить: У ней особенная стать – В Россию можно только верить!“**

გამოუცნობად და არაპროგნოზირებად რუსეთთან დაპირისპირება თავიდანვე განწირულია არასახარბიელო შედეგისთვის. ჩვენ კი დღენიადაგ ვიყავით დაკავებული მისი ლანძღვა-გინებით. ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვაცნობიერებთ მის ინტერესებს მოსაზღვრე რეგიონებში. სად არ ჩავუშვით ღუზა?! რუსეთმა ჩვენ ეს არ გვაპატია და შედეგსაც ვიმკით. **თუ არ მოგვწონს მასთან მეზობლობა, გადავიტანოთ ჩვენი ქვეყანა მიწა–წყლიანად, ჩვენი ხალხით სხვაგან – იქ, სადაც უფრო მოგვწონს, მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელია, უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს ღვთის მიერ ბოძებულ მეზობელთან და ვიცხოვროთ მის გვერდიგვერდ ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო არ არსებობს ცალკე, სხვა სივრცესა და სამყაროში, რომ ის მეზობლობს სხვა ქვეყნებთან და ვალდებული ვართ, გავითვალისწინოთ მეზობლების ინტერესებიც, მათ შორის – რუსეთის.**

ჩვენ არ გავითვალისწინეთ ეს და, როგორც ითქვა, დღესაც არ ვადგივართ სწორ გზას – ვერც ევროკავშირი, ვერც ამერიკა და ვეღარც „ნატო“ ვერ აღადგენს დაკარგულ ტერიტორიებზე ჩვენს სუვერენიტეტს და ვერ დაგვიბრუნებს სახლებში ფუძეაყრილ მოსახლეობას. ასეთი საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებების დადგენილება-დირექტივებით არ ხდება. „ნატო“ ჩვენ არაფერში გვჭირდება, მით უფრო, როცა

მასში გაწევრიანება არარეალური ყოფილა. იმისთვის კი არ გააშენა რუსეთმა აფხაზეთში საფორტიფიკაციო ნაგებობანი და არ დააყენა ულტრათანამედროვე ბალისტიკური რაკეტები, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მიიახლოვოს. არც „ნატო“ წამოეგება ასეთ ავანტიურაზე და საქართველოს საკუთარ რიგებში არ გააწევრიანებს. ეს გადაწყვეტილება „ნატომ“ რომ მიიღოს, რუსეთი მეორე დღესვე გადმოსვამს თავის საჰაერო და საზღვაო დესანტს, დააბანაკებს მათ ფოთსა და თურქეთის საზღვრებთან, ამასთანავე, მძიმე ჯავშანტექნიკით გაუდგება დიდგორიდან, თბილისის გავლით, გიუმრისკენ მიმავალ გზას. მაშინ კი პამპერსებითა და მინერალური წყლებით დატვირთული ამერიკული გემები ვერ უშველიან საქმეს.

დღემდე ვერ ვხვდებით, რისთვის სჭირდება საქართველო აშშ–ს? მას აინტერესებს ჩვენი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, თორემ ქართველი ხალხისა და ქვეყნის ბედი, მისი მომავალი, ჩირადაც არ უღირს. ოკეანესგაღმელ პარტნიორებთან „მეგობრულად“ განვლილმა წლებმა და შიდაპოლიტიკურმა მოვლენებმა დაგვანახეს მათი ნამდვილი სახე. თუნდაც საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის აღიარება რად ღირს?! საქართველოში ჩამოსვლის წინ მას დაურეკა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და უთხრა: **„ნუ ჩაერევი მათ საქმეში, მიეცი რუსებს თბილისში შესვლის საშუალება, რუსეთმა აიღოს თბილისი“...**

ასე რომ, **ამერიკისთვის საქართველო არის მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა ანკესზე, რომლითაც იგი ცდილობს დაიჭიროს დიდი თევზი – ზვიგენი და მსოფლიოს თვალში რუსეთი მტაცებელად და ოკუპანტად წარმოაჩინოს. ამით კი სურს გადაფაროს მის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ ხიროსიმასა და ნაგასაკიში, კორეასა და ვიეტნამში, იუგოსლავიაში, ერაყსა და სირიაში თუ სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგრამ როგორია ეს ჩვენთვის?!**

ასეთია ჩვენი პოლიტიკური პარტნიორის ნამდვილი სახე,

მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხვდებით ან არ გვინდა გავაცნობიეროთ, რომ გვკვებავენ ილუზიებითა და რეალობას მოკლებული მოსაზრებებით, თითქოს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები აიძულებენ რუსეთს დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ეს არარეალურია!

მაშინ სადაა ხსნა, სადაა გამოსავალი?! რა გზა არსებობს? არის ასეთი, ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა – ეს ეროვნული, ერის შიგნით არსებული რესურსებია. ეს ერის ერთიანობის გზაა! ამისთვის საჭიროა ისეთი ურყევი კავშირი პოლიტიკურ ძალებსა და ხალხს შორის, რომელიც უზრუნველყოფს არა ცალკეული პირებისა და დაჯგუფებების ამბიციების, არამედ ქართველი ხალხის ინტერესის დაკმაყოფილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალები და ხალხის ინტერესები უნდა იყოს თანმხვედრი. დღეს ეს არ იგრძნობა და სანამ სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენები (რომლებიც ოკეანისგაღმელი „მეგობრების“ მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად არიან დანიშნულნი) პარლამენტის ტრიბუნებიდან და ტელეეკრანებიდან ყმუიან, ეს შეუძლებელია. **ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩატარდება ახალი საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლებაში მოვლენ ნამდვილი ეროვნული ძალები და ეროვნული ოპოზიცია.**

მაშინ გახდება შესაძლებელი თავის დროზე გაყალბებული რეფერენდუმის შედგების გადასინჯვა და სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ასევე მეტად პრობლემურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი არჩევნების შედეგებს ითვლიან და ადგენენ, სამწუხაროდ, არა ცსკო-ში, არამედ – ამერიკის საელჩოში.

ამის დარეგულირება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ გმირს, ხალხის უპირობო ლიდერს – ისეთს, როგორიც ნეტარხსენებული **მერაბ კოსტავა** იყო. მერაბ კოსტავა რომ ყოფილიყო ჩვენს შორის, არც ანტიეროვნული ოპოზიცია (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, გია ჭანტურია, ნოდარ ნათაძე, გია ყაარყარაშვილი, ლანა ღოღობერიძე, იზა

ორჯონიკიძე, ლუიზა შაკიაშვილი, ირინა სარიშვილი, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მამა-შვილი გაბაშვილები და ძმანნი მათნი) გაბედავდა გაჭაჭანებას და ეროვნული ხელისუფლების დამხობას ვერავინ შეეცდებოდა. ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ ანტიეროვნული ძალები ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის სახით. არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა ქვეყანაში მათი მოსვლის შედეგად – არც აფხაზეთი გასხვისდებოდა და არც სამაჩაბლო. **მერაბ კოსტავა გამონახავდა გზას აფხაზებისა და ოსების გულებისკენაც – ის მერაბ კოსტავა, რომელიც, 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებში, გადაეღობა ღალიძგაზე საკუთარ ხალხს – აზვირთებულ და აბობოქრებულ სამეგრელოს მოსახლეობას, არ გაატარა ისინი ღალიძგის მეორე ნაპირზე და არ დაუშვა ქართველთა და აფხაზთა კიდევ ერთი შეტაკება, განმეორებითი სისხლისღვრა აფხაზეთში. მას ეს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არ დასცალდა!** იცოდნენ ეს და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე მუხანათურად, რამაც სასოწარკვეთილებაში და ერთგვარ უიმედობაში ჩააგდო ქართველი ხალხი. **მაგრამ გარკვეული მოლოდინის შემდეგ გამოჩნდა ნამდვილი ლიდერი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ღმერთმა არ გაგვწირა ბოლომდე და ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით ქართველ ხალხს ქვეყნის მხსნელი მოუვლინა. მან თავისი სწორუპოვარი ქველმოქმედებითა და მეცენატობით არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, მაგრამ ყველაზე მთავარი სააკაშვილის რეჟიმის ლეგიტიმური გზით დემონტაჟი იყო, თუმცა ეს საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის.** მომაკვდინებელი ბაცილა ჯერაც არ არის ბოლომდე ამოშანთული, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარების, აღმშენებლობის საქმეს, განსაკუთრებით – საგარეო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებას. აქ ყველაზე მტკივნეული საკითხი რუსეთთან პოლიტიკურ–დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ხელახლა ჩამოყალიბების საქმეა. მართალია, **აქტიური პოლიტიკიდან ბატონი ბიძინას ნაჩქარევად გასვლამ გაურკვევლობა**

გამოიწვია, მაგრამ იმით, რაც მოასწრო და გააკეთა, ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში. ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს შანსი დაუბრუნდეს პოლიტიკას და ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ დაწყებული საქმეები. მხოლოდ მას აქვს ხალხის უსაზღვრო ნდობა და დღეს მხოლოდ მას ამოუდგება მხარში, როგორც პოლიტიკური სპექტრის პროგრესული ნაწილი, ასევე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. მაგრამ ამას სჭირდება, როგორც ითქვა, მისი სულისკვეთება და ეროვნული ლიდერის დაუოკებელი ჟინი, რომელიც გაუძღვება ერს, როგორც ეს მოხდა ჩინეთის უახლოეს ისტორიაში.

ჩვენ გვჭირდება ჩვენი დენ სიაოპინი, რომელმაც, მიუხედავად ოპოზიციის უზარმაზარი წინააღმდეგობისა და გაუთავებელი მილიონიანი საპროტესტო აქციებისა, გაბედა და ცხოვრებაში გაატარა მეტად კომპრომისული, მაგრამ გონივრული ჩანაფიქრი – ერთ ქვეყანაში, სოციალისტურ ჩინეთში, შემოიღო საბაზრო ეკონომიკა; ერთ ქვეყანაში შესაძლებელი გახადა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობა, რომლის შედეგად შემოიერთა დიდი ბრიტანეთის დროშის ქვეშ 150 წლის განვმავლობაში მყოფი ჰონ-კონგი. საგულისხმოა მისი სიტყვები: **„არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფერისაა ჩემი კატა – მთავარია ის თაგვს იჭერდეს.“** ამ სიტყვებით და გაკეთებული საქმეებით მან უკვდავებაში შეაბიჯა და კაცობრიობის ყველა დროის უბრძნეს ადამიანთა შორის დაიმკვიდრა სამარადჟამო ადგილი.

სწორედ ასეთი გაბედული და ძლიერი ლიდერი სჭირდება დღეს ქართველ ხალხს –ლიდერი, რომელიც გონივრულად გამოიყენებს **დენ სიაოპინის** გამოცდილებას, აგრეთვე ჩინეთის გამოჩენილ ფილოსოფოსის, **ლაო ძის** შეგონებას: **„დაეთანხმე, დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო!“ და „ტკბილად მოუბარი ენით“** მოაწესრიგებს რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას, დააბალანსებს პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს ევროკავშირსა და ოკეანესგაღმელ ჩვენს პარტნიორთანაც.

მხოლოდ ეს გზაა სწორი, თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაა ჩვენთვის მთავარი და არა სხვადასხვა ქვეყანაში უვიზოდ სიარული თუ კანარის კუნძულებსა და ლას-ვეგასში ნებივრობა – დროისტარება – გრიალი.

დროა ვაკეთოთ ის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის გამთლიანებასა და მართმადიდებლური კულტურის შენარჩუნება-განმტკიცებას. **ჩვენ არ გვჭირდება ამდენი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის ფარგლებს გარედან – უცხოეთიდან ფინანსდებიან და მხოლოდ ღმერთმა უწყის თუ ვის მსახურობენ ისინი – ადამიანის უფლებათა დაცვის მანტიით, ლახავენ ადამიანის ჭეშმარიტ უფლებებს – გვთავაზობენ გეებისა და ლესბოსელების აღლუმს, ერთსქესიან ქორწინებასა და ე.წ. კუზენ-კუზინას ურთიერთობის ინსტიტუტის შემოღებას.**

დროა გავახილოთ თვალი და ავირჩიოთ სწორი გზა. ამ საქმეში, ვიმეორებ, **ჯერ კიდევ აქვს შანსი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თუ ჩაუდგება სათავეში ხალხს. თუ ბატონი ბიძინა ამას სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლებს, ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის სათავეში მოიყვანოს არა უსახური და უინიციატივო, არამედ ძლიერი და გაბედული ადამიანები, რომლებიც ფლობენ საჭირო, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას და შეუძლიათ საბოლოო შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა.**

ჩვენს პოლიტიკურ სპექტში დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. **არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია ისეთი და იმდენი რესურსი, რომ რუსეთის ხელისუფლება მათთან დიალოგზე წამოვიდეს და სერიოზული საკითხი განიხილოს. აქ ზედმეტია საუბარი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომელთათვისაც ეს ხალხი კატეგორიულად მიუღებელია.** მაგრამ საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი იტვირთონ ზემოაღნიშნული მისია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** – თავის ხალხსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და ერთგული კაცი, **რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა საცხოვრისია.** ბატონ ჭაჭიას აქვს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის სწორი ხედვა და სათანადო ბერკეტები – ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს აფხაზი ხალხის ყველა ფენაში. ამასთანავე მიღებულია და დიდი ავტორიტეტი აქვს რუსეთის ელიტურ და სამთავრობო წრეებში. მას, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით, შეუძლია პოზიტიური როლი იკისროს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

უნდა მოვრჩეთ ნაცარქექიობას და მრუდე, შევარდნაძე–სააკაშვილის სარკეში ცქერას, საიდანაც ვერც შორეულ სამყაროს დავინახავთ და ვერც ცხვირწინ მდებარე პრობლემებს. დროა, ჩამოვეშვათ მიწაზე და დავინახოთ რეალობა, რომ ჩიხიდან გამოსვლის გზა არც ევროპის დედაქალაქებისკენ მიემართება და არც შეერთებული შტატებისკენ. ევროკავშირთან თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ვერ გაათავისუფლებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს, რასაც ყველას გასაგონად და გასაგებად გვეუბნებიან დასავლური პოლიტიკოსები (დაწყებული აშშ-ს ექს–პრეზიდენტ ბილ კლინტონით, მისი გაერთიანებული სამხედრო შტაბების ყოფილ მთავარსარდლით, გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილით და დამთავრებული დასავლეთის თანამედროვე ლიდერებით), რომ საჭიროა რუსებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, რათა მათთან გამოვნახოთ საერთო ენა. **გასაგებად გვითხრა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომ საქართველო (ისევე როგორც უკრაინა) არასდროს მდგარა და დღესაც არ დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზე, რასაც სრულად დაეთანხმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.**

რა არის აქ გაუგებარი და რატომ არ გვინდა შევიგნოთ,

რომ საგარეო საქმეებში აქცენტების სწორად გადანაწილება და პრიორიტეტული მიმართულებების სწორად შერჩევაა საჭირო. არ არის მომგებიანი მეზობლის, რაგინდ აგრესიულიც არ იყოს ის, გაუთავებელი ლანძღვა-გინება: **ლილიპუტინის ძახილით, მილიტარისტული რიტორიკითა და იარაღის ჟღარუნით არასდროს გაუკეთებია ვინმეს საქვეყნო საქმე.** უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს დიდ მეზობელთან, რომელთანაც, სხვათა შორის, ბევრი რამ გვაქვს საერთო და გვაკავშირებს. ბევრი ნეგატიური მოვლენების გვერდით, რომლებიც ავადმყოფურად ასოცირდება რუსეთთან, **არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას შევინარჩუნეთ სარწმუნოება, ენა და მამული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთთან გაერთიანებამდე, დაშლილი იყო სამეფოებად და სამთავროებად (რომლებიც ცალ–ცალკე შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში) და მანამდე, საუკუნეების განვმალობაში, საქართველო არ იყო შენივთული, როგორც ერთიანი სხეული. სწორედ რუსეთის რევოლუციების შემდეგ მიიღო მან მონოლითური სახე და ჩამოყალიბდა როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, და ასეთივე სახით გამოეყო რუსეთს. რუსეთზე საუბრისას, ამას ხმამაღლა თუ არ ვიტყვით, გვახსოვდეს მაინც, რა ბედი ეწია მრავალ ჩვენნაირი ბედ-იღბლის მქონე ხალხს, რომლებიც არ მოექცნენ რუსეთის მფარველობაში – მათ დაკარგეს არა მხოლოდ მამული, არამედ ეროვნებაც, ენაც, სარწმუნოებაც...** ასე რომ, ნუ ვიქნებით უმადურები, რადგან უმადურობაზე საშინელი არაფერია.

დღესავით ნათელია, რომ **ჩვენი პრობლემების მოგვარება და ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის გავლით და მასთან მოგვიწევს საუბარი პირისპირ, გვინდა ეს თუ არა.** დიახ, ერთმორწმუნე რუსეთს ოკუპირებული აქვს დღეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვენ მისი დეოკუპაცია გვინდა. ამაში, როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, **დასავლეთი ვერ გვიშველის. თუ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის გაერთიანებაა პრიორიტეტული ჩვენთვის, უნდა ჩამოვსხდეთ მასთან და გავმართოთ პირდაპირი დიალოგი იმაზე, თუ რას ითხოვს ამის სანაცვლოდ რუსეთი.**

ცხადია, რომ რუსეთი შემოგვიგდებს „ნატოსთან“ დაკავშირებულ პრობლემატიკას. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ნატოში გაწევრიანება ჩვენთვის არარეალურია, რაზეც უკვე იყო საუბარი, მაშინ შევწყვიტოთ ამაზე რიტორიკა, მივყვეთ ლოგიკას და მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – კომპრომისებით და ზოგიერთისთვის არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებით გამოვიხსნათ ჩვენი ტერიტორიები – ქართველი ხალხის საცხოვრისი. სწორედ ესაა კომპრომისებისა და კონსენსუსის გზა, რომლებსაც უწოდებენ გონივრულ დიპლომატიას და გონივრულ საგარეო პოლიტიკას.

ამ საქმეში, როგორც ხაზგასმით ითქვა, ძალზე მნიშვნელოვანია მმართველი ძალების, მისი ლიდერის და ხალხის თვალსაზრისთა იდენტურობა და ერთსულოვნება. ვიმეორებ, დღეს ეს არ იგრძნობა – ხალხს უნდა ერთი, ხოლო ხელისუფლება კი აკეთებს სხვას – არჩევნებამდე გაცემული დანაპირების საპირისპიროს. **მოშლილია თანხვედრა და წინსვლას აფერხებს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები, ასევე რესპუბლიკელები, რომელთა ფსევდო-პატრიოტული ლოზუნგები და მოწოდებები ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობაა, რაც (მედიცინის ენაზე) ექვემდებარება ამპუტაციას. დროა შეიგნოს ეს ქართველმა ხალხმა და განთავისუფლდეს მათგან ლეგიტიმური გზით – არჩევნებით. ეს, ვიმეორებ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ ხალხის მიერ არჩეული პროგრესიული ძალები, ეროვნული ოპოზიცია და არა ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოგდებული ანტიეროვნული ძალა.** სწორედ მაშინ გახდება ადვილი საშიანაო და საგარეო პოლიტიკის სწორი ორიენტირების შერჩევა, კონსტრუქციული დიალოგის ჩამოყალიბება

როგორც რუსეთთან, ასევე ჩვენგან განდგომილ აფხაზ და ოს ხალხებთან, მათ ლიდერებთან.

რეგიონში არსებული რეალობა, აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება, ახლო თუ შორეული პერსპექტივები ახლებურ ხედვასა და გააზრებას მოითხოვენ. სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ დაშვებული შეცდომებიდან, რათა თავი ავარიდოთ მორიგ გართულებებსა და უკუშედეგებს. განზე უნდა გადავდოთ პირადი ინტერესები და ამბიციები, თუ ერთიანი საქართველო გვინდა, თუ კი ერის გამთლიანება და გადარჩენა გვწადია. ამისათვის, ვიმეორებ, ხელისუფლებისა და ერის პროგრესული ძალების (არა ფსევდოპატრიოტებისა და დანიშნული ოპოზიციის) ერთიანობაა საჭირო. აი, მაშინ მივიქცევთ განაწყენებული და განდგომილი ხალხების ყურადღებას. ამასთანავე, **საჭიროა თანამიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე ტერიტორიებზე, რათა აფხაზებს, რუსეთის მხრიდან გამუდმებული ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის ფონზე, გაუჩნდეთ პერსპექტივა და მიეცეთ არჩევანის საშუალება, გაერკვნენ, საით აჯობებს – ჩრდილო-დასავლეთისკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ეს უთუოდ შეუწყობს ხელს აფხაზების შემობრუნებისა და შემორიგების პროცესს, შეახსენებს მათ თავიანთ საწყისს, შორეულ წარსულს, აღუდგენთ ისტორიულ მეხსიერებას და შთააგონებს მათ, რომ მხოლოდ ქართველებთან თანაარსებობაა ერთადერთი სწორი გზა, მათი, როგორც ეთნოსის, გადარჩენისა.** რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი, მაგრამ არსებულ ვითარებაში ყოველივე ამას დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე სპეციალური პროექტების, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური სფეროს ინფრაქსტრუქტურის აღდგენითა და აღორძინებით აფხაზი ხალხი დაინახავს და ირწმუნებს , რომ ჩვენ მოვდივართ არა ტანკებზე ამხედრებულნი

და მუშტმოღერებულნი, არამედ მშვიდობით და გვსურს, სულ სხვა, ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე რეინტენგრირება აფხაზეთში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია აფხაზი ხალხის შემობრუნებისა და შემორიგების საქმეში, მაგრამ ამისთვის დღემდე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. აღარც საპარლამენტო არჩევნებამდე დეკლარირებული მრავალმილიონიანი ინვენსტიციები ჩანს რეალური. ყოველ შემთხვევაში **კონფლიქტის ზონაში ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს შენიშნავთ, თუ არ ჩავთვლით ახლახან სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებას.** ძნელი სათქმელია, მიიპყრობს თუ არა ასეთი სამედიცინო ცენტრი აფხაზი ხალხის ყურადღებას, რადგან ისინი მარტივი ქირურგიული ჩარევებისთვის იქ არ მივლენ, რადგან სოხუმში (და არა მხოლოდ იქ) აქვთ კომპიუტერებით აღჭურვილი და უცხოეთში მომზადებული სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებული თანამედროვე სამედიცინო სამსახურები. ასე რომ, **ტრადიციული პროფილშეზღუდული სამედიცინო დარგებით, ყურადღებას ვერ მივიქცევთ.** მათი დაინტერესება შეიძლება მხოლოდ ისეთი სამედიცინო კომპლექსით, სადაც, ტრადიციულ დარგებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება **ურგენტული და კატასტროფული მედიცინის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ტრანსაბდომინალური ინტრასისხლძარღვოვანი კარდიო და ნეიროქირურგიული სამსახურები, სპინალური მძიმე ტრავმის, სეფსისისა და დამწვრობის ცენტრები, წერტილოვანი გამათერაპია, არატრადიციული უსისხლო პროსტატექტომია, ლიტოტრიპსია და სხვ. მაშინ ეს კომპლექსი არა მარტო ჩვენში, არამედ სრულიად კავკასიაში გადაიქცევა უნიკალურ, უპრეცედენტო სამედიცინო ცენტრად და ის უეჭველად მიიქცევს აფხაზების, ოსებისა და რეგიონის სხვა ხალხების ყურადღებას**. ამ საკითხზე არაერთხელ მქონდა საუბარი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, **ბატონ დავით სერგეენკოსთან,** რომელსაც, როგორც პროფესიონალს და სახელმწიფოებრი-

ვად მოაზროვნე მაღალჩინოსანს, სიღრმისეულად აქვს გათვითცნობიერებული ასეთი პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობა და როლი ქართულ-ფხაზურ კონფლიქტის მოგვარების საქმეში. სწორედ ამიტომ ხვდებოდა იგი გაგებით ჩემს აქტიურობას. ბატონი სერგეენკო ითვალისწინებდა, რომ კონფლიქტის ზონის განაპირას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილი და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მედპერსონალით დაკომპლექტებული მრავალპროფილიანი სამედიცინო კომპლექსის აშენების იდეის სათავეებთან ვიდექი. ახლა კი ამ იდეის განხორციელებას თვითონ ცდილობს და, იმედია, მისი ძალისხმევა ახლო მომავალში გამოიღებს პოზიტიურ შედეგებს.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი ექნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს – სასაზღვრო ზონაში საბითუმო სავაჭრო ცენტრის შექმნა, მოსაზღვრე რეგიონების ოფშორულ ზონებად გამოცხადება და სხვა ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობს ხალხებს შორის კომუნიკაციის აღდგენას, გაუცხოების პროცესის შენელებას. აქედან გამომდინარე, ასეთი პროექტები აუცილებელია ნდობის აღდგენის, აფხაზი და ოსი ხალხების ჩვენკენ შემობრუნება-შერიგებისთვის.

ეს ისეთივე აქტუალური და მნიშვნელოვანია, როგორიც სახალხო დიპლომატიაა კონფლიქტის მოგვარებაში.

სახალხო დიპლომატია საგრძნობლად გაზრდის ხელისუფლების ლიდერის ძალისხმევის ეფექტიანობას პოლიტიკური დიალოგის აღდგენაში. ამიტომ საჭიროა მისი წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფო დონეზე აყვანა და ხელისუფლების მხარდაჭერა. ის უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს, რადგან აფხაზებსა და ჩვენ შორის არსებული პრობლემების მოგვარების გასაღები აფხაზეთიდან დევნილი თუ იქ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ინტერესთა გადაკვეთაზე დევს. ამდენად, **მეტად ყურადსაღებია აფხაზებისა და სამეგრელოს მოსახლეობის ისტორიული კეთილმეზობლობა, ნათესაური კავშირები და ურთიერთობა ისევე, როგორც მათი მენტალური სიახლოვე და ადათ-წესები.** სამეგრელოს უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული როლი და მისია – საქართველოსთვის აფხაზეთის შენარჩუნების მისია. მხარეებს შორის კომუნიკაციის აღდგენისა და შერიგების პროცესში სამეგრელოს მოსახლეობის აქტიური ჩართვაა საჭირო. მხოლოდ აფხაზების შემორიგებითაა შესაძლებელი კონფლიქტის დაძლევა და ჩვენს ხალხებს შორის პრობლემების მოგვარება. **ჯერ აფხაზები უნდა დავიბრუნოთ!**

ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგით, მხოლოდ მათთან შეთანხმებული მოქმედებებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომა კონტრპროდუქტიულია და დაუშვებელი. ხალხთა შერიგების გზა ერთადერთი სწორი გზაა, ამიტომ მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს, ხელისუფლების ძალისხმევის პარალელურად.

სახალხო დიპლომატიის აქტიური წარმართვისთვის საჭიროა აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან კონტაქტების დამყარება, კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმის ჩამოყალიბება და მათთან მუშაობა, აფხაზური და ქართული მხარეების წარმომადგენელთა უწყვეტი შეხვედრებისა და დიალოგისთვის სათანადო ნიადაგის შემზადება. გასაგებია, რომ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მიღწეული იქნება შეთანხმება რუსეთთან და მისგან საქართველოსადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევაში, რაც, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ პუტინის ბოლოდროინდელ არაერთგზის მინიშნებებს, არც თუ ისე არარეალურად და უპერსპექტივოდ გამოიყურება. აფხაზებსა და ქართველებს შორის აქტიური დიალოგისა და შერიგების პროცესის ფართოდ გასაშლელად, მისთვის სა-

სურველი გარემოს, ხელსაყრელი ვითარების შესამზადებლად და ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყნის ლიდერის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღება სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით. ეს ადამიანი დღენიადაგ უნდა საქმიანობდეს მხარეებს შორის ლოიალური ურთიერთობის გარემოს ჩამოსაყალიბებლად. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი დესპანის პირადი თვისებები. მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება და ავტორიტეტი მოპირისპირეთა შორის. სასურველია, თუ ის გამორჩეული იქნება ინტელექტით, ტაქტითა და დიპლომატიის უნარით. ის უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნეტარხსენებული ნოდარ დუმბაძის შეგონებისამებრ, შეეძლება, „ფრთხილად" შეეხოს აფხაზთა გულების სიმებს", რაც მეტად მნიშვნელოვანია დიალოგის წარმატებით წარმართვისთვის. აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა ასეთი ლირიკული გადახვევა, მაგრამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევ ამაზე საუბარს.

ერთხელ, აფხაზურ მხარესთან სამთავრობო დონის შეხვედრისას, ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ლიდერმა (კონფლიქტის დარეგულირების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, რეზო ადამიამ) ბანკეტზე (შეზარხოშებულმა) მიმართა აფხაზებს ყველას გასაგონად: „რა, აფხაზო მეგობრებო, ხომ ხართ ცუდად! უარესად იქნებით, თუ გონს არ მოეგებით და ჭკუას არ მოუხმობთ!" ხოლო ჩვენი მეორე წარმომადგენელი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ცანავა უხეშად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას, ფეხი ფეხზე გადაიდო და ყოველგვარი თადარიგის გარეშე წამოროშა: **„Ну, что, абхазские друзья, будем мириться, или будем воевать?!"** აფხაზეთის დელეგაციის წევრები ადგნენ და უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან. იმავე საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღების წინ, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სერგეი ბაგაფშმა გამიხმო განზე და მეუბნება: **„Ты видишь, мой дорогой Шалвович, что происходит?! Вот, как к нам обращаются, как с нами разговаривают! Они нас за людей не считают! О каком примирении и о каком доверии может идти речь!? Нет, нет! С этим все покончено! Хватит!".** ჩემს სიტყვებს აქ ფასი არ ჰქონდა, მან ჩემი მოსმენაც არ მოისურვა და ასე დავშორდით ერთმანეთს. შემდეგ რომელ შერიგებაზე შეიძლებოდა საუბარი?! ეს ხდებოდა სტამბულში ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრისას. **ჩვენი მხარის ასეთი ამპარტავანი და ქედმაღლური გამოხდომებისა და საქციელის გამო, ვერც ათენში იქნა მიღებული გაეროს მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაგირების ოთხმხრივი მოქმედი ჯგუფების შექმნის შესახებ და ვერც სტამბოლში. ეს ხდებოდა 1998-1999 წლებში.** იმავე 1999 წლის ბოლოს, სწორედ ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანის რანგში, ვეწვიე სოხუმს აღნიშნული რეზოლუციით, რომლის შვიდი პუნქტი იმხანად არ იქნა მხარდაჭერილი მხარეების მიერ, და ახლა ბატონ ანრი ჯერგენიასთან, ვლადისლავ არძინბას მთავარ მრჩეველთან, სულ ნახევარი საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გამოგვენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემეული ვარიანტი შეათანხმა ვლადისლავ არძინბასთან და ერთი კვირის თავზე ამ დოკუმენტს მხარეებმა ხელი მოაწერეს თბილისში.

მანამდე, სწორედ მასთან და აფხაზური მხარის სხვა ლიდერებთან ხანგრძლივი კულუარული შეხვედრებისა და მრავალსაათიანი მოლაპარაკებების შედეგად, 1995 წლის იანვარის, თებერვალისა და მარტის მოსკოვური ოთხმხრივი შეხვედრების წინა დღეებში, **ოფიციალური სოხუმის თანხმობით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დევნილების მასიურ და უსაფრთხო დაბრუნებას ითვალისწინებდა. ექსპერტის დონეზე ბატონი ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შეიცავდა ისეთ პუნქტებსაც, რომლებიც აფხაზეთს საქართველოს სამარ-**

თლებრივ სივრცეში მოიაზრებდნენ, მის შემადგენლობაში განიხილავდნენ. ასე, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, უარი ეთქვა მოლაპარაკებების ჟენევისა და მოსკოვის ფორმატებს და შევარდნაძის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი და ინტერნაციონალიზირებული ქართულ-აფხაზური დიალოგი უბრუნდებოდა ისევ აფხაზეთს, თავის პირვანდელი შიდარეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის იერსახეს იძენდა. ეს კი კონფლიქტის მოგვარების არსებული ფორმატის რღვევას ნიშნავდა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა. მოსკოვისა და ჟენევის ნაცვლად, ქართულ-აფხაზური დიალოგი სოხუმში და გალში გადმოდიოდა და, შეთანხმების თანახმად, პირველი ასეთი შეხვედრა კვირის ბოლოს გალში უნდა გამართულიყო! **მაგრამ შევარდნაძე, ეს „დიდი“ პოლიტიკოსი არ ღებულობს დოკუმენტის ქართველ თანაავტორს, თქვენს მონა-მორჩილს, არ ინტერესდება მხარეების მიერ შემუშავებული და შემოთავაზებული დოკუმენტით, რადგან ყოველივე ეს ხდებოდა მის გარეშე, რაც ჩრდილს აყენებდა და აკნინებდა, ალბათ, მისი აზრით, მსოფლიო დონის პოლიტიკოსის ავტორიტეტს. ხოლო მისი გარემოცვა (თ.ნადარეიშვილის დივერსიული ჯგუფი) ორი დღით ადრე გალის შემოგარენში აწყობს უპრეცედენტო ტერაქტს, რის შედეგადაც იღუპება აფხაზური მილიციის შვიდი მაღალჩინოსანი და ასე იშლება შეხვედრა გალში და, მასთან ერთად, მხარეებს შორის ყოველნაირი შეხვედრები და დიალოგი. შეიძლება აფხაზეთის პრობლემების მოგვარების საკითხი სრულებით არ შედიოდა ამ „დიდი“ პოლიტიკოსის გეგმებში. ვინ იცის, ვინ გვეტყვის სიმართლეს?! თუმცა მისი პოლიტიკური ხელწერა და მის მიერ დაშვებული მიუტევებელი, ღალატის ტოლფასი შეცდომები შეუცდომლად ღაღადებენ ამაზე.**

აი რა შეუძლია ამპარტავან პიროვნებას და მის ავადმყოფურ ამბიციებს!

აფხაზურ მხარესთან შეხვედრების და დიალოგის მთავარი

და ძირითადი თემა იყო და იქნება ყოველთვის, რა თქმა უნდა, დევნილების დაბრუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა. შ., მაგრამ იყო ასევე თემები და საკითხები ამ ძირითადი და გლობალური პრობლემის შიგნით, რომლებიც საუბრის მიღმა რჩებოდნენ, ხოლმე, არადა, მათი გამოყენება, მოშველიება ძალზე მომგებიანი და მნიშვნელოვანი იყო, ზოგჯერ გადამწყვეტიც კი. აფხაზური მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთან, ბატონ კონსტანტინ ოზგანთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ჩემი არაერთგზის შეხვედრისას (ადლერში, ბამბორაში, სოხუმში და ა. შ.), **როდესაც ვიხილავდით საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საკითხებს, ჩამოვარდა საუბარი აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფაზე. იმხანად ისინი უყოყმანოდ თმობდნენ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიებს ღალიძგამდე – ძველი სამურზაყანოს ტერიტორიას, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას.** რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კონსტანტინ ოზგანის მოსაზრება არ იყო. ასეთი მოსაზრება არაოფიციალურ საუბრებში ბევრჯერ გამოუთქვამთ აფხაზური მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის, დეპუტატებსაც. მაგრამ ახლა ეს საუბარი ოფიციალურ ხასიათს იძენდა და საკითხი იხილებოდა ჩვენ მიერ. ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითი იყო, თუმცა, **რადგან საუბარი ჩამოვარდა აფხაზეთის დანაწევრებაზე, შევახსენე ჩემს ოპონენტს, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისას აფხაზეთს არ ეკავა ის ტერიტორია, რომელიც უჭირავს დღეს. იმჟამინდელ აფხაზეთს გაცილებით მცირე ტერიტორია ეკავა, რადგან, არა მარტო „სამურზაყანო“, არამედ ძველი საბედიანო, სადაც განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე, დალის (კოდორის) ხეობად წოდებული ტერიტორია, სამეგრელოს პროტექტორატით, გაცილებით ადრე შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.** მოკლედ, დაწვრილებით მოვახსენე ბატონ ოზგანს,

რომ აფხაზეთი, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის (აფხაზეთის სვანეთითა და ტყვარჩელით) რაიონების ტერიტორიების გარეშე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში შორეულ 1810 წელს. აფხაზებს უპირველეს არგუმენტად მოჰყავდათ რუსეთთან მათი შეერთება საქართველოსგან დამოუკიდებლად, მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ ბატონი ოზგანი გაცილებით კომპრომისული აღმოჩნდა და დიალოგმა მიიღო უფრო მშვიდი, კონსტრუქციული ხასიათი. **საუბარი უკვე დაიწყო გუმისთის იქით (სოხუმის გამოკლებით!) მდებარე ტერიტორიების გამოყოფასა და ამ ტერიტორიებში აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე.** ამ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის ორი კომპრომისული ვარიანტი, რომლებზეც კონფიდენციალურად მოვახსენე შევარდნაძეს, მაგრამ მან ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, უკომენტაროდ დატოვა – როგორც იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა, მეორედან კი გამოუშვა. არადა, ჩვენ მიერ, ოზგანთან ერთად, შემუშავებული პროექტები აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის, მათ შორის, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, მეტად საინტერესო და ყურადსაღები იყო.

რადგან ეს პროექტები თავის დროზე არ იქნა მიღებული, აღნიშნულის შესახებ არსად მითქვამს. ინფანტილურ სააკაშვილთან ამ საკითხზე საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, უაზრობა იყო!

გადავწყვიტე, აფხაზეთის პრობლემების მოგვარების ჩემეული ხედვა და მიდგომა, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გამეზიარებინა ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, მაგრამ, მისი დაპირების და ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, უკვე მესამე წელია, აუდენციას ვერაფრით ვაღწევ.

და ბოლოს, დასკვნის სახით, მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ **მხოლოდ დაშვებული შეცდომების გონივრული განსჯითა და გათვალისწინებით, მათი ახლებურად დანახვით და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთისკენ მიმავალი გზებისა და ხიდების აღდგენა და მათზე გავლა. მხოლოდ სიმართლის აღიარებით და მონანიებით შეიძლება მივუახლოვდეთ პრობლემას და მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას აფხაზების წარმომადგენლებთან ერთად. აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით და მათი შემორიგებით! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზ ხალხთან ნდობის აღდგენით, მათი ნებითა და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია – სხვა გზა ჩახერგილია!**

ასეთია ჩემი ხედვა, მიდგომა და გამოცდილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შეიძლება აქ ბევრი რამ საკამათო და მიუღებელი იყოს ფსევდო და ურა-პატრიოტებისთვის, მაგრამ მიმაჩნდა და დღესაც ვთვლი, რომ არსებულ პრობლემებს მოაგვარებს მხოლოდ დაშვებული შეცდომების აღიარება, მათი გონივრული ანალიზი, პერსპექტივის ახლებურად დანახვა და გააზრება. საღი აზროვნება და გონივრული კომპრომისი პრობლემების მოგვარების ერთადერთი სწორი გზაა!

ნაპო მესხია

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, NN 31-33, 2014 წ
გაზ. „ილორი“ NN 285-288, 2014წ.

ბოლოთქმა

სათქმელი, რაც დამიგროვდა, აგრეთვე საქმე, რომელსაც შევალიე ჯანი და ენერგია, ფაქტობრივად წარმოდგენილია ჩემს პუბლიკაციებში. მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია წინამდებარე გამოცემაშიც. ამდენად, შეიძლებოდა ბოლოთქმა წიგნისთვის არც დაგვერთო. მაგრამ რამდენადაც საკითხი ეხება საქართველოს უახლოესი წარსულის ყველაზე ტრაგიკულ ქრონიკას და ჩვენი ქვეყნის მომავალს, საჭიროდ მიმაჩნია გაგიზიაროთ ხანგრძლივ ფიქრსა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ზოგიერთი მოსაზრება, ტკივილი და საწუხარი, რომელსაც უბით დავატარებ. ორიოდ ბნკარი დღევანდელობასაც უნდა დავუთმო.

ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის გათვალისწინებით, ამის შესაძლებლობა სხვა დროს შეიძლება არც მომეცეს.

ადრე ამას ვერც წარმოვიდგენდით, მაგრამ დღეს უკვე ყველა ხედავს, საკუთარ თავზე გრძნობს, რომ გლობალური ინტერესებით ინსპირირებულმა ძალებმა მოახერხეს კავკასიაში მოძმე ხალხების ერთმანეთზე გადაკიდება და აქ ჯერ-ჯერობით გონიერებაზე უგუნურება ზეობს.

გარე ინტერესების არსებობა სრულებითაც არაა გასაკვირი და არც მოულოდნელი. უბედურება იმაშია, რომ მათი დასაყრდენი შიგნითაც ყოველთვის არსებობს. სწორედ, **„შინაურმა» უგუნურობამ, ეთნიკური თუ პოლიტიკური ძალების ურთიერთდაპირისპირებამ, საკუთარი ხელისუფლების არაკომპეტენტურობამ, მედროვეთა მიერ თანამდებობებსა და პირად კეთილდღეობაზე დახარბებამ განაპირობა მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელება - ხანგრძლივად დაგვაშორისა მოძმესა და ნათესავს, დაგვაკარგინა ზღაპრული წალკოტი.**

გონიერი ხელისუფლის ვალია სახიფათოდ გამიზნული დინებების დროული გამოვლენა და თავიდან აცილებაა. მაგრამ საუბედუროდ, ჩვენთან ხელისუფლება თავად აღმოჩნდა საუკუნის ტრაგედიის ინიციატორიც და მძევალიც. ცხადია, ამ უბედურებას გააჩნდა სხვა შემადგენელიც. მათ შორის, ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანი აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის შეგნებული დამახინჯება იყო. ამ „სატყუარამ» კარგად იმუშავა.

სპეცსამსახურების მიერ შემოგდებულ აფხაზთა ეთნოსის გაუკუღმართებას, გადამთიელ მეცნიერებთან ერთად, ქართველ მკვლევართა გარკვეულ ნაწილმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. **ი. ვორონოვისა** და **გ. ტურჩანინოვის** ყბადაღებული თეორიები, საკუთარი ქვეყნის სამტროდ, მხოლოდ ბოროტი პოლიტიკური ზრახვების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად იქნა გამოყენებული.

უაზრო და გაუთავებელმა კინკლაობამ აფხაზების აბორიგენობისა და უსაფუძვლო რიტორიკამ იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს ისტორიული ოლქად მოიხსენიება, გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზების განდგომასა და მათი ქართველ ხალხთან შეუთავსებლობის საქმეში. ამასთან, ქედმაღლურ-ამპარტავნულმა აქცენტირებამ ქართველების დომინანტურ როლზე ყველა დანარჩენის, მათ შორის ეთნიკური აფხაზებისა და მეგრული მოსახლეობის მიმართ, კიდევ უფრო გაამწვავა არსებული ურთიერთდამოკიდებულება.

მხარე, სადაც სიყვარული და პატივისცემა სუფევდა, სტუმარს ღვთის კაცად თვლიდნენ, მოყვარისთვის გვერდში დგომა, ჭირ-ვარამის გაზიარება იცოდნენ, ნაპერწკლისგან მზაკვრულად აალებულ ცეცხლში გაეხვა.

აფხაზეთში ომის გარდაუვალობა არც არსებობდა, თუმცა სხვა გზა შეგნებულად მოიკვეთა. **ქართულ მხარეს - საქართველოს ხელისუფლებას არც ომამდე, არც ომის დროს და არც მის შემდეგ არავითარი კონსტრუქციული დიალოგისთვის არ მიუმართავს, არანაირი წინადადება არ შემოუთავაზებია აფხაზური მხარისთვის. პირიქით, ის თავიდანვე დაადგა პოლიტიკური დაპირისპირების, მისი გაღრმავების, სამხედრო კონფრონტაციის გზას და ბლოკავდა აფხაზური მხარის ყოველნაირ მშვიდობიან წამოწყებას - ჯერ პრობლე-**

მების მშვიდობიანი მოგვარების მცდელობებს და შემდგომ ომიდან გამოსვლის მათ წინადადებებს. ამიტომაც დავკარგეთ აფხაზეთი!. სწორედ ამიტომ არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ აფხაზეთი გასხვისდა.

ეს უგუნურობის გაკვეთილად უნდა მივიღოთ და მუდმივად გვახსოვდეს!

თუმცა, ვის რა უნდა მოჰკითხო, ქართველ სწავლულთა ნაწილი დღესაც „უცხო ბატონს" მსახურობს; დღესაც გრძელდება აფხაზთა ჩამომავლობის და საცხოვრისის შესახებ ისტორიის გადასხვაფერება; დღესაც არავინ ცდილობს გაირკვეს, რა მოხდა იქ და სახელი დაერქვას ყველაფერს, რათა მომავალმა თაობამ არ გაიმეოროს დაშვებული შეცდომები; დღესაც არ მიმდინარეობს დიალოგი და არ ჩანს სრული მობილიზება აფხაზეთში აფხაზებთან დასაბრუნებლად; დღესაც მხოლოდ მტრის ხატს ეძებენ მეზობლებთან და აგრესორად აღიარების რიტორიკით არიან დაკავებული, რაც დაუშვებელია. მე ამაზე საკმარისად ვთქვი და დეტალების გამეორება შორს წაგვიყვანს. მაგრამ არ მასვენებს ამ ტრაგედიის მომავალი შესაძლო გაგრძელების საშიშროება და ავი წინათგრძნობა მაიძულებს გითხრათ: **სამეგრელოსთან დაკავშირებითაც ინტენსიურად მომდინარეობს ბოროტი ჩანაფიქრის აგორება და საჭიროა მისი აღკვეთა.**

თავიდან მე ასეთი საკითხები არ მაწუხებდა და მათი გააზრებისთვის დრო არც მრჩებოდა, უფრო პროფესიული საკითხების სრულყოფის კვლევა-ძიებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმეებით ვიყავი დაკავებული, მაგრამ ახლა, როცა გამოვლილი მაქვს ათასი ჭირი, წლებმაც დამატყო ამაოება, ფიქრისთვის და განსჯისთვის მეტი დრო მაქვს, ვაკვირდები მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ინტუიტურად ვგრძნობ მოსალოდნელ საფრთხეებს.

ავის მომასწავლებელია მეგრულ ენაზე ატეხილი პოლემიკა, კოლხური კულტურის, მისი დიდების დაკნინება, „მეგრული სეპარატიზმის" ძიება და საერთოდ, ისტორიის ყოველგვარი დამახინჯება.

არარსებული მეგრული სეპარატიზმის ამოშანთვა იყო სამეგრელოს არაერთგზის აწიოკების და გაჩანაგების მიზეზი აფხაზეთში ომის დაწყებამდე. თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის თავაშვებულმა ფორმირებებმა, „მხედრიონმა" და ხუნტის სხვა ბანდებმა ამ აბსურდული ჩანაფიქრის გამო, არაერთგზის დაარბიეს, ძარცვეს სამეგრელო, სულში ჩააფურთხეს, შეურაცხყვეს. მეუღლის, ძმის, ვაჟების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ ქალებს. დუტუ მეგრელის (ხოშტარიას) ლექსის პერიფრაზით: **„...ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა"**, მარშირებდნენ და თარეშობდნენ.

ამით ზურგი მოერღვა აფხაზეთის პრობლემას.

შეიარაღებული ქართული სამხედრო ნაწილები როცა სოხუმიდან გამოიქცნენ, აფხაზეთში ქართული მოსახლეობა (95% მეგრელები) - დიდი და პატარა გააფთრებულ მტერს პირისპირ შეატოვეს. არავინ იტვირთა კოდორთან 300 კაციან აფხაზური დაჯგუფების განეიტრალება, რათა დევნილ მოსახლეობას ოჩამჩირიდან მოკლე გზით გამოეღწია სამშვიდობოს. მათ მხოლოდ საკენ-ჭუბერის გზა - მეორე ჯოჯოხეთი უნდა გამოევლოთ, სადაც ბევრმა შიმშილსა და სიცივეში დალია სული, ბევრ მათგანს მძარცველმა წაართვა ბოლო ნუგეში, ნაწილი სამუდამო ხეიბარი დარჩა.

ჯერ კიდევ მაშინ, ასეთმა დამოკიდებულებამ მაფიქრებინა, რომ კოლხურ მოსახლეობას ექცეოდნენ, როგორც არაქართველებს. მეგრელები, დანარჩენ ქართველობას არ მიაჩნია ქართველი ერის სრულფასოვან ნაწილად. საკუთარი ერთიანი ეროვნული სხეულის ნაწილს ასე არ ექცევიან. ეს შემაძრწმუნებელი აზრი თანდათანობით ილექებოდა ჩემს ქვეცნობიერში. შეიძლება გამაოგნებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ დავრწმუნდი, რომ **მეგრელებისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი არაუკანასკნელი ფაქტორია აფხაზეთის დაკარგვაში. ეს სიმართლეა!**

ისტორიულად, აფხაზეთი არასდროს არ ყოფილა ლიხს იქითა ხალხის პრობლემა. მას ყოველთვის არეგულირებდა მეზობელი სამეგრელო. როცა ეს მისია უარყვეს და წაართვეს

სამეგრელოს, აი, სწორედ მაშინ დაიკარგა აფხაზეთი.

მეგრელ ხალხს უნდა აღუდგეს თავისი ისტორიული, აფხაზეთის საქართველოსთვის შენარჩუნების მისია, თუ გვინდა ერთიანი საქართველო. ეს უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს!

სამწუხაროდ, სამეგრელოსთვის მისიის აღდგენის ნაცვლად, საპირისპირო პროცესებთან გვაქვს საქმე.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მეგრელები არიან. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ სხვაზე მეტად გაუცხოვებულნი და გულნატკენნი საკუთარ ქვეყანაში დევნილის ისედაც გაუსაძლისი ყოფით. კვლავაც გაისმის მათ მიმართ შეურაცმყოფელი მიმართვები და ლანძღვა-გინება. მეგრულ ენაზე მეტყველებას საძრახისად უთვლიან. არ მოსწონთ: სახარება და „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად რომ ითარგმნა; ტაბუდადებულია ის ფაქტი, რომ აკადემიკოს ამირან ცამციშვილი-ფიცხელაურის ფუნდამენტალური კვლევის მიხედვით, „ვეფხისტრაოსნის“ ავტორად შოთა (იოანე) დადიანი სახელდება.

დღეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უარყონ მეგრელი კაცის ენა, აიეტისა და მედეას ენა, იბერიის ენა.

განსაკუთრებული აგრესიულობით მიმდინარეობს ქართველურ ენათა თეორიის უარყოფა. წინარექართველური ფუძეენის განშტოება: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები საუკუნეთა განმავლობაში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ და ისტორიამ არ იცის მათ შორის გაჩენილი შუღლი. მეგრულ-ჭანური და სვანური ენები ქართული სალიტერატურო ენის ულევი სალაროა, ფასდაუდებელი საგანძურია, სიბრძნეა, კაცობრიობის ისტორიის მემატიანეა. ამ ენებშია შემორჩენილი სიტყვები, რომელიც სამყაროს შეცნობის გასაღებს წარმოადგენენ.

აი, ასეთ ენას გვიწუნებენ...

სისხლ-ნათესაური კავშირი, სულიერი, მეგობრული ურთიერთობა რომ გვაკავშირებს აფხაზებთან, ეს არის თურმე საშიში და საფრთხის შემცველი. თურმე, ჩვენში ბავშვი მეტყველებას მეგრულ ენაზე იწყებს და მეგრელები სახლში

მეგრულად რომ საუბრობენ, ეს არის სეპარატიზმი და სირცხვილი.

ჰოი, უმეცრებავ, სხვა რაში უნდა გამოვლინდე, აბა?!..

კიდევ კარგი, ყველა ასე რომ არ ფიქრობს.

„ის კი არ არის სირცხვილი, მეგრულად რომ საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული“ - აი, რა თქვა ბრძენმა აკაკი შანიძემ.

ეს ხალხი არ კითხულობს, რა თქვა ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ივანე ჯავახიშვილმა, სხვებმა - მოაზროვნე და ერის სახეებმა.

ამ ხალხმა არ იცის სამეგრელომ, მეგრელმა ხალხმა შეგნებულად რომ დათმო თვითმყოფადობა, თავისთავადობა, ენა და სახელმწიფოებრიობა - ყველაფერი ის, რაც გააჩნდა, მოუპოვებია კოლხეთს (სამეგრელოს) თავისი ხანგრძლივი დიდების ზეობის მანძილზე, მან დათმო ყველაფერი ერთიანი და ძლიერი ქვეყნის - ერთიანი საქართველოს იდეისათვის.

დღეს, მიჩქმალულია და არ ახსენებენ, რომ საქართველოს განმანათებლის წმინდა ნინოს ენა იყო ლაზ-ჭან-მეგრული, რომ ის ჭანი ცუცანასა და ჭანი ზაბილონის შვილია; რომ წმინდა გიორგი, რომლის კულტი ყველაზე მაღალია და რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი ქვეყანა, ასევე ჭანი იყო; დაჟინებით არ ამბობენ, რომ კაპადოკია, საიდანაცაა წმინდა ნინო, ზღვისპირა ჭანეთია (ასე სპარსელები უწოდებდნენ ზღვისპირა ჭანეთს კაპადოკიას - ლამაზი ცხენების ქვეყანას). **რატომ ადევს ტაბუ ჭანეთს? რატომ მკვიდრდება მისი სპარსული დასახელება?. იმიტომ ხომ არა, მავანს არ აწყობს, წმინდა ნინო, ქართლის განმანათლებელი, ჭანური წარმოშობის რომ იყო?!. რა არის სათაკილო ან დასამალი იმაში, რომ ოდესღაც ჩვენს ქვეყანას ერქვა იბერია, სადაც ურთიერთკავშირის ენა იყო იბერიული, მეგრული?!.** მაშინ, როდესაც ყველა წამყვანი ქართველი მეცნიერი (დიმიტრი ბაქრაძე, ნიკო ბერძენიშვილი, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ვარდლამ თოფურია, თამაზ გამყრელიძე, არნოლდ ჩიქობავა) აღიარებს, რომ იბ-

ერია მეგრულ-იბერიულ ენაზე მეტყველებდა, რატომ არის, რომ ფსევდომეცნიერების, ტარიელ ფუტკარაძის, თეიმურაზ გვანცელაძის, ანანია ჯაფარიძის და სხვათა საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულირება, ლამისაა სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა (?!).

ფსევდომეცნიერების მცირე ჯგუფის მიერ მეგრულ-ჭანური და სვანური ენების დიალექტებად, კოლო-კავებად წარმოდგენის ამ მეცნიერულად გაუმართავ და იდეოლოგიურად საშიშ აგრესიულ ახირებას ეკლესიაც - საპატრიარქოც სრულიად გაუმართლებლად შეუერთდა. განსაკუთრებით საგანგაშოდ მეჩვენება, რომ საპატრიარქო არა თუ ჩაერთო კამათში, არამედ არბიტრის ფუნქციაც კი აიღო. სამწუხაროა, რომ მათ შეცდომაში შეიყვანეს პატრიარქიც, რომელიც გვაფრთხილებს მეგრულ სეპარატიზმზე და მოგვიწოდებს აზროვნებაშიც კი რა დავუშვათ, მეგრული რომ ენაა.

პატრიარქს მოწიწებით და თაყვანისცემით ექცევიან. მას ყველა ეთანხმება მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებენ. მისი ნათქვამი ავტორიტეტულია და გადამდებია, მაგრამ ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ **მისი მაღალი ავტორიტეტი, ამ შეთხვევაში, საქვეყნო საქმეს არ ემასხურება.**

სწორედ ეს ბადებს საწინააღმდეგო გრძნობებს, საწინააღმდეგო ქმედებას, რომელსაც მერე სეპარატიზმს არქმევენ სახელად. აი, ამის პრევენცია უნდა იყოს საპატრიარქოს და მისი სინოდის მთავარი საზრუნავი და არა კვაზიმეცნიერების მიერ ისტორიული წარსულის დამახინჯების მხარდაჭერა, ფსევდოისტორიული დოკუმენტის - „ქართლის ცხოვრების“ გადაწერა-განახლება და ტირაჟირება.

მეგრელების მიმართ შეუთავსებლობა ვლინდება ისტორიის ყოველ მონაკვეთზე არა მარტო ენისა და მისი მენტალიტეტის უარყოფაში ან მის დაკნინებაში, არამედ ისეთ პრინციპულ საკითხშიც კი, როგორიცაა საქართველოს გაქრისტიანება.

ცნობილია, რომ წმინდა ნინომ გააქრსტიანა აღმოსავლეთი საქართველო - მაშინდელი იბერიის ლიხს იქითა ნაწილი

და არა მთლიანი ქვეყანა.

მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა ნინომ თავის თანამგზავრთან, რიფსიმესთან ერთად, ხოფასა და აჭარის გავლით და კოლხეთის გვერდის ავლით, აიღო გეზი პირდაპირ **აღმოსავლეთ იბერიისკენ. მას მცხეთაში** ეგულებოდა ჭანი ქალი, მეფე მირიანის მეუღლე - დედოფალი ნანა.

ამის გათვალისწინებით, 337 წელს დაჟინებით თვლიან საქართველოს მოსახლეობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის წლად. სინამდვილეში კი, სანამ იბერიის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გამეფებული იყო მაზდეანობა და კერპთაყვანისმცემლობა, გაქრისტიანდებოდა და მეფე მირიანი გამოაცხადებდა ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად, მანამდე ბევრად ადრე - თითქმის სამნახევარი საუკუნით წინ დასავლეთი იბერია უკვე იყო ქრისტიანული სამყარო, სადაც არაერთგზის იმყოფებოდნენ მარიამ ღვთისმშობლის მიერ სწორედ კოლხეთში, მის წილხვედრ მიწაზე გამოგზავნილი ქრისტეს მოწაფეები, ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, რომელიც განისვენებს ახალი ათონის მონასტერში.

ცნობილია, ისიც რომ ქრისტიანთა პირველ კრებაზე ნიკეაში, 325 წელს წარმოდგენილი იყო სწორედ მაშინდელი დასავლეთ საქართველოს (ეგრისის), კერძოდ, პიტიუნტის (პიცუნდის) ეპისკოპოსი სტრატოფილე და არა სხვა ვინმე.

...და მაინც, დაჟინებით **ეყრდნობიან** ანონიმი ავტორის, ვინმე სომეხი ლეონტი მროველის ნაბოდვარ **ფსევდოისტორიას, „ქართლის ცხოვრებას“,** სადაც საქართველოს მატიანე მთლიანად გაყალბებულია, კოლხეთის დიდება და წარსული კი **სრულიად იგნორირებულია.**

რატომ ხდება ასე? ვის აწყობს ეს, რა მზაკრულ ჩანაფიქრს ემსახურება ასეთი რიტორიკა? **აქ უნდა დაფიქრდეს ქართველი ხალხი - სისხლ-ხორცით ქართველები და მიხვდეს რა არის ჭეშმარიტად საფრთხის შემცველი.**

ფაქტობრივად, საქართველო და ქართული სახელმწიფოებრიობა დგას ლაზ-მეგრელთა ისტორიაზე - „კულხა“, „კოლხასა“ და ძველი იბერიის მხრებზე, რომლის სახელმწიფო ენა

იყო იბერიული - მეგრული. ეს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურია და საამაყო - არასაქილიკო, დაპირისპირების საგანი, ან თუნდაც ერთიანობის ხელშემშლელი.

გამოცდილება მიდასტურებს და ზოგადადაც აღიარებულია, რომ ენის სტატუსით მანიპულირება და საენათმეცნიერო საკითხების იდეოლოგიზება, მეცნიერული საკითხის პოლიტიზება, მით უმეტეს, ეკლესიის ჩართვა საეჭვო და ქვეყნისთვის საზიანო საქმეში, არსად არ ყოფილა წარმატებული და არც ჩვენთან მოიტანს სიკეთეს.

ეს შეგონებაც უნდა გვახსოვდეს!!!

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, იმედით ველოდით, რომ სამართალი და სიმართლე აღდგებოდა საქართველოში, სამართლებრივი შეფასება მიეცემოდა ყველაფერს, რაც მოხდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და მის შემდგომ, აღუდგებოდა შელახული უფლებები მოქალაქეებს, მაგრამ ამაოდ! **ხელისუფლებაში დარჩენ ნაციონალური მოძრაობის ნარჩენი ულტრა-მემარცხენე ძალები, რომლებიც თითქოს ოპონენტების სახით, აგრძელებენ ქვეყნისადმი მოღალატეობრივ პოლიტიკას და ქართველ ხალხს მიაქანებენ ე.წ. „დასავლური ფასეულობების“ სამყაროში, სადაც ქართული ცნობიერების, ზნეობის და მენტალიტეტის აშკარა შეუსაბამობაა, სადაც, თითქოსდა, ადამიანის „უზენაესი უფლების“ დაცვისა და დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით, ზეობს ისეთი ამორალური, მართმადიდებლური კულტურისა და მენტალიტეტისთვის მიუღებელი ინსტიტუტები, როგორიც მამათმავლობა, ლესბოსელობა - ერთსქესიანი ქორწინება და სხვა.**

ეს სერიოზული საფრთხეა და აქედან შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ღრმად და საფუძვლიანად უნდა ჩავიხედოთ აფხაზეთის ტრაგედიის ისტორიულ გენეზისში და დაშვებულ საბედისწერო შეცდომებში.

ყველაფერი ეს ურთიერთ მიზან-შედეგობრივ ურთიერთობაშია და, როდესაც შექმნილი ვითარების მიზეზი და ხელშემწყობი ფაქტორები ცნობილია, გამოსავალიც დაშვებული შეცდომების აღიარებასა და მონანიებაში უნდა ვეძიოთ!

დღეს მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ შეცდომებისა და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი ჩვენს ხალხებს შორის გაუცხოების პროცესის შენელება, შერიგება და ნდობის აღდგენა. ამაში წამყვანი როლი კოლხეთის მოსახლეობამ უნდა იკისროს. სხვა ამას ვერ შეძლებს, ვერ გააკეთებს.

აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური აფხაზების ნებითა და მათთან ერთად. უნდა დავიბრუნოთ არა აფხაზეთი, არამედ აფხაზები!

ეს შესაძლებელია რუსეთთან კეთილმეზობლურ და მეგობრულ პირობებში და იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება მისცემს პოლიტიკურ-სამართებლივრ შეფასებას ყველაფერს იმას, რაც მოხდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ სამეგრელოსა და აფხაზეთში, აღიარებს თავის წინამორბედი ხელისუფლებების უგუნურ, მოღალატეობრივ საქმიანობას და ბოდიშს მოიხდის საკუთარი ქვეყნის და ხალხის, მათ შორის ეთნიკური აფხაზების წინაშე. მაშინ, როდესაც აღიარებს არა კვაზიდასავლურ, არამედ საკუთარი ხალხის ქრისტესმიერ ფასეულობებს - აღიარებს დაშვებულ შეცდომებს, მოინანიებს საკუთარ ცოდვებს და ბოლოს ბოდიშს მოუხდის ყველას მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო.

უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომების აღიარება და ბოდიშის მოხდა არ არის ქვეყნისა და ხალხის დამცირება, არამედ ჯანსაღი გონიერებისა და მაღალი სულიერების მაჩვენებელია.

აი, ეს იყო ის, რაც უნდა მეთქვა ბოლოსიტყვაობაში.

მე წავალ, როცა უფალი ინებებს, წავალ ვალმოხდილი ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის წინაშე და, თუ ვინმე ყურად იღებს ჩემს მოსაზრებებს, საფრთხეებზე მინიშნებებს, რაც მტანჯავდა და მკერდით დავატარებდი, ეს სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ჩემმა შთამომავლობამ აუგად არ მომიხსენიოს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ნაწილი VI
შბრიხები პორტრეტისთვის

ნაპო მესხიას პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასებები

АКАДЕМИЯ МЕДИЦИНСКИХ НАУК Р.Ф.
ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ И ОРДЕНА ДРУЖБЫ НАРОДОВ

НАУЧНО - ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ НЕЙРОХИРУРГИИ
ИМ. АКАДЕМИКА Н.Н. БУРДЕНКО

Телефоны

Адрес 125047, Москва, ул. Фадеева, д. 5	Директор 251-03-10	Зам. Директора по лечебной части 251-05-02	Бухгалтерия 251-03-72
	Зам. Директора по научной части 251-03-42	Зам. Директора по адм.-хоз. части 251-35-42	Канцелярия 250-10-07

№ 23/6

December 7, 1995

To whom it may concern.
Re: letter of recommendation

Dr. Napoleon S. meskia was a director of the Neurosurgical Center in Sukhumi, the Republic of Georgia. He had his neurosurgical residency in Burdenko Neurosurgical Institute, where he was working from 1966 till 1978. In our institute Dr. Meskia was shaped as neurosurgeon and physician. He also successfully defendend his dissertation.

Starting in 1979 Dr. Meskia founded the Neurosurgical Center in Sukhumi and worked as its director.

Dr. Meskia showed himself as an experienced surgeon with superior skills. Dr. Meskia performed different kinds of operations on patients with brain tumors, vascular and traumatic lesions of the nervous system. His energy and persistence allowed him to use many contemporary and experimental techniques, which significantly improved the results of treatment of cerebral trauma.

He is an author of more than 50 scientific papers. Dr. Meskia proposed the new technique of treatment of chronic subdural hematomas, posttraumatic higromas, and pneumocephalus.

I believe that the experience surgical skills of Dr. Meskia will help him to be the chief of the service.

Alexander Konovalov, M. D.
Professor of Clinical Neurosurgery,
Director of Burdenko Neurosurgical Institute.

თარგმანი:

სარეკომენდაციო წერილი

ჩემი კონცერნის (რუსეთის-სამედიცინო აკადემიის მოსკოვის ნ. ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ინსტიტუტის) სახელით

ექიმი ნაპოლეონი შ. მესხია იყო ნეიროქირურგიული ცენტრის დირექტორი ქ. სოხუმში, საქართველოს რესპუბლიკაში.

თავის ნეიროქირურგიული მოღვაწეობა მან დაიწყო საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა 1966 წლიდან 1978 წლამდე. აქ მან გაიარა მომზადება მედიცინის ამ დარგში და ჩამოყალიბდა როგორც ექიმი-პროფესიონალი. მან აქვე წარმატებით დაიცვა თავისი დისერტაცია.

1979 წლიდან ექიმი ნ. მესხია მუშაობდა მის მიერვე დაფუძვნებული ნეიროქირურგიული ცენტრის დირექტორად ქ.სოხუმში.

აქ ექიმი ნ. მესხია ჩამოყალიბდა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. იგი გამოირჩევა აკადემიური პროფესიონალიზმით და უზადო ქირურგიული ხელოვნებით. დიდი წარმატებით ატარებს სხვადასხვა სახის ოპერაციებს თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნით დასნეულების, სისხლ-ძარღვოვანი სისტემის დაავადებისა და მათი ტრავმული დაზიანების შემთხვევებში. მისთვის ჩვეული ენერგიული შეუპოვრობით და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით, მან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის მკურნალობის შედეგები.

იგი ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტო-

რია. დოქტორმა ნ. მესხიამ შემოგვთავაზა ქრონიკული სუბ-დურალური გემატომების, პოსტრავმული სუბდურალური ჰიდრომებისა და პნევმოცეფალიის ქირურგიული მკურნალობის ორიგინალური მეთოდები.

დარწმუნებული ვარ, რომ დიდი გამოცდილება და უზადო ქირურგიული ოსტატობა დიდად შეუწყობს მას ხელს ნეიროქირურგიული სამსახურის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

ალექსანდრე კონოვალოვი,
მედ. დოქტორი, პროფესორი.
ნ.ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტის დირექტორი

ტექსტი ინგლისურიდანაა ნათარგმნილი
იგი იდენტურია ორიგინალთან.
ორიგინალი თან ერთვის

1995 წლის 7 დეკემბერი.



REPUBLIC OF GEORGIA
MINISTRY
OF HEALTH

№ 81-65 04.12.95

To Mr. Dogan Baran
Minister of health
Turkish Republic

Honourable, Mr. Baran

Ministry of healf of Georgia refers to you with a strong appreciation for the help you and your country provided for the refugees of Abkhazia to mildern their hard financial and phaychological state of being.

The last visit of your Prime Minister Mr. Tansu Chiler to Georgia, which highly appreciated by the population of Georgia once more affirms mutually helpful future cooperations between our countries.

Mr. Baran, being aware of your kind relationships to the refugees of Abkhazia, we allow ourselves intercede for the refugee physician Mr. Napoleon Shalva Meskhia.

Mr. Napoleon Meskhia, born in 1938 is a neurosurgeon of the highest qualification. In the years 1966-78 hi studed and then worked at the world-known N. Burdenko Neurosurgery Institute of the Former Soviet Union (FSU) Academy of Medikal Science in Moscow. Here hi maintained his thesis. Hi is an author of more than 60 scientific works. Hi has inventions in the field of neurosurgery. He has proposed new ways of neurosurgical operations.

Mr. N. Meskhia, in 1987 established a neurosurgery center in Sokhumi.Abkhazia and had been its head for many years. The center was well-known not only inside the country, but also outside its borders. The center curated and practically aulized the western Georgian population.

In the Abkhazia Neurosurgery Center, there was performed the most complex surgeries of the scull-brain, spinal brain and nerves according to the highest world standards. Due to Mr. N. Meskhias long-lasted practical practice and his newly established methods, the mortality rate greatly discreased in the cases of many neurosurgical illnesses, during many

-2-

years mortality, in cases of difficult scull-brain traumatisms 20-29%, while in the leading neurosurgery centers of the FSU it was 35-45%.

As a neuro-clinicist Mr. N. Meskhia distinguished with his high professionalism, punctuality, the highest personal responsibility, ability to comprehend problems, pragmatism and vitious surgical technique, by which he managed to perform operations without losing blood without traumas. Hi is equally capable to perform operations in the cases of skull-brain or spinal brain blood-tube illnesses, also cancer and traumatisms. He also masters neighbouring fields. Namly: clinical neurology, neirorentgenology, angiographic and computer diagnostics, neiroanesthesiology and neiroanimation, also the ways of performing spinal orthopedic operations even from the front side.

Hence Mr. N. Meskhia is a unique specialist. He has a desire and ability together a 5-7 person group of qualificated neurosurgeons and work in the Turkish Republic. Mr. N. Meskhias great practice may turn out to be very fruitful in your country (in its Northern part, considering the language barrier). This, also, will be helpful for interchanging the practical knowledge. That will create a prospective to establish a joint medical service in the future.

With a deep respect, gratefulness and hope of firmer future cooperation.

A. Jorbenadze

Minister of Health

თარგმანი:

ნეიროქირურგ ნაპო მესხიას შესახებ

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო დიდ მადლობას გიხდით თქვენ და თქვენს ქვეყანას იმ ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ გაიღეთ აფხაზეთიდან დევნილებისათვის.

ჩვენ, ვსარგებლობთ რა თქვენთან მეგობრობით, თავს ნებას ვაძლევთ უშუამდგომლოთ აფხაზეთიდან დევნილ ექიმს ბატონ ნაპოლეონ შ. მესხიას.

ბატონი ნაპოლეონ მესხია, დაბადებული 1938 წელს, არის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ნეიროქირურგი. 1966-76 წლებში იგი ჯერ სწავლობდა ხოლო შემდეგ მუშაობდა მოსკოვში მსოფლიოში ცნობილ ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში (ყოფილი საბჭოთა კავშირი). აქვე დაიცვა მან დისერტაცია. იგი ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონებებისა ნეიროქირურგიის სფეროში. მან შემოგვთავაზა ახალი გზები და მეთოდები ნეიროქირურგიული მკურნალობისათვის.

1987 წელს ბატონმა ნ. მესხიამ დაარსა ნეიროქირურგიული ცენტრი ქალაქ სოხუმში (აფხაზეთი) და იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. ცენტრი ცნობილი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ცენტრი მკურნალობდა ფაქტობრივად მთელს დასვლეთ საქართველოს მოსახლეობას.

ამ ცენტრში კეთდებოდა ზურგის ტვინის, ნერვებისა და თავის ტვინის ოპერაციები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ბატონი ნ. მესხიას გამოცდილებისა და მის მიერ დანერგილი ახალი მეთოდების წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობა ბევრი ნევროლოგიური დაავადებების დროს. წლების განმავლობაში სიკვდილიანობა, მძიმე თავის ტვინის ტრავმების შემთხვევებში შეადგენდა 20-25 %,

მაშინ როცა მოწინავე ნეიროქირურგულ ცენტრებში ეს მონაცემი 35-45 % უდრიდა.

როგორც ნეიროქირურგი, ბატონი ნ. მესხია გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, პუნქტუალურობით, უმაღლესი პასუხისმგებლობით, პრობლემის აღქმით, პრაგმატიზმითა და ვირტუოზული ქირურგიული ტექნიკით, რომლის წყალობით იგი წარმატებით ატარებდა ნეიროქირურგიულ ოპერაციებს. იგი ერთნაირი წარმატებით აკეთებდა ოპერაციებს თავის ტვინისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვების დაავადებების, ასევე სიმსივნის და ტრავმების დროს. მან ასევე აითვისა მომიჯნავე სფეროები: კლინიკური ნევროლოგია, ნეირორენტგენოლოგია, ანგიოგრაფიული და კომპიუტერული დიაგნოსტიკა, ნეიროანესთეზიოლოგია და ნეირორეანიმაცია.

შესაბამისად ბატონი ნ. მესხია უნუკალური სპეციალისტია. მას აქვს სურვილი შეკრიბოს 5-7 კაციანი ჯგუფი კვალიფიციური ნეიროქირურგებისა და იმუშავოს თურქეთის რესპუბლიკაში. ბატონი ნ. მესხიას კვალიფიკაცია შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს თქვენი ქვეყნისათვის (მის ჩრდილოეთ ნაწილში, ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით), ეს ასევე სასარგებლო იქნება პრაქტიკული ცოდნის გაცვლისათვის, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალში ერთობრივი სამედიცინო მომსახურეობის დანერგვისა.

ღრმა პატივისცემით, მადლიერებითა და მომავალი თანამშრომლობის იმედით,

ავთანდილ ჯორბენაძე
საქართველოს ჯანდაცვის ექსმინისტრი

УВАЖАЕМЫЙ НОДАРИ ШАЛВОВИЧ!

Прошу извинить за запоздалый ответ на Ваше письмо и отзыв на Вашу книгу. Очень хотелось в спокойной обстановке еще раз её внимательно прочитать, еще раз все осмыслить.

Спасибо Вам за теплые слова в мой адрес, я тоже очень часто вспоминаю Вас, нашу клинику, работу рядом с Вами. Работать в Нейрохирургическом центре было огромным счастьем и вместе с тем очень ответственным делом. Когда меня спрашивали: «Где работаешь, у Месхия?!», ответ всегда сопровождался восторженными словами, настолько известно было Ваше имя, а потому и престижной работа в Вашем центре.

За эти дни я снова прокрутил в голове все воспоминания, связанные с Вами.

Это и момент моего оформления на работу, когда в Минздраве министр А.Э. Акшба мне сказал, что без подписи директора Центра это невозможно, а Арсену Тарба хватило- одной Вашей подписи, чтобы без лишних разговоров оформить меня на работу.

Это и весь период, когда мы остались вдвоем летом и работали по 15-20 дней не выходя из больницы, потому что было много тяжелых больных, и оставлять их нельзя было ни на минуту. Таков был Ваш принцип и отношение к делу.

Это и возможность моей поездки в Москву, куда Вы отправили меня на обучение к профессору Проценко А.И. в 67-ю больницу. Там я освоил новый передний оперативный доступ на шейном уровне позвоночника. Это здорово помогло мне и в Греции. Я продолжил эти операции в усовершенствованном виде.

Это и тот сложный случай, когда я помогал Вам на операции нашего коллеги Гии Хаиндрава – сына небезызвестного

Заура Хаиндрава. Тогда все врачи были против операции, в том числе и реаниматолог, приглашенный из Москвы, а Вы настояли на операции, и, как всегда, оказались правы. Все врачи уклонились от участия в операции, считая, что не следует принимать участие в смерти коллеги. Они по-своему были правы, поскольку Гия был крайне тяжелым **(комбинированная тяжелая черепно-мозговая травма, тяжелый ушиб головного мозга с кровоизлиянием и травматической субдуральной гидромой; множественный двухсторонний перелом ребер с пневмо-гемотораксом, осложненным двухсторнней эмпиемой (нагноением) плевры. Коматозное состояние) -** настолько тяжелым, что любой другой врач не стал бы им заниматься, но Вы заставили открыть операционную и взять больного на операционный стол, а Костоманову приказали: «Вы даете наркоз или снимаете халат и уходите с работы». Операция состоялась, и я ассистировал Вам. После энергичных последующих реанимационных мероприятий свершилось чудо - Гия выжил. После этого он женился и сейчас живет и трудится в Тбилиси, растит троих ребят. Подобных случаев было немало, за что Вас работники аэропорта называли «олимпийским чемпионом». Кто знает, сколько раз смотрели вы смерти в глаза, отгоняли её прочь и обречённых больнёх возвращали к жизни? Кто их сочтёт?! Я это часто вспоминаю и на практике стараюсь быть похожим на Вас.

Вам верили! Разве трудно было Зауру Хаиндрава, начальнику аэропорта перевести сына в Москву на операцию к столичным специалистам? Но вопрос так даже не ставился. Он этого не сделал потому, что верил Вам, вашему высокому профессионализму.

Это и тот момент, когда вы, уезжая в Тбилиси, предложили мне временно исполнять обязанности директора Центра, и коллектив проголосовал: «За».

Это и приятный момент, когда мы вместе ездили в Гали по приглашению родственников по поводу удачной операции.

Я всю жизнь благодарен Вам, благодарен и сейчас, спустя 25 лет за то, что Вы сдержали слово и взяли меня на работу без всяких гонораров (время, когда в Абхазии чтобы устроиться врачом - нейрохирургом, нужны были большие связи). Вы не только сами не брали подношений, но отбили на это охоту и у других (в Минздраве, в Аппарате главврача), и поэтому во всем коллективе, состоящем из 23 врачей и около 80 медсестёр, не было ни одного сотрудника, который устроился бы на работу за деньги. И это достойно отличало Вас как руководителя и человека.

Дорогой Нодари Шалвович! Я очень люблю свой город Сухуми, там я родился, там прошли мое детство и юность, там я закончил школу №17. Это были райские времена, мы никогда не делились по национальному признаку. Со мной дружили Олег Джолия – сын полковника КГБ Маманти Джолия, Нугзар Дидишвили – сын Бориса Дидишвили, начальника ЛОМА, Саша Бобуа - племяник начальника угрозыска Андрея Бобуа, Вазген Казарян – племянник полковника военкомата. В институте я учился с Элгуджей Берия.

Директор школы Ш. Ласурия назначил меня в школе секретарем комитета комсомола и председателем ученического суда. (Ласурия в прошлом был министром юстиции). По соседству с нами жили люди всех национальностей, мы жили очень дружно.

В 1982 году, когда я закончил институт и работал в Казахстане, наш сосед Володя Акубардия взялся познакомить меня с Вами, и мы встретились первый раз в с. Ганахлеба. Я стал переписываться с Вами, но в это время появилась возможность поступить в клиническую ординатуру, там же, в Алма-Ате. Вы дали мне добро и целых два года сохраняли

мне место. Кто только не пытался его занять, но тщетно – Ваше слово осталось «Словом». Являясь человеком, имеющим твердую позицию и никогда не меняющим ее в зависимости от обстоятельств, Вы заслужили мое (я уверен, и многих других) восхищение и уважение.

Я уехал на два месяца в Москву, в Институт им. Н.Н. Бурденко. Попал в 3-е отделение к профессору Габибову. Конечно, это был совсем другой уровень, там мне удалось побывать на операциях и даже поучаствовать в некоторых из них - у А.Н. Коновалова, С.Н. Федорова, Ю.М. Филатова, У.Б. Махмудова, Г.Г. Габибова. Когда мне удавалось поговорить с кем-нибудь из них (а Вы знаете, что это было не так просто), и когда выяснялось, что я родом из Сухуми, они сразу называли Ваше имя и спрашивали, знаком ли я с Вами? Чувствовалось их высокое уважение к Вам, а моей радости не было границ. Тогда я и понял, какую замечательную школу вы прошли: работали и учились рядом с выдающимися нейрохирургами.

Немного о моей работе в Греции. Опухоли IV желудочка, задней черепной ямки, слуховые невриномы, менингиомы в Греции оперируются в столичных клиниках и только двумя - тремя ведущими нейрохирургами. Греки, прежде чем решиться на операцию, должны посетить минимум двух-трех нейрохирургов и только потом решаются на нее. Здесь есть возможность выбора. А качество удаления этих опухолей – это отдельная тема. Здесь оперируют не совсем чисто, много кровят. Операции, в том числе и плановые, протекают часто без тщательного гемостаза, в связи с чем и кровят. Поэтому и переливается кровь, чего у нас в Сухуми я не припоминаю. Вы, я это хорошо помню, эти операции осуществляли бескровно и атравматично. Поэтому и был изумительный успех. А наш успех в случаях тяжелой черепно-мозговой травмы?! Смертность была доведена до 20-25 %

против 35-45 % в лучщих клиниках Союза. Все это было настолько наглядно, что я часто думал, что если бы Вы хотя бы год проработали в Греции, то были бы самым популярным нейрохирургом и миллионером. Но увы, никуда не уйдешь от языкового барьера, гражданства и т.д.

Я оперирую много, и нередко удачная операция заканчивается денежным вознаграждением. Но при этом, я, никогда не называл сумму и не ставил близких больного в затруднительное положение. И это тоже от Вас, Нодари Шалвович!

Никогда не беру вознаграждения с колег, медсестёр, санитарок или людей нуждающихся. Этого же требую от своих коллег, как заведуюший Нейрохирургийеском отделением, на должность которого меня избрали в августе 2012 года на ученом совете больницы. Здесь я снова вспоминаю Вас.

Я помню, как вы безошибочно ставили диагноз по одному неврологическому статусу еще тогда, в докомпьютерную эпоху. Уровень операций, которым Вы владели, был дан не всем, потому что в основном, почти все артериальные аневризмы ушли к оперативным рентгенологам.

Я вспоминаю, как вы относились к коллегам, больным, Вашу строгость, преданность избранной професии. Вы полностью отдавали себя любимой работе, которой посвятили всю свою жизнь и этого же требовали от других.

Наш коллега, великий Илизаров, когда - то сказал, что при приеме студентов в медицинский институт, главным экзаменом должен быть экзамен на «Милосердие».

Все что Вы делали: беседа с родственниками перед операцией, сама операция, послеоперационный период – все было пронизано этим самым Милосердием.

Все это, взятое из «советской школы» врачевания, помогало и помогает мне всю жизнь. Люди принимают такую позицию с благодарностью.

Дорогой Нодари Шалвович! Вы сделали очень много для своего народа, для Республики. При этом было, конечно, и много трудностей, много переживаний и личных трагедий. Об этом знают все. Я часто думаю, как Вы смогли всё это выдержать и выстоять? Другой бы, под тяжестью случившегося, опустился бы или ушел би в себя. Но Вы не только сильный человек, Вы и выдающийся ученый -нейрохирург, какого до Вас не знала ни Абхазия, ни Грузия. Таким Вы и войдете в историю.

Ваше становление как личности и врача, Ваша работа в НИИ нейрохирургии им. акад. Н.Н. Бурденко АМН СССР, создание Нейрохирургического центра Западной Грузии в условиях тотальной бюрократии и оснащение его современным медицинским оборудованием – первым в Грузии компьютерным томографом, реанимобилем, оснащение операционных и реанимационных отделов – это подвиг врача и человека. В этом Вам помогло близкое знакомство с академиком А.Н. Коноваловым, директором Института нейрохирургии им. акад. Н.Н. Бурденко, его теплое отношение к Вам. Он оказал неоценимую помошь Вам в создании Нейрохирургического центра. Он действительно выдающийся нейрохирург и замечательный человек. Я обязательно вышлю ему Вашу книгу и подпишу её от Вашего имени, как Вы и просили. Ему будет очень приятно прочитать те строки, которые Вы посвятили Институту, людям, работающим в нем.

Теперь о войне в Абхазии. Эта трагедия ещё долго будет жить в сердцах людей и не только грузинской и абхазской национальностей. В день, когда началась война, я дежурил в отделении. Я был свидетелем всего того, что происходило в первые, самые трудные дни войны.

В отделении со мной были **Наргиза Харчилава, Нана Угрехелидзе** и другие. 15 августа к нам в Центр пришли

бойцы Абхазской гвардии, вооруженные автоматами. Они упрекнули меня в том, что мы скриваем груыинских раненых разведчиков, на что я попросил их пройтись по всем палатам и убедиться самим в обратном. Что они и сделали в моём присутствии. Молодые и красивые, потом я их видел в моргу у Ш. Гурцкая.

Первые раненые поступили к нам в больницу после первых боев у Красного моста. Помню эти 5 дней, когда город был оставлен на растерзание госсоветовским бандформированиям.

В городе начались грабежи, убийства, насилие. В нашей больнице расквартировались человек 5 - 6, приезжали на танке. Приходилось с ними и пить и наркотики им выдавать. Узнав, что я грек, они не тронули меня, но очен рвались к **Наргизе Харчилава** и **Ляле Джения,** чтобы с ними «разобраться», но мне удалось их отвлечь обещанием наркотиков. Наргиза и Ляля до сих пор не знают об этом.

Сейчас, по истечении стольких лет легко судить, но моё мнение и сейчас остается неизменным: если бы сразу руководство Республики объявило мобилиыацию всех жителей, независимо от национальности, а они начали бы ставить заслоны, строить баррикады и рыть окопы (как во времы второй мировой войны), может война и не продвинулась бы дальше. Конечно, были бы жертвы. Может не надо было помогать пришельцам, выпущенным из тюрем по приказу Китовани и Иоселиани с наказом: идите и берите Абхазию, она богата.

Наша семья тоже была в списке на ограбление, но наш сосед по имени Дуро сказал своим сыновьям, чтобы они не разрешали трогать нашу семью. Он очень уважал моего отца, и еще, я думаю, сыграло решающую поль то, что я работал у Вас. Несколько раз я попадал в перестрелку. Все это время Зоя, моя жена, находилась на последней

неделе беременности и родила 27 августа дочь Марию, которой сейчас 22 года, и она заканчивает университет. В это время в Сухуми начал работать ОВИР для евреев и эстонцев. Я воспользовался этим и сумел поставить печати для выезда в Грецию. 4 сентября в аэропорту меня уже ждали. **Дареджан Бечвая** посадила меня в самолёт на Москву, и мы улетели с маленькой дочкой, которая прожила в Сухуми всего 8 дней. Конечно 20 дней это очень мало, но мне все же пришлось увидеть начало войны в Абхазии.

Помню тот день, когда прошался с Вами у Вас в кабинете и Вы мне сказалиЁ «Уезжай, Панает, но знай твоё место всегда будет тебя ждать». Мы обнялись и растались на целых 7 лет до встречи в Афинах. Тогда я уезжал в неизвестность без денег, без одежды, без знания греческого языка. Я сумел взять только самое необходимое (документы, дипломы).

Абхазы обвиняют нас, греков, в том, что мы не воевали. Греки стали уезжать в Грецию с 1988 года, и в 1992 году уже остались одни старики. Кто бы воевал и с кем надо было воевать? Греки всегда были в хороших отношениях с представителями всех национальностей Абхазии. Мои родители во время взятия Сухуми приатали в подвале соседей всех национальностей. Греков сейчас во всей Абхазии не более 1000 человек, и они живут крайне бедно.

Дорогой **Нодари Шалвович**, Вы очень хорошо описываете историю колхов и роль древних греков в истории Грузии, а также и то, что в 1952 году появилось сфабрикованное **«Менгрельское дело»,** и, что если бы не смерть Сталина, менгрельцы разделили бы судьбу чеченцев, ингушей и турок-месхетинцев. А о греках умалчиваете, хотя они и стояли у истоков создания города Сухуми (Диоскурии, а затем Сухум-кале).

В 1949 году около 30 тысяч греков были высланы из Абхазии в степи Казахстана, а всего было выслано из разных регионов более 100 тысяч греков и 52 процента из них погибли в пути и во время первой очень холодной зимы. Греки и там сумели в сложниых условиях выжить и построить целые города. А в это время в наши дома стали заселять семьи из других районов Грузии. Таким образом изменилась и демография Абхазии. Грузинского населения стало 240 тыс., абхазов - 90, русских - 110, армян - 90, греков – всего 15 тысяч. Греки во время войны 1941 г. Не помогли немцам, как это делали представители других народов. Да, они вели активную торговлю, но не сотрудничали с немцами. Не было греческих частей или отрядов, которые воевали бы на стороне фашистов, как со стороны Советского Союза, так и со стороны Греции. После реабилитации и возврашения греков в Абхазию, им не не возвратили ни дома, ни имущество. Их даже не прописывали в черте города Сухуми.

Это было трудное время. В этом большая вина, конечно, руководителя Республики Мгеладзе.

Но вот прошло уже 60 лет после высылки греков, но никто из грузинских или абхазских писателей не написал ни одной строчки об их высылке. Складывается впечатление, что греки и не жили в Абхазии, нигде о них не упоминается, хотя известно, что в Сухуми самые большие и красивые здания (банка, театра, картинной галереи, горсовета, гостиниц) были построены греками и принадлежали им. Одна из известнейших марок табака - «Самсун» была привезена греками из Турции и культивировалась в Абхазии. В Сухуми даже издавалась газета на греческом языке «Коккинос капнас» (Красный табачник). До 1949 года большая часть жителей города Сухуми говорила на греческом.

О выселении греков с Черноморского побережья очень

хорошо написал в своей книге **«Спецэшелоны идут на восток»** мариупольский грек Иван Джуха (2008 г.). Очень хотелось бы, чтобы Вы её прочитали. Только Боря Чиковани как-то, когда ещё работал с нами, после очередного принятия «дозы», сказал мне: **«Панаёт, извини нас за высылку греков, которую организовал Берия».**

Греки - гордый народ, и всегда пользовались заслуженным уважением жителей Республики, в которой жили.

Когда Шеварднадзе приехал в Грецию получать премию Онасиса - сказал: «Греки более 150 лет прожили в Грузии и фамилии свои не поменяли на грузинский лад, а наши грузины приехали в Грецию и сразу поменяли фамилии на греческий лад». О Шеварднадзе очень хорошо сказал в Вашей книге Жиули Шартава, который заслуживает уважения всего народа Грузии. Очень жаль, что он не успел уехать и героически погиб. О нем до сих пор вспоминают в Абхазии.

Мы, греки, и сейчас, хорошо относимся к представителям грузинской национальностей, приехавшим в Грецию и помогаем им чем можем.

Я был в Сухуми в 2006 году, и когда проезжал возле нашего Нейрохирургического центра, попросил водителя остановиться. Постоял, посмотрел, вспомнил счастливые годы, которые провел в этом Центре.

Я, конечноже, не провидец, но уверен, что пройдут годы, сменятся провители и опять мир на этой земле, между двумя народами и в абхазии будет ездить люди со всего мира. Но уже не будет такого понятия как «сухумчанин».

Судьба Грузии тоже небезразлична для меня. Саакашвили много хорошего сделал для страны, навел порядок, но не надо было по указке Америки рвать отношения с Росией, т.к. решение очень сложного вопроса по Абхазии и Осетии полностью зависит от России, и она никогда не

допустит создания американских военых баз на этих территориях. Силой эти Республики не вернуть. Надо налаживать нормальные человеческие отношения между двумя братскими народами, использовать народную дипломатию, как это пытались сделать Вы во время войны.

Письмо получилось очень пространным, за что приношу свои извинения, но иначе не смог бы высказать все наболевшее.

Редко пишу на руском. Последний раз написал в 2008 году воспоминания о **Коновалове А.Н.** по просбе его биографа.

И еще раз о главной мысли моего письма.

Нодари Шалвович, избранная нами профессия – одна из наиболее сложных и серьезных в медицине, и я не устану повторять, что Вы непревзойденный мастер своего дела.

Но я твердо убежден и в том, что человек любой профессии, тем более врач, в какой бы области он ни работал – прежде всего должен быть Человеком. И я, Ваш ученик, преклоняюсь перед Вашими человеческими качествами.

Как известно, человек должен успеть сделать в жизни три вещи: построить дом, посадить дерево и воспитать детей. Вы успели сделать гораздо больше. И все, что Вы делали: учились, выбирали профессию, создавали семью, помогали нуждающимся в Вас людям выживать и снова радоваться жизни – все это пронизано Вашей порядочностью и человечностью.

А Ваша книга?

О грузино-абхазской войне написано очень много. В этих очерках, статьях, книгах есть и правда, но еще больше вымысла. Ваша же книга «Как отторгалась Абхазия» - это огромный, бесценный труд честного человека и гражданина которым будет пользоваться будущие поколения, чтобы узнать от первого лица Правду, как на самом деле всё

это было. Как достойный гражданин своей страны и настоящий врач, Вы приложили невероятние усилия, чтобы не было войны в Абхазии, не было столько невинных жертв.

Книга о войне, но сколько в ней доброты, простого человеческого понимания.

Меня очень тронули стихи Вашего сына, Темура. Я, к сожалению, не успел с ним познакомиться. Как он нежно и трепетно пишет о своем брате Иракли. Вечная им память!

Очень сожалею о безвременноч кончини Вашеч супруги, которою я очень хорошо помню. Помню и Вашу маму, когда она оперировалась у нас. Мы с Вами вместе были в операционной, когда отключился свет...

Очень рад за Марину, которая подарила Вам замечательных внуков. В Вашей жизни сейчас, я думаю, это самая большая падость и успокоение. Что учатся хорошо, молодцы!

Немного расстоился, когда узнал, что Вы жалуетесь на сердце. Недавно опреировал мужчину 98 лет, который даже не думает стареть. А Вы еше молодой! Ваши знания и опыт еще очень долго будут нужны людям.

А Ваша очень удачная фотография в книге заставляет меня снова и снова возвращаться к тем счастливым годам, которые мы прожили в Сухуми.

Дорогой **Нодари Шалвович**, заканчивая свое письмо, еще раз хочу сказать, что я благодарен судьбе за то, что в моей жизни были Вы: прекрасный Человек и настоящий Врач.

Всегда буду рад видеть Вас в гостях у меня в Греции.

Εμφάνιση ιστορικού μηνυμάτων
Панаиотиси Стилидиси
Неирохирург (Триполи, Греция)

თვალსაჩინო ნეიროქირურგი - ექიმი-ნოვატორი და მშვიდობისმყოფელი

არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან მკვეთრად და ნათლად აჩნევენ კვალს თავისი ქალაქის, მხარის და ქვეყნის სულიერ ცხოვრებას. ერთ-ერთი ასეთი ადამიანია ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი, ბატონი ნაპოლეონ მესხია.

მე მქონდა ბედნიერება მემუშავა მისი ხელმძღვანელობით, მის მიერვე დაარსებულ ნეიროქირურგიულ ცენტრში 1985-1993 წლებში. აღსანიშნავია, რომ იმ დროში საკავშირო ნორმატივებით 10 000 მოსახლეზე გათვალისწინებული იყო 0,2 ნეიროქირურგიული საწოლი. აფხაზეთის 550 000-იან მოსახლეობაზე გეგმით მოდიოდა მხოლოდ და მხოლოდ 10-12 ნეიროქირურგიული (ნეიროტრავმატოლოგიური) საწოლი. ბატონი ნაპოლეონის ძალისხმევით კი, ყოველგვარი ნორმატივების გვერდით ავლით, შეიქმნა ქ. სოხუმში დასავლეთ საქართველოს ნეიროქირურგიული ცენტრი 70 საწოლზე, მათ შორის 6 საწოლი ნეირორეანიმაციის განყოფილებისათვის. ასევე მისი ძალისხმევით ცენტრი აღიჭურვა იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სამედიცინო დანადგარებითა და ხელსაწყოებით: ექსპრეს-ლაბორატორიით, საოპერაციო ბლოკით, საქართველოში პირველი რეანიმობილით და პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიით.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა, რომ ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის შემთხვევებში, მთელი აფხაზეთის ტერიტორიიდან რეანიმაციული ბრიგადების მიერ ავადმყოფების დაუყოვნებელი ტრანსპორტირება ნეიროქირურგიულ ცენტრში და მაქსიმალურად შემჭიდროებულ დროში რეანიმაციული და ქირურგიული დახმარების აღმოჩენა. ამან განაპირობა ის, რომ მძიმე ტრავმების შემთხვევებში, სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაყვანილ იქნა 20-25%-მდე, მაშინ როდესაც იმ დროისთვის ყოფილ საბჭოთა კავშირის წამყვან ნეიროქირურგიულ კლინიკებში ეს მაჩვენებელი 35-45%-ს შეადგენდა.

ცენტრში ბატონ ნაპოლეონის მიერ დანერგილი იყო მკურნალობის ორიგინალური მეთოდები ტრავმული ქრონიკული სუბდურული ჰემატოების და ჰიგრომების დროს. მის მიერვე შემოთავაზებული იყო ტვინის მყარი გარსის დეფექტების შენაცვლება დაბალი ტემპერატურის პირობებში კონსერვირებული ბიოლოგიური ტრანსპლანტატებით. ეს მეთოდი დაინერგა საბჭოთა კავშირის ყველა ნეიროქირურგიულ კლინიკის პრაქტიკაში. მანვე შემოგვთავაზა მეტად ორიგინალური ოპერაციული მიდგომა ტვინის წინა და წინა-შემაერთებელი არტერიების ანევრიზმების დროს და ა.შ. ის მუდმივად ახლის ძიებაში იყო. ჩვენშიც ცდილობდა ამ თვისებების დანერგვას.

აქ ალბათ ოდნავ უნდა შევჩერდეთ, რომ მკითხველმა უკეთ დაინახოს, თუ რანაირ კაცზეა აქ საუბარი. ბატონი ნაპო უთქმელი კაცია, არ უყვარს წარმატებებზე საუბარი და, თუ ვინმე წამოიწყებს ამაზე საუბარს იგი არ მოუსმენს მას და საუბარს გადაუგდებს სულ სხვა თემაზე. ასეთ რამეს იგი სუფრაზეც არ მოუსმენს ვინმეს. ფუტკარივით შრომობდა და, თუ გადაურჩებოდა ავადმყოფებს, წერდა სტატიებს, რომლებიც იბეჭდებოდა მხოლოდ ცენტრალურ ნეიროქირურგიულ ჟურნალ: „Вопросы неирохирургии им. Н.Н.Бурденко“-ში. პირად ტრაგედიამდე ყოველწლიურად აქვეყნდებდა ასეთ 2-3 ორიგინალურ ნაშრომს. ამას ამჩნევდნენ - ცენტრშიც და პერიფერიებშიც, მისი სახელი ცნობილი იყო ნეიროქირურგიულ წრეებში - შორეული აღმოსავლეთიდან ბალტისპირეთამდე.

ბოლო დროს ის გატაცებული იყო ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემით: ქირურგიული შეცდომებით და პოსტოპერაციული პერიოდის გართულებებით. ჯერ კიდევ მოსკოვში ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიულ ინსტიტუტში ასპირანტურაში ყოფნის დროს მიუქცევია ყურადღება, რომ ყოველ წელს ინსტიტუტში, სადაც ყოველწლიურად ტარდებოდა 3-4 ათასამდე ოპერაცია, როგორც წესი, 120-150 შემთხვევაში ავადმყოფებს უტარდებოდა განმეორებითი ოპერაციები, ე.წ. ოპერაციული ჭრილობის რევიზია, ხან ორ და ხან

სამჯერაც კი. ბატონი ნაპო დაინტერესებულა ამ საკითხით და საკუთარ დისერტაციაზე (რომელიც დაიცვა ვადამდე) მუშაობის პარარელურად სწავლობდა, თურმე, ასეთ გართულებულად მიმდინარე პაციენტების ავადმყოფობის ისტორიას და აღმოუჩენია მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც მოითხოვდნენ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ყურადღებას. ეს მას გაუმხელია დირექტორის მოადგილისთვის, ბატონ ალექსანდრ კონოვალოვისთვის. პროფესორ კონოვალოვს ბატონი ნაპო თავისი დამუშავებული ისტორიებით და მოსაზრებებით შეუყვანია ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ა. არუტიუნოვთან. მას მოუსმენია მისთვის და უთქვამს: „Стоит ли, вывешивать свое грязное белье всем напоказ?!“ ყველაფერი გასაგები იყო მისთვის, მაგრამ ბატონი ნაპო იმდენად გატაცებულა ამ საკითხით, რომ გაუგრძელებია ინსტიტუტის არქივში ასეთ ისტორიებზე მუშაობა. გადაუთვალიერებია ათეული წლების განმავლობაში ინსტიტუტში დაგროვილი ასეთი მასალა და გადაუტანია იგი ე.წ. პერფოკარტებზე. შემდგომ მას ეს მასალა მოუყვანია სისტემაში და ასეთი 1700-ზე მეტი შემთხვევა დაუმუშავებია მათემატიკურად თბილისის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. მან დაიწყო შემდგომ აღნიშნულ ჟურნალში ამ მასალის პუბლიკაცია, როგორც საკუთარის, ნაწილ-ნაწილად, რასაც შეუმჩნევლად არ ჩაუვლია და ალექსანრდ კონოვალოვს, უკვე ინსტიტუტის დირექტორს, ერთ-ერთ შეხვედრის დროს უთქვამს ბატონი ნაპოსთვის: „Нодар (ასე ეძახდნენ ბატონ ნაპოს ნეიროქირურგიის ინსიტუტში) **откуда у тебя такое количество собственного материала. Ведь, ты не делаешь столько операций, чтобы иметь столько случаев с послеоперационными осложнениями? Ты так много пишешь об осложнениях, что скоро прийдется в журнале открывать новый раздел: „Ошибки и осложнения в нейрохирургии“.** აი, მაშინ გაუმხელია ბატონ ნაპოს, რომ ეს მასალა მისი ინსტიტუტის იყო და აქვეყნებდა მას, როგორც საკუთარს, რათა

ჩრდილი არ მიეყენებინა ბურდენკოს სახელობის ინსტიტუტის კოლექტივისთვის. კონოვალოვი გაოცებულა და უკითხავს, თუ რას აპირებდა ბატონი ნაპო მომავალში. მაშინ ბატონ ნაპოს უთქვამს, თუ იქნებოდა მისი, ე.ი. ალექსანდრ კონოვალოვის თანხმობა, გააგრძელებდა მისი ხელმძღვანელობით მუშაობას ორტომეულზე: **„Ошибки осложнения в неирохирургии“.** პირველი მიეძღვნებოდა მიკრონეიროქირურგიული მეთოდიკის შემოსვლის წინა პერიოდს, ხოლო მეორე მიკროქირურგიისა და მართვადი გიპოტონიის შემოღების შემდგომ პერიოდს. კონოვალოვი აღფრთოვანებულა და უთქვამს: **„Ну ты, молоток, я помогу. Ты работай, а там посмотрим“.**

ეს ხდებოდა ბატონი ნაპოს პირად ტრაგედიამდე და მოსულიერების შემდეგ ორიოდე წლით ადრე, ვიდრე დაიწყებოდა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენები. მან დაიწყო და განაგრძო წიგნზე მუშაობა, ასე დაიწყო აფხაზეთის ომი. მანამდე მას ეს მასალები, გამოქვეყნებული შრომები, ჩვენი ცენტრის კლინიკური მასალა და, მათთან ერთად, პირადი საბუთები პრევენციის მიზნით, წაუღია სახლში და შეუნახავს სეკრეტერში. თვითონ ჩვენთან (რამოდენიმე თანამშრომელთან) ერთად განაგრძობდა თავის საქმიანობას საკუთარ ცენტრში, რომელიც მდებარეობდა ფრონტის წინა ხაზზე და იბომბებოდა. მიუხედავად ამისა, იგი არ ტოვებდა თავის პირმშოს და ჩვენც მის გვერდით ვიმყოფებოდით. უკვე 200-300 მეტრზე იყო მტერი და ჩვენ განვაგრძობდით მუშაობას და მხოლოდ ორი დღით ადრე, სანამ დაეცემოდა სოხუმი, 25 სექტემბერს დილით 5 საათზე დავტოვეთ ცენტრის შენობა და დაჭრილებთან ერთად, გადავედით აგუძერის გოსპიტალში, სადაც განვაგრძეთ მუშაობა.

ბატონი ნაპო კი დარჩა თავის კაბინეტში სანიტარ რუსის ქალთან ერთად, რომელიც დედასავით უვლიდა მას. გამთენიისას, იმ სანიტარ ქალთან ერთად, მიაშურა, თურმე, თავის სახლს და რას ხედავს: მთელი სახლი გახვეულია ცეცხლში,

ახლოსაც ვერ მიეკარებოდი, თურმე. მხედრიონელებს ე.წ. ფუგასური ხელყუმბარებით აუფეთქებიათ ყველა სადარბაზო და სახლის პირველ სართულებზე მდებარე ბინები - უთქვამთ კიდევაც, აფხაზებს ხო არ დავუტოვებთო ამ სახლს.

ასე დაემსხვრა ბატონ ნაპოს მრავალი წლის ტიტანური შრომა და ყველა ოცნება დაეწერა ნეიროქირურგიის ისტორიაში უპრეცედენტო და უნიკალური სახელმძღვანელო, ნეიროქირურგებისთვის მეტად საჭირო, სამაგიდო წიგნი. მან ეს სასტიკად განიცადა, მისთვის ეს შვილის დაღუპვის ტოლფასი იყო.

საკვირველია, რამდენს უნდა გაუძლოს ადამიანმა?! ნაპო მესხიას ცხოვრება ტრაგიკული მოვლენების კასკადია და ყველაფერს გაუძლო ამ უდრეკი ნებისყოფის მქონე კაცმა. რა არ მოუმზადა მას გაუკუღმართებულმა ბედმა, მაგრამ ის არასდროს არ დაცემულა და კაცობისთვის არასდროს არ შეუქცევია ზურგი.

პირველი მისი ტრაგედიის შემდეგ, წელიც არ იყო გასული, ის ღამით მიდის საკონსულტაციოდ გუდაუთის რაიონულ საავადმყოფოში, და, როდესაც ხელში აიღო პაციენტის ავადმყოფობის ისტორია, გაქვავდა... ამოიკითხა იმ ათი წლის ბავშვის გვარი, რომელმაც სათამაშოების წართმევის მიზნით, კირის ორმოში გადააგდო მისი 4,5 წლის პატარა და სათამაშოებიანად გაიქცა. ეხლა, როდესაც ამოიკითხა ეს გვარი, გაშეშდა! ავადმყოფი ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის გამო უგონო, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას შეეძლო ჩაეტარებინა კონსულტაცია, მიეცა ექიმებისთვის დარიგება და გასცლოდა იქაურობას. მაგრამ ხედავდა, რომ ავადმყოფს სჭირდებოდა დიაგნოზის დაზუსტება და გამორიცხული არ იყო ოპერაციული ჩარევაც. ამიტომ ის გადაჰყავს თავისთან და უტარებს სასწრაფო ოპერაციას. ავადმყოფი მისი მკვლელის ალალი ბიძა აღმოჩნდა. საოპერაციოში შესვლისას, როგორც ამბობდნენ ექთნები, შევედრებია ღმერთისთვის: „ეხლა მაინც ნუ მიმატოვებ, გადამარჩენინე ეს ავადმყოფი, თორემ ვინ იცის, რას იტყვის მავანი...“.

ღმერთმა ამჯერად შეისმინა ვედრება: ავადმყოფმა გადაიტანა ოპერაციული ჩარევა და შემდგომი ინტენსიური თერაპიის შედეგად, ნელ-ნელა გამოკეთდა და თვენახევრის შემდეგ სახსალამათი დაუბრუნდა თავის ოჯახს.

ბევრი ვერ შეძლებდა ამას, მაგრამ ამ მაღალი ზნეობისა და კაცურ-კაცობის ადამიანმა შეძლო ეს. ეს ზნეობის მწვერვალია, დიდსულოვნებისა და სულგრძელობის ნიმუშია! ამიტომ ენდობოდნენ მას, როგორც ექიმს და როგორც ადამიანს.

თუ მივუბრუნდებით ისევ პრაქტიკულ საქმიანობას, უნდა ითქვას, რომ ბატონი ნაპო იყო იშვიათი, გამორჩეული კლინიცისტი, ის გვაჩვევდა კლინიკურ აზროვნებას: ყოველი რამდენადვე სერიოზული ავადმყოფი ხდებოდა კოლექტიური განხილვის საგანი და, როგორც წესი, ყოველი ოპერაციის წინ, მისი კარნახით, იწერებოდა წინასწარი დასკვნა. ამის გარეშე არც ერთი ავადმყოფი არ ხვდებოდა საოპერაციო ბლოკში, და მე არ მახსოვს შემთხვევა, როცა ოპერაციამდელი დიაგნოზი არ გამართლებულიყო და მეორედ გაგვეკეთებინა ოპერაცია ვინმესთვის.

ბატონმა ნაპოლეონმა 70-იან წლებში საქართველოში პირველმა ოპერაციების ჩატარება დაიწყო ხელოვნური სუნთქვის ქვეშ სპეციალური რესპირატორის გამოყენებით, აგრეთვე, ჩვენების მიხედვით, ოპერაციების ჩატარება პაციენტის მჯდომიარე მდგომარეობაში. საქართველოში მან პირველმა ჩაატარა ოპერაციები ტვინის არტერიალური და არტერიო-ვენოზური (მალფარმაცია) ანევრიზმის დროს. ცენტრში ტარდებოდა ოპერაციები თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეების, ქალა-ტვინის ტრავმისა და სისხლძარღვთა პათოლოგიების დროს. საყოველთაო აღიარებით, ისინი სრულდებოდნენ სტანდარტების დონეზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონ ნაპოლეონის სამსახურის ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდი. ქ. მოსკოვში ბურდენკოს სახელობის ინსტიტუტში სწავლისა და ხანგრძლივად მუშაობის შედეგად, ჩამოყალიბდა იგი როგორც ნეიროქირურგიის და ნევროლოგიის სიღრმისეულად მცოდნე სპეციალისტი. თანამშრომლებთან იყო მკაცრი და მათგან ითხოვდა მაქსიმალურ მობილიზაციას და ავადმყოფების მიმართ მაქსიმალურ ყურადღებას. მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა, როგორც ითქვა, ყველა ავადმყოფის გამოკვლევის გეგმის და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა. არასაპატიოდ ითვლებოდა ავადმყოფისადმი გამოჩენილი გულგრილობა. მისთვის არ არსებობდა პრივილიგებული ან ნაკლებად საყურადღებო პაციენტი: მისთვის პაციენტი, გინდ „ბომჟი“ ყოფილიყო, იყო მხოლოდ და მხოლოდ სნეული ადამიანი და სხვა არაფერი. ბატონ ნაპოლეონის მიერ დანერგილ მუშაობის სტილსა და რიტმს ბევრი ვერ უძლებდა და ტოვებდა სამსახურს. ბევრისთვის მას თავად გაუხდია ხალათი, მათ შორის ექიმებისთვისაც, და გაუშვია სახლში, მაგრამ ეს იმდენად ობიექტურად და სამართლიანად ხდებოდა, რომ არც ერთი შემთხვევა კონფლიქტით არ დასრულებულა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გამოეძახათ ბატონი ნაპო სამინისტროში ან სხვაგან. ასევე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსა ან მთავარ ექიმს, მასთან შეუთანხმებლად დაენიშნათ ვინმე. ისინი გაურბოდნენ ამას, რადგან იცოდნენ, რომ მათი გამოგზავნილის ბატონ ნაპოსთან გასაუბრების შემდეგ, ბრძანება დანიშვნის შესახებ შეიძლებოდა გაუქმებულიყო. ეს გამორიცხავდა კორუფციულ გარიგებას და ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ნეიროქირურგიულ ცენტრში ამ გზით ან ვინმეს ზარით არავინ არ მოხდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ნაპოლეონის ზრუნვა კადრების მომზადების საქმეში. აფხაზეთს არ ახსოვს, რომ ვინმეს ისე ეზრუნა ახალგაზრდა კადრებზე, როგორც ბატონ ნაპოს. უპრეცედენტო შემთხვევაა საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალის (25 კაცამდე) ჯგუფის ერთდროულად გაგზავნა მოსკოვში ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიულ ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათ შორის ხუთი ექიმის კლინიკურ ორდინატურაში. ასევე ბატონი ნაპოს ძალისხმევით ამავე ინსტიტუტის

ბაზებზე მზადდებოდა ექიმები ისეთ ვიწრო სპეციალობებში, როგორიცაა ნეიროფიზიოლოგია, ნეიროოფთალმოლოგია, ნევროლოგია, ნეირორეანიმაცია და სხვა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ასევე ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოსს ალექსანდრ კონოვალოვს, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევდა თავის მოწაფეს და მეგობარს და ზოგჯერ დაშვებულ ნორმების გვერდით ავლით, ღებულობდა ამ რაოდენობის თანამშრომლებს ბატონი ნაპოსაგან და ეხმარებოდა მას მათ დახელოვნებაში.

ყველაფერმა ამან განაპირობა, რომ ცენტრში სამედიცინო დახმარება უმაღლესი სტანდარტების დონეზე იყო დაყენებული, ამიტომაც ჩამოდიოდნენ და წარმატებით მკურნალობდნენ პაციენტები მთელი დასავლეთ საქართველოდან და რუსეთის მოსაზღვრე ოლქებიდან. ეს მისდამი დიდი ნდობისა და ავტორიტეტის გამო ხდებოდა.

ასეთივე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბატონი ნაპო ფართო საზოგადოებაში, მათ შორის მის აფხაზურ ნაწილში - ყველა ფენაში, როგორც უშუალოდ ხალხში, ასევე სამთავრობო სტრუქტურებში. სწორედ ამის წყალობით აღწევდა იგი ასეთ შედეგებს ნეიროქირურგიული სამსახურის მშენებლობაში. მისი სჯეროდათ, მას ენდობოდნენ არა მარტო როგორც ექიმს, არამედ როგორც ადამიანს. ეს ნათლად გამოჩნდა 1989 წლის 9 აპრილის თბილისში მომხდარი ტრაგედიის შემდგომ დღეებში, როდესაც რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ბატონმა არსემ თარბამ არ ჩამოუშვა, ეროვნული გლოვის დღეებში ავტონომიური რესპუბლიკის დროშა.

ეს შემთხვევა იმსახურებს უფრო დეტალურ საუბარს იმიტომ, რომ ბატონმა ნაპომ დაანახა ყველას, მათ შორის პოლიტიკოსებსაც, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანის გონიერებას და წინდახედულ ქმედებას.

ბატონი თარბას ქმედებას დიდი აყალმაყალი და შეხვლა-

შემოხვლა მოჰყვა, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც გართულებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დაიმუხტა ირგვლივ ყველაფერი, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა, საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალი, რომ ხანძარი დანთებულიყო. ასეთ დროს გამოჩნდა ბატონი ნაპოს გონიერება და შექმნილი ვითარებიდან მშვიდობიანი გზის გამონახვის დიდი უნარი. სწორედ რომ ამ ვითარებაში სოხუმის (და არა მარტო სოხუმის!) სამედიცინო საზოგადოება გაერთიანდა ნეიროქირურგიული ცენტრის, მისი ხელმძღვანელის გარშემო, რომელსაც, მათივე თხოვნით, სათავეში ჩაუდგა ბატონი ნაპო. სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და დასჯას, რაც ადვილი საქმე არ იყო არა მარტო იმიტომ, რომ მის გვერდით იდგა ეროვნული ნიშნით გაერთიანებული სამედიცინო საზოგადოების აფხაზური ნაწილი, არამედ სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზეზთა გამო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ბატონი არსენი ცნობილი იყო, როგორც აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ე.წ. იატაკქვეშა ბიუროს ერთ-ერთი წამყვანი წევრი და ლიდერი, იმ თითქოს უხილავი დაჯგუფებისა, რომელიც სეპარატიზმის, ანტიქართული იდეოლოგიის ბუდე და შეუვალი ციტადელი გახლდათ. ამავე დროს, იგი მეორე მსოფლიო ომში მცირე მიწის ბრძოლებისთვის დაჯილდოებული იყო „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით და საკავშირო მთავრობისაგან საჩუქრად მიღებული ქონდა ავტომანქანა „ვოლგა“. ასე რომ, არსენ თარბასთვის ხელის ხლება ადვილი საქმე არ იყო! მისი, როგორც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის საქმიანობას თავის დროზე ჟურნალ „კროკოდილმაც“ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამაოდ! ვერც აფხაზეთის მთავრობამ, კერძოდ, პარტიის საოლქო კომიტეტმა შეძლო მისი დამსახურებულ პენსიაზე გაშვება. როგორც კი დააპირებდნენ ამას, გუდაუთიდან ჩამოდიოდნენ „უხუცესთა საბჭოს“ წევრები და ეუბნებოდნენ მათ: **„Не трогайте Тарбу!“** და გადიოდნენ ისე, რომ არც აინტერესებდათ ხელმძღვანელობის აზრი და არ-

გუმენტები. მაგრამ აქ კარგად იცოდნენ, თუ რა მოჰყვებოდა ამას გუდაუთის სოფლებში - ლიხნში და დურიფშში. ამიტომ ყოველთვის იხევდნენ უკან, ახლა კი სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და დასჯას, რაც ბუნებრივია, არარეალური იყო.

ამ დროს იყო მოწოდებებიც: უნდა აგვეღო იარაღი, თოფი უნდა გავარდნილიყო აფხაზეთში, და ეს ექიმების მიერ უნდა დაწყებულიყო. ყოველივე ეს წინ უძღოდა უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად, სოხუმში 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებს.

ბატონმა ნაპომ და მის ირგვლივ გაერთიანებულმა სამედიცინო საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა აირჩია სხვა გზა. მან რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე შექმნა ე.წ. CTK (მშრომელთა კოლექტივების საბჭო), რომელშიც გაერთიანდა, როგორც ქართული, ასევე აფხაზური წარმომადგენლობის ცნობილი მედიკოსები. მათთან ერთად შეიქმნა წესდება და მის საფუძველზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში, კვოტების მიხედვით, დელეგატებად არჩეულ იქნა საღად მოაზროვნე მედიკოსები და ისე ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია, რომ მას არ გაჰკარებია არც ჯანდაცვის სამინისტრო, არც მთავრობის სხვა წარმომადგენელი.

აი, ასე ყოველგვარი აჟიოტაჟს, რაც მთავარია მშვიდობიანად (სისხლის ღვრის გარეშე), კენჭის ყრით იქნა განთავისუფლებული არსენ თარბა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობიდან. ასე, ბატონმა ნაპომ, თანამებრძოლებთან ერთად, შეძლო აფხაზეთში ის, რასაც ვერ ახერხებდნენ ჯანდაცვის სამინისტრო და ვერც პარტიის საოლქო კომიტეტი. მან ეს ისე მოახერხა, რომ არც ერთხელ არ შეხებია მეტად მტკივნეულ და სათუთ ეროვნულ თემას. ყველა კრება თუ კონფერენცია მის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და პრობლემების მოგვარება არა ეროვნულ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ჭრილში, არამედ პროფესიულ სიბრტყეში წარიმართა. არც ერთი მხრიდან ექსესებს არ

ჰქონია ადგილი. ყველაფერი ისეთი კორექტულობით ჩაიარა, რომ ბატონ არსენ თარბას თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგაც, არც ერთი საყვედური არ გვსმენია. **უფრო მეტიც, ბატონ ნაპოსთან აფხაზი ექიმებისგან შემდგარი ათკაციანი ჯგუფი მივიდა თხოვნით, ემუშავა მას რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად, მაგრამ მას, ჩამოყალიბებულ კლინიცისტს, არ იზიდავდა მთავარი ექიმის თანამდებობა და უარი განუცხადა მათ.**

ყოველივე ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს გონიერი კაცი და რას უნდა აკეთებდეს ის ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში. ასეთი უნარი მან შემდგომშიც, დეპუტატის რანგში, არაერთხელ გამოავლინა, ბევრჯერ იხსნა თავისი გონივრული მიდგომით ომისგან აფხაზეთი. ამაზე მეტყველებენ მისი სიტყვები, მისი გულრწფელი აღსარებები ხალხისა და ქვეყნის წინაშე. მაგრამ, „მარტო კაცი, ჭამაშიც ბრალიაო“ - არის ნათქვამი!

ამას აკეთებდა კაცი, რომელიც არაერთხელ გაამწარა ბედმა: წაართვა ყველაზე ძვირფასი, რაც შეიძლება გააჩნდეს ადამიანს - ორი ვაჟიშვილი ზედიზედ. ხოლო მესამე ტრაგედიის (ძმისშვილის დაღუპვის) დროს ჩაიკეცა და დაიღრიალა: „ღმერთო, შე უღმერთო, რას მიშვები, რა დაგიშავეო!“ ამის შემდეგ მას გაუჭირდა ძალიან, სამი წლის განვმალობაში არ გამოჩენილა საზოგადოებაში, რამოდენიმე თვე არ შესულა საოპერაციოში, მაგრამ ამანაც არ გატეხა ეს კაცი. მეგობრების დახმარებით, ისევ წამოდგა და ისევ ჩაუდგა სათავეში საკუთარ პირმშოს - ნეიროქირურგიას.

ასეთი იყო და არის ეს გაუტეხელი ადამიანი: ღრმად განსწავლული, მარად ახალგაზრდული ჟინით გამორჩეული, დიდსულოვანი, ამოყი და ზვიადი, მუდამ სიკეთისა და გონიერების მქადაგებელი, ბრძენი აღმზრდელი და მასწავლებელი, რომელიც თითქმის 50 წელია დგას თავისი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ასეთი არის ეს არაორდინალური პიროვნება-კაცი ლოდერი, შემოქმედი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა

ექიმების მრავალი თაობის აღზრდასა და ფორმირებაში; კაცი შეპყრობილი არა პირადი ამბიციებით, არამედ საზოგადოების და ქვეყნის ინტერესების ერთგული. საკმარისია ითქვას, რომ ასეთი გამორჩეული კლინიცისტი და დასტაქარი, ჯანდაცვის სისტემის უბადლო ორგანიზატორი არ გახლავთ არც აფხაზეთის და არც საქართველოს დამსახურებული ექიმი. ამას კი არა უფრო დიდ ჯილდოებს იმსახურებდა იგი. კიდეც უთხრა ამის შესახებ ერთ-ერთმა ეროვნებით აფხაზმა ჯანდაცვის მინისტრმა, როდესაც გადასცემდნენ მას საკავშირო ჯილდოს **„Орден Знак почета -ს“: „Дорогой мой, Шалвович, вы заслуживаете нечто большее. Если вы были бы абхазцем, вы давно были бы „Героем социалистического труда“.** ეს იყო ერთგვარი მინიშნება, მაგრამ ბატონ ნაპოს ღიმილით უთქვამს, თურმე: **„Национальность – это мой крест и я никогда не поменяю его на чужой.“**

ასეთი იყო ეს ამაყი კაცი, თავისი ხალხისა და ქვეყნის დიდი პატრიოტი. მისი სიცოცხლე და განვლილი გზა მართლაც გამორჩეულია, მრავალფეროვანი, ძალიან საინტერესო და **ამავდროულად ტრაგიკული. ასეთ ადემიანებს ერისკაცები ჰქვიათ და იმდენად იშვიათი არიან, რომ საზოგადოება მუდამ მათ დეფიციტს განიცდის. ასეთებს სანთლებით ეძებენ!**

ვინ იცის, იქნებ, ასეთ კაცს ეძებდა დიოგენე, როდესაც დარბოდა დღისით-მზისით ფანრით ხელში და გაიძახოდა: „კაცს ვეძებო, კაცს!“

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ბატონ ნაპოსთანა კაცს ეძებდა დიდი დიოგენე!

აი ასეთი კაცისგან მივიღე თავის დროზე ქირურგიული სკალპერი ხელში და ის ცოდნა, რომლითაც ვახერხებ და ვაკეთებ დღეს იმას, რასაც ვაკეთებ დამოუკიდებლად.

ქედს ვიხრი ჩემი მასწავლებლის წინაშე, დიდი მადლობა მას.

დავით ჩიქოვანი

ნეიროქირურგი, ქ. ქუთაისი

ნაპო მესხიას შესახებ

(ჟურნალისტ დალი უბილავას ფილმიდან „ხიდის მშენებლები“)

არსებობს ორგანიზაცია, **„მშვიდობის რესურსები“,** რომელიც პერიოდულად აწყობს ქართულ-აფხაზურ შეხვედრებს. 1999 წელს ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, მე არ ვიცი ვინ, როგორ, რანაირად, ჩამოუყალიბებიათ დელეგაცია, რომელიც შლაინინგში მიემგზავრებოდა. მოხდა ისე, რომ იქ არცერთი ადამიანი აფხაზეთიდან არ აღმოჩნდა. ეს დელეგაცია ჩავიდა უკვე ავსტრიაში, და მხოლოდ იქ გაახსენდათ, რომ მათ შორის არცერთი არ არის აფხაზეთიდან. მათ ჩათვალეს, რომ ეს ძალიან დიდი მინუსია. შემდეგ უმაღლესი საბჭოდანაც პროტესტი გამოუთქვამთ, იმის შესახებ, რომ მათ შორის არავინ იყო აფხაზეთიდან. ამ დროს გამოიძახეს ბატონი ნაპო. ეს ალბათ შემთხვევითი არ იყო. საჩქაროდ გაუკეთეს ვიზები ამ ადამიანს, მოძებნეს ის სადღაც ზუგდიდში და მოლაპარაკებების დაწყებიდან მეორე თუ მესამე დღეს ბატონი ნაპოლეონი ჩადის ავსტრიაში. იმ შეხვედრისას, რომელიც შედგა სასტუმროში, ყველა დარჩა გაოცებული. აფხაზებმა თავიანთი სტუმართმოყვარეობისამებრ ძალიან გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ბატონ ნაპოლეონს, პურ-მარილის მსგავსი და ეს დახვედრა მათი მხრიდან იყო ძალიან გულთბილი. ახლა, ასე, მე მგონი, ბევრს არ მიიღებენ აფხაზეთში.

მე შემიძლია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი გავიხსენო, იმისა, თუ როგორ ახერხებდა ბატონი ნაპო მესხია ომის თავიდან აცილებას. ყველას კარგად გვახსოვს, 92 წლის თებერვალში, თბილისში არსებული უკანონო ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირებები მოადგნენ მდინარე ენგურს და ემზადებოდნენ აფხაზეთში გადმოსასვლელად. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა შერეული ჯგუფი ქართველებისა და აფხაზებისაგან, რომელიც უნდა ჩასულიყო ამ სამხედრო

ფორმირებების ხელმძღვანელებთან და დაერწმუნებინათ ისინი, რომ დაუშვებელია აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოსვლა და რომ, ეს გამოიწვევდა ომის პროვოცირებას. ბატონი ნაპოლეონი ამ შემთხვევაში აღმოჩნდა ძალიან რთულ და მძიმე სიტუაციაში: ერთის მხრივ როგორც ქართველისთვის და როგორც პატრიოტისთვის, მისთვის იყო გაუგებარი, რატომ არ უნდა შემოსულიყო ქართული ჯარი, ვთქვათ, საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. მეორეს მხრივ, როგორც რეალისტისთვის და ადამიანისთვის, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა ის რთული ვითარება, რომელიც აფხაზეთში არსებობდა, მან კარგად იცოდა, რომ ეს შემოსვლა შესაძლოა კანონით იყო სრულიად დასაშვები, მაგრამ რეალურად ეს გამოიწვევდა ომს, ეს გამოიწვევდა შეტაკებას და ამიტომ ის აღმოჩნდა ასეთ გაორებულ მდგომარეობაში. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში და ერთი პერიოდი გადაწყვიტა არც კი წასულიყო იქ და უარი ეთქვა იმ კომისიის შემადგენლობაში ყოფნაზე. მან კიდევაც განუცხადა არძინბასა და მის გარემოცვას ამის შესახებ, მაგრამ იქიდან გამოსულს, ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, ბატონ ნაპოლეონს უთხრა: „ბატონო ნაპო, თქვენ წაბრძანდით ზუგდიდში, შეხვდით იმ ადამიანებს, და დაარწმუნეთ ისინი, რომ რადაც არ უნდა დაჯდეს, მოვიდნენ აუცილებლად თავიანთი ფორმირებებით, თავიანთი ტანკებით, ჯავშანტექნიკით და ა.შ. სოხუმში.“ ბატონ ნაპოს მისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისთვის იფიქრა, ე.ი. საჭირო ყოფილა ჩემი იქ წასვლა, რომ ყველაფერი ვიღონო, რათა ის ძალა არ შემოვიდეს აქეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე და სისხლი არ დაიღვაროს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონი ნაპო იმ ჯგუფთან ერთად ჩავიდა იმ სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელებთან და მისთვის ჩვეული, ძალიან მყარი, რკინისებური ლოგიკითა და დამაჯერებელი არგუმენტებით დაარწმუნა ეს ადამიანები, რომ მათი შემოსვლა იყო ყოვლად დაუშვებელი. და ეს არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი

იყო, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ დედაქალაქში თავიანთ უფროსობას დაკავშირებოდნენ. ჩემთვის უცნობია კონკრეტულად ვის დაუკავშირდნენ, მაგრამ ფაქტია დაუკავშირდნენ თავიანთ ზემდგომებს, და როცა აუწყეს სიტუაცია ისინიც კი იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ და ამჯერად გადაედოთ ჯარების შემოყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე. **ამით ჩვენ ომის დაწყება მთელი 7-8 თვით ავიცილეთ. ეს ამ კაცის, ბატონ ნაპოლეონ მესხიას დამსახურებაა.** სამწუხაროდ ვითარება აფხაზეთში ნელ-ნელა იძაბებოდა. 92 წლის ზაფხულში, გარკვეულ ძალებს გაუჩნდათ სურვილი და ასეთი გეგმა იქნა შემოშავებული, რომ შეექმნათ აფხაზეთში პარალელური სახელისუფლო სტრუქტურები - პარარელური მინისტრთა საბჭო ყველა სათანადო სამსახურებით, მათ შორის ძალოვანი (შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, პროკურატურა, სასამართლო და აშ.) სტრუქტურებით. ე.ი. პატარა აფხაზეთში უნდა ყოფილიყო ამ გეგმით ორი მთავრობა: ერთი არსებულო აფხაზებისთვის და მეორე აფხაზეთის ქართველი მოსახლეობისათვის. ეს კატასტროფას ნიშნავდა, რასაც დაუყოვნებლივ მოყვებოდა შეტაკებები და ომის დაწყება აფხაზეთში. ამის შესახებ ბატონმა ნაპომ მიიღო გარკვეული ორგანოებიდან უტყუარი ინფორმაცია, რომ ამ სტრუქტურების შექმნის დღესვე დაიწყებოდა საომარი მოქმედებები. დაიწყებოდა შეტაკებები, აფეთქდებოდა მთელი რიგი შენობები, იქნებოდა ძალიან დიდი მსხვერპლი და ფაქტობრივად სისხლისღვრა უნდა დაწყებულიყო. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს მოსახლეობა იყო გათიშული ორ ნაწილად: ერთი ნაწილი აქტიურად უჭერდა მხარს დამხობილ ხელისუფლებას და მეორე ნაწილი მხარს უჭერდა შევარდნაძის რეჟიმს.

ბატონმა ნაპომ ჩაშალა სესიაზე ამ საკითხის განხილვა და სათანადო დადგენილების მიღება. ეს მან არ დაუშვა. ამით მან კიდევ ერთხელ გადაარჩინა ომის დაწყებას და შეუნარჩუნა მშვიდობა აფხაზეთს. მაგრამ სამწუხაროდ გამოიძებნა

საბაბი, ვითომ რკინიგზის მაგისტრალების დაცვა, და აი ამ საბაბით იქნა ქართული შეიარაღებული ფორმირებები შემოყვანილი აფხაზეთში, რასაც მოყვა სამწუხაროდ ის შედეგი რის შესახებაც ჩვენ ყველამ, ყველაფერი კარგად ვიცით.

ბატონ ნაპოლეონ მესხიას როგორც პიროვნებას, როგორც ექიმს შეეძლო დარჩენილიყო თავის სახლში, დარჩენილიყო სოხუმში, სადაც მისი ორი ვაჟი არის დასაფლავებული. მას ერთის მხრივ ძალიან არ უნდოდა ამ საფლავის მიტოვება და წამოსვლა. მეორეს მხრივ მან, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა პატრიოტმა, არჩია ყოფნა საკუთარ ხალხთან და ყველა იმ ჭირ-ვარამის გაზიარება, რაც საერთოდ თან ახლავს დევნილობას. ე.ი. წლების განვმავლობაში იგი სამედიცინო პრაქტიკას ეწეოდა და პოლიტიკაში ნაკლებად ერეოდა. მაგრამ მისი სამედიცინო პრაქტიკა გინდა-არ გინდა გარკვეულწილად დაკავშირებული იყო პოლიტიკასთან, იმ გაგებით, რომ მან თავისივე ინიციატივით რამდენიმე აფხაზ პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ხელისუფლებამ ერთი პერიოდი კვლავ გადაწყვიტა ბატონი ნაპოსთვის კვლავ გარკვეული ასპარეზი მიეცა. ის დანიშნეს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის თანაშემწედ სახალხო დიპლომატიის საკითხებში. მაგრამ ყოველი მისი ინიციატივა იყო ბლოკირებული, არავის არ სჭირდებოდა, როგორც შემდგომში თავად დარწმუნდა ბატონი ნაპო, ამ კონფლიქტის მოგვარება და მით უმეტეს მშვიდობიანად. ხელისუფლება მხოლოდ ილუზიას უქმნიდა საზოგადოებას, რომ ის აგვარებდა კონფლიქტს, რომ დანიშნული ყავს თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის რომ ილუზია შეექმნათ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. ბატონი ნაპო ამას მალევე მიუხვდა და მან დატოვა პრეზიდენტის კანცელარია, და ის არ გამოცხადებულა მიუხედავად მისი კიდევ ერთხელ დაჯილდოვებისა. მან ამჯერადაც არ იცის სხვათა შორის ვინ წარადგინა ის ღირსების ორდენზე, და 1999 წლის ერთ მშვენიერ დღეს მას მიულოცეს და უთხრეს, რომ გადასცემდნენ ღირსების ორდენს, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოა საქართველოში. მაგრამ ბატონმა ნაპომ ბრძანა, რომ, როდესაც ხარ ღირსება აყრილი შენსავე ქვეყანაში, რომელ ღირსების ორდენზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი. მან მიუგდო შევარდნაძეს ეს ორდენიც, როგორც გორგასლის ორდენი ადრე და დატოვა კანცელარია. მხოლოდ იმ ხელისუფლების შეცვლის შემდგომ დაუბრუნდა პოლიტიკას.

მე ყურადღებით მოვუსმინე იმ ექმიმებს, რომელთაც ბატონ ნაპოსთან უმუშავიათ და იცით, რა აზრი გამიჩნდა? როგორც ექიმი ისე უდგებოდა ბატონი ნაპო პოლიტიკასაც და პოლიტიკურ საკითხებსაც, მისთვის რაღაცა პრობლემა - ეს იყო ავადმყოფობა, რომელსაც იმ მეთოდებით კურნავდა, რომელიც მისმა კოლეგებმა აღნიშნეს. და ეს გამოსდიოდა მას ძალიან კარგად, პროფესიულად ძალიან მაღალ დონეზე. ის ყოველთვის საზოგადოების გამთლიანებას, გაერთიანებას, დაკავშირებას, ქართულ და აფხაზ ხალხებს შორის ხიდის შენებას ემსახურებოდა მთელი ცხოვრების მანძლზე. ეს იყო ასე, ეს ომამდეც ასე იყო და დღესაც ასე გრძელდება.

ჯემალ გამახარია,
პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ჩვენი დროის გმირი, ჭეშმარიტი ერისკაცი

ნამდვილად ვღელავ... რაღაც განსაკუთრებულს, მნიშვნელოვანს და ასეთი პიროვნებისათვის საკადრის სიტყვებს ვეძებ, რომ მართლაც, გამორჩეულად მივულოცო ჩვენს დიდ თანამემამულეს იუბილე, პროფესორ ნაპო მესხიას, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში კარგად ცნობილ ნეიროქირურგს, ყოფილ საბჭოთა კავშირში აღიარებულ ნოვატორს, მაღალი რანგის მეცნიერს, რომელიც თავისი უნიკალური მიდგომებით და გამოგონებებით, ხშირად აოცებდა თავის თბილისელ და მოსკოველ კოლეგებს, მის მასწავლებლებს!

იმდენად ბუმბერაზია ბატონი ნაპოს პერსონა, იმდენად მრავალწახნაგოვანია და რთულია, მისი როგორც პიროვნული, ისე ბოლო ათწლეულებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა, იმდენად მძიმე და ტრაგიკულია მისი ოჯახის ისტორია, მაგრამ ამავდროულად, იმდენად ნათელია და ოპტიმიზმით გამსჭვალული მშვენიერი შვილიშვილების მომავლი, ქვეყნის ბედიღბალზე ფიქრით აღსავსე იუბილარის დღევანდელი ცხოვრება, რომ ძალიან მიჭირს ყოველივე ამას ერთბაშად გაწვდე და როგორი სურვილიც მაქვს, ისე მივულოცო მას 75 წლის იუბილე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი აქტიური და შემოქმედი, ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი ადამიანისათვის.

ვულოცავ რა, ამ ბრწყინვალე იუბილეს, ჩემთვის და ფართო საზოგადოებისათვის ძვირფას, პატივცემულ ნაპო მესხიას, მინდა ვცადო ჩემი გადასახედიდან, ჩვენს შორის არსებული საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობის კუთხიდან წარმოვაჩინო იუბილარის განსაკუთრებული პროფესიული თუ ადამიანური თვისებების ზოგიერთი შტრიხი.

როგორც იტყვიან, ადამიანს ბავშვობიდან ეტყობა როგორი იქნება ის მომავალში. ოტობაიის საშუალო სკოლის

მასწავლებლებისაგან არაერთხელ მსმენია - ნაპო, ნიჭიერი, მიზანსწრაფული, სერიოზული და ბეჯითი მოსწავლე იყოო. ბავშვობაშიც ზრდასრული ადამიანივით იქცეოდა და მსჯელობდა თურმე. ნაპოს ახალგაზრდობის შესახებ ხშირად უსაუბრიათ ჩემთან მის უმცროს დებს, რომლებთანაც ერთ სკოლაში ვსწავლობდი.

1974 წელს, როცა სოხუმში, მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი და განაწილებით ქარხანა „სოხუმხელსაწყო“-ში დავიწყე მუშაობა, ახალგაზრდა ნეიროქირურგ ნაპო მესხიაზე აფხაზეთში უკვე ლეგენდები დადიოდა... ჩემი თანასოფლელია, ვეუბნებოდი ყველას. მეამაყებოდა! იმ დროს ერთმანეთს კარგად არც ვიცნობდით. მასთან დაახლოებაც ადვილი არ იყო. მეუბნებოდნენ, ის სულ დაკავებულიაო, თან, ძალიან მკაცრიაო, კლინიკაში ისეთი დისციპლინა აქვს, ახლოს არ მიგიშვებენო, თუ რამე სერიოზული მიზეზი არ გექნებაო. სერიოზული მიზეზი კი, მოგეხსენებათ რა იქნებოდა... ღმერთმა აშოროს ყველას.

გავიდა 3 თუ 4 წელი. მე უკვე „სოხუმხელსაწყო“-ს დირექტორის მოადგილე ვარ, ბ-ნ ნაპოსთან ჩემი დაახლოება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამიდგა ეს „სერიოზული მიზეზი“. „სოხუმხელსაწყო“-ს დირექტორმა, ჩემმა გამზრდელმა ალექსანდრე მიქაძემ, სოხუმში კარგად ცნობილმა ხელმძღვანელმა, აფხაზეთის დამსახურებულმა ინჟინერმა, მოყინულ გზაზე დაცემის გამო თავის ქალის ტრავმა მიიღო და საშიში ზომის გემატომა განუვითარდა თურმე, მაგრამ დროულად, ნიჭიერ ნეიროქირურგთან მოხვედრამ და ღვთის წყალობამ გადაარჩინა (ის დღესაც ცოცხალია –ახლახან 90 წლის იუბილე აღნიშნა). ოპერაციის დღეს, ქალაქგარეთ, სოფ. განახლებაში, უფრო სწორად, ვლადიმიროვკაში მდებარე ნეიროქირურგიულ ცენტრს „სოხუმხელსაწყო“-ს პერსონალის ნახევარზე მეტი მივადექით (ქარხანაში 2000-მდე კაცი მუშაობდა). პა-

ციენტის მონახულებისა და მის მხსნელ ნეიროქირურგთან დალაპარაკების პატივი მთელი კოლექტივიდან მხოლოდ 2 კაცს ერგო. ერთ-ერთი ვიყავი მე. დიდი ხნის ოცნება ამიხდა, ნანატრი გაცნობა შედგა... ბ-ნ ნაპოსაც ძალიან გაუხარდა. იმ დროიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობაც, რომელიც გრძელდება.

აქვე, ერთ დელიკატურ და იმ დროისათვის მანკიერ ტრადიციად ქცეულ მომენტს შევეხები. ასეთი რთული ოპერაციებისათვის მაშინდელი ქირურგები დიდ თანხას იღებდნენ. ეს საიდუმლო არ იყო. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ბ-ნ ნაპოს და მის კოლეგებს ალექსანდრე მიქაძისაგან 1 კაპიკიც არ აუღიათ, ან ვინ გაბედავდა. ამ თვალსაზრისით, ნეიროქირურგიული ცენტრი მაშინ იყო მაღალი ტექნოლოგიების და სამაგალითო წესრიგის ოაზისი არა მარტო აფხაზეთში, არამედ, მთელს საქართველოში;

მოგვიანებით, ბ-ნი ნაპოს საოცარი ორგანიზაციული ნიჭის, მაღალი პროფესიონალიზმის, ჯანდაცვის საკავშირო სისტემაში, საერთოდ, სახელისუფლებო ვერტიკალში არსებული საქმიანი და მეგობრული კონტაქტების, მისი ქარიზმის წყალობით, ძალიან მოკლე ვადებში, ქალაქ სოხუმის ცენტრალურ ნაწილში, რესპუბლიკური საავადმყოფოს გვერდით, აშენდა და უახლოესი სამედიცინო ტექნიკით აღიჭურვა თანამედროვე ნეიროქირურგიული ცენტრი, რომელსაც აფხაზეთში ყველა ეძახდა „მესხიას ცენტრს“. გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ „მესხიას ცენტრში“ მოსკოვის დონის ნეიროქირურგიული ოპერაციები კეთდებოდა... ბატონი ნაპო, მართლა იყო ძალიან მკაცრი, პრინციპული, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი, თავისი პაციენტების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი და მზრუნველი. ამ თვისებების გამო, ბ-ნ ნაპოს ავტორიტეტი და მის მიმართ პატივისცემა აფხაზეთში, მათ შორის, აფხაზეთის ელიტაში, აფხაზურ საზოგადოებაში დღითი–დღე მატულობდა! სწორედ, ამან განაპირობა ის რომ, როცა აფხაზეთში მძიმე პერიოდი დაიწყო, როცა ქართულ-აფხაზური დაპირისპირება იქამდეც მივიდა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში დეპუტატად ქართველის არჩევა მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ, აფხაზის - აფხაზებს, რუსის - რუსებს და ა.შ., ალბათ, იშვიათი გამონაკლისი, თუ ერთად-ერთი არა, იქნებოდა ბ-ნი ნაპო, რომელსაც ყველა ენდობოდა და ყველა აირჩევდა... აირჩიეს კიდევაც, სხვებიც აირჩიეს თავისიანებმა... დადგა მძიმე დრო, ბ-ნი ნაპოს ცხოვრებამ და მოღვაწეობამ სულ სხვა სფეროში და სიბრტყეში გადაინაცვლა... ეს ყველაზე დიდი სიზუსტით, ფაქტებით ობიექტურობით და მწარე სიმართლით, აღწერილია იუბილარის მიერ გამოცემულ წიგნში „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“. აქ ყველაფერი ითქვა, მეტს ვერაფერს დავუმატებ.

მართალია, ამ წიგნს, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ოპონენტი გაუჩნდა, მას დღეს სხვადასხანაირად აფასებენ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია - აფხაზეთის ტრაგედია მოხდა, რაც შეიძლება არც მომხდარიყო, რომ ბ-ნი ნაპოსთვის ყურადღებით მოესმინათ, ქართულ მხარეს სხვა სცენარით წაეყვანა პროცესი. აფხაზეთის ტრაგედიის გამოსწორების რამდენიმე შანსი არსებობდა და ისინიც ხელიდან გავუშვით. შეიძლება არ გაგვეშვა... რომ ქართულ მხარეს ბ-ნი ნაპოსათვის კარგად მოესმინა, კონფლიქტის დარეგულირების პროცესის მართვის ქმედითი ბერკეტები მისთვის ჩაებარებინა...

უფალი და დრო განსჯის მტყუან-მართალს! ცხოვრება გრძელდება! მთავარია ის, რომ ჩვენი მეგობარი იუბილარი განაგრძობს აქტიურ ცხოვრებას და მოღვაწეობას. მან ახლა მხოლოდ ისეთ ასაკს მიაღწია, რომელსაც სიბრძნის ასაკს ეძახიან!

ბ-ნი ნაპოს მიერ განვლილი ცხოვრების და მისი საინტერესო, მაგრამ რთული ბიოგრაფიის მძიმე ნაწილს თვალი რომ გადავავლოთ და ოდნავ მაინც გავაანალიზოთ, დავინახავთ, რომ ის ჩვენი დროის გმირია!

გავიხსენოთ იოსებ ნონეშვილის გამონათქვამი:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი...
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

სიმართლის თქმა ყოველთვის უმადური საქმე იყო თანამედროვეებისათვის, მით უმეტეს, შენი კოლეგებისათვის პირში სიმართლის თქმა მტკივნეულია და ამის გაკეთება მართლაც გმირობაა! გაცილებით ადვილი იქნებოდა მომავალი თაობებისათვის ყოველივე ამის გადაბარება, მაგრამ ბატონმა ნაპომ ასე არ გააკეთა, მან მისი თაობისა და საკუთარი უმაღლესი დონის პასუხისმგებლობის დემონსტრირება მოახდინა. ამიტომაც არის ის ჩვენი დროის გმირი!

და ბოლოს, არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ბატონი ნაპოს განსაკუთრებული ადამიანური უნარ-თვისებების შესახებ - იყოს უანგარო, ერთგული მეგობრისადმი და თუ დასჭირდა კლდესავით დაუდგეს მას გვერდში. ასე გააკეთა ბატონმა ნაპომ ჩემს ოჯახთან მიმართებაშიც, როცა თითქმის დაცარიელებულ გალის რაიონში განუკითხაობის დროს, 1996 წლის აგვისტოში, საბრძოლო ავტომატი АКС-ის ტყვიისგან ხერხემალში მძიმედ დაჭრილი ძმა, ზუგდიდში გადმოვიყვანეთ, როცა მისი სიცოცხლე რეალური საფრთხის წინაშე იდგა, ბატონმა ნაპომ, მისივე ინიციატივით, მძიმედ დაჭრილი ძმის სასწრაფოდ ქუთაისში გადმოყვანის გადაწყვეტილება მიიღო. აქ მას ეგულებოდა მისი საუკეთესო მოსწავლე და უმცროსი მეგობარი, ახალგაზრდა სოხუმელი ნეიროქირურგი, დავით ჩიქოვანი.

ბატონი ნაპო, ავადმყოფს რამდენიმე თვე პირადად ადგა თავზე. ამ პერიოდში, არაერთი კრიზისული სიტუაცია, მისი უშუალო ჩარევით და ზედამხედველობით იქნა დაძლეული! ჩემი ძმა დღეს ცოცხალია, ოტობაიაში ცხოვრობს და მამისეულ კერას არ აქრობს... ვინ იცის, რამდენი ასეთი სიკეთე აქვს გაკეთებული ბ-ნ ნაპოს აფხაზეთში, ზუგდიდში, სამეგროლოში, იმერეთში, მთელს საქართველოში. უზარმაზარი მადლობა მას ყველაფრისათვის!

ჩემო დიდო მეგობარო, გისურვებთ დღეგრძელობას, ძლიერი შემართების და შემოქმედებითი მუხტის შენარჩუნებას, რათა შეძლოთ თქვენი თანამოაზრეების დარაზმვა, „აფხაზეთში დაბრუნების გზების მოძიება“!

ერთად ვეცადოთ, რომ თქვენს მიერ შემოკრული განგაშის ზარების რეკვა არ შეწყდეს! პოეტი ჯანო ონიანი ამბობს:

„ვერ შეგაშინოს ამ ჟამმა მკაცრმა,
შენმა ტოტებმა უხვად იყაროს,
გვინდა ჩვენს გვერდში შენებრმა კაცმა
იყოს, იცხოვროს და გაიხაროს“

ალუ გამახარია
სოხუმის გაერთიანება ორგტექნიკის
ყოფილი დირექტორი

სიმართლის ნათელი სვეტი

ვინც ამ შესანიშნავი წიგნის წამკითხველი - და არა გადამკითხველი - იქნება, არ გაუჭირდება სწორად აღიქვას ის სრული სურათი, ფაქტებით და მხოლოდ ფაქტებით დადასტურებულ იმ მოვლენათა მსვლელობა, რამაც აფხაზეთის გასხვისებამდე მიგვიყვანა. დარწმუნებული ვარ, გაივლის დრო - მას მკითხველი ერთხელ კიდევ (ვინ იცის მერამდენედ) წაიკითხავს და გულდამშვიდებული ამაყად იტყვის: ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ: ჩვენი ცხოვრების გამყოფი ხაზი არც ენგურზე გადის და არც საქართველოში არსებულ არცერთ სხვა მდინარეზე.

ერონულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავრები: სამეფო დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენლები, კათალიკოს-პატრიარქები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები,- რომლებმაც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების, ქართული ენისა და გენის გადარჩენის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლეც კი მიიტანეს, არც ისე იშვიათად, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ობიექტებად იყვნენ (არიან დღესაც) ქცეულნი. საკმარისია, გავიხსენოთ დიდი ილიას, კირიონ მეორის და ზვიად გამსახურდიას და სხვათა, დღემდე „ვერგაუხსნელი“, სულისშემძვრელი მკვლელობები...

ეს იმიტომ რომ: საქართველოს მიწაზე კვლავაც დააბიჯებენ შადიმანები, ციციანოვები, შევარდნაძეები, სააკაშვილები და ძმანნი მათნი.

განსაკუთრებით „პროდუქტიული“ გამოდგა ამ მხრივ ბოლო 20-25 წელი და თანამედროვე მსოფლიო მასშტაბის თაღლითის მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდი, რომელმაც მკვლელთა ბანდა შექმნა და საქართველოს ყველა მიმართულებით შეუტია.

ერვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სხვადასხვა ეტაპზე თავისი ხარვეზებიც თან ახლდა. კერძოდ, მოძრაობის მხარდამჭერთა შორის არცთუ მცირე ჯგუფი მოქმედებდა (სამწუხაროდ, მოქმედებს დღესაც), რომელიც იმპერიულ რუსეთს აიგივებდა რუს ხალხთან, რასაც გარკვეული ძალები წარმატებით იყენებდნენ თავისუფლების მოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

ამ მომენტებმა უფრო მეტი სიმძაფრე XXI საუკუნეში შეიძინა, როდესაც, ერთი მხრივ, წინა პლანზე წამოწეული იქნა ყოველგვარი რუსულის უარყოფა თვით დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე. არაფერს ვამბობ რუსული ენის განდევნასა და კულტურულ ურთიერთობათა შეზღუდვებზე. მეორეს მხრივ, კრემლის მესვეურები კვლავაც ცდილობენ საბჭოთა კავშირის რაღაც ფორმით (ევრაზიული კავშირი) შეკონწიწებას, რასაც, თვით მ. სააკაშვილის ბანდის ხელშეწყობით საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) ანექსიისაკენ მიმართული ოკუპაცია მოჰყვა.

ფაქტია, დამოუკიდებლობა-სუვერენიტეტის მოპოვება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი შენარჩუნება. მახსენდება საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის სიტყვები მისივე მემუარული წერილებიდან: საფრანგეთზე უზომოდ შეყვარებული ეს დიდი პიროვნება წერდა, რომ საბჭოთა ხალხში უფრო მეტი რუსია, ვიდრე ბოლშევიკიო. დე გოლმა შეძლო ის, რაც სხვა კაპიტლისტურმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს: ნაცვლად ცივი ომისა, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, რაც დღესაც საკმაოდ გამართულად მუშაობს იმ პირობებშიც კი, როდესაც სხვა ცხელი წერტილების კვალდაკვალ უკრაინის კრიზისმაც იჩინა თავი.

ბატონ ნაპო მესხიას ბოლოდროინდელი წერილები, რომლებიც ამ წიგნშია თავმოყრილი, გვიჩვენებს აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების დარეგულირების მართებულ გზას. მიუხედავად ამისა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. მგალობლიშვილი და რ. ქარაია, თავიანთი ჭკუით, „მამხილებელი“ კრიტიკით გამოვიდნენ პრესაში. მართალი გითხრათ, მეცოდებიან ისინი. მათ სიმართლე, როგორც ტალახში გო-

რაობის მოყვარულ ერთ შინაურ ცხოველს ქამენია (ერთგვარი ბალახია) აფრთხობთ და ცდილობენ ლაფში ამოსვარონ იგი. ბევრმა სცადა ბატონ ნ. მესხიას ტალახში ამოსვრა. საამისოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მოიშველიეს,- ჯერ შორი მანძილიდან - პრეზიდიუმიდან - დაიწყეს, მერე ახლო მანძილიდანაც სცადეს, მაგრამ ნიცშეს ერთი შეგონებისა არ იყოს, ქარის საწინააღმდეგოდ ნასროლი ტალახით თავად გაისვარნენ.

მე ისევ წიგნს მივუბრუნდები, რომელიც იკითხება როგორც მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივი. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიულ-დოკუმენტურ „დეტექტივს“ არც მხატვრულ-ესთეტიკური დონე აკლია. ავტორი არ ჩქარობს დასკვნების გაკეთებას, - მას უამრავი ფაქტი მოყავს აფხაზეთის ომისა და ომისშემდგომი დაპირისპირების პერიპეტიებიდან, რითაც მკითხველი დამოუკიდებლად მიყავს ლოგიკურ დასკვნებამდე.

ჩემთვის დღესაც გაუგებარია, „როგორ გასხვისდა აფხაზეთის“ წაკითხვისას ზოგმა მკითხველმა რა ვერ გაიგო, თანაც იმ მკითხველმა, რომლის თვალწინ იბომბებოდა აფხაზეთი, ნადგურდებოდა ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი შრომით შექმნილი მატერიალურ-კულტურული თუ სულიერი ღირებულებანი. ადრეც მითქვამს და აქაც გავიმეორებ: აფხაზეთიდან ზოგიერთებს მილიონები გადმოჰყვათ, ზოგს (დიდ უმრავლესობას) ცარიელი ხელჩანთა და დევნილის დიდი გულისტკივილი...

ჰუმანიტარული დახმარების მითვისების ხარჯზე გამილიონერებულ პერსონებს კი მაღალი თანამდებობებიც გადმოჰყვათ: პრემიერობა, პრეზიდიუმის თვმჯდომარეობა, მინისტრობა, დეპუტატობა და სხვა „წვრილფეხა“ თანამდებობები. მცირე გამონაკლისის გარდა (მხედველობაში მყავს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიისა და სხვა ხასიათის მეცნიერული გამოკვლევების ცალკეული ავტორი და ავტორთა ჯგუფი), მათ ბალანსზე თითქმის არ ირიცხება არცერთი კეთილი საქმე, თუმცა პასკვილების წერით კი ერთობიან და ამით გვახსენებენ თავს.

ბატონი ნაპო მედიცინის ყველაზე რთულ სფეროს არის შეჭიდებული. იგი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნეიროქირურგი, აღიარებული დასტაქარი გახდა. საკავშირო სამედიცინო აკადემიის, აკ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტის რეკომენდაციით, დასავლეთ საქართველოს ნეიროქირურგიული საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ჩაიბარა. მას შემდეგ, ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია მას და სულისშემძვრელია ის პირადი ტრაგედიები, რაც მის ოჯახს დაატყდა თავს. წარმოდგენილი მაქვს, რაოდენ ტრავმირებულია ამ ადამიანის ცხოვრება. და მაინც: მე მას ტრაგიკულ პიროვნებად არ ვთვლი, - ის მთელი შინაგანი ძალებით შეებრძოლა არა მარტო პირად ტრაგედიებს, არამედ მათთან ერთად იმ ტრაგედიებსაც, რომლებიც აფხაზეთსა და მთელ საქართველოში დატრიალდა. მას დასტაქრის სკალპელი ხელიდან არასოდეს გაუშვია და ქვეყნისათვის უმძიმეს წლებში ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად მიუკერძოებელი მემატიანის კალამი აიღო ხელში. წარმატებითაც. ასე იწერებოდა ბატონ ნაპო მესხიას წიგნები, სტატიები, პოლემიკური წერილები თუ სხვა ხასიათის ანალიტიკური მასალები, რომლებსაც ზოგიერთი „ოპონენტის“ მხრიდან ღვარძლიანი გამოხმაურება მოჰყვა. სწორედ რომ ამაზეა ნათქვამი: „...დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“-ო. უნებლიედ მახსენდება სტალინის გამონათქვამიც: მტერს (გულისხმობდა ბურჟუა-კაპიტალისტებს) თითი რომ აჩვენო, ხელს მოგაჭამენო. არ ვიცი, ზოგიერთმა „კრიტიკოსმა“ ბატონ ნაპოს მტრად საკუთარი თავი რად წარმოიდგინა, მაგრამ სავალალო ფაქტი ის არის, რომ ჯიქურ შეეცადნენ მისთვის ხელი წაეჭამათ, თუმცა თითი ბატონ ნაპოს არც არავისთვის უჩვენებია და არც დაუქნევია, მან მხოლოდ სიმართლე თქვა. ეს უდღეური პოლიტიკოსები არც ნაპოს და არც ჩემი მტრები არიან, მაგრამ არ იციან, ვის ებრძოლონ,- მტერს თუ მოყვარეს.

დარწმუნებული ვარ, სიმართლის სვეტი, დღეს იქნება თუ ხვალ, ამ წიგნიდან გამოაღწევს და ენგურს ნდობის ხიდად გადაწვდება.

მე ოპტიმიზმით და გულისტკივილით აღვიქვამ ბატონ ნაპოს ამ მრავლისმეტყველ ნაშრომს, რომელსაც სიმართლის დიდი სიმაღლე აქვს, საიდანაც რეალურად ჩანს აფხაზეთიც და ცხინვალიც. ადრე თუ გვიან, გარემომცველი სამყაროც დაინახავს მას და მოსკოვიც იძულებული გახდება სიმართლეს თვალი გაუსწოროს. მთავარია, ჩვენ, ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთმანეთისაკენ მიმავალი გზა ვიპოვოთ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი ამ გზას დავადგებით.

შეიძლება მავანმა სწორად ვერ გამიგოს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: ნეიროქირურგმა მესხიამ თავისი წინამდებარე ნაშრომით, „ნეიროპოლიტიკაში“ თქვა სერიოზული სათქმელი. მით უფრო, რომ დღეს ბევრი ვაი-პოლიტიკოსი სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს.

XXI სუკუნეში პირდაპირ ტელეეთერში შემაძრწუნებელი მოვლენების მხილველნი გავხდით, რომელმაც მსოფლიო შესძრა. ჩვენი ქვეყნისთვის ეს განვლილი ეტაპია. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობამ ყოველივე ეს თავის თავზე უკვე გამოსცადა: მაშინ, როცა გაგრაში სეპარატისტები ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ და კავკასიელი “ბოევიკები“ ყველგან დათარეშობდნენ, სამეგრელოში ჯაბა იოსელიანი და მისი ბანდა ზვიადისტებს საკუთარ სახლებში ცოცხლად სწვავდნენ. ამ საერთო დიდმა ტკივილმა დევნილ პოეტს, მურმან ხურცილავას მწარედ ათქმევინა:

„ თუკი არავის არ ეყო ჭკუა,
თუკი ბრიყვებმა ატეხეს დავა,
რა დააშავა ქართველმა დედამ,
აფხაზმა დედამ რა დააშავა?
„შეჩერდით, ძმებო!“ - არვინ იყვირა,

ერთი არავინ გამოჩნდა გმირი...
ორივე დედის მაგიერ ვგლოვობ,
ორივე დედის მაგიერ ვტირი...“

ნაპო მესხიას წიგნის პათოსი სწორედ რომ, „ორივე დედის მაგივრად“ ტირილია!

ტრაგედიამ, რომელსაც ხალხის სახელს ამოფარებული „პოლიტიკოსების“ გაუკუღმართებულმა აზროვნებამ მისცა ბიძგი, ბევრს ჭკუა მაინც ვერ ასწავლა: სეპარატიზმი მთელი მსოფლიოსათვის საუკუნის ძნელად ასალაგმი სენია და მასთან დაუფიქრებლად თამაში (თუნდაც სიტყვით) დაუშვებელია.

2014 წლის მიწურულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში შეხვედრა მოეწყო მოკლე სიტყვით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. გვაზავაც გამოვიდა, რომელმაც დიდი გულისტკივილით (?) ილაპარაკა მეგრულ სეპარატიზმზე. ვფიქრობ, მას „ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა“ სურდა - ერთი მხრივ, თავი აფხაზურ სეპარატიზმთან ერთად „მეგრულ სეპარატიზმთან“ მებრძოლ გმირად წარმოაჩინა, მეორე მხრივ, ზურგი გაუმაგრა „კრიტიკოსებს“, რომლებიც ნაპო მესხიას პირუთვნელად და შეულამზებელი სიმართლით დაწერილ წიგნში „მეგრული სეპარატიზმის“ აჩრდილს ეძებენ, ბატონ გვაზავას ალბათ ეგონა, დამსწრეთა შორის მხარდამჭერებსაც იპოვიდა, მაგრამ შეცდა, - მისი ეს გამოხდომა მკაცრად იქნა დაგმობილი.

უსამართლობა იქნება, ბატონ ნაპო მესხიას ადამიანურ ღირსებებს მოკლედ მაინც არ შევეხოთ: მისთვის უცხოა პირფერობა, კონფორმიზმი, არის შეუვალი და პირდაპირი, ამბობს და წერს იმას, რასაც ფიქრობს,: უღალატოა, სტრატეგიულად მოაზროვნე და კეთილისმსურველი... ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიიდან მოყოლებული, როდესაც კონკურენტები ვიყავით, მაგრამ თანამებრძოლებლად ვიქეცით. მისთვის მთავარი იყო სიმართლისათვის ბრძოლა და არა დე-

პუტატობა. ეს აფხაზებმაც იციან, მაგრამ რატომ არ იცის ზოგმა ქართველმა?

ღმერთმანი, ეს მე არ მიკვირს, - დიდი ილიასი არ იყოს, ჩვენისთანა „ბედნიერი ერის“ შვილებს შორის ასეთებს რა გამოლევს!

ზემოთ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ნაპო მესხიას დასტაქრის სკალპელი გვერდზე არასოდეს გადაუდვია-მეთქი. ასაკის მიუხედავად, ის ახლაც 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით ცხოვრობს და მისი აზრი და გონება ადამიანთა ჯანმრთელობას ემსახურება.

მან, ამ სამიოდე წლის წინ, მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის (კომპლექსი) დაფუძნების ბიზნეს-პროექტიც შეიმუშავა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინა. დღეს ზუგდიდსა (რუხის დასახლება) და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს ეს ცენტრები უკვე შენდება, რომლებიც ქართველებთან ერთად, ერთნაირი წარმატებით მოემსახურება აფხაზებს, ოსებს და სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებს.

დარწმუნებული ვარ, ბატონ ნაპოს, სხვა წამყვან სპეციალისტებთან ერთად, მალე ვიხილავთ ახლადაშენებული ცენტრის საოპერაციო მაგიდასთან. და არა მარტო იქ, არამედ მოლაპარაკების მაგიდასთანაც - ჩვენს მოძმე აფხაზებთან ერთად, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია.

ზაურ კვარაცხელია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

МОЙ ДРУГ – НАПО МЕСХИЯ

Дела Напо Месхия и слава о нем шли впереди него, а потому я слыхал о нем раньше, чем познакомился с ним.

Нашим добрым, дружеским отношениям более 40 лет, и они были предопределены объективными условиями: мы приблизительно одногодки, оба уроженцы Гальского района – он Отобаевский, а я Мухурский, оба получили высшее образование в России, позже оба работали в Сухуми на достаточно ответственных, видных должностях.

Человеку, гражданину свойственно гордиться, хвалиться своими земляками: когда очамчирцы выкладывают главный козырь – академик, кардиохирург Лео Бокерия, оппоненты побеждено соглашаются- ну Лео Бокерия, конечно Лео Бокерия!

Таким же козырем у моих гальских земляков был и есть Илья Векуа и Петре Шария, а далее Напо Месхия!

Эта параллель не мною озвучена: так говорили, подчеркивали выступающие на торжественном заседании в Гальском Доме культуры в честь Напо Месхия, на котором я имел честь присутствовать вместе с приглашенными из Сухуми.

О ком из врачей Абхазии могли светлые медицинские умы Москвы и Ленинграда сказать пациенту из Абхазии – чего же вы ехали к нам, ведь у вас есть Напо Месхия! **Это признание выше любых орденов и почетных званий!**

...Многие считали и считают по сей день – не должен был такой высокий профессионал медицины идти в неведомые просторы политики, тем более с его характером (бескомпромиссен, прямолинеен, неопытен в политике и т. д и т. п) А я уверен, если его жизнь прокрутить заново, он все равно ушел бы в политику. Точнее, правильнее сказать - не в политику, а в борьбу за спасение людей в единства Грузии, в

борьбу за недопущение вражды между родственными народами.

Это для Напо Месхия и сегодня важнее всего – даже самой его нелегкой жизни…

Он и сейчас, когда я пишу эти строки, страдает, мучается как лев в клетке, от того, что все развилось по наихудшему сценарию волею тех, которых мы считали политиками…..

Сейчас, когда арба перевернулась, мы видим – где и как была совершена трагическая ошибка. Страдания Напо Месхия от того убеждения, что всего этого можно было избежать… **Я не знаю другого грузина, который пользовался бы у абхазов (как у народа, так и у людей власти) таким уважением и доверием, каким пользовался и пользуется Напо Месхия**. Я часто думал об этой его исключительности и объясняю этот феномен только его высокой квалификацией и професионализмом, которое нравилось, наверно, не только абхазам. Им, конечно же, импонировали его открытость, бесхитростность, порой доходящая до резкости, прямоту, некорумпированность….

Его популярность у абхазов дошла до того, что его фамилия входила в поговорку –**„Ты иди и полечись у Месхия»** - говорил один из спорящих своему „неполноценному»оппоненту…..

Природа одарила нашего друга многими талантами: он, безусловно в первую очередь - мудр, ну „хирург от бога», как говорят в народе, и, наконец, он писатель ….

Талантами - то Бог его одарил, но и крест жизненный выпал на него тяжеленный: трагедия в семье, трагедия с Родиной – все это оставило неизгладимую рану в теле, душе, психике…

Он и я друзья,я гордился и горжусь им, также как горжусь нашими большими колхами, академиками Лео Бокерия и Анзором Хубутия.

Дружба, любовь требуют соучастия, сопричастия, чтобы

часть груза друга взвалить на себя. Я это знаю, хочу, но не знаю –как это сделать….

Держись мой брат, держись, мой дорогой друг!

Да сохранит тебя Господь!

ЛОРЕНЦО ШАРАНГИЯ,
Канд. тех. наук, засл. инженер Абхазии,
засл. мелиоратор Грузии

ნაპოლეონ მესხია - ბრძენი და ვაჟკაცი

ბატონი ნაპოლეონ მესხია ახალგაზრდობაში გავიცანი. ასე, 35 წლის ვიყავი, როდესაც აფხაზეთში გამომავალი, ლიტერატურულ-საზოგადოებრი ჟურნალ „რიწის“ მთავარ რედაქტორად დამნიშნეს. ბატონ ნაპოლეონს პირველად სწორედ იმ დღეებში შევხვდი. მანამდე კი, მასზე - ჩვენს ცოცხალ ლეგნედაზე, უამრავი რამ მსმენოდა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ მას, როგორც არაჩვეულებრივ ნეიროქირურგს, სასიკვდილოდ განწირული ბევრი ადამიანი იმქვეყნიდან მოუბრუნებია. რამდენიმე მათგანს პირადად ვიცნობ. ისინი თვლიან, რომ ბატონი ნაპოს მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ხელმეორედ დაიბადნენ.

ბატონი ნაპოლეონი 24 საათის განმავლობაში თავს დასტრიალებდა თავის ავადმყოფებს, ათენებდა და აღამებდა საავადმყოფოში და ამიტომაც იშვიათად თუ შეხვდებოდით მას საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. და, მგონი, სწორედ ამიტომაც გავიცანი ისე გვიან.

გაცნობამდე წარმომედგინა, რომ ის ერთი ხანშიშესული, სათვალიანი, ტანმორჩილი პროფესორი იყო და გავვოცდი, როდესაც ხელი ახოვან, ფაქტობრივად, ახალგაზრდა კაცს ჩამოვართვი. ჩემი გაოცების მიზეზი მისთვის არც დამიმალავს. მას შემდეგ მეგობრებიც გავხდით, თუმცა იშვიათად კი ვხვდებოდით ერთმანეთს.

მოგვიანებით, როდესაც ის ჯერ საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური წევრი, ხოლო შემდეგ კი, ასევე ცნობილი პოლიტიკოსი გახდა, მას შედარებით ხშირად ვხვდებოდი. პოლიტიკაში მისი მოსვლა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მეტად დაძაბულ პერიოდს დაემთხვა.

ბატონი ნაპოლეონი, როგორც აფხაზეთის ძირძველი მოსახლე, ომის დაწყების პირველ წუთამდეც არ წყვეტდა დიალოგს აფხაზებთან, იმ ხალხთან, რომელსაც ყოველთვის უდიდეს პატივს სცემდა და სცემს, უყვარდა და უყვარს. ცდილობდა, ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში არ დარღვეულიყო საუკუნეების განმავლობაში გამოწრთობილი ჩვენი ურთიერთობის ტრადიცია, ღირსეულად წაგვემართა ურთიერთგაგებისა და თანადგომის გენეტიკური მახსოვრობა. სწორედ ამიტომაც ყოველთვის ესათუთებოდა, ფაქიზად ეპყრობოდა ამ ურთიერთობას.

ხანდახან ვფიქრობ ხოლმე - რა მოხდებოდა, რამდენიმე ისეთი მომლაპარაკებელი, პოლიტიკური სვლების წინასწარ გამთვლელი თავკაცი გვყოლოდა, როგორიც ბატონი ნაპოლეონია; მაშინ ხომ იქნებ შესაძლებელიც გამხდარიყო ომის თავიდან აცილება... მაგრამ ისტორიას არ უყვარს ლირიკა - ის, რაც მოხდა, მოხდა! ახლა მთავარია, ყველამ ერთად ვიფიქროთ, შემქნილი უმძიმესი ვითარებიდან თუ როგორ ვიპოვოთ საუკეთესო გამოსავალი.

იმ დაწყევლილი ომის გამო ჩვენსა და აფხაზებს შორის დღეს დანაღმული ველია გაწოლილი: ნაბიჯს არასწორად გადადგამ, დაუფიქრებელ სიტყვას იტყვი თუ ძალიან იჩქარებ... შესაძლოა, სამუდამოდ გამოუსწორებელი სიტუაცია შეიქმნას. დღეს საქართველო განსაკუთრებულად საჭიროებს ისეთი ადამიანების ძალისხმევას, რომლებმაც კარგად იციან ამ დანაღმულ ველზე სიარული. ერთ-ერთი მათგანი ბატონი ნაპოლეონია!

ვკითხულობ რა მის წიგნებს, ვეცნობი რა მის სტატიებს, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ მშვიდობას, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ბევრად მეტი ვაჟკაცობა და, რა თქმა უნდა, სიბრძნე უნდა, ვიდრე ომს! ბატონი ნაპოლეონი, როგორც გამორჩეული კაცი, ჩინებული დასტაქარი, პოლიტიკოსი, ყოველთვის იყო სამაგალითო ვაჟკაციც და ბრძენიც. დღეს ქვეყანას ეს ორი, უძვირფასესი თვისება ყველაზე მეტად სჭირდება.

გურამ ოდიშარია
საქართველოს კულტურის ექსმინისტრი, მწერალი

ღირსებით სავსე კაცი

არის ადამიანების ერთი კატეგორია, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრი საქმეები უკეთებიათ ,როგორც პროფესიონალებს, როგორც საზოგადო მოღვაწეებს, უსაზღვროდ არიან შეყვარებულები თავიანთ სამშობლოზე, ასეთი ადამიანები უყვართ - ასეთ ადამიანებს აფასებს საზოგადოება.

სწორედ ასეთი ადამიანების კატეგორიას განეკუთვნება ბატონი ნაპო მესხია, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, არადა რა კარგად აქვს ერთ სვან პოეტს ტარიელ ჩარქსელიანს ნათქვამი:

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს გავდეს,
მეხის გავარდნას გავდეს სიკვდილი!
მტერიც გყავდეს, მოყვარეც გყავდეს,
მაგრამ არცერთთან ჭამო სირცხვილი“

ადამიანის ცხოვრებაში 75 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის მთავარი მონაკვეთები, აღმართ-დაღმართი. ნებსით თუ უნებლიედ შექმნილი წინააღმდეგობების გადალახვის სურვილები, ავიც და კარგიც, ილუზიური და რეალობაც, ხელჩაქნეულობით გამოწვეული განცდები და იმდენი აღმაფრენაც. მიუხედავად ამისა, ნაპო მესხიას ცხოვრება მრავალფეროვანია, წარმატებულია და სანიმუშო მაგალითია საზოგადოებისათვის. ნაპო მესხია აუცილებლად უნდა გააცნო შვილებს, შვილიშვილებს და უთხრა ასე იცხოვრე შვილო, ასეთი გამოდი ბაბუ ვიდრე არის ნაპო მესხია.

2012 წლის 18 ივლისს ქუთაისში, როდესაც ბატონი ნაპო მსხია ჰყავდათ ,,ბაღისკიდელებს'' მოწვეული, ეს არ იყო მხოლოდ წიგნის გარჩევა, ეს არ იყო მხოლოდ იმ პრობლემებზე საუბარი, რაც ბატონ ნაპო მესხიას აქვს წიგნში წარმოდგენილი, ეს დღე ,,ბაღისკიდელებს''არასდროს არ დაავიწყდებათ, მხოლოდ იმის გამოც რომ, ყველამ ერთად დავინახოთ ნაპო

მესხია მრავალფეროვანი ცხოვრება, რაც იმაში გამოიხატება რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რომლებიც მას შეხვდა, როგორც პირად ცხოვრებაში ასევე საზოგადოების მხრიდან, ზოგჯერ ხელჩაქნეულობის, პესიმისტური განწყობის, გულისტკენის გარეშე განვლო, ჩვენ ნაპო მესხიაში დავინახეთ თავმდაბლობა, პატიოსნება, რაც შეეხება მის პროფესიონალიზმს მასზე დღეს ლეგენდები დადის და მომავალშიც ილაპარაკებს მომავალი თაობა, რაც სანიმუშო მაგალითი გახდება მომავალი თაობისთვის, ნაპო მესხიას აქვს უკან მოსახედი და მას უკან მოხედვის არასდროს არ ეშინია.

ბატონო ნაპო! 75 წელი ბევრი არ არის, არც 25 – ია, მაგრამ არც 100 - ია, ამიტომ მომავალ გასავლელ წლებს დაგილოცავთ ბატონო ნაპო, სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება იყოს თქვენი და თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

„ლომი“

როცა ნადირი ნადირს რიხით ეხმიანება
და ისმენს ქადილს ათასნაირ ხმების ქოროში
საკმარისია ლომის ერთი შეღრიალება,
რომ ყველა მხეცი შეძვრეს სოროში.
ჯუნგლების წესი, თუმც ამ ქვეყნად ყველამ ადიდა,
მაგრამ მათ კანონს ერთ რამეში დავენდურები,
როს კვდება ლომი სათაყვანო მეფე ნადირთა
ესევიან და ჭამენ ტურები.

ბატონო ნაპო! პირდაპირ შემიძლია გავცე პასუხი თქვენს ოპონენტებს, რომ ნაპო მესხია არასდროს არ ყოფილა ტურების შესაჭმელი, არც არის და არც არასდროს არ იქნება, უბრალოდ თქვენ ბიოლოგიურად დიდი ხნის შემდეგ და რაც შეიძლება გვიან იყოს, დააკლდებით არა ქალაქს არამედ ქვეყანას.

ბაღისკიდების სახელით:

ალეკო ბაძგარაძე
საზოგადოება **„ბაღისკიდეს“** თავკაცი. ქ. ქუთაისი

კოლხური ჯიშის შენებრ ქართველი

აფხაზეთის ინტელიგენციის უსაჩინეს წარმომადგენელს, ცნობილ ნეიროქირურგს, სუფთა პოლიტიკოსს, ნაღდ კოლხს და ღირსეულ სამურზაყანოელს ბატონ ნაპო მესხიას

დღეს ნათელია, „ჩაშვება“ მიდის:
დღის სინათლეზე, ხსნილად, მალულად,
როგორც სვავები, დაუნდობელნი
ერთურთს კორტნიან ცოცხლად, ძალუმად.
მათ არ აწუხებთ სინდისის ქენჯნა,
„ყიდვა-გაყიდვა“ ჩვევად გამხდარა.
შურით და ღვარძლით დაგეშილთათვის
უზნეობისა ჟამი დამდგარა.
ნუ გაიხარებს ფლიდი - სატანა,
მიწა სკდებოდეს ფეხებქვეშ.
შენ კი, კაცი ხარ, მართლაცდა ნაღდი,
ღომელსაც ძმობა სიცოცხლედ უღირს!
დიახ, გიჭირდა, ჯვარცმაზეც იყავ,
თითქოს ცხოვრებამ გიმუხთლა კიდეც.
მაინც ამაღლდი, მტრების ჯინაზე
და წუთისოფლის ჭაპანი ზიდე.
სინდის-ნამუსით და მტკიცე რწმენით,
შენ ხარ უდრეკი ნებისმყოფელი,
სუფთა-ხალასი პოლიტიკოსი,
დიპლომატური ნიჭის მფლობელი!
შენს ნამოღვაწარს და შენს ნახელავს,
არ მოკლებოდეს შუქი ნათელი,
ღმერთმა უმრავლოს სამურზაყანოს
კოლხური ჯიშის შენებრ ქართველი!
მშობლეიურ ხალხის გულებში მარად,
სიკეთით შენ ხარ უფლის სწორია,
მეგობრებში კი მეფეთ-მეფე და
მედიცინაში პროფესორია!

იური კაკავა

ჩემი დიდბუნებოვანი მეგობარი

მინდა მოკლედ მოგახსენოთ ჩემს კოლეგაზე, დიდ პატრიოტ ქართველზე, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ რაინდზე, აფხაზეთში (არა მარტო აფხაზეთში) განთქმულ ნეიროქირურგზე, ნაღდ კოლხსა და უღალატო კაცურკაცზე - პროფესორ ნაპო მესხიაზე.

მე ამაყი ვარ და ამავდროულად მიჭირს ვილაპარაკო ბატონ ნაპო მესხიაზე. რომელი ერთი კუთხით შეიძლება შეაფასო მისი მოღვაწეობა. ბედმა მარგუნა 60-ანი წლებიდან ვყოფილიყავი მისი მეგობარი და კოლეგა. სტუდენტობის პერიოდშიც გამორჩეული იყო. ის მე-4 კურსზე იყო, როდესაც მე ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. პირველკურსელებს სულ გვესმოდა ლექტორებისგან ერთ-ერთ წარმატებულ სტუდენტზე საქებარი სიტყვები, გვირჩევდნენ მაგალითი აგვეღო მისგან. ეს სტუდენტი გახლდათ ნაპო მესხია - სტალინური და შემდგომ ლენინური სტეპენდიანტი. რომლის ფოტოსურათი, როგორც წარჩინებული სტუდენტისა ინსტიტუტის კედლებს ამშვენებდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მსოფლიოში ცნობილი ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარმატებით დაასრულა. იქვე დაიცვა დისერტაცია.

ჩემს თვალწინ, უშუალოდ ბატონი ნაპოს ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა აფხაზეთში ნეიროქირურგიული სამსახური. მახსოვს, სრულიად ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსემ როგორ გახსნა რამდენიმე ფიქსირებული ნეიროქირურგიული საწოლი ქ. სოხუმის პირველ საავადმყოფოში. მახსოვს მის მიერ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ურთულესი ოპერაციები. ამავდროულად განყოფილების ჩამოყალიბება, მიუხედავად ჩინოვნიკების და სკეპტიკურად განწყობილი ექიმების ბევრი წინააღმდეგობებისა.

მან გულრიფშში ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაზაზე

ჩამოაყალიბა პირველი ნეიროქირურგიული განყოფილება, სადაც საფუძველი ჩაეყარა შემდგომში სერიოზული ნეიროქირურგიული ცენტრის მშენებლობას. უშუალოდ მისი თავკაცობით აშენდა ქ. სოხუმში რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე უნიკალური ოთხსართულიანი ყველაფრით უზრუნველყოფილი ნეიროქირურგიის ცენტრი. ამ ცენტრის ფუნქციონირების დღიდან ნეიროქირურგიული ავადმყოფი სხვაგან არავის წაუყვანია და არ გამხდარა საჭირო მოეწვიათ სოხუმში დიდი ქალაქებიდან ცნობილი ნეიროქირურგები, იმდენად სრულყოფილად და მაღალპროფესიონალურ დონეზე ხდებოდა პაციენტების სამედიცინო მომსახურება. პირადად მაქვს მოსმენილი ქ. მოსკოვის ბურდენკოს სახელობის ინტიტუტის განყოფილების გამგის, პროფესორ **სერგეი ფიოდოროვის** სიტყვები, როდესაც მასთან მივიდნენ აფხაზეთში ცნობილი ადამიანები, რათა ჩამოეყვანათ მძიმე ავადმყოფთან, იმდროინდელ სოციალისტურ შრომის გმირთან, საკონსულტაციოდ. მან ბრძანა: **- ჩემი ჩასვლა რა აუცილებელია, როცა თქვენ გყავთ ბრწყინვალე ნეიროწირურგი ნოდარ შალვას ძე მესხია.**

ბატონი ნაპო გახლდათ ბოლო 40 წლის განვმალობაში აფხაზეთში უპირობო ლიდერი მედიცინის დარგში. სწორედაც შეუფასებელია ის ღვაწლი, რაც გააკეთა ბატონმა ნაპომ ამ კუთხით. მან სოხუმში დატოვა იმ დროისთვის წარმოუდგენლად მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურა და რაც მთავარია, მოამზადა მაღალკვალიფიციური კადრები დაწყებული საშუალო სამედიცინო პერსონალიდან, დამთავრებული მაღალკვალიფიცირებული ნეიროქირურგებით.

მის კალამს, ამაზე ალბათ სხვები უფრო კარგად იტყვიან და ისაუბრებენ როგორც უნიჭიერეს მწერალსა და პუბლიცისტზე, ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია. მას შემოთავაზებული აქვს არა ერთი ორიგინალური მეთოდი და მიდგომა ნეიროქირურგიაში. მისი უნიკალური წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“-ს ორივე გამოცემა (ქართული და რუსული ვარიანტი), ალბათ, არის ყველა ქართველისათვის და განსაკუთრებით კი აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეებისათვის სამაგიდო წიგნი, რომელიც უნდა იკითხო ხშირად და იფიქრო როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი.

აფხაზეთის ომის პერიოდში პრაქტიკულად მისი ნეიროქირურგიული ცენტრი ფუნქციონირებდა წინა ხაზზე. მას, თავის გუნდთან ერთად, ერთი საათითაც არ მიუტოვებია კლინიკა, ხოლო ომის ბოლო დღეები დაამთავრა აგუძერის სამხედრო ჰოსპიტალის საოპერაციოში, ვინაიდან სოხუმი უკვე დაცემული იყო. მახსოვს, როგორი შეურაცყოფილი, დაღვრემილი და უკიდურესად შეწუხებული იყო. მისდამი დიდი პატივისცემის ნიშნად, დავუთმე ჩემი კაბინეტი, რომ მოესვენა ოპერაციების შუალედებში.

მე არ შევეხები მის პოლიტიკურ მოღვაწეობას. ყველასათვის ნათელია თუ რა წვლილი აქვს შეტანილი აფხაზეთის აღმშენებლობის საქმეში და ომის შემდგომ როგორ აქტიურად იყო ჩართული აფხაზებისა და ქართველების შერიგების პროცესში.

ბატონი ნაპო ყოველთვის იყო და დღესაც გვერდში უდგას და რჩება თითოეული აფხაზეთელი ექიმის იმედად და თანამებრძოლად. პიროვნულად ძალიან პრინციპული, მებრძოლი და შეუპოვარი ბუნებისაა, ამავდროულად ზოგჯერ გულუბრყვილო და ძალზედ მიმტევებელი. ეს სათუთი და გულღია ადამიანი ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს ყველას უანგაროდ. დევნილობის პერიოდში ძალიან ბევრი ეთნიკურად აფხაზი პაციენტისთვის გაუწევია დახმარება. მის ტანჯულ გულს დღეს ახარებს სამი ულამაზესი და უნიჭიერესი შვილიშვილი; ირაკლი ვერიკო და დათო, რომლებსაც ბრწყინვალე მომავალი აქვთ. მადლობა უფალს, რომ ის არსებობს და ვუსურვებ მას ხანგრძლივ და ნაყოფიერ ცხოვრებას.

თამაზ ჯანაშია
პროფესორი

აფხაზეთის ნათელი

ყოველი ცოცხალი, გაჩენის დღიდან, ნათელს მიელტვის.

მეც ასე ვარ. ჯერ კიდე ვძალიან პატარამ გავაცნობიერე, რომ საოცარია შუაღამის ცის კაბადონი და ვარსკვლავების ჯარი, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა მეტისმეტად კაშკაშა და გამორჩეულად ნათელი.

მოგვიანებით, როცა აფხაზეთშიც დაბნელდა მზე და საყოველთაო წყვდიადმა მოიცვა ყველა და ყოველი, მივხვდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამურზაყანოდან ამოსულ ვარსკვლავებს უნდა მივყოლოდი ადამიანობის ტაძარში.

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ბატონი ნაპოლეონ მესხია ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობარია და მსოფლმხედველობით თანაზიარი.

ნაპო მესხია ჯერ კიდევ სკოლის წლებში გავიცანი შორიდან და ეს ბაბუაჩემის ელიზბარ კახიანის დამსახურებაა. იგი იმ დროისთვის უაღრესად განათლებული (დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის გიმნაზია წარჩინებით) და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო.

ერთ მშვენიერ საღამოს შეკაზმულ ცხენზე შემსვა ბაბუამ და ზარწუფას ტყეში (სოფელი ოკვინორე) წამიყვანა სასეირნოდ. იგი ათას რამეზე მიყვებოდა გზა და გზა და ბინდბუნდში მეზობელი სოფლის (ოტობაია) პირველი დასახლებაში შევედით.

- ეს მიწები და ეზო-კარი მესხიების სამკვიდროა, მათი გვარი გამორჩეულია ქართულ გვარებს შორის და ჩვენი ნათესავები არიანო, - ამიხსნა ბაბუამ.

როცა წამოვიზარდე, ბაბუა ლამაზ ამბებს მიყვებოდა მესხიების გვარზე. დღემდე მახსოვს მისი სიტყვები: მესხიებს თავიანთი ქვეყანა ჰქონდათო საქართველოს სამხრეთში, ლაზეთის მეზობლად; მათი მესხიების (მოსხების) ერთი შტო უხსოვარი დროიდან აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა და თავიანთი საოცარი ციხე-კოშკებით ქვეყნის სამანებს დარაჯობდნენო; მესხიები (მესხი, მესხიშვილი, მესხიძე) საქართველოს ყველა კუთხეში არიან და მათი ჯიშის გენეტიკური ხაზია ახოვნება და პირმშვენიერება, პირდაპირობა და გულითადობა, ნიჭიერება და მრავალმხრივობა, საქმის ჯიქურ დაწყება და შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში.

სტუდენტობის წლებში ბებიაჩემმა მთხოვა, - მთელი ქვეყანა ახალგაზრდა ექიმ ნაპო მესხიაზე ლაპარაკობს, მიდი, გაიცანი, ჩვენი ახლობელიაო.

ენათმეცნიერებთან მოვიძიე „სხ“ („მსხ“) თანხმოვანთწყობის მნიშვნელობა ქართულ (მეგრულ, ლაზურ) ენაში. რას არ ნახავს და გაიგებს მოფიქრალი კაცი: ამ ფუძე-ძირით წარმოებული სიტყვებით შეიძლება უამრავი რამის ახსნა და განმარტება, ნაყოფიერებით (მსხმოიარობა, სიუხვე, სიმდიდრე) დაწყებული და ბრძენი მმართველის გადაწყვეტილებით დამთავრებული.

ჩემი სტუდენტობის წლებში ვერ მოვახერხე ბატონი ნაპოს გაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებში მისი, როგორც ძალიან ახალგაზრდა და ძალიან სახელოვანი ექიმ-ნეიროქირურგის სოხუმში გამოჩენა უკვე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მაშინდელი აფხაზეთის ცხოვრებაში.

ქალაქ გალში და რაიონის სოფლებში ლეგენდები დადიოდა ბატონი ნაპო მესხიასა და მის ოქროს ხელებზე, ექიმ-მხსნელზე, რომელიც ლამის საიქიოდან აბრუნებდა გამოგლოვებულ ადამიანებს.

ნაპო ექიმთან პაციენტთა რიგები იდგა სოხუმში, გალში, ოტობაიაში, ყველგან, სადაც კი ბატონი ნაპო გამოჩნდებოდა.

იმ ჟამად თავისა და ტვინის პრობლემებთან დაკავშირებით ცოტა ვინმე თუ დადიოდა მოსკოვის თუ თბილისის ცნობილ სამედიცინო ცენტრებში. ბატონი ნაპო და მის მიერ ქალაქ სოხუმში დაარსებული ნევროლოგიის ცენტრი იყო მექა, სადაც ადამიანები იმედს, სიცოცხლეს და შვებას ჰპოვებდნენ.

დღემდე მახსოვს ხალხში მოარული ხმები: ბატონმა ნაპომ ნახა და თქვაო, ბატონმა ნაპომ სიცოცხლე აჩუქაო, ბატონმა ნაპომ ურჩიაო.

ბატონმა ნაპომ (როგორც ხდება ხოლმე) თავადვე იწვნია უსაზღვრო ტკივილი საკუთარი ვაჟიშვილების ტრაგიკული ბედის გამო. მაშინ მთელი აფხაზეთი, სამურზაყანო, ბატონ ნაპოს ოჯახის მწუხარების თანაზიარი იყო.

შემოდგომ ის, ერთ მზიან დღეს, ქალაქ გალის რაიონული კულტურის სახლში ტევა არ იყო, ნაპო ექიმის ვაჟიშვილის ლექსებს აღმერთებდა ხალხი და ნუკრიას ლექსებზე აწყობილი კოლხური ჰანგები იღვრებოდა ქალაქში.

იმ დღეს და იმავე დარბაზში აღმოვაჩინე, რომ ბატონი ნაპო არა მარტო ნიჭიერი ექიმია, არამედ და უპირატესად, ძლიერი პიროვნება, ქვეყნის პატრიოტი და გამორჩეული საზოგადო მოღვაწე.

გალის რაიონში ბატონი ნაპოს ყოველი ჩამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი მობრძანებით რაღაც ახალი იწყებოდა ქალაქის ცხოვრებაში, რაიონის ეკონომიკაში, ჯანდაცვაში, კულტურაში, თუნდაც საკადრო საკითხებში.

ბატონ ნაპოს უამრავი სტუმარი და საქმის ხალხი (თანამედროვე გაგებით) ჩამოჰყავდა გალში სოხუმიდან, თბილისიდან, მოსკოვიდან და არც შედეგი აყოვნებდა: რაიონში შემოდიოდა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები.

ბატონი ნაპო ხშირად იყო აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის, უპირველესად, ქართველთა და აფხაზთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისთვის ძალისხმევის მოთავე. მას (თითქოს გრძნობდა კიდეც აფხაზეთის მომავალ ტრაგედიას!) გალში ჩამოჰყავდა ცნობილი აფხაზი პოეტები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეები.

როცა აფხაზეთის თავზე შავი ღრუბლები ჩამოწვა, ბატონი ნაპო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა. მან

კენჭი გალში იყარა (თუმცა სხვაგანაც შეეძლო) რადგან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ გალი იყო სოხუმსა და თბილისს შორის ის გეოგრაფიული მიჯნა და ისტორიული ბუფერი, რომელსაც შეეძლო საქართველოს ერთიანობის გადარჩენა.

იმ წლებიდან ბატონი ნაპო მთელი თავისი არსით ჩაება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და მალევე გახდა აფხაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობისათვის თავდადებული პოლიტიკური ფიგურა.

მაშინ მეტისმეტად რთული ვითარება და განუჭვრეტელი სიტუაცია იყო, ბნელეთში ხელის ცეცებით ვეძებდით ლაბირინთის კარებს. ბატონმა ნაპომ კი იმ დროისთვის არაპოპულარული არჩევანი გააკეთა, რადგან იგი სხვანაირად ხედავს სამყაროს და... სიტყვით, კალმით და საქმით უყოყმანოდ დადგა სიმართლისა და სამართლიანობის დარაჯად. მან, როგორც იტყვიან, ხმალი იშიშვლა, რათა არ მომხდარიყო ყველაზე უარესი-აფხაზებსა და ქართველებს შორის ძმათა მკვლელი შეიარაღებული დაპირისპირება და უგუნური სისხლის ღვრა.

ბატონ ნაპოსთვის სახალხო დიპლომატია, აფხაზი და ქართველი ხალხების ნათესაობა, ტრადიციული მეგობრობა და ძმობა, პირადი ავტორიტეტის ძალა იყო და არის ის უკანასკნელი საყრდენი, რასაც ჯერ კიდევ შეუძლია საკუთრივ აფხაზეთისა და აფხაზეთში საქართველოს გადარჩენა.

აქსიომაა, რომ ერთი (იქნებ რამდენიმე) კაცი შეიძლება იყოს ბრძოლის ველის ჭეშმარიტი გმირი და თავიც გაწიროს ხალხისთვის, მაგრამ ის ვერ შეცვლის სახელმწიფოს ნებას, როცა ომის მანქანა უკვე დაქოქილია და უაზრო სისხლის ღვრა გადაწყვეტილი საკითხია. სამწუხაროდ, ვერც ბატონმა ნაპომ შესძლო ლულიდან გამოვარდნილი ტყვიის ლულაშივე შებრუნება.

ომი აფხაზეთში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ომიც იყო და ბატონ ნაპო თავის კოლეგებთან ერთად 13 თვის გან-

მავლობაში ტანზე არ გაუხდია, არც შემდეგ ჰქონია მშვიდი ცხოვრება....

ბატონ ნაპოსთვის ეს წლები იყო და არის პოლიტიკური ბატალიების, გადარჩენის გზების ძიების, ძველ და ახალ (აფხაზ და ქართველ) მეგობრებთან და კოლეგებთან დაძაბული ურთიერთობის, ხელჩართული ინტელექტუალური დაპირისპირების, წყენის და მრისხანების, მიტევებისა და შერიგების სადაგი დღეები და ღამეები, რომლის მსგავსი ერთხელ თუ შეიძლება მოხდეს თავისი ხალხის უღალატო შვილების ცხოვრებაში.

აფხაზეთში დამარცხდა სიმართლე და დამარცხდა ქართველობა, თავიდან ვერ ავიცილეთ ჩვენი მამაცი ბიჭების სიკვდილი, ზღვა სისხლი და ცრემლი. ბატონმა ნაპომაც გაიზიარა თავისი ხალხის ხვედრი და თავადაც გაჰყვა გოლგოთის გზაზე.

მერე იყო ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისთვის, - მესხიების ოჯახი ისევე ეწამა, როგორც სხვა რიგითი დევნილები აფხაზეთიდან. შეუძლებელია ბატონი ნაპო დაიღალოს და იგი მალევე ჩაერთო კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში და მისი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდა.

ბატონმა ნაპომ დღემდე არ იცის მშვიდი ძილი და ლოგინი,- აიღო მახვილი აფხაზეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად და დღემდე ბრძოლაშია თავისი უქარქაშო ხმლით, მგზნებარე სიტყვითა და მელანშეუშრობელი კალმით. გაერო, ეუთო, ევროკავშირი შევიდნენ პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში და ბატონმა ნაპომ ძალი და ღონე არ დაიშურა გალში დაა ფხაზეთის სიღრმეში სამედიცინო დაწესებულების აღსადგენად, დაბრუნებულთა სახლებისა და მოსახლეობისთვის სასიცოცხლო ობიექტების სარეაბილიტაციოდ. ასეა დღემდე, იგი დღისით საავადმყოფოშია, საღამოსკენ კი დადიანების სასახლეში ძველფოლიანტებს უტრიალებს, გამთენიისას კი რუხისციხის გალავნებიდან სამურზაყანოს მშობლიურ დაბლობს გადაჰყურებს.

ბოლო წლებში ბატონ ნაპო მესხიას რამდენიმე წიგნი გამოქვეყნდა. ათობით პუბლიკაცია იბეჭდება ქვეყნის წამყვან ჟურნალ-გაზეთებში. უფრო მეტი აქვს საჯარო გამოსვლები და დებატები (აფხაზეთის პარლამენტში და მის კედლებს გარეთ). თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და შიდაკონფლიქტების ვითარებაში პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე ფილოსოფსი, რომლისთვისაც უცხო არ არის პრინციპულ საკითხებზე პატიოსანი და ჯანსაღი შერკინება, საბუთიანი კამათი და პაექრობა (მათ შორის ხანდახან მეგობრებთან და ახლობელ ადამიანებთან). დიდი არისტოტელესი არ იყოს, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პატრიოტის პოზიცია, როცა საქმე სამშობლოსა და მამულს დაკარგვამდეა მისული.

ბატონი ნაპო ძლიერი მმართველი და საქმის კაცია, - პირდაპირი და პირშიმთქმელი, რომლის ლექსიკამ არ იცის სიტყვა „არა“, როცა ადამიანს ძალიან უჭირს, ამავდროულად იგი პიროვნული რაინდი და გულითადი კაცი, ზუსტად ისეთივე, როგორც იყვნენ მისი წინაპრები, როგორებიც არიან მისი სამურზაყანოელები.

ბატონი ნაპო ხანდახან პატარა ბავშვივითაა, - მცირე რამ უხარია და დიდით ვერ გააკვირვებ, - იგი ვერ იტანს უხამსებსა და მლიქვნელებს, ლაქუცებსა და მედროვეებს, რომლებიც ასე მომრავლდნენ ირგვლივ. იგი დიდსულოვანია, - წყენინებაც შეუძლია და პატიებაც, უჩვეულოდ ლამაზად მომლხენი და დიდებული თამადაცაა. ბატონ ნაპოსთვის არ არსებობს დიდი თანამდებობის პირები და ავტორიტეტული დაწესებულებები, იგი ყველას კარებს შეაღებს თუ ამას ქვეყნისა და ხალხის საქმე მოითხოვს. ბევრჯერ უნახავთ იგი პრეზიდენტების, სახელმწიფო მეთაურების, მინისტრების კაბინეტებში, როცა რამე განსაკუთრებული ხდებოდა ქვეყანაში. ნაპო მუდამ თავის ფორმაშია, ჩვეულებრივ მისი ასპარეზი და ბრძოლის ველია საავადმყოფო და საოპერაციო ლოგინი,

ტრიბუნა, ხალხი და მიტინგები, ჭირი და ლხინი, სახლი, - მაგიდა და კომპიუტერი.

ახლა, როცა წლებმა თავისი გაიტანეს და ღამის ცაში ვარსკვლავების თავისი ლათინური გვარ-სახელებით გარჩევა მიჭირს, ხანდახან ბატონი ნაპოზე ვფიქრობ, - რა საჭიროა ცაში ყურება და ცივ სხეულებთან ლაციცი, როცა აქვე, ახლოს, ენგურის ნაპირებთან ძველებურად ბობოქრობს ნაპო მესხია, - აფხაზეთის გამორჩეული მნათობი და დევებთან მებრძოლი კოლხი გმირი.

თაროზე ბატონ ნაპოს წიგნები და გაზეთების შეკვრა მიწყვია, რომელთაც სამურზაყანოს ნორჩი ბალახის საოცარი სურნელი ასდით მარად ჟამ.

ამბობენ, რომ ყოველი სიცოცხლე ინდივიდუალური და განუმეორებელიაო, ასეც არის ალბათ, მაგრამ მე მინდა, რომ ბატონი ნაპო განმეორდეს და მასზე რომანი დაიწეროს, ასე ხდება ევროპაში. აი ის, რაც მე ნამდვილად მხიბლავს დასავლურ ხელოვნებასა და კულტურაში. ძალიან ძალიან მინდა ნაპოს დიდი ხნის სიცოცხლე, ულევი ჯანი და სიხარული ჩვენ და სასიკეთოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ასე უნდათ ადამიანებს ენგურს გაღმა და გამოღმა.

ასეც იქნება, რადგან მჯერა, რომ ასეთია უფლის ნება!

რაფიელ გელანტია

პარლამენტის პასუხისმგებელი თანამშრომელი

შესანიშნავი დასტაქარი, ჭეშმარიტი პატრიოტი

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი უბადლო საქმიანობის წყალობით იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას და იმსახურებენ მათ ღრმა პატივისცემას. სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ცნობილი ნეიროქირურგი, დასავლეთ საქართველოში ნეიროქირურგიული ცენტრის დამფუძნებელი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ნაპოლეონ მესხია, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

თავისი საქმის ღრმა მცოდნეს, უნიკალურ სპეციალისტს ოფიციალური მედიცინისათვის შეთავაზებული აქვს ადამიანის ორგანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ორგანოს – თავის ტვინის რეაბილიტაციის საქმეში ნეიროქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის მრავალი, პრაქტიკულად გამართლებული ახალი მეთოდი. ბატონი ნაპოლეონის მეტად გამჭრიახ გონებას და ოქროს მარჯვენას არა ერთი ავადმყოფი გამოუყვანია განსაცდელიდან, შეუნარჩუნებია სიცოცხლე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ბატონი ნაპოლეონი მრავალჯერ იყო არჩეული აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებში, სადაც მას ყოველთვის სათანადოდ არგუმენტირებული, პრაგმატული წინადადებები შეუთავაზებია აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის კონსოლიდაციის საქმეში.

განსაკუთრებით, აღნიშვნის ღირსია მისი თავდაუზოგავი მცდელობა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვაში.

სამწუხაროდ, ქართული მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი ქმედებების გამო, მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა იმდროინდელი ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან, რასაც

სავალალო შედეგები მოჰყვა, მაგრამ ბატონ ნაპოლეონს არ დაუყრია ფარ–ხმალი, ის მისთვის ჩვეული შემართებით აგრძელებს თავის კეთილშობილურ მოღვაწეობას ორივე სასიცოცხლო მიმართულებით – აფხაზეთის დასაბრულენებლად დედა საქართველოს შემადგენლობაში და განურჩევლად ცენზისა და მდგომარეობისა ადამიანის ჯანმრთელობის აღსადგენად.

გულითადად ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ სახელოვან მეცნიერს, სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტს ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

როლანდ კოპალიანი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ღირსეული პიროვნება

თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, ვისაც მიუხედავად ცხოვრების ქარტეხილებისა და პირადი ტრაგედიისა, არასდროს დაუკარგავს შემტევი ხასიათი, ამასთანავე, სიდინჯე, სიბრძნე და პასუხიმგებლობის გრძნობა ერისა და ქვეყნის წინაშე.

თქვენი პიროვნული ვაჟკაცობით, წმინდა გულითა და ღრმა ჰუმანიზმით, ღირსეულად დაიმსახურეთ ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი, სახელი უღალატო, მტკიცე, სამართლიანი კაცისა, რომელსაც უყოყმანოდ შეიძლება ენდო.

თქვენი უანგარო მოღვაწეობა, არა მარტო როგორც უმაღლესი კლასის ნეიროქირურგისა, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწის და ნიჭიერი პოლიტიკოსისა, უფრო მკაფიოდ გამოვლინდა აფხაზეთის ტრაგედიის პერიოდში.

თქვენი ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი მიდგომა განსაკუთრებით გამოვლინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რანგში მოღვაწეობით.

გისურვებთ კვლავაც მრავალ წელს იღვაწოთ ჩვენი სახელოვანი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ... მრავალჟამიერ!

პატივისცემით

შოთა ხეცურიანი,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ღირსების ორდენოსანი.

საოჯახო ალბომიდან

ვაჟიშვილებთან და მეუღლესთან ერთად

ძმები თემური (ნუკრია) და ირაკლი -
პატარა „გუკა“ დიდ „გუკასთან“ ერთად.

ძმები აქაც ერთად...

ბერძენი მოწაფე პანაიოტისი სტილიდისი (მარჯვნივ) და მისი ძმა
პანტელეონიდისი (ტრიპოლი, საბერძნეთი)
„სტუმრად“ ჩემს ბიჭებთან ქ. სოხუმში.

ქალიშვილი მარინე განმარტოებულად.

უნიჭიერეს მოწაფესთან, ნეიროქირურგ
ვახტანგ რურუასთან ერთად.

სიცოცხლის სადარაჯოზე

შვილიშვილებთან - ვერიკო და ირაკლი კემულარიებთან ერთად.

პატარა ირაკლი კემულარია ბაბუას წიგნების პრეზენტაციაზე.

ზუგდიდელი მეგობრების წრეში. მარცხნიდან: თამაზ ცანავა, იური გუგუჩია, ნაპო მესხია, ბონდო ჯიქია, მურმან ნაჭყებია, იური კაკავა, ოთარ ფაცაცია და ნუგზარ სართანია.

ნაპო მესხია:

ვის როგორ სტკივა აფხაზეთი

გამომცემლობა „ივერიონი“
თბილისი: კოსტავას 6, III სართ.

Email: info@iverioni.com.ge